

517 / 2  
1982

7-8 1982

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ლიტერატურა

მატიანე

ИЗДАТЕЛЬСТВО «САБЧОТА САКАРТВЕЛО». ТБИЛИСИ. 1982.

თეოლოგიის  
და ისტორიის

მეცნიერებათა  
მეცნიერებათა

7-8

8Г + Г2  
83·3Гp + Г2  
899·962·1.09+899·962.1—82  
ლ 681

რედაქტორი  
ნა ორჯონიძე

სარედაქციო კოლეგია

სოლომონ ხუციშვილი  
ივანე ლოლაშვილი  
ლუა ჯანაშია  
ელეკსანდრე ლონტი  
აკაკი ბაქრაძე  
იმეზ ჯაფარიძე  
ვიხილ ქავთარია  
თამაზ შილაძე  
ქეთევან მარტაშვილი  
ციცი ბუჭურაული  
(პასუხისმგებელი მდივანი)  
ირაკლი შენგელაია  
(პასუხისმგებელი გამოცემისათვის)

### ბმდნიერი გზა

მისი უკანასკნელი, მეექვსე წიგნის პირველი ნაკვეთი 1952 წელს გამოვიდა, მას შემდეგ მესამე ათეული წელიწადი ილევა. ახლა კვლავ მოგვევლინება საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ბეჭდური ორგანო.

„ლიტერატურის მატრიანეს“ პირველი და მეორე გაერთიანებული წიგნი 1940 წელს დაიბეჭდა, მისი პასუხისმგებელი რედაქტორი იყო გიორგი ლეონიძე, რომლის მოუდუნებელმა და შეუფერხებელმა მოღვაწეობამ ამ წიგნების გამოცემაშიც კპოვა მიმართულება. სწორედ ამიტომაც „ლიტერატურის მატრიანეს“ წიგნები აღსაესე იყო შესანიშნავი პირველხარისხოვანი მასალებით, რომლებიც ლიტერატურული მუზეუმის საგანძურში ინახებოდა. გარდა სეიფებიდან ამოკრეფილი მასალებისა, გიორგი ლეონიძე საგანგებო მივლინებებსა და ექსპედიციებს აწყობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში — ქართლში, კახეთში, იმერეთში, ფშავში და სხვაგან, ახალ მასალათა და ცნობათა შეკრება-მოპოვებისათვის. „ლიტერატურის მატრიანეს“ პირველსავე წიგნებში გამოჩნდა ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ხელნაწერებისა და სხვა მასალათა მნიშვნელობა და ღირებულება, ამასთანავე, ქართველ მწერლებზე და საზოგადო მოღვაწეებზე მოპოვებულ მასალათა ზასიათი, ყველაფერი სხვადასხვა რუბრიკაში იყო მოქცეული და განსაზღვრავდა თითოეული წიგნის თემატურ ზასიათს. პირველ წიგნში თუ ილია ჭავჭავაძის საბიოგრაფიო მასალა, ვაჟა ფშაველასთან დაკავშირებული მოგონებები, ასევე იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წერილები, გამოკვლევები და ნარკვევები, რომლებიც თავისი მრავალფეროვნებით მეტად მიმზიდველი შინაარსისა იყო (შეეხებოდა გრიგოლ ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ფაქტებს, ქართულ-რუსული ლიტერატურის კავშირებს და სხვა), „ლიტერატურის მატრიანეს“ 3—4 წიგნში, რომელიც დიდი სამამულო ომის დროს და-



ობექდა, გამოქვეყნდა ომის წინ მოპოვებული მასალები და ცნობები აკაკი წერეთელზე, რომლის ცხოვრებისა და შემოქმედების დამაბნელებელი ჩანაწერები შეიკრიბა სხვიტორში, მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალ მომსწრეთა და ნათესავთაგან. ეს მშვენიერი მემუარული ჩანაწერები სახელოვანი პოეტის ბიოგრაფიასა და შემოქმედებას ავსებენ და აფართოებენ. „ლიტერატურის მატრიანეს“ ეს წიგნები (3—4) მხოლოდ ნაწილობრივი რეალიზაცია იყო გეგმით განზრახულისა. რედაქცია აცხადებდა, რომ „აკაკის პოეტური ტექსტები, აკაკის კერძო მიმოწერა, ნაკვევები აკაკის შემოქმედებისა და ბიოგრაფიული საკითხების შესახებ, შემდეგი დროისათვის გადაიდო და ამ ხანად მხოლოდ საბიოგრაფიო მასალის გამოქვეყნებით დავკმაყოფილდითო“.

„ლიტერატურის მატრიანეს“ მეხუთე წიგნი ორ ნაკვეთად გამოვიდა (1949 წელს) პირველში ლიტერატურული წერილები და მემუარები დაიბეჭდა, ხოლო მეორე ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერების აღწერილობას მიეძღვნა, რაც, სამწუხაროდ, მეხუთე წიგნის მეორე ნაკვეთზე შეჩერდა (აღწერილია ასი ხელნაწერი ივანე ლოლაშვილისაგან). მრავალი ხელნაწერისა და ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა უმდიდრესი არქივების აღწერილობა ჯერაც არ გამოქვეყნებულა.

„ლიტერატურის მატრიანეს“ მეექვსე წიგნი (პირველი ნაკვეთი, 1952 წელი) დაეთმო მოგონებებს სხვადასხვა ქართველ მწერალზე.

1952 წელს გამოცემული ეს წიგნი უკანასკნელი ნომერი იყო 1940 წელს დაწყებული „ლიტერატურის მატრიანეს“ გამოცემისა. შემდეგ მისი გამოცემის წამომწყები წავიდა ლიტერატურული მუზეუმიდან, 1966 წლის ზაფხულში კი გარდაიცვალა.

დიდი ხნით დადუმდა მუზეუმის ბეჭდვითი სიტყვა.

ახლა „ლიტერატურის მატრიანე“ აღდგენილია. იგი განახლებული უნდა წარსდგეს მკითხველის წინაშე და რასაკვირველია, გააგრძელებს იმ ნაყოფიერ ტრადიციას, რომელიც შექმნა გიორგი ლეონიძემ.

აღსანიშნავია ის, რომ „ლიტერატურის მატრიანეს“ სიჩუმის ხანს საქართველოში არსებულ არც ერთ სიძველეთა საცავს არ გამოუცია იმ ხასიათის მასალა, რაც ქვეყნდებოდა ლიტერატურული მუზეუმისაგან. ამასთან, ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა და გამდიდრდა ქართული ლიტერატურული მუზეუმის ფონდები. მასში დაგროვდა XIX და XX საუკუნეთა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მხატვრული ლიტერატურისა და კრიტიკის წარმომადგენელთა შემოქმედება, ბიოგრაფიული მასალები და სხვა მრავალი. მათი ხასიათი და ღირებულება სრულად წარმოსდგება მაშინ, როცა დაიწყება რეგულარული გამოქვეყნება ხელნაწერთა აღწერილობისა, როცა განახლებული „ლიტერატურის მატრიანე“ გამოამზეურებს და გამოაქვეყნებს XIX და XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ხელნაწერებსა და არქივებს,



მკითხველი დაინახავს, თუ რას წარმოადგენს ლიტერატურული მუზეუმში, რა მნიშვნელობა აქვს იქ დაცულ მასალებს.

ისიც უნდა აღინიშნოს, ლიტერატურის მუზეუმში არა მხოლოდ ქართველი მწერლების ნაწერები და არქივებია დაცული, არამედ არა-ქართველებისაც, რომელნიც მეგობრული ურთიერთობით და სიყვარულით იყვნენ დაკავშირებულნი საქართველოსთან, ქართულ მწერლობასა და მწერლებთან, აქ მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობის მრავალი უბრწყინვალესი საბუთი არის დაცული.

ვუსურვოთ „ლიტერატურის მატეანეს“ ბედნიერი გზა!

**სოლომონ ხუციშვილი**



**დღეგრძელი იყო „ლიბერატურის მატინა“**

ყოველი ახალი ლიტერატურული ჟურნალის თუ სამეცნიერო ორგანოს დაარსება, ან ძველის განახლება, ფრიად სასიხარულო და მისალოცია გამომცემლისთვისაც და მკითხველისთვისაც, რადგანაც იგი ლიტერატურული საქმიანობის გაცხოველების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია და ამვე დროს, მაღალი კულტურული დონის მაჩვენებელი. ბეჭდური გამოცემა იმ დაწესებულების (თუ პიროვნების) სახეცაა, რომელსაც იგი ეკუთვნის. ეს გარემოება პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს კარგად ჰქონდა შეგნებული, როდესაც მან ჯერ კიდევ 1936 წელს მოითხოვა „მწერალთა მუზეუმის მოამბის“ დაარსება. მართალია, ეს მაშინ ვერ მოხერხდა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა მთაწმინდის მწერალთა მუზეუმს ეწოდა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, გ. ლეონიძემ სამეცნიერო ორგანოს გამოცემის უფლებაც მოიპოვა.

1939 წელს მისი ინიციატივით მუზეუმთან შეიქმნა „ლიტერატურის მატინას“ საგამომცემლო რედაქცია, რომელიც სათავეში ჩაუდგა საარქივო მასალების მეცნიერულ დამუშავებასა და ბუბლიკაციას, ხოლო 1940 წელს უკვე გამოქვეყნდა „მატიანეს“ I-II წიგნი, მიძღვნილი ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ი. გოგებაშვილისა და ვ. ბარნოვის საიუბილეო თარიღებისადმი. მისი რედაქტორი იყო გ. ლეონიძე, მდივანი — გ. აბზიანიძე. მე-3—4 წიგნი, რომელიც დაეთმო ა. წერეთლის ცხოვრება-შემოქმედებასა და ძველი ქართული მწერლობის საკითხებს, გამოქვეყნდა 1942 წელს. ამ ორმა ვეებერთელა წიგნმა უცბად წარმოაჩინა ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი მემკვიდრეობა და საფუძველი დაუდო მის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. მაგრამ სამამულო ომის გამო „მატიანეს“ გამოცემა შეფერხდა და შვიდი წლით შეწყდა კიდევ.

1947 წელს, როდესაც მუზეუმის სწავლულ მდივანად დავიწყებულ მუშაობა, გ. ლეონიძემ დამავალა „მატიანეს“ მორიგი (მე-5) წიგნი-სათვის მასალების მოპოვება და სასტამბოდ მომზადება. ამ დავალებას ხალისიანად მოვეკიდე და 1949 წელს მკითხველმა მიიღო ორი ნაკვეთი: პირველი დაეთმო მემუარულ მასალებს, მეორე — ჩემს მიერ შედგენილ მუზეუმის „ხელნაწერთა აღწერილობას“. 1952 წელს დაიბეჭდა „მატიანეს“ მე-6 წიგნი, რომელშიც მოთავსებულია ექვთიმე თაყაიშვილის „მოგონებანი ქართველ მწერლებზე“.

და აი, ახლა 26-წლიანი ინტერვალის შემდეგ ქვეყნდება მე-7—8



წიგნი! ფრიად მოხარული ვარ, რომ მე, როგორც განახლებული ლიტერატურის მატრიანეს“ ერთ-ერთ მონაწილეს, მიხდება მისალოცი ბართის დაწერა.

ქართული ლიტერატურის მუზეუმი, რომელიც ამჟამად მისი ერთ-ერთი დამაარსებლის პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძის სახელს ატარებს, ერთ-ერთი თვალსაჩინო სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია საქართველოში. მასში თავმოყრილია უნიკალური მასალები XIX—XX საუკუნეების ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ; ესენია: თხზულებათა ავტოგრაფები და ნუსხები, მემუარები, დღიურები, მიწერ-მოწერა, დოკუმენტები, იკონოგრაფიული ძეგლები და მემორიალური ნივთები. მათი მეცნიერული შესწავლა-დამუშავება და პუბლიკაცია მუზეუმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, რის განხორციელებისათვის ყველაზე უკეთესი საშუალებაა საკუთარი ბეჭდური ორგანოს არსებობა.

განახლებული ლიტერატურის მატრიანეს“ ახალ მესვეურებს ვუსურვებ, რომ მათ ქართული მწერლობის სამუზეუმო მემკვიდრეობა ისე ღირსეულად, ფართოდ და მეცნიერულად გააცნონ მკითხველებს, როგორც ეს შესძლეს გ. ლეონიძემ და მისმა თანამოღვაწეებმა. დღეგრძელი იყოს ლიტერატურის მატრიანეს“ და ჟამთა სვლაში აღარ შეფერხებულყოს!

მზახე ლოლაშვილი

## ბისუქვებით ახალ წარმატებებს

სიამოვნებით შევიტყე, რომ დიდი ხნის შემდეგ გადაწყდა თქვენი მუზეუმის ბექდეთი ორგანოს „ლიტერატურის მატთანეს“ გამოცემის განახლება. „ლიტერატურის მატთანეს“ გამოცემის შეწყვეტას თავის დროზე ჩვენი ლიტერატურული და სამეცნიერო საზოგადოებრიობა მწვავე გულსტიკივლით შეხვდა, მაგრამ მას აქამომდეს არა ეშველა რა. მიმაჩნია, რომ თქვენი ორგანოს გამოცოცხლება მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურასა და სამეცნიერო ცხოვრებაში.

კარგად მახსოვს, თუ ამ ორგანოს ყოველი ნომრის გამოცემისათვის როგორ ზრუნავდა მუზეუმის ფუძემდებელი, ჩვენი სასიკაძულო პოეტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ლეონიძე, როგორი სისათუთით არჩევდა იგი გამოსაქვეყნებელ მასალას, რა დიდი ამაგი დასდო „ლიტერატურის მატთანეს“ მუზეუმის მაშინდელმა სწავლულმა მდივანმა ივ. ლოლაშვილმა. ყოველივე ამის შედეგად იგი იქცა ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ. მის ტომეულებში დაიბეჭდა ძვირფასი მასალა, რომელმაც ხელი შეუწყო ქართული ლიტერატურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების მართებულად გაშუქებას, საზოგადოებრიობას მიაწოდა პირველი ინფორმაცია მუზეუმის ფონდების შესახებ და ა. შ. მაგრამ კარგად დაწყებული საქმის განგრძობა ველარ მოხერხდა, გამოცემა შეწყდა და დიდად საჭირო ინფორმაციის პუბლიკაცია შეფერხდა. ბუნებრივია, ეს მეტად დასანანი იყო.

ჩვენ მოთმინებით ველოდებით შეწყვეტილი საქმიანობის განახლებას და აი, ეს დღეც დადგა. სულითა და გულით მივესალმები „ლიტერატურის მატთანეს“ გამოცემის განახლებას, ამ ცნობამ საქმის ყველა გულშემატიკვარი ნამდვილად გაახარა.

მინდა ვურჩიო „ლიტერატურის მატთანეს“, რომ მთლიანად აღადგინოს დამკვიდრებული ტრადიციები, შემოიკრიბოს ავტორთა შემოქმედებითი კოლექტივი, თავი მოუყაროს და პერიოდულად მიაწოდოს მკითხველს საჭირო ინფორმაცია მუზეუმში დაცული ფონდების შესახებ, გამოაქვეყნოს აქ დაცული უმნიშვნელოვანესი მემუარები, მუზეუმის მუშაკთა მიერ შესრულებული შრომები, რომლებიც გამომზეურებას ელიან.

„ლიტერატურის მატთანეს“ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად უნდა ჩაითვალოს მუზეუმის ფონდების აღწერილობათა პუბლიკაციების განგრძობა (დასამალი არ არის, რომ აქ თავმოყრილ უნიკალურ მასა-

ლას სპეციალისტთა ძალიან ვიწრო წრე თუ იცნობს, თორემ ფართო საზოგადოებრიობისათვის ის უცნობი და ძნელად ხელმისაწვდომია).

„ლიტერატურის მათიანეს“ რეგულარულად გამოცემა უფრო აამაღლებს მუზეუმის სახელს. მჯერა, რომ მუზეუმის ხელმძღვანელობა, განახლებული ორგანოს სარედაქციო კოლეგია, მეცნიერ-მუშაკთა ნიჭიერი კოლექტივი, საქმის ყველა გულშემატკივარი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ „ლიტერატურის მათიანე“ აქციონ ქართული ლიტერატურის გარდასულ სახელოვან დღეთა ნამდვილ მათიანედ.

გისურვებთ ამ საშურ საქმეში ახალ წარმატებებს ჩვენი ერის კულტურის სადიდებლად.

ალექსანდრე ლლონბი

## ილია ჰავთაძისა და აკაკი წერეთლის საიუბილეო მასალები

მოწინავე ქართულ საზოგადოებას 1898 წლის მარტში უნდა მოეწყო დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — ილია ჰავთაძის სამწერლო მოღვაწეობის ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე, მაგრამ ეს იუბილე აღარ შედგა სხვადასხვა „ობიექტური მიზეზების“ გამო.

მიუხედავად ამისა, იუბილარს მაინც მიულოცეს, გაუგზავნეს მილოცვა — ადრესები.

გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ქართული ლიტერატურის მუზეუმის იკონოგრაფიულ და ხელნაწერთა განყოფილებებში დაცულია ილიას იუბილესადმი მიძღვნილი საინტერესო მასალები (მოთქროვილ-მოვერცხლილი ღვთისმშობლის ხატი, სურათების მოვარაუებული ალბომი და საიუბილეო ადრესები).

ქვემოთ ვაქვეყნებთ ერთ საიუბილეო ადრესს.

ამავე განყოფილებაშია აკაკი წერეთლის საიუბილეო მასალები, მიძღვნილი მისი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავისადმი.

დავით შულღიაშვილი

ძვირფასო, „სამშობლო ციხის ბუზაბო“,  
ბატონო ილია!\*

ამ ორმოცი წლის წინად, როცა შენ გონება გაწვრთნილი, გრძნობა-განვითარებული, სინათლის წყაროს დაწაფებული ის იყო უბრუნდე-

\* ადრესი გაფორმებულია მხატვრულად — დაფნის გვირგვინში ჩახატულია ილიას პორტრეტი, მოჩანს მთები და მყინვარი, ქვემოთ კი წიგნები. წიგნზე დადებული ფრთის კალამი, შემდეგ ქნარი, ზედ ინიციალებით — ი. ჰ. სულ ქვემოთ გრაგნილი თავზე დაფნის ფოთლებით.

ბოდი სამშობლოს, შენ გაღელვებდნენ ეპეები იმის შესახებ, თუ გორ მიგიღებდა შენი ქვეყანა, გაიგებდა თუ არა შენს სიტყვას“; ეამთავითარების გამო „უცხო ნიადაგზე აღზრდილს მიგიმჩნევდა თუ არა თავის შვილად, საქმე რომ მოეთხოვა, შესძლებდი თუ არა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას“ და სხვ. ნეტავე შენ, ილია, რომ ყველა ამ კითხვებს და ეპევებს სასურველი პასუხი უპოვნე. შენ გაიგე სამშობლოს სიტყვა და ენაც, შენ გააგებინე, საქმე რომ მოგთხოვა, საქმეც გააკეთე, რის გამო მიგიღო და მიგითვისა კიდეც შენმა სამშობლომ, როგორც საუკეთესო შვილი. როდესაც უნებლიედ, დღევანდელი იუბილის გამო გადავავლეთ თვალი შენს ორმოცი წლის მოღვაწეობას, უკეთესი დახასიათება ჩვენ მას ვერ მოუძებნეთ, ვიდრე ამ წერილის თავშია აღნიშნული. არ გამოვუდგებით აქ შენი მრავალმნიშვნელოვანი ნაღვაწ-ნამოქმედარის დაწვრილებით აღწუსხვას, რადგანაც ვერ შევძლებთ და საამწამედ არც საქიროა; ვიტყვით მხოლოდ, რომ შენ ამ ორმოცი წლის განმავლობაში მხნედ გეპყრა ხელთ ორთაყვირი საქართველოს სალიტერატურო საზოგადოებრივის ცხოვრებისა. შენ იმდენი გააკეთე შენის სამშობლოსათვის, რამდენიც თითქმის არც ერთს მეცხრამეტე საუკუნის ქართველს არ გაუკეთებია, მაგრამ შენი მოღვაწეობის აწონ-დაწონვა ჯერ კიდეც ნაადრევია: შენ დაამტკიცე შარშანდელი და წლევანდელი წერილებით, რომ ჯერ კიდეც ჯან-ღონით სავსე ხარ, რომ შენი მახვილი და თავისებური ენა, ღრმა და ძლიერი გონება, განცისკროვნებული არა ნაკლებ ძლიერის ზეგარდმო მონიჭებულის მადლით, ჯერ კიდეც ისევ სჭრიან, როგორც სიტაბუკის დროს. მაშ ნუ გვეუბნები: „გაცუდდენ ძალნი ბუნებისანი და ლერძმა ქვეყნისამ უკუღმა იწყო ტრიალიო“, ნუ გვეუბნები: „რა გითხრათ, რით გაგახაროთო?“, შენ თვითონ არა სთქვი:

„აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენიაო“,

ნუ გაჩუმებულხარ, ნუ მოარიდე თვალი შენგან ეგრე დაქადებულს შენს საყვარელ სამშობლოს, ნუ დაემსგავსე მყინვარს, თუმცა „მაღალსა და დიდებულს, მეტს დასამზგავსებელს, მაგრამ თანაც მიუწვდომელსა და მიუკარებელს“. აკი ამბობდი: „მიყვარს თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი თერგო“, რომ „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემიო“.



ამ ორმოცი წლის განმავლობაში შენ იყავი უპირველესი და ახალი იდეებისა საქართველოში და თუ რამ სადმე საყურადღებო, უზენაესის ჰუმანიზმით აღბეჭდილი და თანაც ჩვენი ცხოვრების შესაფერი გამოჩნდებოდა, დაუყოვნებლივ გადმონერგავდი ხოლმე, თუ პუბლიცისტიკისა და თუ შენი შემოქმედებითი ნიჭის მიერ ხელოვნურად ხორც-შესხმულ ხატების საშუალებით. ჩვენი ღრმა რწმენაა, რომ თუ მოინდომე, არც კვლავაც გამოგეპარება არავითარი ახალი იდეა, „ახალი სიტყვა“, რომელიც შენს მიერ თქმული, შენი ძლიერი გონების ბრძმედში გატარებული და ჩვენი ხალხის ცხოვრებისა და ხასიათის ღრმა ცოდნაზედ დამყარებული, უმეტესად ნაყოფიერი იქნება.

მამ, ისევ შენ, ომში დაცდილო დახელოვნებულ ბელადო! ისევ შენ გავვიძებ წინ, გვიმოძღვრე, გვამსახურე ჩვენს ბედისაგან მეტად დაჩაგრულს სამშობლოს: ვინძლო — „საათი ქვეყნისა“ ჯერ არ იყოს საბოლოოდ „მოშლილი და მამლის ყვილამდეც“ არც ისე „ბევრი ხანი იყოს დარჩენილი“.

იცოცხლე მრავალყამიერ, ძვირფასო ილია!

- ა. ხახანაშვილი
- ბ. დიასამიძე
- გ. ანდრონიკაშვილი
- დ. რომანიშვილი
- ე. ცოგია
- ვ. ზამსახურაძე
- ზ. ჯავახიშვილი
- ი. ლვინიაშვილი
- კ. კობიაშვილი
- ლ. ჯაფარიძე
- მ. ზუნცაძე
- ნ. დგებუაძე

- ბ. ფალავა
- გ. ელიოზიშვილი
- სამ. დიმიტრაძე
- დ. ზველსიანი
- ივ. ჩიჯავაძე
- ალ. ბიორგოჯიანი
- ბ. ნანიაშვილი
- პ. მღვიანი
- ივ. ქაჩუხაშვილი
- ბ. ტაყაშვილი
- ივ. გოვარტილი
- ე. კანდელიანი

აკაკი წერეთელის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეს  
კომიტიტიზაცია

1908 წ. გიორგობისთვეში სრულდება ორმოცდაათი წელიწადი, რაც დიდებული მგოსანი, სიამაყე სამშობლო პოეზიისა, აკაკი წერეთელი პირველად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში თითქო მისუსტდა მაჯისცემა ჩვენის ქვეყნისა, ოდ-

ნავლა ბეჟუტავდა ჩვენი მწერლობა. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან სამშობლო ცაზე აღმობრწყინდა ორი ცისკარი, წინამორბედნი განთიადისა. ეს დრო იყო, — როგორც თვით აკაკიმ განმარტა რაფიელ ერისთავისადმი მიმართულს სიტყვაში, — „დიდი მარტოხელობის დრო“ ჩვენის ლიტერატურისა; გზა სავალი ერთობ ეკლიანი იყო, მაგრამ აკაკის ციდან მინიჭებულმა მადლმა გაჰფანტა წყვილიადი, თანდათან გაჰკაფა ეკლიანი გზა; მთელი ნახევარი საუკუნე უბე-კალთით ატარა ქართველი ერის ბედი და უბედობა, მისი ტანჯვა და ვაება; იგი მუდამ ეამს დაულალავად აკმევდა ჩვენს ხალხში, ქართველს ერში წმინდა სიყვარულსა სულით დაობლებულ სამშობლოსადმი. მიმქრალი, ოდნავ მბეჟუტავი გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა აკაკიმ ზეგარდმო ცხებულის ნიჭით გააძლიერა. მან შექმნა საკუთარი სკოლა პოეზიისა, გაამარტივა, გაამდიდრა, გაატკბილა ისედაც ტკბილი ქართული ენა და მით „მარტოხელა“ ოჯახი ჩვენის მწერლობისა გააძლიერა, გაამრავალკაცა. დღესაც, სიბერის ეამს, ჩანგი მისი ისეთისავე სიჭაბუკის ცეცხლით, ძლიერებით და სამშობლოსადმი სიყვარულით ეღერს, როგორც სიყმაწვილეში. აკაკი კვლავ გვიღვიძებს კეთილშობილურ გრძნობებს, კვლავ აკვნესებს ჩვენს გულს, კვლავ გვიჩვენებს ახალ განთიადს, საითყენაც „ბერო მინდისავეით“ მივყევართ, რათა გვასწუროს განთიადის სხივებითა.

აი ამ დიდებულის, ზეგარდმო ნიჭით ცხებულის მგოსნის პატივსაცემად, მისი ნაჭირნახულების დასაფასებლად და საშვილიშვილოდ გადასაცემად მადლიერმა სამშობლომ განიზრახა გადაიხადოს საერო დღესასწაული აკაკის ორმოცდაათის წლის მგოსნობისა. ამიტომ საზოგადოებამ გადასწყვიტა იღღესასწაულოს ეს დღე და დაავალა საგანგებოდ არჩეულს საიუბილეო კომიტეტს ღირსეულად მოაწყოს ეს დღესასწაული.

გაუწყებთ ამას, რათა თქვენც შესაფერი მონაწილეობა მიიღოთ საერო დღესასწაულში.

საიუბილეო კომიტეტის წევრები არიან: თავმჯდომარე — გიორგი ყაზბეგი, მისი ამხანაგი — იაკობ გოგებაშვილი, მდივნები: სოფრომ მგალობლიშვილი და სამსონ ფირცხალავა, წევრები: ივანე გომართელი, ვალერიან გუნია, ნიკოლოზ ერისთავი, იოსებ მერკვილაძე, პავლე თუმანიშვილი, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანისა, პარმენ ჭიჭინაძე.

თავმჯდომარე კომიტეტისა: **ბ. ყაზბეგი**  
 მდივნები: **ს. მგალობლიშვილი**,  
**ს. ფირცხალავა**



## იშვიათი დღესასწაულია დღევანდელი დღე

იშვიათი დღესასწაულია დღევანდელი დღე, ძვირფასო პოეტო, იშვიათი დღესასწაულია იგი ქართველი ერისათვის და ნამდვილი პოეზიის თაყვანისმცემელთათვის. ნახევარი საუკუნეა მას შემდეგ, რაც თქვენი უცხო პოეზიის პირველი ყვავილი უძღვენით ძვირფას სამშობლოს და ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში იფურჩქნებოდა ერთი ყვავილი მეორის შემდეგ თქვენი ბრწყინვალე ზეშთავგონების გავლენის ქვეშ.

თქვენ გაამდიდრეთ სამშობლო მრავალი ქმნილებით, რომელთათვისაც არ არსებობს არც დრო, არც სიკვდილი, რადგან მარად საუკუნონი არიან. თქვენის მეოხებით თქვენი სამშობლო დღეს უფრო მდიდარია, ვიდრე ის ამ ნახევარი საუკუნის წინად იყო და ამ სიმდიდრის განადგურებას ვერ შეძლებს ვერც გრიგალი და ვერც ცეცხლი. ის შეადგენს თქვენი ერის სამარადისო კუთვნილებას. იხარეთ და იამაყეთ, ძვირფასო პოეტო, რომ ბედმა მოგცათ საშუალება გედღესასწაულებინათ ეს დიდებული, იშვიათი დღე და დამტკბარიყავით თანამემამულეთა საერთო აღტაცებითა და თქვენი ბრწყინვალე დიდების ხილვით.

ღმერთმა კიდევ დიდხანს გამყოფოს შენს ზალხთა შორის და დიდხანს დაგატკბოს ტურფა საქართველოს მშვენიერების ხილვით.

ამას გინატრის გულწრფელად და გულახდილად უცხო ერის შვილი, რომელმაც ქართული შენი პოეზიის ყვავილები სიყვარულითა და აღტაცებით გადარგო გერმანიის ნიადაგზე, რათა მის თანამემამულენიც დამტკბარიყვნენ ამ ყვავილების სილამაზითა და სურნელებით.

თქვენი მეგობარი და პატივისმცემელი

არბურ ლეისტი

სასიქადულო აკაკი! ბაღდადის საზოგადოება გულწრფელ სალამს გიძღვნის დიდებულ მგოსანს და საზოგადო მოღვაწეს და გილოცავს დღევანდელ დღესასწაულს, სხვათაშორის იმ მნიშვნელობით უფრო, რომ ეს დიდებული შემთხვევა, ჩვენი მრავალწამებულ სამშობლოს ყოველ კუთხიდან ეს მოზღვავებული ზალხი საუკეთესო თავდებია იმისა, რომ საქართველო „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“ და იღვიძებს კიდევაც.

ჩვენი შემწიკლული ეროვნული გრძნობა, რომელსაც 50 წელი-

წადია ხან მწარეთ დასტირის შენი ჩანგი და ხან იმედით აღსავსე  
პოეზიის სხივებით აელვარ-აცისკროვნებს შენი ღვთაებრივი ნიჭი, დღი-  
თი დღე ძლიერდება და ის გმირები, რომელთაც „დაეძებს, უკივის  
შენი დაფი და ნალარა“, ცხოველყოფელი, კულტურით აღჭურვილნი  
კიდით კიდემდე ეფინებიან ჩვენს სამშობლოს და აღვიძებენ მრავალ  
საუკუნოებით განაწამებ ხალხს.

იცოცხლე მრავალყამიერ, სასიქადულო მამულიშვილო! დე შენს  
მზერაში დაიმშვიდოს ქართველმა დაუეწყარ ილიას უღმრთო მკვლე-  
ლობით ჯერ კიდევ მშფოთვარე, ალტკინებული გრძნობა-გონება.

ბაღდაძის საზოგადოების მონღობილობით

ბ. ახვლედიანი

33728

## მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი

მოგონება ილია ჭავჭავაძესა და ზაქარია ჭიჭინაძეზე დაიკვლია საქართველოს სახელმწიფო ქართული ლიტერატურის მუზეუმში.

გიორგი ბერძენაძე, მუშა, პოეტი (1879—1960) დაბადებული ახალქალაქში (გორის მაზრა), მუშაობდა „ქართველი ამხანაგობის“ სტამბაში (მასზე მოგონებები შედგენილი და ჩაწერილი აქვს სიმონ წერეთელს). გ. ბერძენაძე ავტორია მრავალი მოთხრობის, პოემის, ჰიკსის და ლექსისა. გ. ბერძენაძის მოთხრობები „დურგლიანთ ქორწილი“, „სიმონა ბუჯიაშვილი“ ცალკე წიგნად გამოვიდა 1930 წელს.

მოგონებაში მოხსენებული პირები:

1. გრიგოლ ჩარკვიანი — გამომცემელი, მესტამბე.
2. პეტრე მირიანაშვილი — (1860—1940) — საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი, პედაგოგი.
3. ზაქარია ჭიჭინაძე (1854—1934) — გამოჩენილი ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, ფოლკლორისტი.
4. გრიგოლ ყიფშიძე (1853—1921) — ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „ივერიის“ მდივანი.

მაია ბარამიძე

## მ ო გ ო ნ ე ბ ა

მესტამბე გრიგოლ ჩარკვიანთან ვმუშაობდი ჩარხის დამტრიალებლად.

ჩემი ხელნაწერები: „დურგლიანთ ქორწილი“, „სიმონა ბუჯიაშვილი“ და „მეკვლე“ მივეცი წასაკითხად.

ჩარკვიანმა გადასცა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაარსებულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მდივანს პეტრე მირიანაშვილს, რომ მას ხსენებული მოთხრობები გადაეგზავნა გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში და თუ მისაღები იქნებოდა, დაებეჭდათ კიდევ ფელეტონებად.

გამომცემლობას ჯერ „სიმონა ბუჯიაშვილის“ ბეჭდვა დაეწყო.

პირველ ფელეტონს არ ეწერა ჩემი გვარი, არც მეორე ფელეტონს ეწერა, არც მესამეს, არც მეოთხეს.

წიგნის ბეჭდვა კი ჯერ არ მოთავებულყო.

გაზეთს კითხულობდნენ და მიხაროდა, მაგრამ მწყინდა, რატომ არ ეწერა ჩემი გვარი? ძალიან მინდოდა, რომ ყველას სტოდნოდა ჩემი ავტორობა.

ველარ მოვითმინე და კითხვის-კითხვით მივაგენ „ივერიის“ რედაქციას.

კარები ცოტათი ღია იყო.

მოკრძალებით შევედი და კარებთან გავჩერდი.

მაგიდას უჭდა ორი ტანმორჩილი, მაგრამ ორივე უფრო სრული პიროვნება. ერთი პირველზე ოდნავ დაბალი ჩემსკენ ზურგშემოქცეული იყო. როგორც შემდეგში გავიგე, ილია ჭავჭავაძე ყოფილიყო, ხოლო მეორე გრიგოლ ყიფშიძე.

— რას გვეტყვი ახალს? — მკითხა გრიგოლ ყიფშიძემ.

— გაზეთში ჩემი მოთხრობა იბეჭდება და გვარი კი გამოტოვებულია, — მოვახსენე გაუბედავად.

— ააა... შენა ხარ ხეჩუაშვილი? — შემობრუნდა ილია ჩემკენ.

— დიახ.

— მოდი ახლო.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი.

— ნუ გცხვენიან.

მივუახლოვდი.

— კარგად მოქცეულხარ, რომ მოხვედი. სკოლაში არა ყოფილხარ?

— არა.

— გეტყობა, რომ არ გისწავლია. რომ გესწავლა, ემჯობინებოდა... შემდეგ მიუბრუნდა გრიგოლ ყიფშიძეს:

— ცოდოა ყმაწვილი. ნიჭი აქვს და უნდა გაუქმდეს.

— რა გაეწყობა... — წარმოსთქვა ყიფშიძემ.

ილია ისევ მე მომიბრუნდა:

— შენს ფელეტონებს გვარი იმიტომ არ აწერია, რომ შენ ჯერ მწერლად არავინ გიცნობს. ნაწარმოების ბოლოში შენს გვარს დახედავენ თუ არა, მაშინვე გაზეთს გვერდზე გადასდებენ და შენი მოთხრობა წაუკითხავი დარჩება. მკითხველი ჯერ უნდა ნაწარმოებით დავაინტერესოთ და ავტორი შემდეგ გავაცნოთ. მოთხრობა სულ რომ დაიბეჭდება, შენს გვარს ბოლო ნომერს მოვაწერთ. როცა შენი სხვა ნაწერების დაბეჭდვას დავიწყებთ, მაშინ კი გაზეთის ყველა ნომერს ეწერება შენი გვარი.

ეცადე, რაც დაწერო, ბევრჯერ წაიკითხე, ბევრჯერ შეასწორო, კარგად დაამუშავე და მანამ არ დაკმაყოფილდე, შენი ნაწერი არ გამოაჩინო. ამის უნარი გემჩნევა და თუ არ იზარმააცებ, კარგი მწერალი დადგები.

ახლა მისამართი დასტოვე, წადი და ხალისიანად იმუშავე.

ხელი თითქმის ძალათი ჩამომართვა და კიდევ გამაფრთხილა:

— კავშირი არ გაწყვიტო მწერლობასთან.

სიხარულით თავბრუდახვეული წამოვედი.

მოვდიოდი და მისი ფართო შუბლის შუქი არა მშორდებოდა თვალებიდან.



მეორე დღიდან გაზეთი „ივერია“ მის დასასრულამდე დამტარებული  
 ბელის ხელით სახლში უფასოდ მომდიოდა.  
 ჩემ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.  
 ერთხელ კი საგანგებოდ გამოცემული სერვანტესის ნაწარმოები  
 „დონკიხოტი“ საჩუქრად გამოგზავნა ჩემთვის.

### ათ თუ მინიანი უზალთუნი

ზაქარია კიჰინაძე ერთ-ერთ მკვლევარ-მოღვაწედ, სახალხო წიგნ-  
 ბის გამომცემლად და გამავრცელებლად ითვლებოდა საქართველოში.  
 ბეჭდავდა ჩემსასაც, სხვებისასაც.  
 მის ბინაში თითქმის განუწყვეტლად იკრიბებოდნენ მაშინდელი  
 მწიგნობარნი.

მეც ხანდახან შევივლიდი ხოლმე.

ერთხელ ზაქარიას ოთახში გაგრძელებულ სიცილ-ხარხარს წავა-  
 წყდი.

მაგიდას უსხდნენ: იროდიონ ევლოშვილი, შიო მღვიმელი, შიო  
 არაგვისპირელი და ჭოლა ლომთათიძე.

თვითონ ზაქარია კი თავის გამომცემული წიგნების გადარჩევას და  
 დალაგებას განაგრძობდა თახჩებში.

ყველაზე მეტად იროდიონ ევლოშვილი აბრაზიანებდა მასპინძელს  
 თავის მოსწრებულ ოხუნჯობით:

— ჰაა, ზაქარია! როგორ იყო, ილიას სახელით ორნაირად რომ  
 გინდოდა ფულის მოგება? ისიც რა ადვილად მოიხიბლებოდა შენი  
 მოთაფლული ხობტა-შეჭებით!

წიგნების დალაგებაში გართულ ზაქარიასაც მწარედ ელიმებოდა  
 თავის მარცხზე.

იროდიონი კი მაინც არ იშლიდა მასპინძელზე ოხუნჯობას:

— ამ ვაჟბატონმა იცოდა, რომ ილია რასაც დასწერდა, ან ილიაზე  
 რასაც დასწერდნენ — ხალხი დაიტაცებდა. უფიქრია: შევავროვებ  
 სახელმძღვანელო კაცზე ბიოგრაფიულ ცნობებს, გამოვცემ პატარა  
 ბროშურას, დავაწერ ორ შაურს, წიგნი თავის ხარჯსაც გაანაღდებს და  
 მეც ცოტა გროშებს მომაგებინებსო. ახლა თვითონ ილიას, რომ მასზე  
 ქება-დიდებათ დაბეჭდილ ორ შერჩეულ ეგზემპლარს მივართმევ,  
 გაეხარდება და ორას მანეთს თუ არა, ას მანეთს მაინც უსათუოდ მომ-  
 ცემსო.

ილია კი შორიდანვე ატყობდა, ვის რა ელო გუნებაში. გამოსცა ამ  
 ჩვენმა ფილოსოფოსმა ორ შაურიანი ბროშურა. შეახვია ქალაქში  
 ორი შერჩეული ეგზემპლარი და მიუკაკუნა ილიას კაბინეტის კარებს  
 ყავარჯენის მაგივრად მარცხენა ხელის სალოკი თითი.

ილიამ გაალო კარები:

— ოჰ! ზაქარია, მობრძანდი!

ზაქარია შებრძანდა.

— დაბრძანდი! — მიუთითა ილიამ სკამზე.

ზაქარია დაბრძანდა მორცხვად, მოკრძალებით, ცოტა ხანდაზმული, ახალი პატარძალივით.

— რას გვიბრძანებს თქვენი აღმატებულება? — ჰკითხა ილიამ.

მოძღვრის მსგავსად მისული ზაქარია უცებ სამსახურის სათხოვნელად მისულ მორცხვ მანდილოსნად შეიცვალა:

— მე... მე... თქვენი ცხოვრების ბიოგრაფია გამოვეცი და მოგართვით, — მოწიწებით გაუწოდა ზაქარიამ ფაქიზად შეხვეული ორი ეგზემპლარი.

ილიამ თავისებური სიდინჯით ჩამოართვა ზაქარიას ორას მანეთიანი პაკეტი, თავისებური სიდინჯით გახსნა, გადაფურცლა, ერთიცა და მეორეც გულდასმით ჩაათვალიერა და შემდეგ ორივე წიგნის კანს დახედა, სადაც ეწერა: ფასი ორი შაური. ბოლოს ილიამ ხელი ჯიბეში ჩაიყო და ამოიღო საფულე. ამ ჩვენს ზაქარიას გული სიხარულით აუფანცქალდა ორასი მანეთის მოლოდინში.

ილიამ კი — ისევე ჩვეულებრივი სიდინჯით საფულეში მონახა ორშაურიანი, ეგრეთწოდებული, უზალთუნი, ერთი ეგზემპლარი თავისთვის ცალკე გადადო, მეორე ეგზემპლარს, სადაც ორი შაური ცალკე ეწერა, ორშაურიანი უზალთუნი დაადო და პატივცემულ გამომცემელს დაუბრუნა ამ სიტყვებით:

— ორი ერთი და იგივე წიგნი რა საჭიროა, ერთი წიგნი სხვა მუშტარს მიჰყიდეთ.

ყოველთვის დაღონებული ჭოლა ლომთათიძე ახითხითდა.

შიო მღვიმელი და შიო არაგვისპირელი ჩაბყირდნენ.

მხიარული იროდიონ ევდოშვილი კი კვლავ განავრძობდა ოხუნჯობას:

— ახლა, არ იკითხავთ, როგორ წელმოწყვეტილი მეზადურივით დაბრუნდა ილიას ბიოგრაფიის ავტორი, რომელმაც თევზი ბადეს ვერ მოახვედრა?!..

— ადექით, ადექით! — ველარ მოითმინა ზაქარიამ და ცოცხს წამოავლო ხელი. — მომშორდით, დაიკარგენით! აქაურობას მირევთ და კიდევ დამცინით? არ მეყოფა, ილიამ ამიგდო მასხარად? თქვე ასეთისებებო, თქვენა!..

— ხა-ხა-ხა-ხა-ხა!..

— ხა-ხა-ხა-ხა-ხა!..

— ხა-ხა-ხა-ხა-ხა!..

ზარგო გერსამია

## მოგონებები ქართულ მხარლებაზე

სერგო გერსამია ცნობილია, როგორც რევოლუციამდელი ქართული ეროვნული პრესის აქტიური მოღვაწე, ქართული თეატრის ისტორიის მკვლევარი, დიდი პატრიოტი და მოყრდნობილი პიროვნება.

იგი დაიბადა 1892 წლის 23 ივნისს ქუთაისში, გიმნაზიაში სწავლის პერიოდში მონაწილეობდა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი არალეგალური ორგანიზაციების საქმიანობაში. 1911 წელს დაიწყო თანამშრომლობა ქუთაისის გაზეთ „იმერეთში“, რომელსაც შემდგომ თვითონვე რედაქტორობდა. 1912 წელს ს. გერსამიამ გამოსცა იუმორისტული აღმანახი „მაშხალა“ (იგივე „ჯოჯობეთის მაშხალა“, „ეშმაკის მაშხალა“).

1914 წელს გამოუშვა გაზეთი „ჩენი ერი“. გაზეთი ერთი წლის შემდეგ აიკრძალა და ს. გერსამია დააპატიმრეს. სასჯელის მოხდის შემდეგ იგი საცხოვრებლად გადავიდა ბათუმში, სადაც გააგრძელა არალეგალური მუშაობა და თანამშრომლობა ქუთაისისა და თბილისის გაზეთებში.

1921—1938 წლებში ს. გერსამია მუშაობდა ბათუმის, გორისა და ბორჯომის კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 1938 წლიდან იგი ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისში. თანამშრომლობდა თეატრის მუზეუმში, თეატრალურ ინსტიტუტსა და თეატრალურ საზოგადოებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ს. გერსამიას შრომები ქართული თეატრის ისტორიის საკითხებზე. იგი ავტორია გამოკვლევებისა: „ქუთაისის თეატრი“, „ბათუმის თეატრი“, „აკაკი წერეთელი და ქართული თეატრი“, „გიორგი ერისთავის თეატრი“ და სხვა.

ს. გერსამია გარდაიცვალა 1969 წელს.

თავისი ზანგარდითი მოღვაწეობის პერიოდში ს. გერსამიას კონტაქტი ჰქონდა ქართული ლიტერატურის, პუბლიცისტიკისა და თეატრალური ხელოვნების ბევრ გამოჩენილ წარმომადგენელთან. მშობლიური კულტურის წინააღმდეგულმა ამაგდარმა შთაბრძნავლობას დაუტოვა საინტერესო მოგონებები კიტა აბაშიძეზე, იროდიონ ევლოშვილზე, ია ევალაძეზე, ვალაქტონ ტაბიძეზე, იოსებ გრიშაშვილსა და სხვა ქართველ მწერლებზე. მოგონებებში ს. გერსამია გადმოგვცემს ამ პირებთან ურთიერთობის პერიოდში მიღებულ შთაბეჭდილებებს, მოგვითხრობს საინტერესო ეპიზოდებს მათი ბიოგრაფიიდან, აღნიშნავს მათ პიროვნულ ღირსებებსა და ზოგიერთ ჩვეულებრივ, აღამიანურ სისუსტესაც.

ვაქვეყნებთ ლიტერატურის მუზეუმში დატულ ს. გერსამიას მოგონებების ერთ ნაწილს, რომელიც დაეხმარება აქ მოხსენიებულ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარებს, ს. გერსამია, თუკი სადმე ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ, ან სრულიად უცნობ პიროვნებას ახსენებს, იქვე გვაწვდის ზუსტ ცნობებს მისი ვინაობისა და საქმიანობის შესახებ, დაინტერესებულ პირებს ვთავაზობთ მოგონებებში აღნიშნული პერიოდიცის ბიბლიოგრაფიულ მონაცემებსა და ქართულ მოღვაწეთა ფსევდონიმებს.

- „აზრი“ — ყოველდღიური გაზეთი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო, გამოდიოდა ქუთაისში 1914 წელს. სულ გამოვიდა 94 ნომერი — 3/II—11/II. დიხურა მთავრობის განკარგულებით და განახლდა ახალი სახელწოდებებით — ჟერ „ახალი აზრი“, შემდეგ კი — ჩვენი აზრი“. რედაქტორ-გამომცემელი ალ. ცერცვაძე (ამავე სახელწოდების გაზეთი გამოდიოდა თბილისშიც, 1908 წელს).
- „ანგესი“ — სატირული აღმანახი, გამოსცა სერგო გერსამიამ 1912 წელს ქუთაისში. გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი.
- „დროება“ — პირველ ხანებში ყოველკვირეული, ხოლო 1877 წლიდან ყოველდღიური ორგანო. გამოდიოდა თბილისში, 1866—1885 წლებში. გაზეთის სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ გ. წერეთელი, ს. მესხი, ილია ქაქავაძე და ივ. მაჩაბელი. ამავე სახელწოდების გაზეთი გამოდიოდა 1908—1910 წლებშიც.
- „ერი“ — ნაციონალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა ქუთაისში, 1913—1914 წლებში, რედაქტორ-გამომცემელი გ. ბრეგვაძე. ამავე სახელწოდების გაზეთი გამოდიოდა თბილისშიც, 1909—1910 წლებში.
- „ერობა“ — ერობათა კავშირის ორკვირეული ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1920—21 წლებში. რედაქტორები — გრ. ლორთქიფანიძე და პ. საყვარელიძე.
- „ეშმაკის მათრახი“ — იუმორისტული ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1907—1908, 1915—1921 წლებში. რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე. ცენზურის დეენის გამო ჟურნალი გამოდიოდა სხვადასხვა სახელწოდებით — „მათრახი“, „ჯოჯობეთი“ და სხვ.
- „თეატრი და ცხოვრება“ — „სათეატრო-სალიტერატურო ჟურნალი“. გამოდიოდა თბილისში, 1910, 1914—1920, 1923—1926 წლებში. რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.
- „თემი“ — ყოველკვირეული ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდიოდა 1911—1915 წლებში თბილისში. სხვადასხვა დროს გაზეთის რედაქტორობდნენ გრიგოლ დიასამიძე და სოფრომ მგალობლიშვილი.
- „ივერია“ — 1877 წელს ილიას მიერ დაარსებული ყოველკვირეული გაზეთი. 1882 წელს, როცა იქ გ. ზდანოვიჩის სტატია გამოქვეყნდა (№ 7), უკვე ყოველთვიური ჟურნალი იყო და არა გაზეთი, როგორც ამას ს. გერსამია აღნიშნავს.
- „იმერეთი“ — ნაციონალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა ქუთაისში, 1912—1915 წლებში. რედაქტორები — გრ. ქელიძე, ბ. ჭაიანი.
- „მაშხალა“ — იუმორისტული ჟურნალი, 1912 წელს გამოსცა ს. გერსამიამ ქუთაისში. შემდეგ ეწოდებოდა „ჯოჯობეთის მაშხალა“, „ეშმაკის მაშხალა“.
- „მოამბე“ — ყოველთვიური ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1894—1905 წლებში. რედაქტორი ალ. ქყონია.
- „მწვერვალი“ — ყოველკვირეული სალიტერატურო გაზეთი. გამოდიოდა ბათუმში 1923 წელს დ. კასრაძის რედაქტორობით.
- „ნაკადული“ — ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1904—1927 წლებში,





- ორ ვარიანტად — მცირეწლოვანთათვის და მოზრდილთათვის. რედაქტორები — მ. დემურია და ნ. ნაკაშიძე.
- „ნემსი“ — ყოველკვირეული იუმორისტული ალმანახი, 1911 წელს გამოცა ქუთაისში ს. გერსამიამ.
- „ოქროს ვერძი“ — ყოველკვირეული ლიტერატურული ჟურნალი. გამოდიოდა ქუთაისში 1913 წელს, რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჭიანია.
- „საშობლო“ — ყოველდღიური ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი. გამოდიოდა ქუთაისში 1915—1917 წლებში, ია ეკალაძის რედაქტორობით.
- „სახალხო გაზეთი“ — სოციალ-ფედერალისტების პარტიის ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1909—1914 წლებში. გაზეთს რედაქტორობდნენ ნ. კურდღელაშვილი, ა. ქუმბაძე.
- „სახალხო ფურცელი“ — 1914—1917 წლები. „სახალხო გაზეთის“ გაგრძელება. რედაქტორი დ. ჭორჭაძე.
- „ქართლი“ — 1912—1913 წლები. ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა გორში ია ეკალაძის რედაქტორობით.
- „ჩვენი ვარი“ — ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა ქუთაისში 1914 წელს ს. გერსამიას რედაქტორობით.
- „ჩვენი მეგობარი“ — ყოველდღიური გაზეთი. სოციალ-ფედერალისტების ორგანო. გამოდიოდა ქუთაისში. რედაქტორ-გამომცემელი ი. მახვილაძე.
- „ცნობის ფურცელი“ — ყოველდღიური გაზეთი. 1892, 1896—1906 წლები, თბილისი. რედაქტორი ვ. გუნია. ბოლო წლებში სოციალ-ფედერალისტების ორგანო.
- „ხელოვნება“ — 1925—26 წლებში ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირების ორგანო. გამოდიოდა აგრეთვე 1932—35 წლებში. შემდგომში ეწოდა „საბჭოთა ხელოვნება“.

**რუსული პერიოდიკა:**

- «Народности России» — ჟურნალი. გამოდიოდა კიევი 1914 წლის დსა-წყისში. რედაქტორი გ. ლენინიკი.
- «Новое обозрение» — ლიბერალური მიმართულების ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1884—1906 წლებში. რედაქტორ-გამომცემლები ა. ვ. სტეპანოვი, ზ. რ. თუმანოვი და სხვ.
- «Сибирская жизнь» — ლიბერალური მიმართულების ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა ქ. ტომსკში 1884—1918 წლებში. რედაქტორ-გამომცემელი პ. ი. მაკუშინი.

**ფხველიანობები**

არისტიდე	კირილე ლორთქიფანიძე
ასკანელი მუშა, ასკანელი კიი ბი-ჭი, პროკოფია ასკანელი	პროკოფი გუჯაბიძე
ბზვანელი	ვლადიმერ ნაცვლიშვილი
ბლიკვაძე	ალექსანდრე მგელაძე
გალაშვი	გალაქტიონ ტაბიძე
გელა	ბარნაბ გელაზანი
გუსო	გუსო ფარქოსაძე

ეკალაძე ია, თომანთ კობა, მარ-  
ჯანიძე  
ერთი პილატეთაგანი, იმერელი  
ამომრჩეველი  
მმ-ამ, კიტა, კა  
ვაზიანი, ჩერკეზოვი  
თაგუნა  
თომა პუსა  
ისო  
მაიაშვილი  
მღვიმელი შიო  
ნარკანი  
პონტელი  
როკითელი  
რუს-იმერელი  
სვანი  
სიტყვა  
ფხა  
ხონელი  
ჯაფარ ფაშა

იაკობ ცინცაძე

კიტა აბაშიძე  
ვარლამ ჩერქეზიშვილი  
შალვა შარაშიძე  
დავით მესხი  
ისიდორე კვიციანიძე  
გიორგი ზდანოვიჩი  
შიო ქუჩუკაშვილი  
ნიკო კურდღელაშვილი  
ილია ჩიჭოვანი  
გიორგი ახვლედიანი  
ვიქტორ იურკევიჩი  
აკაკი მარგიანი  
სამსონ ფირცხალავა  
იაკობ ფანცხავა  
ალია ბახტაძე  
ნიკო ჯაფარიძე

ვიზო კორძაძე

## წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ჯერ კიდევ 18—19 წლის ქაბუკი ვიყავი, როცა ჩემი ნაწლები კორესპონდენცია გამოქვეყნდა თბილისის საორშაბათო გაზეთ „თემში“. ამის შემდეგ თანდათანობით დავუახლოვდი ქართულ პერიოდულ გამოცემებს. ზოგან ვთანამშრომლობდი, ზოგის რედაქციაში ვმუშაობდი. შემდეგში მე თვითონ გავხდი რედაქტორ-გამომცემელი. კორესპონდენციების წერიდან კურნალისტობასა და პუბლიცისტიკაზე გადავედი, ამას გარდა, სხვა საკითხებზეც ვწერდი. მერმე ჩემი ნაწერებიც კი გამოჩნდა წიგნის მალაზიათა თაროებზე. ყოველივე ამან მომცა საშუალება ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს გავცნობოდი. შემდეგში მათ თანდათანობით დავუახლოვდი. მათი გაცნობა-დაახლოება დაიწყო ქუთაისიდან, სადაც დავიბადე, დავვაეკაცდი და დიდხანს ვცხოვრობდი. ქუთაისის შემდეგ ვცხოვრობდი: ბათუმში, ბორჯომსა და გორში. 1938 წლიდან კი მუდმივი ბინა თბილისში დავიდე. აღნიშნულ ქალაქებშიც ხშირად ვხვდებოდი მათ, თბილისში ხომ ვხვდებოდი და ვხვდებოდი. ამ პერიოდში ბევრი მათგანი გავიცანი, ხოლო ძველ ნაცნობებს კი უფრო დავუახლოვდი. ჩვენი მწერლებიდან ზოგი ახლო მეგობარი იყო ჩემი, ზოგიც ახლო ამხანაგი, ან ნაცნობი. ამათგან ბევრთან საქმიანი დამოკიდებულება მქონდა, ბევრთან კიდევ ე. წ. „პურ-მარილი“ მაკავშირებდა. ასეთ ვითარებაში მათ შესახებ მრავალი ცნობა დამიგროვდა. ამ ამბებიდან ბევრი რამ მე თვით მიხილავს და მომისმენია, ზოგი რამ სხვების-

განაც გამიგონია. ამას ყველაფერს თავის დროზე უნდოდა ფიქსირებდა მაგრამ მრავალ მიზეზთა გამო ეს სისტემატურად არ მიწარმოებია და მხოლოდ მცირე რამის ჩაწერით ვკმაყოფილდებოდი. სიმართლის თქმა სჯობია ყოველთვის. რაიმე მოგონებების დაწერაზე წინათ არც მიფიქრია... და რისიმე ჩაწერაზე დიდად არ შემიწუხებია თავი... მაგრამ ნათქვამია, სულ გაუქვთებლობას გვიან გაკეთება სჯობიაო. მეც ასე დამემართა: მოგონებათა წერას ხელი მოვკიდე, როცა 70 წლის ასაკს მივებჯინე. ძველი ჩანაწერები, თუ რამე გამაჩნდა, გამოვძებნე. მერმე მეხსიერების სალარო გავხსენი და ცნობების ამოკრება იქიდან დავიწყე. აგრეთვე დავიწყე ამ ცნობების შემოწმება იმ პირთა დაკითხვით, რომლებიც იცნობდნენ ჩემი მოგონებების პერსონაჟებს.

ყველა ამ მასალას ნაწილობრივ ვამუშავებდი და შავად ვწერდი... საერთოდ, დიდძალი მასალა დამიგროვდა. ახლა საჭირო იყო ჩაჯდომა და გულმოდგინე მუშაობა, მაგრამ ამისათვის არც დრო მქონდა და არც სხვა საშუალება... ვინ იცის, ამ საქმის გაკეთება სანამდე გავრძელდებოდა, რომ საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექცია არ გარეუღიყო საქმეში. მან დამავალა ქართველ მწერალთა შესახებ მოგონებების დაწერა... და მეც დავთანხმდი.

ძველს მწერლებს, ვინც 1910 წლის შემდეგ ცოცხალი იყო, ყველას ვიცნობდი. მწერლებსაც, რომელნიც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ დაწყებული მიმდინარე საუკუნის 10-იან წლებიდან ვიდრე 1925-იან წლებამდე, გარდა 9—10 კაცისა, აგრეთვე ყველას ვიცნობდი... მაგრამ მე მოგონებების დაწერა გადავწყვიტე იმ პირებზე, რომლებთანაც მეგობრულ დამოკიდებულებაში ვიყავი, ან რომლებთანაც ამხანაგური კავშირი მქონდა გაბმული, ან კიდევ ახლო ვიცნობდი. ასეთი პირი საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა. მათ შესახებ დაწვერე ის, რაც ჩემი თვლით მინახავს, ჩემი ყურით მომისმენია და სხვებისგან გადმოცემით გამიგონია. ამიტომაც ამ მოგონებებს ქვესათაურში ვუწოდე „ნახული და გაგონილი“. წერის პროცესში ერთი დაბრკოლება გამამელობა წინ — თარიღები. ცნობილი ამბავია, თარიღები რა სახათაბალო საქმეა და მეც გამიჭირდა. სადაც შესაძლებლობა მქონდა, დავაზუსტე, რისთვისაც გამოვიყენე სხვადასხვა სახის საცნობარო მასალა, რისი შოვნაც კი შევძელი; სადაც თარიღის დაზუსტება ვერ მოვახერხე, იქ დაახლოებითი, სავარაუდო თარიღი მოვიხსენიე... მაშასადამე, ფაქტები სინამდვილით მაქვს გადმოცემული, ხოლო თარიღები ზოგან დაზუსტებული არ არის და ნავარაუდევია, რასაც ბოდიშით აღვნიშნავ... და ეს დანაშაული უნდა მეპატიოს. დაინტერესებული პირი, თუ რამეში დასჭირდება და ფაქტებით ისარგებლებს, თუ თარიღი სადმე დაზუსტებული არ არის, სამწუხაროდ, უნდა გაისარჯოს და დააზუსტოს.

აქვე მინდა აღვნიშნო, ზოგიერთი მწერლის შესახებ ჩემი მოგონე-

ბები, მაგ. აკაკი წერეთელზე, დავით კლდიაშვილზე და სხვ., დიდი ხანს დაწვერე და ამ კრებულში არ შედის.  
ახლა კი შევეუდგები საქმეს.

## ბიორგბი ფელიქსის ქმ ზდანოვიჩი

(1855—1917)

შესანიშნავი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე გიორგი ზდანოვიჩი მწერლობაში ცნობილია გ. მაიაშვილის ფსევდონიმით. ის წარმოშობით გაქართველებული პოლონელი იყო. გიორგის პაპას მონაწილეობა მიუღია 1830 წელს პოლონეთის აჯანყებაში, ამის გამოც რუსეთის მეფის მთავრობას გადმოუსახლებია საქართველოში და ქუთაისში დაბინავებულა. მისი შვილი ფელიქსიც აქვე გაიზარდა. ზდანოვიჩის ოჯახი მჭიდროდ დაუკავშირდა ქართველობას, მისი შვილიც ქართველ ბავშვებში იზრდებოდა, კარგად შეისწავლა ქართული ენა, შეითვისა ქართული ზნე-ჩვეულება. შემდეგ, როცა დაეუკაცდა, შეირთო ცოლად კულაშელი მიქელაძის ქალი მაია და ეყოლა შვილი გიორგი, შემდეგში ცნობილი მოღვაწე და მწერალი, რომელმაც დედის სახელი მაია დაირქვა ფსევდონიმად. გ. ზდანოვიჩი დაიბადა ქუთაისში 1855 წელს. ის ბავშვობიდანვე იზრდებოდა ქუთაისსა და კულაშში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. შემდეგ სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, სტუდენტობის დროს ჩაება არალეგალურ ნაროდნიკულ ორგანიზაციების მუშაობაში. დაახლოებით 1874 წელს ზოგიერთი ქართველი და სხვა სტუდენტების ინიციატივითა და მონაწილეობით დაარსდა არალეგალური პოლიტიკური წრე, რომელსაც სახელად უწოდეს — „სრულიად რუსეთის სოციალური რევოლუციური ორგანიზაცია“ და გ. ზდანოვიჩი ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და აქტიური წევრი იყო. ამ არალეგალურმა ორგანიზაციამ მუშაობის გაშლა ვერ მოასწრო. მთავრობის აგენტებმა მისი არსებობა და მიზნები გაიგეს. მაშინვე მიიღეს გადამჭრელი ზომები. გამოარკვეეს ორგანიზაციის წევრთა ვინაობა და 1875 წელს ყველანი დააპატიმრეს. ისინი ჩასვეს პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრეში. გამოძიების დამთავრების შემდეგ ყველანი, რიცხვით 50 კაცი, პასუხისგებაში მისცეს და მათი გასამართლება რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში ცნობილია „50-თა პროცესის“ სახელწოდებით (процесс 50-ти). გ. ზდანოვიჩს სასამართლოს პროცესზე თავი გაბედულად ეჭირა და როგორც პასუხისგებაში მიცემულთ, ისე თავის თავსაც მედგრად იცავდა. სასამართლომ ბრალდებულნი დამნაშავედ სცნო და თითოეულ მათგანს სხვადასხვა სახის სასჯელი გადაუწყვიტა, ხოლო გ. ზდანოვიჩს კი მიუსა-



ჯა კატორღა 6 წლითა და 8 თვით, აგრეთვე, აპყარა სამოქალაქო ჭეშქარი ლეხები; სასჯელის მოხდის შემდეგ კი აეკრძალა სამშობლოში დაბრუნება, ციმბირში უნდა დასახლებულიყო. მან კატორღაში სასჯელი როცა მოიხადა, საცხოვრებლად მიუჩინეს ქ. ტომსკი. იგი აქაც არ იჯდა გულხელდაკრეფილი, კვლავ განაგრძობდა არალეგალურ პოლიტიკურ მუშაობას. ამავე დროს ხელმძღვანელობას უწყევდა იქაურ გაზეთს — „სიბირსკაია ჟიზნს“ და ამ გაზეთის მთავარი თანამშრომელი იყო.

ქ. აბაშიძისა და სხვებისგან გამიგონია ასეთი ამბავი: გიორგის დედას მაიას მოუძებნია გავლენიანი პირები და განუზრახავს მეფის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა მისი შვილისთვის სასჯელის პატიების შესახებ. გავლენიან პირებს აღუთქვამთ, პირველ შემთხვევისთანავე, როგორც კი მოგვეცემა იმპერატორის ნახვის საშუალება, გიშუამდგომლებთო. მაიას ეს ამბავი გიორგისათვის უცნობებია, მას კი დედისთვის შემოუთვლია: ჩემთვის სასჯელის პატიების შესახებ თუ იმპერატორთან შუამდგომლობა აღძარი და ამის შედეგად გამათავისუფლეს, მაშინ მე სამშობლოში აღარ დავბრუნდები და როგორც შვილს სამუდამოდ დამკარგავო... ბოლოს, როგორც იქნა, გაათავისუფლეს, მისცეს სამშობლოში ცხოვრების უფლება და ქუთაისში დაბინავდა.

გ. ზდანოვიჩმა „გ. მაიაშვილის“ ფსევდონიმით 1882 წ. „ივერიაში“ გამოაქვეყნა ვრცელი სტატიები, სადაც ეხებოდა პოლიტიკურ-სოციალურ საკითხებს. ამ სტატიებმა მაშინვე მიიპყრო ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა და პრესის ყურადღება, რასაც მოჰყვა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და კამათი. ამის შემდეგ გაზ. „ივერიაში“ თანამშრომლობას კვლავ განაგრძობდა. ხოლო როცა ყურნალი „მოამბე“ დაარსდა, გ. ზდანოვიჩი იქ მიიწვიეს მუდმივ თანამშრომლად; აგრეთვე აქვეყნებდა სტატიებს რუსულ ენაზე გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ და სხვ... ბევრჯერ გავვიგონია, რომ პირველი სტატიები, რომელიც „ივერიაში“ გამოგზავნა გამოსაქვეყნებლად, რუსულ ენაზე იყო დაწერილი და რედაქციაში თარგმნეს ქართულად...

გ. ზდანოვიჩი 1896 წ. აირჩიეს ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარედ და ამის შემდეგ გარდაცვალებამდე მას ეს თანამდებობა ეკავა. მრეწველთა საბჭოს სამმართველო ქუთაისში იყო მოთავსებული და სწორედ ამის გამო გ. ზდანოვიჩი მუდმივად აქ ცხოვრობდა. მან ახლანდელ წულუკიძის ქუჩაზე შეიძინა პატარა სახლი თავის ეზოთი და იქ ბინადრობდა. რატომღაც ცოლი არ შეირთო და ბოლომდე მარტოხელა კაცად დარჩა.

გ. ზდანოვიჩი ქუთაისისა და მისი გუბერნიის მოღვაწეთა შორის, რაც მე მახსოვს, ყოველთვის ცენტრალურ ფიგურად ითვლებოდა. შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სამმართველო მან გადააქცია ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა საკრებულოდ. სამმართველოში თანამშრომლებად მიწვეულნი იყვნენ მოწინავე ინტელიგენტები. აქვე



ხდებოდა შეკრება სხვადასხვა საკითხების განსახილველად სათათბიროდ მოწვეულ პირთა. აქვე ეწყობოდა სხვადასხვა კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციების გამგეობათა სხდომები და სხვ.

არც ერთი საზოგადო საქმე ოფიციალურად არ აღიძრებოდა ისე, რომ გ. ზდანოვიჩს არ შეეითხებოდნენ, მისი რჩევა არ მოესმინათ და აღძრული საკითხის პრაქტიკულად მოგვარებაში მონაწილეობა არ მიეღო.

მიუხედავად იმისა, რომ გ. ზდანოვიჩი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრად და ამ პარტიის ლიდერად ითვლებოდა, სხვა პარტიების წევრთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და დიდად ენდობოდნენ. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის მიმდინარეობის პერიოდში, როცა შედგა ინტერპარტიული კომიტეტი, იგი ამ კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. ეს მოხდა იმ დროს, როცა რევოლუციურ მოძრაობას სათავეში ედგა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ხოლო გ. ზდანოვიჩი კი ეკუთვნოდა ახლად დაარსებულ, არამარქსისტულ მსოფლმხედველობის საფუძველზე მდგომ პარტიას, რომელიც იმ დროს ანგარიშგასაწევ ძალას არ წარმოადგენდა. გ. ზდანოვიჩის ამ ფრიად პასუხსავე პოსტზე არჩევა, რასაკვირველია, აიხსნება მისდამი დიდი ნდობით და უაღრესი პატივისცემით.

გ. ზდანოვიჩი 1905 წ. რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას ლეზულობდა. უფრო მუშაობდა საორგანიზაციო საქმეების მოგვარებაზე. 1906 წ. ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გარედან გაიყვანეს გვირაბი და ციხიდან ბევრი პოლიტიკური პატიმარი გაიპარა. ამ საქმეს მეთაურობდა გ. ზდანოვიჩი, როგორც ინტერპარტიული კომიტეტის თავმჯდომარე და სამუშაოებიც მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა...

გ. ზდანოვიჩი მე პირველად ვნახე 1908 წლის შემოდგომაზე. ერთხელ მე და რამდენიმე ამხანაგი მივდივართ თეთრ ხიდზე. ხიდს გავცილდით თუ არა, ერთმა ამხანაგმა წამოიძახა, ზდანოვიჩი მოდისო. ყველანი მივაჩერდით მომავალ კაცს. მისმა გარეგნობამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. შუახნის კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მაღალი, სრული ტანის, წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო, წელში გამართული, დინჯად მოაბიჯებდა. თავი დაფარული ჰქონდა მაღლა დაყენებული თმით, ნიკაპი შემოსილი ჰქონდა იმდროინდელი მოდის მიხედვით კონტად შეპარსული წვერით, რასაც მაღლიდან ამაყად დაჰყურებდა მოგრძო, კონტად დაგრეხილი და ოდნავად ქვევით დაწეული ულვაშები. თმა და წვერ-ულვაში, აგრეთვე წარბებიც, ძალი ფერისა იყო. ახალგაზრდობის პერიოდში, როცა იგი არალეგალურად მუშაობდა, შერქმეული ჰქონდა ზედმეტი სახელი „გიორგი რიფი“ (კლიჩკა),

ალბად ასეთი სახელი შეარქვეს იმისთვის, რომ ქალი თმა ჰქონდა მას შიგადაშიგ თმაში შეპაროდა თეთრი ლერები, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მისი სახის გამომეტყველებას ახალგაზრდული შეხედულების იერს ვერ ართმევდა. თვალბზე ჩამოფარებული ჰქონდა ოქროს ჩარჩოებიანი სათვალეები და ის ჩამოშვებული ოქროსივე ძეწკვით მიმაგრებული იყო პიჯაკის მარჯვენა ბორტზე. გაბადრული და მიმზიდველი სახე ჰქონდა, თუმცა მის გამომეტყველებას თითქოს მედიდურება არ აკლდა... საერთოდ, ძლიერ დინჯი და აუჩქარებელი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. იმდენად წარმოსადეგი იყო, რომ ქუჩაში გამვლელის ყურადღებას უნებლიედ იპყრობდა. პირველი დანახვისთანავე ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებდა და მნახველს პატივისცემისა და მორიდების გრძნობებს უნერგავდა.

გ. ზდანოვიჩი პირადად გავიცანი 1912 წ. როცა ვახ. „იმერეთის“ რედაქციაში დავიწყე მუშაობა. ამის შემდეგ, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებოდი, ხან შავი ქვის მრეწველთა საბჭოში, როცა მომიხდებოდა რედაქციის საქმეების გამო მონახულება, ან კიდევ სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის კრებებზე. ძლიერ თავაზიანი კაცი იყო. ასეთ ხანში შესულ, დიდი წარსულის მქონე, სახელოვან კაცს თუ იცნობდით და გზაზე შეგხვდებოდათ, სალამის მოცემას და ქულის მოხდას ვერ მოასწრებდით. მისი ასეთი მოქცევით ჩვენ, ახალგაზრდები მუდამ უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდით. მისი თავდაქერა და ზრდილობიანი მოპყრობა მოწინავე ახალგაზრდობას ხიბლავდა და ყოფა-ცხოვრების საკითხებში ტონს აძლევდა. ლაპარაკი იცოდა დინჯი და დაბალი ტონით. ყოველ სიტყვას გარკვევით გამოსთქვამდა და ნათქვამს სიტყვის შეუბრუნებლად იჭერებდით. ძალიან კარგად ლაპარაკობდა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე. ორივე ენაზე უაქცენტოდ მეტყველებდა, ძლიერ კარგი ორატორი იყო. ლაპარაკობდა ზომიერი ხმით, აუჩქარებლად, ზომიერი ექსტემით და რკინისებური ლოგიკით... მაგრამ კამათის დროს თუ მოწინააღმდეგე შეუჩუჩხებდა, მაშინ კი აენტებოდა, ხმას აუწევდა და, როგორც იტყვიან, პირდაპირ „ცეცხლს აფრქვევდა პირიდან“. ყოველი მისი გამოთქმული ფრაზა მოწინააღმდეგეს ლახვარით ხვდებოდა. ასეთ მომენტში ის, როგორც ორატორი, გიზიდავდა და მზად იყავით საათობით გესმინათ. გ. ზდანოვიჩის მეგობრებმა მისი ასეთი თვისება იცოდნენ და რომელიმე კრებაზე, რაიმე საკითხთან დაკავშირებით თუ საჭირო იყო რიხიანი საჯარო გამოსვლა, რაიმე ოინს მოუწყობდნენ, გააღიზიანებდნენ, იგიც აპილზიდებოდა და რისხვიან ლაპარაკს დაიწყებდა. საქმის ამტეხნი კი გვერდზე მიდგებოდნენ და თვალყურს ადევნებდნენ, როგორ აბურთავებდა მოწინააღმდეგეს... მაგრამ ზემოთ ნათქვამი უნდა გავიხსენო — გ. ზდანოვიჩი 1905 წ. რევოლუციის პერიოდში მიტინგებზე სალაპარაკ-

კოდ არ გამოდიოდა, ალბათ, ის თავის თავს სამიტინგო ორატორად აღ  
თვლიდა და ამიტომაც არ გამოდიოდა.

მაგრამ ეს სხვათა შორის... განვავარძოთ ჩვენი.

გ. ზდანოვიჩი ძლიერ გაბედული მოღვაწე იყო. თუ საქმე მო-  
ითხოვდა, შიში, მორიდება, კომპრომისები და უკან დახევა არ იცოდა.  
ამის დასადასტურებლად ორ ამბავს მოვიყვან. ერთი მათგანი მე გად-  
მოცემით ვიცი და რაც მიაბმეს, სიტყვა-სიტყვით მოვეყვები; ისე, რო-  
გორც მეხსიერებაში ჩამჩა. მეორეს მოწმე კი მე თვითვე ვიყავი.

1905 წლის რევოლუციურმა მოძრაობამ მეფის მთავრობა დააფრ-  
თხო და დათმობაზე წასვლა აფიქრებია. ასეთსავე გზას დაადგა მეფის-  
ნაცვალი — გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი. მან კავკასიაში ერობის შემო-  
ღებაზე დაიწყო ლაპარაკი და მისი სამმართველოს ინიციატივით ყველა  
ქალაქში გაიმართა საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სხვა დაწესე-  
ბულებათა წარმომადგენლების თათბირი ერობის შემოღების შესახებ.  
თათბირებზე მუშავდებოდა საკითხი — როგორი ტიპის ერობის შემო-  
ღებაა მიზანშეწონილი და სასურველი. ასეთი თათბირი ქუთაისშიც  
მოაწყეს. ის გაიმართა ქუთაისის თეატრში. დარბაზი სავსე იყო თათ-  
ბირის მონაწილეებით. ზოლო აივანი კი ისე იყო გაჭედილი ხალხით,  
რომ იტყვიან, ნემსიც არ ჩავარდებოდა. თათბირს ესწრებოდნენ: კავ-  
კასიის მეფისნაცვლის წარმომადგენელი, ქუთაისის გუბერნატორი,  
ვიცე-გუბერნატორი და სხვა მაღალი თანამდებობის პირები. ორატორე-  
ბი ერთმანეთს სცვლიან. გამოვიდა სალაპარაკოდ გ. ზდანოვიჩიც. დარ-  
ბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ის შავ სერთუკში გამოწყო-  
ბილი, კათედრაზე დგას და ერობის შემოღებას თავგამოდებით იცავს.  
იმ მიზნით, რომ ხალხის ფართო მასებმა მიიღონ მონაწილეობა მართვა-  
გამგეობაში, მოითხოვს — შემოღებულ იქნას წვრილი საერობო ერთე-  
ულები — სათემო ერობა. ჩანს, აივანზე შავრაზმელი ხულიგნებიც  
ყოფილან მოკალათებულნი. მათ ზდანოვიჩის გამოსვლა არ მოეწონათ,  
ატეხეს ხმაური და ცდილობდნენ ორატორს სიტყვა შეეწყვიტა, მაგრამ  
მიზანს ვერ მიაღწიეს. მაშინ ერთმა მათგანმა კათედრაზე მდგომ გ. ზდა-  
ნოვიჩს რევოლუციური ესროლა... ძნელია იმის თქმა, ხულიგანმა ეს საპ-  
როვოკაციოდ ჩაიდინა თუ გ. ზდანოვიჩი მართლაც უნდოდა მოეკლა...  
მაგრამ, საბედნიეროდ, გიორგის ტყვია ასცდა და სერთუკის კალთის  
ქვევით დაშვებული ნაწილი გახვრიტა. ხალხი აირ-დაირია... ზოგი  
შეშინდა და გაქცევა დააპირა. განსაკუთრებით შფოთავდნენ აივანზე  
მყოფნი. მათ ხულიგანი სწრაფად გამოძებნეს და ცემა-ტყეპით კიბეებ-  
ზე დააგორეს, კარში გააგდეს. მას თავის ნებით რამდენიმე მისი ამხანაგიც  
მიჰყვა... მთელი ამ არევ-დარევის დროს, მართალია, თეატრს პოლიცია  
დარაჯობდა, მაგრამ ის მღუმარებდა და წესრიგის დაცვისთვის კრინტს  
არ სძრავდა. საფიქრებელია, მან წინასწარ იცოდა, რაც მოხდებოდა,  
ამიტომ თავს არ იწუხებდა. ასეთ ვითარებაში გ. ზდანოვიჩი ტრიბუნაზე



წარბშეუხრელად, დამშვიდებული იდგა. და როცა ჩოჩქოლი ცოტათი  
მინელდა, ხმამაღლა წარმოსთქვა:

— მე აქ ვილაც ხულიგანმა რევოლუციური მესროლა, ტყვიამ სერ-  
თუკში გაიარა, ალბათ ეგონა, რომ ეს შემაშინებდა და სიტყვას შევ-  
წყვეტი. ის უბადრუკი შესცდა, მე ტყვია მკერდშიც რომ მომხვედ-  
როდა, თუ ლაპარაკის უნარი მექნებოდა, სანამ ჩემს სათქმელს არ  
დავამთავრებდი, ამ ტრიბუნიდან არ ჩამოვიდოდი. რევოლუციის მსრო-  
ლელი შვარაზმელი ხულიგანია, ბნელეთის მოციქული. ის მარტო ერთი  
არ იქნება, მისი ამხანაგები, ალბათ, ახლაც იმყოფებიან აივანზე მიმა-  
ლულნი. ისინი არიან რუსეთის ხალხის მტრები, ისინი ხელს უწყობენ  
ქვეყნის დანგრევას, გაუბედურებას და ჰგონიათ, რომ ასეთი გამოსვლე-  
ზით დიდ სახელმწიფო საქმეს აკეთებენ. უბადრუკებო, თქვენ ცდებით,  
თქვენ ქვეყანას დაღუპვისაკენ მიაქანებთ. მე გირჩევთ, ასეთ ხულიგ-  
ნურ გამოსვლებს თავი დაანებოთ, ამით თქვენ ვერავის შეაშინებთ, ვერ  
შემაშინებთ მეც, ამიტომ წამოჭრილ საკითხზე ლაპარაკს კვლავ გან-  
ვაგრძობ...

ორატორის მტკიცედ და გაბედულად წარმოთქმულმა სიტყვებმა  
ხალხზე იმოქმედა, ჩამოვარდა სრული სიმშვიდე... მაგრამ ეს ერთი  
წუთით, მერმე რომელიღაც კუთხიდან გაისმა ტაშის ხმა, თითქოს ყვე-  
ლანი ასეთ სიგნალს ელოდნენო, ატყდა ტაშის გრიალი, როგორც დარ-  
ბაზში, ისე აივანზე, რაც შემდეგ ოვაციებში გადავიდა... ბოლოს ყვე-  
ლანი დამშვიდდნენ, ყველამ თავისი ადგილი დაიკავა... ჩამოვარდა  
სამარისებური სიჩუმე და ექსტაზში მოსულმა ორატორმა დიდი აღტკი-  
ნებით განაგრძო ლაპარაკი...

თათბირის დამსწრენი ამ ინცინდენტს შემდეგში ხშირად იგონებ-  
დნენ, გ. ზდანოვიჩის გამბედაობას ქებით იხსენიებდნენ და თანაც აღ-  
ნიშნავდნენ, რომ ხულიგნის მოქმედება მან ხელზე დაიხვია, სასტიკად  
გააკრიტიკა მთავრობის პოლიტიკა და თქვა: მთავრობის საქმიანობა  
ყველგან და კერძოდ კავკასიაში ასეთი ხულიგნების მოქმედებას ემყა-  
რება და ერობის დაჩქარებით შემოღებაც, სხვათა შორის, იმისათვისაც  
არის საჭირო, მართვა-გამგებლობაში გასაქანი მიეცემა პროგრესულ  
ელემენტებს და ხულიგნებს ფრთები თვალსაჩინოდ შეეკვეცებო...  
აგრეთვე, ამბობდნენ, ამ საერობო თათბირზე გ. ზდანოვიჩის მიერ  
წარმოთქმული სიტყვა ერთი საუკეთესო სიტყვათაგანი იყო, რაც კი მას  
საერთოდ წარმოუთქვამსო.

გ. ზდანოვიჩი დიდი პატრიოტი იყო და თუ ვინმე საქართველოს  
შესახებ ცუდს, ანდა რაიმე უმართებულოს იტყოდა, არავითარ შემ-  
თხვევაში არ აპატიებდა და ბურთს ჩაჩრიდა პირში. ამასთან დაკავში-  
რებით მოვიყვან იმ მეორე ამბავს, რომლის შესახებაც ზემოთ ვთქვი,  
მისი მოწმე მე თვით ვიყავი-მეთქი... მაგრამ საკითხის გაშუქების მიზ-  
ნით ცოტათი შორიდან უნდა დავიწყო თხრობა...

დაახლოებით, ასე 1913 წლის დამლევს თუ 1914 წლის დასაწყისში, ქ. კიევში დაარსდა ჟურნალი „ნაროდნოსტი როსიი“, ამ საქმის ინიციატორი და თვით ჟურნალის რედაქტორი იყო ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი ლედნიცკი. ჟურნალი მიზნად ისახავდა გამოერკვია რუსეთის იმპერიაში შემავალ პატარა ერთა მდგომარეობა, მათი კულტურულ-პოლიტიკური დონე და ეროვნული მისწრაფებები. აგრეთვე მიზნად ისახავდა შეესწავლა, ესა თუ ის პატარა ერი რამდენად მომზადებულია იმისათვის, რომ დაკმაყოფილებული იქნეს მისი ეროვნული თავისუფლებისადმი ლტოლვა — მიეცეს ავტონომიური მართვა-გამგებლობის უფლება. ჟურნალში თანამშრომლებად მიწვეულნი იყვნენ იმ სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები, რომელი პარტიებიც იდგნენ ეროვნულ ნიადაგზე. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან თანამშრომლად მიწვეული იყო კიტა აბაშიძე. ჟურნალის თანამშრომლად ითვლებოდნენ აგრეთვე გამოჩენილი მეცნიერები, პროფესორები — გრუშევსკი, რომელზეც ამბობდნენ, რომ ის არის „რუსეთის ფედერაციის მამა“ («Отец русской федерации») და ბოდუენ დე კურტენე. ორივე დიდი სწავლული იყო და რუსეთში შემავალ ერთა ეროვნული საკითხის ღრმა მცოდნე. 1914 წ. მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ჟურნალის რედაქციამ თავისი უახლოესი თანამშრომლები მიაკლინა იმპერიის სხვადასხვა განაპირა ქვეყნებში, ადგილზე მცხოვრებ ერთა მდგომარეობის შესასწავლად და იმის გამოსარკვევად, თუ ეს პატარა ერები რამდენად მზად არიან ეროვნული მმართველობის სახის რეფორმებისათვის. საქართველოში ჩამოსვლა წილად ხვდა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს, შრომის ჯგუფის („ტრუდოვიკების“) ფრაქციის თავმჯდომარეს, შემდეგში კი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მესაფლავეს ა. თ. კერენსკის. ის პირველად თბილისში ჩამოვიდა, კარგა ხანს დარჩა, მოიარა ქართული, რუსული და სხვა ეროვნებათა ჟურნალ-გაზეთების რედაქციები. ინახულა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები. იყო წმინდა ქართულ დაწესებულებებში, როგორც იყო მავალ. თბილისის საადგილმამულო ბანკი და სხვ. და შემდეგ რამდენიმე ქართველი მოღვაწის თანხლებით ქუთაისს ეწვია. თბილისში ყოფნის დროს, რა თქმა უნდა, ისაუბრა ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან. რასაკვირველია, ისაუბრა რუს და სხვა ეროვნებათა მოღვაწეებთანაც. ქუთაისშიც ასე მოიქცა. დაათვალიერა ქართული ორგანიზაცია-დაწესებულებები, გაეცნო იქაურ მოღვაწეებს. ბოლოს შთაბეჭდილებათა განხიარებისა და დავალებული საკითხის ოფიციალურად დასმისა და განხილვის მიზნით მოითხოვა თათბირის მოწვევა. თათბირი გაიმართა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში. დაესწრნენ ქუთაისელი ცნობილი 3. ლიტერატურის მატინე, 7 — 8.

მოღვაწეები და მწერლები. თათბირში მონაწილეობა მიიღეს თბილისიდან ჩამოსულმა პირებმა და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებმა. თავმჯდომარეობდა გ. ზდანოვიჩი. თათბირს ესწრებოდნენ პრესის წარმომადგენლებიც. მოხსენებით გამოვიდა კერენსკი. მან დამსწრეთ გააცნო საქართველოში მისი ჩამოსვლის მიზანი, საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებები, რამდენადაც იცოდა, შეეხო იმდროინდელ საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობას. ყველაფერი ეს რაც შეიძლება მუქი, შავი ფერებით დახატა. რაც შეიძლებოდა, წინ წამოსწია სუსტი და უარყოფითი მხარეები. ბოლოს დაასკვნა: საქართველო ამჟამად ეკონომიურად და კულტურულად ისეთ დონეზე იმყოფება, რომ მისთვის ავტონომია საჭირო არ არის. მას ამას გარდა სათანადოთ მომზადებული ინტელიგენციაც კი არა ჰყავს საკმაო რაოდენობით, ხოლო რაც ჰყავს, ის საკმაო არ იქნება ავტონომიურად მოქმედ სახელმწიფო ორგანიზაციის მოვლა-პატრონობისათვის. ამიტომ ამჟამად საკმაო იქნება თუ საქართველოში შემოიღებენ ერობას. ამ ინსტიტუტის შემოღება ქართველ ერს დიდ სარგებლობას მოუტანს, ის ამალღდება კულტურულად. ინტელიგენცია და სხვა მოწინავე პირები მუშაობაში ჩაებმებიან, გაიწვრთნებიან, გამოცდილებას მიიღებენ და როცა ეს მოსამზადებელი პერიოდი გაივლის, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიშვას საქართველოსთვის ავტონომიის მიცემის საკითხი.

მოხსენების მიმდინარეობის დროს თათბირის მონაწილენი ღელავდნენ და ბორგავდნენ. კბილებდალესილნი მოუთმენლად ელოდნენ კამათის დაწყებას. ერთადერთი გ. ზდანოვიჩი იჯდა თითქოს დამშვიდებული და თავი ორივე ხელზე ჰქონდა დაყრდნობილი, ქვევით იხედებოდა დაჟინებით... დროგამოშვებით ორატორს გვერდიდან გახედავდა, მერე ისევ ამოჩემებულ წერტილს დაუბრუნდებოდა. პოზას არ იცვლიდა. ეტყობოდა, რომ ძლიერ გაგულისებული იყო, მაგრამ წონასწორობის დაცვას ცდილობდა.

— მე დავასრულე... კამათის დროს ალბათ საშუალება მომეცემა მოკამათებისათვის საინტერესო საკითხები უფრო ფართოდ გავაშუქო, — დაასკვნა მომხსენებელმა და თავმჯდომარეს გადახედა. გ. ზდანოვიჩი დინჯად წამოდგა და მაგიდაზე ორივე ხელებით დაბჯენილი მას მკაცრი კილოთი შეეკითხა:

— ალექსანდრე თევდორეს ძევ, მოხსენება დაამთავრეთ?

— დიახ, გიორგი ფელიქსის ძევ, მე უკვე მოგახსენეთ.

— აი, რა გითხრათ, დიდად პატივცემულო ალექსანდრე თევდორეს ძევ, მე რომ წინასწარ მცოდნოდა თქვენ საქართველოზე და ქართველ ინტელიგენციაზე ასეთი აზრის იყავით, ასეთ საპატიო თათბირს არ მოვიწყვედი! — შემდეგ იგი მიუბრუნდა თათბირის მონაწილეთ და განუცხადა: — თათბირს დახურულად ვაცხადებ-ო.

კერენსკი კათედრაზე გაფითრებული იდგა და აღელვებული ხმით შესიტყვება სცადა:

— გიორგი ფელიქსის ძევ! მე ასე არ მინდოდა მეთქვა... სხვა აზრი მქონდა...

— თქვენ რისი თქმაც ვინდოდათ, უკვე თქვით და თქვენი აზრიც მკაფიოდ გააშუქეთ!.. — მიახალა გ. ზდანოვიჩმა, თავმჯდომარის მაგიდას მოსცილდა და კაბინეტისკენ გაეშურა.

თათბირის მონაწილენი სხდომის ასეთნაირად დამთავრებას არ მოელოდნენ. ისინი მაშინვე მიხვდნენ, რა ძლიერი სილა გააწნა გ. ზდანოვიჩმა მომხსენებელს და ყველას გულზე მოეშვა... ნელ-ნელა გავიდნენ დარბაზიდან, კერენსკი ზღაზვნით მოსცილდა კათედრას, წამოეწია თათბირის რამდენიმე მონაწილეს და გამოელაპარაკა. შემდეგ კი შევიდა გ. ზდანოვიჩთან კაბინეტში... ამ თათბირის ამბავი სწრაფად გავრცელდა ქუთაისში, თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში... ბოლოს ხმებმა პეტერბურგსა და მოსკოვშიც მიაღწია. სამწუხაროდ, არაფერი გამიგონია იმაზე, თუ ეურნ. „ნაროდნოსტი როსიის“ რედაქცია ამ ინციდენტს როგორ შეხვდა და კერენსკის გამოსვლა მოიწონა თუ დაგმო.

ზემოთ აღვნიშნე, რომ გ. ზდანოვიჩი საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და ამის დასადასტურებლად ერთი ცნობაც მოვიყვანე. ახლა მინდა ამას კიდევ ერთი ამბავიც დავუმატო... მაგრამ აქაც ცოტა შორიდან მომიხდება დაწყება.

1913 წ. ქუთაისის ქალაქისთავად აირჩიეს ილია მანუჩარის ძე ჩიქოვანი, მწერლობაში ცნობილი „ი. პონტელი“-ს ფსევდონიმით. იგი შეუდგა თუ არა მოვალეობის ასრულებას, მაშინვე დაიწყო ქუთაისის კეთილმოწყობისათვის ზრუნვა. ამ მხრივ კი ბევრი რამ იყო გასაკეთებელი. ქალაქს არ ჰქონდა წყალსადენი. კანალიზაცია, ელექტრონის სადგური და სხვ. საერთოდ, ქალაქი პრიმიტიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ი. ჩიქოვანმა მთავრობაში დასვა საკითხი კრედიტების მიღებაზე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. შემდეგ გამართა მოლაპარაკება სხვადასხვა აქციონერთულ საზოგადოებების მმართველობებში, რათა მათ ეყისრათ ქალაქის კეთილმოწყობა, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა. ბოლოს დახმარებისათვის მიმართა ნიკო ნიკოლაძეს, როგორც ფრიად გამოცდილ მუნიციპალურ მოღვაწეს და ავტორიტეტის მქონე პიროვნებას. ნ. ნიკოლაძე სიამოვნებით ჩაერია საქმეში. საკითხი საფუძვლიანად შეისწავლა ყოველმხრივ. მერმე გამოძებნა ბელგიის რომელიღაც სააქციონერო, ანონიმური საზოგადოება. მის ხელმძღვანელობასთან გამართა მოლაპარაკება და როგორც თვითონ ირწმუნებოდა, შეთანხმებასაც მიაღწია. ყველაფერი აცნობა ჩიქოვანს, თან აუხსნა, რომ მართო ანონიმურ საზოგადოების ხელმძღვანელობის თანხმობა საკმაო არ არის, საჭიროა მთავრობის დასტურიც, ამიტომ შემდეგ სა-

კითხი უნდა დაისვას სათანადო სამინისტროებში, იქ მოითხოვენ პერტების დასკვნას. მთავრობის დასტურის შემდეგ საჭირო იქნება ხელშეკრულებების ოფიციალურად გაფორმება და სხვ. ყველაფერი ეს მოითხოვს წინასწარ ხარჯების გაწევას, ამიტომ ნ. ნიკოლაძე მოითხოვდა, მე როგორც შუამავალს, საკითხის მომწესრიგებელს და საქმის ორგანიზატორს, უნდა მომეცეს განსაზღვრული პროცენტი, შედგენილ ხარჯთაღრიცხვებიდან გამომდინარეო... კარგად არ მახსოვს, ვგონებ, 3%-ს მოითხოვდა... ასეთი სახის ხარჯების გაწევა მაშინ კანონით ნებადართული იყო, ამიტომ სადაოდ არ ითვლებოდა. მხოლოდ დავას იწვევდა პროცენტის რაოდენობა. ნავარაუდევ ხარჯთაღრიცხვის კვალობაზე 3% საკმაოდ დიდ თანხას შეადგენდა — ვგონებ 120.000 მანეთზე მეტს. ამიტომ ქალაქის სათათბიროს გარეშე ასეთი სერიოზული საკითხის გადაწყვეტა ყოვლად დაუშვებელი იყო... მოიწვიეს ქალაქის სათათბიროს სხდომა. გაზეთებშიც გამოქვეყნდა ცნობა ამ და ამ დღეს ესა და ეს საკითხი იქნება განხილული. ხმოსნები სხდომას სრული შემადგენლობით დაესწრნენ. აკლდა მხოლოდ გ. ზდანოვიჩი. ის პეტერბურგიდან წინა დღის ჩამოსული იყო და სხდომაზე მოვიდოდა თუ არა, არავინ იცოდა. დარბაზი გაქედილია გარეშე პირებით, რადგან აღნიშნული საკითხების მოგვარება ქუთაისში ბევრს აინტერესებდა. სხდომის დარბაზში გვერდზე დგას კორესპონდენტებისათვის გრძელი მაგიდა და ისინიც ჩამწკრივებულნი სხედან; მათ შორის ადგილი მეც მიკავია. ყველას აინტერესებს გ. ზდანოვიჩი მოვა თუ არა, და თუ მოვა, როგორ პოზიციას დაიკავებს.

რისთვის იყო საზოგადოება დაინტერესებული გ. ზდანოვიჩის სხდომაზე მოსვლითა და მისი პოზიციით?! საქმე ასე იყო: გ. ზდანოვიჩს და ნ. ნიკოლაძეს ურთიერთ შორის დიდი უსიამოვნება ჰქონდათ და უბრაოდ იყვნენ. მათ შორის ასეთი დამოკიდებულება გამოიწვია „საფუთო გადასახადმა“, როგორც ცნობილია, ნ. ნიკოლაძემ მთავრობაში ისე მოაწყო საქმე, ქ. ფოთის ნავსადგურს მიეცა შავი ქვის საზღვარგარეთ გაზიდვის მონოპოლიური უფლება (წინად ბათუმის ნავსადგურიდანაც გაჰქონდათ ეს მადანი) და ქალაქის მმართველობა ლეზულობდა გაზიდულ შავი ქვიდან ე. წ. საფუთო გადასახადს. საფუთო გადასახადის ტარიფი დამტკიცებული იყო ფინანსთა სამინისტროს, გზათა სამინისტროს და სხვა სათანადო უმაღლეს ორგანოების მიერ. დაახლოებით ასე 1907—1908 წ. ნ. ნიკოლაძემ აღძრა შუამდგომლობა საფუთო გადასახადების ტარიფის ნახევარი კაპეიკით გადიდების შესახებ. ის თავის მოსაზრებას ასაბუთებდა იმით, რომ ქალაქი ფოთი სრულიად მოუწყობელია და გადიდებული ტარიფით მიღებული თანხებით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. საფუთო გადასახადი საზღვარგარეთ გასაზიდ შავ ქვას ედებოდა, მის გასაყიდ ღირებულებას ადიდებდა, აძვირებდა, ეს კი არ იყო ზელსაყრელი მრეწველობის განვითა-



რებისათვის ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, შავი ქვის მრეწველთა საბჭოსათვის, რომელიც გაზიდულ საქონელიდან განსაზღვრულ პროცენტებს ღებულობდა და აქედან მიღებულ თანხას ახმარდა ქ. ჭიათურის კეთილმოწყობას და სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობას... ამ მოსაზრებით მრეწველთა საბჭო და მისი ხელმძღვანელი გ. ზდანოვიჩი ტარიფის გადიდების წინააღმდეგ ამხედრდნენ. შეიქმნა კამათი პრესაში და სხვადასხვა კრებებზე. ნ. ნიკოლაძემ 1908 წ. ცალკე წიგნიც კი გამოუშვა სახელით „პოლუკაპეჩინი სბორ“, 1910 წ. ამას რუსულ ენაზე გამოცემული მეორე წიგნიც მიაყოლა — „მარგანცევოე სამოუპრავლენიე“ და აკრიტიკებდა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მოღვაწეობას. ამ წიგნმა დამოკიდებულება ძალზე გაამწვავა. ნ. ნიკოლაძეს აუმხედრდნენ გ. ზდანოვიჩი და მისი მომხრეები და პრესასა და კრებებზე გაიშალა სასტიკი ბრძოლა. ყოველივე ამას მოჰყვა შედეგად ის, რომ ეს ორი დიდი მოღვაწე ერთმანეთს დაემდურა და ხმას არ სცემდნენ. მე მგონია ახლა გასაგებია ის, თუ ქუთაისის ქალაქის ხმოსნები და სხვა დამსწრე საზოგადოება რისთვის იყვნენ დაინტერესებულნი სხდომაზე გ. ზდანოვიჩის მოსვლითა და მისი პოზიციით... აჰა, ქალაქის თავმა და გამგეობის წევრებმა დაიკავეს თავიანთი ადგილები. ქალაქის თავმა ჩამოიკიდა კისერზე ამ თანამდებობისათვის განკუთვნილი რეგალია — ძეწკვი ორთავიანი არწივის გამოხატულების მედალიონით, უნდა დაიწყოს სხდომა... და უცებ, კრიჭინით გაიღო კარი, გ. ზდანოვიჩი შემოვიდა, მისი მოსვლა მაშინვე ჩურჩულით ეუწყა ყველას. ის ჩვეულებრივი სიღინჯით გაეშურა და ხმოსანთა დასაჯდომი სკამების უკანასკნელ რიგში დაიკავა ადგილი. გაიხსნა სხდომა. მოხსენება გააკეთა ქალაქის გამგეობის წევრმა პ. მოსიძემ. მოხსენება ყველამ დიდი ყურადღებით მოისმინა. მომხსენებელმა ბოლოს დაასკვნა: საქმე მოლაპარაკების მხრივ ნ. ნიკოლაძის მეოხებით დამთავრებულია. საქიროა საქმის საბოლოო დასკვნამდე მიტანა და იურიდიულად გაფორმება. ეს საქმეც ქუთაისის ქალაქის გამგეობის მინდობილობით ნ. ნიკოლაძემ უნდა იკისროს. ამის გამო მას კიდევ ხანგრძლივად დაჰქირდება პეტერბურგში დარჩენა, შემდეგ კი ბელგიაში უნდა გაემგზავროს ანონიმურ საზოგადოების მმართველობასთან ხელშეკრულების დასადებად და ყველაფერი ეს კი დიდი ხარჯების გაწევას მოითხოვს. ამას გარდა თვით ნ. ნიკოლაძეს უნდა მიეცეს გასამსჯელო გაწეული შრომისათვის საკომისიოს სახით, თვით ნიკოლაძე საკომისიოს მოითხოვს 3%-ის რაოდენობით. ქალაქის გამგეობა იმ აზრის არის, რომ ნიკოლაძეს 3% მიეცეს, ამიტომ გთხოვთ, გამგეობის მიერ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები დაადასტუროთ და დაადგინოთ, რათა ნ. ნიკოლაძეს საკომისიოს სახით მიეცეს 3%-ი... შეკითხვების შემდეგ ცხარე კამათი გაიმართა. ხმოსნების ერთი ჯგუფი ამტკიცებდა, რომ საკომისიო 3% ძლიერ ბევრია და 2% მიეცეს, მეორე ჯგუფი წამოწყებულ საქმეს სკეპტიკურად უყურებდა და

გაიძახოდა, ამ საქმეს თავი დავანებოთ, არაფერი გამოვო, მესამე  
ჯგუფის წარმომადგენელი ამბობდნენ: ნ. ნიკოლაძე ქუთაისელმა, თავის  
თავის სამშობლო ქალაქის კეთილმოწყობით დანიტერესებულია, ამი-  
ტომ ვთხოვოთ 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>%-ს დათანხმდესო; რამდენიმე ხმოსანმა ადგილიდან  
ისტროლა რეპლიკა: მაგიც ბევრია, ქალაქი ღარიბია და ერთი პროცენ-  
ტიის მიცემის მეთს ვერ შეძლებსო. ზოგიერთი ხმოსანი კიდევ გამოვიდა  
სალაპარაკოდ და თქვა: ამ საქმიდან საერთოდ არაფერი გამოვა და თუ  
რამე გამოვიდა, ქუთაისიც ისეთ დიდ ვალებში ჩავარდება, როგორც  
ფოთი; ამიტომ ნ. ნიკოლაძე საქმეს ჩამოვაცილოთ და თვით ქალაქის  
გამგეობამ იკისროს საქმის მოგვარება ყოველნაირ შეამავლის გარეშეო...  
ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ პირველი ამხედრდნენ. მართალია, ესენი  
ოფიციალურად არ აცხადებდნენ, მაგრამ არაოფიციალურად კი ამბობ-  
დნენ: ნიკოლაძის წინააღმდეგნი ზდანოვიჩის მომხრენი არიან და ისინი  
რომ მოითხოვენ, ნიკოლაძე საქმეს ჩამოვაცილოთ, ეს ზდანოვიჩის  
შთაგონებით არისო. ქალაქის გამგეობის წევრები თავის პროექტს თავ-  
გამოდებით იცავდნენ. კამათი ღამის პირველ საათამდე გაგრძელდა —  
ორატორთა სია ამოიწურაო, განაცხადა თავმჯდომარემ.

— ნება მიბოძეთ, ორიოდ სიტყვა ამ საკითხზე მეც მოგახსე-  
ნოთ, — თქვა გ. ზდანოვიჩმა და წამოდგა.

— დიდი სიამოვნებით, დიდი სიამოვნებით, — შეაგება სიტყვა  
თავმჯდომარემ.

გ. ზდანოვიჩმა დაიწყო ლაპარაკი. დარბაზში ისეთი სიჩუმე ჩამო-  
ვარდა, ბუზის გაფრენას ვაიგონებდით. ყველა ორატორისკენ იცქირება.  
გ. ზდანოვიჩი შეეხო იმას, თუ ქუთაისი კომუნალური მომსახურების  
მხრივ როგორ ცუდ მდგომარეობაშია; აღნიშნა, რომ კანალიზაციის უქონ-  
ლობის გამო ქალაქის მოსახლეობა სიბინძურეში იღრჩობა, მოსახ-  
ლეობა, რადგან ქალაქს წყალსადენი არა აქვს, რიონის წყალს სვამს.  
ამ ორი მიზეზის გამო ქალაქში ხშირად ჩნდება ქოლერა და სხვა ეპი-  
დემიური სნეულება. უსინათლობით ქუჩებში ღამე თავისუფლად სი-  
არული არ შეიძლებაო და სხვ. ერთი სიტყვით, მთელი თავისი მჭერმე-  
ტყველების უნარი მოანდომა, რათა მსმენელთა წინაშე გადაეშალა  
ქალაქის უმწეო მდგომარეობა და სიტყვის ეს ნაწილი დაამთავრა ფრა-  
ზით: „ქუთაისის მოსახლეობამ ეს მდგომარეობა აქამდე ითმინა, აწი კი  
ველარ მოითმენს და გამგეობის მიერ დაწყებული საქმეები დაჩქარე-  
ბით უნდა გაკეთდეს“-ო. შემდეგ ხარჯების საკითხს შეეხო: გასაკეთე-  
ბელ საქმეთა სიძვირეს, ამ საქმეებით გამოწვეულ ქალაქის დავალიანე-  
ბას და თქვა: თუ საქმე წესიერად გაკეთდა, სიძვირე და დავალიანება  
საშიში არ არის. თუ ხარჯთაღრიცხვის პროექტს ჩაუუკვირდებით, ყვე-  
ლაფერი არც ისე ძვირი ჯდება, როგორც ზოგიერთმა თქვაო. მერმე  
მოიყვანა სტატისტიკური ცნობები სხვადასხვა ქალაქის ცხოვრებიდან

და დასაბუთებულად დაასკვნა: როცა გაკეთებული საქმეების ექსპლუატაცია დაიწყება, 15—20 წლის განმავლობაში გაწეული ხარჯები დაიფარება, ყველაფერი ქალაქს საკუთრებად დარჩება და მუდმივი შემოსავლის წყარო გაუღიღდებაო. შემდეგ გადავიდა საკითხზე, ვის შეუძლია ყველაფერი ეს მოაგვაროს. აქაც მთელი რიგი ცნობა მოიყვანა და თქვა, რომ ჩვენში ერთადერთი კაცია ნ. ნიკოლაძე, რომელსაც მუნიციპალიტეტის საქმიანობაში დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვს და თუ მან სურვილი განაცხადა, ყველაფერს მოაგვარებს, ამიტომ ჩვენ მას არამც თუ უნდა ვთხოვოთ, არამედ უნდა შევეხვეწოთ საქმის მოგვარება იკისროსო...

აქ ატყდა ტაშის დაუსრულებელი გრიალი. შიგადაშიგ ზოგი მხრებს იჩეჩდა და თავს წალმა-უყულმა აჩნევდა. ეტყობოდათ, ისინი გ. ზდანოვიჩის ასეთ გამოსვლას არ მოელოდნენ და უკვირდათ ის, რომ ნ. ნიკოლაძეს უჭერდა მხარს.

შემდეგ შეეხო საკომისიოს მიცემის საკითხს. დაახსიათა რა პირობებში მოუხდება ნ. ნიკოლაძეს მუშაობა, როგორი ხარჯების გაწევა მოუწევს მას. ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდძალი მოულოდნელი ხარჯები ექნება. ხელმომპირნეობა, ძუნწობა ასეთი ფრიალ სერიოზული საქმეების მოგვარებისას, ყოვლად დაუშვებელია. ნ. ნიკოლაძეს კიდევ ცოტა მოუთხოვია და თუ ის 3% საკომისიოს დათანხმდა, მადლობა უნდა ვუთხრათო. მერმე გაკვირვება გამოსთქვა ზოგიერთ ხმოსანზე, რომლებმაც ერთნაირი ვაჭრობა გამართეს პროცენტების რაოდენობის გარეშე. ბოლოს შეიტანა წინადადება: აღნიშნული საქმის მოგვარება ეთხოვოს ნ. ნიკოლაძეს. მას ქალაქის გამგეობის სახელით მიეცეს რწმუნების საბუთი და საკომისიოს სახით გასამსჯელო მიეცეს 3% რაოდენობით.

დამთავრდა სიტყვა. ტაშის გრიალი კვლავ ატყდა... წინადადებებს უყარეს კენჭი და ფარული კენჭის ყრით, აბსოლუტური უმრავლესობით, ორი-სამი ხმის გამოკლებით, გავიდა ქალაქის გამგეობის წინადადება, რომელსაც გ. ზდანოვიჩი იცავდა.

ქალაქის სათათბიროს დადგენილებით, იმ ღამესვე მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა ნ. ნიკოლაძეს... ამის შემდეგ თითქმის ერთი კვირა გავიდა და ქალაქის გამგეობამ ნ. ნიკოლაძის დეპეშა მიიღო. იტყობინებოდა: ჩემი დაწყებული საქმიდან არაფერი გამოდის და თავს ვანებებო.

მეორე დღეს ქალაქში ბოროტი ხმები გავრცელდა: გ. ზდანოვიჩი პეტერბურგიდან ახალი ჩამოსული იყო, კარგად ჰქონდა გაგებული, რომ ნ. ნიკოლაძეს დაწყებული საქმიდან არაფერი გამოუვიდოდა და სხდომაზე ქალაქის გამგეობის პროექტს ყასიდად დაუჭირა მხარიო... ასეთი ხმები რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს, ვერ ვიტყვი.

რადგან ნ. ნიკოლაძეზე ჩამოვარდა სიტყვა, კიდევ ერთი ამბავი





მახსენდება. ვგონებ 1913 წელს მთავრობამ ნ. ნიკოლაძეს რაღაც შარტი მოსდო და პასუხისგებაში მისცა, აბრალებდნენ, თითქოს მას, ფოთის ქალაქის საქმეებთან დაკავშირებით, იმ დროს კარგად ცნობილ ბუნგე და პალაშკოვსკის ფირმიდან საქმაოდ დიდი თანხა ქრთამის სახით მიეღოს. მთავრობის ასეთი მოქმედებით მთელი ქართველი მოწინავე საზოგადოება აღშფოთებული იყო. აღშფოთდა გ. ზდანოვიჩიცი და, მიუხედავად იმისა, ნ. ნიკოლაძე და ის დანასისხლად იყვნენ, მაინც ხმა ამოიღო მის დასაცავად, ამ მიზნით ალაპარაკა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და პრესა.

გ. ზდანოვიჩი თავის თავზე დიდი წარმოდგენის არ იყო და სხვადასხვა დიდ თანამდებობასაც არ ეტანებოდა. ამის დასადასტურებლად ერთ ცნობას მოვიყვან: ქ. ბაქოს ქალაქის თავად იყო საქმაოდ ცნობილი მუნიციპალური მოღვაწე გვარად ბიჩი. აღარ მახსოვს რომელ წელს, იგი იმავე თანამდებობაზე აირჩიეს რომელიღაც უფრო დიდ ქალაქში. ბაქოს ხმოსნები ეძებდნენ მუნიციპალურ საქმეებში და მრეწველობაში გამოცდილ პიროვნებას. ისინი შეჩერდნენ გ. ზდანოვიჩის კანდიდატურაზე. გიორგი ხომ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე იყო დიდი ხნის მანძილზე, მაშასადამე, მრეწველობის საქმეს საერთოდ კარგად იცნობდა, ამას გარდა, მრავალი წლის განმავლობაში იყო ქუთაისის ქალაქის სათათბიროს ხმოსნად და საერთოდ კარგად ჰქონდა შესწავლილი მუნიციპალური საკითხებიც. ასე რომ, ბაქოელების მიერ ქალაქის თავის თანამდებობაზე უეჭველად ღირსეული კანდიდატი იყო შერჩეული. მას დეპუტაცია გაუგზავნეს ქუთაისში და თხოვეს თანხმობა, მაგრამ გ. ზდანოვიჩმა თავის კანდიდატურის წაყენებაზე კატეგორიულად განაცხადა უარი და ეს ასე დაასაბუთა: „ქალაქ ბაქოს ძალიან რთული მეურნეობა აქვს, მას დიდი მოვლა და გაძლოლა უნდა, ამას გარდა, ნავთის წარმოებაც ფართოდ არის გაშლილი, რაც ქალაქის გამგეობისგან დიდ ყურადღებას მოითხოვს, მე კი ჩემს თავს ისე დიდ მომზადებულად არა ვთვლი, ასეთი ფრიად პასუხისაგები თანამდებობა ვიკისრო“-ო.

გ. ზდანოვიჩმა ერთ ხანს წერას სულ ერთიანად დაანება თავი. ათასში ერთხელ რომელიმე რუსულ გაზეთში თუ გამოჩნდებოდა მისი სტატია, ის ეხებოდა შავი ქვის წარმოების საკითხს. ასე, 1913 წლის მეორე ნახევარში, თუ არ ვცდები, აღეძრა პოლიტიკურ საკითხებზე წერის სურვილი. სტატიებს აქვეყნებდა ქუთაისის გაზეთებში, მისი ძველი ფსევდონიმით — „გ. მაიაშვილი“. გაზეთების ხელზე გამყიდველნი, როცა საღამოობით გაზეთებს ქუჩებში გაიტანდნენ გასაყიდად, ხმამაღლა გაიძახოდნენ გაზეთის სახელს და თუ შიგ გ. ზდანოვიჩის სტატია იყო გამოქვეყნებული, ხმამაღლივ დაუმატებდნენ: „გ. მაიაშვილის წერილი“. ასეთ გაზეთებს მაშინვე მკითხველები პირდაპირ იტა-

ცებდნენ... ამიტომ რედაქცია გაზეთის იმ ნომერს, რომელშიც გ. მაიაშვილის სტატია იყო გამოქვეყნებული, 500—550 ცალს ზედმეტს აბეჭდინებდა; ეს კი იმ დროს გაზეთის ტირაჟის დიდ აწევად ითვლებოდა. გ. ზდანოვიჩის ხელნაწერი სტატიები არაერთხელ მინახავს, კორექტურაც კი გამისწორებია. სტატიებს ქართულ ენაზე წერდა, სუფთად და შეუსწორებლად. ყოველი მათგანი წმინდა გრამატიკული თუ სტილისტიკური თვალსაზრისით ისე კარგად იყო დაწერილი, რომ ისეთი უღმობელი სტილისტის, როგორც დ. მესხი იყო, წითელი მელნით გადახაზულ-გადაჭრელებული ადგილები ბევრი არ ჩანდა... სამწუხაროდ, ჩვენ, იმ დროს რედაქციაში მომუშავეებს, იმდენი გამოცდილება, თუ ცოდნა არ გვქონდა გ. მაიაშვილის ხელნაწერები შეგვენახა და განადგურებას გადაგვერჩინა. ეს ავტოგრაფები, ეგონებ, ამჟამად ინტერესმოკლებული არ იქნებოდა.

გ. ზდანოვიჩი შავი ქვის მრეწველთა საბჭოში სამსახურით არ კმაყოფილდებოდა და მოღვაწეობას ეწეოდა სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, არჩევით თანამდებობაზე, უხელფასოდ. მას მუდამ ირჩევდნენ ქალაქის სათათბიროს ხმოსნად, ირჩევდნენ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრად და სხვ.

ქუთაისში 1909 წ. დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილება. გ. ზდანოვიჩი არჩეულ იქნა გამგეობის თავმჯდომარედ და გარდაცვალებამდე ამ თანამდებობაზე მუდამ ირჩევდნენ. ამ საზოგადოებას დიდი ამაგი დასდო; გარდა ხელმძღვანელობისა, ნივთიერ დახმარებასაც უწევდა. გ. ზდანოვიჩის ნივთიერი დახმარებით და კრედიტებით საზოგადოების გამგეობამ გახსნა საკუთარი სტამბა. ის მაშინდელი პირობების მიხედვით კარგად იყო მოწყობილი და ხელი შეუწყო ქუთაისში წიგნების ბეჭდვის გაფართოებას. აქვე იბეჭდებოდა ქუთაისის ზოგიერთი გაზეთიც. სტამბა საზოგადოებას საკმაო თანხას აძლევდა მოგების სახით და ის ხმარდებოდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს.

გ. ზდანოვიჩი ძლიერ გატაცებული იყო ქართული ხალხური სიმღერებითა და გადაწყვიტა ამ სიმღერებისა და კომპოზიტორთა ნაწარმოებების გრამაფონის ფირფიტებზე გადატანა. ამ მიზნით მან ვილაც გამოცდილი პირი გამოძებნა და მისი ხელმძღვანელობით პეტერბურგში გრამაფონის ფირფიტების ქარხანა გახსნა. როცა ამ წარმოებას ფეხზე მკვიდრად დააყენებდა, განზრახული ჰქონდა მისი გადაცემა წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილებისათვის, ამ საქმის მოგვარებაზე თვალსაზრისით რაოდენობით გასწია ხარჯები. ამ საქმით ორი კურდღლის დაჭერას ლამობდა: პირველი ის, რომ ქართული სიმღერები ფირფიტებით ჩაიწერებოდა და ხალხში გავრცელდებოდა, მეორეც, წარმოება-

მოგების სახით წ. კ. გ. ს. შემოსავალს მისცემდა... მაგრამ, სამწუხაროდ, იმედი არ გაუმართლდა, კომპანიონი არაკეთილსინდისიერი ცი აღმოჩნდა და მუშაობა ჩააგდო. გ. ზდანოვიჩს საგრძნობი ვალი დაედო და ის თავისი საკუთარი შემოსავლით დაფარა... ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმე კი ჩაიფუშა.

აქ მე არ შევეხები მის მოღვაწეობას შავი ქვის მრეწველთა საბჭოში. ამ დაწესებულების ნივთიერი საშუალებებით ბევრი რამ გაკეთდა, როგორც თვით ჭიათურაში, ისე სხვაგანაც და ყველაფრის წამომწყები და ხელმძღვანელი გ. ზდანოვიჩი იყო; ამ საკითხზე ლაპარაკი მოგონებათა ფარგლებს სცდება და ისტორიის საზღვრებში იჭრება. ამიტომ სიტყვაც ისტორიკოსებს უნდა დაეთმოს.

ჩვენი ძვირფასი მწერლის დ. კლდიაშვილის სიტყვით რომ ვთქვა: „ეს მღვეი კაცი“, რომელმაც არ იცოდა ავადმყოფობა, 1916 წ. უცებ ლოგინად ჩავარდა და მთელი გაზაფხული ქუთაისში იწვა. მას აღმოაჩნდა გულის გაჯანჩიერება და ტვინის ნერვების მოშლა. დიდხანს იავადმყოფა, აღნაშნული წლის ზაფხულში წაიყვანეს ქობულეთში და იქ აგვისტოს დამლევამდე დარჩა. ქობულეთში, ვგონებ, ფილტვების ანთებაც დაემატა, კარგად არ მახსოვს. მაშინ მე ბათუმში ვმუშაობდი — ქალაქის გამგეობაში და მე და სხვა ამხანაგები ყოველდღე მორიგეობით ჩავდიოდით ქობულეთში და ავადმყოფისათვის ყინული მიგვჭონდა. მე როდესაც ჩავიდოდი, რა საკვირველია, ყოველთვის ვნახულობდი და შემადრწუნებელ შთაბეჭდილებას სტოვებდა. თავის ჩვეულების მიხედვით მშვენივრად გამოწყობილი დადიოდა. ჯანმრთელ კაცს ჰგავდა. ლაპარაკობდა კიდეც. სხვის ნათქვამს კარგად და სისწორით გებულობდა, ხოლო მის ნათქვამს ჩვენ, მსმენელი ვერ ვიგებდით, სიტყვას კარგად გამოსთქვამდა, მაგრამ უბედურება ის იყო, წინადადება სწორად არ იყო დალაგებული და, რაც მთავარია, სიტყვებს თავის შესატყვისის მიხედვით ვერ ხმარობდა. ერთი სიტყვით, ლაპარაკის უნარი ჰქონდა მოშლილი. ამას თვითონაც გრძნობდა და ძლიერ წუხდა. მერე ასეთ გაჯანჩიერებულ ლაპარაკსაც დაანება თავი. სულ გაჩუმებული იყო და თუ რისიმე გადმოცემა სურდა, მუნჯურ მეთოდს მიმართავდა... რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ დაიწყო გაჯანჩიერებული ლაპარაკი... ალბათ, ჩუმად ყოფნა მობეზრდა. ბოლოს სნეულება ისე გაუძლიერდა, რომ სიტყვების გამოთქმაც კი გაუჭირდა და სხვისი ნათქვამის გაგების უნარიც შეუსუსტდა. აუარებელი ექიმი დაესია, არა მარტო საქართველოდან, არამედ რუსეთიდანაც კი, მაგრამ სანუგეშოს ვერაფერს ამბობდნენ. ქობულეთში განუწყვეტლივ თავს ადგა ექიმი ბენაშვილი... ავადმყოფი ძლიერ იტანჯებოდა სულიერად: ხან ბორგავდა, ხან მიყუჩვდებოდა, თვალებზე ცრემლები გაუჩნდებოდა და განცალკევებით დაჯდებოდა, ხშირად თვალდახუჭული იწვა გაუნძრევლად, თუმცა არ ეძინა. მისი მეგობრები, ამხანაგები და კარგი ნაცნობები განუწყვეტლივ

ჩადიოდნენ ქობულეთში თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, ჰიათურა-რიდან და დღე და ღამ განუწყვეტლივ მორიგეობდნენ ჯგუფ-ჯგუფად, შემდეგ ის საბოლოოდ ჩავარდა ლოვინად. ეს უკვე ქუთაისში მოხდა 1916 წლის მიწურულში.

გ. ზდანოვიჩი 1917 წლის თებერვლის რევოლუციას ლოვინად ჩავარდნილი შეეგება. ამხანაგებმა ძლივს-ძლივობით გააგებინეს, რომ რევოლუცია მოხდა და მეფე ტახტიდან არის გადმოგდებული. რევოლუციის დაწყებასთან დაკავშირებით ქუთაისის ბულვარში პირველი მიტინგი გაიმართა. მიტინგის დამთავრების შემდეგ ერთ-ერთი ორატორის წინადადებით მიტინგის მთელი შემადგენლობა წითელი დროშებით და რევოლუციური სიმღერებით გ. ზდანოვიჩის სახლისკენ გაეშურა, უნდოდათ რევოლუციის ვეტერანისათვის ბედნიერი დღე მიელოცათ. დემონსტრაციის მონაწილენი დროშებით და სიმღერებით მიადგნენ გ. ზდანოვიჩის სახლის ფანჯარას. ამხანაგებმა გიორგი წამოაყენეს და პალტო წამოხურული ფანჯარას მიაყენეს. მას რამდენიმე ორატორი მიესალმა და გამარჯვება მიულოცა... ბოლოს, ნიშნად ღრმა პატივისცემისა, მის წინაშე წითელი დროშები დახარეს... გრანდიოზული და ამაღლვებელი სანახაობა იყო... მაგრამ გ. ზდანოვიჩი, ეს ოდესღაც ბრწყინვალე ორატორი და მოკამათე, ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ სიტყვის თქმა ვერ მოახერხა, რაღაც წაილულლულა, მადლობის ნიშნად თავი დახარა და თვალთაგან ცრემლები ღვარად წამოუვიდა. ალბათ, მიუხედავად მძიმე სნეულებისა, მომენტის სიდიადე მაინც იგრძნო.

ამის შემდეგ ხუთი თვეც არ გასულა, 30 ივლისს (ძვ. სტ.) ეს ყოველმხრივ შესანიშნავი და ყველასგან პატივცემული ადამიანი გარდაიცვალა.

მამინ გ. მათაშვილი-ზდანოვიჩი 62 წლის ასაკში იყო.

მის დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო. ჩამოვიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მრავალი დელეგაცია. მრავალი გრძნობით სავსე სიტყვა წარმოითქვა. სიტყვებით გამოვიდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელნიც... სხვათა შორის; გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა ცნობილმა ანარქისტმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა (მწერლობაში ვ. ვაზიანი და ვ. ჩერკეზოვი), რომელიც რუსეთში რევოლუციის დაწყებასთან დაკავშირებით ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნდა და გიორგის დასაფლავებაზე თბილისიდან სპეციალურად ჩამოვიდა. ვ. ჩერქეზიშვილის გამოსვლით ყველა დაინტერესდა და გულდასმით უსმენდნენ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი უფერული სიტყვა, როგორც მან წარმოსთქვა, არც ერთ ორატორს არ წარმოუთქვამს.

გ. ზდანოვიჩი დასაფლავეს ბაგრატიის ტაძრის ეზოში.

ასე დასრულდა ამ ღირსეული ადამიანის საინტერესოდ დაწყებული ცხოვრება.

კიტა აბაშიძე ჩვენს საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მისი სახელი და გვარი გაგონილი ჰქონდა არა მარტო ინტელიგენციას, არამედ ყველა იმ ქართველს, ვინც ეურნალ-გაზეთებისა და წიგნების კითხვას ეტანებოდა. მას კარგად იცნობდნენ აგრეთვე ამიერ-კავკასიაში მცხოვრები რუსი, აზერბაიჯანელი, სომეხი და სხვა ეროვნებათა მოწინავე ადამიანები. მისი ასეთი პოპულარობა შედეგი იყო იმისა, რომ, ჯერ ერთი, მწერლობდა, წერდა კრიტიკულ წერილებს, წერდა აგრეთვე პუბლიცისტურ წერილებსა და ეურნალისტურ სტატიებს, პოლიტიკურსა და სხვადასხვა ყოველდღიურ საჭირობო საკითხებზე, ნაწერებს აქვეყნებდა როგორც თბილისის, ისე ქუთაისის პრესაში; მეორეც, ხშირად კითხულობდა საჯარო ლექციებს, როგორც თბილისში, ისე ქუთაისსა და სხვა ქალაქებში — ლიტერატურის საკითხებზე, თუ საჭირო იყო — რუსულ ენაზეც, მესამე — იყო მრავალ კულტურულ-საგანმანათლებლო, საფინანსო და სხვა დარგის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წევრი, ან გამგეობის წევრი და ხშირად უხდებოდა კრებებზე სიტყვით გამოსვლა და თავისი მოხდენილი ლაპარაკით ყველას ხიბლავდა. ის ხშირად იყო სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციათა წარმომადგენელი კავკასიის, ან გუბერნიის მთავრობის მიერ მოწვეულ ოფიციალურ თათბირებზე, სადაც გამოდიოდა სიტყვით და იცავდა ქართველი ერის ეროვნულ ინტერესებს. საერთოდ, მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ჩვენი ერის პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარეობაში... ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ კ. აბაშიძე იყო ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ჭიათურის მრეწველთა საურთიერთო კრედიტის საზოგადოების (ბანკის) გამგეობის თავმჯდომარე და საქმე ჰქონდა როგორც მრეწველებთან, ისე მუშებთან და ჭიათურა-საჩხერის მოსახლეობის ფართო მასები კარგად იცნობდნენ.

მე მისი გვარი და სახელი მოწაფეობის დროიდან მქონდა გაგონილი. მერე, როცა კარგად წამოვიზარდე, ვნახე კიდეც, მაგრამ პირადად მხოლოდ 1913 წლის განათხულებზე გავიცანი. მაშინ მე ვმუშაობდი კორექტორად ქუთაისის გაზეთში — „იმერეთი“. ეს გაზეთი იბეჭდებოდა ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოების სტამბაში. ერთ დღეს ჩვეულებრივად ვმუშაობ, წავიკითხე რამდენიმე წერილი, მათ შორის კიტასიც და გადავდევი. მუშაობას განვაგრძობ... თავჩალუნული ვარ, ვერავისა და ვერაფერს ვამჩნევ... უცებ შემომესმა სიტყვები:

— ბატონო, მე აბეშიძე კი არა, აბაშიძე ვარ. კორექტურის კითხვის დროს ძალიან სიფრთხილეა საჭირო!



წამოავლო კალამს ხელი, კორექტორული შეცდომა გაასწორა და ცოტათი მკაცრად შემომხედდა... მე მორცხვად ავხედე და მაშინვე ფეხზე წამოვხტი. აი, ასეთ უხერხულ მდგომარეობაში გავიცანი.

— დაბრძანდით, ბატონო, განავრძეთ მუშაობა, უკაცრავად, ხელი შეგიშალეთ-ო, — უფრო ლობიერად და ღიმილით მითხრა, მომკიდა ხელი და თითქმის ძალით დამსვა სკამზე. ამან ჩემი პირველად მიღებული შთაბეჭდილება ცოტათი შეანელა. უნებლიედ გავიფიქრე: „კორექტორის ჩემი გვარიც რომ დაემახინჯებინა, ალბათ, მეც ასე მოვიქცეოდიმეთქი“... აი, აქედან დაიწყო ჩვენი პირადი ნაცნობობა.

კიტა შერქმეული სახელი იყო, ნამდვილად კი ივანე ერქვა, ოფიციალურ დოკუმენტებშიც ასე იხსენიებდნენ. სხვანაირად არ შეიძლებოდა. კერძო ცხოვრებაში, პრესაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საერთოდ მწერლობაში, ყველგან — კიტა იყო... და ყველანი დიდი თუ პატარა, ახლობლები თუ უფრო მოშორებით მყოფნი, კიტას ვეძახდით... ეს კი, ვფიქრობ, კ. აბაშიძის პოპულარობის ნიშანი იყო.

თავის ნაწერებს ძალიან ხშირად გვარსა და სახელს აწერდა, აგრეთვე ჰქონდა ფსევდონიმებიც. მისი ფსევდონიმები იყო: „იმერელი ამომრჩეველი“, „იმ-ამ“ (ნაწარმოებია ფსევდონიმიდან „იმერელი ამომრჩეველი“), „კიტა“, „კ-ა“ და რამდენიმე სხვაც.

როგორც კრიტიკულ წერილებში, ისე პუბლიცისტურ-ჟურნალისტურ სტატიებში ამქდავნებდა დიდ ერუდიციას და გამპრიახობას, წერდა უბრალოდ, ყველასათვის გასაგები ენით. პუბლიცისტურ-ჟურნალისტურ სტატიებს გაბედულად წერდა, ამიტომ ყველა, განურჩევლად პოლიტიკური მსოფლმხედველობისა, სიამოვნებით კითხულობდა.

მისი გამბედაობის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთს ფაქტს: 1914 წელს, ასე, აპრილის დასაწყისში, რუსეთის იმპერიის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა გორემიკინი. მის დანიშვნასთან დაკავშირებით კ. აბაშიძემ ქუთაისის გაზეთ „ჩვენი ერის“ 25 აპრილის ნომერში (№ 31) გამოაქვეყნა სტატია — „ახალი კურსი“ „იმ-ამ“-ის ფსევდონიმით. სტატია ასე იწყება: „გორემიკინის არქივიდან ამოქექვა რომ არაფერს კარგს მოასწავებდა, ეს ყველასათვის ცხადზე უცხადესი იყო, ვინც კი არ არის რუსული ყალბი ოპტიმიზმით მოწამლული. თავისთავად ცხადი იყო, რომ ის კაცი, რომელიც პირველი სათათბიროს გარეკვას ისე გულგრილად თურმე დაუხვდა, რომ მთელი დღე და ღამე ძილში გაატარა, ის კაცი, რომელმაც იმ გაცხარებულ დროში ორასზე მეტი დეპეშა დასტოვა გაუხსნელი თავის სამინისტროს კაბინეტში, ამგვარი კაცი კარგს არას მოუტანდა ქვეყანას, იგი იქნებოდა მარტო და მხოლოდ აღმასრულებელი გულგრილი და წარბშეუხრელი ყოველივე რეაქციონური ზომისა, რა გინდ უცნაური არ ყოფილიყო ეს ზომა“.

შემდეგ ქვევით: „გორემიკინმა არც აცივა, არც აცხელა და პირ-

ველი ნაბიჯითვე დაგვიმტკიცა, რომ იგი თავს რაცხს ყოველგვარ პასუხისმგებლობის გარეშე. მას თავი კანონგარეშე მიაჩნია და, რასაკვირველია, კანონზე მაღლა უჭირავს თავი: მან განაცხადა, რომ სათათბიროსა და საბჭოს არა აქვთ უფლება შეეკითხონ მას, როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო კერძოდ ამა თუ იმ მინისტრს შეუძლია მიმართონ..." ამონაწერის მოყვანას არ გავაგრძელებ, დასაწყისი სტატიისა თუ ასეთია, შემდეგ რა იქნება, აღვილი წარმოსადგენია. რადგანაც სიტყვამ მოიტანა, ერთი რამეც უნდა აღვნიშნო: გაზეთ „ჩვენი ერის“ რედაქტორ-გამომცემელი მე ვიყავი. ნომერი გამოვიდა თუ არა, მეორე დღეს ცენზორმა დამიბარა და მითხრა: „თქვენი გაზეთის მოწინავე — ახალი კურსი“ დიდი დაკვირვებით წავიკითხე და თქვენმა რედაქციამ თავისი საკუთარი კურსი თუ არ შეიცვალა და სხვა ტონით წერა არ დაიწყო, ეს თქვენ კარგს არაფერს გიქადით და გამიფრთხილებინართო“. ამჯერად საქმე მშვიდობიანად დამთავრდა.

კ. აბაშიძე დიდად განათლებული და განვითარებული კაცი იყო. თავისუფლად ლაპარაკობდა რუსულ და ფრანგულ ენებზე, რაც მაშინ იშვიათი მოვლენა იყო. პარიზიდან ჰქონდა გამოწერილი რამდენიმე ეურნალი და გაზეთი. სისტემატურად იწერდა ფრანგულ წიგნებს და იმდროინდელ ფრანგ მწერლებს ანატოლ ფრანსისა და სხვებს დედნებში კითხულობდა. მას იშვიათად შეხვდებოდით ისე, რაიმე ახალი წიგნი ხელში რომ არ კავებოდა, თვითგანვითარებაზე განუწყვეტლივ მუშაობდა; როცა მასთან მუსაიფობდით, მისი ცოდნა ყოველთვის გზიბლავდათ და ლაპარაკი გიზიდავდათ. მშვენიერი მოქართულე იყო და შესანიშნავი ორატორი. როცა მის ლექციებს ისმენდით, არ ღაღადებოდით. კიტა ნამდვილი ქართული ტიპის ორატორი იყო, თუ შეიძლება ასე გამოითქვას, ლაპარაკის დროს მუდამ იცავდა ქართული მეტყველების იერსა და სპეციფიკას. თავისუფლად იდგა კათედრის მარცხენა კიდეზე, მარცხენა ხელს კათედრაზე ჩამოსდებდა, მეორე კი თავისუფლად ჰქონდა. ლაპარაკობდა საშუალოზე მაღალი ტონით, იყენებდა ინტონაციებს, მაგრამ მისი ხმა არასდროს ყვირილში არ გადადიოდა და არც ჩურჩულამდე ჩამოვიდოდა. სიტყვებს ისე მკაფიოდ გამოთქვამდა, რომ არც ერთი ბგერა არ იკარგებოდა, სიტყვებს არ ეძებდა, ლაპარაკობდა ფიგურულად, ზომიერი სიღინჯით და საჭიროების კვალობაზე აღფრთოვანებით, ექსტიკულაციებს არ მიმართავდა, ერთადერთი მისი ექსტი იყო მარჯვენა ხელის გაქნევა და ისიც იშვიათად. როცა კიტა ლაპარაკობდა, თქვენ აშკარად გრძნობდით ქართული მეტყველების სილამაზეს და მიზიდაველობას. ჰო, ერთიც უნდა ითქვას: კიტა ზემო იმერეთიდან იყო, ზემო იმერლებს კი თავისებური აქცენტი აქვთ, მას ასეთი აქცენტის ნასახიც არ გააჩნდა. საერთოდ ვერც ხმაში, ვერც სიტყვების გამოთქმაში და ვერც სიტყვიერ მასალაში რაიმე კუთხურობას ვერ შეამჩნევდით... დამსწრენი ყოველთვის გულდასმით უსმენდნენ, მხურვალე ტაში-

თაც ავილდოვებდნენ, რაც ზოგჯერ ოვაციებში გადადიოდა და დარბაზშიდანაც ცოდნით დატვირთულნი გადიოდნენ.

არასდროს დამავიწყდება, კიტას ერთ-ერთ ლექციას მე და პოეტის დომენტი თომაშვილი დავესწარიით. ერთმანეთის გვერდით ვისხედით. ლექციის დამთავრების შემდეგ, რომ მოვდიოდით, მან მითხრა:

— შესანიშნავი მექართულეა კიტა. მის ლექციაზე უნებლიედ გამივლის ხოლმე აზრი, როცა თამარ მეფის დროს დარბაზში შეიქმნა და დარბაზილები სალაპარაკოდ გამოვიდოდნენ, ალბათ, ასე დინჯად, ასეთი კარგი ქართული ენით და ასე მიმზიდველად საუბრობდნენ. კიტა უეჭველად დაამშვენებდა ქართულ პარლამენტს, რომ გვექონდეს. რაც მართალია, მართალია, შესანიშნავი ქართული იერის ორატორიაა-ო.

არა მართო დ. თომაშვილი იყო ასეთი აზრისა კიტა აბაშიძის ორატორულ ნიჭზე, არამედ სხვებიც და სწორედ ამიტომ გაიძახოდა ყველა „საქართველოს ოქროპირიაო“. მართლაც საქართველოს ოქროპირი იყო და ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ბევრჯერ მომისმენია და მისი მეტყველებით დავმტკბარავარ.

კ. აბაშიძე ქართულ ლიტერატურას ფხიზლად ადევნებდა თვალყურს და თუ რომელიმე ახალგაზრდას შეამჩნევდა ნიჭს, მას რჩევა-დარიგებას აძლევდა, ურჩევდა ესა და ეს წაიკითხეო და სხვა. ზოგის შესახებ კრიტიკულ წერილსაც ათავსებდა პრესაში, აქებდა, აქეზებდა და კარგ მომავალს უქადადა. ზოგს მისი ასეთი მოქმედება არ მოსწონდა და უსაყვედურებდა: „უღირსად აქებ“-ო.

მახსოვს ასეთი ამბავი. კიტამ მწერლობაში ახლადფეხმდგმულ სანდრო შანშიაშვილზე რომელიღაც გაზეთში წერილი მოათავსა, შეაქო და კარგი მომავალი უწინასწარმეტყველა. ეს ამბავი იუმორისტულ ჟურნალის „ეშმაკის მათრახის“ რედაქციას არ მოეწონა და ერთ-ერთ ნომერში ასეთი კარიკატურა გამოაქვეყნა: მიწაზე პირალმა დაგორებულა სანდრო შანშიაშვილი, ფეხები მუხლებში აქვს მოკეცილი და მძლავრა აწეული, მუცელი აქვს გამობერილი და თვალები გადმოქაჩული. კიტა აბაშიძე მას თავზე ადგას, ხელში რეზინის მილი უჭირავს, მისი ერთი თავი სანდროს პირში აქვს ჩადებული, მეორე თავი კი კიტას. კიტას ყბები აქვს გამობუმტული და რაც ძალი და ღონე შესწევს სანდროს ბერავს. კარიკატურას აქვს შესაფერი მინაწერი, მაგრამ, სამწუხაროდ, ტექსტის შინაარსი არ მახსოვს... უეჭველად, კარგი კარიკატურა იყო. ყველას მოეწონა. თვით კიტამ რომ ნახა, ბევრი იცინა და ბოლოს თქვა: „ნიჭიერად დამუშავებული კარიკატურაა, მაგრამ ამან შეიძლება ახლად დამწყებ პოეტზე იმოქმედოს და მწერლობაზე გული აიცრუვოს. ახალგაზრდა მწერალს ხელის შეწყობა უნდა და არა მასხარად ავდებ“-ო.

ს. შანშიაშვილზე არაფერს ვიტყვი, მან ჩვენს ლიტერატურაში სა-





ხელი, მართლაც, მოიხვეჭა და საპატიო ადგილიც დაიკავა, მაგრამ ტას ზოგჯერ პროვანოზი არ უმართლებდა და მისგან შექებული ზოგიერთი მწერალი ან ერთ წერტილზე იყინებოდა, ანდა ზოგჯერ სამწერლო ასპარეზს სულ ერთიანად სცილდებოდა. მე შემეძლო რამდენიმე ასეთი მწერლის დასახელება, მაგრამ ამას არ გამოვუდგები, ეს, ვფიქრობ, ლიტერატურის ისტორიის საქმე უფროა, ვიდრე მემუარისტისა.

იმ დროინდელი ჩვენი ახალგაზრდა მწერლების კარგა მოზრდილი ნაწილი ფიზიკურად ადევნებდა თვალყურს დასავლეთ ევროპის მხატვრულ ლიტერატურას: იქ ფეხს აიდგამდა თუ არა რაიმე ახალი ლიტერატურული მიმართულება, მას ჩვენშიც გაუჩნდებოდნენ მიმდევრები. იტალიაში გაჩნდა თუ არა ფუტურისტიზმი მარინეტის მეთაურობით, მისი თანამგრძნობნი ჩვენშიაც აღმოჩნდნენ, პრესაში სტატიებიც გამოქვეყნდა ფუტურისტების მანიფესტზე, ფუტურისტიზმზე და მის სულისჩამდგმელ მარინეტიზე. დასავლეთ ევროპაში გაძლიერდა თუ არა სიმბოლიზმი, ჩვენს ახალგაზრდა მწერლებშიც გამოჩნდნენ ამ მიმართულების გულმხმარებელი მიმდევრები და მედგარი დამცველები. ყველა ეს ნოვატორი მწერალი პროპაგანდას ეწეოდა ჩვენს საზოგადოებაში. ისინი სცემდნენ თავის ბეჭდვით ორგანოებს, როგორც იყო მაგ: „ცისფერი ყანწები“ და „ოქროს ვერძი“, კითხულობდნენ საჯარო ლექციებს, მართავდნენ სალიტერატურო საღამოებს, აწყობდნენ თანამგრძნობთა შეკრებებს — უმთავრესად კაფე-რესტორნებში და სხვა.

ეს ახალგაზრდა მწერალი-ნოვატორები არა მარტო ნაწარმოების შინაარსით, წერის მანერით და ფორმით ბაძავდნენ თავიანთ დასავლეთელ კოლეგებს, არამედ გარეგნობითაც ცდილობდნენ ისე ჩაეცვათ, როგორც დასავლეთ ევროპის ნოვატორი მწერლები იცვამდნენ, იკეთებდნენ ყელსახვევს (ჰალსტუხს) ისეთსა და ისეთნაირად, როგორც დასავლეთ ევროპის ნოვატორები... ჩვენები ცდილობდნენ ხასიათით და ცხოვრების მანერებითაც მიემაძათ მათთვის. გვარს იტოვებდნენ ქართულს, ზოლო სახელებს იტალიურ ან ფრანგულ ყაიდაზე იკეთებდნენ. ამით ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ ისინი ძველი „დამყაყებული სკოლის“ მწერლები კი არ არიან, არამედ ახალი სიტყვის უბადლო ოსტატები.

დავასახელებთ ამათგან რამდენიმეს: პოეტები პაოლო (ანუ პავლე) იაშვილი, ტიციან (ტიტე) ტაბიძე, კოლაუ (ნიკოლოზ) ნადირაძე, ივ. ყიფიანი, მწერალი ნიკოლო (ნიკოლოზ) მიწიშვილი და სხვა. რასაკვირველია, იყვნენ ისეთი მწერლებიც, ამათი დასიდან, სახელი არ შეუკეთებიათ... ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ერთი საყურადღებო მოვლენა: ამ ნოვატორ მწერალთა მეტი ნაწილი ქუთაისში ცხოვრობდა. აქ იყო მათი ციხე-სიმაგრე და მათს იღებებს, როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და კუთხეში აქედან ავრცელებდნენ. დროგამოშვებით ჯგუფ-ჯგუფად თბილისს ეწვეოდნენ. აქ ახმაურდებოდნენ — გამართავდნენ ლექციებს, ან სალიტერატურო საღამოებს... ასეთ

მოგზაურობას ისინი ეძახოდნენ „თბილისის მწერლებზე თავდასხმას“  
ჩვენი ინტელიგენცია და, საერთოდ, მოაზროვნე საზოგადოება,  
მცირედის გამოკლებით, ამ ლიტერატურულ „იხმებს“ არ იწონებდა და  
აუვად იხსენიებდა ასეთი მიმართულების მწერლებს. ლიტერატურული  
კრიტიკოსები მათ დაუნდობლად ებრძოდნენ... მათგან განზე იყო დარ-  
ჩენილი კიტა აბაშიძე. იგი მათ არც აქებდა და არც აძაგებდა. მისი, რო-  
გორც კრიტიკოსის აზრი კი ყველას აინტერესებდა. მწერლები ამ სა-  
კითხზე ლაპარაკს ხშირად ჩამოუვლებდნენ და თხოვდნენ, თავისი აზრი  
გამოეთქვა წერილობითი სახით, მაგრამ კიტა განაგრძობდა მაინც მდუ-  
მარებას. ნოვატორები კიტას სიჩუმეს ხსნიდნენ მხარის დაჭერად, „სი-  
ჩუმე თანხმობის ნიშანია“-ო, გაიძახოდნენ; სხვები კი ამბობდნენ —  
„ჯერ უცდის, ეს ახალი მიმართულებები რა სახეს მიიღებენ და მერე  
ამოიღებს ხმას“-ო. ამ ბანაკიდან ზოგი კიტას სიჩუმეს „თანხმობის ნიშ-  
ნად“ თვლიდა გადაჭრით.

იტალიაში არსებობს ერთნაირი რესტორნები, რომელსაც „ტრატო-  
რიას“ უწოდებენ. ისინი პატარა კლუბებს მოგავგონებენ. აქ იკრიბებიან  
სხვადასხვა წოდების, მდგომარეობისა და პროფესიის ადამიანები. ვარ-  
და ჭამა-სმისა, ისინი ერთობიან მსჯელობით სხვადასხვა საინტერესო  
საკითხების გარშემო. აქვე ზოგჯერ დისპუტებიც იმართება, რასაც იქ  
მყოფნი უსმენენ და ზოგჯერ კამათშიც ერევიან და სხვა. 1913—1914  
წლიდან თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში გაჩნდა რამდენიმე, ტრატო-  
რიის მაგვარი კაფე, ან კაფე-რესტორანი. პირველ ხანებში ისინი მხო-  
ლოდ თავის პირდაპირ მოვალეობას ასრულებდნენ, შემდეგ კი ზოგიერთ-  
მა მათგანმა სახე და შინაარსი იცვალა. აქ დაიწყეს სიარული და თავის  
მოყრა მწერლებმა, სხვადასხვა დარგის ხელოვნების მუშაკებმა, პოლი-  
ტიკურმა და საზოგადო მოღვაწეებმა. ბოლოს ამ კაფეებით სხვებიც  
დაინტერესდნენ და დაიწყეს სიარული მაშინდელი მოაზროვნე საზო-  
გადოების, ე. წ. ბრწყინვალე წოდების და ბურჟუაზიული საზოგადო-  
ბის წარმომადგენლებმაც. ამ კაფეებში ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ მოსულნი  
და, გარდა ჩვენებური ქეიფისა, მსჯელობდნენ სხვადასხვა საკითხებზე.  
უმთავრესად მწერლობასა და ხელოვნებაზე, და ზოგჯერ ეს ჯგუფური  
მსჯელობა საჯარო მსჯელობად იქცეოდა. ჯგუფური მსჯელობის საგანი  
ხშირად პოლიტიკური თემებიც იყო.

ერთ ასეთ კლუბად ქვეული კაფე-რესტორანი ქუთაისშიც არსე-  
ბობდა. ის მოთავსებული იყო თეატრის შენობის პირდაპირ, სწორედ იმ  
დარბაზებში, სადაც ახლა წიგნის მაღაზიაა და ეკუთვნოდა კერძო პირს.  
ამ კაფე-რესტორნის მუდმივი სტუმრები გახდნენ ჩვენი ახალგაზრდა  
ნოვატორი მწერლები — პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, კოლაუნა-  
დირაძე და სხვები. შემდეგში მათ მიემატნენ სხვა მწერლებიც. ისინი აქ  
ერთმანეთს ეკამათებოდნენ. მათი თამადა (უმთავრესად პ. იაშვილი იყო)  
სვამდა ოფიციალურად სადღეგრძელოებს სამშობლოზე, მწერლობაზე,

ხელოვნებაზე და სხვა. წარმოსთქვამდნენ ექსპრომტად ლექსებს, რომლებიც მოთქმულ საღვთაობებთან დაკავშირებით. ასეთი ექსპრომტები ძლიერ ეხერხებოდა, მისი დიდი ოსტატი იყო პაოლო იაშვილი. ასეთმა შეკრებამ თანდათანობით სისტემატური ხასიათი მიიღო და ბოლოს მომსულელთა კონტინგენტი გაიზარდა და მრავალფეროვანი გახდა. ვის არ წააწყდებოდით აქ — ექიმი გინდათ, მასწავლებელი, ადვოკატი, ინჟინერი, მოქვიფე არისტოკრატიის წარმომადგენელი თუ ბურჟუაზიის ის წარმომადგენელი, რომელნიც საზოგადო მოღვაწეებად და მოწინავე ადამიანებად თვლიდნენ თავს და სხვებიც.

ერთ საღამოს კიტა აბაშიძე და მისი რამდენიმე მეგობარი კაფეს ესტუმრნენ. იქვე აღმოჩნდნენ ჩვენი ფუტურისტი თუ სიმბოლისტი მწერლები, რომელნიც ერთმანეთზე მიდგმული რამდენიმე მაგიდის გარშემო ისხდნენ; იყვნენ სხვა მწერლებიც. კაფე სავსე იყო სტუმრებით. კიტამ და მისმა მეგობრებმა ცალკე მაგიდა დაიკავეს. პაოლო იაშვილი და მისი კომპანია მხიარულ ხასიათზე არიან. კარგა ხანმა გაიარა. მათი თამადა პაოლო იაშვილი წამოდგა და კიტას ხმამალა მიმართა სიტყვით. მოხდენილი და ცეცხლოვანი სიტყვა წარმოსთქვა, რაც მისთვის ჩვეული ექსპრომტით დაამთავრა. საზოგადოებამ ორატორი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. კიტას სიტყვით სხვებმაც მიმართეს. საზეიმო განწყობილება სუფევდა. კიტა იძულებული შეიქნა სამდლობო თუ საპასუხო სიტყვით გამოსულიყო და ბრწყინვალე სიტყვაც წარმოსთქვა. მას მერმე აგერ 48—49 წელი გავიდა, ამიტომ არ შემოძლია შინაარსის დაწვრილებით აღდგენა, მოკლედ კი შემდეგი თქვა (რაც მესხიერებაში ჩამრჩა, იმას ვწერ): დაახასიათა ჩვენი იმდროინდელი მწერლობა და შეეხო იმას, თუ მწერლობამ რა როლი უნდა შეასრულოს ჩვენი ხალხის ეროვნულად და პოლიტიკურად გათვითცნობიერების საქმეში. დაახასიათა ჩვენს მწერლობაში არსებული მიმდინარეობები და ხაზი გაუსვა იმას, თუ ცალკე მათგანი, მიმდინარე ეტაპზე როგორ ეხმაურება მწერლობის დანიშნულებას. ბოლოს გადავიდა ფუტურისტებზე და სიმბოლისტებზე. აღნიშნა, რომ იგი არც ერთ მათგანს არ ებრძვის და არც იწონებს. ეს ახალი მიმართულებები ჩვენში ევროპიდან შემოვიდა. ჩვენ ასეთ შემოჭრას „უნდა მივესალმოთო“ თქვა და განაგრძო — ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი ქვეყანა, მიუხედავად ეროვნული შევიწროებისა, ჩამორჩენილი არ არის, ფხიზლად ადევნებს თვალყურს კულტურულ ერთა ცხოვრების მაჯისცემას და ცდილობს მათ უკან არ ჩამორჩეს და ფეხდაფეხ მიჰყვეს, სწორედ ამით არის საყურადღებო ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში (ასე ეძახოდნენ მაშინ მხატვრულ ლიტერატურას) ახალი მიმართულებების შემოჭრა, მას ბევრი ნიჭიერი მწერალი მიემხრო და ბევრს წერენ. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბევრი რამ გაუგებარი ქვეყნდება და ხალხს მათი არაფერი ესმის. მწერლობა კი

ხალხს უნდა უნათებდეს გზას, ჩვენი ახალი სკოლების მიმდევარ მწერლები, თუ თავის გზას ბრმად არ გაჰყვებიან და თავის აზრს, თავის იდეებს ხალხის გასაგებად გამოთქვამენ, აი, მაშინ იქნებიან ისინი საქები და მისასალმებელი. ჩვენი ახალი მწერლობა ჯერ კიდევ ძიების პროცესში იმყოფება. ის ჩვენებური მაჭარის მდგომარეობაშია. მაჭარი როცა დადულდება და ღვინოდ დადგება, მის ღირსებანაკლოვანებას მაშინ აფასებენ. ჩვენი ახალი სკოლის მწერლობაც როცა დადულდება, ე. ი. ძიებას დაამთავრებს და ჩვენ ცხოვრებასთან შეფარდებულ გარკვეულ გზას საბოლოოდ დაადგება, მხოლოდ მაშინ შეიძლება მის შესახებ მიუდგომელი ლაპარაკი და ობიექტური შეფასების მიცემაო. სიტყვა დაამთავრა იმით, რომ მათ უსურვა, რაც შეიძლება დაჩქარებით საკუთარი გზის გამოძებნა, კალაპოტში ჩადგომა და სხვა...

ვიმეორებ, ამჟამად ჩემთვის ძნელია კიტას სიტყვის დაწვრილებით აღდგენა. მეხსიერება ამის საშუალებას არ მაძლევს... მაგრამ მახსენდება ის, რომ ჩვენი საყვარელი ბელეტრისტი დ. კლდიაშვილი კიტა აბაშიძის მიერ იმ დღეს კაფეში წარმოთქმული სიტყვის შესახებ თავის მოგონებებში ამბობს „მშვენიერი“ იყოო. მეც მინდა მას კვერი დავუკრა და ვთქვა: იმ დღეს კიტას სიტყვა, მართლაც, მშვენიერი იყო და ორატორული ხელოვნების შედევრად შეიძლება მიჩნეულ იქნეს... სამწუხაროა, რომ ამ სიტყვის სტენოგრამა არ არსებობს.

მესამოცე წლების მწერლებიდან კ. აბაშიძე განსაკუთრებით დიდად აფასებდა ი. ჭავჭავაძეს და ა. წერეთელს. მათზე ძვირს ვერ ათქმევინებდით... „ილია ჭავჭავაძე საქართველოს ტვინია, აკაკი წერეთელი კი — სული“-ო, იცოდა თქმა. მათ შესახებ თუ ვინმე დაიწყებდა რაიმე შეურაცხყოფის მსგავსის ლაპარაკს, ამოღებული ხმალივით აღიმართებოდა და შეებრძოლებოდა. „მათზე აუგის თქმა, ჩვენი ხალხის ეროვნული შეურაცხყოფა არის და არავის ეპატიება“-ო, იტყოდა ხოლმე.

ილიას წინააღმდეგ ამხედრება ჩვენში წესად შემოვიდა მას შემდეგ, როცა შემოღებული იქნა მისი დაბადების თარიღის ყოველწლიურად აღნიშვნა თბილისსა და ქუთაისში სალიტერატურო საღამოების გამართვით. ილიასადმი მიძღვნილი საღამოები დიდძალ ხალხს იზიდავდა. საღამოები იწყებოდა რეფერატით. ასეთი რეფერატი თვით კიტასაც არა ერთხელ წაუყითხავს საღამოსთან დაკავშირებით, როგორც ქუთაისში, ისე თბილისში. გაიმართებოდა თუ არა საღამო, მეორე დღიდან ატყდებოდა კამათი ილია ჭავჭავაძის მწერლობისა და მოღვაწეობის გარშემო. ერთი ჯურის მწერალ-მოღვაწეები ამხედრდებოდნენ ილიას წინააღმდეგ და მის მიწასთან გასწორებას ლამობდნენ. მათი ასეთი გამოსვლების წინააღმდეგ და ილიას დასაცავად გამოდიოდნენ სხვადას-

სხვა მიმართულების მწერალ-მოღვაწენი. ეს კამათი თვეობით გრძელდებოდა. 1912 წლის მიწურულიდან კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო და ძლიერაც გახანგრძლივდა. 1913 წლის ზამთრის პერიოდში კ. აბაშიძემ დააგროვა მასალები და დაწერა ვრცელი სტატია საკითხზე, რაც შემდეგ გამოაქვეყნა ქუთაისის გაზეთ „ერის“ რამდენიმე ნომერში. ამ სტატიის სათაური იყო „ჯვარს აცე, ჯვარს აცე ეგე“, ის გამოაქვეყნა ფსევდონიმით — „ერთი პილატეთაგანი“. ავტორმა აქ შეაჯამა მთელი მიმდინარე კამათი, ყველა წამოჭრილ საკითხებს გასცა დასაბუთებული პასუხი. სტატიებმა ყველაზე და, ასე გასინჯეთ, მოწინააღმდეგეებზეც ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა და ილიას შესახებ კამათი ამჯერად დროებით შეწყდა. გაზ. „ერი“ მცირე ტირაჟით გამოდიოდა, რაღაც 1500 ცალის ოდენობით. სტატიებს მკითხველი კი საქართველოს ყოველ კუთხეში ბევრი გამოუჩნდა, ამიტომ რედაქციას მოსდიოდა წერილები. ღაინტერესებული პირები მოითხოვდნენ გაზეთის იმ ნომრებს, რომლებშიც მოთაყვებული იყო „ერთი პილატეთაგანის“ სტატიები. ამ გარემოებაში მაფიქრებინა სტატიების ცალკე წიგნაკად გამოცემა და გამოვეცი იმავე წელს. სულ დაიბეჭდა 1200 თუ 1300 ცალი წიგნაკი და რაღაც სამი კვირის განმავლობაში გაიყიდა, მაღაზიებში არც ერთი ეგზემპლარი არ მოიპოვებოდა. მერე კი ვწუხდი, მეტი ტირაჟით რომ არ გამოვეცი, მაგრამ გვიანლა იყო.

დიდ პოეტს აკაკი წერეთელს კიტა პირდაპირ თაყვანს სცემდა. მას „ჩვენი ხალხის გულის მესაიდუმლეს“-ს ეძახდა და მისი ეს გამოთქმა საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა. აკაკი და კიტა ძალიან დიდხანს იყვნენ კარგსა და ახლო დამოკიდებულებაში, ხოლო შემდეგ კი, ასე 1909 თუ 1910 წლიდან მათ შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა, უკეთესი იქნება ვთქვათ, აკაკი მას აღუმხედრდა და დაემდურა, კიტას კი თავის მხრივ აკაკიზე გული არ შეუცვლია და ცუდად არსად არ იხსენიებდა. აკაკის უკმაყოფილება და სამდურავი სრულს გაუგებრობაზე იყო აგებული. საქმე ასე იყო: აკაკიმ შეიტანა განცხადება ჭიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის გამგეობაში და ითხოვა ყოველთვიური პენსიის დანიშვნა. როგორც აღვნიშნე, ბანკის გამგეობის თავმჯდომარე იყო კ. აბაშიძე. გამგეობაში საკითხის გარჩევის დროს კიტამ განაცხადა: აკაკის ჭიათურის შავი ქვის აღმოჩენასთან დაკავშირებით პენსია უეჭველად ეკუთვნის, მაგრამ უბედურება ის არის, ბანკს პენსიის დანიშვნის უფლება არა აქვს, ბანკის წესდებით ასეთი ხარჯების გაწევა გათვალისწინებული არ არის და ასეთი რამ გამგეობამ კიდევ რომ დაადგინოს, ფინანსთა მინისტრი არ დაამტკიცებსო. საკითხი გადავიტანოთ შავი ქვის მრეწველთა საბჭოში. მრეწველთა საბჭო ვალდებულია აკაკის დაუნიშნოს პენსია, ამის საშუალება მას აქვს და უარსაც ვერავინ ეტყვისო. გამგეობაც კიტას დაეთანხმა და გადაწყდა საკითხი გადატანილი იქნას მრეწველთა საბჭოში... როგორც ზემოთ აღვნიშნე, კიტა იქ



საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო. საკითხი, როგორც ვხედავთ, რიდიულად და პრაქტიკულად სწორად იყო დაყენებული და საეჭვოც არაფერი იყო, მაგრამ კ. აბაშიძის მტრებმა (და მას კი ბევრი მტერი ჰყავდა) ამ მომენტით ისარგებლეს; აკაკის ჩააგონეს, რომ ბანკმაროცა პენსიის დანიშვნაზე უარი გითხრა, ამაში დანაშაული კიტას მიუძღვისო, სხდომაზე წინააღმდეგი იგი წავიდაო. საკითხის მრეწველთა საბჭოში გადატანა დიპლომატიური ხრიკია, იქაც ხომ კიტა არის და პენსიის საქმეს იქაც ჩააფლავებსო. აკაკიმ ასეთ მტერ-მოყვრების მოტანილ სიტყვებს დაუჯერა და კიტას დაემდურა. სწორედ ამ დროს იყო, მან კიტას შესახებ რომ თქვა — „სოფელ კაცში ხე არ იზრდება სწორი და კაცი როგორ გაიზრდება“-ო... აკაკის ნათქვამი სწრაფად გავრცელდა ხალხში. მტერ-მოყვრებს კიტასთანაც მიჰქონდათ ამბად აკაკის ნათქვამი. გადასცეს კაცხის ხის ამბავიც, მაგრამ მას აკაკის ძვირი მიანცვერ დააცდენინეს. კიტა ხშირად იტყოდა: „აკაკი მე უსამართლოდ მეპყრობა, მაგრამ ამაში დამნაშავე არიან ჩემი მტრები, რომლებიც აკაკის სუსტი ხასიათითა და მოხუცებულობით სარგებლობენ და გულში ჩემს სიძულვილს უნერგავენ. იციან აკაკის გავლენა ხალხში, ამიტომ ყოველივე უმართებულოს ალაპარაკებენ ჩემს წინააღმდეგ და ამით სურთ, ხალხში სახელი გამიტეხონ“-ო. კიტა ბევრჯერ შეეცადა აკაკისთან საერთო ენა გამოეძებნა და შერიგებოდა, მაგრამ იმავე მტერ-მოყვარეთა მეოხებით ყოველი ასეთი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა. აკაკი ისე გარდაიცვალა, რომ მას ხმას არ სცემდა, ხოლო კ. აბაშიძე ბოლომდე მისი ერთგული დარჩა.

თარიღი თუ არ მეშლება, 1914 წ., ცნობილი პუბლიცისტიკისა და პოლიტიკური მოღვაწის ლედნიცკის მეთაურობით ქ. კიევში დაარსდა ჟურნალი „ნაროდნოსტი როსიი“. ჟურნალი მიზნად ისახავდა დაწვრილებით შეესწავლა რუსეთის იმპერიის საზღვრებში შემავალი პატარა ერების კულტურული და ეკონომიური მდგომარეობა, მათი მიზნები და მისწრაფებები და გამოერკვია ის, თუ, ვინცობაა, სახელმწიფოში რომ წამოიჭრეს პატარა ერთა მართვა-გამგებლობის სფეროში ეროვნული რეფორმების ჩატარების საკითხი, რომელი ერი რა მომზადების დონეზე დახვდება და რომლისთვის როგორი მმართველობის სისტემა იქნება შესაფერი. ამ ჟურნალის მუდმივ თანამშრომლებად მიწვეულნი იყვნენ ეროვნული საკითხის კარგად მცოდნე პირები, მათ შორის პროფესორი გრუშევსკი, რომელსაც პოლიტიკურ სფეროებში უწოდებდნენ — „ოტეც რუსკოი ფედერაციი“, პროფესორი ბოდუნ დე კურტენე და სხვები; აგრეთვე თანამშრომლებად მიწვეულნი იყვნენ ყველა, ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებული სოციალისტურ პარტიათა ცნობილი წარმომადგენელნი. საქართველოს სოც.-ფედერალისტების პარტიიდან მიიწვიეს კიტა აბაშიძე. მან ჟურნალში რამდენიმე სტატია მოათავსა საერთოდ ეროვნულ საკითხზე და კერძოდ,

საქართველოს ავტონომიაზე. ის იცავდა ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას, დაფუძნებულს რეალური მოსახლეობის პრინციპზე. მისმა სტატიებმა იმ დროს ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, განსაკუთრებით პრესაში.

მიმდინარე საუკუნის ათიანი წლებიდან გრანატის გამომცემლობამ დაიწყო ოქტომიანი ენციკლოპედიური ლექსიკონის გამოცემა. რედაქციამ თანამშრომლად საქართველოდან კ. აბაშიძეც მიიწვია. ქართულ ლიტერატურაზე და სხვა ზოგიერთ საკითხებზე წერილები მას ეკუთვნოდა. დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია აქ ერთმა გარემოებამ: მისი ერთ-ერთი წერილის ერთი ადგილი ეხებოდა იმდროინდელ ქართულ ფილოსოფიას. ფილოსოფოსებად დაასახელა არჩილ ჯორჯაძე, დიმიტრი უზნაძე (შემდეგში აკადემიკოსი) და კიდევ რომელიღაც პირი. ბევრს კიტას მიერ ასე თამამად გამოთქმული აზრი არ მოეწონა, ამიტომ უსაყვედურებდნენ და გაიძახოდნენ: „კიტა აბაშიძემ საქართველოს ახალგაზრდა ფილოსოფოსები შეუქმნა და ისინი თაროზე წამოასკუბა“-ო.

1916 წ. ზაფხულში ამხანაგებმა ავადმყოფი გიორგი ზღანოვიჩი-მაიაშვილი, ექიმების რჩევით, ქობულეთში ჩაიყვანეს და მთელი ზაფხული იქ გაატარა. გიორგი და კიტა გულითადი მეგობრები იყვნენ. კიტა ათასში ერთხელ თუ ჩავიდოდა ქუთაისში სამსახურის საქმეების გამო, თორემ მუდამ ქობულეთში იმყოფებოდა, განუწყვეტლივ ადგა ავადმყოფს თავზე და მოვლა-პატრონობას უწევდა. იმ დროს გიორგისათვის სააგარაკოდ დაქირავებულმა სახლმა სალონის ხასიათი მიიღო. ავადმყოფის სანახავად სხვადასხვა კუთხიდან და ქალაქებიდან ბევრი პატივისმცემელი ჩამოდიოდა, ზოგი მათგანი ღამის გასათევად იქვე რჩებოდა. სანახავად დადიოდნენ ქობულეთში სააგარაკოდ ჩასული დამსვენებლებიც. იმართებოდა მსჯელობა სხვადასხვა საკითხზე: მწერლობაზე, ხელოვნებაზე, ომის მიმდინარეობაზე, საქართველოს მდგომარეობაზე და მის მომავალ პერსპექტივებზე. კიტა იქ მყოფთა შორის ცენტრალური ფიგურა იყო, მის გარშემო იყვნენ თავმოყრილი და გულდასმით უსმენდნენ. ხშირად კამათიც იმართებოდა. მე მაშინ ბათუმში ვცხოვრობდი და თითქმის ყოველ კვირა ჩავდიოდი გიორგის სანახავად. ასეთ შეკრებას ხშირად წავსწრებივარ, მივჯდებოდი ჩემთვის კუთხეში, ყველას ნალაპარაკებს გულისყურით ვისმენდი და იქიდან ახალი ცოდნით დატვირთული მივდიოდი ყოველთვის. უნდა ვაღიარო, რომ ამ შეკრებიდან მე ბევრი რამ შევიძინე და ამ წუთებს ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვიგონებ.

1917 წლის თებერვლის რევოლუციას კ. აბაშიძე ქუთაისში შეეგება. ქუთაისის ქალაქის თავმა ილია ჩიქოვანმა (მწერლობაში „ი. პონტელი“) მიიღო თუ არა ოფიციალური ცნობა დეპეშით რევოლუციის დაწყებისა და მეფის გადადგომის შესახებ, მაშინვე შავი ქვის მრეწ-



ველთა საბჭოსკენ გაექანა და იქ მყოფთ ეს მოულოდნელი ამბავი ახატა. იქ კი ამ დროს მსახურობდნენ ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეების ერთი ნაწილი და ნაწილი საზოგადო მოღვაწეებისა. ეს მოულოდნელი და სასიხარულო ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა ხალხში და მთავარ ქუჩაზე მოეწყო დემონსტრაცია ექსპრომტად. დემონსტრაციის მონაწილენი შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მიაღდნენ ამბების სისწორის გაგების მიზნით. შენობის აივანზე, ამხანაგების თხოვნით, კიტა გადმოდგა, ხალხს მიულოცა რევოლუციის გამარჯვება და მიესალმა. მან ლაპარაკი დაიწყო შემდეგი სიტყვებით: „ქრისტე აღსდგა! მრავალი საუკუნეების განმავლობაში ნაწამები ხალხი ამოქმედდა, მეფე გადმოაგდო ტახტიდან და მონობის ბორკილები დაამსხვრია“-ო და სხვა. მე თვით ეს სიტყვა არ მომისმენია, იმ დროს ბათუმში ვიყავი, მაგრამ ვინც მოისმინა, განურჩევლად პარტიულობისა, ყველა ერთად ლაპარაკობდა: კიტა აბაშიძის მისასალმებელი სიტყვა დიდი ექსტაზით და ორატორული გაქანებით იყო წარმოთქმული და მსმენელებზე წარუხოცელი შთაბეჭდილება დასტოვაო. ამჟამადაც ბევრია ცოცხალი იმათგან, ვინც ეს სიტყვა მოისმინა, ნეტარებით იგონებენ იმ ბედნიერ დღეს და კიტას სიტყვას ყველანი მაღალ შეფასებას აძლევენ.

როგორც ცნობილია, რუსეთის დროებითი რევოლუციური მთავრობის დადგენილებით დაარსდა ამიერ-კავკასიის სამხარეო კომისარიატი (ე. წ. „ობკომ“-ი), რომელსაც დაევალა ამ მხარის მართვა-გამგებლობა რუსეთის დროებითი მთავრობის დირექტივების მიხედვით. მას არ ჰქონდა დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმის უფლება. კომისრებად დანიშნეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ის დეპუტატები, რომლებიც არჩეულ იქნენ ამ თანამდებობაზე ამიერ-კავკასიის საარჩევნო ოლქში. სახელმწიფო სათათბიროს შრომის ფრაქციის და მის ხელმძღვანელთა რეკომენდაციით კომისრად დაინიშნა დამატებით კიტა აბაშიძეც, თუმცა ის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი არ ყოფილა. ის ამ თანამდებობაზე დაინიშნა იმ მოტივით, რომ ქუთაისის გუბერნიის დეპუტატი ვარლამ (კუჭიკო) გელოვანი ფრონტზე დაიღუპა თავისი მოვალეობის კეთილსინდისიერად ასრულების დროს. ქუთაისის გუბერნია უდებუტატოდ დარჩა და მაშასადამე ის პარტია, რომელმაც ის სახელმწიფო სათათბიროში გაგზავნა დეპუტატად, ტექნიკური მიზეზით მოკლებული იყო საშუალებას ამიერ-კავკასიის სამხარეო კომისარიატში თავისი წარმომადგენელი კომისარი ჰყოლოდა. მოტივი სამართლიანი იყო, მაგრამ თებერელის რევოლუციის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა სოც.-დემოკრატებმა-მენშევიკებმა კ. აბაშიძის კომისრობა სასურველად თუ ხელსაყრელად ვერ სცნეს და მის წინააღმდეგ კომპანია გააჩაღეს: მოითხოვდნენ მის განთავისუფლებას



კომისრის თანამდებობიდან. ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო. კიტხისედაც დაავადებული იყო გულის სნეულებით და მის წინააღმდეგ გაჩაღებულმა დაუნდობელმა ბრძოლამ ნერვები აუშალა, გულის დაავადება უფრო გაუძლიერა, ჩავარდა ლოგინად და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

## მემედ იბრაჰიმის ძე აბაშიძე

(1878—1941)

მემედ აბაშიძე პირველი აჭარელი მწერალი-პუბლიცისტი და მოღვაწე იყო, რომელიც დაულალავად იბრძოდა ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ ქრისტიანთა შორის „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენისათვის, მედგრად ილაშქრებდა იმ თურქოფილ აჭარელთა წინააღმდეგ, რომელნიც ცალი თვლით ოსმალოსაყენ იცქირებოდნენ, ამავე დროს ქართველი ერის მთლიანობის წინააღმდეგ ფარულადაც მოქმედებდნენ. ქედუხრელად იცავდა საქართველოს მთლიანობას რუსეთის მეფის მთავრობის შემოტევებისაგან, რომელიც მიზნად ისახავდა „გააცალკევე და იბატონეს“ პოლიტიკის განხორციელებას. ამის საფუძველზე აჭარლებს ქართველებად არ თვლიდნენ და თათრებად აცხადებდნენ. მ. აბაშიძე გმირულად მოქმედებდა ქართველი ერის მთლიანობისათვის და ბევრის გაკეთებაც შეძლო.

მემედ აბაშიძის სახელი და გვარი გავიგონე 1907 წელს, როცა ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორად იყო ბათუმის ოლქის ყოფილი უფროსი გენერალ-მაიორი სლავოჩინსკი. ის დიდი მოძულე იყო ე. წ. „ინოროდცებისა“ და „ტუზემცების“, მათ შორის ქართველებისაც. ვერაგი და ყალთაბანდი კაცი იყო, ამის გამოც ენამახვილმა ქუთაისელებმა გვარი შეუცვალეს და „სვოლოჩინსკი“ შეარქვეს. სლავოჩინსკი ჩამოვიდა და თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა თუ არა, კარგა ხნის შემდეგ ბათუმში მისი „მოღვაწეობის“ შესახებ სხვადასხვა ხმები გავრცელდა, ხოლო მათ შორის განსაკუთრებით ყურადღება მიიპყრო ერთმა ამბავმა, რაზეც მინდა შევჩერდე.

ბათუმის ე. წ. „რკინის თეატრში“ თურმე ხშირად იმართებოდა ჭიდაობა. ჭიდაობდნენ სხვადასხვა ეროვნების მოჭიდავეები. ფალავნებს გავლენიანი პირები მფარველობდნენ. ერთი ასეთი მოჭიდავე იყო აჭარელი, რომელიც მ. აბაშიძის ფალავნად ითვლებოდა, მეორე რომელიღაც მოჭიდავე ოლქის უფროსის სლავოჩინსკის ფალავანი იყო. 1905 წ. ერთ დღეს ამ ორი ფალავნის ჭიდაობა გაიმართა, თეატრი სავსეა მაყურებლებით. ერთ ლოქაში სხედან მემედი და მისი ამხანაგები, მეორეში კი — სლავოჩინსკი თავისი ამალით. ჭიდაობას ყველანი დაჰაბულად ადევნე-



ბენ თვალ-ყურს, ღელავენ. ბოლოს მემედის ფალავანმა სძლია და მტრის წინააღმდეგე წააქცია. მემედი ლოყიდან წამოდგა და თავის ფალავანს ტაში დაუკრა. ამ დროს გაბრაზებულმა სლავოჩინსკიმ მემედს შეაგინა და ქარქაშში ჩადებული ხმალი ზურგზე დაარტყა. მემედმა ეს ვერ მოითმინა, თავის ლოყიდან ისკუბა, სლავოჩინსკის ლოყაში ჩაუხტა და სილა გააწნა... ატყდა დიდი ჩოჩქოლი. საქმეში პოლიცია ჩაერია და მემედის დაპატიმრება მოინდომა. ამ დროს გაჩნდნენ შეიარაღებული ქართველი მაჰმადიანები და ქრისტიანები, მემედს გვერდში ამოუდგნენ, გამოექომაგნენ და პატიმრობას გადაარჩინეს... ამის შემდეგ მემედი მცირე ხნით გაიხიზნა, ხოლო როცა რევოლუციური მოძრაობა უფრო გაიშალა, მაშინ ისევ დაბრუნდა ბათუმში.

აი, ეს ამბავი ქუთაისში გავრცელდა. მემედ აბაშიძის პიროვნებით ყველა დაინტერესდა და მათ შორის მეც... „მემედ ბეგ აბაშიძის ნაცემი კაცი გვყავს ვუბერნატორადო“, ქუთაისში ხშირად გაიგონებდით.

(ჩვენ, ახალგაზრდებს კი მემედ აბაშიძე ეროვნული ინტერესების დამცველ გმირად მიგვაჩნდა.)

1916 წელს ისე მოეწყო ჩემი პირადი ცხოვრების პირობები, რომ უეჭველად ბათუმში უნდა გადავსახლებულიყავი. ასე, მაისის შუარიცხვებში ჩამოვედი თბილისში და „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში შევიარე. ვინახულე გაზეთის ხელმძღვანელი სამსონ ფირცხალავა (ფსევდონიმი „სიტყვა“). მე ამ გაზეთის კორესპონდენტად ვითვლებოდი, მაგრამ, „ცოდვა გატეხილი სჯობიაო“, ნათქვამია, არაფერს ვაკეთებდი. მიუხედავად ამისა, მაინც თავი მოვალედ ჩავთვალე, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა მეცნობებია. მას ეს ამბავი ესიამოვნა და იქაური კორესპონდენტობა დამავალა. გამომშვიდობებისას მითხრა: ხვალ ასე, საათის 12-ზე შემოიარე რედაქციაში, კორესპონდენტის მოწმობას მოგცემ და თანაც ერთ საინტერესო პიროვნებასთან შეგახვედრებო. მეორე დღეს დანიშნულ დროზე მივედი. შევედი ს. ფირცხალავასთან. ის საწერ მაგიდასთან იჯდა და ნელის ხმით ესაუბრებოდა მის პირდაპირ მჯდომ წარმოსადეგ ვაჟკაცს. მას კრაველის ქუდი ეხურა და ევროპული კოსტუმში ეცვა. ბრგე ტანი ჰქონდა, მკერდი წამოწეული, თვალეები ბრწყინვალე, კუნთებიანი ლოყები; საერთოდ, მთელი მისი სხეული ათლექტური შესახედაობისა იყო. შესვლისთანავე, დამინახა თუ არა ს. ფირცხალავამ, მიუბრუნდა მოსაუბრეს და უთხრა: „იცნობდე, ეს არის ჩვენი ზარმაცი კორესპონდენტი სერგო გერსამია, რომელზეც გესაუბრებოდი“. მერმე მე მითხრა: „ეს ჩვენი მემედ ბეგ აბაშიძეა, ალბათ, გაგიგონია, ვინც არის“... მემედის გაცნობა ძალიან მესიამოვნა, გაიღიმა და ხელი ჩამომართვა... მაგრამ ერთი რამ უნდა აღვნიშნო: ისე მაგრად მომიჭირა ხელი, რომ ძვლები მეტკინა... ეს კი მის ღონიერებაზე მეტყველებდა. საერთოდ, მემედმა მაგრად იცოდა ხელის

ჩამორთმევა, რაც შეეხება ლონეს, ისე ლონიერი იყო, რომ შურბანსა და სხვებს ლუნავდა. სამსონმა განაგრძო:

— აი, სწორედ ახლა ვლაპარაკობდით მემედი და მე სამაჰმადიანო საქართველოზე. მინდოდა მემედისა და შენი ერთად შეხვედრა და ეს პაემანიც აქ დავნიშნე. შენ, როგორც ჩვენი გაზეთის მუდმივმა კორესპონდენტმა, იცოდე ამ კუთხის ისეთი გულშემატიკერისა და მოამაგის აზრი, როგორიც არის ჩვენი მემედი.

— ძალიან მესიამოვნა, სამსონმა რომ მითხრა თქვენზე, ბათუმში მიდის საცხოვრებლადო, — თქვა მემედმა, — ცუდი დრო კი არის — თმია, მაგრამ სწორედ ამჟამად ერთი ინტელიგენტური ძალის მიმატებაც კი დიდი საქმეა. აჭარაში ბევრი რამ არის გასაკეთებელი, გამკეთებელი კი ცოტაა.

— თუ რისიმე გაკეთებას შევძლებ, ბ-ნო მემედ, გარწმუნებთ, ძალსა და ლონეს არ დავიშურებ! — მიუვუგე მე.

— აი, ახლა ვეუბნებოდი ბ-ნ სამსონს, — განაგრძო მან, — აჭარაში ფრთხილად უნდა მუშაობა. იქ აჭარელთა შორის 15-ოდე კაცი თუ კარგად ერკვევა იმაში, რომ სარწმუნოება სხვაა და ეროვნება კიდევ სხვა, ეს ორი მცნება ერთი და იგივე არ არის, ესეც დიდი საქმეა. ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა ფანატიკური მორწმუნეა. მას რომ უთხრა ქართველი ხარო, ეწყინება, რადგან ქართველობა ქრისტიანობის სინონიმი ჰგონია, მაგრამ კიდევ უფრო ეწყინება რომ უთხრა — თათარი ხარო და გეტყვის — მე თათარი კი არა, გურჯი ვარო. ხალხს კარგად ესმის, რომ ისლამის სარწმუნოებას, გარდა თათრებისა, თურქებისა და სპარსელებისა, სხვებიც აღიარებენ. ქართველი მაჰმადიანები, გურჯის სახელწოდებით, ყველა ამათგან იმიჯნებიან. ისინი გურჯობით ამაცობენ. ასეთი შეხედულება აჭარელთა შორის რამდენიმე ასეული წლის მანძილზე იკიდებდა ფეხს და ბოლოს მტკიცედ დამკვიდრდა. ახლა ერთბაშად მათ რომ მოთხოვო: რაც საუკუნეების განმავლობაში შეგითვისებიათ, ყველაფერს თავი დაანებეთო, მიზანს ვერ მიაღწევთ, პირიქით, „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენას დიდ ზიანს მიაყენებთ. საჭიროა შორიდან მოვლა, ფრთხილი პროპაგანდის გაწევა: მათ უნდა შევგნებოთ, რომ გურჯობა იგივე ქართველობაა, თუ მაჰმადიანობა არ ნიშნავს მაინცდამაინც თათრობას, ან თურქობას, ან კიდევ სპარსელობას, ისე ქრისტიანობაც არ ნიშნავს მხოლოდ ქართველობას, ქრისტიანები სხვებიც არიან — ბერძნები, რუსები, ფრანგები და სხვა. აი ასეთი შეგნება უნდა შევიტანოთ აჭარაში. იქ მომუშავეს არც ის უნდა დაავიწყდეს, რომ ბლომადაა ისეთი ელემენტები. რომელთაც აჭარაში ეროვნული შეგნების შეტანა მოსვენებას არ აძლევს და ისინი ხალხში პროვოკაციული ხასიათის ქსელს ფართოდ შლიან. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ჩვენს გაერთიანებას სხვადასხვა მაქინაციებით მთავრობაც ებრძვის და პროვოკატორებს ერთნაირ მფარველობასაც უწევს. აჭარა-

ში. სწავლა-განათლება და კულტურა უნდა შევიტანოთ და თანაფრთხილი აგიტაცია-პროპაგანდა ვაწარმოოთ, შეცდომების დაშვებას უნდა ვერიდოთ, თორემ შეცდომებს მტრები გააზვიადებენ და მოხერხებულად გამოიყენებენ ჩვენს წინააღმდეგ. — შემდეგ მიუბრუნდა ს. ფირცხალავას, თვალები ჩააკვესა და შეეკითხა: — რას იტყვი, ბ-ნო სამსონ, ვარ თუ არა მართალი...

— ყველაფერი მართალია, ჩემო მემედ... აი, ძმაო, კარგი ლექცია წავგიკითხა ორივეს. ყველაფერი ხომ გაიგონე? პრაქტიკულ მუშაობაში შენც ასე მოიქეცი და როცა წერილებს მოგვაწოდებ, მემედის მიერ გამოთქმული მოსაზრებებით ისარგებლო. — თქვა სიმონ ფირცხალავამ.

მუსაიფი ამით დაეასრულებთ. „ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ჩვენ ერთმანეთს, ალბათ, კიდევ შევხვდებითო“, თქვა მემედმა. გამოგვემშვიდობა და ჩემმა ხელის თითებმა კვლავ ივრძინეს მისი ღონე.

მემედ აბაშიძეს მეფის მთავრობის მიერ ბათუმსა და მის ოლქში ცხოვრება აკრძალული ჰქონდა და თბილისში იყო დაბინავებული. დაიწყო თუ არა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია, რამდენიმე ხნის შემდეგ ბათუმში ჩავიდა საცხოვრებლად. ის არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში არ მუშაობდა, მხოლოდ მოსახლეობაში ეროვნული შეგნების შეტანის მიზნით პროპაგანდას ეწეოდა. აჭარაში მას დიდი ნდობა და პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული, ამიტომაც ხალხში დიდი გავლენით სარგებლობდა. ამის დასადასტურებლად მოვიყვან ერთ ამბავს, რომელიც მე თვითონ ვნახე და მოვისმინე. ეს მოხდა 1917 წლის ზაფხულის დასაწყისში. რალაც არჩევენები მიმდინარეობდა. ამ დროს მე, მემედ აბაშიძე და რამდენიმე ნაცნობი ქობულეთში მოვხვდით. მეჩეთთან დაშორებით ყავახანაში ვზივართ, ყავას ვსვამთ და ვმუსაიფობთ. უცებ გარედან მოისმა ყვირილი და ხალხის ხმაური. ყავახანის პატრონმა ქუჩაში გაიხედა და „ჯამესთან ჩხუბიაო“, მოგვიტანა ამბავი. ჩვეულებრივი მოვლენაა. ჩვენ ლაპარაკი განვაგრძეთ. ერთიც ვნახოთ, სირბილით შემოვარდა ერთი აღელვებული ახალგაზრდა კაცი, მიმართა მემედს, დაუსახელა მოჩხუბარნი და უთხრა: „ერთი მეორეს ხანჯლით გამოეკიდა და შენ თუ არ დაგვეხმარე, ერთიმეორეს დახოცავენო“... მემედი სწრაფად წამოდგა და მოჩხუბრებისაკენ გაეშურა. ქუჩა სავსეა ხალხით, ხმაურობა და წივილ-კივილი ისმის. მემედი დინჯად მიაბიჯებს. ჩვენ უკან მივყვებით. გვანტერესებს, როგორ ზომებს მიიღებს. ამბის მომტანი მას ჩხუბის მიზეზს უყვება... ასე, 100 ნაბიჯით ვართ დაშორებულნი შემთხვევის ადგილს, ვიღაცამ დაიძახა: „ჭოო! მემედ ბეგი მოდისო“. სრულიად საკმაო შეიქნა მისი დასახელება და ხალხის ხმაური მიწყნარდა. თითქოს ყველას გულზე მოეშვა, იმედი მიეცა. მემედი ხალხს დინჯად შეუერთდა და იკითხა — „რა მოხდაო“. ხალხიდან ერთი მოხუცი კაცი გამოვი-

და, მემედს მიესალმა, ყავარჯენს დაეყრდნო და ყველაფერი მემედმა ნაამბობი ყურადღებით მოისმინა. შემდეგ დაკვირვებით მიიხედ-  
მოიხედა და ხმამაღლა თქვა: „მოჩხუბრებს დაუძახეთ, აქ მომიყვანე-  
თო“, ისინიც მოიყვანეს. ორივე მშვენიერი თვალტანადი ვაჟკაცი იყო,  
ასე 32 — 35 წლის ასაკში იქნებოდნენ. ალელვებულნი იყვნენ, მაგრამ  
ძლიერ თავდაპყრით მისცეს სალამი მემედს. ქედმოხრილნი დადგნენ.

— თქვენაა, ბიჭო, რომ ჩხუბობთ? — ღინჯად შეეკითხა მემედი.  
— რა გაქვთ საჩხუბარი, ანდა საჩხუბარი კიდეც რომ გქონდეთ, ერთ-  
მანეთი სასიკვდილოდ უნდა გაიმეტოთ? ადამიანები ხართ, ქათმები ხომ  
არა ხართ? მომიყევით თქვენს შორის რა მოხდა ასეთი.

ორივე მხარემ თავისი უამბო... მემედმა ყველაფერი მშვიდად  
მოისმინა... და ბოლოს წყნარად თქვა:

— სულ ეს არის? მერმე ერთმანეთი ამისათვის უნდა დახოცოთ?!  
ხომ ხედავთ, ახლა რევოლუციაა, მეფე ჩამოგდებულია ტახტიდან. ახა-  
ლი მთავრობაა შექმნილი, ახალი ცხოვრება იწყება, ამისათვის თქვე-  
ნისთანა ვაჟკაცებია საჭირო, რევოლუციურ მოძრაობას გვერდში უნდა  
ამოუდგეთ, მის მტრებს უნდა შეებრძოლოთ... ამ დროს კი თქვენ  
ერთმანეთს მისდევთ მოსაკლავად. თუ რაიმე სადაო გაქვთ, აირჩიეთ  
თავკაცები, მოაწყვეთ საამხანაგო სასამართლო და რასაც ის გადაწყ-  
ვეტს, ორივე მხარემ დაუჯერეთ. ხანჯლების ტრიალს და ჩხუბს თავი  
დაანებეთ... რას იტყვით, თანახმა ხართ, თუ არა?..

მოჩხუბრებმაც თანხმობის ნიშნად მორიღებით თავი დაუქნიეს.  
მემედმა უფრო მტკიცედ წარმოთქვა:

— ძალიან კარგი, ასე სჯობია. ახლა ერთმანეთს ხელი ჩამოართვით  
და გადაკოცნეთ.

მოჩხუბრებმა უსიტყვოდ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და ერთი-  
მეორე გადაკოცნეს.

— ახლა ორივე წამომყევით! — თქვა მემედმა. — მოჩხუბრებს  
შუაში ჩაუდგა და ყავახანისკენ წამოვედით. გზაზეც მათ ბევრი ელა-  
პარაკა... ყავახანაში კვლავ მაგიდას მივუსხედით. მან მარჯვნივ და  
მარცხნივ მოჩხუბრები დაისვა და ყველასათვის ყავა მოითხოვა... მათი  
დარიგება ისევ განაგრძო. ყავის სმა გათავდა. ისინი წამოდგნენ, თავი  
დაგვიკრეს და წასასვლელად დაემზადნენ, მემედი მათ ისევ გამოეხმა-  
ურა:

— მე როგორც ვითხარით, ისე მოიქეცით. თქვენი ჩხუბი მეტი  
არ გავიგონო, ისევ გადაკოცნეთ ერთმანეთი.

მოჩხუბრებმა ერთმანეთს კვლავ ჩამოართვეს ხელი, ერთიმეორე  
გადაკოცნეს და გზას გაუდგნენ.

— იცოდეთ, ჭკვიანად იყავით. მაცნობეთ, როგორ დათავდება  
თქვენი საქმე. — მიამახა მემედმა. შემდეგ მოგვიბრუნდა ჩვენ და  
გულისტკივილით გვითხრა: — ცუდი არ არის ჩვენი ხალხი, პატიო-

სანი და კეთილშობილია, მაგრამ სწავლა-განათლება და კულტურა აკლია, მიეცით ყველაფერი ეს და ხანჯლების ტრიალიც მოისპობა. ახლა კი რა უნდა მოვთხოვოთ. ჩვენც დღემდე არ გვქონდა საშუალება, მათთვის მეტი ყურადღება მიგვექცია. ახლა ვნახოთ, რევოლუცია რას მოგვითმის...

1930 წლის ზაფხულში მემედ აბაშიძე და მისი ოჯახი ბაკურიანში ისვენებდნენ. მას აგარაკი დაქირავებული ჰქონდა დაბის ცენტრში, სადგურისაკენ მიმავალ ქუჩაზე, მეორე სართულზე, რომლის აივანიც ქუჩას გადმოჰყურებდა. ეს სახლი ახლაც არის დაცული. მაშინ ბორჯომში ვმუშაობდი. ერთ დღეს ბაკურიანში ავედი და მემედს შევხვდი. ერთმანეთის ნახვა ძლიერ გაგვეხარა. სადილად მიმიწვია თავის აგარაკზე. აივანზე ვისხედით. ერთმა გარემოებამ მიიბყრო ჩემი ყურადღება: კერძები ბავშვებს გამოჰქონდათ, ხან კიდევ მემედი გავიდოდა რისიმე გამოსატანად, ხოლო მისი მეუღლე კი არსად ჩანდა, ერთხელ ბავშვებს დაუძახა და უთხრა: დედას გადაეცი, ესა და ეს გამოგვიგზავნოსო. მე ველარ მოვითმინე და შევეკითხე: „შენ დიდი პატრიოტი ხარ. კარგად იცი ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულება. ჩვენი ქალები ჩადრს არასოდეს ატარებდნენ და მამაკაცთა საზოგადოებას არ გაუბოზდნენ. შენ მეუღლეს ჩადრს რად ატარებინებ და მამაკაცთა საზოგადოებაში ყოფნას რად უშლი-მეთქი.“ მემედმა მიიღო სახის სერიოზული გამომეტყველება და მიბასუხა:

—მე განა არ ვიცი ყველაფერი ის, რაც შენ თქვი? მე განა არ მინდა ჩემი მეუღლე საზოგადოებაში ტრიალებდეს? მაგრამ ჩადრს რომ არ ვხდი და კარჩაკეტილივითა მყავს, ამას აქვს დიდი გასამართლებელი მიზეზი. შენ იცი, რომ აქარლები მე ერთნაირის პატივისცემით მეპყრობიან და ჩემი სჯერათ. ეს მაძლევს საშუალებას მათში ქართული პატრიოტული გრძნობები გავაღვივო და პანთურქისტულ მიდრეკილებებს ვებრძოლო. მე რომ ხელალებით სარწმუნოებას გავექცე, მასთან დაკავშირებული წესები ერთბაშად უკუვავდო, ხალხი იტყვის: მემედ ბეგმა თავისი თავი ქრისტიანებს მიჰყიდაო. ის მოლაღატა. ჩვენი გაქართველება იმისათვის უნდა, რომ გავვაქრისტიანოსო. ამით მას სურს თავისი პირადი მდგომარეობა გაიუმჯობესოსო, ის ბეგია და ხალხი რა ენაღვლებაო. და ზურგს შემამქცევენ, ჩემში რწმენას დაკარგავენ, არაფერს დამიჭერებენ. ეს კი ჩვენი ერის მთლიანობისათვის ბრძოლას ზიანს მოუტანს. აი, ეს არის მიზეზი, რომ ჩემს მეუღლეს ჩადრს არა ვხდი. ახლა ხალხი ფიქრობს: აი, მემედ ბეგი თავს ქართველად აცხადებს, მაგრამ ქრისტიანობას არ ლებულობს, მუსულმანურ წესებს მტკიცედ იცავს. მაშასადამე, ქართველობა ქრისტიანობას არ ნიშნავსო. მისი ქართველობა არავითარ საფრთხეს არ გვიმზადებსო. ხომ იცი, რელიგია რა მძიმე ტვირთია ხალხისათვის. მისი უღლის კისრიდან მოშორება არც



ისე ადვილი საქმეა... და ეს მით უმეტეს ძნელია მუსლიმანთათვის. ასეა თუ ისე, ნი ხომ ფანატიკოსები არიან? მათთვის ხომ სარწმუნოება ყველაფერია, თორემ შენ კარგად იცი, რომ მე დიდი მორწმუნე არავარო, — დაამთავრა მემედმა.

მის ნათქვამს გულდასმით ვუსმენდი. მერმე გავაანალიზე და გულში გავიფიქრე: „მემედის მოსაზრება სწორი უნდა იყოს, ასეთი ტაქტიკა პროპაგანდისათვის საკუთრივ არის“—მეთქი. მემედის ცხოვრებიდან სხვა ამბავიც მახსენდება. 1932 წელს, როგორც ვიცით, შემოღებული იქნა პასპორტების დარიგება. მემედი პასპორტის ასაღებად ბათუმის მილიციაში მივიდა. მაშინ რატომღაც, აჭარლებისათვის ასეთი წესი იყო შემოღებული, ვინ შემოიღო არ ვიცი; იქ, სადაც არის დასმული შეკითხვა, პასპორტის მიმღებია ეროვნების არისო, მაჰმადიან ქართველებს ქართველებად არ სწერდნენ, არამედ აჭარელად, ე. ი. გამოდიოდა, რომ ისინი ეროვნებით აჭარლები არიან. მემედის პასპორტშიც უნდა ჩაეწერათ ეროვნება — „აჭარელი“. მემედმა ამაზე კატეგორიულად განაცხადა უარი და მოითხოვა ჩაეწერათ ქართველი. პასპორტის გამცემი არ თანხმდებოდა, მაგრამ მემედმა ბოლოს თავისი გაიტანა — ჩააწერინა „ქართველი“.

ეს ამბავი სწრაფად გავრცელდა ბათუმში, შემდეგ თბილისში და სხვაგან. ამ ინციდენტს შემდეგ კარგა ხანი გავიდა. მემედი ერთხელ თბილისში შემხვდა. სხვათა შორის შევეკითხე პასპორტის ამბავი მართალია თუ არა—მეთქი, მან მიპასუხა: — მართალი ამბავია, ჩემი მოთხოვნა სრულიად კანონიერი იყო, ჩვენ აჭარლები, უპირველესად ყოვლისა, ქართველები ვართ, რასაკვირველია, ეროვნებით, მერმე კი — აჭარლები კუთხური წარმოშობის მიხედვით. აი, შენ როგორ გიწერია პასპორტში — ქართველი თუ მეგრელი? ცხადია, გეწერება — ქართველი, რადგან ეროვნებით ქართველი ხარ, კუთხური წარმოშობით კი მეგრელი. თუ შენ ასე გიწერია, ამავე სისტემის მიხედვით, მე სხვანაირად რისთვის უნდა მეწეროს, ვერ გამიგია? ამიტომაც არ ჩავაწერინე.

იროდიონ ევლოზვილი-ხოსიტაშვილი

(1873—1916)

ქართული რევოლუციური პოეზიის მამამთავარი იროდიონ ევლო-  
შვილი 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის დაწყებიდან ხალხში  
დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ხალხის მასებში ფართოდ იყო  
გავრცელებული მისი ორი ლექსი — „წითელი დროშა გავშალოთ“ და



„მეგობრებო, წინ, წინ გასწით, ნუ შედრკება თქვენი გული“... ეს სიტყვები ძლიერ ბევრმა იცოდა ზეპირად.

ძველად ქუთაისი და ზესტაფონი თითქოს ერთმანეთს ეჯობებოდნენ პოპულარული ლექსებისათვის სასიმღერო ჰანგების შერჩევა-შეწყობაში. თუ რომელიმე ავტორის ლექსი მოეწონებოდა საზოგადოებას, ის სწრაფად გავრცელდებოდა ხალხში, მაშინ ზოგიერთს მათგანს ვინმე ხალხური სიმღერის რომელიმე მოტივის შეუთრჩევდა, გადაამუშავებდა და ლექსს მოარგებდა. შემდეგში ეს მოწონებული ლექსი სიმღერის სახით ვრცელდებოდა ხალხში. დასავლეთ საქართველოში, ხოლო კერძოდ ქუთაისსა და ზესტაფონში, დიდი პოეტის აკაკი წერეთლის ბევრ ლექსს შეუწყვეს სიმღერები, ასევე, სიმღერები შეუწყვეს რუს — იმერელის (ვ. იურკევიჩის) ლექსს „ობოლი“, რომელიც იწყება სიტყვებით — „რა-ზედ მცემ, დედინაცვალო; რა უფლება გაქვს ჩემზედა“, გ. შარვაშიძის ლექსს — „კარადა“-ს და სხვა. ირ. ვედოშვილის ხსენებულ ორ ლექსსაც ჰქონდა შეწყობილი სიმღერა და ხალხი მღეროდა. გამიგონია, ლექსს „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“-ს სიმღერა ქუთაისელმა მომღერლებმა — კოტატია მუმლაძემ, ბონდო მიქელაძემ და კოკინია დგებუაძემ შეუწყვესო. ეს რამდენად მართალია, არ ვიცი, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, რომ ამ ლექსს ხშირად მღეროდნენ რევოლუციურად განწყობილი მუშები და მოწაფეები, მღეროდნენ სუფრაზე და ქალები ამღერებდნენ გიტარაზეც. პირველ ლექსზეც აწყობილი სიმღერას მღეროდნენ, მაგრამ ისე პოპულარული არ იყო, როგორც „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“. ამ ლექსს სად შეუწყვეს სიმღერა და მისი ავტორი თუ ავტორები ვინ იყვნენ არ გამიგონია, მაგრამ კარგად მახსოვს, ეს სიმღერა უფრო ევროპულ ჰანგზე იყო აწყობილი. მე იმ პერიოდში ქუთაისში ვცხოვრობდი და არ ვიცი ეს სიმღერები აღმოსავლეთ საქართველოშიც იყო გავრცელებული თუ არა... არ იქნება ინტერესს მოკლებული ამის გამოკვლევა...

ირ. ვედოშვილის გარშემო დიდი მითქმა-მოთქმა შეიქნა რეაქციის წლებში, როცა ის იმ ხანებში წარმოთქმულ სიტყვაში აშკარად გაემიჯნა თავის ადრინდელ თანამოაზრეებს. ამ სიტყვის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა და ხალხში გავრცელდა ხმები: ირ. ვედოშვილმა სოც.-დემოკრატიულ პარტიას თავი დაანება და სოც-ფედერალისტებს მიემხროო... მე იმის განხილვას არ გამოვუდგები, იროდიონი მართალი იყო თუ არა, ასეთი პასუხსაგები ნაბიჯი რომ გადადგა. ეს მკვლევართა საქმეა. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ეს ცნობა სწრაფად გავრცელდა საქართველოს ყოველ კუთხეში და საშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა შორის. იმ დროს მოწაფე ვიყავი, მომხდარ ამბებს თვალ-ყურს ვადევნებდი და კარგად მახსოვს, იროდიონის ასეთმა მოქმედებამ დიდად აახმაურა საზოგადოება. ამ საკითხის შესახებ ხშირად იმართებოდა





კამათი ქუჩაში, ბულვარში, სადაც დიდძალი ხალხი დადიოდა სანუკუნულო ირნოდ, სუფრაზე და სხვაგან. ყველას მოეხსენება იმერელთა აღგზნებული ბუნების ამბავი, ამის გამო ხშირად კამათი მწვავედებოდა და ზოგჯერ აყალ-მყალით მთავრდებოდა. ერთმანეთის მოწინააღმდეგე პარტიებმა ეს ფაქტი სააგიტაციო მასალად გამოიყენეს და ერთმანეთს დაუნდობლად დაუწყეს კორტნა... იროდიონის გამოსვლას სოც.-დემოკრატიული პარტიიდან უბრალოდ არ ჩაუვლია. შემდეგ მის გზას ზოგიერთი მუშებიც გაყენეს, სოც.-დემოკრატიული პარტიის რიგებს თავი დაანებეს (აქ უნდა ვიგულისხმოთ პარტიის მენშევიკური ფრთა) და ფედერალისტებს შეუერთდნენ. ყველაფერი ეს ისტორიის ამბავია, მაგრამ რადგანაც ლაპარაკი ჩამოვარდა, რამოდენიმე პირს დავასახელებ და მათზე ორიოდვე სიტყვასაც ვიტყვი. ესენი იყვნენ: ასოთამწყობები ერასტი ტოროტაძე და დავით მელაძე, ტრამპეელი მუშა გიორგი სულთანისვილი, რკინიგზელები — ნიკო უსტიაშვილი და ალექსანდრე იოსელიანი, დურგალი იულონ (ბესო) ქელბაქიანი, ხილეულობის ქარხნის წყლის მუშა სერგო აბდლაძე და სხვები, რომელთა გვარები აღარ მაგონდება. ესენიც სოც.-ფედერალისტთა პარტიაში შევიდნენ, მიემხრნენ ამ პარტიის მემარცხენე ფრთას და როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, რამდენიმე პირის გამოკლებით, ბოლშევიკური პარტიის რიგებში იქნენ ჩარიცხული.. ამ მოვლენის შემდეგ იროდიონის მოწინააღმდეგეთა ლაშქრობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო და იროდიონის დამცველნი ამ შეტევებს შესაფერი საშუალებებით იგერიებდნენ.

ჩვენ, ქუთაისის ქართული გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფეებს, ჩამოყალიბებული გვქონდა ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი წრე, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის მასწავლებელი, მწერალი და ისტორიკოსი სიმონ ქვარიათი. წრის წევრები შაბათობით, საღამოს ვიკრიბებოდით მასთან ოჯახში და მორიგეობით ვკითხულობდით რეფერატებს. მე არ გამოვედგები ახლა იმის შეფასებას, თუ ეს რეფერატები რა ღირებულების იყო. მხოლოდ აღვნიშნავ ერთს ფაქტს. 1909 წლის ოქტომბრის დამლევს თუ ნოემბრის პირველ რიცხვებში ჩვეულებრივად შევიკრიბეთ ს. ქვარიათის სახლში. წრის ერთ-ერთ წევრს უნდა წაეკითხა რეფერატი გრ. ორბელიანის შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე. რეფერენტი სხვათა შორის, შეეხო 1865 წელს მომხდარ თბილისის აჯანყებას, ე. წ. თბილისის ხელოსანთა „ბუნტს“. გრ. ორბელიანი მაშინ მეფისნაცვალის მოვალეობას ასრულებდა და ამ აჯანყების დასამშვიდებლად მიიღო ადმინისტრაციული ზომები. რეფერენტმა მისი მოქმედება დაგმო და თვით გრ. ორბელიანი აუჯად მოიხსენია. აზრთა გაცვლა-გამოცვლა რომ დაიწყო, ხელმძღვანელი, ს. ქვარიათი გამოვიდა სიტყვით, აღნიშნა,

რომ 1865 წ. მომხდარი აჯანყება გამოიწვია ცხოვრების დუხჭერმა, მდგომარეობამ და მთავრობის პოლიტიკამო. თბილისის ე. წ. „ბუნტი“ რევოლუციური აქტი იყო და სანამ მმართველობის წესი არ შეიცვლება, ასეთი მოძრაობა ყოველთვის იქნება, ასეთი მოძრაობა ხომ რამდენიმე წლის წინათაც იყო. გრ. ორბელიანი, როგორც მოღვაწე და როგორც პოეტი, რევოლუციის მომხრე არ იყო, რევოლუციის მომხრე და მეხოტბე იყო ჩვენი დროის პოეტი იროდიონ ევდოშვილი. აქ მან გადმოგვცა — ცნობა მოვიდა ი. ევდოშვილი დაუპატიმრებიათო და ვრცლად დაგვიხასიათა მისი მწერლობა და შეეხო პრაქტიკულ მოღვაწეობასაც. ს. ქვარიანმა აღფრთოვანებული ლაპარაკი იცოდა და ყველაფერი გატაცებით გვიამბო, სიტყვის დასრულებისას გვითხრა, ყველაფერი ის, რაც ვთქვი, გაკვეთილზე არ შეიძლება ითქვას, ევდოშვილის შემოქმედებისა და ცხოვრების ცოდნა კი აუცილებლად არის საჭირო, ამიტომ მისი ნაწერები უეჭველად წაიკითხეთ, პრესასაც აღევნეთ თვალყური და გაიგეთ მის გარშემო რა ხდებაო. ხელმძღვანელის ნაამბობით ჩვენ დავინტერესდით. ქალაქის ბიბლიოთეკაში გამოვძებნეთ ი. ევდოშვილის ნაწერები და გულდასმით გადავიკითხეთ... ირ. ევდოშვილი ჩვენი წრის არც ერთ წევრს ნახული არ ჰყავდა. მაშინ მისი ლითოგრაფიული თუ სხვა სურათიც არ იყო გავრცელებული, ასე რომ, მის გარეგნობაზეც არავითარი წარმოდგენა არ გვქონდა... მაგრამ მის შესახებ ს. ქვარიანის ნაამბობისა და პოეტის ნაწარმოებთა წაიკითხვის საფუძველზე ვმსჯელობდით და გამოვთქვამდით აზრს, რომ იროდიონ ევდოშვილი არის მაღალი, ჯანმრთელი და ღონიერი ვაჟკაცი...

1914 წლის მაისის შუა რიცხვებში ქუთაისის გაზ. „ჩვენი ერი“-ს რედაქციაში, რომლის რედაქტორ-გამომცემელიც მე ვიყავი, მოულოდნელად შემოვიდა საშუალოზე უფრო მაღალი ტანის გამხდარი, მოხდენილად გამოწყობილი კაცი, რომელსაც მაღლა დაყენებული შავი თმით ჰქონდა თავი დაფარული, მკრთალი ფერის სახეს უმშვენებდა კოხტად შეპარსული, შავი წვერები, რომელსაც ზევიდან ეფარებოდა ბოლოებაკაუჭებული უღვაშები. სიმპათიური გამომეტყველება ჰქონდა და ერთი შეხედვისთანავე მნახველის ყურადღებას იქცევდა. რედაქციაში მომუშავენი — დ. მესხი, სერგეი მესხის უმცროსი ძმა (მწერლობაში „თომა პუსა“) და რამდენიმე სხვა, ვინც იცნობდნენ, თავაზიანად მიესალმნენ, ვინც არ ვიცნობდით გავიცანით... ეს იყო იროდიონ ევდოშვილი. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა მისმა ღრმად ჩამჯღარმა ბრწყინავმა თვალებმა, დინჯმა ლაპარაკმა, თავდაპირველმა თავაზიანობამ და უბრალოებამ. იროდიონი ლაპარაკობდა დაბალი ტონით, ხანდახან გაიღიმებდა, და ეს ღიმილი შარავანდისებურ შუქსა ჰყვებდა მის ისედაც მიმზიდველ სახეს... ჩემი მოწაფეობის დროინდელი აზრი იროდიონზე, რომ ის გოლიათისებური შეხედულების კაცი იქნებოდა, არ

გამართლდა... იროდიონმა იქ მყოფთ გააცნო ქუთაისში ჩასვლის მიზეზი და თქვა:

— რაღა დაგიმალოთ, ნიეთიერად გამიჭირდა, ამიტომ განვიზრახე თბილისსა და ქუთაისში გავმართო სალიტერატურო საღამოები. თბილისში, ასე თუ ისე, მიცნობენ და შემოსავლის ცოტა იმედი მაქვს, მაგრამ აქ კი ნაცნობი ბევრი არა მყავს და ქუთაისის საზოგადოება როგორ გამოეხმაურება ჩემს განზრახვას, არ ვიციო.

რედაქციის მუშაებმა იროდიონს სალიტერატურო საღამოს გამართვის სურვილი მოუწონეს. მოითათბირეს და გადაწყვიტეს, წავიდნენ შავი ქვის მრეწველთა საბჭოში, სადაც თავმოყრილი იყო და მუშაობდნენ ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: გ. მაიაშვილი (გ. ზდანოვიჩი), კიტა აბაშიძე, დავ. კლდიაშვილი, პუბლიცისტი იაზონ ბაქრაძე და სხვ. და მათთან გამართონ მოლაპარაკება. იროდიონი და რამდენიმე კაცი წავიდა კიდეც. ხსენებულ მოღვაწეებთან მოლაპარაკების შედეგად გამოიყო საღამოს მოწყობისათვის ხელის შემწყობი კომისია ცნობილ ქუთაისელ მოღვაწე ქალის მელანია გველესიანის თავმჯდომარეობით. კომისიაში შევიდნენ ვაზ. „ჩვენი ერის“ კანტორის გამგე გიორგი ახვლედიანი (ეურნალისტი, რომლის ფსევდონიმი იყო „როკითელი“) და მასწავლებელი და ეურნალისტი ლადო ბუჯანელი-ნაცველიშვილი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობის სახელით, რომლის თავმჯდომარეც იყო გ. მაიაშვილი-ზდანოვიჩი და გამგეობის წევრი-მდივანი კი — იაზონ ბაქრაძე, კომისიის წევრები მეორე დღესვე მოიწვიეს და ისინიც შეუდგნენ დაკისრებული საქმის მოგვარებას. გაიმართა მოლაპარაკება ქუთაისში მყოფ მწერლებთან, რომელთაც საღამოში მონაწილეობა უნდა მიეღოთ, ესენი იყვნენ: პოეტები — გ. ტაბიძე, ვარლამ რუხაძე, გელა — ბარნაბ გელაზანია, ავ. სვანი — მარგიანი, გუცა — გ. ფარქოსაძე. ბელეტრისტები — ია ეკალიძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, იასონ ნიკოლეიშვილი და სხვა. გადაწყდა რომელ რიცხვში უნდა გაიმართოს სალიტერატურო საღამო, ჩატარდა სხვა საორგანიზაციო სამუშაოები, როგორც არის თეატრის შენობის დაქირავება და სხვა.

იროდიონის ჩამოსვლას ქუთაისელი საზოგადოება დიდი სიამოვნებით შეეგება. იწვევდნენ ოჯახებში სპეციალურად მისი პატივისცემისათვის გამართულ სადილებსა თუ ვახშმებზე. სხვათა შორის, წვეულება გაუმართა მაშინ ქუთაისში მცხოვრებმა მეცენატმა, ხილეულობის წყლების ცნობილმა ოსტატმა და ქარხნის პატრონმა მიტროფანე ლაღიძემ, რომელსაც ბევრი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დაესწრო... გაუმართეს ბანკეტი საზოგადო საკრებულოში — კლუბში.

ეურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“-ს გამგემ ისიდორე კვიცარიძემ მიიწვია ყველა ის მწერლები, რომლებსაც საღამოში მონაწილეობა უნდა მიეღოთ, აგრეთვე სხვებიც და სურათი გადააღებინა.



იროდიონი დაიმედებული და ფრიად ნასიამოვნები დაბრუნდა თბილისში...

დანიშნულ დროზე ისევ ჩამოვიდა ქუთაისში... აქ მას ორი არასასიამოვნო ამბავი დახვდა. პირველი, სასამართლოს დადგენილებით ვაზ. „ჩვენი ვრი“ დაიხურა. იროდიონი შემოვიდა რედაქციაში, ეს ამბავი გაიგო და ნალვლიანად თქვა:

— სანამ უნდა იყოს ჩვენი გაზეთები დღემოკლე! სანამ უნდა დავგჩხაოდეს თავს შავი ყორანიო.

მეორე ამბავი არა მარტო უსიამოვნო, არამედ სამუხსაროც იყო. აი რა მოხდა: კომისიამ სალამოს მაუწყებელი აფიშები დააბეჭდინა და გასაკრავად გადასცა... ყველაფერი მზადაა. ბილეთი ხელზე იყიდება... ამ დროს სოც-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) ქუთაისის კომიტეტმა დაადგინა, არც ერთმა პარტიის წევრმა მწერალმა სალამოში მონაწილეობა არ მიიღოსო და იმათაც უარი განაცხადეს ამის გამო სალამოს მოწყობა შეფერხდა. ადვილი წარმოსადგენია, ასეთი ბოიკოტი როგორ იმოქმედებდა იროდიონზე. თითქოს ენა ჩაუვარდაო, ისე დადუმდა, სულ ერთიანად გაფითრდა და ცანცახი აუვარდა, მაგრამ ის დაამშვიდეს: „როგორი დადგენილებაც არ უნდა გამოიტანონ, სალამოს მაინც არ ჩავშლითო“. ასეც მოხდა.

სალამოში მონაწილეთა სია ხელახლა შედგა და დამატებით მოწვეულ იქნენ სხვები. დაიბეჭდა ახალი აფიშა. სალამო რამდენიმე დღით გადაიდო. სოც-დემოკრატების გაზეთმა „აზრმა“, ასე გასინჯეთ, თავის მკითხველებს სალამოს გამართვის ამბავი ქრონიკის სახითაც არ აცნობა, არ გაუშვა განცხადებაც. ეს კი იმის მაუწყებელი იყო, რომ თავის მკითხველებს აფრთხილებდა, ევდოშვილის სალიტერატურო სალამოს არ დასწრებოდნენ. სამაგიეროდ, გაზეთ „იმერეთი“-ს რედაქციამ იროდიონს და მის სალამოს კარები ფართოდ გაუღო. გამოაქვეყნა განცხადებები, მოათავსა სხვა მასალებიც. ქუთაისის საზოგადოება გაზეთ „აზრი“-ს რედაქციას და მისი თანამოაზრეების კარნახს არ გაპყვა. სალამოს დიდძალი ხალხი მოაწყდა, რომ იტყვიან, „ნემსი არ ჩავარდებოა“, დარბაზი ისე იყო გაჭედილი. ფასიანი კონტრამარკებით ხალხი თეატრის კულისებში, ფოიესა და ორკესტრში მოთავსდა. ბევრი უბილეთოდ დარჩა და გულდაწყვეტილი ქუჩაში იდგა... აიწია ფარდა, იროდიონი გამოჩნდა თუ არა, ვარდ-ყვავილებით აივსო სცენა... ტაშის გრიალს და ვაშას ძახილს საზღვარი არ ჰქონდა და ყველაფერი ეს ოვაციებში გადავიდა... იროდიონმა რამდენიმე ლექსი წაიკითხა, ხალხი არ მოეშვა და წააკითხა „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“... კვლავ ხანგრძლივი ტაში და კვლავ ოვაციები... საერთოდ, ეს ჩვეულებრივი სალიტერატურო სალამო კი არ გამოვიდა, ყველაფერმა ეროვნული ზეიმის ხასიათი მიიღო. სალამოს შემდეგ მოწინავე საზოგადოებამ ძვირფას

მწერალ-მოღვაწეს საზოგადო საყრებულოს კლუბში დიდი ბანკეტის გაუმართა, სადაც იროდიონის შექმბას და პატრიოტული სიტყვების ჩანჩქერით დენას საზღვარი არ ჰქონდა. სუფრას ამშვენებდა აგრეთვე ქართული სიმღერები და ცეკვები... მეორე დღეს სადგურზე იროდიონი ცრემლ-ნარევი სიხარულით ეგებებოდა მის გამცილებლებს. ბოლოს ძალზე გულდაწყვეტილი გამოესალმა მათ და თბილისში დაბრუნდა.

გავიდა რამდენიმე დღე და ქუთაისელებმა გაზ. „სახალხო ფურცელში“ წაიკითხეს იროდიონის სამადლობო წერილი, სადაც, სხვათა შორის, ამბობდა: „მე სულით თბლობას ვგრძნობდი და ესლა ვგრძნობ, რომ არ ვყოფილვარ მარტო“...

ეს იყო და ეს, ამის შემდეგ იროდიონ ევლოშილი ქუთაისში აღარ ჩასულა... ჩემდა სამწუხაროდ, ამის შემდეგ იგი არც მე მინახავს.

### კირილე ბაქანიძის ძე ლორთქიფანიძე

(1888—1918)

კირილე ლორთქიფანიძე მე გავიცანი 1911 წელს ქუთაისში ქურნალ-ვაზეთების კანტორაში — „იმერეთი“. მისი გარეგნობა მეხსიერებაში ასეთნაირად ჩამრჩა: ჩემს წინაშე დგას მოხუცებული კაცი, დაბალი, წელში ისე საგრძნობლად მოხრილი, რომ მუდამ თავჩაღუნულია, თავის ზევით აწევს უჭირს და თუ სცადა, მკრთალ, მოთეთრო სახეზე წითელი ფერი გადაეკვრება. სხეულის ზედა ნაწილი, ე. ი. ზედა ტანი ცოტათი მარცხნივ აქვს გადახრილი და მას თავიც ოდნავად გადაჰყოლია თითქოს. ფეხები სხეულის ზედა ნაწილთან შედარებით მოგრძო ჩანს. ხელებზეც გრძელი თითები აქვს. ყველაფერი ეს აშკარად ლაპარაკობს იმაზე, რომ ამ სხეულის პატრონი ოდესღაც — ახალგაზრდობისას, სანამ დაავადდებოდა, უფრო მაღალი ტანისა ყოფილა, ხოლო წელთა სიმრავლეს სხეულების ხელის შეწყობით დაუპატარავებია. თავი თეთრი თმით ჰქონდა დაფარული, გრძელი, სპეტაკი თეთრი წვერები მკერდზე ისე ჰქონდა გადაპენტილი, რომ ზედა პერანგის გულისპირსა და ჰალსტუხს ფარავდა. წვერების ზედაპირზე დალაგებული იყო შვილდით მოღუნული თეთრივე უღვაშები. ეტყობოდა, რომ ახალგაზრდობისას იგი ხორციანი იქნებოდა, ამჟამად კი ხორცი შემქნარა და ორგანიზმსაც სისუსტე შეპარვია.

ეს სხეული თხემით ტერფამდე სულ ერთიანად შავად იყო შემოსილი: ევროპული შავი ქუდი — შლიაპა, შავი გრძელი სერთუკი, შავი ჟილეტი, შავი შარვალი და ფეხსაცმელები. ამ შავს ფონზე კირილეს თეთრი თმა და წვერ-უღვაში ბიბლიური ადამიანის გარეგან შე-

ხედულებას და გამომეტყველებას ანიჭებდა და მნახველის დიდ ნდობას და პატივისცემას იწვევდა.

სერთუქს შიგნით ეცვა მთის მწვერვალზე მდებარე თოვლივით თეთრი და გაკრახმალებული, ანუ როგორც მაშინ იტყოდნენ, გახამებული ზედა პერანგი თავის საყელოთი, რომელზეც შემოკრული ჰქონდა შავი ბაფთა, მაგრამ, ყველაფერი ეს იმისათვის ჰქონდა, რომ ევროპული ტანისამოსის წესი და ე. წ. „ბონტონი“ ამას მოითხოვდა. ალბათ ასე იყო, თორემ ისე სერთუქის შიგნით მოკაზმულობა მაინც და მაინც დიდ საჭიროებას არ წარმოადგენდა, რადგან, როგორც აღვნიშნე, პერანგის გულისპირი გრძელი წვერებით იყო დაფარული და თუ რაიმე მიზეზით გადაიწვევ-გადამოიწყოდა, ანდა ქარის ქროღვის მიზეზით აფრიალდებოდა, თორემ ისე ვერავინ ვერაფერს დაინახავდა... კირილეს არისტოკრატიული წარმოშობა მხოლოდ აქედან ჩანდა.

ხელში ეპყრა შავი, დიდი ქოლგა, მოკაუჭებულტარიანი. ეს ქოლგა მისი განუშორებელი თანამგზავრი იყო ზამთარ-ზაფხულ, ცუდ ამინდში წვიმისაგან იფარავდა, დარში კი — მზის მცხუნვარე შუქისგან, რადგან კირილე ერთსაც ძალზე ერიდებოდა და მეორესაც, როცა ქოლგა არც ერთი და არც მეორე საჭიროების დასაკმაყოფილებლად არ ზრუნავდა, მაშინ ყვავარჯენის მოვალეობას ასრულებდა და პატრონი მასზე დაყრდნობით ერთ ადგილას იდგა, ანდა მიმოდიოდა.

ასეთი იყო კირილე ლორთქიფანიძე გარეგნულად, როცა მე გავიცანი.

ეს შესანიშნავი ადამიანი იყო ერთ-ერთი თერგდალეულთაგანი და, როგორც ცნობილია, ეკუთვნოდა ქართველ მწერალ-მოღვაწეთა იმ პლეადას, რომლის წარმომადგენელიც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ გასული საუკუნის 60-იან წლებში და თავდადებულად იბრძოდნენ ჩვენი ხალხის როგორც ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების, ისე კულტურული დონის ამაღლებისათვის. კირილე 60-იანი წლების მოღვაწეთა რაზმის მოწინავეთა წრეში იდგა.

იგი დაიბადა 1839 წ. საშუალო განათლება ქუთაისის გიმნაზიაში მიიღო, უმაღლესი კი — პეტერბურგის უნივერსიტეტში. სტუდენტობის დროს მიიღო პოლიტიკური ნათლობა, სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის მთავრობის განკარგულებით ციხეში იჯდა. შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და დაახლოებით 1876 წლამდე თბილისში მოღვაწეობდა, შემდეგ ქუთაისში დაბინავდა და გარდაცვალებამდე იქაურობას არ მოსცილებია. ქუთაისში იგი მხოლოდ საზოგადოებრივ დაწესებულებებსა თუ ორგანიზაციებში მუშაობდა არჩევით თანამდებობაზე. სახელმწიფო დაწესებულებებს არ ეკარებოდა. ამასთან დაკავშირებით ხშირად იცოდა თქმა: „ჩვენ ჩინოვნიკები არ გვჭირდება, ისინი კარიერისტები ხდებიან და ხშირად ისეთ რამეს აკეთებენ, რაც ხალხისათვის საზიანოა. ჩვენ გვჭირდება საზოგადო მოღვაწეები,

ხალხთან ახლო მდგომი პირები- მართალია, ასეთი პირების მეტი ნაწილი თავის პირად ცხოვრებას რიგიანად ვერ მოაწყობს, მაგრამ საზოგადო მოღვაწეობა სხვანაირად ვერ ხერხდებაო“.

კ. ლორთქიფანიძე ცნობილი იყო თავის ცოდნით, ჭკუით, გამჭირ-ახობით, პირდაპირობით, გამბედაობით, ზნეობით, პატიოსნებით, უან-გარობით და თავმდაბლობით. იგი სიტყვის კაცი იყო.

კირილე ლორთქიფანიძემ ასე თქვა, მან ასე გადმოგვცაო რომ იტყოდნენ, ყველას სჯეროდა. ყოველივე ამას უნდა დაემატოს ის, რომ იყო დიდი პატრიოტი და თავდადებული საზოგადო მოღვაწე. ოღონდ თავის ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე გაკეთებულიყო, იგი ამისათვის არავითარ სამუშაოს არ ითაკილებდა... და ეს იმ დროს, როცა მაღალი კვალიფიციური ინტელიგენტი იყო, ეკუთვნოდა არისტოკრა-ტულ წრეს და კარიერის შექმნისათვის ყველაფერი ხელს უწყობდა.

იგი თავისებური შეხედულებების მოღვაწე იყო: ცოლი არ შეირთო და თავის საკუთარი ოჯახი არ შექმნა იმისათვის, რომ საზოგადოებ-რივ ასპარეზზე მუშაობაში ხელს შემიშლისო, როცა შეეკითხებოდ-ნენ — „ბ-ნო კირილე! რატომ ოჯახობას არ მოკიდეთ ხელი და ახალ-გაზრდობაში ცოლი არ შეირთეთო“, ის სერიოზული სახის გამომეტყვე-ლებით დინჯად უპასუხებდა:

— პირადად ჩემთვის დიდად საზარალო შეიქნა, აგერ მოხუცებუ-ლობის დროს უპატრონოდ ვარ დარჩენილი, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ საზოგადო მოღვაწეობას ვინც ჰკი-დებს ხელს, ყოველნაირ მოულოდნელ შემთხვევისათვის მზად უნდა იყოს. ვინ იცის, გზაზე რა ხიფათი არ აეკიდება და ოჯახს გასაჭირში ჩააგდებს. შეიძლება მე შემცდარი ვარ, მაგრამ თავიდანვე ასეთი შეხე-დულების ვიყავი და ბოლომდე ასეთივე აზრის ვარო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო სამსახურში არ შე-დიოდა და სხვებსაც ამას ურჩევდა... უყვარდა უბრალოდ ცხოვრება და სხვებსაც ჩასჩინებდა: „ფუფუნებით ცხოვრებას არ გაყვეთ, თორემ გარყვნილების გზაზე დაგაყენებთ და პარაზიტი შეიქნებით, ჩვენ ქვე-ყანას პარაზიტები კი არა, ღირსეული ადამიანები სჭირდებაო“.

არ უყვარდა სურათების გადაღება და ჟურნალ-გაზეთებში გამოქ-ვეყნება. ხშირად ამბობდა:

— პრესაში გამოქვეყნებული მოღვაწის სურათი ეს მისი რეკლამაა, ნათქვამია „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“-ო, — სრული ჭეშმა-რიტებაა, ყველა მისმა ნამოქმედარმა უნდა გამოაჩინოს და არა გამოქ-ვეყნებულმა სურათმა. საზოგადო მოღვაწე ჩუმი უნდა იყოსო.

აქედან გამომდინარე კორესპონდენტებს და სხვებს სურათის გა-დაღებაზე უარს ეუბნებოდა.

მახსოვს ასეთი შემთხვევა: 1913 წელს, როდესაც დიდმა პოეტმა აკაკი წერეთელმა ქვემო იმერეთში იმოგზაურა, აკაკისა და მის მხლე-



ბელთა უკან, ქუთაისში დაბრუნების შემდეგ ჟურნალ-გაზეთების კვანძების მონაწილეთა სურათის გადაღება. მათ შორის მეც ვერიე, როგორც გაზეთ „თემის“ კორესპონდენტი. მოგზაურობის მონაწილეთა გარდა რამდენიმე სხვაც მოიწვია: თხოვა კირილესაც, მაგრამ მან კატეგორიული უარი განაცხადა. სურათის გადაღება უნდა მომხდარიყო ე. წ. „საოჯახო ბალში“. დანიშნულ დროზე ყველა მოვიდა. ი. კვიციანიძემ გადმოგვცა, რომ კირილესაც ვთხოვე, მაგრამ უარით გამომისტუმრაო. აკაკიმ ღიმილით უპასუხა:

— ტყუილად შეგიწუხებია თავი, ჩემო ისიდორე, ის სურათის გადაღებაზე არ დათანხმდება... — ეჩინანია, თავის სიტყვის კაცია... რასაც იტყვის, შეასრულებს კიდევ...

— მოდი ვსინჯოთ, კიდევ ვთხოვოთ, — თავისებური აღფრთოვანებით წარმოსთქვა მწერალმა დავით კლდიაშვილმა, — მე და ვარლამი წავალთ, თქვენი სახელით ვთხოვთ, ეგებ პატივი დაგვდოს და დაგვთანხმდეს.

— დიდი სიამოვნებით... წავიდეთ! — გამოეხმაურა პოეტი ვარლამ რუხაძე.

კარგს გუნებაზე წავიდნენ... ჩვენც მათ დაბრუნებას მოუთმენლად ვუცდით... კარგა მოგვიანებით, ჩვენი მოციქულები სახემოლუშული და ცხვირჩამოშვებულნი დაბრუნდნენ.

— ჯინიანია, ბატონო, ჩვენი კირილე, ჯინიანი, სიკვდილი იღორსა და არ წამოვიდა... ხელების სავსავით გამოგვისტუმრაო, — ნალვლიანი კილოთი წარმოსთქვა დ. კლდიაშვილმა.

— აკი ვთქვი... ჯორზე შეჯდომა იცის და თუ შეჯდა, ველარ გადმოახტუნებ-მეთქი, — თავისებური მომხიბლავი ღიმილით თქვა აკაკიმ და თან დაუმატა: — ჯორივით ჯიუტია ის საწყალი. და, სურათი უიმისოდ გადავიღეთ. ყველა გულდაწყვეტილი იყო... მიუხედავად ამისა, კირილეს სურათი მოხუცებულობის პერიოდში გადაღებული მიანც არსებობს. ეს კი კორესპონდენტების ნაეშმაკევი საქმეა და ცოტა ისტორიაც აქვს, რაზეც მინდა შევჩერდე.

კ. ლორთქიფანიძე უკანასკნელად მსახურობდა საურთიერთო კრედიტის საზოგადოების ბანკში გამგეობის თავჯდომარედ. ეს ბანკი მოთავსებული იყო ძველი თეატრის გვერდით მდებარე შენობის მეორე სართულში — ბულვარის პირდაპირ. კირილეს ასეთი ჩვეულება ჰქონდა: სამსახურის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდოდა თუ არა ბანკიდან, თუ კარგი — თბილი ამინდი იყო, გადაივლიდა შუა ქუჩას, შევიდოდა ბულვარში, ერთ ამოჩემებულ სკამზე ჩამოჯდებოდა, ამ სკამს ქუთაისელი ინტელიგენტები ხუმრობით „კირილეს სკამს“ ეძახოდნენ. თუ ამ სკამზე შემთხვევით აღვილი არ იყო თავისუფალი, იქვე ახლოს, მეორეზე



გადინაცვლებდა და კარგა ხანს ისვენებდა. ერთ მშვენიერ დღეს მან ჩვეულებისამებრ ქუჩა გადაჭრა, შევიდა ბულვარში და სწორედ მის მიერ ამოჩემებულ სკამზე დაჯდა... ეს სკამი სანამ კირილე მოვიდოდა, წინასწარ განზრახვით კორესპონდენტებს დაკავებული ჰქონდათ, რომ სხვა არ დამჯდარიყო. მათ შორიდან მომავალი კირილე დაინახეს თუ არა, სკამი დასცალეს და გვერდზე მიიმალნენ...

ერთი ამ კორესპონდენტთაგანი იყო იმ ხანად კარგად ცნობილი ჟურნალისტი „ჯაფარ ფაშა“ — ნიკო ჯაფარიძე და მეორე კი — თბილისის გაზეთის „ცნობის ფურცლის“ და სხვა მისი მომდევნო გაზეთების, აგრეთვე სხვადასხვა ეუმორისტული ჟურნალების კარიკატურისტი, ცნობილი მხატვარი ოსკარ შმერლინგი, რომელიც კირილეს სურათის გადაღების მიზნით იყო რედაქციის მიერ გაგზავნილი ქუთაისში. შმერლინგმა კირილეს დასაჯდომის პირდაპირ ფოტოაპარატი მოიმარჯვა და მსხვილ ხეს ამოეფარა. იხელთა მოხერხებული მომენტი და პირველი სურათის გადაღება მოასწრო, დაემზადა მეორეს გადასაღებად, მაგრამ კირილემ მისკენ მიმართული ფოტოაპარატი და მისი დასადგმელი სამფეხი შეამჩნია, უცებ გაშალა ქოლგა და ჩამოიფარა, მაგრამ შმერლინგმა მაინც მოასწრო, ნახევრად ქოლგა გადახურული გადაიღო... კირილე თითქოს სწრაფად წამოდგა და გზას გაუდგა, მაგრამ უკვე გვიანლა იყო, მისი ორი სურათი სხვადასხვა მდგომარეობის ამსახველი უკვე დარჩა... ქოლგა ნახევრად გადახურული კირილეს სურათი „ცნობის ფურცლის“ მომდევნო გაზეთის ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებაში კარიკატურის სახით გამოქვეყნდა. ამ სურათის დედანი ამჟამად სად ინახება, არ ვიცი, მაგრამ თვით კარიკატურა, რაღაც შემთხვევასთან დაკავშირებით მეორედაც გამოქვეყნდა და მეც რამდენჯერმე ვნახე. მეორე — უქოლგო სურათი ახლაც ცნობილია და საჭიროების კვალობაზე მას იყენებენ მუზეუმებში და პრესაში... ასეთნაირად გაჩნდა კ. ლორთქიფანიძის მოხუცებულობის დროინდელი სურათი.

კ. ლორთქიფანიძე რაც ქუთაისში დაბინავდა, მერმე თბილისს აღარ სწვევია, მიზეზს ვერ ვიტყვი, არაფერი გამიგონია, მაგრამ ის კი მსმენია და ვიცი, რომ თბილისელმა მოღვაწეებმა მას ბევრჯერ თხოვეს თბილისში გადმოსახლდი, „აქ საჭირო ხარო“, მაგრამ იგი თურმე ყოველთვის უარს აცხადებდა და უპასუხებდა:

— საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ქართველი ინტელიგენცია თბილისში გარბის, პროვინცია კი ცარიელდება. თბილისში მყოფნი იქაურ საქმეებს კარგად მოუვლიან. პროვინციას ჭირდება წელის გამაგრება და დახმარება, ყველა რომ იქ გადაბარგდეს, მაშინ აქაობა უპატრონოდ დარჩება და მომვლელი არავინ ეყოლებათ.

კარგად მახსოვს, ჩვენ, ახალგაზრდებსაც ზოგჯერ ჩამოგვიგდებდა ამ საკითხზე ლაპარაკს და იტყოდა: „ჩვენი ახალგაზრდების მეტი ნაწი-

ლი ქალაქის ქუჩებს ტყეპნის და დაბა-სოფლებს კი გაუბრის. საჭირო ხალხს მიხედონ და რითაც შეუძლიათ დაეხმარონ“-ო.

ერთი ამბავიც უნდა აღინიშნოს აქვე: ლაპარაკობდნენ—კირილე რაც თბილისიდან ჩამოვიდა, მერმე: მატარებელში არ მჯდარაო... ეს ცნობა რამდენად მართალია, ვერ ვიტყვი, მაგრამ მისი ყველა ახლობელი ამას დაბეჯითებით იმეორებდა... უფრო მეტსაც ამბობენ — ქუთაისის საზღვრებსაც არ გასცილებიაო... ამაზეც არაფრის თქმა შემიძლია დანადვილებით.

1913 წლის გაზაფხულზე ბათუმში გარდაიცვალა ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე არჩილ ჯორჯაძე. მისმა გარდაცვალებამ ყველა, განურჩევლად პარტიულობისა და მსოფლმხედველობისა, ძლიერ შეაწუხა. მისი ცხედარი ბათუმიდან თბილისში ჩამოასვენეს. ქუთაისიდან რიონის სადგურზე არჩილის ცხედარს დიდძალი ხალხი შეეგება. ვინც მატარებლით წასვლა ვერ მოასწრო, ეტლით ჩავდა. სადგურის ბაქანი მთელ სიგრძეზე და მისი მიდამოები სავსე იყო ჩამოსული ხალხით... უცებ ვიღაცამ დაიძახა: „კირილე ლორთქიფანიძეც ჩამოსულაო“. ყველა გაკვირდა. საერთოდ, ამას კირილესაგან არ მოელოდნენ და კერძოდ იმისათვის, რომ ახალი ნაავადმყოფარი იყო და ექიმებს გაფრთხილებული ჰყავდათ: სანამ კარგად არ გამოჯანსაღდები, შინიდან ფეხი არ გამოადგაო... მერე ისიც გამოირკვა, თურმე ეტლით ჩამოსულა.

— უპ, უპ, როგორ ჰქნა ეს, არ გაცივდეს! — წყენით წარმოსთქვა ქართული გიმნაზიის მასწავლებელმა, ურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ პეტრე ყიფიანმა და კირილესკენ გაეშურა. მას სხვებიც, რამდენიმე კაცი მივყევით. პ. ყიფიანმა და სხვა უფროსებმა უსაყვედურეს — „რისთვის ჩამოდიო. შეიძლება გაცივდე, მერე ისიც ეტლით, როგორ გაბედე მოგზაურობა ავადმყოფობისაგან ჯერ კიდევ დასუსტებულმა კაცმა“-ო... კირილემ ცოტათი ზევით ასწია თავი, თითქოს გაიღიმა კიდევ და დინჯად უპასუხა:

— სანამ აღამიანი ცოცხალია და ძალა ოდნავადაც თუ შესწევს, ქვეყნის ჭირსა და ლხინს აუცილებლივ უნდა გამოეხმაუროს. ეს ქვეყნის ყველა გულშემატკივარის ვალდებულებაა... აქ არავინ დარჩება, ჩემო პეტრე, ადრე თუ გვიან, ყველა დავიხოცებითო.

კირილეს ერთი ჩვეულება ჰქონდა: გამოვიდოდა თუ არა ქართული წიგნი, უეჭველად შეიძენდა, როგორი შინაარსისაც უნდა ყოფილიყო ის. შესანიშნავი ბიბლიოთეკა ჰქონდა. წიგნების განათხოვრება არ უყვარდა. „თუ ვინმეს წიგნი სჭირდება და უყვარს, მას წიგნის ყიდვაც უნდა უყვარდეს“-ო, იტყოდა ხშირად. მაგრამ თუ მასთან ვინმე მივიდოდა ბინაზე რაიმე უნიკალური წიგნისათვის იქვე გადასათვალისწინებლად, დაუზარებლად გამოუძენდა.

გაზეთები კი, ვკონებ, გამოწერილი არა ჰქონდა, ალბათ არ ჰქონ-

და, რადგან ის ყოველდღე, ერთსა და იმავე დროს მიდიოდა ქუჩის  
გაზეთების კანტორაში და ყველა მიმართულების გაზეთს შეიძენდა.  
ამოიღლიავებდა, თუ თბილი ამინდი იდგა, შევიდოდა ბულვარში და  
ერთხელ ამოჩემებულ ადგილას სკამზე ჩამოჯდებოდა, გაზეთებს გადაა-  
თვალაიერებდა. თუ ნაცნობი არავინ გაუჩნდებოდა, ნელის ნაბიჯით ში-  
ნისაკენ გაუდგებოდა გზას. ეს იყო იმ პერიოდში, როცა კირილე აღარ  
მსახურობდა.

მას ასე 1912 წლიდან ვადევნებდი თვალყურს და არსად დაწესე-  
ბულებებსა თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში არ შემხვედრია. ყვე-  
ლაფერს ჩამოცილებული იყო და თითქმის სულ შინ იჯდა, ჩვენ —  
ახალგაზრდებს მასთან მუსაიფი ძლიერ გესიამოვნებდა, ძველებური ამ-  
ბების მოყოლა იცოდა და ტკბილი მოსაუბრე იყო, მეხსიერებაც შერ-  
ჩენილი ჰქონდა ბოლომდე. ზოგჯერ, შემთხვევით ქურნალ-გაზეთების  
კანტორასთან შეგვეხვედებოდა, უეჭველად ავედევნებოდით და თუ ბულ-  
ვარისაკენ წავიდოდა, თან გავყვებოდით. ვილაპარაკებდით. მერმე სა-  
ათს დახედავდა, მაშინვე ან მცირე ხნის შემდეგ გაიღიმებდა და თავა-  
ზიანად გვეტყოდა:

— უკვე დროა მოხუცებულმა დაისვენოს, იმისთვის, რომ არ გა-  
ნისვენოსო, — და თავაზიანად გამოგვეშვიდობებოდა...

ერთხელ, თუ არ ვცდები, ეს იყო 1913 წელს, ქურნალ-გაზეთების  
კანტორასთან კირილე დგას და გვესაუბრება. კარგა ხანმა გაიარა და  
უცებ, სრულიად მოულოდნელად, აკაკი წერეთელი წამოგვადგა თავზე,  
თავის მომხიბლავი ღიმილით მოგვესალმა და კირილეს ხუმრობის კი-  
ლოთი უთხრა:

— ბიჭო, კირილე! სულ ქვევით რომ იყურები, თავს ზევით ვერ  
აწეე? მიწაზე რა დაგეკარგა, რას ეძებ?

— მე მიწაზე დამეკარგა და იმას ვეძებ, რასაც შენ ცაში ეძებ და  
ვერ გიპოვნიავო, — აკაკიმ სწრაფად მიიღო მოხდენილი პასუხი კირილე-  
საგან, რომელიც ამ დროს ცოტათი წელში გაიმართა.

იქ მყოფნი მივხვდით, რა შინაარსი ჩააქსოვა კ. ლორთქიფანიძემ  
ამ ქარავმით გამოთქმულ აზრიან პასუხში... მაგრამ აქ მეორე მომენ-  
ტი იყო აგრეთვე ფრიად საინტერესო. კირილე მოხუცებულობისა და  
სწეულების გამო წელში იყო მოღუნული და ამის გამოც თავი მუდამ  
ქვევით ჰქონდა დახრილი და კისერი მოდრეკილი, ხოლო აკაკის იმავე  
მიზეზებით ბეჭები ჰქონდა გადაქაჩული, კისერი გაშეშებული და  
გვერდზე გადაწეული, თავი კი მაღლა აწეული და ისეთ შთაბეჭდილე-  
ბას სტოვებდა, თითქოს განგებ სულ მაღლა ცისკენ იცქირებო.

რას იზამ, სიბერემ ასე იცის... კირილემ კი ამ ორივე ნაკლით  
მოხერხებულად ისარგებლა და მის მეგობარს, დიდ პოეტს მოხდენილი  
ორაზროვანი პასუხი გასცა... ეს ორი მოღვაწე საერთოდ დიდი მეგობ-

რები იყვნენ... მათ შორის, ალბათ, ასეთი აზრიანი და ქარაგმიანი სიტყვა-პასუხი და გამოთქმები მუსაიდის დროს ბევრი იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჩაწერილი არ არის.

კ. ლორთქიფანიძის ადამიანური თვისებების დასახასიათებლად ბევრ რამეს ლაპარაკობდნენ, მაგრამ მე მინდა აქედან მხოლოდ რამდენიმე მოვიგონო, რადგან სხვა აღარ მახსენდება.

კ. ლორთქიფანიძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ დროს საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის გამგეობის თავმჯდომარე იყო. საქმეს თავდადებით ემსახურებოდა. კარგადაც მიჰყავდა ბანკის საქმე და საზოგადოებაც კმაყოფილი ჰყავდა. ერთს დღეს ბანკს ყაჩაღები დაესხნენ და გაძარცვეს. როცა სალაროს მიაღვნენ ფულის წასაღებად, კირილე თურმე მათთან მივიდა და თავაზიანად უთხრა: „ბატონებო! რას სჩადიხართ, ეს საზოგადოების ფულია, მისი გატაცება განა შეიძლება-ო“. აბა, ყაჩაღები ამ თქმას რა ანგარიშს გაუწევდნენ: ფულები წაიღეს, მერმე მიაღვნენ თვით კირილეს კაბინეტს და გაჩხრიკეს უჯრები, ერთმა ყაჩაღმა მაგიდაზე დადებულ პორტფელს წაავლო ხელი და გახსნა... ალბათ, შიგ ფული ეგონა, კირილე ყაჩაღს მივარდა, პორტფელს ჩაებლაუჯა და მუდარით უთხრა:

— თქვენი ჰირიმი, ამას მაინც ნუ ახლებთ ხელს, შიგ ვადების მიხედვით ვექსილებია ჩალაგებული, ძლივს დავალაგე, არ ამირითო.

მძარცველმა კირილეს მუდარას ანგარიში არ გაუწია და პორტფელი გამოფერთხა, შიგ მართლაც ვექსილების მეტი არაფერი აღმოჩნდა.

ეს ამბავი ქალაქში სწრაფად გავრცელდა, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ვარიანტით. ერთ-ერთი ვარიანტი მწერალმა ი. პონტელმა (ჩიქოვანი) გადმოგვცა თავის მოგონებებში. მე კი ისე ვწერ, როგორც გავიგონე თვით ხსენებულ ბანკის თანამშრომლებისგან. ეს ამბავი შეიძლება შემდეგში თანდათანობით გადაკეთდა და ანეკდოტური შინაარსი მიიღო, მაგრამ ის ძირითადად მართალია და კარგადაც ახასიათებს კ. ლორთქიფანიძის ადამიანურ ბუნებას.

აი, კიდევ ერთი მაგალითი მისი კეთილ-სინდისიერების და სამართლიანობის დასახასიათებლად. 1874 წ. თბილისში კ. ლორთქიფანიძის შეთაურობით გაიმართა სცენისმოყვარეთა წარმოდგენა, საქველმოქმედო მიზნით. დადგეს ი. ჭავჭავაძის „სცენები მირავოი პოსრედნიკთან“. თვით კირილე ასრულებდა მირავოი პოსრედნიკის, ე. ი. მომრიგებელ შუამავლის როლს. წარმოდგენა დამთავრდა, მესამე დღეს გაზ. „დროება“-ში გამოქვეყნდა რეცენზია. ავტორი ყველა მოთამაშეს ქებით იხსენიებდა, ხოლო მომრიგებელ შუამავლის როლის განმასახიერებელ კ. ლორთქიფანიძეზე კი სწერდა: კირილე ლორთქიფანიძე ასრულებდა მირავოი პოსრედნიკის როლს და ამ როლის შემსრულებლის მაგიერ მუთაქა რომ გამოეტანათ სცენაზე და დაედვათ, უკეთესი იქნებოდა, უფრო მეტ შთაბეჭდილებას დასტოვებდაო.

ახლა არ იკითხავენ, ვინ იყო ამ რევოლუციის ავტორი?! ავტორი თანავე კ. ლორთქიფანიძე იყო... და ეს დაბეჭდა იმ გაზეთში, რომელსაც თვითონ რედაქტორობდა, რადგან გაზეთის მუდმივი რედაქტორი სერგეი მესხი დროებით საზღვარგარეთ იყო გამგზავრებული, ხოლო კირილეს გაზეთი დროებით ჰქონდა ჩაბარებული.

რადგან ისტორიას მივმართე, ბარემ კიდევ ერთი ცნობა ისტორიიდან: ვასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, ქუთაისში, ვიდრე კოტე მესხის მიერ პროფესიული თეატრის დაარსებამდე, იმართებოდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენები. კ. ლორთქიფანიძემ იკისრა უჩინარი და თუ გსურთ უბრალო მოვალეობა — სუფლიორობა. ამ თანამდებობაზე ის უხელფასოდ, ანდა თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი დატვირთვის წესით მუშაობდა და მოვალეობას თავისებური ერთგულებითა და კეთილსინდისიერებით ასრულებდა. კ. ლორთქიფანიძე დიდი ინტელიგენტი იყო და დიდი არისტოკრატიც. ასეთი კაცი თავისი გრძელი წვერებით წარმოიდგინეთ სუფლიორის გიზურში, რასაც ის არ თაკილობდა, რადგან თეატრი მიაჩნდა ისეთ დიდ დაწესებულებად, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ჩვენი ხალხის კულტურულად ამაღლებისა და ეროვნულად გათვითცნობიერების საქმეში დიდი როლის შესრულება.

ეჰ, ისტორიის არქივიდან რომ მასალების ამოლაგება დავიწყო, კ. ლორთქიფანიძის მოღვაწეობის დასახასიათებლად ბევრი საინტერესო ცნობის მოყვანა შეიძლება, მაგრამ მე ხომ ისტორიას არა ვწერ, მოგონებებისათვის კი რაც ვთქვი, ვგონებ, საკმაოდ უნდა ჩაითვალოს... ისე კი ვფიქრობ, ეს დიდი მოღვაწე მისავეწყებელი არ არის და საჭიროა მის შესახებ ცალკე წიგნი დაიწეროს. ასეთ შრომას ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა ექნება.

კირილე ლორთქიფანიძეს მისი თანამედროვენი საქართველოს არისტიდეს ეძახდნენ. და მან ეს ეპითეტი თავის უანგარო მოქმედებამოღვაწეობით სრულიად სამართლიანად დაიმსახურა... და განა ყველა ის ცნობა, რაც მე აქ მოვიყვანე, აშკარად არ ლაღადებს იმაზე, რომ მან ასეთი სახელწოდება კანონიერად დაიმსახურა? თანამედროვენიც მას დიდად აფასებდნენ და დიდს პატივისცემით ეპყრობოდნენ.

კირილე ლორთქიფანიძე გარდაიცვალა 1918 წელს. მის დაკრძალვას მეც დავესწარი. მისი დასაფლავებაც ისეთივე უბრალო იყო, როგორც მისი ცხოვრება ამ ქვეყნად. წარმოითქვა რამდენიმე გულთბილი სიტყვა.... დასაფლავეს ბაგრატიის ტაძრის ნანგრევების გალავნის ეზოში.

აი, ამით ვამთავრებ მოგონებებს ამ ყოველმხრივ შესანიშნავ და საინტერესო ადამიანის შესახებ.

## მოგონება შიო არაგვისპირელზე

ეს მოგონება ეკუთვნის შიოს უახლოეს მეგობარსა და სტუდენტობის დროის საუკეთესო ამხანაგს, ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრე მიქაბერიძეს (მოგონება დაცულია გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ქართული ლიტერატურის მუზეუმში, ალ. მიქაბერიძის არქივში).

ალ. მიქაბერიძე წლები განმავლობაში ცხოვრობდა და სწავლობდა ქ. ვარშავაში შიო არაგვისპირელთან ერთად და მოწმე იყო ბევრი საინტერესო ამბისა, ეპიზოდისა და შეხვედრისა. იგი ცნობებს გვაწვდის ვარშავის ქართველ სტუდენტთა შესახებ ჯერ თოდ, განსაკუთრებით კი შიო არაგვისპირელისა და ფილიპე მახარაძის საქმიანობაზე ვარშავაში სწავლის პერიოდში.

მოგონება პირველად ქვეყნდება. იგი შეიცავს მწერლის ვარშავაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო ეპიზოდებს, შეხვედრებსა და საქმიანობას, მის აქტიურ მონაწილეობას ვარშავის სტუდენტთა წარუცხადებასა და ქართველთა სათვისტომოში, სამწერლო შემოქმედებით მუშაობას და სხვ.

ალ. მიქაბერიძის მოგონება შიო არაგვისპირელზე ახალი ფურცელი ჩვენი ჯანსივლით მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის საქმეში.

დავით მუღლაშვილი

ქართველი ახალგაზრდა, რომელსაც თვითმპყრობელობის დროს ბედი გაუღიმიებდა საშუალო სასწავლებელი დაემთავრებინა, 1890-იან წლებამდე უმეტეს ნაწილად პეტერბურგის, მოსკოვის, ხარკოვის, კიევისა და ოდესის უნივერსიტეტებს ეტანებოდა უმაღლესი სწავლის მისაღებად.

საშუალო სასწავლებლად იმ ჟამად, სასწავლო უწყების დადგენილებით, გიმნაზიები და რეალური სასწავლებლები ითვლებოდნენ.

გიმნაზიებში კურსდამთავრებულთ გზა ხსნილი ჰქონდათ უმაღლესი სასწავლებლებისაკენ. რეალურ სასწავლებლებში კურსდამთავრებულთა უფლებები კი რამდენიმედ შეზღუდული იყო. რეალისტებს უფლება ჰქონდათ შესულიყვნენ მხოლოდ უნივერსიტეტის განსაზღვ-

რულ ფაკულტეტზე და ზოგიერთ სპეციალური ხასიათის უმაღლეს სასწავლებლებში.

გარდა გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლებისა, მეფის დროს არსებობდნენ კერძო საშუალო სასწავლებლები და სასულიერო სემინარიები, რომელთა მოწაფენი თავიანთი ცოდნითა და განვითარებით გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში კურსდამთავრებულებს კიდევაც სჯობნიდნენ და უფრო მეტ უნარსა და გამჭრიახობას იჩენდნენ ცხოვრებაში.

კერძო სასწავლებლები კიდევ ახერხებდნენ კურსდამთავრებულ მოწაფეთათვის მოეპოვებინათ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებები.

სემინარიელები კი ასეთსავე უფლებას სრულიად მოკლებულნი იყვნენ და ეს სამწუხარო გარემოება დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, როგორც სემინარიელებში, ისე საზოგადოებაში და მაშინდელ მოწინავე მწერლებში.

მთავრობა, ბოლოსდაბოლოს, იძულებული შეიქნა რამდენიმედ მაინც ანგარიში გაეწია საზოგადოების უკმაყოფილებისათვის.

სემინარიაში კურსდამთავრებულებს უფლება მიენიჭათ შესულიყვნენ ტომსკის უნივერსიტეტში, და რუსეთის შორეულ ქალაქებში არსებულ საბეითლო ინსტიტუტებში.

ტომსკის უნივერსიტეტი, სიშორისა და აუტანელი კლიმატური პირობების გამო, თითქმის მიუწვდომელი იყო ქართველი ახალგაზრდობისათვის, ამიტომ თბილისის სემინარიაში კურსდამთავრებულმა ახალგაზრდამ, უმეტეს შემთხვევაში, ვარშავის საბეითლო ინსტიტუტისაკენ იბრუნა პირი.

1888—89 სასწავლო წელს ვარშავაში მხოლოდ ოთხი ქართველი სწავლობდა უმაღლეს სასწავლებლებში: პეტრე ჭიჭინია — საექიმო ფაკულტეტზე, გიორგი ხაბურძანია — იურიდიულ ფაკულტეტზე, ცნობილი მხატვრის ალექსანდრე მრეველიშვილის ძმა გიორგი მრეველიშვილი — საბეითლო ინსტიტუტში, ივანე თიკანაძე — საექიმო ფაკულტეტზე, რომელიც 1889—1890 სასწავლო წლის დასაწყისს პეტერბურგში გადავიდა და სამხედრო საექიმო აკადემიაში განაგრძო სწავლა.

1889—90 სასწავლო წელს ვარშავის მცირერიცხოვან სტუდენტობას მიემატნენ ქუთაისის გიმნაზიაში კურსდამთავრებულნი — ნიკოლოზ შენგელია და ამ სტრიქონების დამწერი.

მართალია, იმჟამად ვარშავაში მყოფი ხუთი ქართველი ერთმანეთს ხშირად ვნახულობდით, მაგრამ წრის სახით რაიმე ჩამოყალიბებული ორგანიზაციის დაარსება ვერ შეეძლოთ და ამისათვის არც გამოცდილება გვიწყობდა ხელს.

1890/91 სასწავლო წელს ვარშავის სტუდენტობას მიემატნენ თბილისის სემინარიაში კურსდამთავრებულები — ფილიპე მახარაძე, სერაფიონ მიქაძე, მიხეილ მირიანაშვილი და შიო დედაბრიშვილი (შ. არაგვისპირელი); გიმნაზიაში კურსდამთავრებულნი — ანტონ გელაზარაშვილი — ქუთაისიდან და ნიკოლოზ მელიქიშვილი — თბილისიდან. სემინარიაში კურსდამთავრებულები ჩაირიცხნენ ვარშავის საბეთ-ლო ინსტიტუტის სტუდენტებად, ხოლო ანტონ გელაზარაშვილი და ნიკოლოზ მელიქიშვილი, როგორც გიმნაზიაში კურსდამთავრებულნი, მიღებულ იქნენ ვარშავის უნივერსიტეტში.

სემინარიელ სტუდენტთა ჯგუფის ვარშავაში ჩამოსვლამ გამოაცოცხლა ვარშავის მცირერიცხოვანი სტუდენტობის მოდუნებული ცხოვრება.

ფილიპე მახარაძე და სხვა ახალჩამოსული სემინარიელები დაბინავდნენ ვარშავაში მარშალკოვისა და იერუსალიმის ხეივნის კუთხეში მდებარე სახლში, რომელშიაც შვიდი თუ რვა ოთახი გაქირავებული ჰქონდა ერთ ხანშიშესულ პოლონელ ქალს — აგნესა იაგელსკაიას, რომელსაც ეს ბინა განკუთვნილი ჰქონდა სტუდენტების სასადილოდ და საცხოვრებლად.

საუცხოო ადამიანი იყო ეს პოლონელი ქალი. უმეტეს შემთხვევაში იგი ბინას უთმობდა და სადილებს უმზადებდა სტუდენტობის ღარიბ ნაწილს.

მთელი თვეობით უგვიანებდნენ სტუდენტები ოთახის ქირას, ჩაისა და სადილების ფულს, მაგრამ ეს გულკეთილი და პატიოსანი ადამიანი ერთხელაც არ აგრძნობინებდა სტუდენტს, რომ უკვე დრო იყო ფულის შეტანისა.

დედაშვილურად მოსიყვარულე იაგელსკაია მუდამ ღიმილით, ხალისიანად ევლებოდა თავს სტუდენტობას.

სტუდენტები დიდად აფასებდნენ იაგელსკაიას გულწრფელ, გულთბილ მზრუნველობას და ამ კეთილ ადამიანს უზომო პატივს სცემდნენ.

იაგელსკაიას თავისი გულკეთილობა, სტუდენტობისათვის თავის გამოდება, გულთბილი და გულწრფელი სიყვარული არაერთხელ საქმით დაუმტკიცებია.

როცა ფილიპე მახარაძე, მიხეილ მირიანაშვილი, ანტონ გელაზარაშვილი, შიო არაგვისპირელი და სხვები დააპატიმრეს ვარშავაში აკრძალული ლიტერატურის საზღვარგარეთიდან მიღებისა და „საქართველოს განთავისუფლების ლიგის“ შედგენისათვის, იაგელსკაია, მისი ნათესავი მზარეული ქალი ეველინა ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, დაპატიმრებული ქართველი სტუდენტებისათვის ციხის აუტანელი რეჟიმი მცირედად მაინც შეემსუბუქებინათ.

ეს გულკეთილი ადამიანები, თითქმის ყოველდღე, სანოვავით



დატვირთული, ვარშავის ციხის კარებთან იდგნენ და სადილს, პაპიროსებს აწვდიდნენ დატუსაღებულ ქართველ სტუდენტებს.

იაგელსკაიას ისე უყვარდა ქართველი სტუდენტობა, რომ იგი 1902 წელს, იელისის გასულს, თბილისშიაც კი ჩამოვიდა და რამდენიმე დღე შიო არაგვისპირელის ბინაზე ცხოვრობდა.

ამ დროს მე გორის მაზრაში, სოფელ კავთისხევში ვიმყოფებოდი ოჯახობით. თბილისში იაგელსკაიამ ვერც ერთი ჩვენი ვარშაველი ამხანაგი ვერ ნახა, გარდა შიო არაგვისპირელისა. იმ დროს ყველანი საზაფხულოდ იყვნენ გასული თბილისიდან.

ერთ დილით, ასე, იქნებოდა 12 საათი, კავთისხევში, ჩემი საზაფხულო სახლის ეზოში შემოვიდა „ჩვენი“ იაგელსკაია, რომელსაც რკინიგზის სადგურიდან 6—7 ვერსი ფეხით გამოეველო და მთლად ოფლში იწურებოდა.

მეტად სასიამოვნოდ დამრჩა ჩვენი ყოფილი დიასახლისის ასე შორეული ქალაქიდან საქართველოში ჩამოსვლა. ბევრი რამ კარგი, ბევრი რამ ცუდი მოვიგონეთ ვარშავის ცხოვრებიდან.

როცა ამ სასიამოვნო ლაპარაკში ვიყავით გართული, იაგელსკაიამ გადმომცა შიოსაგან გამოგზავნილი წერილი.

შიო მწერდა:

„სანდრო, ვერ წარმოიდგენ, როგორ გამეხარდა, როცა ჩვენი იაგელსკაია ამ ორი დღის წინათ, დილით კარებზე მომადგა, საწყალ მოხუცებულ ქალს მთელი ნახევარი რუსეთი შემოუვლია, ბევრი ვარშაველი სტუდენტი, ყოფილი მისი მდგმური და მოსადილე უნახავს და დიდად კმაყოფილია უკან დაბრუნებისას ჩვენც არ დავვიწყებვიართ და მოგვინახულა.

სამწუხაროდ, თბილისში ამჟამად ჩვენი ვარშაველი ამხანაგები არ იმყოფებიან და არც მათი მისამართი ვიცი, რომ „პანის“ ჩამოსვლა შემეტყობინებინა.

შენი თბილისის მახლობლად ყოფნა რომ შეიტყო, მოისურვა ნახვა. მეც სიამოვნებით ვასრულებ ამ თხოვნას. მინდოდა, თვითონ წამოვყოლოდი, მაგრამ ჩემი ეს ჯანდაბა სამსახური მოსვენებას არ მძლევს. ერთი დღე რომ მოვცდე და სადარაჯოზე არ გამოვცხადდე, ყველაფერი დომხალივით აირევა: აბა, ჩემო კარგო, ვინძლო შენებურად დაუხვდე ამ ჩვენ დიდად მოამაგე ქალს და, რაც კი შეგიძლია, პატივისცემას ნუ მოაკლებ. გააცანი ჩვენი სოფელი და მის მკვიდრთა მდგომარეობა.

მე როგორც კი შემეძლო, პატივისცემა და ყურადღება არ მომიკლია, თბილისის შესანიშნავი ადგილები დავათვალიერებინე. თბილისში ყველაზე უფრო იაგელსკაიას ყურადღება ეკლესიებმა მიიპყრეს. სიონის ეკლესიაში რომ შევიყვანე, „პანი“ ალტაცებაში მოვიდა. მთელი ნახევარი საათი მუხლებმოყრილი ლოცულობდა, ძლივსლა გამოვი-

ყვანე ეკლესიიდან. საწყალი ქალის კათოლიკურმა ბუნებამ ჩვენს ეკლესიაშიც იჩინა თავი.

ერთი დღით „პანი“ მცხეთაშიაც ავიყვანე. გავაცანი მცხეთის წარსული. მცხეთაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზედ სეგტიცხოვლის ტაძარმა, როცა იგი ეკლესიიდან გამოვიდა, მომიბრუნდა და მწუხარედ მითხრა: დიდებული ტაძარი ყოფილა. ვინ იცის, რამდენი რასმეს მომსწრეა! ეს ტაძარი, ჩენსტახოვის ღვთისმშობლის ტაძარს მაგონებსო. ჩენსტახოვის ტაძარი ძველ დროსაა აგებული, იგი ჩვენი დიდებული წარსულის მრავალი ამბის მოწამეა. კიდევაც ამიტომაც, რომ პოლონელები ამ ჩვენი ბრწყინვალე დროის მოწამე ძეგლს ასე დიდ ზატივს სცემენო.

„პანის“ ძალიან მოეწონა მცხეთის სიძველენი. მან დაკვირვებით დაათვალიერა დედათა მონასტერი და მისი ეკლესია, მოლოზნებს გამოკითხა მონასტერში ყოფაცხოვრებისა და საქმიანობის ამბავი.

„პანის“ მცხეთის დათვალიერების დროს არ მოეწონა მცხეთელების კარ-მიდამოს ძალზე უსუფთაობა — ეს რა ამბავია, განა თუ მამაკაცები თავს არ იწუხებენ კარ-მიდამოს გასუფთავებისათვის, დედაკაცები მაინც რატომ არ უვლიან გაპარტახებულ კარ-მიდამოსო.

მცხეთის დათვალიერების შემდეგ „პანიმ“ ჩემს სოფელში წასვლა მოისურვა, მაგრამ ეს სურვილი ვერ შევესრულე, ან კი, როგორ უნდა შემესრულებინა, როცა ჩემ სახლს კარგა ხანია კარები გამოხურული აქვს! სახლში უკვე არავინ მყავს, რომ გულთბილად შემომხვდეს, განა ცეცხლი არაა, რომ შენი სამშობლო სოფლისაკენ გული არ მიგიწევდეს! რა ვუყოთ, რომ ქვეყანა ასე ცვალებადი ყოფილა!

გული მიკვდება, რომ ჩემი სახლი ასე დაცარიელდა, ჩემი მშობლიური კერა წინანდებურად გულს არ მითბობს, არ მახარებს, თავისკენ არ მიზიდავს. ასე და ამრიგად.

მამ მშვიდობით, კარგად იყავი, შენი შიო“.

კავთისხევში იაგელსკაია ოთხი დღე დარჩა, ამ ხნის განმავლობაში დავათვალიერეთ კავთისხევი, წინარეხი, გუდალეთი, მალალანთ კოშკი და ვარშავაში მისი გამგზავრების წინა დღით ქვათახევის მონასტერი.

მონასტერმა და მისმა იშვიათმა მღებარეობამ ერთიანად მოხიბლა იაგელსკაია. ღვთისმორწმუნე ქალი დიდხანს მუხლებმოყრილი ლოცულობდა ეკლესიაში.

მეორე დღეს პანი გამოეთხოვა ჩემს ოჯახობას და ერთად რკინიგზის სადგურისაკენ გავემგზავრენით.

სადგურ ქსანზე ავუღე ბათუმამდე საგზაო ბილეთი, ჩავაჯინე მატარებელში და მშვიდობით მოგზაურობა ვუსურვე.

გამოთხოვებისას იაგელსკაია თვალეზაცრემლებული მომეხვია და მითხრა: „მშვიდობით, პანე ალექსანდრე, მშვიდობით! დღეის შემდეგ

ჩვენ ერთმანეთს ველარ შევხვდებით, მე ისე მოვხუციდი, რომ საცა, სულ  
საც განვუტყევებ!

მართლაც ამის შემდეგ იაგელსკაია არ მინახავს.

1904 წელს, როცა ბერლინში მივემგზავრებოდი, ერთი დღით ვარ-  
შავაში მომიხდა გაჩერება. მოვინახულე ის ბინა, რომელშიაც სტუდენ-  
ტობის დროს იაგელსკაია და მისი ერთგული მოსამსახურე ქალი ევე-  
ლინა ასე გულთბილად დაგვტრიალებდნენ თავს.

სახლი, საცა იაგელსკაია ცხოვრობდა, თავის ძველ ადგილას ისევე  
უცვლელი დამხვდა — ხოლო მის ყოფილ ბინაზე რალაც სავაჭრო კან-  
ტორა გაემართათ და ნაცვლად იაგელსკაიას და ეველინას კისკისისა,  
გაისმოდა სათვალავების კოჭების რახარუხი.

როცა ამ სახლის მმართველს შევეკითხე, იაგელსკაია სად გადა-  
ვიდა-მეთქი, მან ღიმილით ლაკონიური პასუხი მომცა: „პოვონსკაზე“.

ამ პასუხმა მეტად დამალონა. „პოვონსკა“ პოლონელების სასაფ-  
ლაოა ვარშავის გარეუბანში და რასაკვირველია, ამ საბედისწერო ად-  
გილას გადასახლება მაინცა და მაინც სასიამოვნო არ არის.

ჩვენ განზრახ ასე ვრცლად შევჩერდით იაგელსკაიას პიროვნება-  
ზე, იმიტომ რომ ჭეშმარიტად გულთბილ და კეთილ ადამიანს, ერთი რომ,  
მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი სტუდენტობისათვის ვარ-  
შავაში, და, მეორე ისაა, რომ შიოსა და იაგელსკაიას კეთილგანწყო-  
ბილი დამოკიდებულების გამომქლავნებით რამდენიმედ მაინც უფრო  
ნათლად გამოვარკვევთ შიოს ხასიათის საუკეთესო თვისებებს.

შიო იაგელსკაიას ყველგან და მარადის დიდ პატივს სცემდა და ეს  
პატივისცემა საქმიოთაც არაერთხელ დაუმტკიცებია, მაგრამ ამის შესა-  
ხებ შემდგომაც გვექნება საუბარი.

ვარშავაში მე ჩავედი 1889 წელს, აგვისტოს დამლევს. მე და ნი-  
კო შენგელიამ, რომელმაც ჩემთან დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, ერ-  
თად დავიჭირავეთ ოთახი ვარშავის ერთ-ერთ საკმაოდ თვალსაჩინო  
ადგილას, უნივერსიტეტის მახლობლად, იერუსალიმის ხეივანზე.

თუმცა ოთახი, რომელიც ჩვენ დავიჭირავეთ, მაინცადამაინც სახარ-  
ბიგლო არ იყო, მაგრამ დიასახლისის — პანი ვანსოვიჩის გულკეთილმა  
და თავაზიანმა შეხვედრამ ისე მოგვხიბლა, რომ უყოყმანოდ გადავწყ-  
ვიტეთ იქ დარჩენა.

ფილიპე მახარაძე, სერაფიონ მიქაძე და დანარჩენი იმკამად ვარ-  
შავაში ჩამოსული სემინარიელები პირველ ხანებში დაბინავდნენ იერუ-  
სალიმისა და მარშალკოვის ქუჩების კუთხის სახლში, პანი იაგელსკა-  
ისთან, რომელმაც მათ შესაფერისი ოთახები დაუთმო. ახლად ჩამო-  
სული ქართველი სტუდენტები სადილობდნენ და ჩაის სვამდნენ იაგელ-  
სკაიას პატარა სასადილოში სხვა სტუდენტებთან ერთად.

თბილისის სემინარიელების ჩამოსვლამ ვარშავაში, როგორც ზე-

მთ მოვიხსენიეთ. დიდი აქტივობა შემოიტანა ვარშავის აქამდე მცირე რიცხოვან სტუდენტების ცხოვრებაში.

თუ ვარშავის საბითლო ინსტიტუტის სტუდენტების ჩამოსვლამდე უნივერსიტეტში მოსწავლე სტუდენტები მხოლოდ და მხოლოდ აკადემიურ მეცადინეობაში იყვნენ გართული, თბილისის სემინარიელების ჩამოსვლის შემდეგ ჩვენი ცხოვრების სურათი სულ სხვაფრთვ შეიცვალა.

ფილიპე მახარაძემ, შიო არაგვისპირელმა და სხვებმა ვარშავის უმაღლეს სასწავლებელში მყოფ ქართველ სტუდენტთა წრე, ქართველ სტუდენტთა სათვისტომო ჩამოაყალიბეს.

ამ წრეს, თანახმად შემუშავებული წესდებისა, მიზნად ჰქონდა დასახული წრის წევრთა თვითგანვითარება, წრეში სისტემატიური მეცადინეობის საშუალებით.

წრემ შეიძინა საჭირო წიგნები, შეადგინა სახელდახელო ბიბლიოთეკა, გამოიწერა თბილისიდან ქართული წიგნები და ქართული ჟურნალ-გაზეთები და, ამრიგად, შეუქმნა წრის წევრებს ხელსაყრელი პირობები ნაყოფიერად მეცადინეობისათვის.

ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს დაარსებაში შიო არაგვისპირელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. თავისი ფრთხილი, დაკვირვებულ და გონივრული საქმიანობით ხელს უწყობდა სათვისტომოს მკვიდრი ნიადაგზე დაყენების საქმეს.

წრის წესდების თანახმად სათვისტომო კვირაში ერთხელ იკრიბებოდა. პირველ ხანებში, სანამ რეფერატების კითხვას დაიწყებდით, სარეფერატო მასალებს ვეცნობოდით და შიგადაშიგ ვმსჯელობდით და ვბაასობდით იმ საჭირობოროტო საკითხების ირგვლივ, რომელთაც საზოგადოდ აყენებდა სტუდენტობის ცხოვრება და ჩვენი სამშობლოს იმჟამინდელი მდგომარეობა.

შიოს მოფიქრებულ და დაკვირვებულ წინადადებებს სხდომაზე წრის წევრები ყოველთვის დიდად აფასებდნენ და ანგარიშს უწყებდნენ. სათვისტომო, სანამ შიოს აზრს არ მოისმენდა, იშვიათ შემთხვევაში გამოიტანდა ამა თუ იმ დადგენილებას.

სათვისტომოს სხდომები უმთავრესად იმართებოდა იაგელსკაიას ბინაზე, ხან ფილიპე მახარაძის ოთახში, ხან სხვასთან.

იაგელსკაიას ბინაზე სათვისტომოს სხდომების მოწყობას თავისი საპატიო საფუძველი ჰქონდა.

პოლონეთის გენერალ-გუბერნატორად იქამდე იყო რუსეთში კარგად ცნობილი ფელდმარშალი გურკო, რომელიც თავისი სისასტიკით და უხეში გარუსების პოლიტიკით ჯოჯოხეთურ მდგომარეობას ჰქმნიდა მთელ იმ მხარეში. ამ აღვირახსნილი ტირანის წყალობით მთელი პოლონეთი წელში იზნიჭებოდა და სულიერად, ხორციელად იტანჯებოდა.

ვარშავის ქანდარმთა სამმართველო მუდამეამს ფხიზლად თვალსადასრულად ყურს აღევნებდა, თუ სადმე, ქალაქში, თავისუფალი აზრის კერა ჩაისახებოდა.

ქართველი სტუდენტების სათვისტომოს წევრებმა კარგად იცოდნენ ქანდარმერიის სიფხიზლის ამბავი და კიდევაც ამიტომ იყო, რომ სათვისტომოს სხდომები იაგელსკაიას ბინაზე იმართებოდა, რადგან იაგელსკაიას წყალობით ეს ბინა კონსპირაციული კრებისათვის მეტად ხელსაყრელად ითვლებოდა.

იაგელსკაია და მისი ერთგული ეველინა, როცა ჩვენი სათვისტომოს კრებები იმართებოდა მათ ბინაზე, დაარჯობდნენ მთელ ბინას და საკირო შემთხვევებში სათანადო ზომებს იღებდნენ.

პირველი სასწავლო აკადემიური წლის განმავლობაში სათვისტომომ დაამუშავა და მოისმინა დაახლოებით შემდეგი რეფერატები: „პიროვნების როლი ისტორიაში და ისტორიული პროცესის არსი“, „ოჯახი და მისი წარმოშობა“, „ნაცია და მისი, თანამედროვე გაგებით, ძირითადი საფუძვლები“, „პროგრესი და მისი დამახასიათებელი თვისებები“, „სახელმწიფოს წარმოშობა და მისი თანამედროვე ორგანიზაციის სახეები“, „პირველყოფილი ადამიანის თანდათანობითი განვითარების ეტაპები თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით“ და მრავალი სხვა საგულისხმო შინაარსის რეფერატი.

არ შეგვიძლია აქვე არ აღვნიშნოთ, რომ სემინარიული სტუდენტები რეფერატების გარჩევის დროს უფრო მეტ აქტივობას, უფრო მეტ ცოდნას და გამოცდილებას იჩენდნენ, ვიდრე გიმნაზიაში კურსდამთავრებულები.

შიო ამ სხდომებზე დიდის ცოდნით, დიდი ერუდიციით გამოდიოდა და არ მახსოვს არც ერთი მისი დისპუტში გამოსვლა, რომ მის აზრს, მის შეხედულებას რაიმე წინააღმდეგობა გამოეწვია. შიოს აზრს, შიოს წინადადებას ამხანაგები ყოველთვის ანგარიშს უწევდნენ და კიდევაც ამიტომ იყო, რომ შიომ საკითხებისადმი სწორი და პირუთვნელი მიდგომით ამხანაგთა შორის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

სათვისტომოს თანდათან ემატებოდნენ ახალი წევრები. ქუთაისიდან ჩამოვიდა არჩილ ჯორჯაძე, რომელიც უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. იმ ხანებში ჩამოვიდა კირილე იოსელიანი, რომელსაც განზრახული ჰქონდა ვარშავაში გამოცდები ჩაებარებინა მასწავლებლის მოწმობის მისაღებად. პეტერბურგიდან ვარშავაში გადმოიყვანეს ექიმი ივანე ლულაძე, რომელმაც იაგელსკაიას ბინაზე დაიჭირავა ერთი ოთახი.

ივანე ლულაძე, თუმცა ქიზილოვის საავადმყოფოში, საცა იგი ექიმად გაამწესეს, სამსახურის გამო მეტად დატვირთული იყო საქმეებით,



მაგრამ მას ჯერ კიდევ შერჩენოდა სტუდენტური ვატაცება და ამიტომ ჩამოსვლისთანავე ჩაება ჩვენი სათვისტომოს საქმიანობაში და თავისი ცოდნით, გამოცდილებით ხელს უწყობდა სათვისტომოს წარმატებით მუშაობის საქმეს.

არჩილ ჯორჯაძე დაბინავდა თავისი მახლობელი ნათესავის — მაშინდელი ვარშავის კომენდანტის, გენერალ გიორგი ყაზბეგის ბინაზე. მიხეილ მირიანაშვილმა, რომელიც პირველ ხანებში იაგელსკაიას ბინაზე ცხოვრობდა, იქვე მახლობელ ქუჩაზე დაიქირავა ერთი ოთახი და იქ გადასახლდა.

შიოს, როგორც კერძო ლაპარაკიდან ვატყობდი, იაგელსკაიას საერთო ბინაზე ცხოვრება რალაც ემძიმებოდა და განზრახვა ჰქონდა, სადმე უფრო მყუდრო ბინაზე გადასულიყო.

ეს განზრახვა შიომ სულ მოკლე ხანში სისრულეში მოიყვანა. იმეამდ ჩემს ოთახში ჩემთან ერთად ცხოვრობდა ანტონ გელაზარაშვილი, მაგრამ ეს უკანასკნელი სხვა ბინაზე მოეწყო და შიომაც ისარგებლა შემთხვევით და ჩემს ოთახში გადმოვიდა.

ამ დღიდან დაწყებული, ვიდრე მე საქართველოში დავბრუნდებოდი, შიო და მე სულ ერთად ვცხოვრობდით.

ამ საერთო ცხოვრებამ შიო და მე მჭიდროდ შეგვკავშირა, ერთმანეთი უფრო კარგად გავიცანით. ეს ჩვენი ვარშავაში გაბმული მჭიდრო კავშირი მწერლის უკანასკნელ ეამამდე არაფრით არ დაჩრდილულა, არაფერს არ შეუტრყევია და არ დაშლილა.

ოთახში რიგიანად მოვეწყეთ, შიო, როგორც ვატყობდი, კმაყოფილი იყო ახალი ბინით.

ერთ საღამოს, როცა ჩაის შევექცეოდით, შიომ ჩვეულებრივი მუსაიფის დროს სხვათა შორის მითხრა: „ეს მუდრეგი, რალაც განსაკუთრებული ხასიათი დამჩემდა. თუ ჩემს ირგვლივ ხმაურობა და ქრიაპულია, როგორც ამას ჩვეულებრივ იაგელსკაიას ბინაზე ჰქონდა ადგილი, მთელი არსება მეწამლება, მთელი გულ-მუცელი მდღუღარებით მეცსება, მეცადინეობაზე გული არ მიმდის და რალაც უხილავი ძალა, სადლაც, ქუჩისაკენ მეწევა. უბედურებაა, როცა შენ სულიერ განცდას ანგარიშს არავინ უწევს, ყველანი ისე გექცევიან, თითქოს შენ არც კი არსებობდე, შენი სულიერი მყუდროება მათ აინუნშიაც არ მოსდით, ყველანი წარბშეუხრელად გილოცავენ გზას და გეუბნებიან, წინ წყალი და უკან მეწყერიო.“

ეს სამი დღეა, რაც სულიერად და ხორციელად დავისვენე. ჩვენი მოხუცი დიასახლისიც, ეტყობა, რიგიანი ადამიანი უნდა იყოს. გუშინ, სანამ შენ დაბრუნდებოდი, დიდხანს ვესაუბრე, მოხუცმა რამდენიმე კომპლიმენტიც კი შემომთავაზა. დიდად მოხარული ვარო, მითხრა მან, რომ ქართველები ასე ზრდილი, გონიერი და კეთილი გულის ხალხი ყოფილხართო.

ყოველ შემთხვევაში, ჩემი პირველი შთაბეჭდილება ისეთია, როგორც ჩვენ დიასახლისთან საერთო ენას გამოვძებნით და ამ ბინაზე ცხოვრება გავგვიადვილდება.

მხოლოდ ერთი რამ არ მომწონს. ეს საბრალო მოსამსახურე პატარა ქალი დილიდან დაწყებული ღამის 11 — 12 საათამდე დაუსვენებელი აუტანელ ჰაპანწყვეტას ეწევა და ჩვენი დიასახლისი კი მაინცა-დამაინც კმაყოფილი არ არის მუშაობით. იცი მერე ამ აუტანელ შრომისათვის ჯილდოს რას ღებულობს? აქ წესად, ჰქონიათ შემოღებული, მოსამსახურეების კვარტალურად დაჭირაება. ჩვენი „ფრანჩისკა“ თურმე კვარტალურად ექვს-ექვს მანეთს იღებს. განა ეს უბედურება არ არის! როგორი უსამართლობაა! ესეც შენი განათლებული პოლონეთი!

მინდოდა ჩემი გულისწყრომა გამოემეცხადებინა დიასახლისისათვის, მაგრამ ჭერჭერობით თავი შევიკავე. თავისდროზე სამართლიანად გამოვესარჩლები ამ საბრალო ქალს. ეგების მცირედად მაინც შეიცვალოს მისი ნივთიერი მდგომარეობა: დიახ, ასე უსამართლო ყოფილა ეს ჩვენი წუთისოფელი! ვინაა კაცი, რომ ამ უსამართლობის წინააღმდეგ გაილაშქროს და დედამიწის ზურგიდან აღმოფხვრას ძირფესვიანად ყოველგვარი უსამართლობა!“ — დაამთავრა სიტყვა შიომ და დიდხანს, დიდხანს უსიტყვოდ, უმოძრაოდ მაგიდას ჩასჩერებოდა, მწარე კაეშანით პირისახე ემოსებოდა. მე და შიოს მეგობრობა დღითი დღე უფრო მკვიდრ ნიადავს ჰპოულობდა. ბოლოსდაბოლოს, ისე დავმეგობრდით, რომ ერთმანეთს სრულიად გულახდილად, მოუერიდებლად, ვუმეღავენებდით ყოველგვარ ჩვენს გულისტკივილს თუ დალხინებას.

ერთ საღამოს, როცა ჩაის შევექცეოდით, შიომ მითხრა: „სანდრო, როგორც ვატყობ, მე და შენ საკმარისად ანგარიშს არ ვუწევთ ჩვენს ყოველთვიურ ბიუჯეტს. სადილები, მაგალითად, ძლიერ ძვირი გვიჯდება. მართალია, სადილებს ვერ დავემდურებით, მაგრამ ჩვენი ვიწროთ შემოფარგლული ბიუჯეტი ამას ვერ გასწვდება. გარდა ამისა, სხვა ხარჯებიც არა გვაქვს მოწესრიგებული. არა გვაქვს გათვალისწინებული, რა თანხა გვეხარჯება ჩაიზე, შაქარზე, სარეცხზე, წიგნების შეძენაზე და დროგამოშვებით თეატრში წასასვლელი ბილეთების შეძენაზე. შენი ბიუჯეტი, რამდენადაც ვიცი, ჩემს ბიუჯეტს არ აღემატება.

მე, ისე, როგორც შენ, მშობლებისა და ნათესავებისაგან არავითარ ნივთიერ დახმარებას არ ვღებულობ.

შენ გაკვეთილებით ცხოვრობ, მე კი ვფიქრობ, ეგების, თუ ამ მოკლე ხანში არა, რამდენიმე ხნის შემდეგ მაინც ლიტერატურული შრომით გავიტანო თავი. სანამ ეს განხორციელდებოდეს, მანამდე სისტემატიურ დახმარებას მიწვევს ჩემი მეგობარი თედო სახოკია, რომელიც ამჟამად თბილისში ცხოვრობს და სულ ჩემზე ფიქრობს.

საწყალ კაცს ჯერ თვითონ რა აბადია, მაგრამ ისეთი კეთილშობილი, გულთბილი ადამიანია, რომ ყოველგვარ გაჭირვებას ითმენს, ოღ-

ონდაც მე არა მომაცლოს რა და საშუალება მომცეს, უმაღლესი სწავ-  
ლა დავამთავრო.

მართალია, თედოს შეწუხება მიმიძიმს, მაგრამ ჩემთვის უფრო სამ-  
ძიმო იქნებოდა ჩემი „მდიდარი“ სიძისათვის მიმემართა და დახმარება  
მეთხოვია. ჩემი სიძე, შიო კაიშაური, შეძლებული კაცია, მაგრამ ეს შეძ-  
ლება ისეთი გზით აქვს მოპოვებული, რომ მისი შემწევობით ხელის მო-  
მართვა, თუნდა შემდგომში ანაზღაურების სახით, ყოველად დაუშვებლად  
მიმაჩნია.

მთელი ეს ავლა-დიდება ამ ჩემ „პატიოსან“ სიძეს ჩვენი ისედაც  
დაბეჩავებული გლეხობის ნაოფლარით აქვს შეძენილი და, აბა, რა სა-  
კადრისია, ასეთი აღამიანისაკენ ხელი გავიშვირო დახმარების მიზნით!  
სიმდიდრით დაბრმავებული ჩემი „პატიოსანი“ სიძე მამალ ბუზს თავზე  
არ ისვამს და ყველას მაღლიდან ქვემოთ ჩამოსცქერის.

სასაცილოა, მაგრამ ფაქტია, როცა სოფლად ჩემ სიძესთან ერთად  
სადმე სასოგადობაში მოვხვდებოდი ხოლმე, გლეხებს ჩემი გვართა  
და სახელით კი არ აცნობდა თავს, არამედ ყველას თავმოწმონედ ეუბ-  
ნებოდა: „გაიცანით, ჩემი ცოლის ძმააო“, ამ სიტყვებზე ბრაზი მომდიო-  
და და არაერთხელ გულში გამივლია: „დამაცადე, შვილოსან, ეგები დად-  
გეს ისეთი ღრო, როცა მე უკუღმა შევატრიალებ შენივე გაცნობის ხერხს  
და ასე გაგაცნობთ: „ჩემი სიძეა, გაიცანით-მეთქი“.

თედო, სანამ უმაღლეს სასწავლებელს არ დავამთავრებ, თვიურად  
ოცდაათ მანეთამდე დახმარებას არ მომცალებს და მეც ამ ბიუჯეტის  
ჩარჩოებში მინდა მოვთავსდე. შენი თვიური ბიუჯეტიც ჩემის თითქმის  
თანაბარია და ამიტომ კარგი იქნება, ამ საღამოს შევადგენდეთ ჩვენი  
თვიური ხარჯების სავარაუდო გეგმას.

ხარჯთაღრიცხვა, რაც შეიძლება, მეტი სიზუსტით უნდა შევადგი-  
ნოთ. ნაკლებს თუ დავხარჯავთ, ხომ კარგი, ხოლო გადამეტებას, თავი-  
სთავად ცხადია, ვერ მოვახერხებთ, რადგანაც საამისოდ ჯიბეში ფული  
არ გვექნება.

მართალია, სადილებს ვერ დავემდურებით, ნოყიერიცაა და სა-  
კმარისიც, მაგრამ ყოველთვიურად თუმნის გადახდა ნამეტანი მიძიმე  
ტვირთად აწევს ჩვენს ისედაც მცირე ბიუჯეტს. ამხანაგებმა მიქეს  
ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა დახურული სასადილო. ამ სასადი-  
ლოში მოსადილეთა რიცხვი სასტიკად განსაზღვრულია — ახალ წე-  
ვრებს დიდის გარჩევით ღებულობენ თურმე. ორ თავ სადილს იძლე-  
ვიან, უქმე დღეებში დესერტსაც კი. პურს იმდენს, რომ ნაწილი  
კიდევაც რჩება. ასეთი სადილები თვიურად ექვსი მანეთი ღირს.

ლექციების შემდეგ ამხანაგებმა წამიყვანეს იმ სასადილოში და  
მომიხერხეს სასადილოს წევრად ორთავე მიველეოთ. ხვალიდანვე შე-  
გვიძლია ვისადილოთ. მართალია, შენი თანხმობა არა მქონია, მაგრამ



ვიცილი, შენ არ იუარებდი და კიდევაც ამიტომ უშენოდ მოვაგვარე  
ეს საკითხი. შენ რას იტყვი? თანახმა ხარ?"

მე, რასაკვირველია, თანხმობა გამოვუცხადე და განვვარძეთ  
ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

შემდეგნაირი თვითური ხარჯთაღრიცხვა შევიმუშავეთ თვითეულ  
ჩვენთაგანზე:

1. ოთახის ქირა—3 მან.
2. სადილი—6 მან.
3. ჩაი და შაქარი—1 მან. 50 კაპ.
4. დილასა და საღამოს პური—3 მან.
5. ყველი ან ძეხვი—2 მან. 10 კაპ.
6. სარეცხი—1 მან. 60 კაპ.
7. აბანო—40 კაპ.
8. თეატრი—1 მან. 20 კაპ.

---

სულ 18 მან. 80 კაპ.

ამრიგად, 18 მან. 80 კაპ. ის მინიმუმი თანხა იყო, რომელიც  
ყოველთვიურად უნდა გვეშოვნა თვითეულს.

გარდა ამისა, გვექონდა სხვა ხარჯებიც. ზამთრობით ოთახის გა-  
თბობა, განათება, წიგნებისა და ლექციების ჩანაწერების შექმნა და  
ზოგი სხვა წვრილმანი ხარჯების გაწევა.

შიოს შემოსავლის წყარო იყო თედო სახოკიას ყოველთვიური  
დახმარება. 25 მანეთს აწვდიდა საცხოვრებლად, დროგამოშვებით  
განსაზღვრულ თანხას უგზავნიდა სხვადასხვა გაუთვალისწინებელ  
ხარჯების დასაფარავად.

პირადად მე კერძო გაკვეთილებით ვცხოვრობდი და სხვა წყარო-  
დან არაერთარი შემოსავალი არა მქონდა.

სამწუხაროდ, მაშინდელ აუტანელ დროში, თედო, უმეტეს  
შემთხვევაში, მუდმივ სამსახურს ვერ შოულობდა. ამ ადამი-  
ანის ცხოვრების ერთადერთი წყარო სალიტერატურო შრომა იყო  
და ადვილი გასაგებია, როგორი საიმედო იყო ეს წყარო, თუ მხედვე-  
ლობაში მივიღებთ იმდროინდელი ჩვენი ქურნალ-გაზეთების ნივთი-  
ერად მეტად შევიწროებულ მდგომარეობას.

მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, თედო მაინც  
ახერხებდა 25—30 მანეთი ყოველთვიურად მიეწოდებინა შიოსათვის.

სწორედ ჩვენი ქურნალ-გაზეთების უსახსრობით აიხსნება  
ის გარემოება, რომ შიო ძლიერ მცირე თანხას იღებდა თავისი ლიტე-  
რატურული შრომისათვის. გაზეთ „ივერიას“ რედაქტორი ილია ჭავჭა-  
ვაძე და ამ გაზეთის მაშინდელი ხელმძღვანელი გიგა ყიფშიძე დიდად  
აფასებდნენ შიოს ნაწერებს, დიდ იმედებს ამყარებდნენ შიოს შემო-

ქმედებაზე, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ახალგაზრდა მწერალს, რომელიც უმაღლეს სწავლას ეწეებოდა და ამავე დროს ნივთიერად დიდ შევიწროვებას განიცდიდა, რედაქცია სალიტერატურო ჰონორარს თავის დროზე და საჭირო რაოდენობით ვერ აწვდიდა.

••

ჩვენი თვიური ხარჯთაღრიცხვის შედგენის მეორე დღესვე შიო და მე სასადილოდ წავედით ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა სასადილოში.

მე რალაცა ძალიან მეეჭვებოდა ექვსმანეთიანი სადილის კეთილ-ხარისხიანობა, მაგრამ ჩემი ეჭვები არ გამართლდა.

ორი პატარა ოთახი, საცა მოთავსებული იყო სასადილო, საცეც იყო სტუდენტებითა და ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებით.

შიომ და მე ოთახის ერთ კუთხეში დავიჭირეთ სუფთა საფენით გადაფარებული მაგიდა. სადილობის დროს ჩვენმა ქართულმა ლაპარაკმა და შიოს შავგვრემანმა, ტიპიურმა სახემ მოსადილეების ყურადღება მიიქციეს.

ერთ-ერთი პოლონელი, რომელიც ჩვენს მეზობლად სადილობდა, შიოს შეეკითხა, საიდან ხართ და რა ენაზე ლაპარაკობთო. როცა ჩვენი ვინაობა გაიგო, ეტყობოდა, ძალიან ესიამოვნა, მაშინვე გაგვეცნო და კმაყოფილებით გვითხრა: „ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენ მშვენიერი საქართველოს შვილები ყოფილხართ. გავიცნოთ ერთმანეთი. ჩვენ, პოლონელები დიდ პატივს ვსცემთ ქართველებს, რომელთა შესახებ ბევრი რამ კარგი გავიგონია. მეტად მიხარია, რომ ჩვენი სასადილოს წევრებს ესეთი სიმპათიური ერის შვილები მიემატნენ“-ო. ჩვენმა მეზობელმა ამ სიტყვებთან ერთად ორთავეს ხელი ჩამოგვართვა და სურვილი გამოსთქვა, ამიერიდან ჩვენი ნაცნობობა არ შეწყვეტილიყო.

ახლადგაცნობილმა მეზობელმა ჩვენი ვინაობა შეატყობინა თავის მეზობელს, ამ უკანასკნელმა სხვებს და, ამრიგად, ყველა მოსადილემ უკვე იმ დღესვე იცოდა ჩვენი სადაურობა, და სანამ სასადილო ოთახიდან გამოვიდოდით, ბევრი მათგანი კიდევაც გაგვეცნო და თავისი პატივისცემა დაგვიდასტურა.

პირველი დებიუტი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა სასადილოში მეტად კარგად ჩატარდა.

სულ მოკლე ხანში სასადილოს თითქმის ყველა წევრი გავიცანიით და ყოველთვის, როცა შევიკრიბებოდით, მხიარულად ვმასლაათობდით.

პოლონელები დიდი პატივისცემითა და სიმპათიით გვეპყრობოდნენ ქართველებს. ამ პატივისცემამ და სიმპათიამ ფოსტა-ტელეგრაფის

მონღელთა სასადილოშიაც თავი იჩინა. ასე რომ, შიო და მე ამ სასადილოში ისე ვგრძნობდით თავს, როგორც ჩვენს საკუთარ ოჯახში.

• •

რამდენიმე დღის შემდეგ სასადილოს კარებთან შემოგვხვდა ამავე სასადილოს უფროსი მზარეული, ბუდზინსკი, რომელიც დღის თავიანთობით მოგვესალმა და გვთხოვა: „ბოდიშს ვიხდი, მაგრამ სადილობამდე, გთხოვთ აქვე ჩემს ოთახში, მობრძანდეთ! გადაავლეთ ერთი თქვენი კეთილი თვალი ჩემს ოთახსაც. თქვენ, უეჭველია, გაინტერესებთ, როგორ ცხოვრობს თქვენი მზარეული, სუფთად თუ ქუჭყიანად“.

შიომ და მე მივიღეთ მზარეულის ეს გულწრფელი მიპატიჟება და სასადილოს მეზობლად მდებარე ბუდზინსკის ოთახში შევედით.

ოთახი მშვენიერად დალაგებული დაგვხვდა. ყველა ავეჯი თავის ადგილას მოხდენილად იდგა. ყველგან იშვიათი სისუფთავე იყო დაცული.

მასპინძლის თხოვნით, იქვე, სკამებზე ჩამოვსხედით.

ბუდზინსკიმ უმაღლე სადილების ხარისხიანობაზე ჩამოგვიგდო ლაპარაკი და სასიამოვნოთ დარჩა, როცა გაიგო, რომ ჩვენ დიდად კმაყოფილი ვიყავით სადილებით.

„დიდად მოხარული ვარ, — განაგრძო საუბარი ენაწყლიანმა ბუდზინსკიმ, — რომ ჩემი მომზადებული სადილები ასე მოგწონთ, მით უფრო მოხარული გახლავართ, რომ თურმე ქართველები ბრძანდებით. მართალია, მე თქვენს მშვენიერ სამშობლოში არ ვყოფილვარ, მაგრამ ქართველებს და მათ სამშობლო მხარეს შორიდანაც ვიცნობ.“

პოლონეთის უკანასკნელი აჯანყების შემდეგ მე შორეულ ციმბირში გადამასახლეს, საცა მთელი ოცი წელიწადი დავყავი. ციმბირში არა ერთი და ორი ქართველი გავიცანი. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიამოვნებით მაგონდება ამ ქართველების პირველი გაცნობა და მათთან მეგობრული კავშირის დამყარება, მათი გულთბილი, გულწრფელი დამოკიდებულება დღესაც თვალწინ მიდგას. ჩემმა ქართველმა მეგობრებმა ბევრი რამ საგულისხმო მიამბეს ქართველებსა და საქართველოს შესახებ, და აი, როცა ჩვენი სასადილოს გამგემ გადმომცა, რომ ხვალიდან ორი ქართველი სტუდენტი ემატება ჩვენს სასადილოს წევრებსო, მართალი გითხრათ, დიდად გამეხარდა. თუ მოგაგონდებათ, ამ ჩემს სიხარულს უსიტყვოდ გამოვთქვამდი, როცა თქვენი სადილობის დროს ხშირად სასადილო ოთახში შემოვდიოდი და თქვენი მაგიდის ირგვლივ ხან რას მოვიმიზეზებდი და ხან რას. თქვენთან ლაპარაკი და ბასი ძალიან სასიამოვნოა. თქვენი ერთი, ისე როგორც ჩვენი პოლონელები, მრავლად ტანჯული და წამებულია. მე და ქართველ მეგობრებს, ვინ იცის,



რამდენჯერ ერთმანეთისათვის შეგვიჩვილია ჩვენი ერთნაირად წამებულ  
ლი მხარეების უბედურება...

ახლა, ჩემო ძვირფასო სტუმრებო, თქვენ რომ სადილს უფრო მა-  
დიანად შეექცეთ, გთხოვთ, ჩემთან ერთად მიირთვათ ჩვენში გამოხდი-  
ლი თითო ჭიქა ძველისძველი კონიაკი. შეიძლება თქვენ არც იცოდეთ,  
რომ ძველისძველი კონიაკით მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებულ  
პატივსაცემ სტუმრებს უმასპინძლებიან“, — ღიმილით დაამთავრა თა-  
ვისი სიტყვა ბუღზინსკიმ და განჯინიდან გამოიღო ერთი მოზრდილი  
ბოთლი ძველისძველი კონიაკი და მშვენივრად დასუფთავებული ჭიქე-  
ბით შემოგვთავაზა.

შიომ თავის მხრით გააცნო ბუღზინსკის საქართველოს მაშინდელი  
პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა. ბუღზინ-  
სკი დიდის ყურადღებით ისმენდა შიოს გონივრულ, მოფიქრებულ გან-  
მარტებას და თავის სასურველ მოსაუბრეს თვალებს არ აშორებდა.

ბუღზინსკი ამ პირველი შეხვედრის შემდეგ ძლიერ დაგვიახლოვ-  
და. იგი თითქმის ერთსა და იმავე დროს სასადილოს დერეფანში გვით-  
ვალთვალებდა და, სანამ სასადილოში შევიდოდით, აუცილებლად თა-  
ვის ოთახში მიგვიწვევდა და „მადის გასახსნელად“ თავის ძველისძველ  
შესანიშნავ კონიაკს შემოგვთავაზებდა ხოლმე.

პირადად შიოსა და ჩემი სადილების ხარისხი დღითიდღე უფრო  
უმჯობესდებოდა. პირველი და მეორე კერძები ხარისხობრივად და  
რაოდენობითაც საგრძნობლად განირჩეოდა სტანდარტულ კერძებისა-  
გან, რაიც, უეჭველია, ჩვენი ახლად დამეგობრებული ბუღზინსკის გან-  
საკუთრებული ყურადღებისათვის უნდა მიგვეწერა.

შიო და მე ისევ ძველ ბინაზე, პანი ვანსოვიჩთან ვცხოვრობდით,  
ჩვენი დიასახლისი და მისი მოსამსახურე პატარა ქალი „ფრანჩესკა“  
კარგად გვეპყრობოდნენ და შესაძლებლობის ფარგლებში მოვლა-პატ-  
რონობას არ გვაკლებდნენ.

შიო დილაობით ძალიან ადრე იღვიძებდა. სანამ ჩაის დავლევდით,  
ჩვეულებრივ გაზეთებს გადაათვალიერებდა. სრულ მ საათზე ინსტიტუტ-  
ში მიდიოდა ლექციების მოსასმენად. ლექციებს იშვიათად სტოვებდა.

პირადად მე ძალიან მაკვირვებდა ის გარემოება, რომ შიო სახლში  
ძალიან ნაკლებად მეცადინებოდა თავის სპეციალ-საბეითლო საგნებ-  
ში. მართალია, სახლში მოჰქონდა პექტოგრაფირებული ლექციები და  
სპეციალური საგნების დაბეჭდილი სახელმძღვანელოები, მაგრამ იგი  
იშვიათად იღებდა ხელში ამ ლექციებსა და სახელმძღვანელო წიგნებს.  
სახლში, უმეტეს შემთხვევაში, მხატვრულ ნაწარმოებებს ჰკითხულობ-  
და და ძალიან გატაცებითაც — ხშირად ყიდულობდა საუკეთესო მწერ-  
ლების ნაწარმოებებს და, სანამ ბოლომდე არ წაიკითხავდა, ხელიდან  
წიგნს არ იშორებდა.



შოი წაკითხული წიგნის შესახებ, რამდენადაც ვამჩნევდი, ბევრს ფიქრობდა, რაღაც შენიშვნები შეჰქონდა თავის უბის წიგნში. შოი არასოდეს თავის მხრივ არ იჩენდა ინიციატივას თვითონვე დაეწყო საუბარი, წაკითხული ნაწარმოების შესახებ, თუ სხვა ვინმე საუბრად არ გამოიწვევდა.

ერთხელ შიოს შევეკითხე: „ეს ძალიან კარგი და პატიოსანი, რომ შენ მხატვრულ ლიტერატურას ასე რიგად ეტანები, მაგრამ ლექციებში კი რა დაგიშავეს? მარტოდმარტო გამოცდების წინა დღეებში რომ დაიწყო ლექციების შესწავლა, ვფიქრობ, ვერ მოასწრებ და საჭირო წარმატებით ვერ ჩააბარებ წლის განმავლობაში განვლილ თეორიულ და პრაქტიკულ კურსს“.

შიომ თავისებური ღიმილით მიპასუხა: „კაცო, ყოველდღე რომ ლექციებზე დავიარები, ამას რატომ ანგარიშს არ უწევ! მე პროფესორებს დიდის ყურადღებით ვუსმენ და ლექციებს კიდევაც კარგად ვიმახსოვრებ. ყოველდღე თეორიულად შეთვისებულ ლექციებს პრაქტიკული მუშაობით უფრო თვალსაჩინოდ ვითვისებ ლაბორატორიებში. ამნაირად, ჩემ აკადემიურ მუშაობას არავითარი საშიშროება არ მოელოსო“.

შიოს, მართლაც, დიდი მეხსიერება ჰქონია, თუ რამეს წაკითხავდა, ან რაიმეს საგულისხმიეროს ყურს მოჰკრავდა, იშვიათად ავიწყლებოდა. ამ მხრივ შოი ბედნიერი კაცი იყო.

ლექციების დამთავრების შემდეგ, თუ პრაქტიკული მუშაობა ხელს არ უშლიდა, შოი სადილობამდე ერთი ან ორი საათი ვარშავის მთავარ ქუჩაზე, ეგრეთწოდებულ „ნოვისვეტზე“, ან ლაზენკის ბოტანიკურ ბაღში სეირნობდა ჩვეულებრივ.

შიოს გარეგნული შეხედულება, შავკვრემანი, მიმზიდველი სახე, გიშერივით შავი თმა და ახლადმოღერებული წვერულვაში — უნებლიედ ყველას ყურადღებას იქცევდა.

ამ გარემოებამ მეტად შეუწყო ხელი შიოს და მან, სულ მოკლე ხანში დიდი ნაცნობობა გაიჩინა.

ერთ საღამოს შიომ, როცა სახლში დაბრუნდა, ორი წიგნი მოიტანა, ერთი პოლონურ-რუსული ლექსიკონი და მეორე არტურ ლაისტის პოლონურ ენაზე დაწერილი „სკიცე გრუზიი“ („ნარკვევები საქართველოზე“).

სანამ ჩაიზე დავსხდებოდით, შიომ მითხრა: „იცი, რა უნდა გითხრა! მე და შენ აუცილებლად პოლონური ენა უნდა შევისწავლოთ. ჯერ ერთი, უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის ბიბლიოთეკებში პოლონურ ენაზე მრავალი სპეციალური დარგის წიგნია დასტამბული. ამ წიგნების გაცნობა და საჭირო შემთხვევაში საფუძვლიანადაც შესწავლა, საჭირო და სადღეისოა. გარდა ამისა, თუ გვინდა, რომ პოლონურ საზოგადოებას დავუახლოვდეთ, გავიცნოთ და მასთან საჭირო კავშირი დავიჭი-



როთ, აუცილებლად საჭიროა ამ საზოგადოების, ამ ხალხის ენა შევინაოთ. ვანა სირცხვილი არ იქნება, სხვა რომ არა იყოს რა, მიცვენი, სენკევიჩი, ოყეშკო, კრაშევსკი და სხვა წარჩინებულ მწერლების ნაწარმოებნი კაცმა თვით პოლონურ ენაზე არ წაიკითხოს?!

არტურ ლაისტის ეს წიგნი მთავრობის მალაზიაში დაინახე ამ საღამოს ფანჯარაზე გამოფენილი. რადგან მის შინაარსს, ასე თუ ისე, ალბათ, ვიცნობთ, ამიტომ მისი ლექსიკონის საშუალებით დაძლევა ადვილი საქმეა. როგორც შინაარსის ნუსხიდან ჩანს, წიგნში მოცემულია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ქართველი ერის წარმოშობის მოკლე ისტორია, საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა და მე-19 საუკუნის განმავლობაში ქართული მწერლობის განვითარების გზები: გრიგოლ ორბელიანის, ვახტანგ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის ნაწარმოებთა ნიმუშებია წიგნში ჩართული. ამიტომ, ჩვენთვის ეს წიგნი ადვილად დასაძლევია იქნება. წარმოუდგენელია, პოლონური ენის უცოდინარობა როგორ მიშლის ხელს! ამ მოკლე ხანში, რაც მე ვარშავაში ვარ, შედარებით საკმაო ნაცნობობა გავიჩინე პოლონურ საზოგადოებაში, მაგრამ რადგან პოლონური ლაპარაკი არ მეხერხება, მეტად უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები. ვერ წარმოიდგენ, რა უხერხულობას ჰგრძნობს ადამიანი, როცა უნდა ვისმეს გაუზიაროს თავისი აზრი და შეხედულება, ან სხვისაგან მოისმინოს ასეთივე აზრი და შეხედულება და ენის უცოდინარობა კი ხელს უშლის. შიოს რჩევას, რომ პოლონური ენა მესწავლა, დიდი სიამოვნებით დაეუჭირე მხარი.

მე, როგორც უფრო ადრე ჩამოსული, მცირედად მაინც ვერკვეოდი ამ ჩვენთვის იმჟამად მეტად საჭირო ენის ცოდნაში, მაგრამ მაინც შიოსთან ერთად დავიწყე პოლონური ენის შესწავლა.

არტურ ლაისტის საქართველოზე ნარკვევების დაძლევა ლექსიკონის დახმარებით სულ მოკლე ხანში მოვახერხებ.

არტურ ლაისტის მიერ პოლონურად ნათარგმნი აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და რაფიელ ერისთავის ლექსები იმდენად მოგვეწონა, ზოგი ზეპირადაც კი დავისწავლეთ.

პირველი წაკითხვის შემდეგ ლაისტის ეს წიგნი ხელმეორედ წაკითხვით იმ მოსაზრებით, რომ ზოგი სიტყვა და წინადადებათა კონსტრუქცია უფრო დაბეჯითებით შეგვეთვისებინა.

როცა ლაისტის წიგნს უკვე მოვრჩით, ჩვენი პოზიციების უფრო გასამაგრებლად „ვარშავის კურიერი“ გამოვიწერეთ და პირველ ხანებში ყოველდღე ამ გაზეთში დასტამბულ ახალ ამბებსა და სხვადასხვა ხასიათის განცხადებებს ვკითხულობდით.

ჩვენი ლექსიკონი დღითიდღე მდიდრდებოდა. ახალი ამბებისა და განცხადებების კითხვის შემდეგ პატარ-პატარა წერილების, დეპეშების

და უცხოეთის მიმოხილვას მოვკიდეთ ხელი და ძალიან გვესიამოვნებდა, რომ ადგილობრივსა და უცხოეთის ამბებში შედარებით საკმარისად ვერკვეოდით, იშვიათად გვიხდებოდა ლექსიკონით სარგებლობა.

შიო ჩემზე უფრო მეტ ბეჯითობას იჩენდა პოლონური ენის შესწავლაში. პირადად მე დილაობით ლექციები, საღამომობით კერძო გაკვეთილები მეტად დიდ დროს მართმევდნენ და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ისე სისტემატურად ვერ ვმაცადინობდი, როგორც შიო.

რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენს საერთო სამაცადინო მაგიდაზე უკვე მიცკევიჩის თხზულებები გაჩნდა. შიო უკვე მიცკევიჩს თვით პოლონურ ენაზე ეცნობოდა.

ერთხელ შიომ მითხრა: „ვერ წარმოიდგენ, როგორ გამიტაცა მიცკევიჩმა! მიცკევიჩის ზოგი რამ ნაწარმოები რუსულად თარგმნილი წამიკითხავს, მაგრამ რა შედარებაა. ვერ წარმოიდგენ, რა ღრმა აზრი, რა მხატვრულ ფორმაში ჩამოსხმული სურათები მებატება თვალწინ.“

მიცკევიჩის ლექსების თვითიული სტრიქონი განუსაზღვრელი სევდითაა გაქლენთილი, რომელიც გამოწვეულია პოეტის სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვით.

მიცკევიჩის სულისკვეთება, ჩემი შეხედულებით, დიდად უახლოვდება ნიკოლოზ ბარათაშვილის და ილია ჭავჭავაძის სულიერ განცდებს. სამშობლოს სიყვარული, სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული სევდა, სამშობლოსათვის თავის დადება სამივე პოეტს თითქმის ერთნაირად აქვს მხატვრულად მოხაზული.

წუხელ წავიკითხე მიცკევიჩის „პან თადეუშის“ შესავალი. ნამდვილი შედეგია. იშვიათად წამიკითხავს მხატვრულად ასე ჩამოყალიბებული ნაწარმოები. მიცკევიჩის „პოლონელი დედა“ და ილია ჭავჭავაძის „ქართვის დედა“ ისეთი შტრიხებით, ისეთი მხატვრული აზრთა წყობითაა მოხაზული, კაცს პირველი შეხედვით ეგონება ილია ჭავჭავაძეს მიცკევიჩისაგან უსესხია ლექსის შინაარსიო.

მაგრამ ასეთი შეხედულება სწორი არ იქნება. ილია ჭავჭავაძეს არ შეეძლო ეს ლექსი მიცკევიჩის გავლენით დაეწერა, რადგან ილიამ პოლონური ენა არ იცოდა და რუსულად ამ ლექსის თარგმანი, რამდენადაც ვიცი, არ მოიპოვება. ილია ჭავჭავაძეს, მართლაც რომ თავისი ლექსი „ქართვის დედა“ მიცკევიჩის გავლენით დაეწერა, თავს ნებას არ მისცემდა, მიცკევიჩის სახელი ლექსის სქოლიოში არ მოეხსენებინა.

იცი, მიცკევიჩი როგორი სიტყვებით იწყებს თავის „პან თადეუშს?“

აბა, ყური დამიგდე:

„ო, ლიტვო, ოიტჩინე მოე,  
ო, ილე სენტჩეა ტყენიტ,  
ტენ ტილო სენ დოვე,  
კტო სენ სტრატილ!..“

და სხვ.

ქართულად: „ლიტვა, ჩემო სამშობლოვ, თუ რაოდენ საჭიროა შენს დაფასება, ეს მხოლოდ მას შეუძლია, ვინც შენ დაგკარგა!“

მე რომ პოეტი ვიყო, ლექსების წერა მეხერხებოდეს, აუცილებლად ამ სტრიქონებს, მხატვრულად გალექსილს, ქართველ საზოგადოებას მივაწოდებდი. დარწმუნებული ვარ, მიცკევიჩის გულის ტკივილს ქართველებიც გაიზიარებდნენ და ეს, რასაკვირველია, გასაგებიცაა. საქართველოსა და პოლონეთის ბედი ერთსა და იმავე ტაფაში იწვის და აბარა საფიქრებელია, რომ ქართველმა კაცმა გულგრილად მოისმინოს მიცკევიჩის სულისკვეთება, სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული“.

შიომ პოლონური ენა იმდენად შეისწავლა, რომ მხატვრულ ნაწარმოებს თავისუფლად ჰკითხოლობდა. პოლონელ მწერალთა შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს შიო ხშირად მიკითხავდა, და ღიმილით მეტყუოდა ხოლმე: „ამიერიდან კოვზი ნაცარში არ ჩაგვივარდებოა.“

შიოს საზოგადოებაში ყოფნა ძლიერ უყვარდა. მუდამ ჩუმი, მუდამ წუნარი, მუდამ თავაზიანი შიო, როცა საზოგადოებაში მოხვდებოდა, ერთიანად გამოცოცხლდებოდა. საზოგადოებაში ყოფნა, საზოგადოებაში ტრიალი სიამოვნებდა და საჭიროდაც მიაჩნდა.

შიოს გონივრული, მოფიქრებული და მუდამ დამშვიდებული ლაპარაკი ყველას ხიბლავდა და ატყვევებდა. ყველას ყურადღების ცენტრში იყო. მის აზრსა და შეხედულებას ყველანი ანგარიშს უწევდნენ.

მიუხედავად ასეთი თავაზიანობისა, შიომ მწარე, გესლიანი და თან მოსწრებული სიტყვის გადმოსროლაც იცოდა, მაგრამ ისე მოხერხებულად და ისე ხელსაყრელ პირობებში, რომ მოსაუბრეს მთლიანად განაიარაღებდა, საწინააღმდეგო პასუხის გაცემის შესაძლებლობას უსპობდა.

მოსაუბრე, შესაძლებელია, გულნატკენიც რჩებოდა, მაგრამ მის პირდაპირ სიტყვას, ზოგჯერ სარკაზმით, ზოგჯერ იუმორით შეზავებულს, მოსაუბრე უდავოდ ანგარიშს უწევდა და თავის კეთილგანწყობილებას მაინც არ აკლებდა.

როცა პირველად ვარშავაში ჩავედი, იმ დღესვე მოვიანახულე ქუთაისის გიმნაზიაში კურსდამთავრებული და ჩემზე უფრო ადრე ვარშავაში ჩამოსული ამხანაგი, რომელთანაც დროებით დავბინავდი.

ჩემმა ამხანაგმა სალამოს 7—8 საათზე ქალაქის დასათვალიერებლად ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე გამატარა. ხალხი ბუზივით ირეოდა. ქუთაისის საშინელ მიყრუებულ ქუჩების შემდეგ ვარშავის ქუჩებზე ასეთი ხმაური და ჟრიამული, რასაკვირველია, ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა. ჩემი ამხანაგი „ჩიჩერონობას“ მიწევდა და შეძლებისდაგვარად მიხსნიდა ყველაფერს, რაც ჩემთვის გაუგებარი, ან უცნობი იყო.

მცირე ხნის შემდეგ იმ ფართო და გრძელ ქუჩაზე, საცა ჩვენ ვსე-



ირნობდით, თავდავიწყებით ჩაიჭროლა 20—25 სახანძრო, ბედლოვნი ცხენებით შებმულმა ეტლმა, რომელზედაც ისხდნენ განსაკუთრებულ ფორმაში გამოწყობილი მეხანძრეები და მათი საყვირის ხმა ქალაქში კილითკიდემდე გაისმოდა.

ქუთაისში ასეთ სახანძრო რაზმს, მე, რასაკვირველია, ვერ ვნახავდი. ქუთაისის პოლიციებისტერს თავად ჰავჭავაძეს, როცა ქუთაისში საღამე სახლს ცეცხლი გაუჩნდებოდა (ასეთი შემთხვევები ამ დალოცვილ ქალაქში კი მეტად ხშირი იყო), ცეცხლის ჩასაქრობად, თავისებური, ქუთაისისებური სახანძრო რაზმი ჰყავდა გამართული. ორი დანჯღრეული „დროვი“, რომლებშიც შებმული იყო „ჯახარაკი“ ცხენები, დროგზე მომარჯვებული ორ-ორი ფერდებშეზნექილი კასრი, აი, ის სახანძრო რაზმი, რომლითაც თავად ჰავჭავაძეს ასე მოჰქონდა თავი და ამაყობდა.

როცა ქუთაისში რომელიმე ქუჩაზე ცეცხლი გაჩნდებოდა და სახანძრო რაზმი რიონიდან „ელვის სისწრაფით“ ხანძრის ჩასაქრობად წყალს ეზიდებოდა, ქუთაისელები ღიმილით იტყოდნენ: „ჩვენ პოლიციებისტერს ეს „ბედაური“ ცხენები ბეკო რუხაძისაგან ხომ არ შეუძენიაო“.

ცხადია, ქუთაისის სახანძრო რაზმის მნახველი სწორ წარმოდგენას ვერ იქონიებდა ნამდვილ სახანძრო რაზმზე. ამიტომ, რასაკვირველია, ვერ შევიცანით ვარშავის მთავარ ქუჩაზე ელვის სისწრაფით მიმქროლავი ეტლების რაზმი და ჩემს „ჩიჩერონეს“ შევეკითხე: „ეს რა ამბავია? ამ ცეცხლისმფრქვეველ ეტლებს, რომლებიც ასე თავდავიწყებით მიჰქროლავენ, რა დანიშნულება აქვთ?“

მან თვალი გააყოლა სახანძრო რაზმს, მცირედი ჩაფიქრების შემდეგ მომიბრუნდა და სრულის დამაჯერებლობით მიპასუხა: „ფელდმარშალ გურკოს განკარგულებით, პოლონელები მუდამეამს რომ შიშის ქვეშ იყვნენ და რუსეთის ძლიერება უფრო ნათლად შეიგრძნონ, ამ დამსჯელ რაზმს, როგორც შიშის დამცემ სიმბოლოს, დროგამოშვებით, უმთავრეს ქუჩებზე ატარებენ, და ამ სახით პოლონელებს ეუბნებიან, არაფერი გაბედოთ, თორემ ცეცხლითა და მახვილით გაგანადგურებთო.“

ჩემი „ჩიჩერონეს“ ეს განმარტება ხალას ოქროდ მივიღე, სხვა რა ჯანი მქონდა, ძალაუნებურად სიმართლედ უნდა გამესაღებინა იგი.

ერთხელ შიო, მე და ის ჩემი „ჩიჩერონე“, რომელმაც ასე მშვენიერი განმარტება მომცა ვარშავის სახანძრო რაზმის შესახებ, სტუმრად ვართ ჩვენი ერთი პოლონელი ამხანაგის ოჯახში. ყველანი დერეფანში ვსხედვართ, ამ დროს უეცრივ მახლობელ სახლს ცეცხლი გაუჩნდა. სანამ ცეცხლი გაძლიერდებოდა, ელვის სისწრაფით სახლთან გაჩნდა სწორედ ის სახანძრო რაზმი და საკმაოდ გაძლიერებულ ცეცხლს ქრობა დაუწყაო. შიოს ჩემგან ვაგონილი ჰქონდა ჩემი „ჩიჩერონეს“ განმარტება სახანძრო რაზმის დანიშნულების შესახებ, ამიტომ იგი მიუბრუნდა



ჩემს ამხანაგს და შენიშნა: „რა უბედურებაა! დღითი დღე რუსები შინაგარეულად უმისზარს ჰგვრიან პოლონელებს. შეხედეთ, როგორი თავდადებით მუშაობენ ეს დამსჯელი რაზმები!“

ჩემი ყოფილი „ჩიჩერონე“ კარგად მიხედა ამ შენიშვნის მნიშვნელობას. ცოტათი პირისახეზე წამოწითლდა და უმაღლვე ლაპარაკი სხვა თემაზე გადაიტანა.

### ანდრია ხარაშვილის გაცნობა

ერთ საღამოს, ასე 11 საათი იქნებოდა, ჩვენთან მოვიდნენ ქართველი სტუდენტები, დაახლოებით 4 კაცი და წინადადება მოგვცეს, სადმე გაგვესეირნა და შემდეგ რესტორანში გვევახშმა.

ჩვენ სიამოვნებით დავთანხმდით და მარშალკოვის ქუჩით სასეირნოდ გავემართეთ. მცირე ხნის შემდეგ ერთ-ერთ მახლობელ რესტორანში შევეუხევეთ და სავახშმოდ მაგიდა დავიჭირეთ. ღამის 12 საათი იქნებოდა. რესტორანი ხალხით იყო სავსე. ჯგუფ-ჯგუფად ვახშმობდნენ. დარბაზში დიდი ხმაური და ჩოჩქოლი იდგა.

დარბაზის ერთ კუთხეში მარტოდმარტო დაეჭირა პატარა მაგიდა ერთ, ინტელიგენტური შეხედულების, შუახნის კაცს, რომელსაც შიომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია.

უცნობს მოეთხოვა ერთი ბოთლი ლუდი, მცირედი საუზმე და მოწყენილი სახით შეექცეოდა... ეტყობოდა, საღამოს სამუშაოს დამთავრების შემდეგ თავი რესტორნისათვის შეეფარებინა.

ჩვენს სუფრაზე მხიარული ლაპარაკია, ზოგი რას ამბობს და ზოგი რას.

შიო მოგვიბრუნდა და გვეუბნება: „ყმაწვილებო, ნიძლავს დავლებ თუ ის კაცი, რომელიც იმ კუთხეში განმარტოებით ვახშმობს, ქართველი არ გამოდგეს! დაუკვირდით, ნამდვილი ქართველის ტიპია. კარგი იქნება, ამ კაცის ვინაობას გავიგებდეთ. თუ ქართველი გამოდგა, გავიცნოთ და ჩვენს სუფრაზე მოვიპატიოთ. ვარშავაში რომ კაცმა ქართველი გაიცნოს, ესეც კარგი საქმეა! ვინ იცის, ეგების იგი სულ მარტოდ მარტო, ობლადაა დარჩენილი ამ შორეულ ქვეყანაში და მასაც ძალიან გაუხარდება ჩვენი გაცნობა.“

ყველას გვერიდებოდა, გვეუხერხულებოდა ამ უცნობ კაცთან მიესულიყავით და გამოცნაურებოდით.

როცა ჩვენ ვიუხერხულეთ, შიო თვითონ წამოდგა და გაემართა დარბაზის იმ კუთხისაკენ, საცა უცნობი განმარტოვებულად ვახშმობდა.

ჩვენ დაძაბული ყურადღებით ვიცქირებოდით.

უცნობი და შიო ღიმილით მიესალმნენ ერთმანეთს და სულ მალე ორივენი ჩვენი მაგიდისაკენ გამოემართნენ.

შიომ უცნობი წარმოგვიდგინა და ღიმილით გვითხრა: „ანდრია ყაჩაღი, გთხოვთ გაიცნოთ!“



ანდრია ყარაშვილმა მორიდებით ხელი ჩამოგვართვა და ჩვენს თხოვნით, ჩვენს კამპანიას შეუერთდა.

ყველანი მოხარული ვიყავით, რომ ამ შორეულ ქალაქში ასე მოულოდნელად ქართველი კაცი გავიცანით.

ანდრია ყარაშვილმა შემდეგი გადმოგვცა: „აგერ ათ წელიწადზე მეტია, რაც ვარშავაში ვცხოვრობ, პეტერბურგის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ პირდაპირ ვარშავაში ვაღწოვსახლდი გიმნაზიის მუსიკის მასწავლებლად. მე თვითონ თბილისიდან ვარ. თბილისში მყავს ნათესაობა, ძმა და და. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პეტერბურგის კონსერვატორიაში მოვეწყვე და ეს უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი წარმატებითაც დავამთავრე. ვიოლინოს კლასში გამოჩენილი პროფესორების ხელმძღვანელობით ვმეცადინეობდი: პეტერბურგში ქართველ სტუდენტთა შორის ვტრიალებდი და, მართალი უნდა გითხრათ, ეს ხანა ჩემი ცხოვრების გაზაფხულის ხანად მაქვს მიჩნეული.

ვარშავაში თუმცა კარგად მოვეწყვე, მაგრამ რალაც ობლად ვგრძნობ თავს. ამ ათი წლის განმავლობაში ერთი ქართველი არ შემხვედრია. დიდად მოხარული ვარ, რომ დღეს აგერ ხუთ ქართველს ვხედავ. ქართული ენა, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მაიწიყდება, თუმცა აზრის გამოთქმა ჯერ კიდევ საკმარისად შემიძლია. ვარშავაში ცოლ-შვილს მოვეკიდე. პოლონელი ქალი მყავს ცოლად. ჩემი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ, სამწუხაროდ, ვგონებ ვარშავაში მომიხდეს სამუდამოდ დარჩენა. დილაობით სასწავლებელში ვმუშაობ 3—4 საათი, სადილობის შემდეგ კი კერძო გაკვეთილებზე დავდივარ და მუდამ დღე, გარდა შაბათისა, სწორედ 11—12 საათზე ვათავებ მუშაობას. აი, დღესაც სალამოს გაკვეთილებს რომ მოვრჩი, შემოვიარე აქ და ის იყო, ვახშამს შევექცეოდი, როცა ეს თქვენი ამხანაგი მოვიდა ჩემთან. დიდად მოხარული ვარ, რომ სრულიად მოულოდნელად გავიცანი ამდენი ჩემი თანამემამულე. იმედია, დღევანდელი შემთხვევითი შეხვედრა საფუძვლად დაედება ჩვენს მომავალ შეხვედრებს. ვიმედოვნებ, ერთმანეთს დაეუახლოვდებით, ერთმანეთს უფრო კარგად გავიცნობთ. ყველას ერთობით გთხოვთ, მობრძანდეთ ჩემსას და ჩემი ოჯახი გაიცნოთ. შაბათობით ყოველთვის თავისუფალი ვარ და უეჭველად სახლში დავიხვდებით.“ ამ სიტყვებთან ერთად ანდრია ყარაშვილმა თავის სადარბაზო ბარათები გადმოგვცა და მცირედი ხნის შემდეგ გამოგვეთხოვა.

პირველ შაბათსვე შიო და რამდენიმე ამხანაგი ვესტუმრეთ ანდრია ყარაშვილს და მისი ოჯახობა გავიცანით.

ჩვეულებრივი მისალმებისა და მცირედი ლაპარაკის შემდეგ ანდრია ჩამოიღო კედელზე ჩამოკიდებული ვიოლინო და ბოდიში მოითხო-

ვა, რომ ამჟამად ქართული მელოდიებით ვერ დაატკბობდა ჩვენს ყურს, თასმენას.



ცხრა საათიდან დაწყებული ღამის თორმეტ საათამდე მასპინძელი ხან ვიოლინოზე, ხან როიალზე უკრავდა საუცხოოდ. არც ერთი ჩვენთაგანი მუსიკის მცოდნე არ ვიყავით, მაგრამ დიდი ხელოვნებით და შემოქმედებით აქლერებული ვიოლინოს სიმები და როიალის კლავისების ზვირთებივით აბობოქრებული ხმები ჩვენი გულის სიღრმეს სწვდებოდნენ და მთელ ჩვენს არსებას ხიბლავდნენ.

თორმეტ საათზე ვახშმად მიგვიპატიყეს სასადილო ოთახში, კობჭიად გაშლილ სუფრაზე.

ვახშამმა მხიარულად ჩაიარა. შიომ თავისი ჩვეულებრივი სიჩუმე დაარღვია და, წარმოიდგინეთ, თამაღობაც კი იკისრა. ვახშამზე, რომელმაც ღამის სამ საათამდე გასტანა, მრავალი სიტყვა წარმოითქვა. ყველა სადღეგრძელო საქართველოსა და ვარშავის სტუდენტთა კოლონიას ეხებოდა, თვითოეული ჩვენთაგანი შეძლებისდაგვარად აშუქებდა საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას, მოსწავლე ახალგაზრდობის და უკვე ცხოვრებაში გამოსულ ინტელიგენციის მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

შიომ ყველა აღდგერძელა. მასპინძელს კი განსაკუთრებული „ტოსტით“ მიმართა: „ძვირფასო ანდრია, ქართველი ხალხი ამბობს — „მართლის მთქმელს ცხენი შეკავშული უნდა ჰყავდესო.“ მაგრამ ეს ბრძნული თქმა ყოველთვის და ყველგან მიზანშეწონილი არ არის. მე ამჟამად საქმე მაქვს ისეთ შეგნებულ, განათლებულ ადამიანთან, რომელიც ჩემს გულწრფელად, მოურიდებლად წარმოთქმულ სიტყვებს საღი გონების თვალთ შეხედავს და ამიტომ სრულ იმედს გამოვსთქვამ, რომ შეკავშული ცხენის ძებნა არ დამჭირდება. პოლონეთს თქვენ, ძვირფასო ანდრია, უეჭველად კარგად იცნობთ... სრული შეგნებით, სრულის პასუხისმგებლობით შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ საქართველოშიაც თანაბარი პირობებია გამეფებული.

საქართველოს ჯერ-ჯერობით არ მოეპოვება ინტელიგენტთა და სპეციალისტთა საკმაო რიცხვი, სამწუხაროდ, ეს მცირერიცხოვანი ძალები არა გვყავს გამოყენებული მთლიანად საქართველოს ფარგლებში.

თქვენ უეჭველია მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ინტელიგენტების და სპეციალისტების ძალები რუსეთის თვალწევდნელ ტერიტორიაზე დასაქმებული და თავის შრომას, თავის გამოცდილებას, თავის ცოდნას ხარჯავს იქ და იმ მხარეში, საცა ეს ნაკლებად საჭიროა. სრულის გულახდილობით, მაგრამ ამავე დროს, სრულის გულისტკივილით უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ქართველი ინტელიგენციის, ჩვენი ქართველი სპეციალისტების ცოცხალ მაგალითს, უდავოდ, თქვენც იძლევი. ქართველი ერის მრავალი საუკუნოების განმავლობაში დაგროვილი ენერჯის გა-



მოაშკარავენ, ქართველი ერის წარსული ცხოვრების დასურათებზე. მისი აწინდელი ცხოვრებით გამოწვეული სულიწვეთების ასახვებში ტყვისა თუ მუსიკალური ენის საშუალებით ჩვენი კულტურული ცხოვრების განვითარების უდიდესი საქმეა.

თქვენ, ძვირფასო ანდრია, შეიარაღებული ხართ უმაღლესი მუსიკალური ცოდნით და იმის მაგივრად, რომ საქართველოში ტრიალებდეთ და თქვენი ცოდნით, თქვენი გამოცდილებით ხელს უწყობდეთ ჩვენი ერის მუსიკალური განვითარების საქმეს, მთელს ენერჯიას, მთელს თქვენს ცოდნას და გამოცდილებას იყენებთ იმ ქვეყანაში, რომელიც უთქვენოდაც მდიდარია უაღრესად განათლებული მუსიკალური ძალებით. განა ვენიავსკის სამშობლო მხარეს საქართველოს ისედაც მცირედი მუსიკალური ძალების დახმარება ესაჭიროება?

ამიტომ მე ვფიქრობ და სრულიად გულწრფელად გირჩევთ, დაუბრუნდეთ თქვენს სამშობლო კერას და თქვენი წვლილი შეიტანოთ ჩვენი ერის მუსიკალური განვითარების საქმეში. თქვენ ჩემზე უფრო კარგად მოგეხსენებათ, უეჭველია, რომ მუსიკალური განათლებაც ისევე საჭიროა, როგორც საერთო და სპეციალური განათლება.

ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერი არასოდეს არ დაივიწყებს თქვენს მომავალ ღვაწლს და ღირსეულად დაგაფასებთ.

ლამის სრულ სამ საათზე დავტოვებ ჩვენი მასპინძელი.

შიოს რწმენით და პირდაპირობით წარმოთქმულმა სიტყვებმა საბოლოოდ გადასწყვიტეს ანდრია ყარაშვილის საქართველოში დაბრუნების საკითხი.

1896 წელს ანდრია ყარაშვილი საქართველოში დაბრუნდა. ამ მუსიკალურად ღრმად განათლებულ ადამიანის მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის მუსიკალურად განვითარების საქმეს.

ქართულმა ყოფილმა გიმნაზიამ, საცა ანდრია ყარაშვილი ოცი თუ ოცდაათი წლის განმავლობაში ერთგულად, მუყაითად და უანგაროდ შრომობდა, არა ერთი და ორი მუსიკალურად განათლებული ახალგაზრდა შესძინა ჩვენს ქვეყანას.

ქართველი ერი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს ხსოვნას იმ კეთილშობილ ადამიანისას, რომელმაც ჩვენ მუსიკალურ ხელოვნებას მიუძღვნა ისეთი ორიგინალური მუსიკალური ნაწარმოებები, როგორიცაა: „სამშობლო“, „ლოთებო“ და კიდევ მრავალი სხვა.

#### იაგელსკაიას პორტრეტი

ერთ საღამოს, ასე 7—8 საათზე, იერუსალიმის ხეივანზე, ჩვენს ოთახში მოულოდნელად იაგელსკაიამ შემოაღო კარები და ჩვეულებრივი ხალისიანობით მომესალმა. შიო ჯერ კიდევ არ იყო სახლში მოსუ-



ლი, თუმცა გაფრთხილებული ვიყავი, რომ მალე დაბრუნდებოდა იაგელსკაიამ შემოსვლისთანავე შიო იკითხა და როცა გაიგო, რომ მალე დაბრუნდებოდა, ძალიან გაუხარდა.

იაგელსკაია იმ საღამოს განსაკუთრებულ გუნებაზე იყო, იცინოდა, ოხუნჯობდა, თავისებურად კისკისებდა.

„პანე, იცით, რა უნდა გახაროთ? — უცებ შეცვალა ლაპარაკის კილო იაგელსკაიამ, — იცით, დღეს რატომ მოვედი? საქმე მაქვს პან დედაბრძვილთან, მინდა ერთი რჩევა ვკითხო.“

თქვენ ნუ გეწყინებათ და, კავკასიელ სტუდენტთა შორის ყველაზე უფრო პან შიოს ვცემ პატივს, ყველაზე უფრო მისი აზრი და რჩევა მომწონს. იგი ყოველთვის სწორ გზაზე მაყენებს და მეც დიდი ყურადღებით ვისმენ მის გონივრულ დარიგებას. პან შიოს რომ დავინახავ, ასე მგონია, ჩემ ღვიძლ შვილს ვხედავ-მეთქი. იგი გონიერი, გულკეთილი და კეთილშობილი ადამიანია. არათუ მე, ყველას, ყველას, ვისაც კი მისთვის ხმა გაუცია, უყვარს იგი, დიდ პატივს სცემენ და მის აზრს და შეხედულებას ანგარიშს უწყევენ.“

ამ ლაპარაკში რომ ვართ გართული, შიომაც კარი შემოაღო. მას მეტად გაეხარდა იაგელსკაიას ნახვა.

მცირედი მუსაიდის შემდეგ იაგელსკაიამ სრულიად სერიოზული კილოთი მიმართა შიოს: „პან შიო, ძალიან მემძიმება, მაგრამ არ შემძლია არ გაგიზიარო ჩემი გულის ნადები და შენი რჩევა და დახმარება არ მოვისმინო. მე უკვე აგერ, რაც დრო მიდის, ჯან-ლონე მაკლდება და ძველებურად შრომა-საქმიანობა აღარ მეხერხება. შიშით ვითვალისწინებ იმ დროს, როცა ლოგინად ჩავვარდები და ადამიანი არ მეყოლება გამიკითხოს, ნუგეში მცეს, მომიაროს.“

სტუდენტები, რომელთა შორის მე ამჟამად ვტრიალებ, და ეველინა, ჩემთვის, რასაკვირველია, დიდი ნუგეშია, მაგრამ თქვენ ყველანი კურსს დაამთავრებთ და თქვენ-თქვენს სამშობლოში დაბრუნდებით. ეველინა, რომელსაც ესოდენი ღვაწლი მიუძღვის ჩემ წინაშე დღეს თუ ხვალ უნდა გავათხოვო და ნაწილი ჩემი ოფლითა და შრომით მოპოვებული ქონებისა მზითვად გავატანო, მე კი მარტო დავრჩები ამ მოხუცებულობის დროს და ადამიანი არ მეყოლება, ჭიქა წყალი მომაწოდოს.

ამიტომ, ჩემო კარგო და ერთგულო, გადავწყვიტე, ამ მოხუცებულობის დროს გავთხოვდე. მოვძებნე ჩემისთანა ხანში შესული ადამიანი და ვფიქრობ, კანონიერი სახით შემოვიყვანო ჩემს ოჯახში, გავიამხანავო. ახლა მინდა შენი აზრი და შეხედულება გავიგო ამ ჩემთვის სამძიმო გადასაწყვეტი საკითხის შესახებ. გთხოვ, ნუ მომერიდები, შენი ჩვეულებრივი გულწრფელობით და გულახდილობით რჩევა და დარიგება მომცე. ამ საკითხს, სანამ შენ აზრს არ გავიგებ, ისე ვერ გადავწყვეტ საბოლოოდ.“

შიო პაპიროსს ეწეოდა და ჩაფიქრებული უსმენდა იაგელსკაია, როცა პანიმ სიტყვა დაამთავრა, უხერხული მღუმარება ჩამოვარდა ოთახში.

იაგელსკაია, ეტყობოდა, მოუთმენლად მოელოდა შიოს პასუხს და რაღაცა გამოურკვევლობით, ხან შიოს გადახედავდა, ხან მე მომამკრობდა თვალებს.

და ბოლოს, შიომ დაარღვია სიჩუმე და იაგელსკაიას უთხრა: „იცით, რა უნდა ვითხრათ?! სრული სიმართლეა, რომ ის საკითხი, რომლის შესახებ თქვენ გინდათ ჩემი აზრი გაიგოთ, მეტად რთული და სამძიმოა. თქვენ იმდენი შრომა და ღვაწლი მიგიძღვით ჩვენი სტუდენტობის წინაშე, რომ ჩვენ ყველანი ზნეობრივად მოვალენი ვართ, დედაშვილურად მოვლა-პატრონობა გავიწიოთ მოხუცებულობის დროს, მაგრამ ეს ფიზიკურად მოუხერხებელი და შეუძლებელია.“

ჩვენ, ყველანი, როგორც თქვენ სამართლიანად შენიშნეთ, კურსის დამთავრების შემდეგ სამშობლო ქვეყანაში დაებრუნდებით, და აბა რა შესაძლებლობა გვექნება ამ სიმორიდან მოვლა-პატრონობა გავიწიოთ.

ვევლინა, როცა გათხოვდება, ვინ იცის... სად, ან რომელ ქვეყანაში დაბინავდება. თუ ვინცობაა, სხვა შორეულ ქვეყანაში დაბინავდა, იგიც მოკლებული იქნება საშუალებას მოვლა-პატრონობა გავიწიოთ.

ამიტომ, პირადად მე ვფიქრობ, რომ თქვენი გადაწყვეტილება მიზანშეწონილია, თუ თქვენი მომავალი ამხანაგი მართლაც ნამდვილ მეგობრობას გავიწევთ და თქვენს ოჯახში წრფელის განზრახვით შემოდგამს ფეხს. თუ იგი მართლა კეთილშობილია, ვფიქრობ, თქვენი ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯი სწორი და მართებული გამოდგება და თქვენი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებს ასე რიგად საშიშროება არ მოელის.“

პანი იაგელსკაია მეტად გაახარა შიოს ამ სიტყვებმა. გამოგვეთხოვა და ლამის 12 საათზე თავის ბინისაკენ გაემართა იმ გადაწყვეტილებით, რომ სულ მოკლე ხანში ქორწილი გაეჩაღებინა.

ერთი კვირის შემდეგ იაგელსკაიას ბინა სანთლებით იყო მთლიანად გაჩირაღდებული. ვევლინა ამ საღამოს განსაკუთრებული მზრუნველობით ალაგებდა დარბაზს და სასადილო ოთახს, სტუმრების ღირსეულად შესახვედრად.

მიმატიებული სტუმრები მეფე-დედოფლის მოლოდინში იყვნენ.

ლამის 11 საათზე მეფე და დედოფალი შაფერების თანხლებით სასტუმრო დარბაზის კარებს მოადგნენ.

იაგელსკაია თეთრ კაბაში გამოწყობილი და თავზე ვარდებით შემკობილი ვერცხლის წყალივით ცქრიალებდა და ხალისიანი პირისახით სტუმრებს თავაზიანად ეხმატკბილებოდა.

მეფეს კი უფრო მორიდებით ეჭირა თავი, თითქოს იგი ბრწყინვალე ზეიმს გულგრილად, უგუნებოდ შესცქერისო.

სრულ 12 საათზე სტუმრები ვახშმად მიგვიწვიეს.

ყველანი გამხიარულდნენ — სიმღერას, ცეკვას და მხიარულ დროს გატარებას ბოლო არ უჩანდა.

სამწუხაროდ, ამ საერთო მხიარულებას ხელი შეუშალა მეფის უეცრად შეუძლოდ გახდომამ.

მეფის სისუსტისა და დაღლილობის გამო გული შეუღონდა და იგი მეორე ოთახში გაიყვანეს.

რადგან მეფის ასე უეცრად ავად გახდომა მაინცა და მაინც დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდა — ქორწილი ჩვეულებრივი მხიარულებით მიმდინარეობდა.

იაგელსკაია და ვეელინა დილის ექვს საათამდე მოუცილებელი თავს დაგვტრიალებდნენ და გულწრფელად ცდილობდნენ, დრო მხიარულად გაგვეტარებინა.

სწორედ ერთმა კვირამ განვლო მას აქეთ, რაც ეს ქორწილი გადავიხადეთ. ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ იაგელსკაია უკვე ბედნიერად გრძნობს თავს და მომავალს უშიშრად, იმედიანად შეჰყურებს.

სამწუხაროდ, ეს ჩვენი რწმენა და იმედი არ გამართლდა.

პანი იაგელსკაია დაქორწინების სწორედ ექვსი დღის შემდეგ მძიმე შავებში გამოწყობილი და მისი ყველგან მარადის ერთგული ვეელინა მარშალკოვის ქუჩაზე მცირერიცხოვან მეგობრებ-ნაცნობებთან ერთად პოვონსკის კატაფალკაზე დადგმულ შავი ბალდახინით დაფარულ კუბოს მიაცილებდნენ.

პროცესიამ ერთი საათის შემდეგ პოვონსკის სასაფლაოს მიაღწია.

პანი იაგელსკაია მწუხარედ თვალბცრემლორეული სამუდამოდ გამოეთხოვა იმ ადამიანს, რომელიც ამ ერთ კვირის წინათ თავის მეგობრად აიყვანა სრულის რწმენით, რომ ეს კეთილი ადამიანი მოხუცებულობის დროს ნუგეშს სცემდა და მოვლა-პატრონობას არ მოაკლებდა.

**ჩემი საჯანთრო კალბო და ზიოს საქართველოში საჯანხლოდ დაბრუნება**

პირველი სასწავლო აკადემიური წელიწადი დამთავრდა. შიომ წარმატებით ჩააბარა გამოცდები და შემდეგ კურსზე გადავიდა.

ვარშავაში დადგა სიცხიანი დღეები. ქართველი სტუდენტები ზოგი საქართველოში დაბრუნდა, ზოგმა კერძო გაკვეთილები მოძებნა და სოფელს თავი შეაფარა.



შიომ და მე გადავწყვიტეთ იმ ზაფხულს ვარშავაში დავრჩენილიყავით.

ერთ დღეს, როცა სადილს უკვე მოვრჩით და ოთახში დასასვენებლად დავბრუნდით, შიომ მეუბნება: „იცი, სანდრო, ერთი რამ უნდა გითხრა! ზოგი ჩვენი ამხანაგი როგორც ვატყობ, რალაც ალმაცერად მიყურებს. როგორც ყური მოვკარი, ის ამხანაგები თურმე ფიქრობენ, რომ მე ჩემ პირდაპირ მოვალეობას, აკადემიურ მეცადინეობას, თითქოს ვლალატობდე, არ ვმეცადინეობდე ისე, როგორც ეს საჭიროა; პოლიტიკური საკითხები თითქოს არ მაინტერესებდეს, თითქოს გავუბრბოდე პოლიტიკურ წრეებში მონაწილეობის მიღებას, თითქოს აპოლიტიკური პიროვნება ვიყო. ყოველივე ამის მაგივრად მე თურმე საზოგადოებაში ვარ გართული — ფუქსავატად, უაზროდ, უმიზნოდ ვატარებ დროს, ჩემი ცხოვრების ამ საუკეთესო ხანას. მინდა ვიცოდე, შენც ხომ ამგვარი მსჯელობისათვის სადმე ყური არ მოგიკრავს?!“

ჩემს შესახებ ვინც ასე ფიქრობს, ექვს გარეშეა, პირადი რამ ალაპარაკებს. ასეთი მსჯელობა სიმართლეს მოკლებულია. ამ შორეულ ქალაქში მე უმიზნოდ არ წამოვსულვარ, უბრალო დროის გასატარებლად არ გადმოვხვეწილვარ.

ჩემი გულითადი სურვილი იყო, უმაღლესი სწავლა მიმეღო, ბეითლობა საფუძვლიანად შემესწავლა. ვფიქრობ, საფუძვლიანად მომზადებული ბეითალი ჩვენ ქვეყანას დიდ სამსახურს გაუწევს. რაც აქ ხანი ვარ, ამ ჩემი მიზნისათვის არ მილაღატნია — არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ლექციები, ან პრაქტიკული მუშაობა გამეცდინოს. და განა რა ჩემი ბრალია, რომ სხვები მთელი კვირაობით ვერ ითვისებენ იმას, რასაც მე ლექციებზე, ან პრაქტიკული მუშაობის დროს ვითვისებ! სხვა რომ არა იყოს რა, წლევანდელმა გამოცდებმა ეს აშკარად დაამტკიცეს. ყველა საგანი საუკეთესოდ ჩავაბარე. პროფესორები ძლიერ კმაყოფილნი დარჩნენ ჩემის ცოდნით და მომზადებით.

ამრიგად, საყვედური იმის შესახებ, რომ მე თითქოს ჩემს სპეციალურ საგნებს ჯეროვნად არ ვსწავლობდე, სიმართლეს მოკლებულია, პირადის მიზნითაა მოჭორილი.

მეორე საყვედური — თითქოს პოლიტიკური საკითხები ნაკლებად მაინტერესებდეს, პოლიტიკურ საკითხების შესასწავლად დაარსებულ წრეებში მონაწილეობას არ ვიღებდე, თითქოს დიდ ინდიფერენტობას ვიჩენდე პოლიტიკურ საკითხებისადმი, სიმართლეს არ შეეფერება — ესეც პირადის რაიმე განწყობილებითაა გამოწვეული.

ჩვენ ქართველებს გვაქვს ჩვენი წრე, რომელსაც განსაზღვრული მიზანი აქვს დასახული, და პირადად მე მხურვალე მონაწილეობას



ტერატურო ასპარეზზე უფრო მეტი საფუძვლიანობა, უფრო მეტი რეალობა მოვუპოვო.

თუ ესეთი ჩემი აზროვნება ჩემ „კეთილისმყოფელებს“ არ მოსწონთ, ან არ უნდათ მოიწონონ, ეს მათი პირადი საქმეა და მე მაინც აღაშინებ ამაში არ გამოვედგები.

შენ რას იტყვი, მართალს ვამბობ თუ არა?“

სრულის გულწრფელობით ვუმტკიცებდი შიოს, რომ ესეთი საყვედურები არვისგან არა მსმენია-მეთქი.

მართლაც, ამხანაგურ ლაპარაკში, არც ერთ ქართულ სტუდენტს არ გამოუთქვამს შიოს შესახებ ეს აზრები.

ხუმრობით ზოგჯერ ზოგი ამხანაგი იტყოდა ხოლმე: „დახეთ ამ ჩვენს შიოს, როგორ ჰახრაკივით ტრიალებს პოლონურ საზოგადოებაში!“ და სხვა.

„ჩემო კარგო, მკერა, რომ შენ არა იცი რა იმის შესახებ, რაიცა მე ახლა გითხარი, მაგრამ უნდა დაბეჭივით გითხრა, რომ ყოველივე ეს სიმართლეა.

მაგრამ ამ ლაპარაკს თავი დავანებოთ, დრო დადგება, შენც ისე დარწმუნდები, როგორც მე ახლა ვარ ამაში დარწმუნებული. მაგრამ მე ახლა სულ სხვა რამე მაწუხებს...

დღეს წერილი მივიღე. ძალიან საჭირო საქმის გამო სახლში ჩამოსვლას მწერენ. წახსვლელია შეუძლებელია, მაგრამ როგორ მოვახერხო წასვლა, ეს კი უკვე აღარ ვიცი.

სანამ თედოსაგან ფულს მივიღებდე, დაგვიანდება, ეს ზაფხული კიდევაც მიიწურება და შემდეგ საქართველოში გამგზავრებას რა აზრი ექნება. არ ვიცი, როგორ მოეგვარო ეს საკითხი!“.

ვატყობდი, რომ შიოს საქართველოში წასვლა გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ ფულის უქონლობა აწუხებდა და არ იცოდა, როგორ მოეგვარებია ეს საქმე.

ნაცნობები სააგარაკოდ იყვნენ ყველანი გასულნი, ასე, რომ გარეშედ საგზაო ფულის შოვნა ყოველად შეუძლებელი იყო.

მცირედი ლაპარაკის შემდეგ შიო ქალაქში სადღაც გავიდა. მე მართლად დავრჩი ოთახში.

ბევრი ვიფიქრე იმის შესახებ, როგორმე შიო საქართველოში გამესტუმრებია, მაგრამ რომელი საშუალებით, აი საკითხი, რომლის დადებითად გადაჭრა ასე მწვავედ იდგა ჩემს გონებაში. სწორედ იმ დროს ეზოდან შემომესმა ძველი ტანსაცმელების მოვაჭრის თავისებური ნიუანსებით მოქარგული ტრაფარეტული ხმა: „ძველი ტანსაცმელი, ძველი ტანსაცმელი“.

ფეხაკრეფით წამოვიჭერი საწოლიდან და გადმოვიძახე ზემოთ ამოსვლა ჩვენი ეზოს ყოველდღიურ სტუმარს.

სანამ იგი ჩემს ოთახამდე მოაღწევდა, მე გარდერობიდან ამოვალა-



გე ჩემი საზამთრო ფორმის პალტო, შარვლები და ნახშირი ძველი წიგნები.

ჩემს მიერ საყიდლად შეთავაზებულ ნივთებიდან მყიდველის გამოცდილმა თვალმა ჩემი საზამთრო პალტო მოიწონა, შარვლები და წიგნები განზე გადადვა და მითხრა: „არ გამოდგებაო“.

დიდი ვაჭრობის შემდეგ შევთანხმდით. საზამთრო პალტო ჩვენი ეზოს ყოველდღიურმა სტუმარმა მკლავზე გადაიდვა და კმაყოფილი გამომეტყველებით ფეხაკრეფით გზას გაუდგა, რომ ერთი უკანაც არ მოუხედა.

სანამ შიო დაბრუნდებოდა, მოსამსახურე ქალს მოვატანინე ეგრეთწოდებული „სერდელკები“, ბულები და ერთი პატარა ბოთლი არაყი, რომელსაც ჩვეულებრივ „ბალზამით“ ვაზავებდით.

სალამოს მ საათი იქნებოდა, როცა შიო სახლში დაბრუნდა. მე ჭერ ჩუმადა ვარ. არ მინდა ჩემი პალტოს გაყიდვის ამბავი გაუუმელავნო, ვიცოდი, რომ შიოს ჩემი პალტოს გაყიდვა ეწყინებოდა და ამიტომ საქმის ნამდვილი ვითარება დავუმალე.

მოსამსახურემ აღულებული საჩაიე შემოდგა მაგიდაზე და ნაყიდი ბულები, ძეხვი და არაყი ამოალაგა.

შიომ გადახედა თუ არა ჩვენს მაგიდას, კმაყოფილი კილოთი წამოიძახა: „ბიჭოს, შენ ასე ერთბაშად ვინ გაგამდიდრა? ამ რამდენიმე საათის წინეთ კაპეიკი არ გაგვაჩნდა და ახლა თითქოს კიდევაც გავმდიდრებულვართ, რაშია, ბიჭო, საქმე?“

ღრმად დარწმუნებული ვიყავი, ჩვენი ასე მოულოდნელად „გამდიდრების“ ამბავი სასწრაფოდ რომ მემამბნა შიოსათვის, იგი საქართველოში წასვლაზე სრულიად უარს განაცხადებდა და ჩემგან საგზაო კაპიკს არ მიიღებდა.

ამიტომ მე საქმის ვითარება სულ სხვანაირად გავუშუქე.

ვუთხარი, ჩემი მოწათის მიმამ შემოიარა და ორი თვის სწავლის ქირა წინასწარ მომცა-მეთქი.

შიომ სარწმუნოდ მიიღო ჩემი ესეთი განმარტება და იმ ღამესვე შევეუდექით თავდარიგს. მივეცი 60 მანეთი იმ ვარაუდით, რომ მას ეს ფული თბილისამდე ჩაიყვანდა, თუ, რასაკვირველია, ერთგვარ ეკონომიას გასწევდა გზაში. ოცი მანეთი პირადად მე დავინარჩუნე სახარჯით.

მეორე დღეს, ნაშუადღევს სამ საათზე, შიო რკინისგზის სადგურზე გავაცილე. ადესამდე საგზაო ბილეთი ავუღე, მატარებელში მოხერხებული ადგილი მოვეძებნე და მშვიდობა ვუსურვე.

**შიოს წარის მანერავი**

შიო მოუცილებლად ატარებდა უბის წიგნაკს, რომელშიაც, როგორც თვითონ არაერთხელ უთქვამს, შეჭქონდა თავისი ყოველდღიური



შთაბეჭდილებანი და დასაწერად განზრახული სალიტერატურო თემებზე განსვენებულს ეს თავისი შთაბეჭდილებანი და დასაწერი თემები ერთხელ წაუკითხავს ჩემთვის. ამ უბის წიგნაკში სხვა თემებთან ერთად შეტანილი ჰქონდა „და და ძმის“, „გიულის“ დაწვრილებითი გეგმა. დაწვრილებით მიაშბო ამ მომავალ ნაწარმოებთა შინაარსი.

შიო თავის ეტიუდებს და მოთხრობებს ლამდამობით წერდა. ვარ-შავაში ყოფნის დროს არ მახსოვს, რომ დღისით ერთხელ მაინც მოეკიდოს ხელი კალმისათვის. განსაკუთრებით კვირა უქმე დღეების წინ, როცა მე უკვე დასაძინებლად წავიდოდი, მაგიდას მიუჯდებოდა და თითქმის განთიადამდე წერდა. ძილში ზოგჯერ მისი ხველება მესმოდა ხოლმე. მთელი ოთახი მოცული იყო პაპიროსის კვამლის სქელი ნისლით.

დილაობით, სანამ ჭერ კიდევ შიო ლოგინში იწვა და ეძინა, ზოგჯერ გადამითვალეირებია მისი იმლამინდელი ნამუშევარი.

მთელ თავაზ ჭალაღზე აქა-იქ თუ წააწყდებოდი თითო-ორიოლა გადახაზულ სიტყვას და სამაგიეროს ზედ წარწერილს; კაცს ისე ეგონებოდა, თითქოს ეს ნაწერები შავიდან გადაუთეთრებიათო. ამასთანავე შიოს ლამაზი და მოხდენილი ხელი, სიტყვების მრგვალი და ლამაზი ასოების მოხაზულობა უნებლიეთ იქცევდა მნახველის ყურადღებას.

„გადათეთრება უფრო მეძნელება, ვიდრე შავად წერაო“, — მეტყოდა ხოლმე ზოგჯერ შიო.

— მე რომ შენს ადგილას ვიყო, თავს არ შევიწუხებდი და ასე კარგად ნაწერს სრულიადაც არ გადავათეთრებდი, — შეგნიშნავდი შიოს, როცა მისი ნაწერების შესახებ ჩამოგვივარდებოდა ლაპარაკი.

— მართალია, მე ისე გამართულად მეხერხება შავად წერა, რომ მისი თეთრად გადაწერა მაინცადამაინც დიდ საჭიროებას არ წარმოადგენს, მაგრამ ხელნაწერი შესაძლებელია გზაში დაიკარგოს, ან რედაქციაში სადმე გაიბნეს, და მერე ამ ნაწერის ხელმეორედ აღდგენა არც ისე ადვილი საქმეა. ზოგჯერ გუნებაზე არა ხარ, ზოგჯერ სულიერი განწყობილება ხელს არ გიწყობს და ძალაუნებურად უნდა გამოეთხოვო შენს გულის ნაღებს, შენს პირში შვილს, ამიტომ ჯობს, ორ ცალად იყო.

შიო თავის ნაწერებს „ივერიის“ რედაქციას უგზავნიდა. თბილისში თედო სახოკია უწევდა ამ ნაწერებს ხელმძღვანელობას და „ივერიის“ რედაქციასთან კავშირის დაჭერით, საჭირო შემთხვევაში შიოს წერილობით ინფორმაციას აძლევდა.

ერთხელ, მახსოვს, შიომ „ივერიის“ მაშინდელი ფაქტიური ხელმძღვანელის გიგა ყიფშიძის წერილიც კი წამიკითხა. გიგა ყიფშიძე შიოს, დაახლოებით, შემდეგს სწერდა: „თქვენი ეტიუდები და საზოგადოდ თქვენი ნაწერები ქართველ საზოგადოებას ძალიან მოსწონს. ჩვენი რედაქციაც სავსებით იზიარებს ამ აზრს. ილიას მოსწონს თქვენი ფსიქოლოგიური ეტიუდები და იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალში კიდევ

უფრო ღრმად ჩასწვდებით ჩვენს დროთა ვითარების გამო დაბეჩავებულ გლახობას გულში და ამოკრეფთ იქიდან იმ მარგალიტებს, რომელთაც უბრალო მომაცვდავი ვერ ამჩნევს და ვერ ხედავს. აბა, თქვენ იცით, როგორ ღირსეულად გაამართლებთ ჩვენი მწერლობის მამამთავრის იმედებს. ვინაშო, ხშირად მოგვაწოდოთ თქვენი შემოქმედების ნაწერები!“ და სხვა.

— ეს მუდრეგი, — ღიმილით მითხრა შიომ, — გამოგვიგზავნე, გამოგვიგზავნეო, მაგრამ, იმას რატომ არ ამბობენ, ჩვენც რაიმე სამაგიერო გავუგზავნოთო! მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, ჩვენ პირობებში ქართულ რედაქციას, აბა, რა შავი ქვა აბადია, რომ ქართველ მწერლებს მციერი მიინც აუნაზღაუროს სალიტერატურო შრომის ფასი. მე რომ მიჰქირდეს, რედაქცია რა შუაშია და მერე ის რედაქცია, რომელიც თვითონვე გაჰირევებულია და კერძო დახმარებას მოითხოვს.

მართლაც, „ივერიის“ რედაქცია და მისი სულის ჩამდგმელი ჩვენი დიდი ილია ჭავჭავაძე ძლიერ აფასებდნენ შიოს ნაწერებს, მაგრამ ნივთიერად ისე რიგად ვერ უწევდნენ შიოს დახმარებას და ეს ადვილად გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ მაშინდელ პირობებს.

შიოს ნივთიერი მდგომარეობა მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იქნებოდა, რომ თედო სახოკიას, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, არ უზრუნველყო ნივთიერად შიო სტუდენტობის დროს.

### შიოს უამოწყადავა

შიო არაგვისპირელის შემოქმედების შესახებ პირადად მე ერთგვარი აზრი შევადგინე სტუდენტობის დროს და ეს შეხედულება დღესაც სამართლიანად მიმაჩნია.

შიო არაგვისპირელმა ქართულ ლიტერატურაში შექმნა ერთგვარი ახალი, ფსიქოლოგიური ნოველები, რომლის საძირკველის ჩამყრელად და მამამთავრად თვითონ განსვენებული უნდა ჩაითვალოს.

შიო არაგვისპირელი ქართული ლიტერატურის გი დე მოპასანია, თუმცა, რასაკვირველია, უფრო ვიწრო მასშტაბით. ნიჭიერი მწერლის შემოქმედების ფონი ერთგვარი თავისებურებით და მძლეობითაა მოჭარბული ფსიქოლოგიური სხვადასხვა განცდების ფარგლებში.

შიო არაგვისპირელის პიროვნება და მისი სალიტერატურო მოღვაწეობა ქართულ ლიტერატურაში უეჭველად ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამის უარყოფა არ შეუძლია სიტყვაკაზმული ლიტერატურის არცერთ მიუდგომელ მკვლევარს.

შიო არაგვისპირელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მამამთავარი იმ ფსიქოლოგიური სკოლისა, რომლის საძირკველი და კედლები თვითონ მან, არაგვისპირელმა გაამაგრა და გამართა.

შიო არაგვისპირელის შემოქმედებას ორგვარი ნიშანდობლივი

თვისება ახასიათებს. იგი მთის ღვიძლი შვილია, ნიჭიერი მწერალი მსგავსად ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგისა, არ გვისურათ მთების თვალწარმოც სილამაზეს; მხატვრულად არ მოგვიტბორობს ამ მთების ბუმბერაზობასა და მათ სალ კლდეებზე მცხოვრებთა სიამაყეს და გაბედულებას, მაგრამ სამაგიეროდ იგი მკვეთრად გვითვისებს ამ მთების სტიქიას და სინაზეს, მათ გაუტეხობას და მგრძნობიარობას, მათ გულში ჩახვეულ საიდუმლოებას.

შიოს ნაწერებში, განსაკუთრებით ეტიუდებში, მეორე მხრით, წითელი ზოლივით გავლებულია ფსიქოლოგიური ანალიზი მდაბიო ხალხის ზნე-ჩვეულებისა, ყოფა-ცხოვრებისა და მისი ყოველდღიური ჭირვარამისა. მდაბიო ხალხის სული, გული მისი მძლავრი კალმის ერთი მოსმით მკითხველის წინაშე სიგრძე-სიგანით გადაშლილია. მკითხველი ადვილად სწვდება ძალმომრეობით დაბეჩავებული ხალხის გულში ღრმად ჩამარხულ ზრახვებს და სიბრალულით იმსჭვალება.

ნიჭიერი მწერლის ნაწარმოების კილო, გარეგანი ფორმა, სათაურები და ფსიქოლოგიური ღრმა ანალიზი განსაკუთრებული ხაზებითაა შემოფარგლული და თვითეულ მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

განსვენებულის „ჩემო შვინდავ!“, „ბეჩა, რადა მკლავ!“, „ეგ არის ჩვენი ცხოვრება“ და მრავალი კიდევ სხვანი — მდაბიო ხალხის მთელი ფსიქოლოგიაა, მის განცდათა ტყვილებია, რომელიც მკითხველის გულში ღრმა, მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს.

შიოს მთელი შემოქმედება ერთგვარი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც ქართველი საზოგადოების გულის სიღრმეში მძლავრად ჟღერს და ქვეყნის უკულმართობის, ქვეყნის სიდუხჭირის და უსამართლობის წინააღმდეგ მოუწოდებს ყველას, ვისაც ჯერ კიდევ არ დაკარგვია სამართლიანობის გრძნობა და პატივისცემა.

ასეთია, ჩემის შეხედულებით, მუდამ წყნარი, მუდამ მშვიდი, მუდამ აუღელვებელი და სათუთი ხასიათის შიო არაგვისპირელის შემოქმედების უმთავრესი დამახასიათებელი შტრიხები, რომლებიც მე ძლიერ მოკლედ მოვხაზე. ამ შტრიხების ფართოდ გაშლა და სათანადოდ შეფასება — ჩემს მიზანს აღემატება და ეს სალიტერატურო კრიტიკის მომავალი საქმეა.

სრულს იმედს გამოვთქვამთ, რომ პირუთვნელი კრიტიკა შიო არაგვისპირელს ჩვენს სიტყვაყაზმულ ლიტერატურაში საპატიო ადგილს მიუჩენს. იგი მართლაც ღირსია ამისა.

#### შიოს საპარტოვლოდან ვარსავეში დაბრუნება

1892 წლის ენკენისთვის გასულს შიო საქართველოდან ვარსავეში დაბრუნდა. სამი თვის საქართველოში ყოფნას შიოს ჯანმრთელობაზე

მეტად კარგი გავლენა მოეხდინა. იგი თუმცა ფიზიკურად წინადაც ჯანმრთელი იყო, მაგრამ მის ჯანმრთელობას ამჟამად დიდი გაუმჯობესება ეტყობოდა.

შიოს ძველებურად არ ახველებდა, მის პირისახეს მეტი ჯანსაღობა დასტყობოდა. პაპიროსის წევას თუმცა მთლად არ ჩამოშორებია, მაგრამ შესამჩნევად შეუსუსტებია. საქართველოს მადლიან ბუნებას თავისი დალი დაემჩნია შიოს ფიზიკურ აგებულებაზე. იგი სრულიად გამოცვლილი მეჩვენა. უფრო ხალისიან გუნებაზე იყო. ხშირად ხუმრობდა და ოხუნჯობდა. ერთი სიტყვით, შიო ის არ იყო, რომელიც ამ სამი თვის წინათ საქართველოში გაემგზავრა.

შიოს საქართველოდან ჩამოსვლა ქართველმა ამხანაგებმა სულ მალე გაიგეს. ყველანი მეორე თუ მესამე საღამოს ჩვენს ბინაზე შეიკრიბნენ.

მისმა ჩამოტანილმა ჩურჩხელებმა, მურაბებმა, ხილეულობამ და სანაქებოდ შერჩეულმა კახურმა ღვინომ ისე კარგ გუნებაზე დაგვაყენა, რომ ყველანი დიდხანს ვიგონებდით ამ საღამოს მხიარულად გატარებულ დროს.

სასწავლო აკადემიური წელიწადი უკვე დაიწყო. შიო და მე შევეუდექით ჩვეულებრივ მეცადინეობას. დავდიოდით ლექციებზე, პრაქტიკულ მეცადინეობაზე და სხვა. სადილების ჭამას ისევ ჩვენ მეგობარ ბუღინისკისთან განვაგრძობდით.

შიოს ნივთიერი მდგომარეობა თბილისში ყოფნის დროს რამდენიმედ გაეუმჯობესებინა. რედაქციას აღეთქვა ჰონორარის რეგულარულად გამოგზავნა, თედო სახოკია ხომ მუდამ ნაღდი იყო და ნაღდი.

შიოს გადაწყვეტილი ჰქონდა ამ აკადემიური წლის განმავლობაში სალიტერატურო შრომას უფრო სისტემატურად და ხანგრძლივად დაწაფებოდა.

რადგან ჩვენი პატარა ოთახი ასეთი მეცადინეობისათვის მაინცადამაინც ხელსაყრელი არ იყო, ამიტომ შიომ და მე გადაწყვეტიეთ ბინის გამოცვლა.

ჩვენი დიასახლისი — მოხუცი პანი ვანსოვიჩი — ჩვენმა განზრახვამ თუმცა მეტად შეაწუხა, მაგრამ ის ძალაუნებურად უნდა შერიგებოდა ამ ჩვენს მისთვის არასასიამოვნო განზრახვას.

ერთი კვირის შემდეგ, იქვე მახლობლად, მარშალკოვის ქუჩაზე, მესხეთე სართულში, თუმნად თვეში დავიჭირავეთ ორი საკმაოდ მოზრდილი ოთახი — დალაგებით, გასუფთავებით, გათბობით და განათებით.

შიო თავის საწოლით და სამაცადინო მაგიდით ერთ ოთახში დაბინავდა, ხოლო მეორეში კი მე შევსახლდი.

შიომ, ჯერ კიდევ, ჩემი პალტოს გაყიდვის ამბავი არ იცოდა. უკვე საგრძნობლად აცივდა. მე კი ამ სიცივეში უპალტოთ დავიარებოდი, რაიც შიოს ძალიან არ მოსწონდა და ზოგჯერ თავის უკმაყოფილებას





აშკარად ამჟღავნებდა: „კაცო, რა ეშმაკად გინდა ეს საზამთრო პალატა<sup>ქვეყნული</sup> თუ ასეთი სიცივეების დროს არ ჩაიცვამო“.

ბოლოსდაბოლოს, იძულებული შევიქენი გამემჟღავნებინა შიოსათვის ჩემი საზამთრო პალატოს გაყიდვის ისტორია. შიო ამან მეტად შეაწუხა.

„შენ რომ თავის დროზე გაგემხილა ჩემთვის ეს ამბავი, მე არაფრის გულისათვის ნებას არ მოგცემდი, პალატო გაგეყიდა“.

სამაგიერო პალატოს შექენა იმ ზამთარს უმტკივნეულოდ მოვახერხეთ.

შიო ახალ ბინაზე ჩაიკეტდა კარებს ოთახში და ყოველ საღამოს სისტემატურად მეცადინეობდა. უმეტეს შემთხვევაში სალიტერატურო შრომას ეწეოდა.

თუ ვინმე ამხანაგი შემოვიდოდა ჩვენსას, შიო დაუყოვნებლივ დასტოვებდა სამუშაოს და ჩვენთან ერთად ჩაის დროს ლაპარაკში ერთობოდა.

ამხანაგი წავიდოდა თუ არა, შიო ისევ დაუყოვნებლივ მიუჯდებოდა მაგიდას და მთელი საათობით მეცადინეობდა.

ხანგამოშვებით მეტყოდა: „წელს ჩემი სალიტერატურო მუშაობა წარსულ წლებთან შედარებით უფრო ნაყოფიერია, აი, რას ნიშნავს საკუთარი ოთახი და ერთგვარი ხელის შემწყობი პირობები!“ — ამოიღებდა მაგიდის უჯრიდან თავის ნაწერებს და შიგადაშიგ წამიკითხავდა.

შიო თავის სალიტერატურო ნაწარმოებების მედგარი დამცველი იყო — ზოგჯერ, თუ რაიმე შენიშვნას მისცემდნენ, დიდ მოსარჩლეობას უწევდა თავის ნაწარმოებებს და ტყუილ-უბრალოდ არავის არ გაეჭელვინებოდა.

1892—1893 სასწავლო წლის პირველ ნახევარში ვარშავის ქართველი სტუდენტობის წრე ისე რეგულარულად არ იკრიბებოდა, როგორც ამას, ჩვეულებრივ, ადგილი ჰქონდა წინა წლებში.

**საქართველოს თავისუფლების ლიგა**

„საქართველოს თავისუფლების ლიგის“ პროგრამის წარმოშობაზე და შედგენაზე, უმეტესია, დიდი გავლენა მოახდინა 90-იანი წლებიდან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში დაწყებულ ქართველი სტუდენტების ეროვნულმა მოძრაობამ...

პეტერბურგის, მოსკოვის, ოდესის, ხარკოვისა და ვარშავის უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლეს სასწავლებელთა ქართველმა სტუდენტებმა 1890/91 წლებიდან დააარსეს ქართული სათვისტომოები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ თვითგანვითარებას.

მაგრამ, როცა სტუდენტობა ჩაება პრაქტიკულ მუშაობაში, ამ თვითგანვითარების მიზანს პოლიტიკური მიზანიც დაერთო და, ამრი-

გად, ქართველი სტუდენტობის ყურადღება ბუნებრივად მიიპყრო პოლიტიკურმა საკითხებმაც.

ცხადია, პოლიტიკური საკითხების გარშემო წარმოებული კამათი საქართველოს პოლიტიკურად დაჩაგვრის შესახებაც დააყენებდა საკითხს და დასახავდა იმ ზომებს, რომლების საშუალებით შესაძლებელი გახდებოდა თვითმპყრობელობის დამხობა და განაპირა ქვეყნების და მათ შორის საქართველოს განთავისუფლებაც მეფის რუსეთის ძალმომრეობისაგან.

რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა ერთიმეორესთან მჭიდრო კავშირი დაიჭირეს და დაადგინეს 1892 წელს თბილისში მოეწვიათ სათვისტომოების წარმომადგენელთა საერთო კრება, რომელსაც უნდა გამოერყვია ქართველი სტუდენტების მოქმედების პროგრამა და ამ სტუდენტების საერთო პოლიტიკური პლატფორმა.

თბილისში განზრახული კრების დღიურ წესრიგში, მაგალითად, შეტანილი იყო ისეთი საკითხები, როგორცაა: 1) როგორ ესმის ქართველ სტუდენტობას ეროვნული საკითხი, 2) როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ქართველ სტუდენტობას სომხებისადმი, 3) როგორი პოზიცია უნდა დაიჭიროს ქართველმა სტუდენტობამ რუსეთის საქმეებისადმი, 4) საქართველოს აწინდელი მდგომარეობა და ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ზომები და სხვა.

ეჭვს გარეშეა, ამ საკითხების გადაჭრის დროს ქართველი სტუდენტობა პოლიტიკურ საკითხებს გვერდს ვერ აუხვევდა.

მართლაც ასე მოხდა. ყრილობა, ნაცვლად თბილისისა, სტუდენტ მიხეილ ხელთუფლიშვილის თავმჯდომარეობით, ქუთაისში გაიმართა 1892 წლის 26 ივნისს და გაგრძელდა 29 ივნისამდე.

ქუთაისში გამართულმა კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომ ახალგაზრდობამ მიზნად უნდა დაისახოს საქართველოს რუსეთის ბრძკვალებიდან განთავისუფლება.

1892 წლის სექტემბერში ფილიპე მახარაძეს (მისმა ამხანაგმა) ვარშავაში გამოუგზავნა „ქართველ ნაციონალ-დემოკრატების“ პროგრამა და სთხოვდა ვარშავის ქართველ სტუდენტობას განეხილა ეს პროგრამა და თავისი აზრი გამოეთქვა.

ფილიპემ ეს პროგრამა წაიკითხა სტუდენტ მიხეილ მირიანაშვილის ბინაზე, ასე, დაახლოებით, ოქტომბრის ბოლო რიცხვებში.

პროგრამის მიხედვით საქართველოს განთავისუფლება რუსეთის ბატონობისაგან უნდა მოხდეს მუშათა კლასის გათვითცნობიერებით, მუშათა კლასის დარაზმვით და ცარიზმის დამხობით. საქართველოს მუშათა კლასი ხელიხელ ჩაკიდებული უნდა მუშაობდეს რუსეთის მუშათა კლასთან. საქართველოს გამოცალკეება დაუშვებელია. განთავისუფლება უნდა მოხდეს კლასობრივ და არა ეროვნულ ნიადაგზე.

პროგრამის განხილვის დროს კრება გაიყო ორ ბანაკად. ერთმა



ბანაკმა, რომელსაც მეთაურობდა ფილიპე მახარაძე, მხარი დაუჭირა პროგრამას, ხოლო მეორე ბანაკი მოითხოვდა ბრძოლას ეროვნულ წინადაგზე და საქართველოს საკუთრივ გამოცალკეებას.

ვფიქრობთ, ერთი მხრით 1892 წელს ქუთაისში გამართულ სტუდენტების წარმომადგენელთა საერთო კრების დადგენილებამ, ხოლო მეორეს მხრით ზემოთ დასახელებულმა პროგრამამ მოახდინა გავლენა „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ პროგრამის შემდგენლებზე. უმეკველია, „ლიგის“ დაარსების ინიციატორები ამ ყრილობისა და პროგრამის გავლენას განიცდიდნენ.

ვარშავის ქართველ სტუდენტობას ტრადიციულ ჩვეულებად ჰქონდა გადაქცეული ახალი წლის შეხვედრა.

1893 წლის შესაგებებლად, სტუდენტებმა გადაწყვიტეს ფილიპე მახარაძისა და სერაფიონ მიქაძის ბინაზე შეხვედროდნენ ახალ წელიწადს.

ახალი წლის შეხვედრას წინ უძღოდა სათვისტომოს სხდომა, რომელზედაც სტუდენტ ნიკოლოზ შენგელიას ფრიალ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ მოხსენება უნდა გაეკეთებინა. სათვისტომოს ეს სხდომა დანიშნული იყო საღამოს 8 საათზე.

კრება სრულ 8 საათზე შეიკრიბა. კრებას გარეშე პირთაგან დაესწრო მხოლოდ ექიმი ივანე ლულაძე, რომელიც იმეამად ვარშავაში მსახურობდა, ივანე ლულაძე კრების მიერ ერთხმად არჩეულ იქნა თავმჯდომარედ.

ექიმმა ლულაძემ კრება გახსნილად გამოაცხადა და სიტყვა მოხსენებისათვის მისცა სტუდენტ ნიკოლოზ შენგელიას.

ნიკო შენგელიამ საკვებით დაასურათა საქართველოს მაშინდელი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა და დასახა ის ზომები, რომლებიც, მომხსენებლის აზრით, საჭირო იყო საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის.

ნიკო შენგელიამ კატეგორიულად დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობა, თუ სურს თავის სიმალლეზე იდგეს, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს აქტიურ საქმიანობას საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის გადასაჭრელად.

მოხსენების განხილვის დროს თავი იჩინა ორმა შეხედულებამ — ნაციონალურმა და კლასობრივმა.

მოხსენების განხილვამ ცხარე კამათი გამოიწვია. თავმჯდომარე იძულებული შეიქნა შეეწყვიტა კამათი და წინადადება მიეცა კრებისათვის კომისია აერჩიათ, ეს მეტად საყურადღებო საკითხი უფრო ხანგრძლივად და გულდასმით დაემუშავებინათ და შემდეგ საერთო კრებისათვის დასამტკიცებლად წარედგინათ.

თავმჯდომარემ, სანამ სათვისტომოს წევრები წამოაყენებდნენ კან-



დიდატებს, თვითონვე დაასახელა წევრებად ფილიპე მახარაძე, ნიკო შენგელია, შიო არაგვისპირელი და ნიკო მელიქიშვილი.

ვეფერობ, ლულაძემ და ნიკო შენგელიამ კომისიის წევრების ეს კანდიდატურები წინასწარ მოისახრეს და განსახლვრული მიზნით სწორედ მათზე შეჩერდნენ. ფილიპე მახარაძისა და შიო არაგვისპირელის კომისიაში აურჩევლობას, როგორც მეტად ვაღენიან წევრებისას. შესაძლებელია, არასასიამოვნო შედეგი მოჰყოლოდა მოხსენების საბოლოოდ განხილვის დროს. აი, ჩემის აზრით, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძის და შიო არაგვისპირელის კანდიდატურა წამოაყენა კომისიაში ასარჩევად.

კრებამ ერთხმად მიიღო თავმჯდომარის წინადადება.

ლამის უკვე 12 საათი იყო. ყველანი მხიარულად შევეგებეთ ახალ წელს. ვახშამზე, რომელიც დილის ექვს საათამდე გაგრძელდა, მრავალი სურვილი გამოითქვა ნიკო შენგელიას მოხსენების გარშემო.

კომისიამ ორი თვის მუშაობის შემდეგ, 1893 წ. მარტში წარმოუდგინა სათვისტომოს წევრთა საერთო კრებას უკვე დამუშავებული „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ პროგრამა.

კომისიის მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილი პროგრამა კომპრომისული აღმოჩნდა. ამ პროგრამაში შეერთებული იყო ორი შეხედულება — ნაციონალური და კლასობრივი.

საერთო კრებამ მოხსენება მოიწონა. პროგრამა მცირედი შესწორებით დამტკიცებულ იქნა სახელმძღვანელოდ.

პროგრამა დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროდ სთვლიდა:

- 1) ქართველი ხალხის პოლიტიკურად და ეკონომიურად გათვითცნობიერებას,
- 2) რუსეთის იმპერიაში შემავალ დაჩაგრულ ერებთან კავშირის დაჭერას,
- 3) საქართველოს მუშათა კლასის და გლეხობის შიდა რუსეთის მუშათა კლასთან და გლეხობასთან დაკავშირებას და 4) საერთაშორისო ვითარების გართულების გამოყენებას და სხვა.

საერთო კრების მიერ დამტკიცებული პროგრამის დედანი ინახებოდა მიხეილ მირიანაშვილის ბინაზე, მაგრამ როცა 1893 წლის 29 აპრილს ეს ბინა გაჩხრიკეს, სათვისტომოს სხდომების ოქმები და ეს პროგრამაც ჟანდარმერიას ჩაუვარდა ხელში.

პროგრამა, როგორც ამჟამად ცნობილია, მოსკოვში გადათარგმნა პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა.

მთავრობამ, როცა უკვე პროგრამის შინაარსი გამოიკვია, პასუხისგებაში მისცა ვარშავის სათვისტომოს წევრები და მათ შორის შიო არაგვისპირელიც, რომლებიც სხვადასხვა დროს დააპატიმრეს.

**არჩილ ჯორჯაძის სინანული**

„საქართველოს თავისუფლების ლიგის“ დამტკიცების შემდეგ ვარშავის ქართველი სტუდენტების სათვისტომოს წევრმა არჩილ ჯორ-

ჯამემ ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი სხვადასხვა საპატიო მიზეზის გამო მონაწილეობას ვერ მიიღებს „ლიგის“ მომავალ საქმიანობაში და ამიტომ მოითხოვს მისი გვარი და სახელი ამოეშალათ სათვისტომოს ყოველგვარ ოქმებიდან.

სათვისტომოს წევრები დიდად უკმაყოფილონი დარჩნენ არჩილ ჯორჯაძის ამ განცხადებით და ყველანი ერთხმად კიცხავდნენ მას.

შიო არაგვისპირელი კი არ იზიარებდა ამხანაგების ამ საერთო გულის ტკივილს და ამტკიცებდა, რომ არჩილ ჯორჯაძის განცხადება საპატიო მიზეზითაა გამოწვეული და ამიტომ იგი არაა ღირსი ესეთი გაკიცხვისა.

შიოს აზრით, არჩილ ჯორჯაძის განცხადებას დროებითი ხასიათი აქვს და ამიტომ იგი სულ მოკლე ხანში შემოუერთდება ჩვენს გადაწყვეტილებას და აქტიურად ჩაებმება მომავალ საქმიანობაშიო.

არჩილ ჯორჯაძე, როცა იგი ვარშავაში ჩამოვიდა, თავის მახლობელ ნათესავ გიორგი ყაზბეგთან დაბინავდა. გიორგი ყაზბეგი კი იმქამად ქალაქ ვარშავის კომენდანტის თანამდებობას ასრულებდა და ამიტომ, შიო არაგვისპირელის აზრით, ჯორჯაძისათვის მიუღებელი იყო რაიმე საიდუმლო საზოგადოებაში სამუშაოდ ჩაბმულიყო. არჩილ ჯორჯაძე, უექველია, შიშობდა გიორგი ყაზბეგისათვის რაიმე უსიამოვნება არ მიეყენებინა იმ შემთხვევაში, თუ რომ ამ საიდუმლო საზოგადოების საქმიანობა გამოჩვენდებოდა.

შიოს მოსაზრება სავსებით გამართლდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მე უკვე თბილისში დავსახლდი და სამსახურს დავუძებდი. 1893 წ. ოქტომბერში ერთ საღამოს ჩემს ბინაზე, ჭავჭავაძისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხის სახლში, არჩილ ჯორჯაძე შემოვიდა და მცირედი ბაასის შემდეგ განმიცხადა: „მე ამქამად უარვყოფ ჩემს განცხადებას იმის შესახებ, რომ „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ საქმიანობაში მონაწილეობას არ მივიღებ. ეს განცხადება შეცდომით მომივიდა. ცოტათი ავჩქარდი, რაიცა ძალიან მაწუხებს და რასაც კიდევაც ძალიან ვნანობ. ამიტომ გთხოვ, ჩემი ახლანდელი სრულიად გულწრფელი განცხადება გადასცეთ ვარშავის ჩვენს ყოფილ ამხანაგებს. დაარწმუნე ყველანი, რომ მე მათთან ერთად შევეუდგები მუშაობას და ჩემს შრომასა და ცოდნას არ დავზოგავ ჩვენი სამშობლოს, ჩვენი საქართველოს განთავისუფლებისათვის“.

ასეთი იყო „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ პროგრამის შედგენის მოკლე ისტორია.

შიომ ამ პროგრამის შედგენაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო. განსვენებული დიდ იმედებს ამყარებდა იმ მომავალ საიდუმლო საზოგადოებაზე, რომელსაც თავს უნდა ედვა საქართველოს განთავისუფლების საკითხი.

სამწუხაროდ, ეს პროგრამა უდღეური გამოდგა.

მართალია, ვარშავის ქართველი სტუდენტების სათვისტომოს წევრებმა ეს პროგრამა დაუგზავნეს საქართველოში თავის ნაცნობ-მეგობრებს, მაგრამ, სამწუხაროდ, პრაქტიკული მუშაობა კი, თანახმად ამ პროგრამისა, არავის უწარმოებია და იმ დროის ამბების მიხედვით არც შეეძლოთ ეწარმოებინათ.

## მოგონება მიხეილ თამარაშვილზე

1958 წლის 26 მაისს ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარდა ისტორიის, ენისა და ლიტერატურის კათედრების გაერთიანებული საჯარო სხდომა, რომელიც მიეძღვნა მიხეილ თამარაშვილის დაბადების 100 წლისთავს. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა პროფესორმა შ. ჩხეტიამ. ისტორიკოსის ცხოვრება-მოღვაწეობაზე ჩემ მიერ წაკითხული მოხსენების შემდეგ იუბილარის სამეცნიერო მოღვაწეობის ცალკეული საკითხები გააშუქეს მეცნ. კანდიდატმა ტ. კასრაძემ („მ. თამარაშვილის ისტორიული კვლევა-ძიებანი“), დოც. შ. გოზალიშვილმა („მ. თამარაშვილის საარქივო ფონდი“), მეცნ. მუშაკმა ბ. გიორგაძემ („მ. თამარაშვილის არქივის მდგომარეობა“). სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორები: ტრ. რუხაძე, მ. ჩიქოვანი, ავ. გაწერელა და ლიტერატურული მუზეუმის მუშაკი დ. შულღიაშვილი.

ცნობილია, რომ მიხეილი თავის სამშობლო ქალაქ ახალციხიდან ზისმა პირველმა მასწავლებელმა და ოდებურმა ხელმძღვანელმა ივანე გვარამაძემ გავაუნა კონსტანტინოპოლს. ნიჭიერმა ყმაწვილმა აქ წარმატებით დაამთავრა აბატ პეტრე ხარიჭირაშვილის მიერ დაარსებული ქართული სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ კი რომში ზოლო უმალესი განათლება — ღოჭტორის წოდებით დაასრულა აკადემია (აღრე ესპანეთსა და საფრანგეთშიც სწავლობდა).

კონსტანტინოპოლის ხსენებული სასწავლებელი პ. ხარიჭირაშვილისავე შექმნილ ე. წ. „უმანკო შთაახების“ მონასტერთან არსებობდა, სადაც გაშალა იყო კულტურულ-მწიგნობრული საქმიანობა. აქ ბევრი სახელოვანი აღამიანი აღიზარდა, როგორც, მაგალითად, პროფესორი მიხეილ თარხნიშვილი, პეტრე შერაბიშვილი, რომელმაც თავისი მკურნალობითა და მეაფთიაქობით ვაითქვა სახელი ეთიოპიაში, დომინიკე მულაშაშვილი, მწერალი-პუბლიცისტი და ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ რედაქტორი, შალვა ვარდიძე, მეცნიერი და მთარგმნელი (ფრანგულიდან თარგმნა რ. უანენის წიგნი „ქართველები იერუსალიმში“), იოსებ წალაძე, სტეფანე გიორგაძე, ალიოზ ბათმანაშვილი და სხვ.

მთ. თამარაშვილიც, ამ სასწავლებელში აღზრდილი, პირველად აქვე იწყებს მასწავლებლობას, მაგრამ მას სხვა მოწოდება ოზიდავდა, ამიტომ რამდენაზე წლის შემდეგ ისევე რომს მიაშურა, რათა ვატიკანისა და 'ხეა არქივებში მოეძიო საქართველოში კათოლიკური მოძრაობის აღსახველი მასალები. მას გულში მტკიცედ ჰქონდა ამოჭრილი ახალციხიდან მისი სულიერა მოძღვრისაგან გამოყოფილი შთაგონება, მისგან მიწერილ წერილებშიც რომ იყო გრძნობიერი სიტყვებით გამოხატული: „ჯვარ-ტომობას გვედავებინ“... „შენს იმედზედ ვართ, აწარმოეთ ყოველიფერი თავგანწირ-

ვით ღვთის პატივისათვის და ტუბლი, საყვარელი, ძვირფასი სამშობლო მამულის სასარგებლოდ!\* მთელი ვატაცებითა და გულშოდგინედ იღწეოდა ახალგაზრდა მიხეილი მიზნის მისაღწევად. სამშობლოსაგან მოწყვეტილი, გვერდით მყოფ კონსტანტინოპოლიდან წარგზავნილ მოსწავლეებთან შეგობრობაში იქარგებდა დარდს. ეს ახალგაზრდები შეუპოვარ მეცნიერს მასალების გადაწერაშიც ეხმარებოდნენ თურმე.

ერთი ამათგანი აწ განსვენებული კოტე საფარაშვილი ყოფილა, რომელიც ჩვენს ზემოხსენებულ საიუბილეო სხდომას დაესწრო და მოგონებით გამოვიდა.

გთავაზობთ ამ მოგონებას.

ილია შაისურაძე

თავის მოღვაწეობაში თამარაშვილი იყო დაუშრეტელი ენერჯის მქონე აღამიანი. თამარაშვილი იყო სამშობლო საქართველოს ქართველი, მგზნებარე პატრიოტი.

თამარაშვილი მე გავიცანი 1909 წელს ქ. რომში, როდესაც ჩვენ, ათიოდე ქართველი სტუდენტი, კონსტანტინოპოლიდან გავემგზავრეთ ქ. რომში, იქ უმაღლეს სასწავლებელში სასწავლებლად. ეს იცოდა, აგრეთვე, თამარაშვილმა, რომელი თამარაშვილიც თვითონაც იყო წასული, ცამეტიოდე წლის წინათ, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანიდან და იმჟამად მოღვაწეობდა რომში, სამწერლო ასპარეზზე.

ჩვენ მოუთმენლად ველოდებოდით ჯერ ჩვენთვის უცნობ მიხეილ თამარაშვილთან შეხვედრას, ალბათ თამარაშვილიც მოუთმენლად გველოდებოდა ჩვენც. რომში მისვლისას თამარაშვილი დაგვხდა სადგურზე. შეხვედრა იყო გულითადი, მამაშვილური და მხიარული. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თამარაშვილმა წაგვიყვანა და დაგვაბინავა იქ, სადაც საჭირო იყო.

თამარაშვილი არ იყო ჩვენი მასწავლებელი უმაღლეს სასწავლებელში. ის ცხოვრობდა კერძო ბინაში და მთლად გართული იყო მის შემდგომ გამოსაცემ წიგნების მასალების შეგროვების საქმეში, მაგრამ თამარაშვილი იყო ჩვენი ხელმძღვანელი, მფარველი, დამრიგებელი და ყველაფერში ხელის შემწყობი. როგორც ის გვეხმარებოდა ჩვენ, ჩვენც მას ვეხმარებოდით საისტორიო მასალების გადაწერ-გადმოწერაში, თარგმანებში და სხვა. კვირაში ორჯერ თამარაშვილი მოდიოდა ჩვენს ბინაში და ქართველურად ვუზიარებდით ერთმანეთს ჩვენ აზრებს.

1909 თუ 10 წელს, საქართველოში რომ იხდიდნენ აკაკი წერეთლის იუბილეს, ჩვენც მოვაწყეთ მაშინ რომში საამისო კრება და ამ კრებაზე გამოვსტყვით აზრი და სურვილი, რომ დახატული ყოფილიყო აკაკი წერეთლის და შოთა რუსთაველის სურათი ისე რომ, შოთა რუს-



თაველს თავისი კალამი გადაეცა ხელში აკაკი წერეთლისათვის. ეს აწერდა ძალიან მოეწონა თამარაშვილს; მაშინვე დაახატვინა ამ სახის სურათი თავის ხარჯზე და გადაუგზავნა ის რომის ქართველ სტუდენტთა სახელობით საქართველოში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

თამარაშვილის ფრანგული წიგნის „L'eglise georgienne“ კორექტორობას ასრულებდა ჩვენი სასწავლებლის მასწავლებელი, ვინმე შარონი, რომელმაც ფრანგული ენა საუცხოოდ იცოდა და რომელიც ალტაცებული იყო წიგნის შინაარსის გაცნობით. სტამბაში გადასაცემ ფურცლებს რომ კითხულობდა და ასწორებდა, მუდამ თავს აქეთ-იქეთ აქნევდა და ღიმილით გაიძახოდა: „gue c'et interressant, gue c'et interressant“ („რა საინტერესოა ეს, რა საინტერესოა“), თითქოს ის ახლად აღმოჩენილ ქვეყნის განსაცვიფრებელ ამბებს კითხულობდაო.

მიხეილ თამარაშვილის მორალური სახე: თამარაშვილი იყო გულისხმიერი ადამიანი, მოსიყვარულე და ყველას მიმართ უაღრესად თავაზიანი.

მე შენიშნული მქონდა მასში: სადა თავდაბლობა და გულუხვობა. მიუხედავად მისი არასახარბიელო მატერიალური მდგომარეობისა. კეთილზნობრივად ის იყო სპეტაკი ადამიანი, მასში ვინ შენიშნავდა შურიანობას, ანუ მრისხანებას. ის ყველგან ასრულებდა ზომიერების და თავდაჭერილობის კანონებს. შრომის მოყვარეობით ხომ ის იყო განთქმული, როგორც ეს შეუნიშნავს, აგრეთვე, ერთ ქართველ მოღვაწეს, რომელიც მასთან ყოფილა, და რომელიც გაკვირვებას გამოსთქვამდა თამარაშვილის მართლა გიგანტური ენერჯის გამო. მართალია, თამარაშვილს თავის ცხოვრებაში ნაკლიც ექნებოდა, მაგრამ დადებით მხარეებთან შედარებით მის უარყოფით მხარეებს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა და არც ექნებოდა.

ჩვენთან საუბარში თამარაშვილი გადმოგვცემდა თავის შეხედულებებს სხვადასხვა მომენტებზე.

მაგალითად, ცხოვრების და ბრძოლის შესახებ ის გვეუბნებოდა: მართალია, ცხოვრება არის ბრძოლა არსებობის შენარჩუნებისათვის, მაგრამ ცხოვრების ასეთი განსაზღვრა შეეფერება აგრეთვე ცხოველებს, კატა-ძაღვებს და ჭია-მატლებსაცაო! მეორენაირი განსაზღვრა ცხოვრებისა ასეთია: „ცხოვრება არის ბრძოლა, ადამიანის მატერიალური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის“. ამნაირი განსაზღვრა უკვე შეეფერება ჭკუა-გონების მქონე არსებასაო. მაგრამ არსებობს აგრეთვე მესამენაირი განსაზღვრებაცაო: ცხოვრება არის და უნდა იყოს ბრძოლა, ადამიანის პატიოსნების შექმნის, შენარჩუნების და გარშემო გავრცელებისათვის“.

ამისთანა განსაზღვრა უკვე მთლად შეეფერება ჰკუა-გონებით და  
ჯილდოებულ და ბრძენ ადამიანებსაო.

თამარაშვილის აზრები ვალდებულობის და სიამოვნების ურთი-  
ერთთან დამოკიდებულობის შესახებ.

თამარაშვილი გვეუბნება: ვალდებულობა მუდამ სიამოვნებაზე  
მალა უნდა იყოს დაყენებულიო. ჯერ ვალდებულობის მოხდა და  
მერე სიამოვნების მიღებაო.

ამის სისწორეს და საჭიროებას გადმოგვცემს თვით ხალხური სი-  
ბრძნე, ჩვენი პოეტების პირითაო: „ჯერ შრომა, მერე ხტომა“, „ჯერ  
მწარე სკამე, კვლავ ტკბილი“, „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია“,  
„მაშ, ჯერ ლხინსა ვინ მოიმკის, პირველ ჭირსა უმუშაყო?“.

ყველა ეს, ძირითადად, ვალდებულობის მოხდის შესახებ არის  
თქმულიო. ვალდებულობის მოხდას ხშირად თანდაყოლილი აქვს: სი-  
მწარეც, ჭირიც და ეკალიც. მიუხედავად ამისა, ვალდებულობა უნდა  
იყოს მოხდელი, პირველ რიგში დაყენებული და მხოლოდ შემდეგ  
სიამოვნების მიღებაზე უნდა იფიქროს და იზრუნოს ადამიანმაო!.. ვა-  
ლდებულობის მოხდა, ვის წინაშე? სახელმწიფოს წინაშე, საზოგადო-  
ების წინაშე და საკუთარი თავის წინაშეო!..

ასეთი იყო მიხეილ თამარაშვილი.

ილია ჭავჭავაძის მიერ დახატული, უკვდავყოფილი კეთილი მო-  
ძღვრის სახე, დიხაბც რომ არ არის ზოგიერთებს რომ ჰგონიათ „იდე-  
ალური და პრაქტიკაში მიუღწეველი სახე“ — როგორც ამას აღნიშნავდა  
ამ სხდომაზე გამოსული ერთი პატივცემული პროფესორი.

თავის მორალურ-ზნეობრივი შეხედულებებით და თავის საკუთარ  
თავის განწირვის ფაქტით (რომელზედაც შემდეგ ვილაპარაკებ),  
თამარაშვილმა დაამტკიცა ის, რომ ილია ჭავჭავაძის მოძღვრის სურათი  
რეალურია და შეგნებული ადამიანის მიერ განსახორციელებელი პრაქ-  
ტიკაში. სასურველია, რომ ამისთანა ადამიანები გამრავლებული ყო-  
ფილიყვნენ, კაცობრიობა და საზოგადოება ამით ბევრს მოიგებდა...

### თამარაშვილის მგზნებარე პატივობული ზრუნვაები

ერთ დღეს, მგონი, მაისის პირველ რიცხვში, ჩვენ, ქართველი  
სტუდენტები და თამარაშვილი სასეირნოდ წავედით რომის ქალაქის  
გარეთ, იქ დავსხედით მწვანე მინდორზე და, აბა, სხვა რაზე ვილა-  
პარაკებდით, თუ არ ჩვენ სწავლაზე, შთაბეჭდილებებზე, სამშობლოზე  
და ასე შემდეგ. ვიგონებდით ქართული ლიტერატურის სხვადასხვა  
მომენტებს, ლექსებსაც ვეუბნებოდით ერთმანეთს... სხვათა შორის,  
მაშინვე თამარაშვილმაც წარმოსთქვა ერთი ლექსი, რომელიც არ იყო.

მართალია, მის მიერ შეთხზული, მაგრამ იმისთანა გრძობით იყო გა-  
მოთქმული, რომ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ეს  
სამშობლოზე დაწერილი ლექსი:

„სალამი შენდა, სამშობლო მხარეც,  
სალამი შენდა, კავკასიონო;  
შენც, ალაზანი. ცრემლთა მდინარეც,  
და შენც, კოლხიდის ცელქო რიონო!

უცხოეთიდან სალამს გიგზავნი,  
სალამს მზურს და არწივის ფრთიანს,  
შენის ოცნებით ვიქარწყლებ ვარამს  
და თავს გველები, ბუნება დეთიანს.

თუ ველარ განახე, ტურჯა ედემო,  
და უცხო ცის ქვეშ აღმოჩნდა სული,  
შენ დაბითრივ, სიცოცხლეც ჩემო,  
შენ მიისვენე შენი ერთგული!“

ამ ლექსმა ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, კერძოდ, ჩემზე.  
მაშინ დავრწმუნდი მე თამარაშვილის პატრიოტული გრძნობების სინამ-  
დვილეში და სიღრმეში.

თამარაშვილი სწუხდა, როდესაც ის ხედავდა საქართველოს მა-  
შინდელ უმწურო მდგომარეობას, მას აღარებდა უცხოეთის ქვეყნების  
მდგომარეობას, სადაც არსებობდა შედარებით უფრო მეტი განათლე-  
ბა, უფრო მეტი აყვავება და უფრო მეტი თავისუფლება! თამარაშვილს  
სურდა თავისი პატრიოტული გრძნობების სინამდვილე საქმით დამ-  
ტკიცებინა და ეს დაამტკიცა სამწერლო ასპარეზზე მუშაობა-მოღვა-  
წეობით.

თამარაშვილმა იცოდა, რომ კათოლიკობას ბევრი სიკეთე ჰქონდა  
დათესილი საქართველოში; რომ, კათოლიკე მისიონერებს საგრძნობი  
დახმარება ჰქონდათ აღმოჩენილი ქართველი ხალხისათვის: თუ  
კეთილზნობრივი სწავლა-აღზრდის მხრივ, თუ საექიმო დახმარე-  
ბის მხრივ — თითქმის ყველა მისიონერი ჰვლობდა საექიმო ხელობას  
და მკურნალობის საქმეს (მაშინ ეს საქმე, საქართველოში არ იყო დაყე-  
ნებული საჭიროების შესაბამისად), და თუ ისტორიული ცნობების  
შეძენის და დაცვის მხრივ.

თამარაშვილმა იცოდა, რომ XIII საუკუნიდან მისიონერები მი-  
დიოდნენ საქართველოში; რომ ეს მისგლა-მოსგლა უკვალოთ არ და-  
ჩებოდა ისტორიისათვის, რომ უნდა არსებულებოდა მიწერ-მოწერა საქა-  
რთველოს და უცხოეთს შორის; რომ ამ მიწერ-მოწერაში დაცული  
იქნებოდა საქართველოს ისტორიისათვის ძვირფასი ცნობები. და აი,

თამარაშვილმა გადასწყვიტა ამ მიწერ-მოწერის სათავეს დაახლოვებოდა; დაახლოვებოდა უცხოეთის ბიბლიოთეკებს და მეტადრე ვატიკანის ბიბლიოთეკას, რომელიც, მთელ დედამიწის ზურგზე თითქმის ყველაზე უფრო ძვირფასი წიგნთსაცავია: მისი უძველესი ხანის ხელნაწერებით — IV საუკუნის „Codex Vaticanus“, II საუკუნის „Codex Bezae Cantabrigiae“ და სხვ....

მაგრამ ვინ შეუშვებდა თამარაშვილს ვატიკანის ბიბლიოთეკაში, ანუ სხვა ბიბლიოთეკებში, მინამ არ დადასტურდებოდა მისი პატიოსნება, მისდამი ნდობის გამოცხადების საკითხი, მისი მოღვაწეობის ქემარტი მიზანი, შრომისადმი მისი ერთგული დამოკიდებულება, საიმედო მორალური სახე?

მალე დადასტურდა ყველა ეს და თამარაშვილი შეუდგა დიდი მონღომებით და ენთუზიაზმით ბიბლიოთეკებში ენერგიულ მუშაობას.

ამის შედეგად თამარაშვილმა დასწერა და გამოაქვეყნა, ჯერ ქართულ ენაზე, კათოლიკობის ისტორია საქართველოში XIII საუკუნიდან, სადაც მოცემულია ძვირფასი ცნობები საქართველოს ყოველგვარი მდგომარეობის შესახებ, სახელმწიფოებრივი, სარწმუნოებრივი, პოლიტიკური და სხვა. ცნობები გიორგი სააკაძის, საბა-სულხან ორბელიანის, ირბახის და სხვ....

შემდეგ დასწერა ფრანგულ ენაზე: „L'église georgienne“ — საქართველოს ეკლესია, რითაც თამარაშვილმა დიდმნიშვნელოვნათ გააცნო უცხოელებს მანამდის თითქმის უცნობი საქართველო და საქართველოს ისტორია.

მიხეილ თამარაშვილი ჯერ კიდევ იყო ენერგიით სავსე და საუკეთესო იმედების მომცემი ისტორიულ ასპარეზზე, როდესაც... უბედურმა შემთხვევამ მას მოუსპო, სულ მოულოდნელად, ყველასათვის ასე სასარგებლო და ძვირფასი სიცოცხლე. ეს უბედური შემთხვევა გამოისახა, მართალია, მთელი კაცობრიობის წინაშე უაღრესად გმირული მოქმედების სახით...

დასახარებლად განწირულ მოწაფეების ყვრილზე თამარაშვილი გადაეშვა სანათამარინელას აზვირთებულ მდინარეში, მოწაფეების გადასარჩენად, ისინი გადაარჩინა, მაგრამ თვითონ კი გახდა ტალღების მსხვერპლი და წყალში დაიხრჩო. ამ გმირული მოქმედების აღსანიშნავად და თამარაშვილის ხსენების პატივის საცემლად მე ვწყვეტ რამდენიმე წუთით ჩემს სიტყვას... (მთელი აუდიტორია ფეხზე დგება).

ღე! მთელმა იტალიამ მუხლი მოიყაროს ქართველი გმირის, გმირულად დაღუპულ თამარაშვილის სურათის წინაშე, მან იტალიელი მოქალაქეები დახრჩობას, სიკვდილს გადაარჩინა, თვითონ კი ტალღების მსხვერპლი გახდა.

ამით, მართალია, იტალიამ შეინარჩუნა რამდენიმე იტალიელის სიცოცხლე, საქართველომ კი, ქართველმა ხალხმა კი, ჩვენ ყველამ

დავკარგეთ ჩვენი თანამემამულე, საყვარელი ადამიანი, დიდი გე, ძვირფასი მწერალი და მოღვაწე მიხეილ თამარაშვილი.

დიდება და პატივი გმირულად დაღუპულ თამარაშვილს!

დიახ, უბედურმა, მოულოდნელმა შემთხვევამ მოსპო თამარაშვილის საქმიანი და ძვირფასი სიცოცხლე და ჩვენი გული აავსო მწუხარებითა.

თუ არა ეს უბედური შემთხვევა, ჩვენ მოწმენი გავხდებოდით თამარაშვილის კიდევ ერთი ძვირფასი წიგნისა, რომელსაც ის ამზადებდა და რომლის სათაური უნდა ყოფილიყო, როგორც მე მისგან გავიანილი მქონდა, „Historie politikue de la georgie“ — „საქართველოს პოლიტიკური ისტორია.“ ამ წიგნის მასალები, უეჭველია, დაცული უნდა იყოს თამარაშვილის საარქივო ფონდში, რომელიც არსებობს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ვინაიდან მიხეილ თამარაშვილი იყო დაუშრეტელი ენერჯის მქონე მოღვაწე, ვინაიდან ის იყო საქართველოს მგზნებარე პატრიოტი, ვინაიდან თამარაშვილმა შესძინა ქართველებს ძვირფასი საისტორიო წიგნები, ვინაიდან თამარაშვილი იყო ნამდვილი ქართველი და მან დაიმსახურა მთელი კაცობრიობის წინაშე უმაგალითო გმირის სახელი, ამისათვის მე წინადადება შემომაქვს, რომ ამ დღევანდელ საჯარო სხდომასთან დაკავშირებით აღძრულ იქნეს, სადაც საჭიროა, უშამღგომლობა იმისათვის, რომ უცხოეთში მყოფი თამარაშვილის ნეშტი გადმოსვენებული იყოს საქართველოში, თამარაშვილის საყვარელ სამშობლოში.

თამარაშვილი იყო მგზნებარე მოამაგე და პატრიოტი თავის ქვეყნის. ეს საეხებით დადასტურდა ამ დღევანდელ სხდომაზე პატივცემული პროფესორების და მომხსენებლების გამოვლევებით; გამოვეხმაურეთ ჩვენც თამარაშვილის ამ გულწრფელ პატრიოტობას და იგივე ჩვენი პატრიოტული გრძნობის შედეგად ავუსრულოთ ჩვენ მისი სიცოცხლის დროს მრავალჯერ გამოთქმული სურვილი. მას უნდოდა ერთხელ კიდევ ენახა თავის სამშობლო, საქართველო და თუ მას ვერ ნახავდა, მისი ნეშტი მაინც გადასვენებული ყოფილიყო მის მშობლიურ წიაღში.

რა უნდა ამყამად თამარაშვილის ნეშტს უცხოეთში? ნუთუ ის უფრო მეტად არ იქნება პატივცემული და დაფასებული აქ, მის საყვარელ სამშობლოში, აქ, დღევანდელ ჩვენს აყვავებულ საქართველოში?

მე მოხარული ვიქნები, უკეთეს მეც იმათ რიცხვში აღმოვჩნდებოდი, ვისაც მიენდობოდა ამ დიადი საქმის სისრულეში მოყვანა; ეს დიდი საქმე არის მიხეილ თამარაშვილის ნეშტის უცხოეთიდან საქართველოში გადმოსვენება.

ეს იყო, ვახელმეორებ, თამარაშვილის ოცნება, ეს იყო სიცოცხლის დროს მისი გულითადი სურვილი და ნატვრა. ის საქართველოს ემუდარებოდა:

„თუ ველარ გნახე, ტურფა ვედმო,  
და უცხო ცის ქვეშ აღმომხდა სული,  
შენ დამიტირე, სიცოცხლევე ჩემო,  
შენ მიისვენე შენი ერთგული!“

წერილი

### პ. ც. ილიკო!

იმ ღამეს თქვენ მიერ მოწყობილ სხდომაზე თამარაშვილის პატივსაცემად დრო-ის უქონლობის გამო ცოტა შემოკლებით ვილაპარაკე თამარაშვილზე. ამჟამად გიგ-ზაენი ჩემი სიტყვის მთელ შინაარსს, როგორც უნდა ყოფილიყო. თუ მას რამეში გამოიყენებთ, ანუ რომელიმე საქმისათვის ის სასარგებლო იქნება, მე ამის საწინააღ-მდეგო არაფერი მაქვს.

მხოლოდ მცირედ შესასწორებელია.

მაგალითად: 1. თამარაშვილი მდინარეში დაიხრჩო თუ ზღვაში?

2. თამარაშვილმა მუშები გადაარჩინა სიკვდილს, თუ

მოწათეები — ეს არ ვიცი. ეს გასასწორებელია ჩემს ნაწერში.

სამწუხარო ის იყო, რომ ეს საისტორიო სხდომა ორი-სამი დღით ადრე არ იყო გამოცხადებული. ჩვენი ხალხი, დარწმუნებული ვარ, ბევრი დაესწრებოდა.

პ. ც. პ. კონსტანტინე

მიხეილ თამარაშვილი

## წერილები ქართულ მოღვაწეებს

მიხეილ (ერისკაცობაში ალექსანდრე) პეტრეს ძე თამარაშვილის (1858 — 1911 წ.წ.) წვლილი ქართული კულტურის ისტორიაში განუზომელია. მისი მოუღალავი შრომის ნაყოფია ევროპის არქივებში დაცული მანამდე უცნობი, მრავალი და მეტად საინტერესო დოკუმენტისა და ისტორიული ფაქტის მოძიება-გამოქვეყნება, რამაც ნათელი მოჰფინა იმ ხანებში ჩვენში დაბუნდოვნებულ და საკამათო ვერსიებს, ქართველ კათოლიკეთა მოღვაწეობა-საქმიანობას.

მიხეილ თამარაშვილის ებისტოლარული მემკვიდრეობიდან მრავალი ხელნაწერია შემორჩენილი, რომლებიც დაცულია საქართველოს მუზეუმებსა და საცავებში. კერძოდ გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში ინახება მისი 16 წერილი, მიწერილი ქართული კულტურის მოღვაწეებისადმი, როგორც მკითხველიც დაინახავს, ამ დოკუმენტებში საუბარია მხოლოდ და მხოლოდ ქართულ მწერლობაზე, ისტორიაზე და მის გამოშხუთება-გავრცელებაზე.

ტარიელ იაშვილი

თქვენო პატიოსნებაჲ უფალო ზაქარია<sup>1</sup>.

მივიღე თქვენი წერილი, აგრეთვე ორი წიგნი და ხატები. დიდ მადლობას მოგახსენებთ ყველა შეწუხებისათვის.

დიდის სიამოვნებით წავიკითხე ქართულ გაზეთში სპარსელი ქართველების მანდ მოსვლა. ყურადღების მოქცევა და ხელის მოწოდება მათ დიდ სიკეთეს მოუტანს, და განუახლებს გვაროვნობის სიყვარულს<sup>2</sup>.

ქართული ყორანის გამოგზავნისთვის ნუ შესწუხდებით, რადგან მისი წაკითხვის დრო არა მაქვს.<sup>3</sup> გმადლობთ მაგისთვისაც.

<sup>1</sup> ჰიკინაძე, ზაქარია იასეს ძე (1854—1934 წ.წ.), მწერალი.

<sup>2</sup> მ. თამარაშვილი უნდა გულისხმობდეს 1906 წელს ფერეიდნელი ქართველების ონიკაშვილისა და ხუციშვილის ჩამოსვლას, რამაც ქართველ საზოგადოებაში დიდი აღტაცება გამოიწვია.

<sup>3</sup> მ. თამარაშვილი უნდა გულისხმობდეს პეტრე ამირანაშვილის მიერ ქართულად თარგმნილ ყურანს, რომელიც დაისტამბა 1906 წელს. „ყურანი მუჰამედისა“ — სახელწოდებით.

აგერ ჩემი დიდი შრომა ფრანგულად „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ დავამთავრე. გარნა არ ვიცი თუ როდის დავიწყებ მის დაბეჭდვას, რადგან 5000 მანეთამდის ხარჯი უნდა და ბ-ნი ზუბალოვები<sup>1</sup> აღარაფერს მეწვევიან რევოლუციის გამო. არც იმედი მაქვს სხვა ვინმემ ჩვენ ქართველთაგანმა ხელი გამიმართოს ამ დიდს ხარჯში. დიდი შრომა დავდე ამ წიგნის დამთავრებას. მეტად შესანიშნავი რამე მოდის, რომლის მსგავსი არც ქართულად და არც ევროპიის ენებზე მოიპოვება. ჩემი წინანდელი ორი წიგნი დაბეჭდილი ამ ახალ შრომასთან სრულობით არაფერია<sup>2</sup>. შემდეგში როცა დაიბეჭდება, ვიცი კარგად თუ ქართველები და თუ ევროპელები დიდ ქებას იტყვიან, გარნა მარტო ქება არ კმარა. ყველა პატიოსან ქართველს, ვისაც მამული უყვარს და მის წარსულს აფასებს, დიდი ვალი აქვს, ხელი მომიწყოს ამისთანა სამამულო შრომაში, რომლის მსგავსიც ჯერ აზრათაც-კი არ მოსვლიათ ქართველებს. აქ რომ მხედამენ მამულისათვის განწირული ვშრომობ, ყველას ჰგონიათ, რომ ქართველები დიდ შემწეობას მიგზავნიან. ნამდვილი კი ის გახლავთ, შემწეობას კი არა, ზოგიერთი ცარიელი წერილით პასუხსაც კი არ იძლევა. ესრეთი ქართველების გულგრილობა ჩემთვის დიდად სამწუხაროა, და კიდევაც თავს დავანებებდი საქართველოს სასარგებლოდ ყველანაირ შრომას, უკეთეს მამულის სიყვარულს არ დავეძლიე.

გარდა ამისა, იმ ხანებში ბევრი ახალი დოკუმენტები აღმოჩნდა არხივებში. და კიდევ იმედი მაქვს, რომ ბევრი რამ აღმოვაჩინო, ესრეთი დოკუმენტები საქართველოსთვის უძვირფასესი განძია, რის გამო მე არც შრომას და არც ფულის დახარჯვას ვზოგამ, გარნა სამწუხაროდ, ამისთანა ძვირფას საგანს ჩემს მეტი დამფასებელი არავინ ჰყავს. ესეც იმითი ცხადია, რომ ჩემზედ უწინ ევროპაში ბევრი ქართველები იყვნენ, გარნა აქამდინ არავის აზრად მოსვლია, რომ ეგოდენ საუკუნეების დოკუმენტები, მტვერში დაფლული და დავიწყებული, მოეძია და შემოეკრიბა. გარნა ახლა, როცა აღმოჩნდა მათი მომძივარი და შემომკრები, საქართველო განუტრეხლად და გულგრილად უტკერის მას. სხვა ქვეყნებში ესრე როდია, მამულისათვის მშრომელს ყველას კერ-

<sup>1</sup> ზუბალოვები — ზუბალაშვილები: კონსტანტინე, იაკობ, ლევან და სტეფანე. ცნობილი ქართველი მეცენატები.

<sup>2</sup> მ. თამარაშვილი გულისხმობს „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილი საბუთების შეტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. თბილისი, 1902 წ. და „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველ კათოლიკოსობას“ (ისტორიული გამოკვლევა), თბილისი, 1904 წ.





ძოდ ხელს უწყობენ და შემწეობას აძლევენ. რაცა! ესრეთ ჩვეულებად  
 ვგონებ, პირველი არ არის საქართველოში.

დავშთები მარად თქვენი პატივის მცემელი მღ. მიხელთა-  
 მართი.

4 აპრილს, 1907 რომი.

Corso Vittorio, 337, Rome

დიდად პატივცემულო მოსე!<sup>1</sup>

მივიღე თქვენი ოთხი წიგნი. უგულითადეს მადლობას მოგახსენამ  
 მათ გამოგზავნისათვის. დიდად მომეწონა თქვენი საქართველოს ისტო-  
 რია. ამისთანა გამოკვლევა აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ ისტორიას  
 პატარა ნათელი მოეფინოს. ზღაპრული და უკრიტიკოდ დაწერილი ის-  
 ტორიები აღარაფრად ღირან ახლანდელი მეცნიერების წინაშე.

აგერ კარგახანია მეც დავწერე ფრანგულად საქართველოს საეკლე-  
 სიო ისტორია, და თავში ჩავურთე სამოქალაქო ისტორიაც, რომელშიაც  
 გამოვიკვლიე აგრეთვე ქართველი ტომის უძველესობა და მისი მფლო-  
 ბელობა სასომხეთშიც და სხვ. ამისი პროსპექტს მანდ ნახამდით, იმედია  
 ამ წიგნში ვურთავ ეგრეთვე საქართველოს ძველ მონუმენტებს სურა-  
 თებსაც და ორ გეოგრაფიულ კარტასაც. მეტად საჭიროდ დავინახე ამ-  
 ნაირი ისტორიის ფრანგულად გამოცემა. რადგან ევროპაში თითქმის  
 სრულობით არა იციან რა საქართველოს ისტორიისა, და თუ იციან რა-  
 მე, ისიც არეულ-დარეულად და შეცილებით თუ სომხებს და თუ რუს-  
 ების შეცთომილი წერილების წყალობით. ამ წიგნის გამოცემას დიდი  
 ხარჯი უნდა. რადენიმე ქართველ პირს მივმართე; მაგრამ, ჩემდა დიდ  
 სამწუხაროთ, არამც თუ შემწეობა არ აღმომიჩინეს, არამედ ცარიელა  
 პასუხიც-კი არ მაღირსეს. ესრეთ ქართველების გულ-გრილობამ და  
 განურჩევლობამ მეტად დამალონა: აქამდინ ეს წიგნი დაუბეჭდავი დამრ-  
 ჩა, არ ვიცი, როდის შევიძლებ მის გამოცემას.

მანდაური მონუმენტების ფოტოგრაფები მაქვს, მხოლოდ მაკლია  
 კუმურდოსი და ზარზმის ფოტოგრაფები. უკეთუ ამას მიშოვით, დიდად  
 დამავალიანებთ. ეგრეთვე მსურს წიგნში ჩავურთო ქართველი დედაკა-  
 ცის და მამაკაცის ტიპი. ვთხოვთ ეს ორი ფოტოგრაფიც ისეთი გამო-  
 მიგზავნოთ, როგორსაც შესაფერს დაინახამთ.

დავშთები მარად თქვენი პატივის მცემელი მღ. მიხელთა-  
 მართი.

9 აპრილს, 1908. რომი

Corso Vittorio, 337

<sup>1</sup> ჯანაშვილი, მოსე გიორგის ძე (1855—1934 წწ.), ცნობილი ქართველი ისტორი-  
 კოსი.

## თქვენო პატიოსნებაჲ ბ-ნ მ. გ. ჯანაშვილი<sup>1</sup>

მივიღე თქვენს მიერ გამოგზავნილი სამი წიგნი. უგულითადეს მადლობას მოგიძღვნი თქვენ და ეგრეთვე მლ. კ. ცინცაძეს<sup>2</sup>. მალე ვაპირებ დაბეჭდვას ჩემი ფრანგული წიგნის „საქართველოს ეკლესიის ისტორიას“.

დავშთები მარად თქვენი პატივისმცემელი მლ. მიხეილ თამაზაძე.

19 ნოემბერი 1909 რომი

### დიდად პატივცემულო ზაქარია

მივიღე თქვენი 26 მარტის წერილი. დიდად გმადლობ ცნობების მოწოდებისათვის. ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ეს ცნობები წინეთ მქონოდა, რადგან როცა ეს მივიღე, უკვე დაბეჭდილი იყო ის თავი, რომელშიც მოცემულია ანტონ კათოლიკოსის<sup>3</sup> სურათი. მე ისე გადმოვაბეჭდინე, როგორც იყო ხახანოვი<sup>4</sup>-ისარლოვის<sup>5</sup> მიერ გამოცემულ ისტორიაში. ამიტომ ვწუხვარ, რომ იმათ მეც შემაცდინეს და ანტონ მეორე პირველ ანტონად დამაწერინეს. ამ შეცდომას თავიდან ავიცილებდი, უკეთეს მ. ჯანაშვილს ჩემი წერილისათვის პასუხი მოეცა. მას მივწერე 28 იანვარს, თუ ამისა და სხვა გარემოებაზედ ცნობები ვთხოვე. მაგ დალოცვილმა, აქამდინაც არ იკადრა ცარიელა პასუხის მოცემა. მე შეგონა მამულისათვის ერთი საუკეთესო მოღვაწეა და ჩემს თხოვნებს დიდის სიამოვნებით მოეგებება-მეთქი. გარნა მოგტყუვდი ჩემს მოლოდინებაში. მე სრულებით არ შეგონა, რომ ეგრედ შეუსაბამო დაუდევრობას აღმოაჩენდა ამისთანა საინტერესო საგანშიდ. კარგი იქმნება, რომ ჩემს მაგიერად კაი სამღურავი მოახსენოთ.

იმედი მაქვს უკვე ნახამდით ჩემს ფრანგული წიგნის რამდენიმე დაბეჭდილ ფურცლებს, რომლებიც მამა ლაზარე გოზალოვს<sup>6</sup> გამოუ-

<sup>1</sup> წერილი დაწერილია საფოსტო ბარათის მეორე გვერდზე. გამოგზავნილია ვაზ. „დროების“ რედაქციაში, ი. ს. აგლაძის სახელზე. აქვს მინაწერი: „ბ-ნო რედაქტორო, უმოჩინესად ვთხოვ ეს წერილი გადასცეთ ბ-ნ მ. გ. ჯანაშვილს“.

<sup>2</sup> ცინცაძე კალისტრატე მიხეილის ძე (1866—1952 წწ.), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1932 — 1952 წწ.

<sup>3</sup> ანტონ კათოლიკოსი — ანტონ პირველი, იასეს ძე ბაგრატიონი (1720—1788 წწ.), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

<sup>4</sup> ხახანოვი — ხახანაშვილი ალექსანდრე სოლომონის ძე (1866—1912 წწ.), მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი.

<sup>5</sup> ისარლოვი — ისარლიშვილი ლუკა სტეფანეს ძე (1814—1893 წწ.), ლიტერატორი, საცენზურო კომიტეტის მდივანი, უნდა გულისხმობდეს „კათოლიკენი საქართველოში“, ზ. კიჭინაძის გამოცემა. 1898 წ.

<sup>6</sup> მამა ლაზარე გოზალოვი — პატრი გოზალიშვილი ლაზარე ივანეს ძე (1871—1937 წწ.), თბილისის ქართველ კათოლიკთა ეკლესიის მოძღვარი.

გზავნე და ვსთხოვე თქვენთვისაც ეჩვენებინა. უკვე ნახევარზე მისწავლა ბული დაიბეჭდა და დანარჩენიც მალე, ამ ცოტახანში დამთავრდება. თქვენ მაინც კი მომაწოდეთ თუ სურათები და თუ სხვა შესანიშნავი საგნები, ახლა თუ არა, შემდგომში მაინც გამომადლება. ჩემი წიგნი დამთავრდება თუ არა, ერთ ეგზემპლარს, სხვათა შორის, გამოვუგზავნი „დროების“ რედაქციას. ვნახოთ ქართველობა, რომელმაც არც ნივთიერად და არც სხვაფრივ ყურადღება არ მომაქცია, როგორ მიიღებს და როგორ მაღლობას გამოსთქვამს. ეს კი დარწმუნებული ვარ, რომ ევროპა-კი დიდის სიამოვნებით მიეგებება, რადგან სიამოვნება და თანაგრძნობა გამოიძახადა.

აქ მყოფ მოსწავლეებმაც მადლობა და მოკითხვა მოგახსენეს. მირად თქვენი პატივისმცემელი მ. მ ი ხ ე ლ თ ა მ ა რ ა თ ი.

25 აპრილი 1910, რომი.  
Muzio Clementi, 70

### დიდად პატივცემულო ჩემო ზაქარია

თქვენთან მოწერის შემდგომ მივიღე თქვენი მეორე წერილი. უგუთითადეს მადლობას გიძღვნი თქვენი ეგრეთი ერთგული და ნამდვილი პატრიოტული თანაგრძნობის აღმოჩენაზედ. გარნა ჩემდა დიდ სამწუხაროდ უნდა მოგახსენო, რომ ეგ ძვირფასი ხატები, რომლების მოშოვებასაც აპირობთ, ამ გზობას ველარ მომესწრებთან, რადგან კათალიკოზების შესახებ წიგნი უკვე დაიბეჭდა. ამ შემთხვევაში იბეჭდება ბოლო თავი, ერთად დასრულდება ამ მომავალ მაისში. მაგ ძველი მხატვრობის ჩემ წიგნში მოქცევა მეტად სასიამოვნო იქმნებოდა ჩემთვის და აქაურ საზოგადოებისთვისაც დიდი საინტერესო იქმნებოდა. გარნა იმედი მაქვს, რომ ეს ჩემი წიგნი კიდევ მალე გამოვცე მეორედ. მაშინ უეჭველად მოვათავსებ მასში საქართველოს ყველა სიძველეს, რასაც კი ვიშოვი. ამისთვის გთხოვ შეუდგეთ მაგისტანა საინტერესო ნაშთების შეკრებას. დიდად გასაკვირი და მასთანაც მეტად სამწუხაროა, რომ აქამდინ არავის უფიქრია მაგისტანა ძველი ნაშთების შეკრება ან გადახატვა და სხვა.

დალოცვილ მ. ჯანაშვილს იანვარში მივეწერე მაგისტანა სურათების შესახებ. იმისაგან რომ რაიმე პასუხი მიმეღო, მაინც ამ ათი-თხუთმეტი დღის წინეთ, უეჭველად ჩემი წიგნის ბეჭდვას შევაჩერებდი და დაუფუცდიდი მის სურათების მიღებას, რომ ჩამერთო. შესახებ ჩემი ქართული წიგნების სიისა, ესლა ჯერჯერობით საჩქარო აღარ არის. მერე როცა უფრო თავისუფალი დრო მექნება, შევადგენ და დიდის სიამოვნებით გამოგიგზავნი.

თქვენს პირველ წიგნში თხოვულობდით აქაური დაბეჭდილი გა-



ზეთების ცნობებს პატრი ალფონს ხითაროვის შესახებ<sup>1</sup>. უკაცრავად, ამაზედ მაშინათვე პასუხი ვერ მოგეცი, გარნა ვარდიძეს<sup>2</sup> მივაწერინე მონთობანში, რომ მანდ გამოეგზავნა ორი ფრანგული გაზეთი, რომლებშიც იყო დაბეჭდილი ცოტა რამ იმის შესახებ.

დიდად გმადლობ ეგრეთვე იმისათვის, რომ გაზეთში დააბეჭდინეთ ჩემი მოთხოვნილი სურათები. გთხოვ მაცნობოთ თუ რამეს იპოვნით.

ამასთანავე უნდა მოგახსენო, რომ, მართალია, პოლაკებმა და სხვა ზოგიერთებმა შემწეობა აღმომიჩინეს,<sup>3</sup> გარნა ძრიელ ცოტა შედარებით იმისა, რაც იხარჯება. ეს ხარჯი რამდენიმე ათას მანეთზედ აღის, და ნელნელა, ამ დიდ ხარჯს ვიხდი იმით, რასაც ჩემი ცდითა და შრომით ვშოულობ. ქართველობა, მეტადრე შეძლებულ პირებმა, რომლებმაც უყურადღებოდ დამტოვეს, რის გამო დიდად დანაშაული არიან. ამაზედ ეჭვი არ არის, ვნახოთ, როცა ჩემს შრომას ნახავენ, როგორ შეაკეთებენ თავიანთ ბრალს.

იმედი მაქვს, არ დამივიწყებთ.

დავშთები მარად თქვენი პატივისმცემელი მღ. მ ი ხ ე ლ თ ა მ ა - რ ა თ ი.

27 აპრილს, 1910. რომი

Muzio Clementi. 70

დიდად პატივცემულო ბ-ნ ზაქარია.

მივიღე თქვენი 11 მკათათვის წერილი, რომელმაც დიდად მასიამოვნა, რადგან ეგრე განწირულობით ცდილობთ საქართველოს ისტორიის შესახებ.

მე სულით-გულით მოწადინებული ვარ, რომ მეორედ კიდევ გამოვსცე ჩემი წიგნი უფრო კარგად გამდიდრებული სურათებით და დოკუმენტებით, თუ გარემოება ხელს მომიწყობს. უკვე მოგახსენებათ, რომ ამოდენა შრომასა და ხარჯისათვის საქართველოდამ ჯერ არავითარი შემწეობა მიმიღია. ამისთანა შრომის გამოქვეყნებას აქ დიდი ხარჯი სჭირვია. თუ ქართველები არავითარ მონაწილეობას მიიღებენ, მეტად ძნელია ამისთანა საგნის სისრულეში მოყვანა. როგორც წინათ გთხოვე, თქვენ რაც შეიძლება ეცადეთ, შემოჰკრიბეთ ყველა ეგ ძვირფასი ძველი ნაშთები და მომაწოდეთ შემდეგში თავის შესაფერი ცნობებით. მე რაც შემიძლია ვეცდები და იმედი მაქვს ღმერთიც ხელს მომიმართავს. მამა ლაზარე გოზალოვი ამ წერილთან ერთად გად-

<sup>1</sup> ალფონს ხითაროვი (ხითარიშვილი) — კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა ძმობის (კონგრეგაციის) უფროსი მოძღვარი 90-იან წლებში.

<sup>2</sup> ვარდიძე — პატრი ვარდიძე პეტრე (ემანუელ) პავლეს ძე (1886—1966 წწ.) ბოლო დროს წინამძღვრობდა თბილისში, კალინინის ქუჩაზე მდებარე კათოლიკების მკლესიაში. დასაღვრებულია იქვე.

<sup>3</sup> თავისი შრომის დაბეჭდვამდე მ. თამარაშვილმა შეადგინა მისი მოკლე ანოტაცია და დაუგზავნა დანტერესებულ პირებს, რისთვისაც ზოგიერთებმა (პოლონელებმა, რუმინელებმა და სხვა) მცირე ფულადი დახმარება აღმოუჩინეს.

მოგცემს ერთ ცალს ჩემს წიგნს, რომელსაც ეხლა ვუგზავნი. გთხოვ ჩემს მაგივრად მიიღოთ — რა მოგახსენო, აქ ყველამ, ვინც კი ნახა, დიდის ალტაცებით მიიღეს ეს ჩემი წიგნი და დიდათაც დააფასეს ყველამ კერძოთ. რადგან ამისთანა ყველას კერძოთ შესანიშნავი წიგნის გამოცემა აქაც იშვიათია. უკვე რამდენმა დასწერა კაი ქება და კიდევ სხვებიც დასწერენ. პაპსაც ვუთავაზებ ჩემი ერთი წიგნი.<sup>1</sup> რა გადაათვალიერა, ძლიერ კმაყოფილი დამრჩა და თავის სეკრეტარ კარდინალმა მის სახელით, კარგი ქების და მადლობის წერილი გამომიგზავნა, რომლის პირსაც ვაახლებ მამა ლაზარეს. — აქ მყოფი მოსწავლე ახალგაზრდა ქართველები დიდის სურვილით აღჭურვილნი არიან საქართველოს ყველა ნაირი სიკეთე მოუტანონ, რაოდენათაც შეიძლებენ. თქვენს შრომაზედაც დიდათ მადრიელნი არიან. ჩემი წიგნების სიას შემდეგში ვაახლებ, რადგან ეხლა იმის დრო არა მაქვს. მეტად ვწუხვარ მღ. ივანე გვარამაძეს სამწუხარო მდგომარეობაზე.<sup>2</sup> რა საკვირველია, თავის შვილებსაც დიდი ბრალი მიუძღვით მის სამწუხარო მდგომარეობაზე. — კარგი იქმნება მოსკოვში დაბეჭდილი თაყაიშვილის მოგზაურობის წიგნი მიშოვით.<sup>3</sup> თუმცა საუბედუროთ რუსული დამავიწყდა, გარნა იმედია სხვების შემწეობით გამოვიყენო.

გთხოვ რაც შეიძლება მალე გამომიგზავნოთ დავით ზ. სარაჯევის<sup>4</sup> და ნიკოლოზ ლოლობერიძის<sup>5</sup> ადრესები. თუ ზუბალაშვილების ადრესებსაც ეცდებით და როგორმე მომიშოვით, დიდად დამავალიანებთ, რადგან მათი კვალი სრულობით აღარ ვიცი.

ეგრეთვე გთხოვ ადევნოთ თვალყური მანდაურ სომხურ გაზეთებს. თუ რამე დასწერეს ჩემი წიგნის შესახებ,<sup>6</sup> უეჭველათ გაზეთი თავის ქარ-

<sup>1</sup> პაპსაც ვუთავაზებ ჩემი წიგნი — პაპი პიო X.  
<sup>2</sup> მღ. ივ. გვარამაძე — მღვდელი გვარამაძე ივანე პავლეს ძე (1831—1912 წწ.), „ვინმე შესის“ ფსევდონიმით ცნობილი ეურნალისტი, საზოგადო მოღვაწე. მ. თამარაშვილის მასწავლებელი იოანე ნათლისმცემელის ე. წ. „ქვემო ეკლესიის“ სამრევლო სკოლაში.  
<sup>3</sup> მ. თამარაშვილი უნდა გულისხმობდეს ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილს (1863—1953 წწ.) „Археологические экскурсии разыскания и заметки“.  
<sup>4</sup> დავით ზ. სარაჯევი — სარაჯიშვილი დავით ზაქარიას ძე (1848—1911 წწ.), ცნობილი ქართველი მეცნიერი.  
<sup>5</sup> ნიკოლოზ ლოლობერიძე — ლოლობერიძე ნიკოლოზ ბესარიონის ძე (1839—1912 წწ.), საზოგადო მოღვაწე.  
<sup>6</sup> მ. თამარაშვილს მხედველობაში ჰყავს ზოგიერთი სომეხი მოღვაწე: ხუდაბაშვილი, ქიშიშიშვილი, ეზოვი, პატკანიძე და სხვა, რომლებიც უარყოფდნენ ქართველთა კათოლიკობას და აყალბებდნენ ისტორიულ სინამდვილეს, განსაკუთრებით კი ტერ გაბრიელ ნახატიანი, 1902 წელს იტალიურად გამოცემული წიგნისათვის „სომეხი კათოლიკები საქართველოში და საერთო კათოლიკე სომეხთა და ქართველთა შორის“.

ხსივნებულ წიგნში გაყალბებულია ქართველი კათოლიკობის ცხოვრება და საქმიანობა. მ. თამარაშვილი, თავის წიგნში „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველ კათოლიკობას“ (თბილისი, 1904 წ.) აფრთხილებს მკითხველს, რომ „აზრად არ გვაქვს პოლიშია ვაემართოთ სომხის მწერლებთან: გარნა უპასუხოთ არ გვინდა დაეტოვოთ ეგვიპტე უსაფუძვლო და ცრუ აზრები, რომელიც კადნიერად გამოაქვეყნეს ქართველ კათოლიკობის წინააღმდეგ“.

თული თარგმანით გამომიგზავნეთ. რადგან ვიცი კარგა ჩემს წიგნში მოყვანილი ზოგიერთი საგანი სომხებს არ იამებათ.

დიდად ვწუხვარ მანდ ხორელის გაჩენაზე. ვთხოვ უფალს, რომ მალე მოსპოს ეს საშინელი სენი საქართველოდამ.

გთხოვ ნუ დამივიწყებთ და ხშირად მამწერეთ ხოლმე.

დავშთები მარად თქვენი პატივისცემული მღ. მიხეილ თამარატი.

14 აგვისტო, 1910. რომში.  
Muzio Clementi, 70

გთხოვთ მოკლედ აღწერილი გამომიგზავნოთ საქართველოს ის ჩვეულობა, რომელიც სხვადასხვა პროვინციებში ჰგიებს წვიმის მოყვანისათვის, ესე იგი როცა უწვიმრობა არის: ახალციხისკენ შეკაზმულ ლაზარეს ჩამოატარებენ რომელიმე სიტყვების თქმით და ყველა სახლის კარს წყალს შეასხამენ, ამის გაზეთში დაბეჭვდას მთხოვენ. — ვგონებ, სარდინიაშიც ამის მსგავსი ჩვეულობა ჰქონიათ. გთხოვ ყველა სიტყვებს კარგად იყოს აღწერილი.

დიდად პატივცემულო ბ-ნ სიმონ.<sup>1</sup>

მივიღე თქვენი წიგნი „საქართველოს ისტორია“,<sup>2</sup> რომელიც კეთილ ინებეთ და მიძღვნით. უგულითადეს მადლობას მოგახსენებ ესრეთი თქვენი პატივისცემისათვის.

გულახდილად მოგახსენებ, ძლიერ მომეწონა ეს თქვენი წიგნი, რომელიც სწორედ ზედ მისწრება არის. დღეის იქით ამ წიგნის წყალობით ერთ პატარა ქართველს ეცოდინება დაბეჯითებით თავის სამშობლო წარსული, რაც აქამდინ თვით შეგნებულ, მოხუცებულ ქართველთათვისაც — კი მიუწვდომელი და უცნობი იყო, რადგან ჩვენი ისტორიისა სხვა არა იცოდნენ თუ არ ის, რაც ზოგიერთ ზღაპრებთან ერთად გაეგონათ რომელიმე ფაქტი, ისიც ბევრნაირად დამახინჯებული. მომეწონა ეგრეთვე სტილიც, რომელიც მეტად მშვენიერი, ნათლოანი და ადვილი გასაგებია.

არ ვიცი, როგორ მიეგებება ჩვენი შეუგნებელი და დაუდევარი ქართველი საზოგადოება, მე კი დიდად ვაფასებ ამ თქვენ შრომას, რადგან დარწმუნებული ვარ, ამისთანა წიგნმა კარგი სარგებლობა მოუტანოს საქართველოს შვილებს. ცხადია, უკვე გაცნობილი გექმნებათ ჩემი ახალი შრომა ფრანგულად „L' Eglise Georgienne.“ თავის ქებას დაჩვეული არა ვარ, მოგახსენებ მარტივ ფაქტს: აქეთ ვინც-კი მიცნობდა და ვინც კი ნახა ეს ჩემი შრომა, ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ და

<sup>1</sup> ქვარიანი, სიმონ ალექსის ძე (1868—1946 წწ.), მწერალი და საზოგადო მოღვაწე.  
<sup>2</sup> „საქართველოს ისტორია“ შემოკლებული კურსი, ქუთაისი, 1910 წ.

ბევრისგანაც მივიღე ქების და მადლობის წერილები. ეგრეთვე ბევრ ურნალ-გაზეთებმა შესანიშნავი სტატიები მიუძღვნეს ამ ჩემს შრომას. დღემდინ ოცამდინ მაქვს სხვა და სხვა ქალაქების ურნალ-გაზეთები შეკრებილი ამ საგანზე. თუმცა კიდევ სხვა ბევრ გაზეთმა ილაპარაკა, გარნა მე ჯერ არ შემიტყვია ესენი თუ რომლები არიან, ხოლო მე აქამდინ არ ვიცი თუ როგორ დააფასა ქართველ საზოგადოებამ ეს ჩემი შრომა, რომელმაც დიდი ხარჯი მომიზედა. ეს-კი ცხადია, დღემდინ საქართველოდამ ერთი კაპეციც არ მიმიღია ამის ხარჯისათვის: ფულს რას ვამბობ, თვით ცარიელი წერილიც კი არ მომსვლია. უფრო საკვირველი ეს არის, რომ ქართულ გაზეთებს დღემდინ ხმა არ ამოუღიათ ჩემი წიგნის შესახებ. თუმცა მათი ვალი იყო, სხვა გაზეთებზე წინ მათ გამოეჭყეყნებინათ ესა. ქართველ საზოგადოების ესრეთი განუჩევლობა მეტად სამწუხაროა, არ ვიცი, ესრეთი შეუსაბამო ფაქტის შემდგომ კაცს რაღა გული ექმნება, რომ კიდევ საქართველოს სასარგებლო იშრომოს? რაცა!

დავშთები მარად თქვენი პატივისმცემელი მღ. მ ი ხ ე ლ თ ა მ ა -  
რ ა თ ი.

25 იანვარს 1911. რომი.  
Muzio Clementi, 70

### დიდად პატივცემულო ზაქარია

„სახალხო გაზეთის“<sup>1</sup> 258 ნომერში წაეკითხე, რომ დაბეჭდილა იოვანნე ბოლნელ ეპისკოპოსის „ქადაგებანი“, გთხოვთ ერთი ეგზემპლარი გამომიგზავნოთ ჩემთვის.<sup>2</sup>

ბუხარესტის (რუმენიაში) აკადემიაში მოითხოვეს ჩემი ფრანგული წიგნი. რა ნახეს, ძლიერ მოეწონათ და დიდი თანაგრძნობა გამოამიცხადეს ამასთანავე აღმიწერეს ის გარემოება, რომელიც შეეხება ქართველ ანთიმოს მღვდელ-მონაზონს.<sup>3</sup> ეს იქ მისულა 1691 წ., დაუარსებია მო-

<sup>1</sup> „სახალხო გაზეთი“ — გამოდიოდა თბილისში 1909—1914 წლებში, სოციალ-დემოკრატიკების ორგანო.

<sup>2</sup> მ. თამარაშვილი გულისხმობს თბილისის საეკლესიო მუზეუმის მიერ 1911 წელს გამოცემული „იოანე ბოლნელის „ქადაგებანი“. უნგრეთლახელის მიერ ტფილისში გამოცემული ქართული წიგნები: 1709 წ. „სახარება“ და „დავითნი“; 1710 წ. „კონდაკი“ და „ქმინი“.

<sup>3</sup> ანთიმოზ მღვდელ მონაზონი — ერისკაცობაში ანდრია (დაახლოებით 1650—1716 წწ.), რუმინეთის საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, განმანათლებელი, მესტამბე, მწერალი, მხატვარი. ელახეთის მიტროპოლიტი. წარმოშობით ქართველი. მთელი თავისი შემოქმედება მიუძღვნა რუმინეთის ეროვნული კულტურის აღორ-



ნასტრები და დიდი მოღვაწეობა დაუდვია იქაურებისათვის. ამ ანთის მოსის ორი ქადაგების წიგნი დარჩენილა, რომლებიც შეადგენდნენ რუმელების საუკეთესო ლიტერატურას. ამის მოთავობით ყოფილა, რომ თბილისში მიხელ სტეფანეს ძე, უნგარელ-რომაელი, მისულა და 1709 ტიპოგრაფია დაუარსებია. ამ დროს დაბეჭდილა ერთი ქართული სახარება და ერთიც ლიტურდიის წიგნი. სახარების ერთი ეგზემპლიარი ჰქონიათ, ხოლო მეორე ლიტურდიის წიგნი — კი არა. ახლა მთხოვენ და მეხვეწებიან, რომ ეს მაშინდელი დაბეჭდილი ლიტურდიის წიგნი მოვეუშოვნო, მზათ არიან საჭირო ფასი გადაიხადონ. მეც ამას თქვენ გთხოვ თუ შესაძლებელია, მომიპოვოთ ეს ლიტურდიის წიგნი და გამომიგზავნოთ. მე მაშინათვე გაახლებ, რასაც დამახარჯამთ. აი ერთი მაგალითი მამულისათვის მშრომელებისა, არაფერს ზოგამენ, ოღონდ თავიანთი სამშობლოს სასარგებლო რამე შეიძინონ. ხოლო ჩვენი დლოცვილი ქართველები კი ყველაფერში უკან ჩამორჩენილნი არიან და სრულობით ხელს არ უწყობენ იმათ, რომლებიც სამშობლოსათვის თავგანწირულად შრომობენ.

მოგილოცავ წმ. აღდგომას და ვისურვი თქვენთვის ყველა სიკეთეს.

მოველი თქვენს სასიამოვნო პასუხს. მარად პატივისმცემელი მღ. მიხელ თამარათი.

13 აპრილი 1911. რიში.

ძინების საქმეს. დიდი ღვაწლი აქვს შეტანილი რუმინული ლიტერატურული ენის განვითარებასა და წიგნის ბეჭდვის საქმეში. მის მიერ დაარსებულ სტამბაში (ბუქარესტში, სნაგოვის მონასტერში, რიშნიკში, ტირგოვიშტეტში) მისივე ხელმძღვანელობით იბეჭდება წიგნები რუმინულ, ბერძნულ, ძვ. სლავურ, არაბულ ენებზე. მის სახელთანაა დაკავშირებული რუმინეთის ღვთისმეტყველებაში რუმინული ენის დამკვიდრება. აქვს რამდენიმე ორიგინალური თხზულება, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქადაგებანი“. ანთიმოზ ივერიელი თვითვე ამკობდა ილუსტრაციებითა და მინიატურებით მის მიერ გამოცემულ წიგნებს. მაგ., 1693 წელს გამოცემულია „სახარება“.



გრიგოლ ცაცხლაძე

## მოგონებები

პოეტისა და მთარგმნელის გრ. ცეცხლაძის საინტერესო, ბევრის მოქმელი მოგონებების გაცნობისას რწმუნდები ავტორის გულწრფელობაში და გრძნობ, რა სიყვარულით, განცდილთ და შთაგონებით იგონებს „აღრე წასული“ პოეტების — ტიციანისა და პაოლოს — პოეტურ ცხოვრებას, გადმოგვეცემს მათ განწყობილებებს და განცდებს. იგონებს იმათ სახელებსაც, ვინც ღირსია არდავიწყების. მოგონებებს ძალუძთ დააფიქრონ მკითხველი.

გურამ ვანიძე

## პ ა ო ლ ო ი ა შ ვ ი ლ ი

პაოლო იაშვილი, როგორც პოეტი, გავიცანი ეურნალ „ოქროს ვერძში“ მოთავსებულ იგორ სევერიანინის ლექსის „გაზაფხულის დღის“ მისი თარგმანით. ის ლექსი და თარგმანიც მე ძალიან მომწონდა. მახსოვს აკვიატებული მქონდა და ხშირად ზეპირად ვიმეორებდი განსაკუთრებით მის ბოლო სტრიქონებს:

... „მაშ ბალახო, აბიბინდი...  
გამოიღე ხმა მუნხარო,  
ვკილო, შენც გამოისხი  
ყვავილები სანეტარო,  
კურთხეულ დღეს სული ხარობს,  
გრძნობა ტრფობით დამთვრალია  
დამნაშავე დღეს არ არის,  
დღეს სუყველა მართალია“.

„ცისფერი ყანწების“ გამოსვლის შემდეგ გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად იაშვილი მიმაჩნდა ახალ პოეტებში ყველაზე უკეთეს პოეტად, მისი ლექსები ზეპირად ვიცოდი.

პაოლო იაშვილი პირადად გამაცნო ჩემმა სკოლის ამხანაგმა კოკი ებრალიძემ. ებრალიძე იყო დარდიმანდი ახალგაზრდა, პატარ-პატარა ლექსებსაც ბეჭდავდა ეურნალ-გაზეთებში, იყო კარგი მონადირე და ქეიფის მოყვარული, ქალების ტრფიალითაც ზედმიწევნით გართული. ამ მაჩვენებლების ნიადაგზე დამეგობრებული იყო პაოლო იაშვილთან.

მე იმ დროს ვიყავი გაზეთ „მეგობრის“ თანამშრომელი, რეპორტი-ტიორი, პოეტობას არ ვაქვალავნებდი, თუმცა ლექსებს ბავშვობიდან ვწერდი და მაშინ რამდენიმე ლექსი უკვე მქონდა დაბეჭდილი ფსევდონიმით.

მიუხედავად იმისა, რომ „ცისფერ ყანწებს“ და პირადად პ. იაშვილის შემოქმედებას დიდად თანავუგრძნობდი, ისე მოხდა, რომ პაოლოს მე მაინც ვაწყენინე.

ეს გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: პაოლო იაშვილმა ელენე დარიანის ფსევდონიმით გაზეთ „მეგობარში“ გამოაქვეყნა რამდენიმე ლექსი, რამაც სკანდალური გავლენა მოახდინა მაშინდელ მკითხველ საზოგადოებაზე. ის ლექსები ამორალურად მიიჩნეეს.

მე მაშინ სოციალ-ფედერალისტებს თანავუგრძნობდი, მათთან ვთანამშრომლობდი, მათთან მახლოვებდა ეროვნული საკითხი და არჩილ ჯორჯაძის ნაწერებით გატაცება. როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, სხვა სოციალურ საკითხებზე მათი შეხედულება უკვე აღარ მაინტერესებდა და 1917 წლის დამლევს ჩამოვშორდი მათ და აღარც სხვა პარტიას აღარ დავახლოვებივარ. მაგრამ იმ დროს კი თავ-გამოდებული ვიყავი ფედერალისტების ორგანოს „სიწმინდისათვის“.

მე გაზეთ „მეგობრის“ სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე გამოვედი განცხადებით, რომ, თუმცა ელენე დარიანის ლექსები მე პირადად არ მიმაჩნია დიდ ამორალურ მოვლენად, მაგრამ მას მოწინააღმდეგე პარტიები იყენებენ სოციალ-ფედერალისტების პარტიის სახელის გასატეხად და ამიტომ ეს ლექსები არ უნდა იბეჭდებოდეს ჩვენს გაზეთში-მეთქი.

თუმცა სარედაქციო კოლეგიის წევრები შოთა დადიანი და გრიგოლ ლალიძე პაოლო იაშვილის განუყრელი მეგობრები იყვნენ, თაყვანისმცემლები იყვნენ „ცისფერი ყანწების“ და ჩემი წინადადების წინააღმდეგ გამოვიდნენ, მაგრამ გაზეთის კოლეგიამ მაინც მიიღო ჩემი წინადადება — აღარ დაბეჭდათ ელენე დარიანის ლექსები.

ამის შემდეგ მალე ქუთაისში ამოვიდა კოკი ებრალიძე. ებრალიძეებს ახალმოგებული მქონდათ ხაზინასთან სადაო ტყე. კოკის გაეყიდა მოგებული ტყის ნაწილი, აღებული ფულით კარგი კოსტუმები იყიდა, ოჯახის ავეჯიც შეიძინა და ქეიფიც მოაწყო რესტორანში. ქეიფში პაოლო იაშვილი და მეც ვიყავით მიწვეულნი.

როცა პაოლოს სადღეგრძელო დაილია, მე ავდექი, ზეპირად წარმოვსთქვი მისი ლექსები და ელენე დარიანის ერთი ლექსიც. პაოლოს გაეხარდა, გადამკოცნა და მერე მითხრა, თუ ასე აფასებ ჩემს ლექსებს, როგორ მოხდა, რომ გაზეთ „მეგობარში“ ელენე დარიანის ლექსების დაბეჭდვის წინააღმდეგი გამოსულხარო.

მე განვუმარტე — თუმცა პირადად მე ძალიან მომწონს ელენე და-

რიანის ლექსები, როგორც ხელავ, ზეპირადაც ვიცი, მაგრამ გაზეთის ინტერესებს მაღლა ვაყენებ. ის ლექსები გაზეთის სახელს უტეხენ მასე-ბის თვალში, მოწინააღმდეგე პარტიები მათ იყენებენ გაზეთის გასა-ბიანბრებლად და ამიტომ ვიყავი გაზეთში მათი დაბეჭდვის წინააღ-მდეგე-მეთქი. ჩემმა განმარტებებმა ის ვერ დააკმაყოფილა, მაგრამ მაინც არ დამძღურობია.

1917 წლის პირველი იანვრის ნომერში გაზეთ „მეგობარში“ პირ-ველ გვერდზე დაიბეჭდა ლექსები. ლექსების განყოფილება იწყებოდა ჩემი ლექსით, თუმცა იქ დაბეჭდილი იყვნენ მაშინ უკვე საკმაოდ ცნო-ბილი პოეტები, ცვარ-ნამი, ივ. ყიფიანი და სხვები.

იმ ლექსით პირველად წარვსდექი, როგორც პოეტი, სრული სახე-ლის და გვარის მოწერით საზოგადოების წინაშე.

პაოლო იაშვილმა ლექსი მომიწონა და მითხრა, გატყობდი, რომ ლექსებს წერდი, მაგრამ მიკვირს, როგორ იკავებდი თავს და არ გვი-მელაგნებდიო.

ის ლექსი თვით სილოვან ხუნდაძემაც მომიწონა, რომელიც მაინც-დამაინც არ სწყალობდა ახალ პოეტებს. მითხრა, კარგი ლექსით გაგი-ნსნია ახალი პოეტების სეზონი, რატომ ამდენ ხანს საიდუმლოდ ინახავდი შენს პოეტობასო.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებშივე მე ამირჩიეს ქუთაისის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრად.

მე და პაოლო ხშირად გამოვდიოდით ერთად მიტინგებზე და ლიტე-რატურულ საღამოებზე.

მახსოვს აჯამეთში, ანანოვის მამულში, მიტინგზე ერთად გამოვედიო. პაოლომ საზეიმო სიტყვა წარმოსთქვა და ექსპრომტული ლექსით დაამ-თავრა, ხალხს დიდად მოეწონა მისი გამოსვლა. შემდეგ სიტყვა თქვა მენშევიკების წარმომადგენელმა ლეო რუხაძემ. მან ვრცლად ილაპარა-კა რევოლუციის წინაშე მენშევიკების დამსახურებაზე და მოუწოდა დამსწრეებს ყოფილიყვნენ მენშევიკური პარტიის ერთგულნი.

შემდეგ გამოვედი მე. ვილაპარაკე საერთოდ რევოლუციის გამარჯ-ვებაზე, ხალხის მოღალატე გენერლებზე, მიწის საკითხზე, ლოზუნგებით „მიწა მიწის მუშას“, მერე გადავედი ეროვნულ საკითხზე, მახსოვს დი-დი ენთუზიაზმით და საკმაოდ პრიმიტიულად ვლაპარაკობდი.

თვითმპყრობელობის უღლის ქვეშ მყოფი რუსეთის იმპერიის ხალ-ხი შევადარე ბორკილდადებულ ტუსალებს, რომელთაც ზოგს ბორკილი დადებული ჰქონდათ მარტო ფეხებზე და ზოგს კი ფეხებზედაც და ხელებზედაც. რევოლუციამ ციხის კარები გააღო, ფეხის ბორკილები ყველას შეხსნა, რუსი ხალხი სავსებით თავისუფალია, მაგრამ თვით-მპყრობელობის მონობაში მყოფ პატარა ერებს ხელებზე ისევ შერჩათ ბორკილები, საჭიროა ამ ბორკილების დამსხვრევაც, საჭიროა ყველა ერს მიეცეს უფლება თავიანთი ქვეყანა თვითონ მართონ, ქართველებმაც

თავის ენაზე მიიღონ სწავლა-განათლება. დაწესებულებებშიც ქართული ენა უნდა იყოს გამეფებული.

ამ დროს ლეო რუხაძემ რალაც გადაუჩურჩულა ორ კაცს, ისინი შეერივნენ ხალხს და რეპლიკებით დაიწყეს ჩემთვის ხელის შეშლა. საქმეში პაოლო ჩაერია, კრების თავმჯდომარეს მოსთხოვა ხალხი დაეჩუმებია, მივარდა რუხაძეს და დავა დაუწყო. მე ჩოჩქოლში მაინც განვაგრძობდი ლაპარაკს, მაგრამ როცა განვაცხადე, ავტონომია უნდა მოვითხოვოთ-მეთქი, რუხაძის მიერ გაფრთხილებული პირები აყვირდნენ და სხვებიც აიყოლიეს: „არ გვინდა ავტონომიაო“. გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც მე დამიჭირეს მხარი: ეს ყმაწვილი ყველაფერს კარგად ლაპარაკობს, დააცალეთ ილაპარაკოსო. თუმცა ხალხის დაწყნარება აღარ მოხერხდა, მე მაინც ჩემი სიტყვა დავამთავრე და ჩამოვედი ტრიბუნიდან.

ჩემს შემდეგ სალაპარაკოდ გავიდა ნაციონალ-დემოკრატების წარმომადგენელი, იმას კიდევ უფრო უშლიდნენ ხელს და სიტყვა მალე დაამთავრა.

იმავე წელს პირველ მაისს პაოლო და მე საჩხერეში წავედით მიტინგის ჩასატარებლად. პაოლომ ილაპარაკა ეროვნულ საკითხებზე, მხოლოდ სიტყვა ავტონომია, არ უხსენებია. მე უმთავრესად მიწის საკითხზე ვილაპარაკე, ლოზუნგით: „მიწა მიწის მუშას“. იქ მენშევიკებს ჩვენთვის ობსტრუქცია არ მოუწყვიათ, მიტინგი მშვიდობიანად ჩატარდა.

მიტინგის შემდეგ პაოლო და მე თავადმა ფრიდონ წერეთელმა დაგვპატიყა სადილად. სანამ სუფრა გაიშლებოდა, მასპინძელმა პაოლო და მე ცალკე გავვიხმო და გვეითხა, ჩვენი პარტია (ე. ი. სოციალ-ფედერალისტები), როგორც თქვენ ილაპარაკეთ, მართლა თუ მოითხოვს, რომ შემამუღლებს უსასყიდლოდ ჩამოერთვას მიწებიო. პაოლომ უთხრა, ეს პროგრამაში კი სწერია, მაგრამ მის განხორციელებამდე ბევრი დრო გავაო და ამით დაამშვიდა.

1917 წლის შემოდგომაზე გამოვიდა აღმანახი „აისი“. აღმანახის გამოცემის მოთავეები და ძირითადი მონაწილეები ვიყავით: ლადო მაჭავარიანი, მე, რაქდენ გვეტაძე, შალვა კარმელი, გრიგოლ მეგრელი-შვილი (მთის ნიაგი).

აღმანახში მონაწილეობდნენ აგრეთვე ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ი. გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე და სხვები.

აღმანახის სათაური ჩემი გამონახული იყო. სიტყვა „აისი“ პირველად მე შემოვიტანე მწერლობაში, მე იგი ვინმარე ზემოთ დასახელებულ 1917 წლის პირველ იანვრის ნომერ გავზეთ „მეგობარში“ მოთავსებულ ლექსში. აღმანახის რედაქტორები უნდა ეყოფილიყავით ლადო მაჭავარიანი და მე. მაგრამ მე მაშინ სულ ოთხი-ხუთი ლექსი მქონდა

გამოქვეყნებული, მეუხერხულა თავი რედაქტორად გამომცხადებდა და რედაქტორად დარჩა ლადო მაქავარიანი.

„აისი“ საზოგადოებამ მიიღო, როგორც „ცისფერი ყანწების“ ლიტერატურული მიმართულების მიმდევარი. „ცისფერი ყანწლები“ აღმანახს გულთბილად მიესალმნენ. მენშევიკური გაზეთები და ნაციონალ-დემოკრატიული გაზეთი „სამშობლო“ და აგრეთვე „ქალთა ხმა“, რომელიც კატო მიქელაძის რედაქტორობით გამოდიოდა ქუთაისში, აღმანახის გამოსვლას უარყოფითად აფასებდნენ.

აღმანახი რომ გამოვიდა, იმ ხანებში პაოლო იაშვილი ქუთაისში არ იმყოფებოდა, როცა ჩამოვიდა, გულთბილად მოგვესალმა და მე, რაჟდენ გვეტაძე, შალვა კარმელი და გრიგოლ მეგრელიშვილი განსაკუთრებით შეგვაქო და ყანწელების უმცროს თაობად ჩაგვთვალა.

1918 წლის აპრილამდე, თურქეთის მიერ ბათუმის დაპყრობამდე, პაოლოც და მეც ქუთაისში ვიყავით. პაოლოს მეთაურობით ხშირად იმართებოდა ლიტერატურული გამოსვლები, როგორც ქუთაისში, ისე ზესტაფონში და ჭიათურაში, რომლებშიაც მონაწილეობდნენ: ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ივ. ყიფიანი, რაჟდენ გვეტაძე, შალვა კარმელი, გრ. მეგრელიშვილი და მე. ჩვენს საღამოებზე სიტყვებით გამოდიოდნენ აგრეთვე შოთა დადიანი და გ. ლალიძე.

თუმცა იმ დროს ქუთაისში ჩვენზე უფრო ცნობილი პოეტებიც იყვნენ, მაგრამ მათ პაოლო არ იწვევდა თავის საღამოებში.

1918 წლის აპრილის შემდეგ მე ჯარში გამიწვიეს, ვიყავი თურქების წინააღმდეგ მებრძოლ ნაწილში. ჩვენი ჯარი იდგა ნატანებში. გრ. მეგრელიშვილი იბრძოდა თურქების წინააღმდეგ ახალციხის ფრონტზე, სადაც ის დაიღუპა 1919 წელს, როგორც სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი.

1919 წლის ბოლოს მე ჯარიდან გამათავისუფლეს და საცხოვრებლად გადმოვედი თბილისში. პაოლო იაშვილი ხან თბილისში იყო და ხან ქუთაისში. ქუთაისის მენშევიკურმა აღმინისტრაციამ მას მიუხაჯა ქუთაისიდან გასახლება, როგორც პოეტების ბოჰემების გამოსვლების მეთაურს.

ქუთაისში მაშინ დარჩენილნი იყვნენ: ვ. გაფრინდაშვილი, ალ. ცი-რეკიძე, კოლაუ ნადირაძე და სხვები. ყანწელები იქ სცემდნენ ჟურნალებს „მეოცნებე ნიამორები“ და „შვილდოსანი“. იმ ჟურნალებში არა-ყანწელებიდან მეც ვიყავი თანამშრომლად გამოცხადებული.

1919 წლის ბოლოს თბილისში ჩემი რედაქტორობით გამოვიდა ორი ნომერი აღმანახის „თოლაბულისის სარტყელი“. სახელმოხვეჭილი პოეტებიდან აღმანახში მხოლოდ ვალაკტიონ ტაბიძე მონაწილეობდა, სხვები ახალგაზრდები იყვნენ. აღმანახში მოთავსებული იყო ლადო გუდიაშვილის და დავით კაკაბაძის ნახატები. მე იმ დროს პრეტენზია მქონდა ახალი ლიტერატურული დაჯგუფება შემექმნა, რაც თავისთა-

ვად „ყანწელებთან“ დაპირისპირება გამოდიოდა, მაგრამ არც პაოლოსთან და არც სხვა ყანწელებთან მეგობრული ურთიერთობა არ გამიწყვეტია და მათთან ერთად ვიბეჭდებოდი ჟურნალ-გაზეთებშიც და ლიტერატურულ საღამოებშიაც მათთან ერთად ვიღებდი მონაწილეობას.

მე და პაოლო თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს: ქართულ კლუბში საქველმოქმედო საზოგადოების კაფეში „კაფე დარბაზში“, „ფუტურისტულ კაბაჩოკში“ (ამ კაბაჩოკზე ცალკე შექნება ლაპარაკი), თეატრებში, „ქიმერიონში“.

პაოლო ყველგან დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ის ყველგან აფრქვევდა თავისი ექსპრომტების მაშხალებს.

ერთმა ექსპრომტმა კინალამ იმსხვერპლა. ქიმერიონში კაბაჩე იყო გამართული, რომელსაც პაოლო მეთაურობდა და წამდაუწყუმ ისროდა ექსპრომტებს, რაც დამსწრეთა შორის დიდ ენთუზიაზმს იწვევდა. ამ დროს რესტორანში შემოვიდა დიდი ზორბა ვაყკაცი, პოლკოვნიკი მუხრანსკი. ის სხვა ოფიცრებთან ერთად ცალკე სუფრაზე მოეწყო. პაოლომ გაიგო, რომ ის იყო დენიკინის ყოფილი ოფიცერი და ხელად ექსპრომტი ესროლა:

«Поступок дерзкий,  
Поступок хамский,  
У Деникина служил  
Князь Мухранский».

მუხრანსკიმ ხმალზე ხელი წაივლო, მაგრამ საქმეში ჩაერიენ პაოლოს მეგობრები, სიმამაცით განთქმული ქართველი ოფიცრები, როგორც იყო ცაგურია და სხვები და პოლკოვნიკმა მუხრანსკიმ ხმლის ამოღება ვეღარ მოახერხა.

1920 წელს მე ისევ გამიწვიეს მენშევიკურ ჯარში და 1921 წელს, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ვიყავი ნაწილში, რომელიც იცავდა ბათუმს თურქებისაგან.

იმავე წლის მარტში ჯარიდან გამათავისუფლეს, ცოტა ხანს, სულ რამდენიმე დღით, გურიაში გამოვიარე მამაჩემთან და მალე დავბრუნდი თბილისში.

თბილისში ბინა და პირადი ნივთები ხელუხლებელი დამხვდა, რადგან მე ვცხოვრობდი ჩემს უახლოეს მეგობართან ერთად ალ. ლორდერთან. მე რომ დავბრუნდი ის მალე ფოთში გადავიდა საცხოვრებლად.

თბილისში დაბრუნებისთანავე, რალა თქმა უნდა, ვეწვიე ხელოვნების სასახლეს (მაშინ ასე ეძახდნენ, მერე მწერალთა სასახლე დაერქვა) მაჩაბლის ქუჩაზე.

ხოშტარიას ყოფილი სახლი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მთავრობამ გადასცა მწერლებსა და კომპოზიტორებს.

სასახლე მთელი თავისი ქონებით პაოლო იაშვილს ჩაებარებია. სა-

სახლეში დროებით ბინად შესახლებულიყვნენ: პაოლო იაშვილი, ტიცციან ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, ნ. მიწიშვილი, კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე და სხვები აღარ მახსოვს.

როცა მე დავბრუნდი, ხოშტარიას საკუჭნაოში ჯერ კიდევ იყო დარჩენილი შამპანური, კონიაკი, სხვადასხვა მარკის ლენო, ყავა, კაკაო, შაქარი, რასაც მწერლები ნელ-ნელა შეექცეოდნენ, ცოტაოდენი მეც მხვდა.

სასახლეში თითქმის ყოველდღე იმართებოდა სხვადასხვა ლიტერატურული დაჯგუფებების კრებები, მოხსენებები და ლიტერატურული საღამოები.

როგორც ცნობილია, 1921 წელს თებერვალში, როცა მენშევიკებმა დატოვეს თბილისი, პაოლო იაშვილი შეეგება წითელი არმიის მოწინავე ნაწილებს და ბოლშევიკებს გადააბარა ქალაქი ფორმალურად და რევოლუციის და საბჭოთა წყობილების პირველ თანამგზავრიც ის იყო, მეც თანამგზავრი გავხდი.

პირადად ჩემს საბჭოთა ხელისუფლებისადმი მიმხრობას თუ არ მიმხრობას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა და არც დავიწყებდი ამაზე ლაპარაკს, მაგრამ მე ვიყავი ერთი მრავალთაგანი, ასე ვთქვათ, ტიპიური.

მწერლები დაყოფილნი იყვნენ თანამგზავრებად. მწერალთა შორის ძალიან მცირე ნაწილი იყო, რომელნიც აშკარა მტრულ განწყობილებას ამჟღავნებდნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი, დანარჩენ მწერლებს შორის დიდი განსხვავება საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში არ იყო და თანამგზავრთა რიცხვი დღითი დღე მრავლდებოდა. თუშცა „თანამგზავრი“ ჯერ კიდევ მთლიანად არ იზიარებდა ბოლშევიკურ მსოფლმხედველობას.

ამის დასახასიათებლად გამოდგება ლეო ქიაჩელის ერთი ხუმრობა (ამის გამომჟღავნება ესხლა საშიში აღარ არის). ივ. ყიფიანის ფანტასტიურ მოთხრობა „ამონში“ ერთ-ერთი გმირი გამოიგონებს ისეთ ბეჭედს, მიაშუქებ თუ არა კაცს, მაშინვე გაიგებ, რას ფიქრობს გულში. როცა ამ მოთხრობის საჯარო განხილვის შემდეგ შინ ვბრუნდებოდით, გზაში ლეო ქიაჩელმა იხუმრა: მართლა რომ გამოიგონონ ასეთი ბეჭედი, მერე „თანამგზავრების“ ცხოვრება არაფერად არ ელირებაო.

ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ შემდეგ მათი უდიდესი ნაწილი გულწრფელად მიემხრო საბჭოთა ხელისუფლებას და ერთგულად ჩაება სოციალიზმის მშენებლობაში. ერთი იმათაგანი პაოლო იაშვილიც იყო. ის თავისი შემოქმედებით და პრაქტიკული მოღვაწეობით საბჭოთა ხელისუფლებას მხარში ედგა. უმაღლესი ორგანოების დებუტატადაც იყო არჩეული.

მე აპრილშივე დავიწყე მუშაობა განათლების კომისარიატში, პოლიტიკური განათლების განყოფილებაში (პოლიტპროსვეტში), ვიყავი



ყოცხალი გაზეთის რედაქტორი, რომელიც იკითხებოდა ავტორ მწე-  
რალთა მონაწილეობით მუშათა კლუბებში და სხვადასხვა დაწესებუ-  
ლებების მუშაკთა შორის. სანდრო ეულთან ერთად შევადგინე პირვე-  
ლი საპირველმისო ჟურნალი. შიგ მოთავსებული იყო ჩემი საკუთარი  
ლექსი და მრავალი თარგმანი.

მალე „ცისფერი ყანწების“ ჯგუფი შეივსო ახალი წევრებით: გიორგი  
ლეონიძე, შალვა აფხაიძე, რაჟდენ გვეტაძე, შალვა კარმელი, ნ. მი-  
წიშვილი, ს. კლდიაშვილი და სხვები. მე როგორც ზემოთ აღვნიშნე,  
„ცისფერ ყანწელბთან“ მკიდრო მეგობრობა მქონდა და ჩემი შემო-  
ქმედებით ყველა ახალ მიღებულ წევრზე უფრო ახლოს ვიყავი მათთან,  
ვთანამშრომლობდი ყანწელების ლიტერატურულ ორგანოებში, ვმონა-  
წილეობდი მათთან ერთად ლიტერატურულ საღამოებში, მაგრამ ჯგუფ-  
ში არ შევსულვარ და მაინცაღამაინც არც ისინი არ მეპატიებოდნენ.  
ამის მიზეზი ის იყო, რომ ყველაფერში არ ვიზიარებდი მათ შეხედუ-  
ლებას. ხშირად სხვა პოზიციას ვიკავედი, ვინემ ისინი.

1927 წელს ჩემი რედაქტორობით გამოვიდა ალმანახი „მოქმედე-  
ბა“, რომლითაც საცესებით გავემიჯნე ყველა ლიტერატურულ დაჯგუ-  
ფებას: „აკადემიურს“, „არიფიონს“, „ცისფერ ყანწებს“, ფუტურის-  
ტებს, პროლეტარულ მწერლებს. ალმანახში დაიბეჭდა ყველა ამათი  
უარყოფითი კრიტიკა. მე კიდევ ვცადე საკუთარი დაჯგუფების შექმნა,  
რის პირობებიც, რა თქმა უნდა, აღარ იყო და ამოდ დავშვრი.

ცნობილია, რომ პაოლო იაშვილი მოსწრებული სიტყვის პატრონი  
იყო, მაგრამ ერთხელ გურულებმა ოდნავ, მაგრამ მაინც დააბნიეს.

1929 წელს, ზამთარში, გურიაში თავის სახლში ქ. მახარაძეში მწე-  
რლები სტუმრად მიგვიწვია აპოლონ წულაძემ (ის იყო რევოლუციუ-  
რი წარსულის მქონე კაცი, მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის წინა-  
აღმდეგ ბრძოლის აქტიური მონაწილე, შესანიშნავი ენამახვილი მოსაუბ-  
რე, თავის დროს ითვლებოდა იუმორისტული ჟურნალის „ემშაკის  
მთარახის“ მუდმივ თანამშრომლად, მისდევდა მეფუტკრეობას — ჰქონ-  
და წიგნი მეფუტკრეობაზე).

თბილისიდან მიწვეული ვიყავით 25 კაცამდე, მათ შორის: ნინო  
ნაკაშიძე, ლეო ქიაჩელი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ნ. მიწიშვი-  
ლი, მხატვარი ლადო გუდიაშვილი, მე და სხვები.

მახარაძეში დილით ჩამოვედით. გურიის მთა-ველები თოვლით იყო  
დაფარული.

სუფრა გაშლილი დაგვხვდა. თამადად მასპინძელი დაგვიდგა, გურუ-  
ლი სანთლის არაყი და ჩხავერის ღვინო მოგვართვეს, ძალიან გვესი-  
მოვნა, მაგრამ ბევრი მაინც არავის დაუღევია, აპოლონმაც გამოაცხადა:  
ახლა ღვინოს არ გაძალებთ, ვისაც რამდენი ენებოს, იმდენი მიირთვას,  
დაძალება საღამოს, ძირითად ნადიმზე იქნებაო.

სუფრიდან რომ ავდექით, ყველანი მეზობლებში გაგვანაწილეს



მოსასვენებლად. მე და ლეო ქიაჩელი ერთ ოჯახში მოვხვდით, ახალგაზრდა, ლამაზი, ჩასუქებული, შავთვალწარბა დიასახლისი გულლიად შეგვხვდა; უხაროდა მწერლების სტუმრობა, ხალისით გვემსახურებოდა. გვითხრა: მე თქვენ შორიდან გიცნობთ, თბილისში ნახული მყავხართო, „ტარიელ გოლუაც“ წაკითხული მაქვსო. ლეოს ის თავიდანვე თვალში მოუვიდა, ესიამოვნა, რომ მისი თაყვანისმცემელი აღმოჩნდა. ამის შემდეგ ქალი კიდევ უფრო ტურფად ეჩვენა და ხანგრძლივი საუბარი გაუბა.

ლეომ სალამოს ადრე გამოიღვიძა, მეც გამაღვიძა და მითხრა, ქალაქში გავიაროთ, მხოლოდ ჩვენ ორნი წავიდეთ, ბევრი ხალხი არ მინდაო. მე წავყვევი და არტემ კვირიკაძესთანაც შევიარეთ, რომელიც მაშინ მახარაძის რაიკომის მდივანი იყო. აპოლონ წულაძესთან ისიც იყო დაპატიჟებული, მაგრამ გვითხრა, ვერ წამოვალ, მწერლები ახირებული ხალხია და ვინ იცის, რომ დათვრებიან, იქნებ უხერხულ მდგომარეობაში ჩამყენონო. ისე კი ლეოს ბოდიში მოუხადა და უთხრა: თქვენ და სამი-ოთხი კაცი რომ იყოთ, სიამოვნებით წამოვიდოდით და გვთხოვა, თუ მოიცლით და ხვალ მეწვევით, ძალიან გამეხარდებოაო. აპოლონ წულაძეს სტუმრები მიეწვია აგრეთვე სხვა ქალაქებიდან, ადგილობრივი მცხოვრებლებიც, სულ 120 კაცამდე ვიქნებოდით.

ვახშამზე გვიან დაესხედით.

სუფრა სანიმუშო იყო. აპოლონს განეზრახა ეჩვენებინა სტუმრებისათვის ნამდვილი, ძველებური გურული ნადიმი. ცდილიყო არაფერი დაეკლო, რაც გურიელების ოჯახში ენახა, ან გაეგონა.

მაშინ, საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში სურსათის ნაკლებობა იყო და იმ ფონზე ძალზე უხვი და დელიკატესებით სავსე სუფრა მეტ შთაბეჭდილებას ახდენდა. ღვინო — საუკეთესო ჩხავერი, სამაჭრე და იზაბელა, სუფრის დაწვრილებით აღწერას არ შეეუდგები, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ თავის დროს ყოველ ხუთ კაცზე შემოიტანეს შამფურზე წამოგებული თითო შებრაწული და თითო მრგვალად მოხარშული დედალი: ყოველ კაცზე თითო მწვადი ცალკე შამფურით, ხაჭაპურებს და შემწვარ გოჭებს სათვალავი არ ჰქონდა. სულ ბოლოს საგანგებოდ გამომცხვარი, ყავარზე დადებული მეტრიანი ხაჭაპურები შემოიტანეს (ესეც გურულების სუფრის მენიუში შედიოდა თურმე, ძველ დროს), დილით ცხელ-ცხელი ძროხის მოხარშული ბეჭები მძაღვ ძმრით.

თამადად არჩეული იქნა პაოლო იაშვილი. პაოლო, საერთოდ, განთქმული თამადა იყო და ის სუფრაც შესანიშნავად მიჰყავდა. 120-კაციან სუფრაზე სანიმუშო წესრიგი იყო. ყველა სიტყვას, ყველა სიმღერას (მომღერალთა გუნდებს ხელმძღვანელობდა აპოლონის ვაჟი, მსახიობი ბიძინა წულაძე) ხალხი დიდი ყურადღებით ისმენდა.

თამადად პირველად მასპინძლის — აპოლონ წულაძის და მისი მეუ-

ლლის სადღეგრძელო დალია და გურულების ენამახვილობის ნიმუშიც პირველად მან გვიჩვენა. სამადლობელი სიტყვა ასე დაიწყო: აქ მოწვეულმა სტუმრებმა არავენ იცის, თუ რატომ მოვაწყე ეს წვეულება. მოგახსენებთ: პირველი იმიტომ, რომ ჩემი დღე და წუთისოფელი სულ სხვისას ვქეიფობდი, სხვების ოჯახებში გავიძახოდი ჰარიარალეს და ვიფიქრე, მოდი, ერთხელ ჩემს ოჯახშიაც ვაქეიფებ ხალხს-მეთქი, მეორე იმიტომ, რომ წელს შემისრულდა 60 წელი, სამოცი წელი გავსძელი, მესამე იმიტომ, რომ ჩემმა მეუღლემ ოცდაათი წელი გაუძლო ისეთ უხვირო ქმარს, როგორც მე ვარ...

ატყდა სიცილი, რასაც ტკბილი მრავალყამიერი მოჰყვა.

პაოლო სუფრას მშვენივრად უძღვებოდა, მაგრამ როგორც ზემოთ ვთქვი, თბილისიდან ჩასული იყვნენ მწერლები, ოცდახუთ კაცამდე, მათ შორის უმრავლესობა სახელგანთქმული და საპატიო. პაოლო მიჰყვა და ცალ-ცალკე ჩაის ჭიქებით დალია მათი სადღეგრძელოები. მწერლებს გარდა ასი კაცი კიდევ იყო სადღეგრძელებელი. ბევრი სმა აღარ შეეძლო, ახლა თითო ჭიქით ოცეულები უნდა ედღეგრძელებია. მან გაივსო ერთი ჩაის ჭიქა და დაიწყო: — ამხანაგებო, მე ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვარ...

სუფრის ბოლოდან ერთმა გურულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დაუძახა: რატომ, ბატონო პოეტო, რამ ჩაგაყენა უხერხულ მდგომარეობაში, მეტი მწერალი აღარაა სადღეგრძელებელი თუ?! — ხალხში სიცილი ატყდა.

პაოლო დააბნია ამ რეპლიკამ, ვერაფერი უპასუხა, მხოლოდ მეორე ჩაის ჭიქაც გაივსო და სუფრაზე მსხდომი ადგილობრივი მანდილოსნები ადღეგრძელა. პაოლოს გვერდით უჭდა ლადო გუდიაშვილი, რომელიც ამჩნევდა, რომ პაოლოს უჭირდა ღვინის დაღვევა, — ღვინით სავსე ჭიქა გააპარა და ცარიელი დაუდგა. ხელათვე რეპლიკა ისროლა ახლა მეორე გურულმა: — ბატონო მხატვარო, რატომ მოიპარე ის ჭიქა? დასახატავად ხომ არ მოგეწონა? იგი ჭიქა დაუდგი ჩვენს თამადას, სახატავად, თუ გინდა, აგერ ჩემი ჭიქა ინებე! — გაუშვირა თავისი ჭიქა.

პაოლომ ვერც იმ გურულს უპასუხა, მხოლოდ უნებურად დაიდგა წინ გუდიაშვილის მიერ დადგმული ჭიქა და ხელათვე დასცალა ორივე.

ჩასული სტუმრები მესამე დღემდე იქ დავრჩით. მეორე დღესაც ხალხი ბევრი იყო, თამადად ადგილობრივი კაცი დააყენეს და მაგარი სმა გაჩაღდა. მესამე დღეს დილის საუზმის, ანუ როგორც გურიაში ეძახიან, „ჟევავის ტოლუმბაში“ აპოლონის დავალებით მე ვიყავი.

მასპინძელმა სავზლად ბევრი ღვინო და ხორავი გამოგვატანა. თბილისში დიდხანს იყო ლაპარაკი იმ შესანიშნავი ნადიმის შესახებ.

1930 წელს მე და პაოლოს წალაპარაკება მოგვიხდა პუშკინის თარ-



გმანის გამო. პუშკინს მე ვთარგმნიდი და „ევგენი ონეგინის“  
 თავები უკვე გამოქვეყნებული მქონდა უკურნალ „ქართულ მწერლობა-  
 ში“ და სახელმწიფო გამომცემლობასთან ხელშეკრულების დადებას  
 ვაპირებდი.

პუშკინს თარგმნიდა პაოლოც... მან თავისი გავლენა გამოიყენა და  
 ხელი შემიშალა ხელშეკრულება დამედო „ევგენი ონეგინის“ გამო-  
 ცემაზე. მე ეს გავიგე და ჩვენ ერთმანეთს დავემდურეთ.

თუმცა იაშვილის თარგმანები მე მომწონდა საერთოდ, მაგრამ  
 უნაკლოდ არ მიმაჩნდა და მე სწორედ ეს ნაკლი წამოვსწიე წინ, რად-  
 გან მასზე გაბრაზებული ვიყავი.

გაზეთ „ლიტერატურულ გაზეთში“, „კურიოზების ქრონიკაში“  
 მოვათავსე იუმორისტული ფელეტონი, რომელშიაც დავსცინოდი მის  
 თარგმანებს. იმ ფელეტონიდან აქვე მოვიყვან ამონაწერს:

„ჩვენს რედაქციას აცნობეს, რომ ერთი ენათმეცნიერი ადგენს ახალ  
 რუსულ-ქართულ ლექსიკონს, რომელსაც საფუძვლად უდევს პაოლო  
 იაშვილის მიერ თარგმნილი ალ. პუშკინის ლექსებიდან ამოკრებილი  
 სიტყვები. ეს ლექსიკონი საოცრად განირჩევა ყველა დღემდე არსებულ  
 ლექსიკონებისაგან და მიტომ ვისწრაფვით მივაწოდოთ მკითხველებს  
 რამდენიმე მაგალითი:

- |                |                 |
|----------------|-----------------|
| Орел — ქორი    | Мгла — გლოვა    |
| Вал — შხეფი    | Струнт — სტვირი |
| Призрак — ჩერო | Дети — ცეტი     |
| Рев — მრევი    | Клаве — გკლავენ |

შეიძლებოდა მეტი მაგალითების მოყვანა, მაგრამ, ვგონებთ, ამ  
 ამონაწერებიდან ცხადია, თუ რა დიდ გარდატეხასთან გვაქვს საქმე.  
 მართა ის რად ღირს, რომ ფეოდალური სიტყვა „არწივი“, რომელიც  
 მოგვაგონებდა თვითმპყრობელობის ღერბს, დღეიდან სამუდამოდ უქმ-  
 დება და მის ადგილს იჭერს შედარებით დემოკრატიული „ქორი“.

პატივცემულ ენათმეცნიერს პ. იაშვილის თარგმანებიდან ამოკრე-  
 ბილი სიტყვების გარდა, ამავე მეთოდის საფუძველზე, თავის ლექსი-  
 კონში შეუტანია სიტყვები:

- Мудрец — მუდრევი  
 Арбуз — ბუზი  
 Кубок — კუბო

განსაკუთრებით მოსწონთ ეს ლექსიკონი, რომლებმაც ქართული  
 ენა არ იციან. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ რუსული სიტყვები  
 არც ერთ ენაზე არაა გადათარგმნილი ფონეტიკის ასეთი ზუსტი დაც-  
 ვითო“.



გაზეთის რედაქტორმა პლატონ ქიქოძემ ფელეტონი ხელმოუწერლად გაუშვა და მეც გამაფრთხილა, არავის გაუმჟღავნო, რომ შენიაო. მე ჩემი ავტორობის დამალვა არ მინდოდა, რადგან სწორედ იმით უფრო მოვიფხანდი გულს, თუ იაშვილს ეცოდინებოდა, რომ წყენინებისათვის სამაგიერო მე გადავუხადე, მაგრამ რადგან რედაქციას ასე უნდოდა, მეც დავთანხმდი და აღარ გამიმჟღავნებია.

ფელეტონმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა, რადგან პაოლო იაშვილს ყველა იცნობდა და გაზეთი ხელიდან ხელში გადადიოდა. ბევრი მკითხველი ვერც იმას მიხვდა, რომ: Мудрец — მუდრეგი, Арбуз — ბუზი და Кудок — კუბო — იაშვილის თარგმანში არ იყო. ფელეტონში ეწერა: ენათმეცნიერმა იაშვილის მეთოდის საფუძველზე თვითონ შეადგინა და შეიტანა ლექსიკონში ეს სიტყვებიო.

პაოლოს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა უსაქმური ხალხი და სიცილ-ხარხარით ეკითხებოდნენ: Мудрец — მუდრეგად რამ გათარგმნიაო. პაოლო საშინლად ბრაზობდა, მივარდა რედაქციაში, იკითხავინ დაწერაო, მაგრამ არავინ გაუმჟღავნა. ის მაინც ცდილობდა როგორმე გაეგო ავტორი.

ერთ დღეს მე და სიმონ ჩიქოვანი მაჩაბლის ქუჩით მწერალთა სასახლისაკენ მივდიოდით, სიმონმა ჩემს ფელეტონზე ჩამოაგდო ლაპარაკი, მასაც აინტერესებდა გაეგო ავტორი. მე ჩემი ავტორობა არც მას გაუმჟღავნე. მერე მან თქვა, მე მგონია, ის ვუკოლ ბერიძის დაწერილი იქნებაო. ის თანამშრომლობს „ლიტერატურულ გაზეთში“, ენის სიწმინდეზე ხშირად წერს და იუმორიც ეხერხებაო. მეც კვერი დავუკარი, უთუოდ ასე იქნება-მეთქი.

მწერალთა სასახლეში რომ შევედით, სიმონმა იქ შეხვედრილ ხალხს გააცნო ეს თავისი ვარაუდი. მერე დაირხა ხმა, რომ პაოლო იაშვილზე დაწერილი იუმორისტული ფელეტონის ავტორი ვუკოლ ბერიძეაო. ამ ხმამ პაოლოს ყურამდე მიადწია. ისიც რატომღაც უცებ დარწმუნდა, ვუკოლი დაწერდაო და არც აცივა, არც აციხლა, ხელათვე დაწერა ვუკოლ ბერიძეზე სალანძღვი ეპიგრამები — „ფუნაგორიები“ (სიტყვა „ფუნაგორია“ ეპიგრამის მნიშვნელობით იაშვილმა შემოიტანა, რამაც შემდეგ დიდი პოპულარობა მოიპოვა ზეპირსიტყვაობაში). ის ფუნაგორიები მე აღარ მახსოვს, მაგრამ ძალიან მაგარ ლანძღვას შეიცავდა.

ვუკოლ ბერიძეს პაოლო ძალიან უყვარდა, მისი პოეზიის დიდი თაყვანისმცემელი იყო და გაოცდა, როცა გაიგო, რომ პაოლომ ასეთი ფუნაგორიებით შეამკო.

პირველ შეხვედრისთანავე მიმართა საყვედურით: ბიჭო, ძმასავით მიმაჩნხარ, შენზე უფრო არავინ მიყვარს, შენთვის არასოდეს არაფე-



რი მიწყენინებია და რას მერჩი, ასე რომ მლანძღავ შენი ფუნატიონი ბითო.

პაოლო მეტისმეტად შეწუხებულა, ბოდიში მოუხდია, შევცდი, „ლიტერატურულ გაზეთში“ მოთავსებული ფელეტონი შენი მეგონაო.

შემდეგ წასულა „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციაში. რედაქცია მაშინ მწერალთა სასახლეში იყო, მეორე სართულზე, მისი კარფანჯრები უკანა აივანზე გამოდიოდა. პაოლოს აივანზე გაუყვანია პლატონ ქიქოძე, საყელოში ხელი უტაცნია და დამუქრებია, ახლავე მიიხარო, ვინ დაწერა ის ფელეტონი, თორემ ამ აივნიდან გადაგადებო. პლატონ ქიქოძე ძალიან გაბედული და თავზედი კაცი იყო, მაინც შეშინებულა და გაუმგელავნებია — ცეცხლაძემ დაწერაო.

ეს ამბავი რომ მომხდარიყო, მე არაფერი ვიცოდი, მეორე დღეს მწერალთა სასახლეში მივდიოდი, მარტოკა, მაჩაბლის ქუჩით. ლერმონტოვის ქუჩის კუთხესთან რომ მივედი, პაოლო შემეფეთა, ის თავის სახლიდან, ჯაფარიძის ქუჩიდან მოდიოდა. რომ დამინახა, წუთით შეჩერდა და გამიცინა. მეც ვავუღიმე, რადგან „ევგენი ონეგინზე“ ხელშეკრულების დადება, მიუხედავად მისი ხელის შეშლისა, მე მაინც მოვახერხე, ის ფელეტონიც დაებეჭდე, ჟინი მოჭმული მქონდა და ახლა შერიგებაც მინდოდა. ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და შევეურიგდით ყოველგვარი შუაქაცის დაუხმარებლად და განვაგრძეთ გზა სასახლისაკენ.

სასახლეში რომ მივედით, ვესტიბიულში შემოგვხვდნენ ტიციან ტაბიძე და რაქდენ გვეტაძე. პაოლო და მე რომ ერთად დაგვინახეს ძალიან ესიამოვნათ და ტიციანმა დაიძახა — შერიგების პური უნდა გავტეხოთო. ეს იღვა ყველას მისაღებად გვეჩვენა და პაოლომ, ტიციანმა, რაქდენმა და მე ხელათვე გავწიეთ მირიანაშვილების სარდაფისაკენ. სარდაფი ახლანდელ კოლმეურნეობის მოედანთან იყო. იქ მუდამ ჰქონდათ კარგი კახური ღვინო. გზაში ჩვენს კამპანიას შემოუერთდნენ ილო მოსაშვილი და შალვა დემეტრაძე.

როგორც ყოველთვის, თამადობა პაოლომ იკისრა. როცა ჩემი სადღეგრძელო აიღო, მოღუშულად მომაჩერდა და მიიხარა: შენ გგონია მე არ ვიცი, ვინ დაწერა ის ფელეტონი „ლიტერატურულ გაზეთში“? მე ცოტა არ იყოს შევკრთი, ღვინიანი ბოთლი არ მთხლიშოს-მეთქი, მაგრამ ხელათვე გაეღიმა და თქვა, სხვას არავის არ ვაპატიებდი ასეთ რამეს, მაგრამ შენთვის მიპატიებია, რადგან მეც გაწყენინე და შენ სამაგიერო გადამიხადე და თანაც ისე მახვილად ვარ „გაბითურებული“, რომ თვით მეც ბევრი ვიცინეო. მერე დასძინა: ახლა შევრიგდეთ, „ევგენი ონეგინი“ შენ თარგმნე და სხვა ლექსებსა და პოემებს მე ვთარგმნი და შენც ნულარ დამეცილებიო. მე თანხმობა განვუცხადე და, მართლაც, რამდენიმე ლირიკული ლექსის გარდა, რაც მაშინ უკვე მქონდა თარგმნილი, აღარ მითარგმნია.



ჩვენი შერიგების რამდენიმე კვირის შემდეგ პაოლომ თავის ბიძაზე წამიყვანა, თავისი თარგმანები წამიკითხა, რაც მე გულწრფელად მოვუწონე. მერე აკადემიის ახალი გამოცემული ნ. კუზნინის მიერ დასურათებული „ვეგენი ონეგინი“ ჩამოიღო კარადიდან და მათხოვა.

1937 წელს მოსკოვში შედგა ალ. პუშკინისადმი მიძღვნილი საკავშირო მწერალთა კავშირის პლენუმი. საქართველოდან იმ პლენუმზე მიწვეული ვიყავი და წავედი: მიხ. ჯავახიშვილი, სიმონ ჩიქოვანი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ალიო მირცხულავა, დავით დემეტრაძე და მე (სხვები აღარ მახსოვს). პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე მოსკოვში დაგვხვდნენ და, რა თქმა უნდა, ისინიც იყვნენ დელეგატები.

მე ახალშერთული ცოლი თან მახლდა. სასტუმროებში ადგილებზე გაჭირვება იყო და ერთ სამსაწოლიან ნომერში ჩემთან ერთად მოხვდა ალიო მირცხულავაც.

პაოლო შემთვინდა ჩემთან და მე ჩემი ცოლი გავაცანი, გვკითხა, როგორ მოეწყვეთო, მე ვუთხარი: ცალკე ნომერი არ მომცეს და მირცხულავაც ჩემთან არის-მეთქი. მაშინვე დატრიალდა, როგორ შეიძლება ახალ ცოლ-ქმართან მესამე კაცი იყოს ერთ ოთახშიო, დარეკა ტელეფონით სასტუმროებში და მირცხულავა სხვაგან გადაიყვანა. პაოლო, საერთოდ, ძალიან გულთბილი კაცი იყო და ყველას ეხმარებოდა გასაჭირში.

პლენუმი იმ დღეებში მიმდინარეობდა, როცა სერგო ორჯონიკიძე გარდაიცვალა მოსკოვში. პლენუმის დამთავრების შემდეგ, წითელი არმიის სახლში ვიყავით მიწვეულნი ბანკეტზე. უზარმაზარ დარბაზში 500 კაცამდე იქნებოდა ბანკეტის მონაწილე, უმთავრესად სამხედრო პირები.

პაოლომ ბანკეტზე ისეთი სიტყვა წარმოსთქვა საერთოდ მწერლობაზე, წითელ არმიაზე და ახალ გარდაცვლილ სერგო ორჯონიკიძეზე, რომ ბანკეტის მონაწილენი ალტაცებაში მოიყვანა და მთელი ათი წუთის განმავლობაში ფეხზე ამდგარნი ტაშს უკრავდნენ...

1937 წელს მე ოჯახით ბათუმში გადავედი საცხოვრებლად და პაოლოს თავის მოკვლის ამბავი იქ გავიგე, რამაც გულის სიღრმემდე შემარყია.

### ტიციან ტაბიძე

ტიციან ტაბიძე და ალი არსენიშვილი 1917 წელს შემოდგომაზე გამაცნო ქუთაისში ვალერიან გაფრინდაშვილმა.

ალი არსენიშვილი მისთვის ჩვეული დიდი ენთუზიაზმით შეხვდა ჩემს გაცნობას და ხელათვე ზეპირად წარმოსთქვა სტრიქონები ჩემი ლექსიდან:

შემაქო, ბეჭედდაც ხელით მომიტყაპუნა მეგობრულად.

ტიციანი მხოლოდ ილიმებოდა, მას ეტყობოდა ჩემდამი გადაჭარბებულ პატივისცემად მიაჩნდა ალი არსენიშვილის ენთუზიაზმი. არც დამლაპარაკებია. მე კი უფრო მისი აზრი მაინტერესებდა ჩემი შემოქმედების შესახებ, რადგან ის უკვე ლიტერატურის თეორეტიკოსად ითვლებოდა. მისი ლექსები მაშინ იმდენ ყურადღებას ვერ იმსახურებდნენ. მისმა გაცნობამ, საერთოდ, ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ის იყო მაშინ გამხდარი, ოდნავ ბეჭყაყრილი, ცისფერთვალეა ახალგაზრდა, დადიოდა უქულოდ, წინ ჩამოვარცხნილი ქერა თმებით და უკვე ცდილობდა დამსგავსებოდა ოსკარ უაილდს. მას ხომ აქვს ლექსი—ავტოპორტრეტი — „უაილდის პროფილი, ცისფერი თვალეები“. ქუთაისიდან მალე წავიდა და ვგონებ იქ მეტად აღარც შევხვედრივარ.

1919 წელს მე თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად და მალე დავეგობრდით.

პირველ ხანებში მე და ნ. მიწიშვილი ვცხოვრობდით ოპერის გვერდით, თეატრალურ ჩასახვევში არსებულ ივანოვის სასტუმროში. პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ლადო მჭავარიანი და სხვები, ჩვენი პოეტები, ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ. ივანოვის სასტუმროსთან ახლოს, თეატრალურ ჩასახვევში იყო ალექსანდროს გასტრონომიული დუქანი „ბუენოს-აირესი“, რომელიც ტიციანს თავის ლექსებშიაც აქვს ნახსენები. ალექსანდრო ანუ ალექსანდრე ქართლელი კაცი იყო, რომელსაც ჩვენი პლანეტის მრავალი ქვეყანა ჰქონდა შემოვლილი. დიდხანს ეცხოვრა ამერიკაში, ბუენოს-აირესში და თავის დუქანსაც იმიტომ დაარქვა „ბუენოს-აირესი“. ის მარტოხელა კაცი იყო, ბინადაც თავის დუქანის უკან მიდგმულ ოთახში ცხოვრობდა. პოეტები მისი მუდმივი მუსტრები ვიყავით, ხშირად გვიან ღამითაც გავალვიძებდით, კინოდან, თეატრიდან თუ ცირკიდან დაბრუნებულები. ვიყიდდით მისგან ღვინოს, პურს, ყველს, ძეხვს, ხილს და სუფრას გავშლიდით ან ოპერის ბაღში ღია ცის ქვეშ, ან მიწიშვილთან, ან ჩემთან ვსვამდით ღვინოს, ვკითხულობდით ლექსებს, დაუსრულებლად ვკამათობდით პოეზიაზე, ქართველ, რუს თუ უცხოელ პოეტებზე, უმთავრესად ფრანგ სიმბოლისტებზე, ხშირად ამ ყოფაში შემოგვათენდებოდა.

„ბუენოს-აირესის“ პატრონს განსაკუთრებით უყვარდა პაოლო იაშვილი, მას ნისიადაც აძლევდა თავის საქონელს. მაგრამ ყველაზე უფრო ნდობით ალექსანდრო მიწიშვილს ექცეოდა. არც საკვირველი იყო, მიწიშვილის მატერიალური მდგომარეობა სხვებზე უფრო მტკიცე იყო, ის მსახურობდა დამფუძნებელ კრებაში, თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ გაზეთებსა და ჟურნალებში და ფულიც მუდამ ჰქონ-

და. საკმარისი იყო ნ. მიწიშვილის ალექსანდროსთვის პატარა ბარათი გაეგზავნა დამლაგებლის ხელით, რომ იგი განუსაზღვრელად უგზავნებოდა ღვინოს და ყოველგვარ სანოვაგეს. ნისიას მედღეუქნე იწერდა თავის დავთარში, მიწიშვილის ბარათების დართვით და თავის ბოლოზე ანგარიშის დასათვარავად მოაკითხავდა. ამით ისარგებლა პოეტმა ლადო მაჭავარიანმა, რომელსაც ქეიფი ძალიან უყვარდა, მაგრამ ფული იშვიათად ჰქონდა.

ერთხელ გამოირკვა, რომ მაჭავარიანს მიწიშვილის სახელით, ყალბი ბარათებით, კარგა ბლომად წამოეღო სანოვაგე. მიწიშვილმა ვალი გადაიხადა და „ბუენოს-აირესის“ პატრონი გააფრთხილა: აწი ჩემი ბარათებით აღარაფერი გასცე, თუ რამე დამპირდება, მე თვითონ წავიღებო.

პაოლო იაშვილს და ტიციან ტაბიძეს, რომელნიც განუყრელები იყვნენ, მე თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი თეატრებში, ქართულ კლუბში, საქველმოქმედო საზოგადოების კაფეში „კაფე-დარბაზში“.

ტიციან ტაბიძესთან თუმცა ვმეგობრობდი, მის გავლენას არ ვემორჩილებოდი. მის „ცისფერყანწელურ პოლიტიკას“ არ ვიზიარებდი.

მაგალითად, მე ი. გრიშაშვილის პოეზიის თაყვანისმცემელი არ ვიყავი, მისი ლიტერატურული მიმართულება მისაღებად არ მიმაჩნდა, მაინც ვაღიარებდი ი. გრიშაშვილის დიდ დამსახურებას ახალ ქართულ პოეზიაში. ტიციან ტაბიძე ცდილობდა ჩვენთვის ჩაენერგა აზრი, რომ გრიშაშვილი სრულიად უმნიშვნელო პოეტია, რომ ის მხოლოდ აშუღია (თუმცა, დარწმუნებული ვარ, ასეთი შეხედულება თვით მას არ სწამდა — მაგრამ ეს იყო მისი ლიტერატურული პოლიტიკა). ის ხაზს უსვამდა, გრიშაშვილმა უკვე თქვა, რის თქმაც შეეძლო და აწი აღარაფერი მნიშვნელოვანის დაწერა აღარ შეუძლიაო.

ტიციანი ერთ თავის ლექსში წერს გრიშაშვილზე:

„აშუღმა თავის თქვა აშუღური,

სხვა აქვს სათქმელი ამ ჩვენს სამებას“.

ე. ი. ყანწელებს.

ის გალაკტიონ ტაბიძის დამცირებასაც ხშირად ცდილობდა, რათა ყანწელების ავტორიტეტი აემადლებია, თუმცა ძალიან კარგად გრძნობდა, რა დიდი პოეტი იყო გალაკტიონი. ტიციანი გალაკტიონის შეფასებაში მაინც თანმიმდევრული არ იყო, ხან მის ლექსებს ზეპირად ამბობდა და აღტაცებას გამოთქვამდა, ხან აგინებდა. მე რა თქმა უნდა, გალაკტიონ ტაბიძეს ახალ ქართულ პოეზიაში უდიდეს პოეტად ვთვლიდი და სხვების შეხედულებები ჩემზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდნენ.

ტიციანს არ სიამოვნებდა, რომ ყანწელების გარდა სხვა ვინმე ექოთ, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ თუ ვინმესი კარგი ლექსი



დაიბეჭდებოდა, თვითონ ვერ მოითმენდა — აღტაცება არ გამოეხატა მხოლოდ ზეპირად. წერილობით კი არაყანწელებზე კარგის თქმას იშვიათად თუ გაიმეტებდა. ის კი არა, ყველა ყანწელსაც არ სწყალობდა. ქება ემეტებოდა მხოლოდ პაოლო იაშვილისათვის, ვალერიან გაფრინდაშვილისა და თავისთვის.

ტიციან ტაბიძე მწერალთა შორის ყველაზე უკეთ იყო გარკვეული როგორც ლიტერატურის, ისე პოლიტიკის საკითხებშიაც...

საბჭოთა ხელისუფლების შექმნის შემდეგ ტ. ტაბიძე პაოლო იაშვილთან ერთად პირველი „თანამგზავრი“ გახდა, მაგრამ პროლეტარულ პოეტებს არ სცნობდა ნამდვილ მწერლებად...

ტიციანი, საერთოდ, მწვავე და დაუზოგველი პოლემისტი იყო. სალიტერატურო ასპარეზზე ახალგამოსული ქართველი ფუტურისტებიც კარგად „შეამკო“, — მათ ერთ-ერთ თავის წერილში „დედის საშოშივე“ გახრწნილი ახალგაზრდები უწოდა.

ძალიან ამწარებდა კ. გამსახურდიასაც. გამსახურდიამ ერთხელ მოხსენება გააკეთა ექსპრესიონიზმზე და მოხსენების შემდეგ თავისი ახალი ლექსებიც წაიკითხა. ტ. ტაბიძემ დაუწერა რეცენზია, სადაც ამბობდა: „სანამ გამსახურდია მოხსენებას კითხულობდა, ხალხს თუმცა სასაცილოდ მიაჩნდა, მაგრამ თავს მაინც იკავებდნენ, და როცა თავისი ახალი ლექსებიც წაიკითხა, ხალხმა თავი ვეღარ შეიკავა და დარბაზში ხმამაღალი სიცილი ატყდაო“. ხშირად კენწლავდა იგი ი. გრიშაშვილს, ს. ფაშალიშვილს და სხვებს.

გასაკენწლავად, ზეპირსიტყვაობით, არც თავისიანებს ზოგავდა, თვით პაოლოს და გაფრინდაშვილსაც კი.

ერთი სიტყვით, ტიციანს ძალიან კვიმატი ენა ჰქონდა. მისმა ასეთმა ხასიათმა ერთხელ თბილისში მყოფი სერგეი ესენინი შეცდომაში შეიყვანა, რაც კინალამ ტრაგიკულად დამთავრდა.

მაშინ თბილისში ცხოვრობდა ახალგაზრდა პოეტი რაულ გოგობია. ის იბეჭდებოდა მაშინდელ ქურნალ-გაზეთებში და საკუთარი ლექსების კრებულებიც ჰქონდა გამოცემული, სახელწოდებით „ზამთრის ჩუქურთმა“. პოეტობის გარდა, ის კარგა ხელგამართული სპეკულანტიც იყო. ხშირად პატივებდა იოლად ნაშოვარი ფულებით ქართველ და რუს პოეტებს და მსახიობებს, მათ შორის ძალიან ხშირად პაოლოს, ტიციანსაც და მეც.

რაულ გოგობია დაუახლოვდა სერგეი ესენინს და ერთხელ ესენინი თურმე შეჰპირდა: მომიტანე შენი ლექსების ბჭკარედები და რუსულად გადავთარგმნიო (საერთოდ კი ის არავის თარგმნიდა).

იმ დღეებში ესენინი ტ. ტაბიძეს შეხვედრია და უკითხავს, როგორი პოეტია რაულ გოგობიაო. ტიციანი კარგ სიტყვას გოგობიასათვის, აბა, როგორ გაიმეტებდა, მან თურმე ისიც არ მოისურვა, რომ ეთქვა,

სუსტი პოეტიკით. არც აცია, არც აცხელა და უთხრა: გოგონია პოეტუ-  
სულაც არაა, იგი სპეკულიანტია, მოუტყუებშიარო.

ესენინმა ეს დაიჯერა, ის, საერთოდ, ეფექტის კაცი იყო და დი-  
დად იჭვიანი. იფიქრა, ის სპეკულიანტი საერთოდ პოეზიას დასცინის,  
მეც გამაბიაბრუაო და მისდამი შურისძიების სურვილი გულში ჩა-  
იმაჩხა. ერთ დღეს, მაშინდელი ქართული კლუბის შესავალთან  
(ახლანდელი გრიბოედოვის სახ. თეატრი) არსებულ რესტორან  
„კაფე-დეპარი“-ში ერთ სუფრას უსხდნენ: პაოლო, ტიციანი, სერგეი  
ესენინი და გიორგი ლეონიძე, მახლობელ სუფრას უჯდა ვანიჩქა  
ნანიშვილი ვიღაც მსახიობებთან (ნანიშვილი იყო კარგი მოქიფე,  
პოეტებს მეგობრობდა და ხშირად მონაწილეობდა ჩვენს სერობებში).  
მე ჩემს მეგობარ ალ. ლორდელთან ვიჯექი მათგან მოშორებით. ამ  
დროს რესტორანში შემოვიდა რაულ გოგონია. ესენინი სწრაფი ნახ-  
ტომით მიეჭრა მას და დაუწყო საშინელი ლანძღვა-გინება (ესენინი  
უკვე შეზარხოშებული იყო), ეუბნებოდა ჩემი მასხარად აღებისათვის  
მე შენ ცხვირ-პირს დაგამტვრევო და საცემრად იწვევდა. ესენინი გავა-  
კავეთ. გოგონია დაბნეული, განცვიფრებული შეჰყურებდა, ვერ გა-  
ეგო, რაში იყო საქმე. არ იცოდა, რა ექნა. ხმას ვერ იღებდა. გიორგი  
ლეონიძე მისი ამხანაგი იყო სემინარიიდან, მივიდა და ჩაუჩურჩულა:  
დუელში გამოიწვიეო. გოგონიამ გაისწორა სათვალეები და მტკიცედ  
დაუყვირა: „Вызываю на дуэль!“ ესენინს ნანიშვილმა გადა-  
უჩურჩულა: გაჰყვიეო.

დაინიშნა დუელი, ესენინის სეკუნდანტი იყო ვანიჩქა ნანიშვილი,  
გოგონიასი — გიორგი ლეონიძე. ჩვენ, იქ დამსწრეებს, ეს სერიოზუ-  
ლად არ მიგვიღია, ვფიქრობდით, როცა ესენინი გამოფხიზლდება  
ბოდის მოიხდის, რადგან ტყუილად გამოლანძღა მისი პატივისმცემე-  
ლი კაცი და შერიგდებიანო, მაგრამ ნანიშვილმა მოინდომა ეს შე-  
მთხვევა თავის გასართობად გამოეყენებია, გიორგი ლეონიძეც აიყო-  
ლია. მოლაპარაკდნენ — მოდი, ორთავე შევაშინოთ და მერე  
შევირიგოთო.

მეორე დღეს, თურმე, გაუარეს ჯერ გოგონიას, უთხრეს: ხომ  
გახსოვს, გუშინ დუელში რომ გამოიწვიე ესენინი, ახლა უკან დახვეა  
მთელი ქართველი ხალხის შერცხვენა იქნება, უნდა წამოხვიდეო,  
ჩვენ რევოლვერები უკვე მოვამზადეთო. გოგონიას თურმე საკმაოდ  
ეცვალა ფერფური, მაგრამ ჩაიცვა და გაჰყვა „სეკუნდანტებს“. შემ-  
დეგ ესენინთან წავიდნენ, ის სასტუმრო „ორიანტიში“ ცხოვრობდა, მე-  
სამე სართულზე. ლეონიძემ და გოგონიამ ქუჩაში დაიცადეს. ნანიშვი-  
ლი მიადგა ესენინს: გოგონია და მისი სეკუნდანტი ლეონიძე ქუჩაში  
გველოდებიანო. ესენინიც კარგა მაგრად შეშინებულა, მაგრამ ხელადვე  
მოუფიქრებია დუელიდან თავის დაღწევის ხერხი. ნანიშვილისთვის  
უთქვამს, წამოვალ, მაგრამ აქვე, გვერდით ნომერში მეგობარი მყავს



და მას დავემშვიდობებო. დუაკაუნებია კარებზე, გამოსულა ჩეკისტი, რომელსაც ნანიშვილი შორიდან იცნობდა. ესენინი გადაეჭვდა თურმე იმ ჩეკისტს და გულაჩუყებით უთხრა: მშვიდობით, სამუდამოდ მშვიდობითო. ჩეკისტი თურმე გაოცდა და ჰკითხა: რა მოგვიდა, ძვირფასო სერიოჟა, სად მიდიხარო. ესენინს უპასუხია: დუელში ვარ გამოწვეული და ჩემი სეკუნდანტიც აქ არისო. მაგრამ ნანიშვილი მიმხვდარა, საქმე სახუმაროდ აღარ იყო, ჩეკისტი დასდევნებია ლანძღვა-გინებით, მაგრამ ვეღარ დასწევია. ასე დამთავრდა ეს ამბავი, მაგრამ შეიძლება უფრო გართულებულიყო...

1924 წელს მე ქვიშხეთის მწერალთა დასასვენებელ სახლში ვისვენებდი. მონაწილეობა მივიღე ქვიშხეთის სოფლის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გამართულ ლიტერატურულ საღამოში. ლიტ. საღამოს შემდეგ იმავე ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გაიმართა ვაჭაშაძის სასმელ-საჭემელზე გადამეტებული ფასებით. მე ვაჭაშაშაძის მონაწილეობა მივიღე და საღამოს ინიციატორთა თხოვნით სიტყვაც წარმოვსთქვი, ჩემი აზრით, რევოლუციური. აღვნიშნე, რომ ქვიშხეთი დიმიტრი ყიფიანის სოფელია, რომელიც, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთელთან ერთად, საქართველოს წინსვლასა და ხალხის სწავლა-განათლებაზე ფიქრობდა და ქვიშხეთელებიც უნდა მისდევდნენ მის კვალს-მეთქი. თან ჩვენს წინაპართა პროგრესულობის საილუსტრაციოდ წარმოვსთქვი ილია ჭავჭავაძის ლექსი:

„მესმის, მესმის სანატრელი,  
ხალხთ ბორკილის ხმა მტრრევისა,  
სიმართლის ხმა ქვეყნადა ქუხს,  
დასათრგუნად მონობისა,  
აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა  
და აღმიგზნებს იმედს გულში.  
ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტყბილი  
გამაგონე ჩემს მამულში“...

იმავე 1924 წელს დეკემბერში გამოვიდა ჩემი ლექსების პირველი წიგნი „პოეტის ყეფა“. ტიციანი მაშინ გაზეთ „რუბიკონის“ რედაქტორი იყო. ჩემი წიგნის კორექტურები სტამბაში ენახა, შემომხვდა ქუჩაში, მომილოცა წიგნის გამოცემა, კრებულის უცნაური სათაურიც მომიწონა, წიგნის ყდაზე მოთავსებული მხატვარ ირაკლი გამრეკელის დახატული ჩემი სურათიც და მითხრა, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვს, შენი წიგნებიდან ლექსებს ამოვარჩევ და ჩემს გაზეთში დავბეჭდავო. მე გამიხარდა და, რაღა თქმა უნდა, დავეთანხმე. მან მართლაც დაბეჭდა თავის გაზეთში ჩემი ლექსი „კვირა დღე თბილისში“. შემდეგ ჩემს წიგნზე — „პოეტის ყეფაზე“ გულთბილი წერილიც მოათავსა.

ახლა რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ტიციანის „ღონეუანობაზე“.

ტიციანს გატაცებით მოსწონდა და უყვარდა ერთი მართლაც მშვენიერი ქალიშვილი თამუნია წერეთელი. ეს მისმა მეუღლემ ნინამაც იცოდა, მაგრამ არ უშლიდა, რადგან ისიც იცოდა, რომ საქმე შეეხებოდა მხოლოდ პლატონურ ტრფიალს. ტიციანი იმ ქალისადმი მიძღვნილ ლექსებს კიდევ ბეჭდავდა. თამუნია დ. ქებაძის ბორჯომის წყლის პავილიონში მუშაობდა მოლარედ. ტიციანი თამუნიასადამი ტრფიალებით იწვოდა და მისდამი მიძღვნილ ლექსში წერდა:

„ბედნიერი ვარ — როგორც არასდროს,  
თვითონ არ ვიცი, რა მიხარია...“

მართლაც, ყოველთვის მიუხაროდა მის სანახავად. რუსთაველის პროსპექტზე რომ შემხვდებოდა, ხშირად მეტყოდა, წამოდი ქებაძის პავილიონში, თუ თამუნია იქნება, ნაყინზე დაგაბატყებ, თუ არა და, ბორჯომის წყალი დავლიოთ და დავბრუნდეთ, როგორც დამარცხებულებიო.

პავილიონში რომ შევიდოდით, თამუნიას ხან მხოლოდ მივესალმებოდით, არც კი დაველაპარაკებოდით, მაგრამ ტიციანს მისი ცქერით კმაყოფილს სახზე ბედნიერების შუქი ეფინებოდა.

ერთხელ ვერის ბაღებიდან (სადაც ახლა ზოოლოგიური ბაღია), ბაბაჯუას სამიკიტნოდან ვბრუნდებოდით შეზარხოშებულნი და ტიციანი თამუნიასადმი მიძღვნილ მორიგ ლექსს გვიკითხავდა. პაოლომ ვანიჩქა ნანიშვილს გადაუჩურჩულა — თამუნია შეუგინე, ვნახოთ რას იზამსო. ნანიშვილმა დავალება შეასრულა. ტიციანმა მაგარი სილა გააწნა. შეეჭიდნენ ერთმანეთს და ტლაპო ტლაპში ხან ერთი იყო ქვეშ და ხან მეორე. ძლივს გავაშველეთ.

როცა თამუნია მ ფეხი დაჰკარგა და ადრინდელი სილამაზეც აღარ ჰქონდა, ტიციანი მაინც მისი ერთგული დარჩა და ისევ უმღეროდა:

„ხარ დანგრეული შენ „მოდინახე“,  
ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი“...

ახლა ტიციანის გულჩვილობაზე.

1930 წელს, თბილისში მამა გარდამეცვალა, იანვარში დავსაფლავეთ კუკიაზე. მე მამა ძალიან მიყვარდა, ვგლოვობდი, მის საფლავზე ხშირად ავდიოდი.

იმავე წლის მარტში მწერალთა სასახლეში რომელიღაც დისპუტის შემდეგ, რაც ძალიან გვიან დამთავრდა, ტიციანი, რაედენ გვეტაძე, ბესო ჟღენტი და მე სავახშმოდ წავედით სასადილო „გემოში“, ახლანდელი რუსთაველის ძეგლის ახლოს. სმას და ლაპარაკს დილამდე შევეყვით. სასადილოდან რომ ამოვედით, რაედენ გვეტაძემ გვითხრა, წამოდით ხაშზე გაბატყობთო. ბესო ჟღენტი არ წამოვიდა. ტიციანი, რაედენი და მე ჩავსხედით ეტლში და პუშკინის ქუჩისაკენ წავედით.



შევედით სახაშეში, ხაში მივირთვით, თითო — ორ-ორი კრება არაყი და ვაყოლეთ და გამოვედით. მაინცადამაინც მთვრალები არ ვიყავით. მე ეტლს დავეუძახე და რაჟდენს და ტიციანს ხელი გაუწოდე დასამშვიდობებლად. მკითხეს, რას გვემშვიდობები, სად მიდიხარო. ვუთხარი, მამაჩემის საფლავზე უნდა წავიდე, კუკიაზე-მეთქი. მერე რატომ მარტო მიდიხარ, ჩვენც წამოვალთო.

ჩავექვით ეტლში და წავედით კუკიაზე. მამაჩემის საფლავთან რომ მივედით, დავიჩოქე და ტირილი დავიწყე. ჩემთან ერთად დაიჩოქეს ტიციანმა და რაჟდენმაც და იმათაც დაიწყეს ტირილი. ყველაზე უხვი ცრემლებით ტიროდა ტიციანი, სულ ღვარ-ღვარად ჩამოსდიოდა კურცხალი. ასეთ ყოფაში, ვგონებ, ნახევარი საათი მაინც დავყავით-რომ შეგვაგვიანდა, მეეტლეს მიეტოვებია ეტლი და ჩვენს საძებრად წამოსულიყო და სამი ახალგაზრდა ასე ცხარე ცრემლებით მტირალი რომ დავუნახივართ, შორიხლოს დამდგარა და გვიცქეროდა განცვიფრებული. ტიციანი და რაჟდენი მე ეტლით მივაცილე თავიანთ სახლებში. ჩემს ბინასთან რომ მივედით, მეეტლეს ვკითხე, რამდენი გინდა ეტლის ქირა-მეთქი.

მან მიპასუხა: არაფერი ქირა არ მინდა, მხოლოდ ერთი მითხარით, ვინ ხართ, რა ხალხი ხართ და ასე ცხარე ცრემლებით ვის ტიროდითო. მე ვუთხარი: ჩვენ პოეტები ვართ, ამ ორი თვის წინათ მამა მომიკვდა და იმას ვტიროდით-მეთქი. თქვენ კარგი მარა, ისინი ვინ იყვნენო. ისინი ჩემი მეგობრები არიან-მეთქი. მან პირჯვარი გადაისახა, ორმოცი წლის კაცი ვარ და ასეთი რამ აქამდე არც მინახავს და არც მსმენიაო. მე ფული მივაწოდე, რადგან თვითონ არ თქვა რამდენს მთხოვდა. ჩემი ანგარიშით ორმაგი მივეცი. მან ისევ გაიპატიყა, მაგრამ ძალად ჩავუღე ხელში.

ერთ ზაფხულს ქვიშხეთის მწერალთა სახლში წავედი. იმ წელს იქ ოჯახებით ისვენებდნენ ტიციან ტაბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, პავლე ინგოროყვა, მიხეილ ჯავახიშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ალექსანდრე აბაშელი, არისტო ჭუმბაძე, ლევან ასათიანი და სხვები.

ყველანი ძალიან შეხმატკბილებულად ვიყავით, იმართებოდა ახალი ნაწარმოებების კითხვა, შეჯიბრებები ნარდში და ჰადრაკში, ნარდის თამაშის ჩემპიონები იყვნენ პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე და ტიციან ტაბიძე. ხშირად იწყებოდა საერთო სუფრა, დავდიოდით ექსკურსიებზე ახლომახლო სოფლებში. ერთი სიტყვით, დროს კარგად ვატარებდით. მახსოვს, ჭიდაობაც იმართებოდა მწერლებს შორის. ერთხელ მიხეილ ჯავახიშვილი და არისტო ჭუმბაძე დაექიდნენ ერთმანეთს, არისტომ სძლია.

ქვიშხეთში რომ ავედი, მე ნაავადმყოფარი ვიყავი და ძალიან გამხდარი. ვახტანგ კოტეტიშვილმა ხუმრობა დამიწყო — ძალიან ვაქყა-ცურად გამოიყურები, მოდი ერთი დამეჭიდეთო. მე ვუთხარი, ახლა არა,

მაცალე ცოტა, დავისვენო და ერთი კვირის შემდეგ დაგეჭიდები-მეთქი მწერლებს გართობა უნდოდათ და პირობა დაგვადებდის რომ ვიქილავებდით. ის დღე კვირა იყო და გადაწყდა, შემდეგ კვირას გვეჭიდავა. მე გაძლიერებულ კვებაზე ვიყავი, თანაც სისტემატურად ვეარჯიშობდი, ეს საერთოდ, არა იმიტომ რომ კოტეტიშვილთან საჭიდაოდ ვემზადებოდი. კვირაც მოვიდა, ჩვენ: ვახტანგ კოტეტიშვილი, ტიციანი, რაჟდენ გვეტაძე და სხვები ისევ მწერალთა სახლის ეზოში ვიყავით. კოტეტიშვილმა სიცილით მომაგონა, როგორ ხარ პირობაზე, დამეჭიდები თუ არაო, ახლა ხომ დასვენებული ხარ და მართლა ვაკაცური ფერი დაგდებიაო. მე მივუგე, გამოდი, ვიქიდაოთ-მეთქი. კოტეტიშვილმა ისევ ხუმრობა დაიწყო: შენ რომ მოგერიო, რა სახელი დამრჩება და თუ შენ წამაქცევ, ხომ სამუდამოდ მომეჭრა თავი, ვერ დაგეჭიდებო.

ტიციანმა მითხრა, აბა მე დამეჭიდევო. ტიციანი 100 კილოს იწონიდა, მე კი 64-ს. ვიცოდი, მკლავში დიდი ძალა ჰქონდა, მაგრამ მე ჩემი სისწრაფის იმედი მქონდა და დავთანხმდი.

კოტეტიშვილმა შემოხაზა საჭიდაო წრე და გავედით ფალანგები. მე ვცდილობდი, წრიდან არ გავქცეულიყავი, მაგრამ მკლავებშიაც არ ჩავვარდნოდი. ხელს ხელში წავატანდი, მოვქაჩავდი, წამოვუჩოქებდი, მერე ხელს გამოვსტაცებდი; ტიციანი თავისი სიმძიმის გამო თავს ვერ იკავებდა და ძირს ეცემოდა. წამოდგებოდა, ისევ შევეჭიდებოდით, მაგრამ ხელს ხელიდან სწრაფად გამოვსტაცებდი და ისევ წრეში ვტრიალებდი. ტიციანი მალე დაიღალა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, გული ამოასკდა. საქმეში მისი მეუღლე ნინა ჩაერია და გავეთიშა.

ჩვენმა არბიტრმა — კოტეტიშვილმა ჭიდაობა ფრედ დამთავრებულად ჩასთვალა და მოგვიწოდა „მალარიჩი“ გადაგვეხადა, რომ ერთავენი გადავრჩით სირცხვილს. გავშალეთ პურ-ღვინო და პირველად ტიციანის და ჩემი სადღეგრძელო დაიღია, როგორც „უძლეველი ფალანგების“...

მას შემდეგ ტიციანი აღარ მინახავს.

## მოგონებები გიორგი ლეონიძესა და ვალერიან გაფრინდაშვილზე

ჩვენი მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულ ნოგონებათა მდიდარი ფონდებიდან გთავაზობთ მოგონებებს გიორგი ლეონიძესა და ვალერიან გაფრინდაშვილზე, რომელიც ჩაიწერა ციური ხეთერელმა 1966 წელს.

გ. ლეონიძის ბავშვობის შესახებ მოგვითხრობს ნინოწმინდელი მე-ლიტონ ასრათაშვილი, ხოლო ვ. გაფრინდაშვილის ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტებს გადმოგვცემს ვ. გაფრინდაშვილის სიძე (დის ქმარი) — ექიმი ალექსანდრე კანდელაკი.

ლუიზა ინგოროვა

ალექსანდრე კანდელაკი

## მოგონებები ვალერიან გაფრინდაშვილზე

ო ჯ ა ხ ი

ვალერიან გაფრინდაშვილი დაიბადა 1889 წ. პედაგოგ ივანე გაფრინდაშვილის ოჯახში. ვალერიანის მამა იმ დროისათვის ერთ-ერთი გამოჩენილი, საკმაოდ განათლებული ადამიანი იყო. მან უმაღლესი განათლება მიიღო კიევის სასულიერო აკადემიაში, ნიკო ლომოურთან და მომავალ კათოლიკოს კირიონთან ერთად — 70-იან წლებში. მას შემდეგ იგი განაგებდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს, რომელიც მოთავსებული იყო ბაგრატიის ტაძრის მახლობლად.

დედას მიღებული ჰქონდა შინაური განათლება, ფრიად სათნო და კეთილი ბუნების ქალი იყო.

ოჯახში ვალერიანი მეორე შვილი იყო, სულ რვა შვილი ჰყავდა გაფრინდაშვილების ოჯახს. მისი ძმა, რომელიც 3 თუ 4 წლით უმცროსი იყო მასზე — დავით ივანეს ძე გაფრინდაშვილი — ბავშვობიდანვე ძალიან ტკბილ და მეგობრულ განწყობილებაში იყო ვალერიანთან. მას დამთავრებული ჰქონდა ოდესის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. ასწავლიდა ქუთაისის საშუალო სკოლაში რუსულ და ლათინურ ენებს, ისტორიას, გეოგრაფიას, შემდეგ კი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობდა.



დავითი იყო უმწიკვლო, ღრმად განათლებული, გულისხმიერი, ენერგიული ადამიანი; იგი მუდამ ხალისითა და ენერგიით იღწვოდა მოსწავლე ახალგაზრდობის განათლებისათვის.

და ვალერიანისა, ვარვარა გაფრინდაშვილი-კანდელაკისა, პროფესიით ექიმი, მეტად სათნო და პოეტური ბუნების ადამიანი იყო. აი, როგორ იგონებს მას საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ნინო შიშნიაშვილი: „ეს მაღალი სულის ადამიანი მხიბლავდა მე განსაკუთრებული გულწრფელობით, პირდაპირობით, უბრალოებით, თავმდაბლობით. მას დიდად აინტერესებდა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხები, გამოთქვამდა ყურადსაღებ შენიშვნებს, როგორც ქართული, ისე რუსული და უცხოური ლიტერატურის შესახებ. მახსოვს მისი შინაარსიანი მოსაზრებები გალაკტიონის, ლეო ქიაჩელის, გიორგი ლეონიძის, ლიონ ფოიხტვანგერის, ერნესტ ჰემინგუეის, შტეფან ცვაიგისა და სხვათა შემოქმედების შესახებ.“

განსაკუთრებით ხიბლავდა ვაჟა-ფშაველა, უყვარდა ვაჟას სწორ-უპოვარი შემოქმედება, ხშირად წამოიწყებდა ხოლმე ვაჟას უკვდავი სტრიქონების გზნებით კითხვას.

უეჭველია, ვარვარა შემოქმედებითი ნიჭით იყო დაჯილდოებული, მახსოვს მისი ექსპრომტად წარმოთქმული ორიგინალური ლექსი და შინაარსიანი ნოველა. მართალია, მას არ დაუტოვებია საკუთარი ნაწერები, სერიოზულად არასოდეს უცდია მუშაობა ამ მიმართულებით, მაგრამ უდავოა, რომ ეცადა, უსათუოდ დატოვებდა სათანადო კვალს.

ვარვარას თავდავიწყებით უყვარდა თავისი ძმა ვალერიანი, მუდამ მორიდებით ლაპარაკობდა მის შესახებ. ძალიან უხაროდა, როდესაც ვალერიანის შემოქმედებას ვინმე შეაქებდა. მახსოვს, როგორ ესიამოვნა, როდესაც ხაზგასმით აღვნიშნე, რომ ძალიან მომწონს ვალერიანის ძარღვიანი ქართული. ვალერიანის გარდაცვალების შემდეგ ის აღარ იხსენებდა მას, თითქოს ეშინოდა მოგონებისა“.

**სწავლის პერიოდი**

ვალერიანი შეიყვანეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც ქართული ენა თითქმის სულ არ ისწავლებოდა, სამაგიეროდ გიმნაზიაში დამკვიდრებული იყო ძველი ენები: ლათინური, ბერძნული, აგრეთვე, ფრანგული.

როდესაც გაფრინდაშვილების ოჯახს დაეუახლოვდი, ვალერიანი მაშინ 15—16 წლის იქნებოდა. მან თავისი არაჩვეულებრივი განათლებით თავიდანვე მიიქცია ჩემი ყურადღება. შეიძლება ითქვას, ვალერიანი ქუთაისში ერთადერთი პიროვნება იყო, რომელიც სიმბოლისტურ მიმდინარეობასა და მის მწერლებს იცნობდა. იგი მონდომებით, დიდი



გატაცებით კითხულობდა სხვადასხვა წიგნებს, ჟურნალებს და ლექსებს რუსულად. ბავშვობიდანვე წიგნით იყო გატაცებული, მისთვის ყოველგვარი ბავშვური სიცელქე უცხო იყო, უყვარდა მხოლოდ ტანვარჯიში, ასე რომ, მისი სულიერი მოთხოვნები მთავარი საგანი თავიდანვე და სიცოცხლის ბოლომდე წიგნი იყო.

გიმნაზიაში ვალერიანი მათემატიკურ საგნებს გაურბოდა, უფრო ეწაფებოდა ლიტერატურას, ისტორიას და სხვა. როდესაც იგი ამთავრებდა გიმნაზიას, მან მათემატიკურ საგნებში ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი ნიშანი და საბჭოში დადგა საკითხი მისი ატესტატის მიცემის შესახებ. რუსული ენის ძველმა მასწავლებელმა იურკიევსკიმ საბჭოს სხდომაზე განაცხადა: „გაფრინდაშვილს უსათუოდ უნდა მიეცეს ატესტატი, ვინაიდან მან რუსული ენა და ლიტერატურა ისე კარგად იცის, რომ ასეთი მოსწავლე ათეული წლების განმავლობაში არ შემხვედრიაო“.

ვალერიანმა მიიღო ატესტატი და 1908 წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში. პირველ წელს იგი ცხოვრობდა ჩემთან ერთად. უნივერსიტეტში უსმენდა ლექციებს ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტებზე.

დამთავრა იურიდიული ფაკულტეტი — 1914 წელს.

ამ პერიოდში მოსკოვში არსებობდა ლიტერატურული — სამხატვრო საზოგადოება, რომელსაც მეთაურობდა ჩვენი თანამემამულე — მსახიობი სუმბათაშვილი-იუჟინი. ეს საზოგადოება ყოველ სამშაბათს მართავდა თავის კლუბში ლიტერატურულ საღამოებს. აქ გამოდიოდნენ უმთავრესად იმ დროის ლიტერატურის ბელადები — ბრიუსოვი, ბელი, ბლოკი, ბალმონტი და სხვები. ხშირად იმართებოდა კამათი. ამ საღამოებზე ჩემთან ერთად ვალერიანიც დადიოდა. ამავე დროს იგი ხშირად იჭდა საჯარო ბიბლიოთეკაში, ეწაფებოდა მხატვრულ ლიტერატურას, კითხულობდა ძალიან ბევრს. გამუდმებით მუშაობდა, შეიძლება ითქვას, შეუსვენებლივ, ღამეებს ატარებდა წიგნის კითხვაში.

სტუდენტობის დროს მას უკვე ჰქონდა საკმაო რაოდენობის რუსული ლექსები. ჩემი დაქინებითი თხოვნით მან ეს ლექსები დასაბეჭდად მიუტანა ჟურნალ „Вестн“-ს რედაქტორს ვალერი ბრიუსოვს, რომელმაც მოიწონა ვალერიანის ლექსების ენა და სტილი და, როგორც მახსოვს, ერთი-ორი ლექსი ჟურნალის რომელიღაც ნომერში მოათავსა.

### მოსკოვიდან ღაბრუნების შემდეგ

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვალერიანი სამშობლოში გამოემგზავრა. მან ქუთაისში დაიწყო მუშაობა ახლად გახსნილ მეორე გიმნაზიაში. ასწავლიდა რუსულ ენას. ახალგაზრდები დიდი გატაცებით უსმენდნენ თურმე მას. მისი ლექციები ისეთი ბრწყინვალე ყოფილა,

რომ როგორც გიმნაზიის ყოფილი მოსწავლე, ამჟამად ექიმი, გრიგოლ გურგენიძე ვადმოგვცემს, იგი ქართველს კი არა, შესანიშნავ რუს პრინციპალს შეედრებოდაო.

ამ დროს ვალერიანი რუსულად წერდა ლექსებს. რუსი მწერლები თხოვდნენ, გაეგზავნა მათთვის თავისი ნაწერები დასაბეჭდად, მაგრამ იგი უარზე იყო, ამბობდა ხოლმე — „არა, ჯერ ქართულად დაიბეჭდოსო“. მან ვადაწყვიტა ქართულ ენაზე აემეტყველებინა თავისი პოეზია. ამ საქმეში, როგორც ვიცი, მას დაეხმარა მისი მამა — უკვე ხანდაზმული, მაგრამ ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე, ივანე გაფრინდაშვილი, და აი, 1915 წელს ვალერიანმა შეადგინა ახალგაზრდა პოეტების ჯგუფი და დაარსდა ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“. ამ საქმეში მას ეხმარებოდნენ მასზე ბევრად ახალგაზრდა პაოლო იაშვილი, სანდრო ცირეკიძე, ტიციანი მოსკოვში იყო და იქიდან ჰქონდა ამ ჯგუფთან მიმწერა.

„მეოცნებე ნიამორების“ გამოჩენამ საქართველოში ერთგვარი რეაქცია მოახდინა და, როგორც შემდეგ გავიგე, ფილიპე მახარაძემ გაზეთში სპეციალურად კრიტიკული წერილი მოათავსა ამის კვლობაზე.

მე იმ პერიოდში ლენინგრადში ვმუშაობდი ექიმად და როცა 1918 წელს ხანმოკლე დროით ჩამოვედი გაფრინდაშვილების ოჯახში, რომელთანაც უკვე მაკავშირებდა ნათესაობა, დამხვდა ეს ახალი ლიტერატურული ამბავი საქართველოში.

„მეოცნებე ნიამორებში“ დაიბეჭდა ვიორჯი ლეონიძის ლექსი (არ მახსოვს რომელი), რომელიც მოიწონა ტიციან ტაბიძემ და თავის კრიტიკულ მიმოხილვაში ამ ლექსის ახალგაზრდა ავტორს დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

### ბალმონტი და ვალერიან ვაჟინდაშვილი

ლენინგრადში, სადაც მე იმ დროს ვმუშაობდი, როგორც კლინიკის ორდინატორი, ბალმონტმა წაიკითხა საჯარო ლექცია რუსთაველის შესახებ. ამ ლექციას დავესწარით მე, ჩემი მეუღლე ვარვარა და სხვა იქ მყოფი ქართველები. ლექციაზე ბალმონტმა მოგვითხრო, თუ როგორ გაცნო ის „ვეფხისტყაოსანს“, მოგვითხრო მისი მარჯორი უორდრობთან შეხვედრის ამბავი, და აქვე ხაზგასმით ილაპარაკა ქართული ენის თავისებურებაზე, მის ბუნებაზე, განსაკუთრებულ ჟღერადობაზე. მახსოვს, მაგალითიც მოიყვანა აზრის ნათელსაყოფად: სიტყვა „пушка“ რუსულად ზარბაზანს ნიშნავს, რუსულად ამ საგანს სუსტად გამოხატავს იგი, ქართულში კი შესანიშნავი შესატყვისია — ზარბაზანი, ქვემეხი, ასეთივე აზრი გამოთქვა სიტყვა „გრდემლზეც“.

ბალმონტმა სპეციალურად იმოგზაურა საქართველოში, სადაც ის შეხვდა ქართველ მწერლებსა და პოეტებს, ბაგრატიის ტაძრის ახლოს

მან სურათიც გადაიღო ქართველ მწერლებთან ერთად, გადაღებულ ფოტოებს დაახლოებით 25 კაცი. ეს შეხვედრა საინტერესოდ აქვს ვალერია ალწერილი.

ბალმონტზე მოგონებაში ვალერიანი წერს: „მე მინდა ჩავწერო ყველა ის სიტყვა, ჩემთვის ძვირფასი ყველა სიტყვა, რომელიც ჩემს მიმართ აქვს ბალმონტს ნათქვამი, ისინიც კი, რომელიც მე არ დამიმსახურებია.“

მე შეეხვედი ბალმონტს რიონის სადგურში გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად. როდესაც სადგური გავიარეთ, მე შევძელი მომეგონებინა ბალმონტისათვის, რომ მე მას პირველად მოსკოვში შეეხვედი ბრესტის სადგურში, როდესაც ის საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა.

„ეს იყო ორი წლის უკან, — თქვა პოეტმა და დასძინა, — ეს იყო ლამაზი შეხვედრა“.

მეორე დღეს კაფე „რიონის“ წინ შეეხვედი დიასამიძესა და პაოლო იაშვილს და მითხრეს, რომ ბალმონტი აღტაცებულია ჩემი სონეტით და უნდა ჩემი მეორედ გაცნობა.

გავემართეთ სასტუმროსაკენ. მე ვლელავდი და ვთრთოდი სიხარულისაგან. იგი სწრაფად მოვიდა ჩემთან, ჩამომართვა ხელი და მითხრა: „მე დიდად მადლობელი ვარ, შესანიშნავი სონეტია, ცოტა ხნის პაუზის შემდეგ დაუმატა, — მომხიბლავია“. მე ვუპასუხე ღრმად თავის დაკვრით და ისე ვიყავი აღელვებული, სიტყვაც ვერ დავძარი. ყოველი ქების შემდეგ თავს ვხრიდი მხოლოდ, როგორც მონა მეფის წინაშე. მან ღრმად ამოისუნთქა და მითხრა შემდეგ: „მე კი არა, თქვენ უნდა თარგმნოთ რუსთაველი“. მე ისევ ვდუმდი.

ბალმონტმა მთხოვა, მიმეტანა მისთვის იმ გაზეთის 5—6 ეგზემპლარი, რომელშიც ეს სონეტი იყო დაბეჭდილი: „მე გავუგზავნი მას წასაკითხად ჩემს მეგობრებსო“.

— უდიდესი სიამოვნებით, — ვუპასუხე მე.

პაოლოს ხელით ბალმონტს გავუგზავნე გაზეთის 9 ეგზემპლარი და გავიგე, რომ ბალმონტმა გაუგზავნა წერილთან ერთად ეს ლექსი თავის მეუღლეს პარიზში.

მეორე დღეს ბულვარში შეეხვედი გაზეთის რედაქტორს, აკაკის ახლო მეგობარს გრ. დიასამიძეს, რომელმაც მითხრა: ბალმონტი სულ შენ გიგონებდა და გაოცებულია, რომ ქართველმა შეძლო, ასე კარგად დაეწერა სონეტი. ყველა რუსი პოეტი ასე სწორად ვერ წერს სონეტსო, გადმომცა ბალმონტის ნათქვამი პაოლომ. მხოლოდ ერთი სიტყვა არ მოეწონა ბალმონტს „Буахью“ — თქვა პაოლომ და მანვე აღნიშნა, რომ განუმარტავს ბალმონტისათვის, რომ ეს სიტყვა ხშირად არის ნახსენები ჩემს ლექსებში.

საღამოს, როცა ბალმონტის ლექციაზე ვიყავი, პაოლომ მითხრა —

წიგნის გამყიდველმა კვიციანიძემ მიუტანა ბალმონტს აკაკის წიგნის რუსული გამოცემა და მან ყურადღება მიაქცია ჩემს თარგმანს. აქვე ნახა მან ჩემს მიერ რუსულად თარგმნილი ბარათაშვილის ლექსების წიგნი.

ბალმონტისათვის სპეციალურად გამართულ ბანკეტზე გრ. დიასამიძემ წაიკითხა ჩემი ლექსი ბალმონტზე. მე არ შემეძლო ლექსის დეკლამაცია მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე, ბალმონტმა თავი დამიკრა მადლობის ნიშნად და ყველა იმათაც, რომელნიც არ მიცნობდნენ. მეც ასეთივე მადლობით ვუპასუხე მათ. შემდეგ ლექსი ვარლამ რუხაძემ წაიკითხა. როდესაც მან კითხვა დაასრულა, კიტა აბაშიძე, რომელიც ბანკეტს ესწრებოდა, წამოდგა და მიუბრუნდა ბალმონტს სიტყვებით, რომ მე რუსულად არ უნდა ვწერდე, რომ მე შემიძლია უკეთესად გამოვთქვა ჩემი გრძნობა ქართულ ენაზე, როგორც ეს რუხაძემ გააკეთა.

ბალმონტმა უპასუხა მას: „უზადოა“, „შეუღარებელი“.

ჩვენ: პაოლომ, წულუკიძემ და სხვებმა რიონამდე გავაცილეთ ბალმონტი. გზაში იგი აღფრთოვანებით კითხულობდა ლექსებს. შემდეგ წინადადება მომცეს, მეც წამეკითხა. წავეკითხე რამდენიმე ლექსი, ბალმონტმა მოხოვა წამეკითხა ლექსი გამსჭვალავი, სატრფიალო. მე წავეკითხე „მისი ხელთათმანები“, ბარათაშვილის „საყურე“. — არ ვიცი, რომელი ლექსის შემდეგ, მან მითხრა: თქვენი ლექსები ძალიან ვნებიანიო.

შემდეგ ბალმონტი და ჩვენ ყველანი მოხიბლულნი ვუსმენდით პაოლოს, რომელიც მეტად შთამბეჭდავად, მიმზიდველად კითხულობდა ლექსს.

კითხულობდა ბალმონტიც, ლექსის მესამე სტრიქონში მან რუსთაველი ახსენა, მეოთხეში — მე და იაშვილი:

«Как нежный лепет колыбели.  
Как странный шорох птичьих крылий,  
Люблю содружных Руставели  
Гаприндашвили и Яшвили».

ანთებული ვიყავით ბალმონტის შესანიშნავი ექსპრომტით.

პაოლომ სთხოვა მას, დაეწერა ეს ოთხი სტრიქონი, მიაწოდა ფანქარი და რიონის სადგურში ბალმონტმა შეუსრულა მას ეს თხოვნა. გადაქარბებით ოთხი სტრიქონი კიდევ დაუმატა. ეს ლექსი შემდეგ დაიბეჭდა ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“.

გამომშვიდობებისას ვუთხარი ბალმონტს: „მე უფლებას ვაძლევ ჩემს თავს, გადაგიხადოთ დიდი მადლობა იმ ყურადღებისათვის, რომლითაც თქვენ გამაბედნიერეთ სამუდამოდ“. მან ხელი ჩამომართვა და გადამოკცნა.



ვალერიანთან ახლო, მეგობრულ განწყობილებაში იყვნენ ქართველი პოეტები, მწერლები, მხატვრები — პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, სანდრო ცირეკიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, სერგო კლდიაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, კოლაუ ნადირაძე, ვასო გორგაძე, სანდრო შანშიაშვილი, შალვა აფხაიძე, ლადო გუდიაშვილი.

მას ახლო კავშირი ჰქონდა ბევრ რუს მწერალთან. მე, როგორც ვალერიანის ახლობელი ნათესავი და მეგობარი, ხშირად ვიმყოფებოდი მასთან და შევხვედრივარ პასტერნაკს, ზაბოლოცკის, მაიაკოვსკის, რომელსაც მე ადრევე ვიცნობდი მოსკოვში ყოფნის დროს. მისი საშუალებით შემთხვევა მქონდა გავცნობოდი ქართველ პოეტებს: პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, სანდრო ცირეკიძეს, კოლაუ ნადირაძეს და სხვებს.

### პოეტის ხასიათი

ბუნებით ვალერიანი ზედმეტად თავზიანი იყო, თავდაჭერილი, შეიძლება ითქვას, თითქმის მორცხვიც. ძალიან მოსიყვარულე იყო ოჯახისა, ამხანაგებისა. მე მოწმე ვაგხდი იმისა, თუ როგორ განიცადა მან თავისი ახლო მეგობრების — პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის უღროო, ტრაგიკული დაღუპვა. მე, როგორც მისი ახლობელი ნათესავი, როგორც ექიმი თვალყურს ვადევნებდი ვალერიანის ჯანმრთელობას და ვიცი, როგორ იმოქმედა ამ გარემოებამ მის ავადმყოფ გულზე.

ვალერიანი ღრმად გულჩათხრობილი პიროვნება იყო, რასაც ჩაიფიქრებდა, მწვავედ განიცდიდა, ყოველმხრივ შეაფასებდა, აჩქარებით არაფერს დაასკვნიდა.

მე ბევრჯერ გამიგონია მისგან რომელიმე ახლად ჩაფიქრებული სონეტის შინაარსი, მაგრამ მას მრავალჯერ შეასწორებდა, მხედველობაში მიიღებდა ზოგიერთ ჩემს შენიშვნასაც, ასეთივე იყო ის თავისი მეგობრების შემოქმედების მიმართაც.

### ვალერიანი „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში

ვალერიანი თავის ავტობიოგრაფიაში გადმოგვცემს: ვმუშაობდი თითქმის ყველა ქართულ ჟურნალსა და გაზეთში — „მნათობში“, „კომუნისტში“, რამდენიმე წელს ვიმუშავე გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ლიტერატურული განყოფილების თანამშრომელ რედაქტორად.

ამ პერიოდში, როგორც პოეტის ნათესავი, პროფესორი ალექსანდრე კანდელაკი გადმოგვცემს, ვალერიანმა ქართული ლექსების ბეჭდვა დაიწყო. ის უკვე განთავისუფლდა ძველი იდეალისტურ-სიმ-



ბოლისტური მსოფლმხედველობიდან და დაადგა რეალისტური მწერლობის გზას. მე, როგორც მარქსისტი, მისი პრინციპული მოწინააღმდეგე, სიამოვნებით ვამჩნევდი პოეტის ამ წინსვლას, ეს მისმა ლექსებმაც ნათელყვეს.

თვითონ ვალერიანი აღნიშნავს მის ავტობიოგრაფიაში — „ჩემს ერთ-ერთ სტატიაში წამოვწიე ლოზუნგი „დაბრუნება მიწასთან“, რომელიც მოწოდებული იყო რეალიზმისა და თანამედროვეობისადმი“. მართლაც, პოეტის გზა ვალერიანმა პირნათლად გაიარა, — განაგრძნობს პროფესორი ალექსანდრე კანდელაკი, — მისი თარგმანები, ქართულიდან რუსულ ენაზე და რუსულიდან ქართულზე, უსათუოდ უნდა ჩაითვალოს მის დიდ დამსახურებად.

მედიტონ ასკათაზვილი

მოგონებები გიორგი ლეონიძეზე

„ლურჯი ია“

გოგლა სამი-ოთხი წლისა იქნებოდა, როცა იმათ ოჯახში მიმიყვანეს მოჯამაგირედ. სამნი ძმანი და ორნი დანი იყვნენ. დედა სოფიო გულისაშვილის ქალი, მეტად სათნო, წყნარი, კეთილი ხასიათისა იყო. გულისაშვილები შთამომავლობით კეთილი ადამიანები იყვნენ, ისინი დღესაც დიდი პატივით მოიხსენიებიან სოფელში. მე დედ-მამა მყავდა, შემეძლო სახლში წავსულიყავ დასაბან-დასარეცხად, მაგრამ სოფიო არ მიშვებდა, — თუ ჩემს შვილებს ვუვლი, შენ რად ვერ მოგივლიო, — მეტყოდა ხოლმე, — სამი დღე რომ არ მივსულიყავ სახლში, ჩემი ულუფა თავდახურული ისევ ისე შენახული ჰქონდა, ხელს არ ახლებდა. ნინოწმინდელი მოხუცის მოგონების სიტყვებზე უნებურად გავიფიქრე, ალბათ, სათნოების ამ უღრმესმა ძალამ თუ შექმნა ხალხური ლექსი-მეთქი:

დამტირალ — შემბრალებელი  
 ობლისა — დაჩაგრულისა,  
 ის ერთნაირად უვლიდა  
 თავისასა და სხვისასა.

— მოჯამაგირე კი არა, ბატონივით ვიყავ, ბავშვებს უფროს ძმასავით მივაჩნდი, ყველაფერს მიჭერებდნენ, — აბა, ხარები წაასხი, წყალი და-ალევიწე, აბა „პოვოსკა“ დასცალე, — ვეუბნებოდი. ისინიც აკეთებდნენ ამასა, მე კი ვმუშაობდი, არა ვცდებოდი. სოფიოც მეხმარებოდა, მართალია, მღვდლის ცოლი იყო, მაგრამ არ უკადრისობდა. უბრალოდ, გლახებოვით ცხოვრობდნენ.



და-ძმები სიყვარულით იყვნენ ერთმანეთში. სულ მხიარუდები იყო მაგათ სახლში, თითქო ყოველდღე ლბინი იყო გამართული.

პატარაობისას გოგლას თეთრი ლოყები ჰქონდა, ფერმკრთალი იყო, ქერათმიანი. დედაც ასეთი ფერისა იყო. ლურჯი თვალები ჰქონდა, „ლურჯი ია“, „ლურჯი ია“ — ასე ეძახდნენ ხოლმე პატარა გოგლას. ხშირად მოვეფერებოდი, ავიყვანდი ხელში, ტირილი იცოდა, როგორც კი ატირდებოდა დედამისი, სოფიო, მეტყუოდა:

— აბა, უამბე რამე ზღაპარი, იქნებ გაჩერდესო. მეც დავიწყებდი ზღაპრის მოყოლას, იგი მაშინვე თავს ანებებდა ტირილს და მთელი გულისყურით მისმენდა.

განსაკუთრებით „სამი ძმის ზღაპარი“ უყვარდა, — სამნი ძმანი იყვნენ, სამი ხარი ჰყავდათ. წავიდნენ თბილისში, შეშა წაიღეს. ლოჭინს რომ მიადწიეს, დაწვინენ და დაიძინეს. გამოიღვიძეს, ხარები აღარსად არის. ძმები გულთმისნები არიან. ადგნენ, გასწიეს თბილისისაკენ. ერთი ძმა ამბობს, — აგე, თათარი! მეორემ თქვა, — თუ თათარია, ალია ჰქვია, მესამემ — თუ ალია ჰქვია, ჩვენი ხარების მპარიაო. დაერივნენ ამ თათარსა.

— ნუ მომკლავთო, — შეეხვეწა ძმებს თათარი, — სასამართლოში წავიდეთო.

მივიდნენ მოსამართლესთან.

მოსამართლემ როცა შეიტყო მათი ამბავი, ჰკითხა ძმებს, — რით აბრალებთ ამ თათარს, რომ თქვენი ხარების მპარიაო?

მაშინ ძმებმა დაიწყეს:

— ეგ კაცი თათარია!

მეორემ თქვა: — თუ თათარია, ალია ჰქვია!

მესამემ — თუ ალია ჰქვია, ჩვენი ხარების მპარია არისო.

— წადით აბა, — უთხრა მოსამართლემ ძმებს.

მოსამართლეს კომშის ტოტი ჰქონდა, ამოიღო ეს კომშის ტოტი და უთხრა ძმებს: — აბა, რა არის, გამოიცანითო.

— ხის კენწეროაო, — უთხრა ერთმა ძმამ.

— თუ ხის კენწეროა, კომში იქნებაო, — უთხრა მესამემ.

მოსამართლეს მოეწონა ძმების მახვილგონიერება და მისცა სამივე ძმას ხარები. ძმებმა გამორეკეს ხარები და მხიარულად წამოვიდნენ შინისაკენ.

როცა ზღაპრის მოყოლას დავამთავრებდი, არასდროს არ მთხოვდა, აბა, კიდევ მიამბე რამეო, უკვე დამშვიდებული იყო და ფიქრობდა ამ ზღაპარზე.

წერა-კითხვა გოგლამ ძალიან ადრე შეისწავლა. ოთხი-ხუთი წლისა ის უკვე კითხულობდა. უყვარდა ხატვაც. სულ ერთთავად ქაღალდებს ჩაჰკრკიტებდა, არაფერს ყურადღებას არ აქცევდა. თამაშობას არ მისდევდა მაინცადამაინც. როდესაც კითხვით დაიღლებოდა, თავს არ

განებებდა, ჩაიჩოქებოდა მუხლებზე და ისე განაგრძობდა კითხვას — მიტო, მოდი, მოდი, ისწავლე, — მეტყობდა ხოლმე, მეც ვუსმენდი ზოგჯერ, მაგრამ წიგნისაკენ არ მიმიწევდა გული. ხან ყურს დაუგდებდა ჩიტების გალობას.

ერთხელ, დილით, გოგლა გახარებული მივარდა დედას:

— დედი, დედი!

— რა იყო, შვილო?

— შაშვი გალობს!

— არა მცალია, დაიცა, შვილო, — მიუგო საქმეში გართულმა დედამ.

— არა, გამოდი, ჩქარა, შაშვი გალობს!

— შაშვი სულ გალობს, შვილო, — სიცილით უთხრა დედამ.

შინ ყველანი ვიცინოდით პატარა გოგლას საქციელზე.

ჯილაურიანთ სახლებში ხშირად დამყავდა პატარა გოგლა. იქ წარმოდგენებს აწყობდნენ ხოლმე. გოგლა მაშინ პატარა მაყურებლის როლს ასრულებდა, როცა მოიზარდა, შემდეგ თვითონაც მონაწილეობდა წარმოდგენებში.

გოგლა მეტად კარგი ბუნების ბავშვი იყო, ცნობისმოყვარე, გონებაგახსნილი, მაგისგან ჩხუბი, ცემა ამხანაგებისა, გაბუტვა, მოუსვენრობა არ გამოვიდა.

ლეონიძეებს იორზე ჰქონდათ ვენახი. ვაზი მზვარეზე, ივრის პირას იყო გაშენებული, იქ, სადაც წინათ გოგლას დეიდა, მაიკო, ცხოვრობდა. ახლა აქ კიკნაძიანთ სახლობდა. ვენახი ჰქონდათ ზემო უბანშიც, აქ ხორბალსაც ვთესდით ხოლმე. ზაფხულობით, არდადეგების დროს, როცა გოგლა თავისუფალი იყო, დამყავდა იორზე, ახალსოფელში, საღობის ჭალაში.

ერთხელ, ზემოუბნის ვენახში, სადაც ხორბალი გვეთესა, გოგლაც მახლდა. ვენახში ძალიან გახარებული იყო, უყვარდა მსხმოიარე ვაზის დანახვა. იგი ახლაც სიამოვნებით შეჰყურებდა ქარვისფერ მტევნებს და მეკითხებოდა, — რომელი ვჭამო.

— ჩვენი არ არის? — ვინ დაგიშლის, რომელიც გინდა, მოწყვიტე და ჭამე-მეთქი, — ვუთხარი.

ვენახში თუმცა ხილი ბევრი იყო, მაგრამ, რომ უფრო მესიამოვნებინა, დავუკრეფდი და მოვუტანდი მაყვალს, კვრინჩხს.

მახსოვს, ერთხელ იორზე წავედით ვენახში სამუშაოდ. შაბიამანი წავიდეთ, ვაზი უნდა შეგვეწამლა. მდინარის პირას რომ მივედით, ლევანმა, გოგლას უფროსმა ძმამ, გვითხრა:

— დავწრიტოთ ეს ტოტი, თევზი იქნება აქაო.

დავწრიტეთ. ბევრი დრო მოვანდომეთ ტოტის დაწრეტას. ბევრი თევზი დავიჭირეთ. გოგლას უხაროდა ცოცხალ-ცოცხალი თევზების



დანახვა, ხან ერთს წაეტანებოდა, ხან მეორეს. შაბიამანი უკანვე ვიღეთ და წამოვედით.

— რატომ ვენახი არ შეწამლეთ?! — გვკითხა სოფიომ გაკვირვებით. მერე მე გადმოვხედა:

— თუ ესენი ბავშვები იყვნენ, შენ ხომ ამათზე უფროსი იყავ, შენ რალა მოგივიდა?!

დიდი ღრო დასჭირდა ტოტის დაწრეტას, თევზი იყო ბევრი-მეთქი — ვუთხარი. ფშატის ხის ქვეშ შევწვით თევზები, ზოგიც მოვხარშეთ. სოფიოსაც გაეხარდა, აღარ იწყინა ჩვენი მოცდენა.

მკათათვე იყო. სოფიოს კაკაბელები ჰყავდა მოყვანილი ყანაში სამუშაოდ. რვა კაცი იყო. თითო მუშა ერთი მანეთი ღირდა ყანაში დღეში. კასრით წყალი წავიღეთ, გოგლაც წავიყვანე. როდესაც მუშაობაში ვიყავით გართულნი, გოგლას „კრანტი“ გამოეძრო კასრიდან, ხელებს წყალში ჰყოფდა, წყალს ძირს ასხამდა. მუშებს დასალევი წყალი აღარ დარჩათ — აი, ეს მოვრწყე, ნახე! — მითხრა.

გავუჭავრდი, — ეს რა გიქნია, წადი, ახლავე ხარები მორეკე-მეთქი. წყალი მოშორებით იყო, ავავსეთ წყლით კასრი, ავკიდეთ ხარებს და მოგუტანეთ მუშებს.

ყანა გავათავეთ, საღამოს ძნა დავუდეთ ურემს და წამოვედით. მინ რომ მივედით, გოგლა მაშინვე დედასთან მივიდა და უთხრა:

- დედა, დღეს მელიტონა გააჯავრე.
- რათა, შვილო, რად გააჯავრე? — ჰკითხა სოფიომ.
- გამოვაძრე — კრანტი, წყალი დავღვარე, ხალხი დავტოვე უწყლოდ.

— შე გასაფუჭებელო, რად გააჯავრე, როგორ აწყენინე, — უთხრა სოფიომ. ასე ეტყოდა ხოლმე, როცა გააჯავრებდა, წყევლა არ იცოდა.

### სწუმრად იუბილართან

60 წლისთავის იუბილე რომ იყო გოგლასი, მაშინ ჩავედით თბილისში, ნინოწმინდის ღვინო ჩავუტანეთ. გვიანი იყო. სახლი სავსე იყო ხალხით, დიდი წვეულება ჰქონდა. ძალიან გაეხარდა ჩვენი ჩასვლა. თითქმის შუალამე გადასული იყო, გოგლას არ ეძინებოდა, დიდხანობამდე ვსაუბრობდით.

— ჩემი პატარაობა არ მახსოვს, მიამბე რამეო, — მთხოვა, — რა ერქვა ჩვენს ხარებს, ძროხასო, მეკითხებოდა.

— ხარებს — მარულა, ძროხას — თებროლე ერქვა-მეთქი. მინდვრების სახელიც მოვაგონე: დიდაურა, ბენაანი, დრეიძე, თაგოჭაურა... გოგლა სიამოვნებით იმეორებდა ამ სახელებს, იგონებდა ბავშვობას და ხარობდა.

**ბარანტი ბრანდი**

**გამოუქვეყნებელი ლექსები**

ტერენტი გრანელის ლექსების ინტონაციური ერთგვარობა ხელის-შემშლელი ფაქტორია უცნობი ხელნაწერების ძიების დროს. ამავე დროს ყოველი განმეორებული ინტონაცია გარკვეულად არის გამოხატული განსხვავებული პოეტური გამოით.

ტერენტი გრანელის ლექსები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებას არ მოითხოვს (თუკი პოეტის სულიერი გზის განვითარების საფეხურები ცხოვრების გზასთან გვინდა დავამთხვიოთ), რადგან კომპოზიციური ცენტრის სრულ რღვევას და ბუნდოვანებას გამოიწვევს.

პოეტის ლექსის სიუჟეტური და კომპოზიციური დინამიკა გულისხმობს გარდევალ და ერთადერთ მისტიკურ გზას, რომელიც მერე მიწასა და ზეცას შორის გაბმულ, დაძაბულ ნერვად იქცევა. მიწისგან მარადიული გაუსვლელობის მომენტი შიშის, ქაოსისა და ილუზიური ბრძოლის ატმოსფეროს ქმნის:

„დღესაც ვეტრფი მე შორეულ მიზანს,  
ჩაივლიან ღამეები თრთოლვის...  
მოვა სხვა დრო და სისხლიან მიწას,  
როგორც ცრემლი, დაეცემა თოვლი“.

გრანელის ლექსში სიკვდილი იგივე არსებობს განსხვავებული ფორმა. ამავე დროს უფრო მყარი და უფრო ღრმა; სიკვდილი შეიცავს დუმილს — განმარტების ყველაზე რთულ ფორმას.

ტერენტი გრანელის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი სტრიქონები (იხვევ, როგორც საერთოდ მისი პოეზია) შეიცავს ერთგვარ გარდამავალ აზრს.

სიტყვის ფენომენი არა გარეგნული, არამედ შინაგანი ენერჯის ფონზე ცნაურდება. ხდება სათქმელთან არა მისვლა, არამედ მიახლოება, სიტყვები დამოუკიდებლად არ არსებობენ. აზრობრივი სამოსელი ერთი სიტყვიდან მეორეში გადადის. ეს გარდამავლობა ქმნის განწყობას, ამ შემთხვევაში პოეტურ ხატს და მხოლოდ ამის შემდეგ გაიხსნება სიტყვების ლოგიკური ფუნქცია და იკვეთება აზრი.

ტ. გრანელის მემკვიდრეობაზე დაკვირვებისას თვალში საცემია შრომითი არასტაბილურობა. გარდა ამისა, ლექსზე მუშაობის პროცესი ზეპირია და წარმოსახვითი ხასიათისა. თითქმის ვერ ეპოულობთ გადახაზულ სტრიქონებს, ჩასწორებულ ფრაზებს.

ქვემოთ გთავაზობთ ტ. გრანელის ნაყოფიერი მემკვიდრეობის ერთ ნაწილს.

\*\*\*  
გაფრინდა მტრედი  
მადათოვიდან  
და გუშინ თეთრი  
თოვლი მოვიდა.

მზეს ნისლი ჩრდილავს,  
ვატყობ შორიდან  
და გუშინ დილას  
თოვლი მოვიდა.

და ხსოვნა დედის  
მოვა გლოვიდან  
და ციდან თეთრი  
თოვლი მოვიდა.

გაფრინდა მტრედი  
მადათოვიდან  
და გუშინ თეთრი  
თოვლი მოვიდა.

\*\*\*

დამაგვიანდა, მორჩა, არ მოვალ,  
ჩანს გულის ლანდი და რალაც მეტი.  
ჰა, შემოდგომის ყრუ სალამოა,  
ლამდება ხელა, წვიმს განუწყვეტილად.

და ისმის წვიმის ხმა უცნაური,  
ფიქრები ისევ ცისკენ მიდიან.  
რა უცებ შეწყდა წვიმის ხმაური,  
შეწყდა და შემდეგ რა სიჩუმეა.

\*\*\*

გულისთვის მკერდი ხომ არის დიდი,  
მივალ, დგას ქუჩა და თოვლი მიდის.

და მაღალია ჩემი მწვერვალი,  
ზეცა თოვლს აბნევს, დგას თებერვალი.

სადღაც ხეები მოკლეს ქარებმა.  
თოვლიდან ისევ ქრის მწუხარება.

ნელა თოვს, ეხლა ბალის წინ ვდგევარ,  
და თოვლიანი თებერვლის დღეა...

\*\*\*

ვიმარჯვებ მტერზე,  
ახლო ვგრძნობ ქარებს.  
ოთახში ვერ ვძლებ,  
მსურს გასვლა გარეთ.

ვიხდი ნიღაბსაც  
უფრო გოდებით.  
ალბათ, ვილაცას  
შევეცოდები.

სადღაც ბაეშვს სძინავს,  
გული მევესება.  
ფოთოლი მიწას  
ეაღერსება.

ვიმარჯვებ მტერზე,  
ახლო ვგრძნობ ქარებს.  
ოთახში ვერ ვძლებ,  
მსურს გასვლა გარეთ.

\*\*\*

რა ვქნა, რალაცას ვეძებ,  
უკვე დავტოვე ბინა,  
ალბათ ამნაირ ველზე  
იდუმალ ძალას სძინავს.

ისევ ტკივილი ვიგრძენ,  
დღეა ასეთი მწველი.  
ელავს უსაზღვრო სივრცე,  
მოჩანს მდუმარე ველი.

მზეა და უფრო მეტად  
მზეში ელვარებს ის დრო...  
თან სიზმარივით ვხედავ  
თვალწინ გადაშლილ მინდორს.

ეხლა მეტია დარდი,  
გაისმის ყეფა ძაღლის.  
იქ მიყრუებულ ადგილს  
დგას ორიოდ სახლი.

რა ვქნა, რალაცას ვეძებ,  
უკვე დავტოვე ბინა,  
ალბათ ამნაირ ველზე  
იდუმალ ძალას სძინავს.

\*\*\*

იქით რა ხდება მინდა ვიცოდე,  
ავილებ ჩემს წიგნს სისხლით დაწერილს.  
ასე გაგრაძელდა ჩემი სიცოცხლე,  
დღეს შემისრულდა ოცდაცხრა წელი.

ისევ ქარში ვარ, დარდი ბევრია...  
ნისლი მოელის ნაპრალს მთებმისას...  
დღეს ოცდახუთი ნოემბერია,  
და დღეა ჩემი დაბადებისა.

\*\*\*

გუშინ ნისლმა გაურა მზესაც,  
(შედარება ჩემს საკუთარ თავზე).  
სიჩუმისგან მოკლულია ზეცა,  
და ღამეა ვარსკვლავებით სავსე.

გრიგალია და გრიგალში მეც ვარ  
და გრიგალზე ცოტა რამეს დავწერ,  
სიჩუმისგან მოკლულია ზეცა,  
და ღამეა ვარსკვლავებით სავსე.

ახლო ისმის როიალის კენესა,  
ეს დღეები გაივილიან ასე.  
სიჩუმისგან მოკლულია ზეცა,  
და ღამეა ვარსკვლავებით სავსე...

\*\*\*

შენ იქ იყავი, და ეხლა აქ ხარ,  
და გუშინ ქარი წუხდა მაღლობთან,  
იქ ალბათ ბედზე ფიქრობდა ვიღაც,  
იქ სილურჯეში ვიღაც ნაღვლობდა.

თოვლია აგერ, თოვლია იქაც,  
და ტირის სკრიპკა გულის მახლობლად,  
იქ ალბათ ქალზე ფიქრობდა ვიღაც,  
იქ სილურჯეში ვიღაც ნაღვლობდა.

შენ იქ იყავი, და ეხლა აქ ხარ,  
და გუშინ ქარი წუხდა მაღლობთან,  
იქ ალბათ ბედზე ფიქრობდა ვიღაც,  
და სილურჯეში ვიღაც ნაღვლობდა.

მე მივდიოდი, იდგა სალამო,  
და ჩანდა სივრცე დაუსაბამო.

წვიმდა, ვხედავდი შორეულ ნაპირს...  
წვიმდა, კარისკაცს მიქონდა ქვაბი.

წვიმდა, დრო იდგა უფრო ვედრების,  
წვიმდა, ცვიოდნენ წვიმის წვეთები.

და ზამთრის ქარებს ეძინა ბალში.

### თბილისი მთიდან

დაფრინავს მტრედი,  
ჩრდილი კლდეზეა,  
შორს, მთასთან თეთრი  
ჩანს ეკლესია.

და ასე რბილი  
დრო საოცრების  
და სანთლებივით  
ჩანან ბოძები.

ხმები ქრებიან,  
ეწუხდით მე და შენ.  
სხვა სახლებია,  
ვაგზალს ვერ ვამჩნევ.

უწინ დაჰქროდა  
ქარის მხლებელი.  
მოდის ბაქოდან  
მატარებელი.

### წამი

მოვიდა წამი,  
მოვიდა წამი,  
მოვიდა ლამე,  
მოვიდა ლამე,

წავიდა ვილაც,  
წავიდა სხვაგან.  
გაექცა იღბალს,  
არ უმზერს საგანს.

მოვიდა ვილაც,  
მოვიდა თეთრი.  
გაეჭვა ილბალს,  
გაფრინდა მტრედი.

\*\*\*

ციდან წამოვლენ შავი ლანდები,  
ლამე გაჩნდება, როგორც იარა.  
ფიქრმა იელვა, როგორც სანთელი,  
ფიქრმა იელვა და გაიარა.

ჩუმი სივრცეა და ლამე გრილი,  
სადღაც გაისმის ჩემი გინება.  
არ შემიძლია, და მინდა ძილი,  
არ ვიცი, რატომ არ მეძინება.

\*\*\*

ეს ფიქრი მოვა და ცამდე ავა,  
შენ, ჩემო დაო! ისევ გრძნობ დაღლას.  
რა ვქნა, მომწყინდა, მე სადმე წავალ,  
ან ავფრინდები ქორივით მალლა...

ისევ დაფარეს მთები ნისლებმა,  
ეხლა სადა ხარ, ჩემო ლერწამო.  
ასეა, სხვა მხრივ არ შეიძლება,  
ასეა და მე უნდა ვეწამო.

\*\*\*

კვლავ მოფრინდება ღღე, როგორც მტრედი  
(სადღაც სდუმს ბალი და ჩინარია),  
საიდან გაჩნდნენ ამდენი მტრეები,  
საიდან გაჩნდნენ, ან ვინ არიან.

ეს ღღევანდელი ღღე ისევ გაქრა,  
არავინ არის ეხლა სრულებით.  
ვდგევარ ქუჩაზე და ვამბობ: რა ვქნა,  
და ისევ ცისკენ გავიყურები.

\*\*\*

ლამე თუ მიდის,  
ღღეა ლოდევით.  
სუფევს დუმილი  
და მოლოდინი.

ეს წამი მორჩა  
ნელა სცემს გული,  
ფიქრიდან მოჩანს  
დიდი უფსკრული.

ქვეყანას ათოვს  
შავი წუთები.  
მე ციდან მიწას  
დავუბრუნდები.

ლამე თუ მიდის,  
დღეა ლოდევით.  
სუფევს დუმილი  
და მოლოდინი.

\*\*\*

მოვშორდი ყველას,  
სადმე გავივლი.  
მივდივარ ნელა,  
მიმაქვს ყვავილი.

ესეც რამეა,  
ამბობენ საღაც,  
ჩემ წინ ხრამია  
და ვხედავ საყდარს.

მიმაქვს ყვავილი,  
ვერ ვტოვებ თბილისს.  
ეხლა გავივლი  
მე მზიან ბილიკს.

მოვშორდი ყველას,  
სადმე გავივლი.  
მივდივარ ნელა,  
მიმაქვს ყვავილი.

\*\*\*

მლუპავს ეს დღე,  
და ფიქრია წმინდა.  
გავიხედე —  
დავინახე წვიმდა.

მლუპავს ეს დღე,  
და ხმაური ისმის.  
გავიხედე —  
დავინახე წისლი.



მლუპავს ეს დღე,  
წამი ამგვარ სახის.  
გავიხედე —  
დავინახე ბალი.

მლუპავს ეს დღე,  
მე დაკეტილ კარით.  
გავიხედე —  
დავინახე მტკვარი.

მლუპავს ეს დღე,  
დღეა ასე მშვიდი.  
გავიხედე —  
დავინახე ჩიტი.

მლუპავს ეს დღე,  
და ეს წამი წმინდა.  
გავიხედე —  
დავინახე წვიმდა...

## წერილები

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულადო“, ანდრძივით დაუტოვა ქართულ მწერლობას დიდმა ილიამ. მ. ჯავახიშვილი ილიასებურად განიკვლიდა ერის ტკივილსაც და სიზარულსაც. ბუნებრივია, ასეთი შემოქმედის პირადი ცხოვრება საზოგადოების ინტერესს იწვევს. გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცულია მის. ჯავახიშვილის მიმოწერა შ. სოსლანთან. ეს წერილები დაწერილია 1927—31 წლებში. მწერალს მოხსენებული ჰყავს ბევრი ცნობილი მოღვაწე, ლიტერატორი, მთარგმნელი. მის. ჯავახიშვილის პირადი წერილები შეაესებს მწერლის ბიოგრაფიას, გარკვეული კუთხით შექს მოჰფენს მის შემოქმედებას.

იჩა წულებისკირი

17/IX—27 ტფილისი

### პატივცემულო ბ-ნო შალვა!

გუშინწინ დავბრუნდი ბაკურიანიდან და გუშინ მომივიდა თქვენი წერილიც. არ ვიცი, როდის და როგორ გადაგიხადოთ მადლობა დახმარებისათვის. წიგნიც ვნახე. ლამაზათ არის გამოცემული, მაგრამ კორექტურული შეცდომები მაინც მოიპოვება. საერთოდ კი კმაყოფილი ვარ. ყველანი ამბობენ, წინასიტყვაობა უეჭველად საჭირო იყო, მაგრამ გვიანლაა.

მე ვთხოვე «Гиз»-ს საბოლოო ანგარიშის გასწორება და 25 ცალი წიგნი. ერთი თქვენ მიიღეთ დიდის მადლობით და დანარჩენის გადმოგზავნა დააჩქარებინეთ.

ქუთაისში მხოლოდ ესალა დანიშნეს რეჟისორი — ქორელი. უკვე მივწერე წერილი თქვენი პიესის შესახებ და იმედი მაქვს, მივიღებ.

შალვას „გაიმასქნება“ არ წამიკითხავს. მეც დავწერე „ივერიუმი“. მოიწონეს...

ქორელის პასუხს შეგატყობინებთ. შეიძლება თვითონაც დასდგას. ერთი თხოვნითაც შეგაწუხებთ: მინდა ჩემი წიგნის რეცენზიები მქონდეს. „Бюро вырезов“-ის მისამართი არ ვიცი. დაურეკეთ ტელეფონით და სთხოვეთ პირობები შემატყობინონ.

პატივცემულო შალვა!

ძალიან ვნანობ, რომ ჩემი წერილი გვიან მიიღეთ. ამის გამო მეც ახლალა შევიტყვე თქვენგან, რომ „Гиз“-ი „ჯაყოს ხიზნებს“ ჰბეჭდავს. ამ ამბავმა აღმაშფოთა. რა ღმერთი უწყრებათ მოსკოველ ქართველობას! ვილაც იაგორაშვილი ხეპრე და ბრიყვი ყოფილა. „ხიზნების“ თარგმნა დამიგვიანდა, თორემ მეც ვიცი, რომ ჩემს მოთხოვნებს სჯობია. წაიკითხეთ რუსული წერილი. განგებ გიგზავნით. მინდა თქვენც გაიგოთ. რაკი მაგრე მშველთ, მარილიც მოაყარეთ. ეს წერილი მიუტანეთ „გიზს“, თქვენივე თვალწინ წააკითხეთ და პასუხიც მოსთხოვეთ. ერთი სიტყვით ეცადეთ ეს საქმე ხელიდან არ წამივიდეს, თუ დაითანხმეთ, ხელშეკრულება გამოაგზავნიეთ და მაქსიმალური ჰონორარი ჩააწერი-ნეთ.

ამ წიგნს იმიტომ ვეჭიდები, რომ ბევრი რამ არის ამოსაშლელი და შესასწორებელი. თუ ვერ დაითანხმეთ, იქნება იაგორაშვილის თარგმანი მაინც მომცენ რედაქციისათვის (ამას ჯერ ნუ გაუმელავენებთ). გარდა ამისა, გამოგიტყდებით, ძალიან მიჭირს, სამსახურშიც აღარა ვარ, ქართული წიგნით არსებობა კი შეუძლებელია. ლამის რეგისტრატორად შევიდე სადმე: ასეა საქმე. იქნება სხვაც დაიხმართ. მე სერგო ქავთარაძეს ვთხოვ (აქ არის, მალე წამოვა), თუ საჭირო იყოს, შეატყობინეთ, როცა ამოვა. იქნება ამის სიტყვამ უფრო გასჭარას.

„ლამბალოს“ ანგარიშიც ვერ გამოთავეს. ამაზედ უთხარით რამე. გააფრთხილეთ არამკითხე მთარგმნელებიც, რომ „ზაკკნივა“ ჰბეჭდავს ჩემს მოთხოვნებს და „საყელოს“. ნულარ შესწუხდებიან.

ერთ „ლამბალოს“ თქვენც გიგზავნით. წინდაწინვე გმადლობთ მრავალ დახმარებისათვის და უდიდეს ბოდიშს ვიხდი ამოდენა შეწუხებისათვის. მოუთმენლად მოველოდები პასუხს.

შორიდან გართმევთ ხელსა.  
 თქვენი მიხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი.

თუ დამიკვეთეს „ხიზნების“ თარგმანი, ორი თვის ვადა და 400-ოდე მანეთი ავანსად მოაცემინეთ. ეს არის „ზადანიეს“ მაქსიმუმი.

(მ. ჯ.)

25 /X — 1927, ტფილისი

ჩემო შორეულო მეგობარო!

იმედია, ჩემს წერილსა და წიგნს მიიღებდით. ეგოროვის საქცი-

ელმა იმდენად ამაშფოთა, რომ აქამდე ვერ დავმშვიდებულვარ. მართალია, კანონი უფლებას აძლევს, მაგრამ ზნეობრივი კანონიც არსებობს ამიტომ მეჩქარება ვაგებ, როგორ მოიქცა მინდაური „სახელგამი“? ახლავ ვაგივე, რომ ეგეოროვი კომი ყოფილა, მაშასადამე შეიძლება თავისი ვაიტანოს. ქავთარაძის შესახებ გწერდით. ველარა ვნახე, საჩქაროდ წამოსულიყო მოსკოვში: მინც დაიხმარეთ, თუ საჭირო იყოს, უარს არ ვეტყვი.

ვაზეთების ამონაჭრები მეც დავიზარე მოსკოვის ფოსტისაგან. ორი ეგზემპლარი საჭირო არ არის: მივიღე მათგან წერილი (19/X, №8) (Мясницкая 26) ხუთ მანეთს მთხოვენ: ამ ფულს თქვენ გიგზავნით და გთხოვთ ერთ-ერთი დაკვეთა გააბათილოთ — ან თქვენი, ან ჩემი. გადავიტოვებ ეს ფული და, სჯობს, თქვენი დაკვეთა მოსპოვებ, თორემ ორმაგი ხარჯი მოგვივა.

უცნაურად მიანგარიშეს „ლამბალო“. მაგოდენა წიგნში 650 მ. მე-რგო, რაც საჭირო იყო, მივწერე. თქვენ ნულარ შესწუხდებით ანგარიშისათვის.

გუშინ ვაგივე: ბათუმში „ჯაყო“ მოუხსნიათ სცენიდან. მიზეზი: ინტელიგენციას მკაცრად ეპყრობათ. სისულელეა! ნამდვილი მიზეზი სხვა არის, ჩემი ახალი პიესა არ მივეცი უფასოდ, ამიტომ მიკბინეს... მაგრამ ამის გამო ჩემზე მეტი თქვენ მოგვხვდათ. თუ „ივერიუშზე“ მოვრიგდით, ალბათ „ჯაყოსაც“ დასდგამენ.

ვისურვებთ ყოველივე კეთილსა და მეგობრულს. გითვლით სალამსა და მადლობას.

თქვენი მეგობარი  
მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი

### პატივცემულო მეგობარო შალვა!

დიდი ხანია ერთმანეთისათვის აღარაფერი მოგვიწერია. მართალი მოგახსენოთ — მისაწერიც არაფერი მქონდა. აგერ ორი წელიწადია, ჩემი წიგნი აღარ გამოსულა, წელიწადზე მეტია, თითქმის აღარაფერი დამიწერია და ამდენივე ხანია სამსახურში აღარა ვარ. როგორ ვცხოვრობ — მე თვითონაც არ ვიცი. ჩემი ცხოვრებაც გახვედა და მეც ვახვედი.

პანიტი ისტრატი დამიმეგობრდა და „ნერანძულას“ თარგმნა მთხოვა. დავპირდი. ფრანგული წიგნი გამოიწერა, მაგრამ არ მოდის. დროის მოსაგებად რუსულიდან ვთარგმნე იმ აზრით, რომ შემდეგ ფრანგულ ტექსტისათვის შეემდარებინა. რადგან იმედი ვაღამიწყდა იმ წიგნის მიღებისა, აზრად მომივიდა ასეთი გეგმა: ძალიან გთხოვთ „ნერანძულას“ მთარგმნელი გიორგი ნაშატირი მომიძებნოთ (მწერალ-



თა ფედერაციაში იკითხეთ, ეკოდინებათ) და გადაეცით ჩემი თხოვნა ერთი კვირით მათხოვოს ფრანგული „ნერანძულა“. წესიერი კაცი ვარ და უმწიკვლოდ დაეუბრუნებ. უთხარით, რომ მისი თარგმანი ძალიან მომწონს, მაგრამ დედანთან შედარება მაინც აუცილებელია.

მინდოდა „ვოქს“-ისათვის დამევალებინა ამ წიგნის გამოწერა, მაგრამ მირჩიეს, არა გამოვა რაო. ამიტომ ვარ იძულებული თქვენც შეგაწუხოთ და უცნობი ნაშატირიც. ისტრატის მივანწერინებდი, მაგრამ წავიდა.

გაწუხებთ, მაგრამ იმედია მაპატიებთ. მეტი გზა არა მქონდა. წინდაწინვე გითვლით მადლობას.

მიიღეთ ჩემი მხურვალე სალამი და პატივისცემა.

თქვენი მეგობარი  
მ ი ხ . ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი .

23/XI-28.

ჩემი მისამართი ხომ არ დაგეკარგათ?  
ელბაქიდის დაღმართი, 21.

მ. ჯ.

ძმაო შალვა!

სალამი და გამარჯვება! ერთი კვირაა, რაც წყალტუბოდან დაებრუნდი ათიოდე წლით გაახალგაზრდავებული და მეგონა, „ფედერაციისაგან“ რაიმე ამბავი დამიხვდებოდა. მაგრამ ეგ ხალხი ბრიყველად სდუმს... ათიოდე დეპეშა და წერილი გამოვუგზავნე და პასუხსაც არ მაკადრებენ. ეს დუმილი ცხადად ამტკიცებს მათ მიერ ჩვენს უგულველყოფას (презрение), აბუჩად აგდებას, მათს ხეპრობას... წერილის ეს ნაწილი გადაუთარგმეთ და უთხარით, რომ მე ამას გრონსკის მივწერ და ყრილობაზედაც გამოვიტან. სრული ხუთი თვეა ვწერ — და პირადათაც დამპირდნენ — რომ „არსენას“ სურათები დავგიბრუნონ (ან მე, ან შარლემანს. იმანაც რამდენჯერმე მისწერა) და რომანის ორი ამონაბეჭდი გამომიგზავნონ. ფრანგულად უნდა ვათარგმნინო და მჭირდება. მეორე ცალი არა მაქვს. ესეც მივწერე, მაგრამ, როგორც ეტყობათ, მაგათ ჩვენც ფეხებზე ვკიდევართ და ჩვენი მწერლობის ბედიც...

გარდა ამისა, გაახსენეთ სელიენოვსკის, რომ ის დამპირდა პონორარის 20 პროცენტს მაშინ, როცა მასალას სტამბაში გაავზავნიდნენ. წიგნი 20/VI უნდა გამოსულიყო და შეასრულეს თუ არა დაპირება. თუ წიგნი ჯერ მზად არ არის, როდის იქნება? ნ. ლორთქიფანიძეც ჩივის, არც პასუხს მაძლევენ და არც ფულს მიგზავნიანო. თუ გაიგოთ რამე, მომწერეთ. რა არის ყრილობის გადადების ნამდვილი მიზეზი? ნუთუ მართლა ხარკოვში მომხდარი ამბავია?

ეხლა მე „შამილს“ შევუდგე. მასალას ვაგროვებ და შემოდგომაზე დაიწყო. ამავე თემაზე აქ ტ. ტაბიძე სწერს, მანდ კი — პავლენკო. ორივეს მონოგრაფია გამოუვათ, თქვენ რასა იქთ, რას მუშაობთ? სალამი ნატაშას, ნადიას და ყველა ჩემს ნაცნობს. ვისურვებთ გამარჯვებას.

მიხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი 8/VI.

ძმავ შალვა!

წერილის დაგვიანება მხოლოდ ჩემი ბრალია. იწვრებით, ალბათ, იმიტომ აღარა მწერთ, რომ ჩემი დასასაქმებელი გამოგელიათო. სამართლიანი საყვედურია. მოსკოვში საქმე გამომელია — „გიხლმა“ გამომილია, ეგ ვილაც ემჩუყინა მარგალიტი კი არა, ნაფოტი ყოფილა. „არსენაზე“ მწერს სულ გამოგვიგზავნეთ და ვნახოთო. მე ვწერდი, „მნათობში“ იბეჭდება, პროლ. მწერალთა ასოციაცია მოგწერს-მეთქი ვიხას, მაგრამ არ იკმარა. იჯდეს ახლა და ელოდოს...

თქვენს პირველ წერილზე იმიტომ არ გიპასუხეთ, რომ თქვენს „ქეთევანს“ ველოდებოდი. ახლა მივიღე და დიდი სიამოვნებით წავიკითხე, მოთხრობა ძალიან კარგად იწყება: მიმართვის ფორმა და ნასტამბარის აწერა. კილოც ზომიერი ავილიათ — საშუალოზე ოდნავ მაღალი. მაგრამ გაფრთხილდით, მეტი აღარ აუწიოთ, თორემ ორჩოფეხებზე ახვალთ და წააგებთ. თქვენ უეჭველად გაქვთ მხატვრული თვალი. თქვენი შედარებანი (სახელები) სხარტულია, მკაფიო და ზედგამოჭრილი. მაგრამ შეყვარებულ ჭაბუკივით მფლანგველი ბრძანდებით და ისე ისვრით ამ განძებს, როგორც თქვენი ბონდო ისროდა ნიკოლოზის თუმნიანებს. ფრთხილად იყავით, თორემ გამოგელევათ და დაშრებით. აქაც საპიროა მომპირნეობა. ამას მოითხოვს მხატვრული მოსაზრებაც (ზომიერება, რათა შთაბეჭდილება ზედმეტად არ დატვირთოთ) და მატერიალურ დოვლათის გამოზოგებაც, (დამეთანხმეთ, რომ კარგი თქმა დოვლათია). არ არის საპირო თითო გვერდზე ათიოდე სახის დახარჯვა. ზოგი შეინახეთ და სხვა მოთხრობაში გამოიყენეთ. სხვათა შორის, ცეცხლს რომ ანთებთ, წყალს ნულარ ასხამთ. ქეთევანის თვალეზზე სწერთ, არ მახსოვს რა ფერისა იყო და იქვე უმატებთ: „Глаза я выдумал“, „Только сейчас они были... და სხვა; ე. ი. ნუ დამიჯერებთ, მე თვითონ ვიგონებო, ე. ი. თქვენს მოთხრობას დამაჯერებლობას აკლებთ. ერიდეთ. მიმართვა მკითხველისადმი ძველი ფორმა (მე არა ვხმარობ), მაგრამ თქვენი კალმის ქვეშ მას სიახლის იერი აქვს და არ მეჩითირა, რაც ძალიან იშვიათად მემართება. მშვენიერია პეიზაჟები, დეტალები და ნამეტნავ კი ფრინველებთან საუბარი. ადგილობრივი ფოლკლორიც ადვილად დაგიძლევიათ (რა ძალა აქვს მშობელ მიწას და ბავშვობის მოგონებას!). ცხენიც გცნობიათ და იგი ცოცხალ ადამი-

ანივით მოდის (ისე, სხვათა შორის: ცხენი მეგრულ მწერლების გენერალური თემა და თქვენც ჩავითრიათ. მეც არ ამცდა. „არსენაში“ ავწერე). ერთი სიტყვით — ნიჭიც, ცოდნაც, ნაშრომიც — ყველაფერია, მაგრამ მაინც ოდნავი შიში მეპარება: რა ხდება შემდეგ? მოხდება კი რაიმე შესამჩნევი ამბავი? აქვს ამ მოთხრობას მაგარი ღერძი, ე. ი. ფაბულა, თუ ფორმალიზმმა დაგძლიათ? ამაზე მგონი კიდევაც მოგწერეთ და პირადად კი კარგა ხანს გვისაუბრია. მოსკოვში მითხარით, ლერძიანიო. თუ აგრეა, გამარჯვება არ ავცდებით და მგონი „Красная Новь“-იც არ დაბეჭდავდა. ჯერჯერობით კი მხოლოდ კარგად აწერილ არეს (ფონ) და მკითხველის ჩათრევას ვხედავ. ერთი სიტყვით, დასაწყისი კარგია და შემდეგ უკეთესს მოველი. ნასკვის თავი უკვე გამოჩნდა. მგონი ქეთევანი თქვენ უნდა გერგოთ.

მეკითხებით, ღირს თუ არა მისი გადმოქართულებაც? რა თქმა უნდა! თუ ხელნაწერი გაქვთ (მანქანაზე დაბეჭდილი), გამომიგზავნეთ. ან „მნათობში“ დავაბეჭდვინებ, ან მიწიშვილს გამოვაცემინებ. თუ არა გაქვთ, მოვიცადოთ. ოღონდ მწყინს, რომ ქართველის ნაწერი და ქართული მიწა ქართულად უნდა გადმოითარგმნოს, მაგრამ ამაზე მრავალი მითქვამს თქვენთვის და აღარ გავიმეორებ. მწერლობაშიც ხარკს ვხვდით და თქვენი თავი ზეარაკად გავვიმეტებია (მარტო თქვენი თავი?) — მორჩა და ვათავდა! მაშ აგრე. თავგაწევით განაგრძეთ და უთუოდ გაიმარჯვებთ.

თქვენებზე არაფერს არ იწერებით. როგორ არიან. გადაეცით მხურვალე სალაში ყველას — ნადიასაც.

მე ამ ერთ კვირაში ავარაკზე მივდივარ, მაგრამ ჯერ არ ვიცი, სად წავალ, ქვიშხეთში თუ წყნეთში (მისამართს მოგწერ). „ქეთევანის“ გაგრძელება უეჭველად მომავლით. „არსენა“ უნდა დავამთავრო. „მნათობში“ იბეჭდება და წიგნიც „სახელგამს“ მიეყიდვ. ძალიან დილია, 30 თაბახი გამოდის. კულაკის ჯიბესავით დამცალა და დიდი დასვენება დამპირდება. მოსკოვში ამოსვლას აღარ ვაპირებ, რადგან საბაბი (საქმე) არა მაქვს. სამწუხაროა, რომ არც თქვენ ჩამოხვალთ. თქვენთვის კი წელიწადში ორიოდ თვით ჩამოსვლა ძალიან სასარგებლო იქნება: განახლება, გახსენება, ახალი მასალა — ყველაფერი გამოგადგებათ. იჯექით და სწერეთ. მანდ ყოველმხრივ სჯობია. აქამდე პირუტყულმა იყო, ახლა კი დაგეწიეთ და გაგისწარით.

დღესაც სიამოვნებით მაგონდება თქვენთან გატარებული დროება. აბა, ჩემო შალვა, მშვიდობით და გამარჯვებით!

თქვენი მეგობარი

მიხეილ ჯავახიშვილი.

## პატივემულო ბ. შალვა!

მივიღე თქვენი წერილი, რომელმაც ფრიად მასიამოვნა. თქვენი პიესის „ჯაყოს“ გამარჯვება ჩემ გამარჯვებად მიმაჩნია. ნუ დაიზარებთ, დროგამოშვებით შემატყობინეთ ხოლმე მისი ბედი. თუ გამომიგზავნით, უკეთესიც იქნება: წავიკითხავ და ჩემს აზრს შეგატყობინებთ. ესლა მეც გადავდივარ დრამაზე. ვინ იცის, იქნება დავძლიო. საშინლად ლატაკია ლიტერატურის ეს დარგი. მინდა აქაც მივაშველო ჩემი კალამი.

„ჯაყო“ ორჯერ თუ სამჯერ დაუდგამთ ქუთაისში სეზონის დასასრულს. მითხრეს, სამივეჯერ თეატრი სავსე იყო და დიდი გამარჯვებაც ერგო. ოღონდ გადაუმლამებიათ სცენა ურემში: მარგო თურმე კენესოდა და ოხრავდა. ამან დააფრთხო ხალხის ერთი ნაწილი. გადაწყვეტილი აქვთ წლევანდელ სეზონშიც დასდგან. თქვენს თხოვნას შევასრულებ: ორ ეგზემპლარს მოვიტხოვ, კილოკავს შევასწორობ (თუ შესასწორობელია), ერთს თეატრს დავუბრუნებ და მეორეს თქვენ გამოგიგზავნით. შესაძლებელია რუსთაველის თეატრშიც მივალბინო.

ესლა მეცა მაქვს სათხოვარი. მანდაური „გოსიზდატი“ ბეჭდავს ჩემს მოთხრობებს. ხელშეკრულების ძალით მაისის დამდეგს 600 მ. უნდა მიმეღო. მივიღე მხოლოდ 250,— ისიც დიდის დაგვიანებით. ვწერ და ვუგზავნი დეპეშებს — ფსაგადახდილს, მაგრამ კრინტსაც არა სძრავენ. მაგათი უსინდისობა სჭარბობს მაგათ თავხედობას. მეორეჯერ აღარ გავბრძოლებ და თქვენც აღარ შეგაწუხებთ. ახლა კი დამეხმარეთ... ერთი სიტყვით, მიშველეთ, თორემ მთარგმნელები მახრჩობენ. თუ მოსდრიკეთ, დეპეშით გამოაგზავნინეთ. მადლობა ჩემზე იყოს.

ერთხელ კიდევ გისურვებთ გამარჯვებას არჩეულ ძნელ საქმეში და გითვლით გულითად სალამს.

მ ი ხ . ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი .

ძმავ შალვა!

სამჯერ ვიყავი თქვენთან და ვერა გნახეთ. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ რაღა გაეწყობა.

ნათარგმნი ამოვიტანე მოსკოვში, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი გავაწყე. „ზიფს“ დავუტოვე „Третий“, „Встреча“, „არსენა მარაბდელის“ ორი თავი (სანიმუშოდ) და „От Владикавказа до Тифлиси“. პასუხი ერთი საათის წინ მომცეს წამოსვლამდე, ამიტომ ველარაფერი გავარიგე. ეს პასუხი მოროზოვის ბინაზე გავიგე — ვიცე-პრეზიდენტია, Гах-ის (Сретен. буль. №6 кв. 12, тел. 2—84—33). უეჭველად გაიცანით, გამოვადგებათ. თქვენზე რამდენიმე სიტყვა ვუთხარი და მისამართიც მივეცი. „ზიფის“ რედაქტორია. მოთხრობები მოიწონა და კეთილი დასკვნა მისცა.



ეხლა შემდეგს გთხოვ, ჩემო შალვა. „ზიფში“ შეიხედეთ, ქ-ნი მშენებელი იყო იკითხეთ და უთხარით, რომ ორ მოთხოვრებას კიდევ სამს დაემატებ და წიგნს შევადგენ. ერთი მოთხოვრება „ფინჯანი“ („Чашечка“) Красная Новь-ს აქვს, ორს კი აქედან გამოვიგზავნი. „Арсен из Марабды“ და „От Владикавказа до Тифлиси“ გამოართვი (უკანასკნელს აწერია М. Дж-ли и А. Кул-ин). „არსენა“ მე გამოვიგზავნეთ, მეორე კი „Турист“-ს გადაეცით, ჩემი თავი გააცანით და სთხოვეთ პასუხი ათიოდე დღეში მომცენ. თუ მიიღონ (დასურათებას მე ვკისრულობ), დაუყოვნებლივ შემატყობინონ, თუ არა და — მაშინვე გამოართვი და გამოვიგზავნეთ, რადგან მეორე გამომცემელი მყავს და იმას უნდა მივცე.

კიდევ ერთი თხოვნა: სანამ „ზიფში“ მიხვიდოდეთ, ვინმე სანნიკოვი იკითხეთ ტელეფონით (5—63—12) „Красная Новь“-ში და ჰკითხეთ, დაბეჭდავენ თუ არა „Чашечка“-ს. თუ დაიწუნეს, გამოართვი და „ზიფს“ გადაეცით.

რაეიჩი (Гиз) აქ არის. წუხელ ჩემთან იყო. ძალიან მოსწონხართ, მე და მიწიშვილმა შესაფერად დაგახასიათეთ. მისამართიც მივცე. გამოიყენეთ. სათარგმნელი გეჭნებათ. თქვენი „მოგზაურობა“ გადაეცით, იქნება გიშველოსთ რამე. მოროზოვსაც წააკითხეთ. თვითონაც მწერალია და დიდი გველენა აქვს.

მცხვენია ჩემო შალვა: ამდენი საქმე გაგაყეთებინეთ, ეხლაც ახალ-ახალი დაგაკისრეთ და მე კი აქამდის ჯერ ვერაფერში გამოგადექით. შემთხვევას ველი, რათა ვალი გადაგიხადოთ. იმედია, არ მომერიდებით.

გთხოვთ, გულწრფელი სალამი გადასცეთ თქვენს ოჯახობას, რომელიც თბილად დამიხვდა.

თქვენც გითვლით სალამს და გისურვებთ გამარჯვებას.

თქვენი მეგობარი მ ი ხ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი.

ხარკოვში ვიყავი. დიდებულად მიმიღეს. ერთი ჩემი ტომი უკვე დაბეჭდეს და დანარჩენსაც სთარგმნიან.

მ. ჯ.

13/II 30.

ძმაო შალვა!

თქვენმა წერილმა ძალიან მასიამოვნა, მაგრამ ერთი წიგნის შესახებ (Владикавказ — Тифлис) გამოგრიხათ და მეც მის გამო დეპეშა მოგწერეთ. არ ვიცი, მიიღეთ თუ არა. „ზიფ“-ში დაეტოვე. ლურჯი ყდა აქვს და აწერია М. Джа-ли и А. Кул-ин. ერთმა მეგობარმა დაგვაწერინა. მასალა, რედაქცია და დანამატებია ჩემი, დაწერით კი კულები-აკინმა დასწერა. ძალიან მეჩქარება მისი ბედის გაგება. თუ ვახსოვთ

პირველ წერილში გთხოვთ „ტურისტ“-ისათვის გადაგეცათ იგი და  
თუ არ მიიღებდნენ, საჩქაროთ გამოგეგზავნათ ჩემთვის.

ეხლაც ველოდები პასუხს. თუ სანნიკოვს მართლა ჰსურს ქართუ-  
ლის თარგმანები, გააბას ჩემთან მიწერ-მოწერა და დავეხმარები. თქვენ-  
ზედაც მიეწერ. რავიჩს ნუ მოერიდებით. მე და მიწიშვილმა თქვენზე  
კარგი რეკომენდაცია მივეციით.

თქვენი პიესის ბედი ძალიან მაინტერესებს. თუ დიდ სცენაზე გა-  
იტანეთ, ეგეც დიდი გამარჯვება იქნება.

საერთოდ ჩემს ყოფნას მოსკოვში ლიტერატურის მხრივ არაფერი  
შედეგი არ მოჰყვა, ხარკოვმა კი თითქმის ამაშენა. ვერც თქვენა გნახეთ,  
ვერც მრევლიშვილი, ვერც სხვები. ჯანელიძე გავიცანი, მაგრამ იმდენ-  
ად უგუნებოდ ვიყავი, რომ გულიანად ვერც კი ვესაუბრე. ალბათ, კიდევ  
ამოვალ შემოდგომაზე და იმედი მაქვს, ერთმანეთს სხვანაირად შევხვ-  
დებით, ან თქვენ ჩამოხვალთ და აქ მინახულებთ. სალამი თქვენს ოჯახს,  
ჯანელიძეს და მრევლიშვილს.

თქვენი მ. ი. ხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი

12/III—30

### მამა შალვა!

კრებულში 6 მოთხრობა შევა: „მესამე“, „ხუთის ამბავი“, „ფინ-  
ჯანი“, „ტყის კაცი“, „ჩანჩურა“ და „თავდავიწყება“. უკანასკნელი სამი  
თქვენ უნდა სთარგმნოთ. „ტყის კაცს“ და „ჩანჩურას“ გიგზავნით,  
„თავდავიწყება“ კი ჩემ პირველ ტომშია დაბეჭდილი, რომელიც, მგონი,  
თქვენც უნდა გქონდესთ. სამივე ძველი მოთხრობაა და მსურს ახლებში  
აეღუროთ. თუ მიაღებინოთ, თარიღი დაუსვით. კარგი იქნება, თუ წიგნს  
ბიოგრაფიულ-კრიტიკული წერილიც დაემატება. ერთი სიტყვით, ამ  
წიგნის პატრონობას თქვენ გაბარებთ. „Красная Новь“-მა სრული  
ჰონორარი უნდა გადამიხადოს — საავტოროც და სათარგმნელიც, რო-  
მელიც მე უკვე გადახდილი მაქვს. მაქსიმუმს მოვითხოვ. თუ სურთ,  
რომ შემდეგშიც ვითანამშრომლო და სხვებსაც მოვაწოდებინო მასალა,  
არ უნდა მაწყენინონ. სანნიკოვს გადაეცით, რომ რუსეთის გამომცემ-  
ლებიც და უკრაინელებიც უმადლეს ჰონორარს მაძლევენ.

ამჟამად „არსენაზე“ ვმუშაობ. მსურს თქვენ მოგვით სათარგმნელად.  
დიდი რომანი გამოვა. ხელნაწერიდან უნდა სთარგმნოთ. კულებიაკინის  
ნათარგმნი არც მე მაკმაყოფილებს.

„От Владикавказа до Тифлиса“ ნუ გაინტერესებთ. მხატვრუ-  
ლად უეარგისია. ამიტომ არ მინდა, რომ ამ წიგნზე ჩემი გვარო იყოს  
დაბეჭდილი. ფული და შრომა დავხარჯე და მსურს ავინაზლაურო, თო-  
რემ არ გამოვეუდგებოდი.

თუ „ზიდმა“ მოისურვა ბიოგრაფიის დაბეჭვდა, ცნობებს გამო-



გიგზავნით, ან „Литературная энциклопедия“-ში იპოვით — თქვენს ტისმეტად არ შეამოკლეს.

ინახულეთ თუ არა რაეიჩი?  
 თქვენს წერილს ველი.

სალამი თქვენს ოჯახობას ჩემგან, ხოლო თქვენ — ჩემი ცოლისა და ქეთოსაგან. გისურვებთ გამარჯვებას. აპირებთ თუ არა საზაფხულოდ ჩამოსვლას?

თქვენი მეგობარი  
 მიხეილ ჯავახიშვილი  
 18/III—30. ტფილისი.

გამარჯობა ძმაო შალვა!

ორი თვეა დავბრუნდი და აქამდე არც თქვენგან მიმიღია წერილი და არც მე მომიწერია. ეს ორი თვე დამეკარგა, თითქმის ვერაფერი ვერ გავაკეთე, რადგან ცოლი ავად მყავდა ავი ანგინით. დაიტანჯა და დაგეტანჯა, ეხლად მომჯობინდა და მეც შევეუღდექი „არსენას“. XI თავს ვწერ და სამი თავილა მრჩება დასაწერი. თუ „მნათობი“ მოგდის, XI—XII ნომერში V თავს წაიკითხავდი, ხოლო III, IV და V თ. იანვრის და მარტის ნომერებში იბეჭდება. ჩემ „ქურდს“ და რა უყო «Красная Новь-შია? თუ არ დაბეჭდავენ, გამოართვით და დამიბრუნეთ.

„კვაპის“ ამბავიც გეცოდინებათ, დაიწუნეს, იდეოლოგიურად გამართლებული არ არისო. თვითონ კი ისეთ რამეს ბეჭდავენ რუსულსაც და ევროპულსაც, რომ ყველას გვიკვირს. ლეონოვს პასუხს ვწერ და პირს თქვენ გიგზავნით, წაიკითხეთ და ყველაფერს გაიგებთ. თუ ზედმეტი ნახევარი საათი იპოვით, შეიარეთ და მოელაპარაკეთ. იქნება რომელიმე კომუნისტიც წაიყოლიოთ. არა მჯერა, რომ ეს საქმე კეთილად დასრულდეს... სხვა მხრივ რასა იქნა? როგორ არიან ნატაშა და მისი მშობლები? წრფელი გულით მომიკითხეთ და გადაეცით, რომ მათი მასპინძლობა ძალიან ხშირად მაგონდება და პატივის გადახდის საბაბს ვეძებ ხოლმე. ნადიასაც მხურვალე სალამი. ალბათ გამიწყრა. მივწერე და არ მიპასუხა. წყრომის მიზეზი არ ვიცი და ეს მაინც გამაგებინოს.

წავა თუ არა უცხოეთში ახმეტელის თეატრი? აქ ძალიან ეუჭვებათ. სად აპირებთ წრევანდელ ზაფხულის გატარებას? გირჩევთ. ისევ მშობელი მიწა შეისუნთქოთ. მოგელოდებით და უეჭველად ჩამოვლით. ნადია და ნატაშაც წამოიყვანეთ.

ჩემიანები მოკითხვას გითვლიან თქვენც და თქვენს ოჯახობასაც:  
 სალამი და გამარჯვება.

თქვენი მეგობარი  
 მიხეილ ჯავახიშვილი.

დიდ ბოდიშს ვიხდი: ისე წამოვედი, რომ ვერც კი გამოგემშვიდობებოდა. საპატიო მიზეზი მაქვს. ავად გავხდი და წამოსვლამდე შინიდან ვეღარ გამოვედი.

გზაში პატარა ამბავი შემემთხვა. ვაგონში ზევიდან ჩემოდანი გადმოვარდა და თავში დამეცა. ეხლაც მტკივა. კიდევ კარგი, რომ ცარიელი იყო, თორემ უკვე სამგლოვიარო განცხადებას წაიკითხავდით.

აქ გაზაფხული მოდის. ია ჰყვავის. ხალხი ბუნაგებიდან გამოდის, თქვენ კი ერთი თვე კიდევ უნდა იკანკალოთ. სალამი ლიუბასაგან და ქეთოსგან. მომიკითხეთ ნატაშა და ნადია.

თქვენი მ. ხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი

ამურ სანანს დაურეკეთ ტელეფონით, რომ ჩემი წიგნი „Обвал“ გამოგიგზავნოს. უკანასკნელი ცალია.

მ. ჯ.

ტიციან ტაბიძე

## წერილები

ჩენს ხელთ არის ტიციანის უცნობი წერილები: პირველი წერილი დათარიღებულია 1904 წლის 11 მაისით, დაწერილია ბავშვური ხელით (მეორე ან მესამე კლასში იქნებოდა, როცა ეს წერილი დაუწერია). შრომლებს ატყობინებს წარმატებას სკოლაში. არც თავის და-ძმებს ივიწყებს. წერილი გაგზავნილია ქუთაისიდან. მეორე წერილი დათარიღებულია 1937 წლის 8 მარტით, სადაც დედას უზიარებდა იმ დიდ სიხარულს, რაც მოსკოვში ყოფნის დროს განუცდია.

მესამე წერილი მიმართულია ძმისადმი. გამოგზავნილია მოსკოვიდან 1916 წლის 15 იანვარს.

წერილები მოგვაწოდა მისმა ძმამ სიმონ ტაბიძემ (იგი გარდაიცვალა 1972 წელს).

ქეთევან ხაჩიაშვილი

\*\*\*

პირველად მოკითხვას მოგახსენებთ ჩემო საყვარელო დედ-მამაო და თქვენს მშვიდობას ყოველის შემძლებელს ღმერთსა ვთხოვ, გარდა ამისა, ჩემს ამბავს თუ იკითხავ, მე კარგად ვარ და კარგადაც ვსწავლობ, ღვთის წყალობით. გარდა ამისა, მოკითხვას მოგახსენებთ ცაგოს, სონიჩკას, სიმონას, იოსებს და ევგენიას. ეგზამენები მყავდა რუსული და სამხთო რჯული და ორივეში „ჩეთირე“ მივიღე და წარდგენაც 4-ები მქონდა.

ეს წერილი ეკუთვნის ტაბიძეს იუსტინეს ძეს.

ეს წერილი მიერთვას მის კურთხევას იუსტინე სტეფანეს ძე ტაბიძეს

ჭყვიში, 1904 წ. 11 მაისი

ძვირფასო სიმონიკა.

როგორა ხარ? როგორ ცხოვრობ? მომწერე ყველაფერი შენ საქმეებზე. სახლში რა ამბებია, ან ჩემი წერილი თუ მიიღეთ შობებზე? ბავშვები რას შვრებიან. როგორ ცხოვრობენ. ან სოფელში რა ამბებია. აგრეთვე, თუ გჭირია რამე, მომწერე, თებერვლიდან მე მგონია, შეძლება მექნება, როგორმე დაგეხმარო. წერილი „სახალხო ფურც-“

ლის“ სახალწლო ნომერში წაიკითხე და უთუოდ გაუგზავნე მამასა და აგრეთვე ჩემი წერილი, რომელიც, დაიბეჭდება, სახლში გააგზავნე. გალაკტიონი თუ ნახო, ჩემ მაგიერ აკოცე. შენი იმედი მაქვს. იყავ ყოჩაღად. უთუოდ მიპასუხე.

გკოცნის შენი მოყვარული ძმა ტ ი ც ი ა ნ ტ ა ბ ი ძ ე .

1916 წლის 15 იანვარი

ჩემო ძვირფასო და უსაყვარლესო დედიკო!

მალე ერთი თვე გახდება, რაც მე მოსკოვში ვარ. საქართველო-დან ვიყავი გამოგზავნილი ა. პუშკინის ასი წლის იუბილეს დღესასწაულზე. 10 თებერვალს მომიხდა გამოსვლა დიდ თეატრში. ამ სხდომას დაესწრო მთელი მთავრობა ამხ. სტალინის მეთაურობით და გული ლამის შემიღონდა — მაგრამ მაინც წარმოვსთქვი სიტყვა პუშკინზე, ეს სიტყვა აქ დაიბეჭდა და რადიომაც მთელ ქვეყანაზე მოჰინა.

4 მარტს მოსკოვის მწერალთა კავშირმა გამართა ჩემი შემოქმედების საღამო.

ვერ აგიწერ, როგორ კარგად ჩაიარა ამ საღამომ. დაესწრნენ თითქმის ყველა გამოჩენილი რუსის მწერლები და პოეტები. მე ვკითხულობდი ქართულად, რუსის პოეტები კიდევ კითხულობდნენ ჩემი ლექსების თარგმანებს. საღამოს დაესწრნენ ისპანიიდან ჩამოსული გამოჩენილი მწერლები და მომილოცეს ეს საღამო. აგრეთვე რუსებმა, სომხებმა, თათრებმა და ყველამ. აქაურმა გაზეთებმა დიდი წარჩინებით აღნიშნეს საღამო. ყველანი მილოცავდნენ და მკოცნიდნენ.

ახლა მივდივარ ლენინგრადში, იქაც იმართება ჩემი პოეზიის საღამო. მოსკოვის საღამოს ნახევარი გამარჯვებაც რომ განმეორდეს, მე მაინც კმაყოფილი ვიქნები.

ამ შემოდგომაზე გამოვიდა რუსულად ჩემი ლექსების წიგნი, რომაგი ტირაჟით, მაგრამ ორ კვირაში სულ გაიყიდა. ეხლა კიდევ სცემენ მეორედ ამ ლექსებს, მე კიდევ დავუმატე ახალი ლექსები.

ერთი სიტყვით, მე ძალიან კმაყოფილი ვარ მოსკოვის მიღებით, ხანდისხან თავი სიზმარში მგონია, ისე სიყვარულით და პატივისცემით მეპყრობიან ყველანი.

არ ვიცი ღმერთმანი, როდის უნდა გავამართლო ასეთი უანგარო და პატიოსანი ხალხის სიყვარული. არის ერთი ტელეფონების რეკვა და დაბატიება. მაგრამ მე მეტი აღარ შემიძლიან.

ჩემო ძვირფასო დედიკო, გწერ ამას იმიტომ, რომ ვიცი, გავიხარდება ჩემი გამარჯვება.

მე თუ რამეს წარმოვადგენ ქვეყანაზე, ეს სულ ერთიან შენი შემწეობით, შენი მხნეობით და ჭკუის დარიგებით.

მომავლენა ჩემი სტუდენტობა და მოსკოვში სწავლა, მომავლენა  
შენი წერილები და დაიმედება, რომ სწავლა არ დამეგდო — თქმის  
მამა ავად იყო.

მე ვერასოდეს ვერ გადავიხდი შენს ამაგს და სიყვარულს. მაგრამ  
როდის ყოფილა, რომ შეიღს დედის ამაგი ერთბაშად გადაეხადოს,  
დედა იმიტომ არის დედა, რომ სიყვარულით იყოს მუდამ. მაგრამ შენ  
სხვა დედებშიც გამოირჩევი: გულმაგარი, კეთილი და გამრჯე, მეოჯა-  
ხე.

თუ მე მერგო წილად ზალხის დაფასება და სიყვარული, ეს სულ შენ  
გეკუთვნის, მე რომ შენსავით შრომა და მუყაითობა შემეძლოს, ბევ-  
რჯერ მეტს გავაკეთებდი, მაგრამ მამისაგან გამოყოლილი გულის სი-  
სუსტე მიშლის მეტ მუშაობას.

ჩემო საყვარელო დედიკო, მე არაფერი ისრე არ გამახარებდა,  
ერთი რომ შენ დამჭკნარ ძუძუებს ვაკოცებდე და შენ გამრჯე და პა-  
ტიოსან ზელებს ცრემლებით დავკოცნიდე. მაპატიე, რომ ზოგჯერ ვერ  
გიგონებ და ვერ ჩამოვდივარ შინ. მაგრამ იცოდე, შენზე უფრო არავინ  
არ მიყვარს ქვეყანაზე, და არც არავინ ღირს ასეთ სიყვარულად. ვაკო-  
ცებ ჩემს სიმონიკას, მაროს და მათ ბავშვებს. ვიცი, მათაც გაეხარდე-  
ბათ ჩვენი ოჯახის გამარჯვება და საერთო ჩვენი ერთმანეთში სიყვარუ-  
ლი.

ნინა აქ არის და ძალიანაც მეზმარება. ნიტას თითქმის ყოველ  
დღე ველაპარაკები ტფილისში ტელეფონით.

გაკოცებ ბევრს, ბევრს და მალე გინახულე.

შენი ერთგული შვილი ტ ი ც ი ა ნ ი.  
გიგზავნი ხუთას მანეთს იმის მოსაგონებლად, რომ შენი დიდი ვალი  
აქამდე არ დამვიწყებია.

შალვა კარმელი

## ლექსები

„...1915 წელს შემოდგომაზე ჩემთან მოვიდა ბავშვი, რომელმაც დამიტოვა რვეული ლექსების და თითქმის ვერაფერი ვერ მითხრა. ის იყო, როგორც ნიზლია. გადავიკითხე ლექსები და იმ დამსვე წაუღი ვალერიან გაფრინდაშვილთან. ბავშვებურ შთაგონებაში ჩვენ დავეინახეთ მომავალი ძმა ჩვენს ორდენში შალვა კარმელი“... — წერდა პაოლო იაშვილი.

მ. კარმელი „ცისფერყანწულებმა“ უყოყმანოდ მიიღეს თავის „ორდენში“.

ამ „ყველაზე უმცროსმა და ნიჭიერმა ძმამ“ ფსევდონიმად კარმელი აირჩია (კარმელი არის მთა პალესტინაში ქალაქ ხაობის მახლობლად. 1156 წელს კარმელის მთაზე დაარსდა მონაზონთა საზოგადოება, რომელსაც ამ მთის სახელი უწოდეს და დღემდე ცნობილია, როგორც „კარმელისტების ორდენი“).

მის უახლოეს მეგობართა გადმოცემით პოეტის პორტრეტი დაახლოებით ასე წარმოგვიდგება:

„...შემდეგ ჩვენი შეხვედრები უფრო აღრმავებენ ჩემს სიყვარულს ამ მოკრძალებული და უნაზეს ბავშვისადმი... მისი სპეტაკი სული და უცოდველი ყრმის ცხოვრება...“ (ტიციან ტაბიძე).

„...მე შაგონდება მისი მოგრობა სახე... გამხდარ ღვაწიშეზე ოდნავ ჭორჭლდაყრილი...“ (რაფაელ გვეტაძე).

„...მისი სახის ბავშვურ იერს უჩვეულოდ ლამაზი თვალები აჭოვბდნენ, „არჩეის თვალები“... დაუფიქსარია ჩემთვის მისი ბავშვური, უმანკო გაღიმება!.. მის ყოველთვის მოკრძალებულ საუბარში და ლექსების წაკითხვის დროს, მის მეტად საამო მუსიკალურ ხმაში, რაღაც თავშეყვებული მღელვარება იგრძნობოდა. შალვა კარმელი მეტად მუსიკალურად კითხულობდა ლექსებს. მისი ინტონაცია იყო ბუნებრივი, ყოველგვარი გაღამებებული პათოსისა და დეკლამაციური სიყალბის გარეშე...“ (კოლაუ ნადირაძე).

ერთადერთი და ყველაზე დიდი სიხარული პოეტის ცხოვრებაში ყოფილა ლექსების პირველი წიგნი, რომელსაც ეგზოტიკური სახელი „ბაბილონი“ უწოდა.

„...ეს წიგნი იყო მისთვის იმედი, ამ წიგნით გრძნობდა ის სიცოცხლეს, თვითონაც იცოდა, რომ მისი ფილტვები ჭკნებოდნენ“ (ტიციან ტაბიძე). მაინც ამ წიგნმა მიანიჭა სამომავლოდ სიცოცხლე და ხსენება.

მას შეუღდენია და დასაბუქლად გაუმზადებია კიდევ ორი კრებული, მაგრამ მათი დაბეჭდვა ვეღარ განუხორციელებია და სპწუხაროდ დღემდე აღარც შენახულა.

შალვა კარმელი — შალვა გოგიაშვილი დაბადებულია ქუთაისში.

ღეღა — მატრონე, დიასახლისი.

მამა — პავლე, ხელოსანი.





მიუხედავად მშობლების ხელმოკლეობისა, შალვა სასწავლებლად ქუთაისის გიმნაზიაში მიუბარებიათ.

გოგიაშვილებს დაღუპვით ორი ქალი და ერთი ვაჟი. შალვა კარმელს მძაფრად განუცხდია ოჯახის დიდი უბედურება და მის, როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ მდგომარეობასაც ძალზე დასტყობია განცდილის კვალი.

შალვამ 1916 წელს წარჩინებით დაასრულა ქუთაისის გიმნაზიის კურსი.

1916 წელსვე გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი „რიონი“.

1917 წლის რევოლუციას და ცარიზმის დამხობას ახალგაზრდა პოეტი სიხარულით შეეგება.

1920 წელს ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტში სიტყვიერების ფაკულტეტზე. მეცადინეობდა და წერდა ლექსებს. მაგრამ უნივერსიტეტის დასრულება აღარ დასცალდა.

განუტურნელი ავადმყოფობის ნიშნები ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდშივე აღმოაჩნდა. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ უფრო გაუმწვავდა მდგომარეობა. მეგობრებმა სამკურნალოდ აბასთუმანში გავზავნეს. იქ ცოტა მოიკეთა, მაგრამ თბილისში დაბრუნებული გაცივდა და ავადმყოფობა უფრო გაუმწვავდა. ივანე გომართელია და სხვათა მკურნალობამ ვეღარ უშველა. თვალედახუჭული იწვა. განწირული შალვა კარმელი ქუთაისში წაიყვანეს.

19 იანვარს ჩაუვარდა ენა. სიკვდილის წინ შესძლო რამდენიმე სიტყვის თქმა. მისი უკანასკნელი სურვილი იყო, მის დასაფლავებას დასწრებოდნენ მეგობრები ახლად დაარსებული მწერალთა კავშირიდან. მეგობრებმა სურვილი შეუსრულეს.

გაზეთი „რუბიკონი“ 1923 წელს აცხადებდა: „გაზეთი უკვე აწყობილი იყო, როდესაც რედაქციამ მიიღო დებეშა, რომ ქუთაისში 25 იანვარს ლამის პირველ საათზე ტუბერკულოზით გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის თანამშრომელი, სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის წევრი შალვა კარმელი“.

1970 წელს დაბადების 70 წლის თავის შესრულებასთან დაკავშირებით გამოვიდა შალვა კარმელის ლექსების მეორე კრებული.

1965 წლის დეკემბერში საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის სოსიკო ბარათაშვილმა გადმოსცა შალვა კარმელის ხელნაწერები — ოცდაათამდე ლექსი. როგორც თვით სოსიკო ბარათაშვილი გვაცნობებს, ის და შალვა სიყრმის მეგობრება ყოფილან. მან შალვა კარმელის ლექსები შემოუნახა ქართველ საზოგადოებას. სოსიკო ბარათაშვილის მოვონებაც ღირსია ყურადღებისა. ამიტომ შალვა კარმელის გამოუქვეყნებელ ლექსებთან ერთად მიზანშეწონილად მიგვაჩნდა ამ მოვონების გამოქვეყნებაც.

ქეთევან ხაჩიაშვილი

სულის ლეგენდა!

I

მზე მოდიოდა...  
სხივს მოჰქოდა შეება ღილისა,  
განცდა ღეთაების, სულის რწმენა სიყმაწვილისა.

შეწოდა ყვავილს მკერდის რხევა მიცვარულისა  
და გულს უმანკოს ზეიმობა სიყვარულისა!

II

მზე ჩადიოდა...

თან მიჰონდა დღე წუთ ლეული!  
და სიხარულის საოცნებო კოშკი მსხვრეული!  
იღუმაღლ მდელის ეხეეოდა მწუხრი სნეული,  
ღამის ლანდებში ინთქმებოდა სვე კურთხეული.

III

მთვარე მნათობდა...

საოცნებოთ იწვევდა მწარ სულს...  
და აგონებდა განვილი დღეთა ორკოფულ წარსულს,  
სამზისიეროს ცის მნათობნი თინათინებდნენ  
და ჩანვის სიშნი ქვითინებდნენ და ქვითინებდნენ!

6/X

\*\*\*

ახლგაზრდა ვარ, თერამეტი წლისა,  
სახეს მაჩნს დალი მწარ სიცოცხლისა,  
ხან ჩემს თავს ვწყეული, ხან სხვას ვაბრალებ,  
ხან ტკბილათ ვმღერი, ხანაც ვვალალებ.  
სულის სიმებზე დავკენესი შაირს,  
ეხატავ სურათებს სხვადასხვანაირს,  
მგვრამ ჩემს გულში კვლავ იმალება  
გამოუთქმელი იღუმალება.  
ის უცდის წუთებს, როს მოვა ესამი  
მჭერამეტყველურათ რომ ვსთქვა უთქვამი.  
მიტომაც მინდა ახალი რამე, —  
გინდ გამახარე, გინდაც მაწამე,  
ოღონდაც მითხარ ისეთი შენა,  
რომ მოახდინოს სულზე გავლენა;  
ოღონდაც მარტვი საგრძნობიერო,  
რომ მეც მოვიძღვნა სამაგიერო!

23/X

ლანდები

გექებე... გიხმე,

სიცოცხლეო, არსად არ სჩანდი...

და მივდიოდი თეთრ ბილიკზე გულ-დაკოდილი,  
მარტოდმოარულს თან დამდევდა მე შენი ლანდი,  
როგორც, რომ ჰამლეტს მოცახცახე გამოს აჩრდილი!  
და მეპარვოდა იგი კრძალვით ფიქრეკუნეული,

ვითა ოტელო დეზდემონას სპეტაკ სარეცელს,  
უკანასკნელად ამითრთოლდა სიმღის სნეული  
და მოხვდა სული სასიკვდილოდ პირმკვეთარე ცელს!

## უოფნის ლეგენდა (პოეზიდან „ლეილა“)

უოფნის ლეგენდას სტვენს სალამური,  
მეტყველობს ხმებში დრო შორეული,  
მოისმის ლოცვა ტუბილ-საამური  
და სინანული ცრემლ-შორეული.  
განრინებული ვუსმენ სალამურს: —  
წარსულის აჩრდილს აწმყოს რომ აქსოვს,  
მაგრამ არ ესმის იგი გულისყურს  
და არც მე ვიცი, აღარც მე მახსოვს!  
მოგონებათა ტალღა აძგერდა,  
აღინთო გრძნობის წმინდა ლამპარი,  
მაგრამ ისევე განაცარმტვერდა,  
იყო ლეგენდა, იყო ზღაპარი!

7/VI I

## მარტოობა

მარტოობამ მომცა აზრი  
საოცნებო, როგორც მთავარე, —  
მარტოობამ შემიყვარა, —  
მარტოობა შევიყვარე!  
მარტოობამ მომაჩვენა  
ტურფა სახე ცის ასულის,  
მარტოობით განვიცადე  
არსებობა ჩემი სულის.  
ჩემთვის მყუდრო მარტოობა  
არის სევდის გამჭარველი,  
მარტოობა რომ შევიტყებე,  
მიტომ მქვია მე კარმელი!  
მარტოობამ აღმიმაღლა  
სამაჩადო გულის ვრძნობა  
და მიტომაც მიყვარს ასე,  
მარტოობა, მარტოობა!

### მოგონება შალვა კარმელზე

შალვა გოგიაშვილმა (ფსევდონიმი „შალვა კარმელი“) 1918 წელს დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია. ლექსების წერა ადრე დაიწყო. 1916 წლიდან მე იგი ხშირად მიკითხავდა და მაძლევდა, ზოგჯერ უბის წიგნაკშიც ჩამიწერდა ხოლმე თავის ლექსებს.

აქ წარმოდგენილი ლექსები დაწერილია 1916—1918 წლებში.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შ. კარმელი ქუთაისის და თბილისის (სადაც ის უნივერსიტეტში სწავლობდა) პერიოდულ პრესაში აქვეყნებდა ლექსებს.

შალვა კარმელი გარდაიცვალა 1923 წელს 24 წლის ასაკში ტუბერკულოზით და დასაფლავებულია ყოფილ მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში (ბულვარის პირდაპირ, სადაც ახლა ადმინისტრაციული სახლია).

შალვა კარმელი წყნარი, მშვიდობიანი, ფაქიზი, ყველასათვის საყვარელი ადამიანი და ამავე დროს, მეტად ნიჭიერი პოეტი იყო.

შალვა აფხაიძე ნეკროლოგში აღნიშნავს „რუბიკონის“ ფურცლებზე — „ახალ პოეზიას მოაკლდა პოეტი მოცემული ტალანტით და მზინი მომავლით“.

გიმნაზიაში ყოფნის დროს შალვა გატაცებული იყო ჰუმანიტარული საგნებით. ხოლო მათემატიკა არ უყვარდა. ერთხელ, VII კლასში ყოფნისას, 1917 წელს, ის გეომეტრიაში გამოიძახეს დაფასთან, მაგრამ თეორემა ვერ ახსნა. მე სანუგეშებელი ბარათი მივწერე, რაზედაც მან იმავე წამს დაწერა და გადმომცა ქვემოთ მოყვანილი ლექსი:

ეგ მასხრობა რომ არ ვიცი,  
განა დიდი ბრალია?  
უკვდავ მგოსანს სათამაშოდ,  
მშაო, მე არ მცალია,  
მეცინება, შეფარდება  
კატეტების კატეტთან,  
ყველა ერთად გაწყვეტილა  
მილიუკოვ და კალეტთან.

საერთოდ, ბევრ ლექსს იგი კლასშივე წერდა რვეულიდან ამოხეულ ფურცლებზე.

საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმს ვთავაზობ შალვა კარმელის 27 ხელნაწერსა და 1 დასტამბულ ლექსს, აგრეთვე „რუბიკონიდან“ ამოჭრილ ნეკროლოგებს.

**გაბრიელ ჯაბუშანური**

**მწერლობაში მოვიდნენ მირზა და ლადო**

საქართველოს სახელმწიფო გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ცნობილი ქართველი პოეტის გაბრიელ ჯაბუშანურის თითქმის ყველა ხელნაწერი, ლექსებსა და პოემებთან ერთად გვაქვს ჩანაწერები, პირადი წერილები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, აზუსტებს მისი ბიოგრაფიის მრავალ საინტერესო და საზოგადოებისათვის უცნობ დეტალს, გვაცნობს იმ აღაზიანებს, რომლებთანაც მას ურთიერთობა ჰქონდა. ამ მხრივ საგულისხმოა მისი „დღიური“, „მოგონებათა ფურცლები“ და განსაკუთრებით, ლიტერატურული ხასიათის წერილი: „მწერლობაში მოვიდნენ მირზა და ლადო“.

ლადო ასათიანთან და განსაკუთრებით, მირზა გელოვანთან გ. ჯაბუშანური ახლო ურთიერთობაში იყო. 1957 წ. ნიკა აგიაშვილი ლილვოში სწერდა გაბრიელს, რომ მათი თაობის პოეტებზე მოგონების დაწერას ამირებდა და ამ საქმეში გაბრიელსაც დახმარებას სთხოვდა: „მე ბევრი რამ ვიცი, ბევრი დამიგროვდა, მაგრამ სხვისი დახმარება ძლიერ მჭირია ხომ არ შეგძლია შენც გაიკრა ჯიბეს ხელი და ერთი რამდენიმე სტრიქონი ჩასწერო ნიკა აგიაშვილისათვის; უმთავრესია შენი შეხვედრა-ურთიერთობანი შენს უახლოეს მეგობრებთან, ჩვენ თაობელებთან“, მე უფრო მაინტერესებს მირზა, ლადო ბალიაური, ალექო შენგელია და მისი ძმანი, რომლებთანაც უფრო ახლო იყავი“.

იმავე წელს გ. ჯაბუშანური წერს „მოგონებათა ფურცლებს“, სადაც იხსენებს წარსულს 1925 წლიდან. „ეწერ იმას, რაც ახლა, ერთბაშად მომაგონდა. შენ არჩიე, თუ რამე გამოვადგება და გამოიყენე როგორც მასალა“ — სწერს ნიკა აგიაშვილს.

„მოგონებათა ფურცლებში“ ლაპარაკია იმ გარემოზე, რომელშიც გ. ჯაბუშანურს უხდებოდა ყოფნა. უფრო ვრცლად მირზასა და ლადოს შესახებ წერს ქვემოთ მოტანილ მოგონებაში. გ. ჯაბუშანურმა ეს მოგონება დაწერა 1965 წელს თბილისში, ავადმყოფობის დროს, კარდიოლოგიის ინსტიტუტის სტაციონარში ყოფნისას.

**რუსუდან ჭანტურიშვილი**

დიდი სამამულო ომის დაწყებიდან მეოთხედი საუკუნე, ხოლო მისი დამთავრებიდან ოც წელზე მეტი ხანი გავიდა. ცნობილია, რომ ომის დაწყებისთანავე, ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა რესპუბლიკიდან ქუდზე კაცი გამოვიდა მამულისათვის თავშესაწირად. ომის მსახვრალი ხელი, რაღა თქმა უნდა, ჩვენი მწერლობის რიგებსაც შეეხო, რადგან სიტყვის ოსტატებიც, კალმით და ხიშტით ხელში, მხარდამხარ ედგნენ სამშობლოს დამცველებს, როგორც რიგითი მებრძოლები.



ომის დაწყების წინა წლებში, ჩვენთაობელთა უმრავლესობა სწორედ საჯარისო ასაკისა იყო და ზოგი მათგანი (მაგალითად ლადო ასათიანი და მირზა გელოვანი) მაშინვე გაიწვიეს სამხედრო ვალდებულების მოსახდელად, ხოლო სხვები ომის დაწყებისთანავე ჩადგნენ სამშობლოს დამცველთა რიგებში. ეს ახალგაზრდები დიდ ლიტერატურაში მაშინლა იდგამდნენ ფეხს და ბევრ მათგანს ჭერ პირველი წიგნიც არ ჰქონდა გამოცემული.

სამშობლოსათვის თავშეწირულ ახალგაზრდა მწერალთა ლიტერატურული მემკვიდრეობა მათი სიკვდილის შემდეგ შეგროვდა და გამოიცა. ამრიგად, ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა, უფრო სრულად გასცნობოდა ადრე წასულთა შემოქმედებას, იმას, რისი ვაკეთებაც მათ მოასწრეს.

ავადმყოფობის გამო, ლადო ასათიანი ჯარიდან შინ ომის დაწყებამდე დააბრუნეს, ხოლო მირზა გელოვანმა ფრონტზე დასდო თავი, როგორც საბჭოთა არმიის ოფიცერმა. ამ ორი, ჩვენგან ადრე წასული პოეტის ლექსები, კარგა ხანია, მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ საბჭოთა პოეზიაში. მათი სიმღერა ხალხმა მიიღო და თავის გულთან დაუშკვიდრა ადგილი. მათმა პოეზიამ გაუძლო დროის მკაცრ გამოცდას.

ჩემი ეს მცირე და ფრაგმენტული მოგონებები უმთავრესად მირზა გელოვანს ეხება, რადგან სამი წლის განმავლობაში (1936—39 წწ.) ჩვენ თითქმის სულ ერთად ვიყავით. ლადო ასათიანსაც ხშირად ვხვდებოდით, მაგრამ ის უფრო სხვა ჩვენთაობელებთან მეგობრობდა და თავისუფალი დროის დიდ ნაწილსაც მათთან ატარებდა, ხოლო ომის დაწყების შემდეგ, მე ცხოვრება და მუშაობა მთაში მიხდებოდა და ლადოსაც აღარ შევხვდებოდით.

30/XI. 1965 წ.

სალამო თბილისში. საავადმყოფო

1936 წლის შემოდგომიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე დავიწყე სწავლა. მანამდე, ორი წლის განმავლობაში თელავის რაიონის ერთ-ერთი სოფლის დაწყებით სკოლაში ვმასწავლებლობდი. წინა წელს სოფლიდან რეზო მარგვიანს რამდენიმე ჩემი ლექსი გამოვუგზავნე. მე და რეზო თბილისში ბავშვობიდანვე ვმეგობრობდით და საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სოფლის მასწავლებლად რომ დავიწყე მუშაობა, ერთმანეთთან მიწერ-მოწერა გვქონდა. გამოგზავნილი ლექსებიდან ერთ-ერთი ჟურნალ „ჩვენი თაობის“ თებერვლის ნომერში დაიბეჭდა. ასე, რომ, თბილისში როცა ჩამოვედი, ცალი ფეხი თითქოს უკვე „დიდ ლიტერატურაში“ მქონდა შედგმული და ახალგაზრდა დამწყები მწერლები შორიდან ასეთუ ისე მიცნობდნენ, ისევე, როგორც მე მათ.



ერთხელ, როცა ჩემი თავი გიორგი კალანდაძეს გააცნეს, მანაც კვირვებით შემომხედა და მითხრა: „აა, შენ ცხენი ხარ?“ (წინა წელს სწორედ ჩემი ლექსი „ცხენი“ დაიბეჭდა „ჩვენ თაობაში“). ყველას ხარხარი აგვიტყდა და არავის არ გვესმოდა, თუ გაწითლებული გიორგი კალანდაძე როგორ ცდილობდა თავისი უნებლიე „შეცდომის“ გასწორებას.

იმ ხანებში ლიტერატურული ახალგაზრდობა ეურნალ „ჩვენი თაობის“ გარშემო იყრიდა თავს, მაგრამ ეს ეურნალი კანტიკუნტად გამოდიოდა და არც მტკიცედ ჩამოყალიბებული ავტორთა კოლექტივი ჰყავდა. ნომრიდან ნომერში ჩნდებოდნენ ახალი სახელები და უმალვე ქრებოდნენ. იყო, რომ იტყვიან, ავტორთა დენადობა და ახალგაზრდა მწერალთა ის საიმედო ბირთვიც, რომელიც იმეამად შლიდა ფრთებს, ითქვიფებოდა სხვა, შემთხვევით გამოჩენილ დამწყებთა კალეიდოსკოპში. ეს მანკიერება დაეტყო, აგრეთვე, მომდევნო, 1937 წელს გამოსულ „ახალგაზრდა მწერლების კრებულსაც“. წიგნში ძალიან ბევრი დამწყები ავტორი იყო წარმოდგენილი, საბოლოოდ კი მათგან ქართულ მწერლობას ცოტანი თუ შემორჩნენ.

19/XI. 65.

სალამო, თბილისი, საკადმყოფო

„ახალგაზრდა მწერლების კრებულში“ მირზა გელოვანის ლექსები საკმაო რაოდენობით იყო დაბეჭდილი. ეს ლექსები ცხადად შეტყვევებდნენ, რომ ქართულ მწერლობაში ახალი, მეტად საიმედო ძალა შემოდიოდა. მანამდე მკითხველი საზოგადოება მირზას თითქმის სულ არ იცნობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ერთ ლექსს „თეთრი მიწა“, ეს ლექსი რაჟღერ გვეტაძეს თავის რომანში „ლაშაური საღამოები“ — ჰქონდა მოტანილი.

1938 წლიდან ეურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქტორად ირაკლი აბაშიძემ დაიწყო მუშაობა. პასუხისმგებელ მდივნად ნიკა აგიაშვილი დანიშნეს. ამის შემდეგ, ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის მეთოდებიც შეიცვალა, — მას უფრო გააზრებული და მიზანშეწონილი ხასიათი მიეცა. „ჩვენი თაობის“ გარშემო შეიქმნა ავტორთა მუდმივი, მყარი კოლექტივი და ეურნალმა ძირითადად, მათი ნაწარმოებების ბეჭდვა-გამოქვეყნება დაიწყო. ეურნალისათვის მასალების შერჩევაც ფართო, კოლეგიალური წესით წარიმართა.

20/XI. 65 წ.

სალამო თბილისში

მირზა გელოვანს სწორედ იმ ხანებში გავეცანი. მე და მწერალი ლადო ბალიაური (მაშინ ისიც ჩვენსავით ახალბედა იყო) ერთად ვცხოვრობდით. ორივენი უნივერსიტეტში ვსწავლობდით და როგორც

მთიელები მთიელს, — მირზა გელოვანს მაშინვე ძალიან დაეუმეგობრებოდა.  
გრიგოლ ბერიძე

20/XI. 65 წ. დღე-  
თბილისში. საავადმყოფოში.

მირზას მელიქიშვილის ქუჩაზე ერთი პატარა ოთახი ექირა. ოთახი არც კი ეთქმოდა, — უფრო ღარაბა იყო. ედგა ერთი საწოლი, მაგიდა და რამდენიმე სკამი. წიგნები სულ არ გააჩნდა. ეს საოცარიც იყო: წაკითხული ჰქონდა ქართულ ენაზე გამოსული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი წიგნი. რუსული ენა უჭირდა და ეს ამბავი ძალიან სწყინდა. ბრწყინვალე მეხსიერება ჰქონდა და ჩვენი კლასიკოსებისა თუ თანამედროვე პოეტების კარგი ლექსები სულ ზეპირად იცოდა. ფრიად დაწმენდილი გემოვნების მქონეს შეეძლო კიდევ თავისი შეხედულების დაცვა-დასაბუთება. კარგი მოკამათე იყო და ამასთან ერთად ენა-მოსწრებელი. მასთან სიტყვით კენწლაობა საქმეს წარმოადგენდა.

მირზას ოთახის წინა კედელი, მელიქიშვილის ქუჩისაკენ მიქცეული, ნახევრად შუშისა გახლდათ და უცხოთა არამკითხვე მზერის ასაცდენად რძის ფერად იყო შეღებილი. შუშაზე წასმული საღებავი ერთ ადგილს ვილაცას ფრჩხილით აეთხაჭუნა და სამზერი გაეკეთებინა. მეგობარი სტუდენტები, ლექციებიდან შინ როცა ებრუნდებოდით, იმ სათვალადან შეუტკვრეტდით მირზას და თუ შინ იყო, მცირე ხნით მაინც შევიდოდით მასთან. იმავე სამზერზე თვალმინდობილს, ბევრჯერ მინახავს მირზა ფეხზე მდგომი, მაგიდაზე დახრილი ახალ ლექსს რომ წერდა, ან დაფიქრებული, ბრმა მზერით სადღაც მიღმა სამყაროში რომ იყურებოდა. იმ ხანებში იგი ძალიან ბევრს წერდა, ხშირად დღეში რამდენიმე ლექსსაც კი. ჩამოჰქონდა და მერე ჩვენ გვიკითხავდა. მირზას ლექსთა კრებულში უმეტეს წილად, მაშინ დაწერილი ლექსებია შესული (1937—38 წლები).

22 ნოემბერი, 1965 წელი.  
თბილისი. დღე. საავადმყოფო.

მირზამ საოცრად შთაბეჭდავი კითხვა იცოდა. იგი, ლაღო ასათიანივით ეესტიკულაციას არ იშველიებდა, არც ყვიროდა, პირიქით — ძალიან ნელი ხმით კითხულობდა, მაგრამ სწორედ მისი ეს ნელი, გულის სიღრმიდან მომდინარე ხმა და ამ ხმის გასაოცარი ვიბრაცია აზნუნდა მსმენელზე უდიდეს შთაბეჭდილებას. მირზა გელოვანის ლექსების კითხვისას გვაჯადოებს პოეტის იშვიათი უშუალობა, დიდი პოეტური ოსტატობა, მაგრამ ვისაც მირზას მიერ საკუთარი ლექსების კითხვა არ მოუსმენია, ძნელად თუ შეუძლია თქვას, რომ მისი ლექსის ძალას მთლიანად ჩაწვდა. ასეთ შემთხვევაში მე სოსო გრიშაშვილის



დეკლამაცია თუ გამახსენდება. მეგალითად, მირზა გელოვანი „აონის“ კითხვისას როცა იტყოდა: „მოსწია თოკებს პატარა ზართა, გავარდა ექვსი“ „გვიშველე ცაო, გავარდა ექო და გაიზარდა: აონ... აონ... აონ...“ ტანში ჟრუანტელი გვივლიდა ხოლმე.

23 ნოემბერი, 1965 წელი.  
თბილისი. დღე. საავადმყოფო.

მახსოვს, ერთხელ, თბილისს ერთად ვიყავით: მე, ლადო ბალიაური, ალექო შენგელია, მირზა გელოვანი და არხოტის სასოფლო საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე გაბრიელ ნაროზაული. სერობა გვიანობამდე გაგვიგრძელდა. გათენებას ერთი-ორი საათი თუ აკლდა. ავდექით და მთაწმინდაზე წავედით; გადავწყვიტეთ, სერობა იქ გაგვეგრძელებინა.

ფარდულთან მიძინებული ლუდის გამყიდველი გავალვიძეთ და ერთი მომცრო კასრი ლუდი მოლზე გამოვაგორეთ. ივლისი იდგა. მზე მახათას მთის მიღმა სისხლისფერ ღრუბლებში იყო მიმაღული. ქედნისფრად თენდებოდა და ჩვენ ახალგაზრდული ხალისით დაბანგულები ლექსებით, სიმღერით და სადღეგრძელოებით ლაღად ვეგებებოდით დილას. მაშინ, იქ, წაგვიკითხა მირზამ თავისი ბრწყინვალე ბალადა „აონი“. ამ ბალადას ჩვენ უკვე ვიცნობდით, მაგრამ გარიყრაყის უამს, მთაწმინდაზე იმ განწყობილებასა და გარემოში მის მიერ წაკითხული ეს ნაწარმოები პირდაპირ მომაჯადოებელი გვეჩვენა: ავტორის ათრთოლებულ და გულშიჩამწვდენ ხმას უერთდებოდა ფრინველთა საზაფხულო საგალობელი. კიდევ და კიდევ ვაკითხებდით სხვა ლექსებს, ხანდახან ჩვენსასაც ჩავურთავდით და ვიყავით მთვრალნი პოეზიით, სასმელით, სიჭაბუკით და გარემოთი. მზე თამადასავით შემოჯდა მახათას მთაზე. ნელ-ნელა იღვიძებდნენ წმინდა მთის ბინადარნიც და თავის ჩვეულებრივს, ყოველდღიურ საქმიანობას იწყებდნენ. ქალაქიდან ამოსული მოსეირნენიც ნელ-ნელა მომრავლდნენ. დაბლა კი გაღვიძებული თბილისი ქოთქოთობდა. ჩვენი განკერძოება დაირღვა და სერობასაც სერ-ფერი გაეცრიცა, დაოკებულნი დავეშვით დედა თბილისისაკენ.

ერთი რამ იყო შესამჩნევე ყოველთვის: მირზა გელოვანი, თავის ძველსა თუ იმ წლებში დაწერილ ლექსებს რომ გვიკითხავდა, ყველა მისი ნაწარმოები, ასე თუ ისე, სრულყოფილი იყო, არც ერთი ლექსის ხელალებით დაწუნება არ შეიძლებოდა. არ მახსოვს, რომ ერთხელ დაწერილი როდისმე გაესწორებინოს. შენიშვნას ჩვენც იშვიათად ვაძლევდით, ან თუ ასეთ შენიშვნას ვინმე მივცემდით, ის ყოვლად დამაჯერებლად ასაბუთებდა თავის სიმართლეს. როგორ წერო — როცა ვკითხავდით, — ის ამბობდა: ლექსი აზრში ჯერ ბუნდოვნად გამიღვებებს, მერე თავში ნელ-ნელა ყალიბდება. დავდივარ, ლექსიც თან დამდევს, ვჩურჩულებ, თანდათანობით ვასხამ ხორცს და მერე, როცა სათქმელი საბოლოოდ დაიხვეწება და ლექსი მთლიანად დადგინდება, ვჯდები და უბ-

რალოდ, ქალაღღზე გაღამაქვს. საკვირველი მეხსიერება ჰქონღა მირზას  
თავისი ყვეღა ლექსი უკლებღივ ზეპირად იყოღა.

24 ნოემბერი 1965 წელი.  
საღამო თბიღისში. საავღდმყოფო.

მირზასთან მეგობრობისას მისი ერთი რამეც მოოცებღა კიღევ: რა ლექსებსაც ის გვიკითხავღა, თუ გვიკითხებღა, როგორც გაკვრით ზევი-თაც აღვნიშნე, ათიქმის ყვეღა სრულყოფიღი, უხორკლო იყო. მირზას ხელნაწერებში არც მისი ლექსების შავები, თუ სხვა ვარიანტები მინახავს, არც სუსტი ლექსები. ასე გამოღიღღა, თითქოს მას არც მოსამზადებელი პერიოღი ჰქონღეს, ვარგის ლექსების დაწერამღე რომ ახლავს თითქმის ყვეღა ახალბეღას. პოეტური გზის დასაწყისისას, აღბათ, მასაც ექნებოღა მღარე ლექსები, მაგრამ მირზა ძალიან მკაცრი იყო თავის-თავისაღმი, თანაც მღალი გემოვნების პოეტი ამავე დროს, როგორც მე ვიცი, ის ლექსზე ნაძღლადევეღ არ ჯახირობღა და სწორეღ ამიტომ, კიღევ რომ გამოსვლოღა მღარე ლექსი, აღბათ მირზა ასეთ რამეს უმღლვე დახევეღა, ან მასზე ფიქრს უბრღლოდ თავს მიანებებღა. ის ხომ ლექსს მთღიანად ჯერ ზეპირად „თვღიღა“ და ქალღღღზე მხოლოდ ამის შემღდეგ გაღაჰქონღა. 17 — 18 წღის მირზა გეღოვანს უკვე სავეებით ჩამოყალიბებული და გამართული ლექსები აქვს დაწერიღი.

თავის თავისაღმი ხომ ასე მომთხოვნი და მკაცრი იყო მირზა, ასევე სხვათა სუსტი ლექსების მიმართაც ფრიად დაუნღობელი და პირში მოქმელი გახლღათ, ხოლო თუ სულ არაფერს იტყოღა მოსმენიღისა თუ წაკითხული ლექსის გამო, ეს იმას ნიშნავღა, რომ რომელიმე ჩვენგანის იმეამად მოსმენიღი თუ წაკითხული ნაწარმოები არ მოსწონღა. ერთხელ ჩემს მიერ სოფელში წინა წღებში დაწერიღი ლექსების ბლოკნოტი მოთხოვა. რამღენიმე დღის შემღდეგ ხელნაწერი დამიბრუნა. კითხვისა თუ გაკვირვების ნიშნებით მთღლად აჭრეღებული და გაღაჩხაპნიღი, ხოლო რომელი ლექსიც, ანღა სტრიქონიც მოსწონებოღა, მისთვის თავისთვისევე დათქმული მოწონების ნიშანი დაესვა-მე. მაშინ, შეღარებით მოსათმენი ლექსები ცოტა მქონღა. ამიტომაც ჩემზე სამი წღით უმცროსი მირზასაგან საგრძნობღად მომხვეღა. მსაჯული სავეებით მართალი იყო. მისი მკაცრი მსჯავრი არცთუ მაინცა და მაინც მწყენიღა, რადგან მაშინ უკვე შემეძლო მეგრძნო ჩემს მიერ აღრე დაწერიღის უნიათობა. უბის წიგნში რუს კლასიკოსთა რამღენიმე ლექსის ჩემს მიერ თარგმანიც მქონღა ჩაწერიღი. აქვე მინღა შევენიშნო, რომ მირზა გეღოვანს თარგმნიღი ლექსებისა არაფერი სწამღა. ის იმ აზრისა იყო, რომ კარგი ლექსის სრულყოფიღი თარგმნა სხვა ენაზე შეუძლებელიღა და მაშასადამე, ამოო საქმე. აკი თვითონაც იტყოღა ხოლმე: „ჩემთვის ლექსის თარგმანები ისე არის მქრქალი,

როგორც ორჯერ ნაქმარები ქალი...“ ჩემს თარგმანებსაც მირზა სრულე-  
ად არ შეხებოდა, თვით ქართული მეტყველების თვალსაზრისითაც  
მითხრა: რუსული ენა მე არ მესმის, შენს მიერ თარგმნილი ავტორე-  
ბის ლექსთა წაკითხვა დედანში არ შემიძლია და თავიც ამიტომ შევი-  
კავეთ. ეს კარგი ხასიათი მირზას უცვლელად შერჩა: რაც არ იცოდა,  
იმაზე მსჯელობას, თუ საკუთარი აზრის გამოთქმას პრინციპულად გა-  
ურბოდა, სამაგიეროდ, რაც იცოდა და როგორც სწამდა, იმ საგანზე  
თავის შეხედულებას, როგორც ზემოთაც ვთქვი, თავგამოდებით იცა-  
და და დამაჯერებელი არგუმენტების მოტანაც შეეძლო...

25 ნოემბერი 1965 წელი.

სალამო თბილისში. საავადმყოფო.

ჩვენთაობელთა უმრავლესობა თბილისის სახელმწიფო უნივერსი-  
ტეტის სტუდენტები ვიყავით. დანარჩენები თეატრალურ ინსტიტუტში,  
სამხატვრო აკადემიასა თუ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობ-  
დნენ. ლაღო ასათიანს ქუთაისის პედინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებუ-  
ლი. მირზასაც ძალიან ეწადა უმაღლეს სასწავლებელში შესვლა. იგი  
ერთხანს კიდევ ემზადებოდა უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების  
ჩასაბარებლად, მაგრამ ამისათვის ჩაჯდომა და ბეჯითი მეცადინეობა  
იყო საჭირო, მირზას კი დაუდგრომელი ხასიათი ჰქონდა, გულის დადე-  
ბა მას მხოლოდ პოეზიისათვის შეეძლო. ის მხოლოდ ლექსებისათვის  
იყო დაბადებული და სხვა რამე მისთვის თითქმის არც არსებობდა. იგი,  
ასევე, როგორც პოეტების უმრავლესობას ახასიათებს, პრაქტიკულ  
ცხოვრებაში უმწეო იყო. არსად არ მუშაობდა: ფულსაც აგრერიგად  
არ დაგიდევდა. თიანეთიდან დროდადრო ჩამოდიოდნენ მისიანები:  
დედა, დაი, ან ძმა და ისინი უმართავდნენ ხელს. ეს კი იყო: თუმცა  
სადაღ, მაგრამ ფაქიზად და გემოვნებით იცვამდა. ჩვენ თითქმის სულ  
ერთად ვიყავით ხანაც მირზასთან, ხან ლაღო ბალიაურთან, მთაწმინდა-  
ზე, ხანაც მწერალთა კავშირში ვხვდებოდით ერთმანეთს. ყოველ ჩვენს  
ახალ ნაწარმოებს ერთმანეთს ვუკითხავდით, იქვე ვარჩევდით და ვა-  
ფასებდით კიდევ. ბეჭდვის საქმეც უკეთესდებოდა: — უფრო ხშირ-  
ხშირად დაიწყოთ პრესასა თუ პერიოდიკაში ჩვენი ნაწერების გამო-  
ქვეყნება: დაბოლოს, კრიტიკა კანტიკუნტად ალაპარაკდა ჩვენი ნაწარ-  
მოებების თაობაზე. უფრო მირზას აქებდნენ, რის საბაბსაც უეჭველად  
იძლეოდა მისი ბრწყინვალე ლექსები. მე, ზემოთაც ვთქვი, რომ მირზას  
ბეჭდვა შედარებით მაინც უჭირდა. რედაქტორები უმეტესად თავს  
იკავებდნენ მისი ლექსების გამოქვეყნებისაგან. თითქმის ასევე იყო  
ლაღო ასათიანის საქმეც. სამაგიეროდ ჟურნალ „ჩვენი თაობის“ კარები  
ფართოდ იყო ღია ორივე პოეტისათვის. მათი პოეზიის მაშინდელი  
ნიმუშების გამოქვეყნებაზე უდავოდ დიდი ამაგი აქვს დადებული  
ნიკა აგიაშვილს. ეს კაცი საერთოდ, ყველა ჩვენთაობელისათვის გახლ-

დათ უფროსი ძმა, კეთილი მრჩეველი და გულითადი მეგობარი. პატრიარქის საკობრივი ზღვარი ჩვენს შორის თითქოს არც კი არსებობდა.

26 ნოემბერი 1965 წელი.  
საღამო თბილისში. საავადმყოფო.

ჩვენთაობელები ერთმანეთს, უმეტესწილად, ეურნალის რედაქციაში ვხვდებოდით. ისე, ცალკალკე, უფრო ვიწრო, ინტიმური ქვეჯგუფებიც იყო. ეს ქვეჯგუფებიც ერთმანეთს თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ. მათ ურთიერთთან ახლო მეზობლობა, სასწავლებელი, თუ საერთო სამსახური აკავშირებდათ. მირზა გელოვანი, უფრო ხშირად, ჩვენთან (ლადო ბალიაური, ალექო შენგელია და მე), „მთაწმინდელებთან“ იყო. მთაწმინდელი იყო რევაზ მარგინიცი, მაგრამ ის უფრო ლადო ასათიანთან მეგობრობდა, თანაც ისინი ერთად მუშაობდნენ გაზეთის რედაქციაში და სამსახურის შემდეგ ერთადაც სეირნობდნენ. ხშირად ეს ქვეჯგუფები რუსთაველის პროსპექტზე ვხვდებოდით ერთმანეთს, ვერთიანდებოდით და „მირზას ხის“ ქვეშ იმართებოდა სახელდახელო ლიტერატურული დისპუტი, დეკლამაცია თუ მუშაობა.

ლადო ასათიანი თბილისში მუდმივ საცხოვრებლად 1938 წელს გადმოვიდა. ლექსებს უმეტესწილად „ჩვენს თაობაში“ ბეჭდავდა; თუმცა სხვა ეურნალ-გაზეთებშიც აქტიურად თანამშრომლობდა, თარგმნიდა კიდევ. ლადომ რუსული ენა იცოდა და კარგად იცნობდა რუსულ პოეზიას. მირზასაგან განსხვავებით, იგი საკუთარი ლექსების კითხვისას უფრო ჟესტიკულაციას ემყარებოდა, თუმცა ხმაც შთამბეჭდავი და მგრძნობიარე ჰქონდა. ერთხელ, მწერალთა კავშირში, ცალკე გამიხმო და „ნამკაშურის წისკვილები“ წამიკითხა, ალიო მირცხულავასთვის მოეტანა „მნათობში“ დასაბეჭდად (მაშინ ალიო ამ ეურნალის რედაქტორი იყო) და ლექსზე ჩემი აზრი აინტერესებდა. მე, რა თქმა უნდა, ძალიან მომეწონა ეს, ამჟამად ფართოდ ცნობილი ლექსი. ლადოს ბავშვივით უხაროდა. თითქოს ახლაც, ყურში მესმის მისი ათრთოლებული ხმა: „...თქვენ გუმარეთის მწვანე ჭალებში ოცნებებივით რომ ხართ ჩადგმული...“ კითხულობდა ლადო და ლექსის რიტმს ტანსაც აყოლებდა, თითქოს სწადდა: ამ გუმარეთის ჭალებში ჩადგმულ ჰაერშია წისკვილებს ხელით მისწვდომოდა, მიჰფერებოდა.

ლადო უკანასკნელად ომის დაწყებამდე სულ რაღაც ერთი-ორი კვირის წინ ვნახე. ხოლო მირზა გელოვანს 1939 წლის შემოდგომის შემდეგ აღარ შევხვედრია.

იმ ხანებში ლადო ასათიანს თუმცა ბევრი კარგი ლექსი ჰქონდა გამოქვეყნებული, მაგრამ, მე, მაინც მგონია, რომ ჩვენ მისი მეგობრები საკმარისად ვერ ჩაეწვდით ლადოს ლექსების სიკეთეს. ერთადერთი ნიკა აგიაშვილი იყო, რომელმაც იმთავითვე მთელი სისრულით შეიგრძნო ლადო ასათიანში ბრწყინვალე პოეტი. თუმცა, აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლადო ასათიანმა თავისი პოეტური შედეგების

მეტი წილი იმის შემდეგ გამოაქვეყნა, სადამდისაც ჩემი ამ მოგონებების მიჯნა მიდის.



თუ მირზა ენამოსწრებელი უფრო საუბარში იყო — ლადო ეპიგრაფა-ლექსებში იჩენდა გასაოცარ სიტყვამახვილობას და ვირტუოზულობას. ვისიმე წყენინება მას არ ეწადა, მაგრამ ეპიგრაფა-ფუნაგორია მისი სტიქია იყო. მოსწრებული თქმის ბრწყინვალე რითმაში ჩაწვნისათვის სულს გაყიდდა. ცუდი კი, რა თქმა უნდა, არავისთვის არ უნდოდა და ამიტომ საკვირველი იყო, რომ ზოგიერთებს მისი ეპიგრამები მაინც სწყინდათ. ერთხელ, „ჩვენი თაობის“ რედაქციაში, მე და ლადო ნიკა აგიაშვილს შემოვუხსედით გარშემო და გადავწყვიტეთ, ერთად შეგვეთხზა ექსპრომტი-ეპიგრამა. გავკენწლეთ ნიკა, გადავწვდით „ჩვენი თაობის“ მაშინდელ რედაქტორს ირაკლი აბაშიძესაც, რომელიც „ნაუკრაინალ-ნაკობზარალი“ იმ დღეებში დაბრუნდა თბილისში კიევიდან, სადაც ტარას შევჩენკოს საიუბილეო ზეიმზე იყო მიწვეული. ზიარი ეპიგრამის ხელნაწერი სახუმარო სერიოზულობით გადავეცით ნიკას „სამუდამო შესანახად“ და რედაქციიდან სიცილით გამოვედით. ეპიგრამებს ხანდახან მირზაც კაფიობდა, მაგრამ ეს მისი საქმე არ იყო.

27 ნოემბერი 1965 წელი  
სადამო თბილისში, საავადმყოფო.

მე ადრეც აღვნიშნე, რომ ჩვენთაობელთა დიდი ნაწილი სოფლიდან ვიყავით ჩამოსული და ქალაქის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ვსწავლობდით. ჩვენი ძირითადი საარსებო წყარო სტიპენდია და ის ჰონორარი იყო, რასაც დაბეჭდილი თხზულებებისათვის „ჩვენთაობასა“ თუ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისაგან ვღებულობდით კანტიკუნტად. ჩვენგან ყაირათიანი ცოტა ვინმე თუ იყო და ამიტომ ნახევრად ბოჰემურ ცხოვრებას ვეწეოდით. ლადო ასათიანი მაინც რედაქციაში მუშაობდა, მირზა კი თიანეთში მცხოვრები ოჯახის შემწეობაზე იყო მთლიანად დამყარებული. ბეჭდვითაც ცოტას ბეჭდავდა და აქედან აღებული ჰონორარი ანგარიშში ჩასაგდებად არცა ღირდა. მერე ის იყო ლიტფონდმა რამდენიმე ახალგაზრდა მწერალს დახმარების სახით თვეში ორმოცი მანეთი დაგვინიშნა, მაგრამ ამ ფულსაც, მიღებისთანავე, ჩვეულებრივად, რომელიმე სასაუზმეში დავამღერებდით ხოლმე. ახალგაზრდები ვიყავით და ხვალინდელი დღიდან, პოეზიის გარდა, ყოველივე პროზაული ამბავი გამორიცხული გვქონდა, ესეც უნდა ითქვას: ახალგაზრდების მიმართ მაშინ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდა. როგორც წესი, ჩვენ თავად არაფერს არ ვთხოვლობდით, განცხადებებით და პეტიციებით არავის არ ვაწუხებდით: კავშირის გამგეობამ გამოგვიცხადა: ამა და ამ ახალგაზრდებს საქლიტფონდიდან დახმარება

დაგენიშნათო მანამდე ამის შესახებ ჩვენ არაფერი არ ვიცოდით. 1939 წლის შემოდგომაზე გვითხრეს: მავანმა ახალგაზრდებმა განცხადებები დაწერეთ, მწერალთა კავშირის წევრებად უნდა მივიღოთ და მართლაც ოთხი კაცი მიგვიღეს. მათ შორის მირზაც. უფრო გვიან მწერალთა კავშირის გამგეობამ რამდენიმე ახალგაზრდა მწერალს გამოგვიცხადა: წიგნები შეადგინეთ, უნდა გამოგიცეთო და სხვა.

28 ნოემბერი 1965 წელი  
სალამო თბილისში. საავადმყოფო.

როგორც უკვე ვთქვი, მირზა გელოვანი არც სადმე სწავლობდა და არც სადმე მუშაობდა. ის მთელი თავისი არსებით პოეზიას იყო თავშეწირული და ამის გარეშე არც რამე ახსოვდა და არც რამე სწადდა. თიანეთში, თავის ოჯახში, არცთუ ისე ხშირ-ხშირად ადიოდა. უფრო ხშირად მისიანები ჩამოდიოდნენ ქალაქში და მირზას ხელმოკლეობას წამალს ადებდნენ... თუმცა თბილისშიაც ბევრს წერდა, მაგრამ ქალაქიდან გასვლა და საქართველოს რომელიმე კუთხის მოხელვა მისთვის ახალ ლექსებს ნიშნავდა. ამიტომ მისი ოთახის კარი, თბილისში, არცთუ ისე იშვიათად იყო გამოკეტილი. ერთხელ ქალაქიდან კარგა ხნით გაქრა. უკან ოდნავ ფერმკრთალი და დასუსტებული დაბრუნდა. საერთოდ, მირზა ფრიალ ჯანსალი იყო და ავადმყოფობა იშვიათად იცოდა. როცა მის ოთახში თავშეყრილებმა, შემფთოვებით შევეკითხეთ შეუძლობის მიზეზზე, მან ხალათი გაიხადა, პერანგი აიწია და მკერდის არეში ნატყვიარის ნაჭრილობევი დაგვანახა. ზურგში გავარდნილ ტყვიას უფრო დიდი დაღი დაეჩნია: ჩვენ გაცეებულებმა ვკითხეთ მომხდარის შესახებ და მან გვიამბო: ჩრდილო ოსეთში ყოფილა თურმე. ქალაქ ორჯონიკიძეში, სასტუმროს რესტორანში დამთვრალა და თავის ნომერში რომ ასულა, მთვრალი სარკესთან მისულა. საკუთარ სახეს სარკეში რომ დაეაკვირდი, — გვიამბობდა მირზა, — ერთბაშად მომწადადა მეხილა, თავისმკვლელს, სიკვდილის წინ როგორი გამომეტყველება მექნებოდა. ჩვენ გავკვირდით და ნაამბობი კიდევ დავიჯერეთ. მკერდში გავლილი ტყვიის კვალს საკუთარი თვალით ვხედავდით და ისლა დაგვრჩენოდა, მირზას ცოცხლად მორჩომის გამო ღვთისათვის მაღლი შეგვეწირა. თანაც ჩვენ, დიდ ლიტერატურაში მამინლა ფეხბადგმულებს, წინაპარი ზოგი მწერლის მსგავსი საქციელით თვითმკვლელობა და ცისფერყანწულთა აპოლოგიით რომანტიულად განწყობილთ და თავგაბრუებულთ მირზას მოქმედება ქეშმარიტად პოეტური გვეჩვენა. მირზასგან ისეც, საერთოდ, ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ძალიან უცნაური ხასიათის კაცი გახლდათ და იოლად შეეძლო ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნილიყო.

29 ნოემბერი 1965 წელი.  
სალამო თბილისში. საავადმყოფო.

ჩვენი კლასიკოსებიდან მირზას განსაკუთრებით დავით გურამიანი შეილი და ვაჟა-ფშაველა უყვარდა. დაფიქრებული, ხშირად მეყვსეულ წამოიძახებდა: „...მეტად მწარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს...“ ვაჟა კი, — ოჯახის სათაყვანო, სიყრმიდანვე თანდაყოლილი, სასკოლო სახელმძღვანელოებიდან აკვიტებული და თიანეთის მთიანი ბუნების ნახევრად ხილული მესაიდუმლე და მოგვი იყო მირზასათვის. თანამედროვე მწერალთაგან პროზაში, კონსტანტინე გამსახურდიას აყენებდა ყველაზე წინ. იგი სამართლიანად ამბობდა: კონსტანტინეს პროზა იგივე პოეზიააო. მირზა გელოვანის პირველი ცდაც პროზაში „ცხენენჯი“ გამსახურდიას უშუალო გავლენითა დაწერილი. მაშინდელი წინა თაობისა თუ მისი ხნის მგოსნებში განსაკუთრებით არავის გამოარჩევდა, არც იმის თქმა შემიძლია ვითომ, მირზა იმეამდ ვინმეს შენატროდა. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი: იგი თავს, მაშინვე, უკეთესთა გვერდით ჰგულვობდა ამ შემთხვევაში ის ალბათ, ნაწილობრივ მართალიც იყო. მირზა გელოვანი ქართულ პოეზიაში თითქმის უკვე ჩამოყალიბებულ პოეტად მოვიდა, თუმცა ბოლო ხანს გამოცემულ წიგნში შეტანილი მისი პირველი ლექსები 1933 წლით თარიღდება, როცა მათი დამწერი მხოლოდ თექვსმეტი წლისა იყო.

მე განგებ არაფერი ვთქვი გალაკტიონ ტაბიძეზე. მირზა მას აღმერთებდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. გელოვანის ადრინდელ ლექსებს ნათლად ემჩნევა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ათინათი. ეს სხივი, მეტნაკლებად, ბოლომდე ვაჟყვა მირზას საოცრად ნაზსა და ვაჟკაცურ პოეზიას. გალაკტიონის მრავალი ლექსი ზეპირად იცოდა. მასზე ყოველთვის საკვირველი მოკრძალებითა და ხმის კანკალით ლაპარაკობდა. გალაკტიონს როცა ახსენებდა მთრთოლვარე ხმით თითქოს ეალერსებოდა კიდევ დიდი პოეტის ხატებას, ისე გულში ჩამწვდენი სინაზით წარმოსთქვამდა მის სახელს. გალაკტიონი ჩვენ-თაობელებს ხშირად გვხვდებოდა და მეგობრულად გვებასებოდა. იმ დროს, თუ მირზა ჩვენ შორის იყო, ლაპარაკში არ ერეოდა. ჩვენ რომ ერთმანეთს არ ვაციდით დიდ მგოსანთან საუბარს, მირზა განზე იდგა და გაფითრებული, გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა თავის ღვთაებას. და ეს მაშინ, როცა მირზა გელოვანი სხვებთან ურთიერთობაში ფრიად თამამი და ხანდახან ზედმეტად თამამიც იყო. ქილიკ სიტყვას არავის შეარჩენდა, თუმცა ტაქტიც იცოდა. საერთოდ კი კეთილშობილი მანერები ახასიათებდა და წონასწორობას თვით დიდი ალელების დროსაც არა ჰკარგავდა.

იმ ხანებში გალაკტიონზე დაწერა ერთი ლექსი. ბევრი ეცადა, მაგრამ დაბეჭდვა ვერ მოახერხა. რედაქტორები თავს იკავებდნენ-ლექსში გახსნილი იყო პოეტის (ამ შემთხვევაში გალაკტიონის გულში ყინულის დნობის მომენტის სიმძაფრე). გალაკტიონისადმი უღრმესი

სიყვარული და მოკრძალება სიკვდილამდე გაჰყვა მირზა გელოვანს  
ამას ადასტურებს მისი მეორე ბრწყინვალე ლექსი, რომელიც სიკვდი-  
ლამდე ერთი წლით ადრე, ომის ფრონტზეა დაწერილი.

1939 წლის შემოდგომაზე ლადო ასათიანი და მირზა გელოვანი  
საველდებულო სამსახურის მოსახდელად ჯარში გაიწვიეს. გამომშვი-  
დობების ნიშნად ჩვენთაობელებმა, უფროსი თაობის რამდენიმე მწე-  
რალთან ერთად, სურათი გადავიღეთ „ახალწვეულებთან“. ჩვენ რა  
ვიცოდით და, თურმე უდიდესი გრიგალების კარიბჭესთან ვიდექით.  
ავადმყოფობის გამო ლადო ადრე დაბრუნდა- მირზას კი, თურმე, თბი-  
ლისის ზეცის ხილვა აღარ ეწერა- სამაგიეროდ, შინმოუსვლელ მირ-  
ზას ლადომ ერთი წლით დაასწრო ამ ქვეყნიდან წასვლა.

ისინი ჩვენთვის, მართლაც „ჭაბუკები დარჩნენ მარად“ და სიცო-  
ცხლეს განაგრძობენ, როგორც სამშობლოსა და ქართული პოეზიისა-  
თვის თავშეწირული რაინდები.

28. XI. 1965 წელი.  
საღამო თბილისში. საავადმყოფო.

დაიწერა 19, 20; 22—30 ნოემბერს 1965 წელს თბილისში. კარდიოლოგიური  
ინსტიტუტის სტაციონარში ყოფნისას.



## \*ზალვა დადინისა და ვალერიან გუნიას წერილები დავით თედვიშვილისადმი

დავით იაკობის ძე თედვიშვილს (თედვიშვილი) ბავშვობიდანვე დიდი ინტერესი გაუჩნდა თეატრალური წარმოდგენებისადმი და ხშირად დადი-  
 ოდა ავჭალის აუდიტორიებში. იქ დაუახლოვდა მის დამაარსებლებს  
 იოსებ იმედაშვილს, გიორგი ჭაბაურს, დავით შველიძეს, მიხეილ თუმშა-  
 ლაშვილს და სიცოცხლის ბოლომდე ახლო ურთიერთობა ჰქონდა მათთან.

1898 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტექნიკური სასწავლებ-  
 ლი და მუშაობა დაიწყო ბაქოში. ჩასვლისთანავე დ. თედვიშვილი და-  
 უახლოვდა აქ არსებულ სცენისმოყვარეთა წრეს. იმავე ხანებში ბაქოში  
 თავი მოიყარეს „პოლიტიკურად არასაიმედო“ რკინიგზელებმა: იორდანე  
 რამიშვილმა, დიმიტრი (მიტო) ბაქრაძემ, იოსებ წიკლაურმა, იოსებ გი-  
 ორგობიანმა, ია ეკალაძემ (ცინცაძე) და სხვებმა. დავით თედვიშვილმა  
 მათი დახმარებით და მხარდაჭერით უფრო გააქტიურა თეატრალური  
 საქმიანობა და დაიწყო ქართული წარმოდგენების გამართვა. სცენის-  
 მოყვარეთა სიმციროს განსო პირველ ხანებში ღვაძლენ ერთომქმედებთან  
 პიესებს.

1903 წელს ბაქოს სცენისმოყვარეთა წრეს მიემატნენ ზემოთ ხსენ-  
 ბული სახალხო საბლის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი დავით შველი-  
 ძე მეუღლით ოღლა ზავთასით და ცოლ-ქმარი ანიყო და საშა ნადირა-  
 ძეები.

ბაქოს სავაგონო სახელოსნოს სცენაზე გამართულ სცენის მოყვარე-  
 თა წარმოდგენებში ხშირად იღებდნენ მონაწილეობას ქართული პროფე-  
 სიული თეატრის გამორჩენილი მსახიობები: ეფემია მესხი, ელო ანდრო-  
 ნიკაშვილი, ნუცა ჩხეიძე, მიხეილ ქორელი და სხვები.

ცნობილი რევოლუციონერის, ალიოშა ჭაფარიძის თხოვნით წარმო-  
 ადგინეს ვალერიან გუნიას „და-ძმა“, რომლის შემოსავალიც გადასცეს  
 პარტიულ ორგანიზაციას. აღსანიშნავია ისიც, რომ ალიოშამ „ივერი-  
 ელი“ ფსევდონიმით შეასრულა გაიოზის როლი.

იმ ხანებში დრამატულ წრეს არ ჰქონდა მუდმივი სამუშაო ადგილი  
 და ხშირად რეპეტიციები, წრის სხდომები და განხილვები იმართებოდა  
 დ. თედვიშვილის ბინაზე.

1907 წელს სცენისმოყვარეთა წრე შეუერთდა მაშინ ახლადდაარ-  
 სებულ ქართველთა საზოგადოებას, რომლის გამგეობის აქტიური წევრიც  
 დ. თედვიშვილი იყო. მან გამოიყენა ეს მდგომარეობა და დიდი და  
 დაუღალავი შრომის შემდეგ საბჭოს მოედანზე იჯარით აიღო მთელი სახლი  
 და ერთ დარბაზში, უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით მოეწყო სცენა.  
 დ. თედვიშვილმა დაამზადა სცენისათვის ყველა საჭირო დამხმარე ინვენ-  
 ტარი, მოაწყო სამკითხველოც, სადაც იყრიბებოდნენ ბაქოში თავმოყრილი  
 რევოლუციონერები.

1909 წელს დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებ-

ბელი საზოგადოების ბაქოს განყოფილება და ამ სოლიდურ ორგანიზაციას დრამატული დასიც შეუერთდა.

1920 წელს დ. თედეიშვილი ჩამოვიდა თბილისში, შეადგინა სცენის მოყვარეთა წრე (ნინო ბაქრაძე, შალიკო მრეველიშვილი, ალექსანდრე ბურთიაშვილი, გრიგოლ მიქელაძე, აკაკი ხორაჯა და სხვ.) და მუშათა ცენტრალურ კლუბში მართავდა წარმოდგენებს.

1921 — 1929 წ. წ. ეწეოდა კულტურაგანმანათლებლო საქმიანობას თბილისსა და აბასთუმანში. 1929 წელს კი, მევიოლინე ნიკოლოზ გუდიაშვილთან ერთად ჩამოაყალიბა მუსიკალურ-ვოკალური წრე. ამ წრის წევრებს განზრახული ჰქონდათ ოპერებისა და რთული სამუსიკო ნაწარმოებების შესწავლა.

1929 — 1937 წლებში დ. თედეიშვილი მუშაობდა 26 კომისიის სახელობის რაიონის ახალი თეატრის მშენებლობაზე, ჯერ ტექნიკოსად და შემდეგ სამუშაოთა მწარმოებლად.

1938 წელს თეატრალური მუზეუმის დავალებით დ. თედეიშვილი შეუდგა ბაქოს ქართული თეატრის ისტორიის შედგენას; დაამუშავა მრავალი საინტერესო საკითხი. ყურადღების ღირსია მისი ხელნაწერი „ლადო მესხიშვილი ბაქოს თეატრის სცენაზე“ და ზაქარია ფალიაშვილის წერილები მისდამი.

დ. თედეიშვილის ბაქოში მოღვაწეობის შესახებ საინტერესო წერილი აქვს გამოქვეყნებული გ. ახალციხელს (გ. სალარიძეს) ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ 1915 წ. №48 სათაურით „მადლიანი მუსიკანი“.

ტარიელ ააშვილი

### ყოვლად პატივცემულო ბატონო დავით!

ქრისტე აღსდგა!

თავდაპირველად მიიღეთ ჩემი სალამი. თუ გეუცხოვებათ ჩემი განცხადება. მას შემდეგ რაც თეატრი დაგვეწვა, ცოტა არ იყოს, ქართველ მსახიობთ ცხოვრება „დაგვიმძიმდა“...

ვაპირებ ბაქოში ჩასვლას და ერთი, ან ორი წარმოდგენის გამართვას.

დასის ჩამოყვანა ძნელია, რადგან ვშიშობ, ხარჯს ვერ აუვიდე.

ეხლა ყველაფერი მამასისხლად და ერთი ათადა ღირს.

შემიძლიან ჩამოვიყვანო ნინა დავითაშვილი და ტასო აბაშიძე. ჩამოვალ მე და იქნება ერთიც ვაჟი ჩამოვიყვანო ვინმე. დანარჩენ მსახიობთა იმედი (ადგილობრივი სცენის მოყვარენი) თქვენის დახმარებით თუ გამიმართლებათ.

უეჭველია, იკითხავთ პიესებს. რა თქმა უნდა, ისტორიული ბევრად აჯობებს, მაგალითად „ლალატი“, მაგრამ შეიძლება კი მაგდენი სცენის მოყვარეთა შოენა!?

ისე კი, მეტად ადვილი სათამაშო იქნება ჩვენთვის „მეგობრული“  
„შიუკაშვილისა, „დამნაშავე“ ფოსისა და სხვა.  
ამისათვის ჩემთვის საჭიროა თქვენი ავტორიტეტული რჩევა-  
დარიგება.

თქვენს დახმარებაზე მე წინდაწინვე ვარ დარწმუნებული.  
იქნება კეთილ ნებოთ და მოელაპარაკოთ მანდაურ სცენის მოყ-  
ვართ.

ჩემთვის ფრიად საინტერესო იქნება შედეგი თქვენის თათბირისა.  
მე ვაპირებ, თუ, რა თქმა უნდა, თეატრს ვიშოვნით, ჩამოსვლას 20 ამ  
თვის შემდეგ, როცა თქვენ მიირჩევთ.

მოველოდები თქვენს პასუხს.  
გულითადი ჩემი მოკითხვა თქვენს მუხლს.  
იყავით დღეგრძელი და ყოველ საქმეში გამარჯვებული.

აღრესი: Тифлис, «Новый клуб»  
Валериану Лёвановичу Гуння

16/IV 1916 წ.

პატივისცემით ვალერიან გუნია

1915 კარლანახ-ბატრკიხე  
V—15 შუა გამბარაული

ძმომ დათიკო!

გიგზაენი ჯერ-ჯერობით შენ წესდებებს 1909—1913 წლებისას და  
სამს საქმის ქალაღდს ჩემ მიერ შედგენილს. ერთია „როლები ცხრი-  
ლი“ ეგ საარხივო რამეა, მაგრამ რაკი წლევანდელ სეზონის დასახმარი  
საბუთია და აქამდე გადათეთრებული არა მქონდა, იმიტომ გაახლებ,  
მეორე უკვე ჩვენი კომიტეტის ანგარიში 4 იანვრიდან 26 აპრილამდე  
1915 წლისა შედგენილი. იმავე წესით, როგორც გასული წლის ანგა-  
რიში შევადგინე. ამაზე იმიტომ უფრო წავიფიქრე, რომ ბარემ ამ  
წლის ჩვენი ნახევარი ანგარიშიც გათავებული გვქონდეს ეხლავე, რომ  
შემდეგში წრევანდელსავით საჭირო არ შეიქმნეს გასულ სეზონის  
კირკიტი. მგონი ყოველივე მოვიხსენიე, მხოლოდ თან არა მქონდა მა-  
ყურებელთა რაოდენობის ჯამი, რომელსაც შენვე ჩაუმატებ თავის  
ალაგას. აგრეთვე, დანამდვილებით არ ვიცი ჯამი შემოსავალ-გასავლისა,  
მაგრამ შენის ხელით კარანდაშით იყო ორი ჯამი შედგენილი და მეც  
იმას დავადექი. თუ რამ შეცდომაა, მაგის გასწორებაც ხომ ადვილი  
საქმე იქნება შენთვის. ამ მხრივ, მე ჩემი მოვალეობა მოხდილი მგო-  
ნია და თუ არა, მასალად მინც გამოდგება იმისათვის, ვინც მომავალ  
ანგარიშს შეადგენს და ესეც ხომ კარგი საქმეა. მესამე ქალაღი კი,

როგორც დაინახავ, ჩემი მოხსენებაა. ზოგადი მოსაზრება იმის შესახებ, თუ, ჩემის მოფიქრებით, რა შეიძლება გაკეთდეს მომავალ სეზონისათვის. ეს იყო ის ქალაქი, რომელიც უკანასკნელ სხდომაზე გამოთხოვებისას მინდოდა წამეკითხა, მაგრამ უდროობის გამო ვერ შევიძელე. ესლა კი შენა გთხოვ უწინამძღვრო მაგ მოხსენებას და ერთ-ერთ თქვენს მორიგ სხდომაზე გააცნო კომიტეტის წევრებს. თან ამასაც გთხოვ, შემდეგ შემომმითვალო რა მიიღეს, რა გაითვალისწინეს და რა არ მოიწონეს. ჩემი აღრესი ასეთია: Бакурцихе, д-ру Илье Андрионикашвили, для Шалва Дадияни.

ათი წლის ნაშრომის შედეგენას, ე. ი. ბაქოს ქართული სცენის ათი წლის ისტორიის წერას, უკვე შევუდექი. მასალები ხომ ამოვკრიფე, ესლა ვალაგებ და იმედი მაქვს, ერთ-ორ კვირაში ესეც მოგისწრო. აქ მაკლია ესლა წერილი პეტრე მაჭავარიანისა, რომელიც უნდა გთხოვო, გადამიწერო და გამომიგზავნო, თანაც, თარიღი დაურთო. — რომელ წელიწადს იყო დაბეჭდილი და რომელ გაზეთში. ეგ მოუცილებელი მასალაა.

სურათები ბაქოს სც. მოყვარეთა სეზონის მოკლე ანგარიშთან ერთად გავუგზავნე კიდევ იოს. იმედაშვილს. გავუგზავნე და არ გადამიცია, რადგან თბილისში მხოლოდ ერთი დღით დავრჩი და პირდაპირ აქეთ გამოვეწიე. მართლა, განჯაში ხომ არ შესდგა ჩვენი წარმოდგენა, რადგან შევატყვე, რომ ჩვენს დასახვედრად არ იყვნენ მომზადებულნი, ტყუილუბრალოთ მოეწერა ზოგიერთ მსურველს წერილი. ჩვენც აღარ შევავაჭუნეთ და გავაგრძელეთ ჩვენი გზა. ჰო! სურათებში მინც მაკლია მამუკას სურათი, ქარუმიძის ქალის, ჟორჯოლიანის და დათიკო შველიძის. ამ უკანასკნელს და მამუკას შენა სთხოვე, რაც შეიძლება დაჩქარებით გაუგზავნონ თბილისში იოს. იმედაშვილს, სურათები არც გაუფუჭდებათ და არც დაეკარგებათ, დანარჩენების სურათი კი გიგა დაგვიპირდა, რომ გამოიტანს ფოტოგრაფიდან, გაახსენე გავუგზავნოს იმედაშვილს.

თუ არა, სულ ერთია: ვისი სურათიც აქვს, მხოლოდ იმას დაბეჭდავს. ეს კი იმდენათ სასურველი არაა, რა თქმა უნდა კომიტეტის სურათი კი ჯერ არ იბეჭდება, რადგან ყველას სურათი არა მქონდა. შენი კი დაიბეჭდება მაშინ, როდესაც ათი წლის მოკლე მიმოხილვას მოვათავსებთ ჟურნალში. ესე.

ვარ აქ კახეთში, შაქროსთან ჯამბარაულში და ესტკებები ბუნებით... ღვინით?.. არა, აქ აღარა მაქვს „თავი გადადებული სამშობლოსათვის...“ აქ მართლა მინდა წავიმუშაო, თუ დარი დამიდგა ყველაფერი კი ხელს უწყობს სერიოზულ მუშაობას: სიჩუმე, სიმყუდროვე, მდიდარი და ლამაზი ბუნება.

სხვა, აქაური ტყის საქმე ცოტა ჭადრაკულათ არის, რადგან გაყოფა, თუმცა ესენი იჩქარიან, არ ვიცი როდის მოხდება, ჯერ კიდევ

მიჯნა და როდის გათავდება... მაინცა და მაინც მე მოველაპარაკე ნულს ზოგიერთს. ესენი თანახმანი არიან... ეხლა შევპირდით ერთი მეტროს, რომ ერთ წინასწარ კრებასავით მოვახდენთ და ყოველივეს შეგატყობინებთ. მე მგონი ჩამოსვლა მოგიხდეს.

ჩვენი სინმატოგრაფის საქმე რალასა იქს? რა მდგომარეობაშია? ყოველივე შემატყობინე. ნუ დაიზარებ. მეც მალე მოვაწვდი წერილს.

ელომ დიდი მოკითხვა-

გადაეცი ჩვენი გულითადი სალამი ყველა ჩვენს მეგობრებს. იმათაც მალე გამოუგზავნი წერილს.

შ ა ლ ვ ა დ ა დ ი ა ნ ი

1915 VI—10

ს. ბაქურციხე

ძმომ დათიკო!

მივიღე შენი წერილი 2 იენისისა. გმადლობ, კარგი „მსუქანი“ ბარათი იყო, მომავალშიაც ნუ დაიშურებ ეგეთს.

ბ. მიხ. თაქთაქიშვილის წერილი არ მიმიღია, შეიძლება ადრესი არ იცის.

მაინცადამაინც დიდად ვმადლობ დრ. სექციას ყურადღებისათვის. მართალია პირობები არ ვიცი, შეიძლება ჩემთვის სამძიმოც გამოდგეს. მაგრამ მადლობას მაინც წინ არა უდგას რა.

სინმატოგრაფის საქმე... ჰო, ჰო... სხვასაც მოუვიდა აზრათ, დაბეჭდეს კიდევ. მე არც კი ვიცი ვინ არის და არც არავისთვის არ გამოზიარებია „ჩვენი გულის ნადები“. ეს ჯერ ზედმეტათ მიმაჩნია. თუ მოვახერხებთ, რაც გვინდა, აი მაშინ უნდა დავკრათ ბუქსა და ნალარას და არც ეგრე საცოდავად გამოვაკინკილოთ ცნობა, არამედ, ყველა ჩვენი გაზეთები მაინც უნდა შევძრათ და ავახმაუროთ. მანამ კი, აბა, რა საჭიროა... ჰოდა, თუ არ ვიჩქარეთ, შეიძლება ვინმემ მოჰკიდოს ხელი და მე იმის უფრო მეშინია, რომ ღირსეულად საქმეს ვერ დააყენებს და თვით საქმესაც სამუდამოთ ჩვენში სახელს გაუტეხს. ამიტომაც უნდა ყოველივე ღონე იღონო, რომ ქუცნამ რაიმე მოახერხოს მის „პატრონთან“.

მაინცადამაინც მე თუნდა წრეულს სეზონში მანდ არც მოვხვდე, შემოდგომის დასაწყისში მაინც ჩამოვალ, ერთი კვირა დავრჩები და საქმეს როგორმე, ან ერთის გზით გავიყვანთ, ან მეორეთი.

ტყის საქმეც თანდათან ზვიადდება. როგორც ეტყობა, გამმიჯნული წრეულს ვერ ააღწევს ტყის გასაყოფად. გაუყოფლად კი უკვე ძნელია მონაწილეების შემოკრება, რადგან საერთო კანტორა რომ

ჰკონდათ, წრევანდელის მოლოდინში უკვე მოუსპიათ და ისე კი, მონაწილეები დაბნეულები არიან. ამის ბევრი მონაწილე ომშია წასული, ზოგიც მოკლულია, ეხლა მიდი შენ და მავათ თავი დაუარე. ვერავითარ ხეირიან იურიდიულ საბუთს ვერ შეადგენენ ესე რომ, ეს საქმეც სამერმისოდ უნდა გადაიდგას. ისე კი, ზეპირი თანხმობა ჯერ-ჯერობით ბევრისგანა მაქვს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ისეთ საგრძნობელ ღირებულებას არ წარმოადგენს.

სხვა? — ო, დიდად გული დამწყვიტა საცოდავ გვარჯალაძის სიკვდილმა. როგორც კი გავიგე, წერილი ვაფრინე შენთან, მხოლოდ ადრესი სკოლის იყო, უთუოდ მიიღებდი. რა უბედური ყოფილა საწყალი! ჯან-ლონით სავსე, ახალგაზრდა, — მე კიდევ ის უფრო მწყინს, რომ გვარჯალაძისთანა ადამიანები ჩვენთვის დიდად საჭიროა, მაგისთანა ტიპები უსათუოდ უნდა შეიქმნან, რომ ქართული საქმიანობა გაღონიერდეს და ვაი, რომ საცოდავს არ დასცალდა ის შექმნილიყო, რასაც მისგან უნდა მოვლოდებოდით.

ათი წლის მატთანე ჯერ-ჯერობით შევაჩერე. შენს წერილში მართალი მოსაზრება იყო, რომ აქ ერთად დავამთავროთო, ან, თუ ეგ არ მოხერხდა, მასალას შემდეგ მოვაწვდიო. მეც მაგაზე შევჩერდი, მიტომ უფრო, რომ წლევანდელი ზაფხული მინდა განსაკუთრებით ერთ დიდ ნაწარმოებს შეეწირო და ეს მუშაობა ბევრ დროსა თხოულობს. თუმცა — რა? არ მინდოდა, ძალიან უარზე ვიყავ, მაგრამ მაინც ჩამითრიეს წარმოდგენებში და ესეც, მოგეხსენება, დრო და უამს ყლაპავს. ასე რომ, ისე მოსვენებით ვერა ვარ, როგორც მინდოდა. მერმე კიდევ გული გააწყალა გამუდმებულმა წვიმებმა. ვერ წარმოიდგენ, რა საშინელი ნიაღვარი მოვარდება ხოლმე. სულ წალეკა აქაური ყანები და ვენახებიც შეტბორა. უკვე გაისმის სახიფათო ხმები მომავალი შიმშილის შესახებ. ეგ-ლა გვაკლდა! ეხლა კახეთიც დაიმშვესო.

რა ცუდი დრო დაგვიდგა! მაგრამ აი ეხლა გვმართებს ჩვენი ძველი დევიზის უფრო დახსოვნება: „ჭირსა შივან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო!“

იოსებ იმედაშვილს მივწერე მოათავსოს, როგორმე მაინც, სურათები და თუ ძალიან ბევრი უჭდება, ვეცდები, ბაქოელები ცოტაოდნათ ხარჯში შემოგვიდგენენ-მეთქი, მე მგონი ეს მოსახერხებელი იქნეს. ძალიან, ძალიან 10—15 მანეთი დასჭირდეს და ეს ყოველთვის შემოკრება სც. მოყვარებებში. მართლა, მათი თანხის საქმე როგორ გამოეწყოს...

გამომიგზავნე, აგრეთვე, წრევანდელი ანგარიში ე. ი. 1914 წ.

ელომ დიდი სალამი. მომიკითხეთ ყველანი და ძმურათ დამიკოცნეთ „კამანდოსანი“, უთხარ, ბევრი არ წააგოთ, საჩემოთაც გადაინარჩუნეთ ცოტაოდენი-თქო.

შენი შალვა დადიანი

### მოთხრობები, წერილები

„...ნუნ, შენ ვერ წარმოიდგენ, რომ შეიძლება არსებობდეს ასეთი ძლიერი გრძნობა, ჩემო ღმერთო, მე ხუმრობით გეძახდი ხოლმე ღმერთს, მაგრამ ახლა ვფიქრობ, ჩემს შენდამი გრძნობაში არის რაღაც რელიგიური ნუ დამცინებ. ყველა არსებული ცნება ბანალური მეჩვენება, ვერ ვამბობ, ვერ მითქვამს რაც მინდა... „არ ითქმის“ კი არა, გასოცს? (ვერ ითქმის, ნუნუ). შენი სიყვარულით მე ისევე მგონია — სპეტაკი ადამიანი გაეხდი. დამეფიწყდა, წაიშალა ლაქები, ცხოვრებამ რომ დაამჩნია ჩემს სულს, გასოცს, ჩემი დაღვრვილი სახე? მე მახინჯი ვიყავი ამ ერთი წლის წინ, მე ვიწყებდ მერო სიკაბუყეს. თუ შენ ჩემთან იქნები, უთუოდ, სამუდამოდ ჭაბუჯი სული დამჩრება. მე ისევე ხარბად მინდა სიციცხლე, როგორც ოდესღაც, ცამეტი წლის ბიჭი ყოველ ახალ დღეს რომ შევხაროდო... მე ბედნიერი ვარ. ყოველთვის მძულდნენ ადამიანები, რომლებიც ამას იტყოდნენ, პოლიტიკური ფარისევლობა, ან ღირსეული თვითკამყოფილების მეტი არა იმალებოდა რა ამ გამოთქმაში. მაგრამ მე ახლად ვიშვი. მე განვიწმინდე. მე ისევე დამიბრუნდა ჩემი სპეტაკი, სიხარულით და ენერგიით სავსე. შინაარსიანი ადრე სიკაბუყე... მე ხბოს სიხარული აროდეს დამმუფლებო, სიმამლისაგან და სითბოსაგან სიმღერა არ შემიძლია. ჩემი სიხარული სხვაა. შენ გესმის ეს, ნუნუ, და ეს შენ აღმადგინე, ნუკო, გესმის? შენ!...“

1938 წლის 16 აგვისტო. კოტე ხიმშიაშვილი. ადრესატი — ნუნუ ქაღეიშვილი, 1935—40 წლებში კოტე ხიმშიაშვილის კურსის ამბანაგი და მეგობარი, 1940 წლიდან მეუღლე, 1942 წლიდან — ქვრივი.

კოტე ხიმშიაშვილი 25 წლისა დაიღუბა. ბევრი ჩანაფიქრი დარჩა გაუნუხორციელებელი, ოცნება — აუხდენელი, წიგნები — დაუწერელი. კოტა მოასწრო, მაგრამ ისიც, რაც მოასწრო, ამკარად მეტყველებს მის ხალს ნიუსა და დახვეწილ გემოვნებაზე.

ღრმად ერუდირებული, ზნემაღალი და პრინციპული, ნაღდი სიყვარულში, მეგობრობაში, საქმეში, ფიცხი და კოტა გულჩათხრობილი — ასეთი ახსოვთ კოტე ხიმშიაშვილი ახლობლებს და მეგობრებს.

1934 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა კოტე ხიმშიაშვილის პირველი ნოველა „გლობუსი“. მომდევნო წლებში მისი ნოველები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში, 1940—41 წლებში „ჩვენმა თაობამ“ გამოაქვეყნა რომანი „ჯონქა ხორნაული“, რომელმაც გამოსვლისთანავე მეთხველთა ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

ამას წინათ, ნუნუ ქაღეიშვილმა და მწერლის დამ დ. ხიმშიაშვილმავადაკორიამ ლიტერატურის მუხეუმს გადასცეს კოტე ხიმშიაშვილის არქივის ნაწილი. მეთხველ საზოგადოებას უთავაზობთ მასალებს ამ არქივიდან.

გარდა გამოუქვეყნებელი მოთხრობებისა, იბეჭდება აგრეთვე, კოტე

ხიმშიაშვილის პირადი წერილები: 1. ნათესაებთან, 2. მეგობრებთან. აღსანიშნავია, რომ ნუნუ ქაღვიშვილისადმი მიწერილი წერილებიდან მხოლოდ ნაწევრებია მოტანილი. ამ ნაწევრებს ერთის ნუნუ ქაღვიშვილის პატარა მოგონება კოტე ხიმშიაშვილის მიერ ვაჟას ეზოში მოკლული ჩხიკვის შესახებ, რომელზედაც კოტემ მირზა გელოვანს თხოვა, ლექსი დაწერეთ. მირზამ შეასრულა მეგობრის თხოვნა და წერილთან ერთად გამოუგზავნა ლექსიც „ვაჟას ეზოში მოკლული ჩხიკვის“ სახელწოდებით.

ციცი ბუქურაშლი

## მ ო თ ხ რ ო ა ე ბ ი

### ბასაუბრება ღამის სტუმართან

ღრღნის თავგი, ღრღნის, აფხაჭუნებს, ახრაგუნებს, ძილს არ მაცდის. თვალთა ვწევარ ლოგინში და წიგნის თაროებს შევცქერვი. ნათურის სუსტ სინათლეზე მერთალად ლაპლაპებენ წიგნების ვარაყიანი ყდები. იატაკიდან ჭერამდე, მთელი კედლის გასწვრივ მწყობრად ჩამწკრივებულან სქელტანიანი წიგნები და ბრძნულად, ამაყად სდუმან.

თავგი კი გულგასაწყალეზლად აფხაჭუნებს, უჩინრად ახრაგუნებს. ჩემს წიგნებს აფუჭებს ეს ავაზაკი!.. შევეუცაცხანე, ტაშიც შემოგყარი, ზელი ძირს გადავწიე და იატაკზე ფეხსაცმლის ქუსლით დავაბრახუნე, ერთი-ორჯერ კიდევ დავიკნავლე კატასავით, მაგრამ არაფერმა მიშველა, არ ეშინია იმ ქურდბაცაცას და ისე გულმოდგინედ ახრჭიალებს ნემსაკბილებს მუყაოს ყდებზე, გული მოგიკვდება. რამდენი წელია ამ წიგნებს დიდი სიყვარულით ვაგროვებ და სიფრთხილით ვინახავ, ეს ცისფერი და წითელი ტომებია ჩემს გონებაში უქრობი ცეცხლი რომ დაანთეს და ცხოვრების ბნელ გზას მინათებენ, ეს წიგნებია მოწამე და მოზიარე, ზოგჯერ უშუალო მიზეზიც ბრძოლის წყურვილისა და გამარჯვების ზეიმის, უღიმღამო ეჭვის და ცრემლიანი სასოწარკვეთისა და ახლა მგონია, ჩემ ძვლებსა ხრავს თაროზე შემძვრალი წყეული თავგი.

თან აღგომა მეზარება!.. შუალამე გადასული იქნება და თბილ ლოგინს ვერ ვტოვებ...

თავგი კი ღრღნის და ღრღნის, აწკატუნებს, აფხაჭუნებს, ახრაგუნებს, ანადგურებს და გულს მიწყალებს.

პაი დედასა!.. სადა მყავს ერთი თვალმინაბული ფისო... გიჩვენებდა, შე ყაჩაღო, როგორ უნდა წიგნების გაოხრება... მაგრამ არც ფისო მყავს და არც ფინია. ამ უნამუსო თავუნას კი სტვენის არ ეშინია, იატაკზე ბრაბუნს არ ეპუება და ალბათ, ზარბაზნის ხმაც ვერ დაფრთხობს, ისეა გათამამებული.

მახე უნდა დაგიგოს კაცმა, შე შეჩვენებულო და მაშინვე ნახავ სეირს! მუქთახორავ, ის არ გეყოფა, რომ განჯინაში პური და სანოვავე აღარ გაუშვი დაუსუნავი და წაუბილწავი, ახლა წიგნებს მიპყე



ხელი?.. საწამლავი უნდა დამეყარა შენთვის და გაფშოკავდი ფეხებს, ან მეზობლის ციკუნია უნდა მომეპატიყა და მაშინ ვნახავდი შენს გაყვაცობას, მაგრამ მე ლომობიერად მოგეპყარი, ნამცეცებს გიტოვებდი ხოლმე მაგიდაზე და ასე გადამიხადე სამაგიერო?..

იცოდე მაინც, უგუნურო, რას აფუჭებ! რაც აღამიანთა გონებას მრავალი საუკუნის განმავლობაში შეუუქმნია, სულ მაგ წიგნებშია თავმოყრილი და შენ როგორ ბედავ უწმინდური ტუჩების მიყარებას?!.. დიდ ბრძენთა და ფილოსოფოსთა ნააზრევს ფხრეწ?.. წმინდა პერგამენტებს კაწრავ?!..

დამაცა, დამაცა, მანდ მოვიდე!

მაგრამ ადგომა რომ მეზარება? თვალეები რომ მელულდება?.. უკვე ბურანში ვარ წასული და ის საძაგელი თავგი რომ არ ხმაურობდეს, მოქანცული უპეები თავისთავად დამეხურებოდნენ.

ეს რაღაა? მომეჩვენა?

წიგნები აქეთ-იქით მიიწია, თითქოს სცენის ფარდებს აღებენო, მარცხნივ წითელყდიანი ტომია, მარჯვნივ კი შავყდიანი, ზედ ოქროს ვარაყით ჯვარი რომ აქვს გამოსახული: „სახარება“ გახლავთ. როგორ მოხვდნენ ისინი ერთმანეთის გვერდით? არ ვიცი, არ მახსოვს.

წიგნები მიიწ-მოიწიენ და შუაში პატარა ცხოველი გამოჩნდა... მონაცრისფრო, ხვერდოვანი ტყავი აცვია, კაკილასავით უჭყვრიალებს შავი თვალეები და პაწია უღვაშებს აცმატუნებს.

უკანა ფეხებზე დასკუბდა, გრძელი, ტიტველი კუდი გვერდზე შემოიდო, ცალი თათით აცქვეტილი ყური მოიფხანა და ორი ყვითელი კბილი გამოაჩინა. მე გაოცებით შევცქერო, ეს ხომ ის თავგია, ხრავუნით რომ გულს მიწყალებს და წიგნებს მიღრღნის!.. ხედავ, როგორ წამოსკუბულა თაროზე, წიგნებს შუა, თითქოს რუხი ფაიფურის საფერფლე დაუდგამთ თავვის გამოსახულებით?!..

ახლავე უნდა აგოს პასუხი თავისი უწესრიგო მოქმედებისათვის, ახლავე, მაგ ავზაკმა!.. მაგრამ თავგმა თვითონ დამასწრო, ორივე თათი მუცელზე დაიწყო და თავაზიანად მომმართა:

— უკაცრავად, ყმაწვილო, მგონი გაჯავრებული უნდა ბრძანდებოდეთ!

აქ კი მეტი ვეღარ მოვითმინე და ლოგინზე წამოვხტი... გესმით, ეს წუნკალი, ბოდიშის მოხდის მაგივრად რას მეკითხება?..

— როგორ ბედავ! — ვყვირო მე, — როგორ ბედავ წიგნების გაფუჭებას! იცი, რა სწერია ამ წიგნებში? იცი, რომ ამ თაროებზე დაგროვილი სიბრძნით ხელმძღვანელობს მთელი კაცობრიობა? რომ მაგ წითელყდიანის იმედით ცოცხლობენ და იბრძვიან ჩაგრულთა მილიონები? რომ ყველა ეს წიგნი აღამიანთათვის მოსახმარად და სასარგებლოდაა დაწერილი დიდბუნებოვან კაცთა მიერ და არა შენი ბინძური კბილების სავარჯიშოდ?!

— მოითმინეთ, ყმაწვილო, მოითმინეთ! — თავუნამ ცალი თათრის ზევით ასწია, ხოლო მეორე უღვაშზე გადაისვა, — ჯერ ერთი, ზრდილობიანად მელაპარაკეთ, თორემ სოროში ჩავძვრები და ალბათ, მაშინ უფრო შეურაცხყოფილად იგრძნობთ თავს. მეორეც ისა, რომ თქვენ ამბობთ, ეს წიგნები აღამიანთა მოსახმარად და სასარგებლოდ არის შექმნილი და არა ჩემი კბილების სავარჯიშოდ... ვინ მოგახსენათ, რომ მეც სასარგებლოდ არ მინდა გამოვიყენო ეს გენიალური ნაშრომები?

— გამოიყენო?! შენ, თავგმა გამოიყენო?

— დიახ, მე.

— როგორ, რანაირად?!

— როგორ და ჩემი მეუღლე ფეხშიმედ გახლავთ, დღეს თუ ხვალ მოლოგინდება და ამ წიგნების ფურცლებისაგან რბილი საწოლი უნდა გავუკეთო წრუწუნებს.

— ჰაი, შე გათახსირებულო, შენა! დიად საქმისათვის მებრძოლთა სისხლით დაწერილ და სათნოების მალადებელ ნაწერებს მყრალი წრუწუნების საწოლად იყენებ?! ამ ბალიშს გესვრი, შე ნამუსგარეცხილო...

— უკაცრავად, აბა რა ბრძანებაა? ჩვენი წრუწუნები გაცილებით უფრო სუფთად იზრდებიან, ვიდრე თქვენი ბავშვები, თუმცა თავგებს ჩვეულებად არ გვაქვს თქვენსავით სხვის ტყავებში გავეხვიოთ. მერე კიდევ, გეტყობათ, ყმაწვილო, ცხოვრებაში გამოუცდელი ბრძანდებით. განა ყველა აღამიანი ამ წიგნებში გამოთქმულ აზრებს დიადი მიზნების განსახორციელებლად და სათნოების დასაწერგავად იყენებს? განა ცოტანი იფარებენ მას ბნელი ზრახვების მისაჩქმალად? ყველას ხომ გულწრფელად არ სწამს ის იდეები, რასაც აქ დაწყობილი წიგნები ქადაგებენ? ბევრნი ხომ ორაზროვნად ეკიდება კაცთა შორის თანასწორობის, თავისუფლებისა და სიყვარულის მოძღვრებას და მისი საშუალებით, პირიქით, დიდ ბოროტებასაც ჩადის?!. მე აგრე არ ვიქცევი, არა, მე ყოველგვარი ცუდი ზრახვების გარეშე მინდა, რომ ჰატარა, სათუთკანიან წრუწუნებს რბილი და თბილი ბუდე მოვუწყუო...

— ოჰ, ნეტავი იატაკი ცივი არ იყოს, ნეტავ ლოგინის მიტოვება არ მეზარებოდეს!..

— ნუ სწუხდებით, აქედანაც მშვენივრად გესაუბრებით.

თავგმა კვლავ შემოიწყო ნაცარა მუცელზე წინა თათები.

— თქვენ იქნებ დიდ ხელოვანთა ნაწარმოებები გენანებათ? იქნებ აღშფოთებული ხართ, ჰომეროსის „ილიადას“ და რუსთაველის პოემას კიდევები რომ შემოგაფტქვენნი?..

ჯავრისაგან კენესა აღმომხდა... დამცინის კიდეც!..

— საოცარი აქ არაფერია, — განაგრძო თავუნამ და თვალბგაბრწყინებულმა შემომხედა, — ყველას თავისებური გემოვნება აქვს და



თავისებურად განიცდის. სხვა ვინ სტკებდა ისე ამ ღვთაებრივი ნაწარმობებში, როგორც მე და ჩემი ოჯახი, როცა მყუდროდ ვისვენებთ თეთრ ფურცლებზე და განცხრომით ავკრუსუნდებით? ან თუ გნებავთ, ისააკ ნიუტონისა და ედისონის შრომები ავიღოთ! — თავგმა ორივე თათი მალლა ასწია, დრუნჩი ზევით აიშვირა და ყვითელი კბილები გამოაჩინა, — რაოდენი ღვაწლი მიუძღვით ამ მეცნიერთ, ისინი სულ იმაზე ფიქრობდნენ თავდადებული მუშაობის დროს, რომ კაცობრიობას სარგებლობა მოვუტანოთო, მაგრამ... — თავუნამ თავი გვერდზე გადახარა, თათები გაშალა, — მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, მათი აღმოჩენისა და გამოგონებების საშუალებით ბოროტი ადამიანები სისხლისმღვრელ ომებს აწყობენ და ერთმანეთს ანადგურებენ. მე კი, ჩემი ბასრი კბილებით ეს წიგნები ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე და სოროში გადაეზიდე. დამერწმუნეთ, დიდ ბრძენთ, ფილოსოფოსთ, მწერალთ და მეცნიერთ რომ გაეგოთ, თუ რა დახმარება გავგიწიეს მე და ჩემს ოჯახს თავიანთი ნაწერებით, უეჭველად ნასიამოვნები დარჩებოდნენ. მამ თქვენ რაღა ვაღელვებთ, ყმაწვილო? რა გამფოთებთ?.. გთხოვთ დაწყნარდეთ და დაიძინოთ. სამწუხაროდ დრო არა მაქვს, რომ კიდევ გესაუბროთ. მეუღლემ დამავალა, ამადამვე მოვუწყაო წრუწუნებს ქვეშაგები.

თავგმა დარბაისლურად დამიკრა თავი, მგონი თითით კისერთან „ჰალსტუხიც“ კი გაისწორა, მერე შავი თვალების ბრჭყვიალით მოეფარა თაროს.

წითელი ტომი და „სახარების“ ოქროსჯვარიანი შავი ტომი ისევ მიეყრდნენ ერთმანეთს, თითქოს სცენის ფარდები დახურესო. ისევ ბრძნულად და ამაყად სდუმან იატაკიდან ჰერამდე, მთელი კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული წიგნები და მკრთალად ლივლივებენ ნათურის სუსტ შუქზე ოქროსვარაყიანი ყდები.

თავი ისევ ღრღნის და ღრღნის, ხან ხერხივით გაუსვამს, ხან მაკრატელივით ახრპიალებს, ხანაც ისე ვაკრავს, გეგონება ფიცრიდან გავით აძრობენ ჩაუანგულ ლურსმნებსო. ზოგჯერ წამით შეისვენებს, მერე ისევ აფხაკუნდება გაცხარებით, ახლა თითქოს თხილის კაკლებს ამტვრევს, თანაც ჩუმი წრუწუნი ისმის, ალბათ თავისთავს ამხნევებს ის ბაცაცა და ოფლით იწურება...

ოჰ, ნეტავ ლოგინის დატოვება არ მეზარებოდეს, ნეტავ იატაკი ცივი არ იყოს!.. დამაცა, დამაცა შე წუნკალო, ოდესმე ხომ გათენდება და მეც ფეხზე წამოვდგები!..

— გამგე მინდა ვნახო, სად იქნება?

— გამგე აქ არ არის და აღმზრდელს კი, დავუძახებ, — გოგონა დერეფანში გავარდა, ერთ-ერთ კარებიდან პატარა, თმაგაკრეკილმა გოგომ გამოჰყო თავი და დაიძახა.

— ე! უყურეთ! ახალი მოიყვანეს!... — და ისევ მიიმალა, შემდეგ რამდენიმე ამხანაგის თანხლებით გამოვიდა, მათ შორის ლილის ტოლებიც ერივნენ, ისინი ჩუმად შემოეხვივნენ მამიდას და ლილის და უსიტყვოდ შესცქეროდნენ.

ერთ მათგანს, როგორც ეტყობოდა, ძალიან მოეწონა ვარდისფერ-ლოყება და ჭრელკაბიანი ტიკინა, ლილის რომ ჰყავდა გულზე მიხუტებული და ვერ მოითმინა ხელი არ გაეწოდებინა მისკენ:

— ე! რა კარგია, როგორი კაბა აცვია...

ლილიმ მეგობრულად მისცა ტიკინა. ბავშვები სინჯავდნენ მას და სიცილით ისროდნენ შენიშვნებს:

— ბაჩუჩებიც რომ აცვია, ბაჩუჩებიც...

— ჯუბალა თეთრი ფერისა აქვს?

— არც კი, სულაც არ აცვია ჯუბალა...

— ე!..

— არა სცივა?

— რა ჰქვია ამას?..

ლილიმ გაიცინა.

— ტიკინა...

— ტიკინა?!

— ე! როგორი სახელია!..

დერეფნიდან ლურჯხალათში ჩაცმული მაღალი ქალი გამოვიდა, მას ხელში წვრილ ძეწკვზე აცმული გასაღებები ეჭირა და განუწყვეტლოვ აჩხარუნებდა. მამიდამ რაღაც ქალადები აჩვენა და შემდეგ ლილი წარუდგინა ქალმა მიუალერსა ოქროსფერ ხუჭუტომიან და ძუძუ-ნა თვალებიან პატარა გოგონას.

— რა გქვია, გენაცვალე?

— ლილი. — ცოტა მორცხვად მიუგო ლილიმ.

— დეიდა, ნახე... — მოუჭიჩავა ხალათის კალთა აღმზრდელს ერთმა ფეხშიშველა გოგომ, რომელსაც გახუნებული, მოწითალო კაბა კოჭებამდე სწვდებოდა, — ნახე, როგორი ტიკინაა...

— ეს შენია? — ჰკითხა აღმზრდელმა ლილის და ხელში აიყვანა. ლილიმ თავი დაუქნია და მთელი თავისი პატარა ტანით შეირხა აღმზრდელის ხელებზე. მამიდას არ უნდოდა, რომ ლილი გამოსტირებოდა წასვლის დროს და ამიტომაც ბავშვებმა ის კლუბში წაიყვანეს.

აღმზრდელმა გასაღების ჩხარუნით გააცილა მოხუცი მოედანზე.

— შენი ჭირიმი, მიჰხედეთ ხოლმე მაგ ბავშვს, ნუ დამიჩაგრავთ პატარა ობოლს.

მამიდამ დანაოქებული ლოყები ცხვირსახოცით გაიმშრალა. — საწყალი გოგონა, ჩემს მეტი არავინა ჰყავს პატრონი. მაგის საცოდავი დედ-მამაც მაგასავეთ ობლად გაიზარდნენ. აბა რა ვქნა, როგორ მოვიშორებდი ჩემ ლილიკოს, მაგრამ მე თვითონ ძლივს ვირჩენ თავს და მაგას როგორა გავზრდი...

— არა უშავს, მაგაზე ნუ სწუხართ, — განაგრძობდა ვასალებების ჩხრიალს აღმზრდელი ქალი, — მხოლოთ კარგი იქნება, რომ ხშირად მოხვიდოდეთ ხოლმე სანახავად, ახლად მობარებულები პირველ ხანებში ძალიან ნალვლობენ...

— კი, გენაცვალე. რაც შემიძლია შევეცდები, რომ ხშირად ვნახო ჩემი ლილი, უსათუოდ, უსათუოდ...

დიდ ოთახში, რომელსაც კლუბი ჰქვიოდა, ბავშვები აპარტყუნებდნენ როიალის კლავიშებს. კედლებზე გაკრული იყო ვილაეტების სურათები და ქალაქებით მოფენილ ვიწრო მაგიდის გარშემო შეუღებავი ხის გრძელი სკამები იდგა.

ლილიზე ცოტა უმფროსი და მისი ტოლი ბავშვები ინტერესით ათვალთვლებდნენ ლილის და ტიკინას.

ლილი იდგა და ჩუმად შეჰყურებდა როიალს და ამ ახალ გაცნობილ ბავშვებს. მას ერთი მზრდილი ბიჭი მიუახლოვდა. ლილიმ შეამჩნია, ხელები შავი ჰქონდა და გაქერქემებული. მან გამოაჩინა ყვითელი, უსწორმასწორო კბილები და ლილისკენ დაიხარა.

— მამაშენი კარგი ქალია?..

ლილიმ ვერ გაიგო, რა უნდოდა ამ უცხო ბიჭს და თავი დაუქნია ბიჭმა უფრო გასწია ტუჩები და ყვითელ კბილებთან ერთად გათეთრებული ღრძილებიც დაანახვა.

— კარგი ქალია მამაშენი?!

უეცრად კარებში შემოვიდა თეთრ ქუდიანი გოგონა, ის მივიდა ლილისთან, აიყვანა ხელში და ბიჭს შეუტია:

— დაიკარგე აქედან, შე ოხერო!..

ბიჭმა ერთხელ კიდევ გაიღიმა თავისებურად და მოსცილდა მათ. ლილისთვის გამოურკვეველი იყო ამ თეთრქუდას ფიციხე გამოქომაგება, რადგან არ ფიქრობდა, რომ ის კრეჭია ბიჭი რაიმე უსიამოვნებას მიაყენებდა, მიუხედავად მოცემული გაუგებარი შეკითხვებისა. საერთოდ კი, ლილის არ ეცალა ასეთ სახლადგოროთო საქმეებისათვის და ფუნჩულა თითებით ქუდის ბუსუსებს ეთამაშებოდა უკვე.

გარედან ძახილი მოისმა:

— კატო! სადა ხარ?!

— აქა ვარ, აქ!.. — ხმა მისცა თეთრქუდიანმა, — მოდი, ნახე, რა კარგი ბავშვი მოუყვანიათ ჩვენთან...

— კარგი ერთი, თუ და ხარ, ნუ მეტიჩრობ, — მოისმა ისევ გარედან, — წამოდი მალე!  
— ვმეტიჩრობ არა, კიდევ ის არ გინდა!.. — თეთრქუდამ სწრაფად დასვა ლილი ძირს და გარედ გაიქცა.  
— შენც წამო, — უთხრა ერთმა თავის კბილა გოგომ ლილის, — წამო ჩვენს ოთახში.

ლილი გაჰყვა თმაგაკრეჭილ ბალებიან ჯგუფს და სუფთად გაწყობილ რამოდენიმე საწოლს შორის დარჩენილ თავისუფალ ადგილას დაიწყო თამაში.

გარშემო ყველაფერი მორთული იყო ყვავილებით, ბავშვებს მინდვრიდან მოჰქონდათ ყვითელი ბაიის, ყაყაჩოს და სხვა ველური ყვავილების აუარებელი კონები და იმით მურავდნენ რკინის საწოლებს. ყვავილის მტვერი ბალიშის პირებსა და ზეწრებს სვრიდა, ეს იწვევდა ძიძის უკმაყოფილებას, მაგრამ პატარების დასაძინებელ ოთახებში ყვავილები არ ისპობოდა, სანამ ზამთრის სუსხი მათ გარეთ არ დაატკნობდა და დასჩაგრავდა.

ბავშვებმა დაიწყეს ჩვეულებრივი თამაში. თმაშეკრეჭილი ლიზა, ჯერ კიდევ მაშინ მოყვანილი საბავშვო სახლში, როდესაც სიარული არ იცოდა — ტიკინას და ლილის დედის როლს თამაშობდა. ერთი წლის წინათ მიღებული ვასო მათი მამა გახლდათ და ლიზაზე ცოტა გვიან ჩარიცხული კიმი, რომელსაც ეს სახელიც აქვე მისცეს — შოფრის დანიშნულებას ასრულებდა.

მათი გართობა უბრალო იყო, ისეთი, როგორიც არის ხოლმე ოთხი-ხუთი წლის ბავშვების, სადაც ყოველი მათგანი ცდილობს წაჰბადოს ღიღების ქცევას და მოქმედებას.

ლილის ბევრჯერ უთამაშნია ასეთნაირად, მაგრამ აქ მას ცოტა აბნევდა თავისი ამხანაგების უცნაური გამოთქმები. ერთხელ, თამაშის დროს კიმი რალაცაზედ არ დაეთანხმა ლილის და თავისი უთანხმოება ასე გამოხატა:

- არა, ბიჭოოო!...
- ლილიმ იწყინა:
- მე ბიჭი არა ვარ!..
- მერე რა, რო არა ხარ!
- მაშ რად მეძახი?..
- მერე რა, რო გეძახი!..
- მე გოგო ვარ...
- მერე რა, რო გოგო ხარ!

ლილიმ მაინც ვერ გაიგო, რატომ უწოდა მას კიმი ბიჭი და შემდეგ, ლიზას შენიშვნაზე, რომ ტიკინა ხწორად არ დაუწვენია — კიმისებურად უპასუხა:

— მერე რა, რო არ დამიწვევია!  
ასე თამაშობდნენ ისინი კარგა ხანს, სანამ გარედან ზარის ხმა  
გაისმა.

— სადილის ზარია!.. სადილის ზარია!..

წამოიძახეს ერთად ბავშვებმა, მიატოვეს თამაში და ოთახიდან  
გაცვივდნენ. ლილის სხვა რა უნდა ექნა — დაავლო ტიკინას ხელი და  
უკან გამოუდგა მათ.

ყოველი მხრიდან მოისმოდა იგივე მზიარული ძახილი:

— სადილის ზარია!.. სადილის ზარი დარეკეს!..

ბავშვები სასადილო ოთახში შევიდნენ და ლილიმ თავისი ამხანა-  
გები თვალიდან დაჰკარგა. ზოგიერთ მაგიდებს უკვე შემოსხდომოდნენ,  
ზოგთან კი, ფეხზე ირეოდნენ. მთელი საბავშვო სახლი აქ იყო, ლილი იდ-  
გა შუაში და არ იცოდა, საით წასულიყო.

— ლილი, ლილი! — მოესმა მას ერთი კუთხიდან ლიზას ძახილი, —  
მოდი ჩვენს მაგიდასთან დაჭექი.

ლილი გაძვრა-გამოძვრა, თავის ახალი მეგობრების გვერდზე სკამ-  
ზე დაჯდა და ტიკინა მუხლებზე დაიდო.

ვასო თვალებს აცეცებდა, პირს აწკლაპუნებდა, ეტყობოდა, მოუ-  
თმენლად ელოდა, როდის მოიტანდნენ საჭმელს მორიგეები, რომლებიც  
თეფშებს აჩხრიალებდნენ, პურს სჭრიდნენ და განუწყვეტლივ ფუს-  
ფუსებდნენ. კიმიც ცოტა მოუსვენრად გრძნობდა თავს, ლიზა უფრო  
მშვიდად იყო.

მალე ყველანი დალაგდნენ და მხოლოდ მორიგე ბავშვები დადი-  
ოდნენ იქით-აქეთ. ყველა მაგიდას თავისი მორიგე ჰყავდა, რომელიც  
საკვებს ანაწილებდა და სადილის შემდეგ ჭურჭელს რეცხდა. პატარე-  
ბის მაგიდას დიდები უვლიდნენ. წითელყვავილებიან წინსაფრებში გა-  
მოწყობილმა ბავშვებმა წვნიანი თეფშები მოიტანეს და ჩამოარიგეს,  
შემდეგ პურის ნაჭრებიც მოაყოლეს. ყველა შეუდგა ჭამას.

ლილი თავის თეფშში ურევდა კოვზს, სულს უბერავდა და ცხელი  
წვნიანის ზედაპირიდან ორთქლს ფანტავდა. მას დიდი, მძიმე კოვზი  
მისცეს და ეს ძალიან უხაროდა — ყოველთვის უკმაყოფილო იყო ხოლ-  
მე, რომ დედა ჩაის კოვზით აჭმევდა. სანამ ლილი წვეს გააციებდა,  
ირველივე ისეთი მაღიანი ჭამის ხმა და კოვზების წკარუნი ისმოდა, რომ  
ძალაუნებურად მაძლარ კაცსაც ნერწყვს მოჰგვრიდა. ვასომ შუაზე გა-  
სტეხა პური, ერთი ნახევარი თეფშში ჩაათმუნა და ჩქარ-ჩქარა ივსებ-  
და ლოყებს. კიმი დიდ ლუკმებს კბეჩავდა და თვალებს იქით-აქეთ აჭყვ-  
რიალებდა. ლიზა წყნარად სჭამდა. ლილიმ ყველაზე ბოლოს გაათავა  
წვნიანი.

— მერი, მერი, — დაუძახა ვასომ მორიგეს, — მეორე რა არი?..

— მეორე ფაფა გახლავთ, ნუ ხმაურობთ მანდ! — საქმიანი კილო-  
თი უპასუხა წინსაფრიანმა გოგონამ.

— გამგე მოდის!.. — გაისმა ამ დროს ჩურჩულით, — წყნარად, გამგე მოდის!..

კოვზების თეფშებზე რახუნი მიჩუმდა და ლაპარაკიც შესწყდა. მაგიდებს შორის მაღალი, შავპალტოიანი კაცი მოდიოდა, უკან აღმზრდელი და დამლაგებელი ქალი მოსდევდნენ. ის ზოგჯერ ჩერდებოდა და რაღაც შენიშვნებს იძლეოდა.

კაცი ლილის პირდაპირ შესდგა და რუხი თვალებით დააცქერდა.

— ამ ბავშვისაა, დღეს რომ ქალაქდები მიჩვენეთ? — შეეკითხა ის აღმზრდელს.

— დიახ, მაგისია.

— მერე? ტანსაცმელი გამოუცვალეთ?

— არა, საწყობში სუფთა ტანისამოსი არ იყო და ბავშვს კარგად აცვია...

— ეს არაფერს არ ნიშნავს. რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, რომ ახალ მიღებული დაპბანეთ, გამოუცვალეთ ტანსაცმელი და შემდეგ გაუშვით სხვებთან.

ლილიმ კოვზი თეფშზე დასდო და ისე შეპყურებდა ამ უცხო ძიახ კიმმა, ლიზამ, ვასომ და მაგიდის სხვა წევრებმაც შესწყვიტეს ჭამა.

— რა გქვიათ პატარავ? — შეეკითხა შავპალტოიანი ლილის და მისი რუხი თვალები ალერსით გათბა.

— ლილი.

ძიამ თავზე ხელი გადაუსვა და სხვა მაგიდებისკენ გაემართა. ბავშვები ჭამას შეუდგნენ.

— რა ოხერი ბიძია გამგეა!.. — კმაყოფილებით წაიბურტყუნა ვასომ და კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ დიდი კოვზით პირში ჩატენილმა ფაფამ აღარ აცალა. მან თავისი წილი პურის მეორე ნახევარი ფაფას მიიყოლა, თეფში კარგად გალოკა, წამოხტა და გაიქცა.

ლიზა მორჩენილი პურის ნატეხით ლილისთან ერთად გამოვიდა გარეთ, პური გაათავა და ამხანაგს ტიკინა გამოართვა. დერეფანში მათ თავისი ტოლი გოგო შეხვდათ.

— აი, ნახე! — დაანახვა ლიზამ ტიკინა.

— ე! მაჩვენე!.. — წაეპოტინა გოგო, ლიზა გაჯიუტდა:

— ვა, რად უნდა მაჩვენო!

— შენი ხომ არ არის! — ბავშვები წაიჭიდნენ. ლიზას წელს ზევით ეჭირა ხელში ტიკინა, მეორე ფეხებში ჩააფრინდა, გასწიეს და ტიკინას ცალი ფეხი მოსწყდა, გახეული ნაჭრიდან ნახერხი გადმოცვივდა და იატაკსა და ლიზას კალთაზე დაიბნა.

სამივენი განცვიფრებული შესდგნენ. რა ექნათ აღარ იცოდნენ. ბოლოს ლიზამ დაარღვია სიჩუმე.

— სულ შენი ბრალია! — შეპყვირა მან გოგოს და მარცხენა ხელით



ბეჭეში ჩაარტყა, გოგომ ტიკინას ფეხი გადააგდო, ლიზას ერთი მუჭაღუნა გუნე უთავაზა და გაიქცა.

ლიზა ტიკინას შოკოლეტულ ფეხს დასწვდა და ისე მიადო თავის უწინდელ ადგილას, თითქოსდა მიწებებსას უპირებდა.

ლილი ამ შემთხვევაში ისე მოიქცა, როგორც იქცეოდა ხოლმე, როდესაც რაიმეს აწყენინებდნენ — ის ატირდა.

ლიზა, დაბნეული ხან ატირებულ ლილის შესცქეროდა და ხან ფეხმოწყვეტილ ტიკინას.

— ნუ სტირი, ლილი, ნუ... დაიცადოს, მე იმას ვუჩვენებ, ვუთხრა დეიდას!..

— ვინაა, რომ ტირის? — მოისმა აღმზრდელის ხმა.

— ახალია, დეიდა, ახალი, — დაუძახა ლიზამ, — იმ კრეტინმა აატირა!.. — და ბრახით თავისთვის დაუმატა — ის ოხერი, ისა...

— ოჰ! დაიწყო უკვე ტირილი? — უკმაყოფილოდ სთქვა აღმზრდელმა და ლილისთან მივიდა.

— რა გატირებს, გენაცვალე? კარგი, გაჩუმდი. — მოუალერსა მან. ლიზამ ტიკინა აჩვენა და დაწვრილებით მოუყვა ამბავს, ისიც არ დავიწყებია, რომ მას მუჭაღუნა გაჰკრეს, თუმცა ერთი გარემოება კი გამორჩა, რომ მუჭაღუნა მისი მუშტის ხურდა იყო.

აღმზრდელმა ბავშვები თავის ოთახში წაიყვანა, ლილი დააწყნარა, ტიკინას ფეხი მიუყერა და მეგობრებს ურჩია, რომ სათამაშო მასთან დაეტოვებინათ, თორემ კიდევ გაუფუჭებდა ვინმე და გარედ გამოუშვა. ლილი ლიზას კისერზე ჩამოეკონწილა და ორივენი სიცილ-ხარხარით გავიდნენ დერეფნიდან.

აივნის იატაკზე მოზრდილებს ცარკით დაეხაზათ ოთხკუთხედები და ბრტყელი ქვევით „კლასობანას“-ს თამაშობდნენ.

ლილი ერთობოდა ცალფეხზე მსტუნავი ბავშვების ცქერით. ვიღაცა აპარტყუნებდა როიალის კლავისებს და სამეცადინო ოთახში ხმამაღლა იმეორებდნენ გაუგებარ სიტყვებს.

ელექტრონათურების ანთების შემდეგ ბავშვები კლუბში მოგროვდნენ. ერთმა სიმღერა წამოიწყო, როიალზე აკომპანიმენტი მისცეს, სხვები მოეხმარნენ და მალე მთელს სახლში გაისმა ხმამაღალი პიონერული და სხვა სიმღერები, ხან უხეში და უცხო:

— ე-ე-ე-ხა-ხა...

და ხან ქრუანტელის მომგვრელი:

— მე-გობ-რე-ბო წინ-წინ გას-წი-ით...

ლილიც ლიზასთან ერთად აყოლებდა ხმას საერთო შეძახილს. მერე როიალზე დამკვრელმა უცბად შეცვალა მოტივი და „ნამგალო, ჩემო რკინაო“ თავბრუდამხვევ, აწყვეტილ ლეკურზე გადაიყვანა მომღერლები ჯერ აირივინენ და შემდეგ ტაში დაჰკრეს, გაიმართა ცეკვა-

თამაში. წრეში პირველად პატარები გავიდნენ. რამოდენიმე წყვილისგანაც  
შემდეგ ვილაცამ დაიყვირა:

— ახალი ვათამაშოთ, ახალი!..

ლილი გაინაზა, შერცხვა, ცეკვა იცოდა, მაგრამ ამდენი მაყურებელი არასოდეს არ ჰყოლია. ამ დროს კიმი გამოხტა, შიშველი ფეხები იატაკს გაუსვა, ჩაჩაჩული მარჯლის სათავესთან ხელი შემოიდგა და ლილის თავი დაუკრა. მეტი რა ძალა იყო. ლილიმაც მარცხენა მკლავი მხრის გასწვრივ გაშალა, მარჯვენა მკერდთან მოხრილი დასტოვა, თავი ჩაღუნა და ისე გამობაჩუნდა თავისი პატარა ფეხებით და კულულების ქნევით, რომ ბავშვებმა აღტაცებით შეპყვირეს, ტაშისგან მინები შეარყიეს და როიალს სტვენაც ააყოლეს.

ლილიმ წრე შემოუარა, ერთ ადგილას აბაკუნდა და კიმის გადახედდა. ბიჭს გახურებული თამაშისგან ოფლი წურვით ჩამოსდიოდა და ისე ბეჭითად ისროდა ფეხებს, რომ ყურადღების დასაჭიმავად ენაც გადმოეგდო. ლილის არ მოეწონა ეს, წრიდან გაიქცა და წარბები შეიჭმუნა. როდესაც მიესივნენ და სთხოვეს კიდევ ეთამაშა, ტუჩის გამოწვევით სთქვა:

— არ მინდა! ის ენას მიყოფს!

ყველამ ბევრი იცინა და თვითონ ლილიმაც. აბა, როგორ არ გაიცი-ნებ, როცა შენს გარშემო სუყველა ხარხარებს?! უმცროსები მოზრდილებმა შესცვალეს, ლექურს — ბაღდაღური, უზუნდარა და ყაზახური მოჰყვა. კარგა ხანს ერთობოდნენ ასე.

შემდეგ, ისევ დარეკეს ზარი.

— წამო, ლილი, უნდა ვიჩაიოთ, — თქვა ლიზამ. ისევ წავიდნენ სასადილოში და შემოუსხდნენ იმავე მაგიდას. ვასომ ჩაი არ დაშაქრა, ცხელი წყალი გააგრილა და ისე გადაჰკრა, შაქრის ფხვნილი პურს მოაყარა და გარედ გავიდა. ლიზამ თავისი შაქრის ნახევარი ჭიბეში ჩაიყარა. ლილიმ არ იცოდა, რისთვის შერებოდა ლიზა ამას, მაგრამ თვითონაც ცოტა ფხვნილი ლიზას გაუწოდა და იმან სიამოვნებით დაუმატა მისი წილი უკვე შენახულს.

— ჩვენ ერთად შევაგროვოთ ხოლმე, ჰო?... — უთხრა მან ლილის. ლილიმ არც ეს იცოდა, რის შეგროვებას აპირებდა ლიზა, მაგრამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია:

— კი, შევაგროვოთ...

როდესაც ჩაი შესვეს, ერთმა დიდმა ბიჭმა გამოაცხადა: „ეხლა ლიტერატურული წრე გასამართლებას ჰმართავსო“. ძიძამ ჩამოუარა პატარებს.

— აბა, ბავშვებო, საწოლებსკენ, ძილის დროა. — იძახოდა ის.

— დეიდა კეკე, — ჩამოეკიდა ლიზა, — ეს ახალი ჩვენს ოთახში დაწვეს რა!..

— შენ რომელ ოთახში წევხარ?

— პატარა ქალების მეორე ოთახში.

— ჰო, სწორედ იქ არის თავისუფალი ლოგინი.

საწოლში, ძიძამ, ვინც თვითონ ვერ ახერხებდა — ყველას გზავნიდა.

სამოსი და დააწვინა. ზოგს ფეხი დააბანინა. ლილი ყველაფერს იძრობდა თავისით ტანზე, ოღონდ უკან შებნეულ ლიფის გახსნაზე დასჭირდა ძიძის დახმარება. მალე, ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ, სიზმრებისგან აღელვებულ ბავშვების ხშირი სუნთქვა ისმოდა.

ფანჯრებს იქით, მწვანე მინდვრებზე, იწვა ბნელი ღამე. დიდი ცხოველია ალბათ. ის, მოვა და დაჰფარავს ყველაფერს. მოვა და ადამიანები სახლებში იმალებიან. გაიხედავ სარკმელში, არაფერი სჩანს: ღამე მოჰყუდებია მინებს თავისი შავი ზურგით. მოვა ღამე და გინდა თუ არა, უნდა დაიძინო, გარეთ ველარ გახვალ, გეტყვიან: ღამეა იქ და არ შეიძლება. დაგაძინებენ და როცა გაიღვიძებ — ღამე უკვე წასულია. ვერც მის მოსვლას და ვერც გაპარვას ვერ იგებს ლილი. საღამოს, ნელ-ნელა ჩამოდგება ბინდი და მერე ამბობენ: აი, ღამე მოვიდა.

წევს მწვანე მინდვრებზე ღამე, შავი ზურგით მიჰყუდებია ფანჯრის მინებს და ყველაფერს ჰფარავს.

ოთახი სდუმს, ბავშვების სიზმრებით სავსე.

არ სძინავს მარტო პატარა ლილის.

ეს მოუსვენრად ტრიალებს რბილ ლოგინში და საბნის ზევიდან იყურება, წუხს. რატომ? პასუხს ვერ მოგეცემთ, რადგან ამ წუხილს, ერთი ჩამოყალიბებული მიზეზი არა აქვს. ლილის არ შია და არც სწყურია — მან საკმაოდ სჭამა ამ საღამოს. არც სცივა ლილის — საბანი თბილია და გარედან ზაფხულის წყნარი ღამე შავი ზურგით მოჰყუდებია სარკმელს.

მაშ რა აწუხებს ლილის? რატომ ჰბორგავს და ფართოდ ალებს თვალებს, თითქოს და ძალით უნდა განდევნოს მშვიდი ძილი, რომელსაც ასე შეუპყრია სხვა ბავშვები?..

ლილი წამოჯდება და ხელებით დაეყრდნობა თეთრ ბალიშს. მთელი ოთახი ღრმა ძილშია. პატარა ბავშვებთან ერთად ეძინათ რკინის ცივ საწოლებს, ეძინათ თეთრად შეღებილ კედლებს, ეძინათ საწოლის თავებზე დამაგრებულ ველურ ყვავილებს და ელექტროსანათურიც, უციმციმო ბეჭტვით მისცემოდა თვალით თავდავიწყებას.

არ ეძინა მხოლოდ ლილის. და ვერც დაიძინებს ლილი. ეს ლოგინი უცხოა მისთვის; ბალიშზე თავს დასდებს ლილი და მას აკლია რაღაც; საბანს დაიხურავს ლილი და ის უხეშია რატომღაც; ამოიღებს პატარა მკლავებს ლილი და ისინი რაღაცას ეძებენ, ვერ ნახულობენ და ვერ ისვენებენ; თვალებს დახუჭავს და ყურს მიუგდებს — მას არ ესმის თბილი სუნთქვა... მის თმაში არ თამაშობენ თბილი თითები და ტკბილი ნანა არ უხმობს სმენას ძილისკენ... რატომ არ მღერის დედა?.. ლილი

ახელს თვალებს და უყურებს თავის გვერდზე ბალიშს... სად არის დედა?..

და ლილი წამოჯდება, ძილმორეული, მაგრამ გაფართოებული და გაჯიუტებული თვალებით შეჰყურებს გარინდებულ ოთახს და ისევ ეკითხება თავის თავს — სად არის დედა?..

რატომ არ ხვდება ლილის პატარა თითები დედის ძუძუებს? რატომ არ უთბობს ლილის ლოყას დედის სუნთქვა? რას გაჩუმდა დედა, რატომ არ უმღერის ლილის ჩვეულებრივად, დაძინების დროს რომ გვერდზე მოუწვებოდა ხოლმე, ეხლა რატომ არ სჩანს? სად არის დედა?! რა იქნა დედა?! რატომ არ მოდის დედა?!

შეწუხდა ლილი, რაღაც მძიმედ დააწვა მის პატარა არსებას და არ აძლევს მოსვენებას. ვერა, ვერ დაიძინებს ლილი... დედა უნდა მოვიდეს მასთან და ნანა უნდა უმღეროს და მხოლოდ მაშინ დაიძინებს ლილი...

მან ასწია თავი, მილულული თვალებით შეჰხედა კარებს და ნელი ხმით დაიძახა:

— დედა!..

ისე, თითქოს მეორე ოთახში გაიგონებდნენ. არავინ გასცა ხმა. ლილი უფრო წამოიწია და ცოტა ხმამალა განიმეორა:

— დედა!..

ძახილი პატარა საწოლს არ განწორებია, შემოეხვია მას და ისევ განამეორებინა რამოდენიმეჯერ, მაგრამ ეხლა უკვე ჩურჩულით და ცრემლშეგუბებული, ათრთოლებული ტუჩებით:

— დედა!.. დედა!..

ყელზე თითქოს მარწუხი შემოეჭირა ლილის, შეუგუბა სული, დაუპრანჭა პირსახე, გული შეუკუმშა და თვალებიდან ჩქარჩქარა წამოუვიდა ცხელი, მწვავე ცრემლები, პატარა გაფითრებულ ლოყებზე წყლიან კვალს რომ სტოვებდენ.

მის პატარა, ნორჩ აზროვნებაში, სადღაც, ღრმად, გაურკვეველად დაისადგურა ნაღვლიანმა გრძნობამ, რომ მისი დედა აწი არასოდეს არ მივა მასთან და ვერ დაამშვიდებს, დააწყნარებს და დააძინებს პატარა ლილის შეშფოთებულ სულს.

მიძინებულ ოთახში გაუბედავად გაისმა უნუგეშო და უსუსური არსების ტირილი.

სტიროდა ისე, რომ მისი ტირილი არ უსაყვედურებდა არავის და მხოლოდ ბალიშის ნაკეცები ღებებოდა ნაღველით სავსე პატარა ცრემლებით. სტიროდა მასში ბუნების ინსტინქტი, შეუგნებლად გრძნობდა, რომ არსებობისათვის ბრძოლაში სუსტს უდროოდ მოსცილდა მზრუნველი ხელი.

სტიროდა ის, ბავშვური გულუბრყვილობით ითხოვდა დედას.

ჩვილი თითები ვედრებით გაშვერილიყვნენ კარებისკენ და ოქროსფერი კულულები ცახცახებდნენ შეკავებული ქვითინით.

ო, რა იქნება, რომ მოვიდეს დედა! მისი დედიკო, მოეფეროს ლლის, ნანა უმღეროს... არ მოდის ის, არ მოვა ის... ლლი ბალიშს ეხუტება და ტყუილად ეძებს შშობლის თბილ უბეს...

დერეფანში ლენა შემოვიდა, მას დააკვირნა სახლში მოსვლა — დასასვენებელი დღეა და დილიდან მუშაობს სოფლის უჭრედის დავალებით. პატარების საწოლი ოთახიდან ჩუმი ტირილი გაიგონა. ტირილი სევდიანი იყო და ალბათ არავის უპირებდა მწუხარების გაზიარებას.

ლენა მიხვდა, რომ ეს რომელიმე ახლად მოყვანილი ბავშვი იქნებოდა და გაემართა იქითკენ.

ლილიმ ასწია თავი და ცრემლიანი თვალებით შეხედა მოსულს... არა, ეს დედა არ იყო... ეს ვიღაც ახალგაზრდა ქერთამიანი ქალია...

— რატომ სტირი, გენაცვალე?.. — ლენა საწოლზე ჩამოჯდა და ალერსიანად აკოცა ცრემლებისგან სველ ლოყაზე.

მას მოაგონდა თავისი ბავშვობა. ლენას არ ახსოვდა, როდის მიამარეს საბავშვო სახლში. პატარაობიდან აღიზარდა აქ და მიუხედავად აღმზრდელებისა და მასწავლებლების ყურადღებისა, ბევრჯერ ახსოვდა, აი, ასეთი, ბოლმით სავსე, უნუგეშო ტირილი, რომელსაც ვერ გაუზიარებ ვერავის, რომელსაც ვერ გაგიგებს ვერავინ, თუ თვითონ არ გამოუტყდია საშინელი მარტოობა ობოლი ბავშვისა, შავი ზოლივით რომ გაგყვება მთელს შენს ცხოვრებაში.

ის დააკვირდა გოგონას სასოწარკვეთილ, არეულ, ჩვილ, ლამაზ სახეს, შეებრალა ძალიან, ოქროსფერთმიანი თავი მკლავზე გადაიწვინა, უფრო მიიახლოვა და ანგარიშმიუცემლად აჩურჩულდა:

— სუ, ნუ სტირი გენაცვალე... ნუ სტირი, მეც აღარა მყავს დედა... ვინ გაგვიშრალებს ცრემლებს, ვინ დაგვიყვავებს ამხანაგებისაგან ნაწყენთ, ვინ გაგვისწორებს ფხიზელი ხელით ღამე საბანს, ვინ გაგვისინჯავს სათუთი ხელით სიცხიან შუბლს, ვინ დააყურებს მძინარე სუნთქვას, ვის გაუმხელთ ჩვენს შიშს და სიხარულს, კრძალვას და ლტოლვას, ვინღა იქნება ქალწულის პირველი მესაიდუმლე, ვინღა შეგვეგებება ისე ხელგაშლილი, ვისღა მივეყრდნობით მკერდზე, ისეთი ნდობით, ვინღა ადევნებს თვალს ჩვენს ყოველ მოძრაობას, უკან აღარ ვგრძნობთ მძლავრი კედელივით დედის სიყვარულს; ყველას რომ სძულდებოდა, მაინც იცი, რომ დედას უყვარხარ და ეს ძალას გმატებს... ნუ სტირი, გენაცვალე, ამას ველარ დააბრუნებ, ეძებ მეგობარს, შეიყვარე სხვა და შენც შეგიყვარებენ, მაშინ აღარ იგრძნობ ასეთ მარტოობას...

— ნუ სტირი, გენაცვალე, მეც შენსავით ობოლი ვარ, აი, ჩვენ ერთმანეთს შევეჩვევით, ერთმანეთი შეგვიყვარდება და მერე... მერე აღარ ვიტყვებით ხოლმე...

ლენა გაჩუმდა, თვითონაც არ იცოდა, რას ამბობდა, კანალამ თვი-

თონაც ატირდა მწარე მოგონებით და ამ საბრალო არსების ცქერით  
ლილიც რატომღაც გაყუჩდა, ის ყურს უგდებდა აღელვებულ სიტყვებს  
და უფრო ხვდებოდა მათ შინაარსს, ვიდრე ისმენდა. მან, ამ უცხო  
ქალის ალერსში რაღაც ახლობელი იგრძნო, მისი გული გაათბო ჩუმმა  
თანაგრძნობამ და ის ნელ-ნელა დაწყნარდა, თავი მისდო ქალის მკლავ-  
ზე და ალერსიან ჩურჩულში თვალი დახუჭა, ბურანში წასულს უკვე  
ეგონა, რომ ეს დედის თბილი სუნთქვა ესმის ყურთან და ნორჩ ტუ-  
ჩებზე ბედნიერი ღიმილი გამოკრთა.

ეხლა მთელ ოთახს ეძინა, კირით შეღებილი თეთრი კედლებიც,  
თეთრი საწოლებიც, თბილი სახეებიც, ელექტრონათურაც და ველური  
ყვავილებიც სიზმრების ჰაეროვან სამეფოში დასცურავდნენ.

ღენა დაჰყურებდა ბავშვს და ფიქრობდა იმაზე, რაც უკვე კარგა  
ხანია მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი — წელს ამთავრებდა საშუალო  
სასწავლებელს, საბავშვო სახლისგან დამოუკიდებლად ცხოვრებას  
იწყებდა. მისი განზრახვა იყო: მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირა, აი,  
ასეთი ობლების აღზრდისათვის, რამოდენიმე წუთის წინ რომ ცრემლ-  
ბად იღვრებოდა და ეხლა მშვიდად ეძინა.

ის ფიქრობდა, რომ თვითონ ობოლი, საბავშვო სახლში გაზრდილი,  
კარგად იცნობდა ბუნებისგან დაჩაგრულთა ბედს და მთელ თავის  
ცოდნას და სულიერ მარტოობაში გამოჰყვილ ნებისყოფას შესწირავდა  
იმისათვის, რომ პატარა, საბრალო ბავშვებს მისი სახით ახლა ნამდვილი  
სულიერი დედა გასჩენოდათ.

ასე გაატარა პატარა ლილიმ პირველი დღე საბავშვო სახლში,  
რომელსაც მშობლების მიავივრობა უნდა გაეწია და აღეზარდა ის,  
სასტიკ ცხოვრებასთან საბრძოლველად.

### რას არ იტყვის ბატონი მანა...

— მადლობა მანცა თქვი, ძმაო, ხმა ამოიღე, — უთხრა თეთრხალა-  
თიანმა ექიმმა ტაპაიას, — ტყუილად ვიშრომეთ!.. ერთი სიტყვა გაგ-  
ვაგონე, ამ ქალებს გამოემშვიდობე, თორემ დაგემდურებიან.

ახალგაზრდა ექთნები და საავადმყოფოს სხვა მოსამსახურე ქა-  
ლები ჯგუფად იდგნენ ტალანში, გაცინებული თვალებით, ინტერესით  
შესცქეროდნენ.

ტაპაიამ გაიღიმა ჩავარდნილი მოკუმული ტუჩებით, როგორც  
მხოლოდ მუნჯებს აქვთ ხოლმე, სახელეწილი ცოტახანს კიდევ ატრი-  
ალებდა ხელში ჭილის ფართო ქუდს, მერე ისევ უსიტყვოდ, მდაბლად  
დაუკრა თავი ექიმსა და მთელ ამ თეთრებში გამოწყობილ საზოგადო-  
ებას, განიერი ზურგი უჩვენა მათ და ისე აჩქარებით გაიხურა კარი,  
უთუოდ ეშინოდა, კიდევ არ დაეძალებიათ.



კარსუკან ხმამალალი სიცილი მოესმა, მიხვდა — მასზე იცინოდნენ, მაგრამ არ გაჯავრებულა, ღიმილით დაიხურა თავზე კილის ქუდი, აჩქარებული ნაბიჯით, თითქმის სირბილით წავიდა.

მოულოდნელი სიხარულისგან კაცს ზოგჯერ ენა წაერთმევა, ეს ყველამ იცის, მაგრამ ტაპაიას ახლა არ შეეფერებოდა ენის ჩავარდნა, რადგან... დალახვროს ეშმაკმა, მას სწორედ ის უხაროდა, რომ ენა ამოიდგა, დაილაპარაკა, და თუ სიხარულისგან ისევ ჩაუვარდებოდა, რაღა გამოდის... თხა ვიყიდე, თხა გავყიდე?..

ტაპაიამ ჩაიკინა და უკან მიხედა გორაკზე წამომდგარ საავადმყოფოს თეთრ შენობას. დარდი ნუ აქვთ, ტაპაიას ახლა მტყუანი კაცის ვეჭილივით შეუძლია გრძლად ლაპარაკი.

სულ მოულოდნელად, უცნაურად და უეცრად მოხდა ყველაფერი. ამ კვირის წინ ტაპაიას ყელი ასტკიცდა და საკოლმეურნეო კლინიკაში მივიდა. ექიმმა პირი გააღებინა, ენა გადმოაგდებინა, როგორც წესია. ჯერ ყელში ჩახვდა, მაგრამ მერე რატომღაც ენით უფრო დაინტერესდა. კარგახანს აწვალა ორთავა კოვზით და მეორე დღეს ტაპაია მახლობელი დაბის საავადმყოფოში წაიყვანა.

თურმე ენა სულ ორიოდ ზედმეტი ძარღვით ჰქონდა დაბმული ტაპაიას, საკმარისი იყო მსუბუქი ოპერაცია, რათა მას თავისუფლად მეტყველება შესძლებოდა. მაგრამ პატრონი არ ჰყავდა და ბავშვობიდანვე მუნჯად ჩასთვალეს. ოცდაათ წელს ისე გადასცდა, რომ თითონაც მუნჯი ეგონა თავი. სმენა კი კარგი ჰქონდა, ზოგიერთი ბგერების წარმოთქმას, რამდენიმე სიტყვის მიმსგავსებასაც ახერხებდა, მაგრამ საერთოდ მისი საუბრიდან მხოლოდ ერთი რამ ისმოდა:

— ტაპა, იაპა... ტაპაპ... — დანარჩენს ხელებით მიგახვედრებდა, ამიტომაც შეარქვეს ზედმეტ სახელად ტაპაია.

და აი, მუნჯი ტაპაია ერთი კვირის წინ ამეტყველდა. ოღონდ, როცა გაიარა პირველმა, ბუნებრივმა და უსაზღვრო სიხარულმა და ტაპაიამ შენიშნა, თუ რა ცნობისმოყვარეობით შემორტყმიან მას დასტაქრები, მომვლელი ქალები, მომჯობინებელი ავადმყოფები, პირში შესცქერიან და ისე მოელიან ყოველ სიტყვას, როგორც ჩვილი ბავშვის „ააღუს“, — უეცრად შერცხვა.

უკვე შუახნის კაცი იყო, აქამდე თვითონაც მუნჯად თვლიდა თავს, სხვებიც მუნჯად იცნობდნენ და ახლა „ენის გატლევკა“ ველარ მოახერხა. მაგრად მოკუმა ჩავარდნილი ტუჩები და ამის შემდეგ იშვიათად თუ წამოაცდენინებდნენ რამეს. მხოლოდ იმ დასტაქარს, რომელმაც ოპერაცია გაუკეთა, ხათრს ვერ უტეხდა და თუ მარტონი დარჩებოდნენ, მისგან სწავლობდა ძნელი ბგერების გამოთქმას, ვარჯიშობდა. სხვებთან კი დუმდა, უკვე ხელებით საუბარიც უეხერხულეობდა, აღარც ხმას იღებდა და კიდევ კარგი, რომ დიდხანს არ დაუყოვნებიათ, მალე

გამოსწერეს საავადმყოფოდან. წამოსვლის დროს მაინც გააწბილა ექიმში — მალღობაც ვერ ათქმევინეს.

ახლა მზიარულად მიჰყვება შარას ტაპაია.

აღრე გაზაფხულის დღე იყო, როცა ჩრდილში და მზეზე სხვადასხვა სუნსა გრძნობ. ტაპაიას საავადმყოფოდან გამოჰყვა წამლებისა და დაუთოვებული თეთრეულის მძიმე სუნი, ამიტომაც სიამით ისუნთქავდა მცენარის წვენით შეზავებულ ჰაერს. ისეთი სურნელი იდგა ირგვლივ, თითქოს ყველა ხეზე საგანგებოდ დაესრისათ ფოთლები.

შარაგზის გასწვრივ, ქვევით, მწვანე ფერდობის ძირში მდინარე მიიკლაკნებოდა სხვა დროს წყალმარჩხი ბეუდი ახლა გაზაფხულის წვიმებით ადიდებულიყო. იქორებოდა ლოდებზე, ეხეთქებოდა თხილნარ ნაპირებს და ყურთასმენა მიჰქონდა.

ტაპაიამ გალალეებული თვალებით გადახედა ქაფმორეულ ზვირთებს, ისეთ გუნებაზე იყო, თუნდ ტანგაუხდელი გაცურავდა ამ მღვრიე წყალში. ქილის ქუდი კეფაზე მოიგდო დარდიმანდულად, ქამარი შემოიხსნა და მხარილივ გაიკეთა, რაც აგრეთვე დარდიმანდობის ნიშანი იყო, მერე დაღმართზე სირბილით დაემშვა მდინარის ნაპირისკენ, შლამის ნამქერებთან შედგა და ცოტახანს ყურს უგდებდა წყლის გამალეებულ შხვილს.

ჩქეფდა, ბუყბუყებდა, დრტვინავდა მოღონიერებული მდინარე, ქეებს მოაგორებდა, ზვირთებს ლოდებზე ამსხვრევდა, შლამიან ნაპირს ლოკავდა, გავსებული და გახალისებული ყიყინით მიჰქროდა გორაკებშუა.

უსმენდა ტაპაია გაზაფხულის ამ აურზაურს და თანდათან თვი-თონაც აბუტბუტდა თავისთვის, ალაპარაკდა, აყვირდა, ამღერდა..

რას არ ამბობდა, გაჰკიოდა, მდინარის ხმაურის დაფარვას ლამობდა. უხაროდა წყალი გამაყრუებლად რომ შხუოდა, ეს საშუალებას აძლევდა, შეჩვეოდა საკუთარ ხმას. ყველაფერს გამოესაუბრა: გახელე-ბულ მდინარეს, მშვიდ ზეცას, ზვირთისცემით დასველებულ თხილის ბუჩქებს, მოსილულ ღვინჭებს, წუილით აშლილ კოლოებს, ყველას, ყველას დაუძახა სახელი, რამდენჯერმე გაუმეორა, თითქოს მოუხედავდნენ და გასაცნობათ ხელს ჩამოართმევდნენ.

ასე ქაქანით გაჰყვა წყლისპირა ბილიკს.

ერთგან, ძლიერ დაბლა, გზისპირა ხეების კენწეროებზე ბლანტი ფრენით გადაიარა მოწითალო ძერამ, მხრებგაშლილი დინჯად მოდიოდა, საცეკვაოდ გამოსულ თავმომწონე ბიჭივით. ტაპაიამ მალა ახედა, ორივე მკლავი აიქნია და შეჰკივლა:

— ჰაუ, ჰაუ, ძე-ერავ, ძერავ... ჰაუ...

ვინ იცის, რამდენი კრუხ-წიწილი დაუწიოკებია ამ ძერას, იქნებ ეზოს სწორედ მაშინ დასცემია მეხივით, როცა დიასახლისი თავგამოდებით გაჰკიოდა, ძალი ყეფდა, ბავშვები ქეებს ესროდნენ, კრუხი



ქოთქოთებდა, ქათმები კრიახობდნენ, მთელი დაბა ბანს აძლევდა, ხან ფანტიანი თოფითაც იმუქრებოდა. მაგრამ ძერა მათ არ შეპუებია. მაინც გაუკრავს კლანჭი და თეთრი ბუმბული გაუბნევიანია ნიავისთვის. ოლონდ ასეთი უცნაური ხმა, ახლა გზაზე მარტოდ მიმავალი კაცი-სგან მოისმა, დამფრთხალი ციციისაგანაც არ სმენია. ამიტომაც სწრაფად შექკრა კამარა, ფრთები მძლავრად მოუსვა და პირიც კი იბრუნა, სხვა მხარეს გაფრინდა.

ტაპაია ძლიერ კმაყოფილი დარჩა, რაკი ძერამ კაცად ჩააგდო.

— ასეა ბიძია, — მიაძახა თვალმოჭუტულმა, — ისევ მუნჯი ხომ არ გეგონე!.. და გზა განაგრძო.

მოსახვევთან მდინარე ღრმად შეჭრილიყო ფერდობში, მორევი ტრიალებდა და აქ წყალი დაწმენდილი, გამჭვივრვალე იყო. მორევის სიღრმეში ტაპაიამ მურისფერი თევზები დაინახა, ბინდში ერთ ადგილას ლივლივებდნენ და წყნარად არხევდნენ ბოლოებს. ზევიდან ვერ შენიშნავდი წითელ ფიდაკს — თევზის ფერდებზე დაყრილ ხალებს, მაგრამ ტაპაია გამოცდილი მებადური იყო და მიხვდა, რომ კალმახები უნდა ყოფილიყვნენ, წყლის ზედაპირზე თავბრუდამხვევად მოსრიალე მწერების გუნდს უღარაჯებდნენ უთუოდ. სხვა დროს ტაპაია ბადეს ინატრებდა, ან ტანთ გაიხდიდა, ყვინთით მოსქებნიდა ქვეებში ონჩხს — თევზის ბუნაგს და ხელით გამოათრევდა მიმალულ კალმახებს. ახლა ეს აზრადაც არ მოსვლია, მედიდურად გადადგა წყალზე და ჩასძახა ქვევით:

— ვაი, თქვე უბედურებო, ერთი თქვენი ხმა თუ გაუგონია ვინმეს?! პირში წყალი გვიდგას და რას ვიტყვითო? კი მარა, მიწაზე რომ სულს ლაფავთ და მაინც კრინტი ვერ დაგიძრავთ?!..

ფართო ქულის ჩრდილი ხელბადესავით დაეცა წყალს, თევზებმა თითქოს დაცინვით გაიქნიეს ბოლოები და ბინდბუნდში მიიმალნენ.

ტაპაია გამობრუნდა, ხელები უკან დაიწყო, ყელი მოიღერა და ისეთი კრიმანჭულით წავიდა ბილიკზე, რომ თუ თევზები ვერ მიუხვდნენ მუსაიფს, ამ სიმღერას გალმა ბუჩქებში მიმალული ტურები მაინც მოუწონებდნენ.

მდინარე ერთგან გზას აკვროდა და ბილიკიც იქ იკარგებოდა. ტაპაია ისევ შარაზე გავიდა, უკან მოიხედა და წამსვე ხმა გაკმინდა, მოშორებით მგზავრები მიდიოდნენ.

გაუყრდა ტაპაია. თავისი ყმაწვილკაცობა ერთ გზაჯვარედინზე დადგმულ დუქანში ვაატარა, ბახმაროზე მიმავალ ჩალვადარს თუ ოზურგეთისკენ წასულ ურემს ამ დუქანთან უნდა გაევილო და „პაწა სული მოეთქვა“. ამიტომაც მთელი გურია იცნობდა ტაპაიას. შარვალი მუდამ მუხლამდე შემოფლეთილი ეცვა, ფეხი „მარიამობისთვეშიც“ ტალახში ქონდა ამოსვრილი, როცა ტალახს ღორიც წამლად ვერსად

იშოვის. კარებთან კი ჯორკოზე იჯდა დუქნის პატრონი ბესარიონი, ყა-  
ლიონს აფლავებდა და ცხვირწინ რომ დაედგა დოქი, ხელს მაინც  
არ გაიწვდიდა:

— ტაპაია, ბიჭო, მომე წყალი ელანძე.

ჯარასავით ტრიალებდა ტაპაია, დუქანიც უნდა დაეხვეტა, ლომი  
მოგეშუშებია. თევზი კეცზე შეეწვა, ვარია — შამფურზე, დუქნის უკან  
ჩხავერისთვის წყალი შეერია და დუქნის წინ კაკლის ძირში მოქეიფე-  
ებისათვის ლიტრითა და ჰინჭილებით მიერთმია. დღეს ღამისგან ვერ  
არჩევდა, მოუტლელობისაგან ზოგჯერ დაცუქული თუ დაისვენებდა  
ქუსლზე ჩამოჯდომით. მაინც მუდამ მზიარული იყო, ტანმკვრივი. რო-  
გორც ყველა მუნჯი, მუშტარს უსათუოდ გაუბავდა საუბარს ხელების  
ქნევითა და „ტაპა, ტაპას“ ძახილით. მხოლოდ ერთი რამ ჰქონდა სა-  
ოცნებო და სანაღვლო — ყურიანი, წვეტიანი, რბილი წულა-მესტი,  
რომლითაც ფეხები თვითონ ცეკვავდნენ. ტაპაიამ ცეკვა იცოდა, რადგან  
სმენა ჰქონდა და ამით მუდამ აკვირვებდა ხალხს: მუნჯია და ცეკვავსო.  
მაგრამ უწულოდ რა ფასი ექნებოდა თითის წვერებზე შედგომას, ვერ  
იქნა და ვერ ეღირსა ტაპაია შავი მეშის სრიალა „უძიროებს“. ასე მი-  
დიოდა დრო, სანამ...

ახლა ბესარიონი, მოგეცა ლხენა, თავისით წყალს დალევდა კი არა,  
შაურისთვის ტრაპეზონს ფეხით გამოკვებება, ტაპაია კი კოლექტივში  
მუშაობს, წულა-მესტიც აცვია და არის მისთვის პატიოსნად, მარა...

მთელმა გურიამ იცის, რომ მუნჯი ხარ, გადაუდექი ახლა უცბად  
გზაზე მეზობელს და გამარჯვება უთხარი! ხომ მართლა გადაიწერა  
კაცმა პირჯვარი, დავიწყებული რომ არ ჰქონდეს პირჯვარისწერა...

მგზავრებმა ისე ჩაუარეს, რომ მათკენ არც მიუხედავს ტაპაიას.  
მაგრამ როცა ისინი მოსახვევში თვალს მიეფარნენ და უკანაც მომავა-  
ლი არავინ ჩანდა, ტაპაია ისევ აბუტბუტდა, კვლავ თავისთავს გაუბა  
საუბარი.

კარგახანს იარა ასე, სანამ ისევ არ მოესმა ფეხის ხმა მიიხედა და  
ნახა, რომ ვიღაც უცნობი წამოსწოდა. ჯერ გაჩუმდა და მაგრად მო-  
კუმა თავისი ჩავარდნილი ტუჩები, მაგრამ შემდეგ უეცრად სახე გა-  
უნათლდა — ამ კაცთან ხომ თამამად შეეძლო ლაპარაკი: რა იცის მან  
თუ მუნჯი იყავი! მაინც, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, დაკვირვებით  
შეათვალისწინებდა. უცნობი ქალაქელი ჩანდა, თეთრი შარვალ-ხალათი  
ეცვა და მასაც კილის ქუდი ეხურა, ოღონდ შავბაბთიანი და უფრო  
ვიწროფარფლებიანი, ისე რომ მარტო შუბლი და თვალები ჰქონდა ჩრ-  
დილში, ტაპაიას ფართო ქუდი კი პატრონის ვანიერ მხარბეჭსაც იცავ-  
და მზისგან. მგზავრი თვითონ მიესალმა ტაპაიას, გამოესაუბრა და  
აღმოჩნდა, რომ მართლა თბილისელი ყოფილა, მისი ძმა აგრონომად  
მსახურობდა თურმე მახლობელ სოფელში, სტუმრად ჩამოსულა, და-  
ბიდან ფეხით მოდიოდა მუხლის გასამართავად.

ერთი კი იკითხა სტუმარმა, მოსავალს რა პირი უჩანსო, თუ რა გორი ამინდები გაქვთო, ჩვეულებრივ რომ იკითხავენ ხოლმე... ნერწყვი გადაყლაპა ტაპაიამ, ღრმად შეისუნთქა პაერი და აქაქანდა. რა არ უთხრა, რას არ მოჰყვა: — ჩაის კრეფას როდის დაიწყებენ, სიმინდს როდის გამარგლავენ, რამდენ შრომადღეს გამოიმუშავენებს ტაპაია, აღებული ფულით რას იყიდის, კრაველის ქუდი რა ფერისა მოსწონს, რომელია კარგი ჭონი ოზურგეთში, მაინც რა ღირს კარგი ქუდი ბაზარზე, ერთი ამბიდან მეორეზე ხტებოდა, ძველსა და ახალს ერთმანეთში ურევდა, ენა ხშირად ებმოდა, ბორძიკობდა, ზოგჯერ უცნაურ ხმებს გამოსცემდა, თითქოს სლოკინი აუვარდა ან ყივანა ხველა სჭირსო, მაგრამ არ ცხრებოდა. სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, სახეგაცი-ნებული, წამოწითლებული ხელების ქნევით მიჰყვებოდა ოდნავ გაოცებულ მგზავრს და დაულალავად ქაქანებდა. ოცდაათი წლის სურვილს იოკებდა ტაპაია. თვითონვე სტკებებოდა საკუთარი ხმის მოსმენით. ძმასავით შეუყვარდა ეს კაცი, რომელმაც მისი საუბარი სრული სერიოზულობით მოისმინა და მამასადამე, ტაპაია მართლა ლაპარაკობდა, ნამდვილად ლაპარაკობდა, აქ სასაცილო არაფერი იყო.

ერთგან ავტომანქანის გუგუნე მოესმა და ტაპაია წამსვე გაჩუმდა, იქნებ ნაცნობები ისხდნენ მანქანაში. არც შემცდარა — საბარგო მანქანა მეზობელი სოფლის ახალგაზღვებით იყო სავსე, მათ სიმღერითა და ყიყინით ჩაიჭროლეს, ტაპაიას უყვიროდნენ და ქუდების ქნევით ესალმებოდნენ. როგორც კი მიიმალა მანქანა, ტაპაიამ ისევ აამოძრავა ოცდაათ წელიწადს უქმად ნამყოფი ენა. იმ სოფლამდე, სადაც თანამგზავრის აგრონომი ძმა მსახურობდა, კიდევ კარგა მანძილი დარჩა და ტაპაია თავს არხეინად გრძნობდა, გულს ცოტათი მაინც მოიოხებდა ერთი საათის განუწყვეტელი ლაპარაკით. ქალაქელი მორჩილად უგდებდა ყურს, მიაბიჯებდა შარაზე და ზოგჯერ ზრდილობისთვის თავს უკანტურებდა.

ასე მოღვნილი იყო ტაპაია, სანამ სოფლის განაპირას მღვარ ერთ დიდ მუხას მიუახლოვდებოდნენ. მაგრამ იქ კი უეცრად შეწყვიტა საუბარი, ხელები დაუშვა, პირი მოკემა და სახეზე ისეთი უკმაყოფილება დაეტყო, თითქოს გზაზე კატას გადაერბინოს, — მოსახვევში, დიდი მუხის ქვეშ, მედუქნე ბესარიონი ჩამომჯდარიყო ქვაზე და ყალიონს აფლაკუნებდა.

თავზე რუხი ღანზლის ყაბალახი ეხურა ბესარიონს, თამბაქოს ბოლით შეყვითლებული, ჭაღარა წვერულვაში მთელ სახეს უფარავდა; ჩაფიქრებული გასცქეროდა შარაზე მომავალ მგზავრებს.

ტაპაიამ თავი ჩალუნა და მხოლოდ მაშინ აიხედა, როცა ბესარიონი ხმამაღლა მიესალმა მოახლოებულებს:

— გამარჯვება თქვენი, ყმაწვილებო. როგორ ხარ ქეიფზე, ტაპაია, შე უბედურო...

ტაპაიამ გულუბრყვილო ღიმილით უპასუხა, გულში კი მზაკვრულად გაიფიქრა:

„უბედური შენა ხარ, ქოფაკო“...

ბესარიონი ხენეშით წამოდგა ქვიდან და მგზავრებს გამოჰყვა.

— მეც აქეთვე მამქვს გზა. პაწა მუხლი შეევასვენე. თქვენ საით მიბრძანდებით? — შეეკითხა ბესარიონი თეთრებში გამოწყობილ ქალაქელს. მან დაუსახელა სოფელი.

— კეთილი და პატიოსანი. მთავრობის კაცი ბრძანდებით, დასტურ...

— არა, აქ სტუმრად ვარ ჩამოსული და ისე... — ორაზროვნად უპასუხა აგრონომის ძმამ, უთუოდ ესიამოვნა, მნიშვნელოვან პირად რომ მიიჩნის.

— პოო, — ვითომ რამეს მიხვდა ბესარიონი, თავმდაბლობად ჩასთვალა, თანამგზავრის ნათქვამი და ერთხელ კიდევ გულდასმით შეათვალიერა რათა თავის ეჭვში დარწმუნებულიყო, — ეჭვე... — განაგრძო მან, — ერთი ჩემი მშველელი არავეინ გამოჩნდა და რა ვქნა...

— რამ შეგაწუხათ, რა ამბავია, — უკვე საქმიანად, მფარველის კილოთი ჰკითხა ქალაქელმა და შავბაფთიანი ქუდი შეისწორა.

— რალა რამ შემაწუხა... — შეგულიანდა ბესარიონი, ყალიონი სწრაფად გამობერტყა ხელისგულზე, ქამარში გაირჭო და თანამგზავრს გვერდით ამოუდგა, — ერთი დუქანი მქონდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჩამომართვეს, იმ დუქნის უკან ეზო იყო, ცოტა სიმინდს მოიყვანდა კაცი და ახლა ისიც მიაყოლეს, საკარმიდამო მიწა სახლთან გაქვთ, მეტი აღარ გეკუთვნისო. რას მერჩიან, ბატონო, მედუქნე თუ ვიყავი, სხვებსავით კი არ ვატყუებდი ხალხს. აბა, მაშინ კოოპერატივი სად იყო, გზაზე მიმავალ კაცს დასვენება არ უნდოდა, ვაშაში არ სჭირდებოდა? მერე მე შენ გეტყვი, წყლიან ღვინოს მივართმევდი, ან ძველ მკვადს...

— „იმდენი კბილი მოგძვრეს“, — გაიფიქრა ტაპაიამ.

— აპ, მე არ მოგიკვდე, — განაგრძობდა ბესარიონი, — ჩემისთანა ჩხავერი, მტრედღიფხა და ალადასტური მთელ გურიაში არ მოიძებნებოდა, ახლა რა სულგუნი, კეცსა და კეცსუა შემწვარი წიწილები, ისარიში ჩაწყობილი... ვაი, საყვარელო, რა დრო იყო... — ამოიხენეშა ბესარიონმა და უცებ შეცბუნდა, სწრაფად დაუმატა, — ახლაც კი დროა... სულგუნი და წიწილები ახლაც ბევრია, მარა რალაი, მე კაცად არავეინა მთელის და... უწინ — „ბატონო ბესარიონ, როგორ გიკითხოთო“, წელან მეზობელი შემხვდა და „ბესოს სიცოცხლე!“... ვინაა, ყაზილარო შენი „ბესო“? ხვალ „ბესიეს“ დამიძახებს ვინმე, ბერიკაცი რომ არ ვიყვე, ალბათ „ბესიკელასაც“ მკადრებენ. სანამ დუქანი მქონდა, სიკეთის მეტი ვის რა ახსოვს ჩემგან! აგერ, ტაპაია მაინც მყავს მოწმედ. ჩემთან გაიზარდა, უნო ვის რად გამოადგებოდა, მარა ჩემი კეთილი გულის ამბავი ქვეყანამ იცის, სწავლა რომ შესძლებოდა, იცოცხლე

კაცად გამოვიყვანდი. რა მექნა, დავსვი დუქანში, საქმე მაგას არაბი... შეეძლო და იჯდა თავისთვის, ჭამდა და სვამდა, მარტო წულა, ბატონო, მარტო მაგის წულა-მესტის საფასური ერთ ოჯახს ააშენებდა, ყოველ-  
თვეში ვუცვლიდი...

ეს კი მეტისმეტი იყო. წულა კი არა, ბესარიონისაგან ქალამანი არ ახსოვდა ტაპაიას. ყმაწვილკაცობა წულა-მესტზე ოცნებაში გაატარა იმ დაწყევლილ გზაჯვარედინზე. უნამუსოდ ცრუობდა ეს ბეროკაცი.

— ასე არ იყო ბიჭო? — მიუბრუნდა ბესარიონი, — რა ჩემდა საუბედუროდ ხარ მუნჯი, იქნება ვინმემ თქვას, მოჯამაგირედ ჰყავდა და ტყავს აძრობდაო, ხომ იცი, რას არ იტყვის კაცის ენა...

ტაპაიამ ბრაზით შენათა თვალები, თავს ძლივს იკავებდა, მაგრამ ბესარიონი აინუნშიც არ იყო:

— ხომ ყოველ თვეში გიცვლიდი წულა-მესტს?.. — ჩააცვიდა საკუთარი ტყუილით გატაცებული, — არ გახსოვს, კვირადღეს რომ მოგიტანდი ყურიანს, თეთრი მეშის კანტით მოვლებულს? ხმა ამოიღე, ბიჭო, თავი მაინც დაიქნე, შე უბედურო, თორემ რას არ იტყვის კაცის ენა...

— მართლაც და რას არ იტყვის კაცის ენა, — იყვირა უეცრად ტაპაიამ, — შე ბერძალლო, სულ ფეხშიშველი დავტანტალობდი და რა წულა-მესტო, ხომ არ გადარეულხარ...

ბესარიონმა თვალები დააჭყიტა და სახეზე მკვდრის ფერი დაედო.

— ჯამაგირსაც არ მაძლევდი... — გაცოფებული ყვიროდა ტაპაია და ისე მიიწვედა მედუქნისკენ, რომ აგრონომის ძმა შუაში ჩაუდგათ მშვიდობის აღსადგენად, — საქმე არ შეგეძლოო... მე არ ვაკეთებდი საქმეს?.. მე... მე... აბა... მე, აბა...

და აქ ისე აღელდა ტაპაია წარსულის მოგონებითა და ამ უსამართლობით, ისე ბევრი რამ უნდოდა ეთქვა, რომ თვითონაც დაიბნა, სიტყვა ველარ იბოვა, ჩვეულების მიხედვით გაასავსავა ხელები ჰაერში და ხრინწიანი ხმით, მაგრამ ძლიერ დამაჯერებლად, ძველებურად, მისებურად შეჰკვილა:

— ტაპა, ტაპა... ტაპაპ... ტაპა... ტაპა...

ბესარიონი კი იდგა სახტად დარჩენილი, პირჯვრის გადაწერაც ველარ მოეხერხებია.

1941

წ ა რ ი ლ ე ბ ი

## I

ძმაო რევებ!

მინდოდა საყვედურით დამეწყო, რომ რუსეთში წასვლის დღეს დაპირებისამებრ არ მნახე, მაგრამ გადავიფიქრე: მე ხომ ბილეთების

გამყიდველი არა ვარ, ან გზა ხომ არ უნდა მესწავლებინა და სავალდებულო არ იყო ჩემი ოფიციალური გამომშვიდობება შენ, ვიცი, ჯანზე იქნები. ეგრევე დარჩი, სანამ არ მოგწყინდეს. მე კარგადა ვარ ე. ი. სურდო, ფლარათი ან სხვა ასეთი „უბედურება“ არ მჭირს, ისე კი, შენც მიხვდები როგორ განწყობაზე ვახლავარ.

რევაზ, ამ წერილს ერთი მიზნით გწერ: თუ უდაბნოში გამოძახებული არა ხარ და ამ ორ დღეშიც არ მოელი ვაწვევას, ჩამოდი ჩემთან, ცოტა რამ თან წავიღოთ და ბეთანიის მონასტერში, ბერებთან წავიდეთ. მართალია, შენ ძლიერ გატაცებული ხარ სოციალისტური მეურნეობის განმტკიცებით, ბეთანიაში ბევრჯერ ყოფილხარ და სხვა... მაგრამ... ხათრს ნუ გამიტეხავ ძველ მეგობარს. ეს ექსკურსია მე ძალიან მჭირდება. დამერწმუნე, არც შენ დარჩები უკმაყოფილო. წავიდეთ წყნეთის — შენი მარშრუტით, თუ გინდა — ავტოთი. ვიმეორებ — ეს საქმე ძალიან საჭიროა ჩემთვის. მაშ, ეგრე, რევაზ, გელი მოუთმენლად.

მოკითხვა თქვენ დედ-მამას- მოიკითხე კოჯრის ტყეების, გამხმარი ფოთლებით მოფენილი ბილიყები, მოთიბული ბალახით აჯაგრული ბორცვები, მავცლის ეკლიანი ბუჩქები, დაბურული ხეხევი შინდის ხეებით, მოჭახჭახე შამშვებით და გამშრალი წყაროებით. ზურგშემოქცეული, გაბუტული და ამაყი მოხუცი ქოროლი და წყნეთელი გლეხის გუმბათმოგლეჯილი ფანტაზია — უძო. მომიკითხე საამური გრილი ნიავი, ჩვენი ყმაწვილური სიმღერა რომ მოუტაცია. მომიკითხე ყვითელი ბაიის უმრავი ყვავილები, ჩვენი ბავშვური მუხლები რომ დაუსვრიათ. მომიკითხე თრიალეთის ნაბდის ნაგლეჯი ნისლი, ახალგაზრდის სიცხიან სახეს რომ აგრილებდა ხოლმე. მოიკითხე ისინი — მე მათ გამზარდეს და უბედური გამხადეს.

შენი კოტიკო. გელი მოუთმენლად.

19/VII—34 წ.

## II

ხუტუ! გუშინ — 8/VI-ს მივიღე შენი ორი პირველი ბარათი და დღეს — მესამეც. წუხელ სიხარულისგან დიდ ხანს ვერ დავიძინე, რატომღაც დიდ მნიშვნელობას ვაძლევ იმ ამბავს, რომ „სიმღერა გადასახლებიდან გაქცეულ სტალინზე“ პირველად ინგლისურად გამოქვეყნდება. ვნახოთ. საოცარია, როგორ მოახერხე ოთახის შოვნა, ბინა იყოს და მოსკოვში კი არა, ხევსურეთში მოახერხებს კაცი რამეს. ცოტა ფრთხილად კი იყავი, უპლაშოდ ნუ ენდობი იმ დალოცვილს, ცა რაგინდ მოწმენდილი არ იყოს. ნეტავი შენ. აფსუს, სად ვარ!.. კაცო შენმა მესამე წერილმა მაწყენინა. იწერები 15/VII-ს დაბეჭდავენო, მეორეში კი ეწერა — 15/VI. რომელია შეცდომა ღმერთმა უწყის. მე



მაინც იმედს არ ვკარგავ და 20/VI-ს გელოდები გულისფანცქალის  
 ამბობენ — მანდ ჰონორარს ნამუსიანად იძლევიანო, თუ დაბეჭდეს  
 (კიდევ ვეჭვობ) ჰონორარი გამოიტანე და დახარჯე, მერე ვიანგარი-  
 შოთ. ტფილისში სიცხემ უმატა, მე კი 28/VI-მდე მაქვს სესიები, 5  
 საგანი კიდევ უნდა ჩავაბარო (ლათინურისაგან როგორც იქნა, სამუ-  
 დამოდ დავიხსენი თავი, თანაც ფრიაღით). ხუტუ, წერილი კიდევ მომ-  
 წერე.

იყავი კარგად. წერილს ველოდები.

კოტეკო.

9/VI—38 წ.

P. S. შენი გამგზავრების დღეს სადგურისკენ წამოვედი, წვიმდა, კა-  
 ლინინის ქუჩაზე ტრამვაის მოძრაობა შესწყდა, ფეხით დავაპირე წა-  
 მოსვლა, მაგრამ წვიმამ უმატა და მთელი საათნახევარი „პადიეზღში“  
 მაყურყუტა. რას იზამ.

### III

ხუტუ, დღეს შენი ბარათი მივიღე. „მოსკოუ ნიუსს“ — „დეილ“  
 უკვე აღარ არის — ათღლიურია, ორჯერ გამოუგზავნია მომართვა „მნა-  
 თობისათვის“ — გვაცნობეთ ხიმშიაშვილი მართლა თანამშრომლობს  
 თქვენთან, თუ არაო. პირველი ბარათი დამალეს. მეორე ბარათი რაკი  
 მოვიდა, შემფოთდნენ თურმე. სამი დღე თათბირობდნენ ეული, მაშა-  
 შვილი, გაფრინდაშვილი და ირ. აბაშიძე — როგორ მოვიქცეთო..  
 ერთმანეთს აქეზებდნენ — არა შენ მისწერე პასუხი და არა შენო. ვერც  
 ერთმა ვერ გაბედა, იჩხუბეს, ბევრი აგინეს ერთმანეთს პირში და გან-  
 საკუთრებით ზურგსუკან. ბოლოს ეულმა სძლია სხვებს და ალიომ და  
 ირაკლიმ ერთად დასწერეს ცნობა და გამოგზავნეს. ეხლა მაინც დაკ-  
 მაყოფილდებიან ალბათ, ეგ მოსკოველი ღიპა ინგლისელები. მე გადა-  
 ვწყვიტე, საფრანგეთიც დავიპყრა. გიგზავნი ნუნუ ქადეიშვილის მიერ  
 თარგმნილ იმავ „სიმღერას“, „კუხნეცკი მოსტ“-ზე, 812 — არსებობს  
 რედაქცია „ქურნალ დე მოსკუს“-ი. მიიტანე იქ და უთხარი, რომ  
 ცნობები ჩემს შესახებ ინგლისელებს მოჰკითხონ. მთარგმნელი IV  
 კურსის სტუდენტი, ფრიაღოსანი გახლავთ, შენ იცი და შენმა ვაჟკა-  
 ცობამ. შედეგი მოსწერე მთარგმნელს — კალინინის 9. მე მირზა გე-  
 ლოვანს მივყვები თიანეთში (ხვალ), იქიდან იქნებ ხევსურეთს გადავი-  
 დე, 15/VII მაინც ვერ დავბრუნდები ტფილისში და ჩემი ბარათიც  
 ნუნუს გაუგზავნე, იქ მოვაკითხავ. თქვენები და ჩვენებიც წალვერს  
 გაემგზავრნენ. მეც 20/VII-სთვის უთუოდ იქ ვიქნები. ხუტუ, თუ და-  
 იბეჭდოს ეს ოხერი „სიმღერა“, რამოდენიმე ცალი წამოიღე, თორემ  
 აქ ვინ იცის, ვიშოვნი, თუ არა.

იყავი კარგად, ბოდიში რომ ამდენს გაწუხებ.

ფრანგული თარგმანი ძლიერ კარგია. პრეტენზიებს ნუ მოერიდებოდნენ. ბი. თქვენების ჯავრი ნუ გაქვს. ყველანი კარგად არიან, განსაკუთრებით ტარიელი.

კოტოკო.  
4/VII—38წ.

#### IV

ხუტუ, 5/VII-ს თიანეთში წავედი და ნუნუს დავავალე გამოეგზავნა შენთვის ჩემი ბარათი და „სიმღერის“ ფრანგული თარგმანი. ტფილისში 17/VII-ს დავბრუნდი და 19/VII-ს წალკერში ჩამოვედი. შენგან აღარაფერი ისმის. ინგლისურ გზეთს მომართვა გამოეგზავნა მწერალთა კავშირში — გვაცნობეთო ვინ არის ხიმშიაშვილი. კავშირმა დიდი ყოყმანის შემდეგ უპასუხა. ეს ამბავი წინათაც მოგწერე. როგორ არის საქმე? ერთხელ კიდევ მიაკითხე. ჩვენ ყველანი კარგად ვართ. ტარიელი ისე გამოცვლილა, დავაუკაცებულა, რომ ველარ ვიცანი. მოუთმენლად მოგვლით. თუ დაბეჭდეს — რამდენიმე ცალი წამოიღე, თორემ აქ ვინ იცის, ვიშოვით თუ არა. მაშ ეგრე, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ. მოიკითხე ჩიტო. იყავი კარგად.

კოტოკო.  
21/VII—38 წ.

#### V

ჩემო მამა, ალბათ გაჯავრებული ხარ, აქამდე წერილი რომ არ მომწერე. ყოველდღე ვაპირებდი, მაგრამ რა ვიცი, მინდოდა ანტონოვსკაიას დიდი მოურავის VI ტომი და წერილი ერთად გამოეგზავნა და სულ იმის ბრალია. წიგნი როგორც იქნა ვიშოვნე, მაგრამ ფოსტაში არ მიიღეს — ბანდეროლით მარტო დაწესებულებებს შეუძლიათ ამანათის გაგზავნაო. ჩამოხვალ და მაშინ წაიღებ, ან იქნებ ვინმეს გამოვატანოთ.

ჩვენ ყველანი კარგად ვართ, დეიდა იყო ავად და უკვე მორჩა. ბევრჯერ შეგვაშინეს — ასპირანტურა იხურებო, ან სტიპენდიებს მოსპობენო, მაგრამ ტყუილი აღმოჩნდა. რალაც ცვლილებები უთუოდ მართლა იქნება, ჩვენ მაინც ყველა გვაიმედებს — ვინც ეხლა სწავლობენ ასპირანტურაში, ისევე ისე იქნებიანო. ალბათ „კომუნისტში“ წაიკითხე სულელური წერილი ახალგაზრდა მწერლებზე, ციტატებიც კი შეცდომებით იყო მოყვანილი. „მწყერის ოდენა ბუზების“ მაგივრად — „მწყემსის ოდენა ბუზები“ და სხვ. ამ ზერელე წერილს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არც ლიტერატურისათვის და არც ჩემთვის.

მამა, თუ საახალწლოდ ვერ მოახერხებ ჩამოსვლას, 14 იანვრისათვის მაინც უნდა ჩამოხვიდე, ნუნუსაც ძლიერ გაეხარდება.



ახლა, აი, რა მინდა კიდევ მოგწერო. შენ იმდენი რამ საინტერესო გადაგზღობია თავს, გინახავს თუ გაგიგონია, რომ საუცხოვო ამბები ჰყვები ხოლმე. აიღე ერთი დიდი რვეული და სადად, იმავე სიტყვებით, რომლითაც ზეპირად ჰყვები, შეულამაზებლად დასწერე ის უამრავი ნადირობის, ქეიფის, ომის, სატრფიალო და სხვა თავგადასავლები და ამბები, ბავშვობიდან და სტუდენტობიდან დღემდე. ნუ ეცდები თანდათან, ქრონოლოგიურ დალაგებას, ან თემატურ დაწყობას, რადგან ეს უნებურად ხელს შეგიშლის, — როცა ხასიათზე იქნები და საწერად დაქდები, პირდაპირ ის დასწერე, რისი მოყოლის გუნებაზეც ხარ, რაც პირველად მოგადგება ენაზე, ან თვალწინ დაგესახება, ეს იქნება წმინდა შთაგონებით დაწერილი და უკეთესი გამოვა. ცალკე ამბები მხოლოდ ნუმრებით დაჰყავი ერთმანეთისაგან, თუ გინდა. დრო, ადგილი და მოქმედ პირთა ნამდვილი სახელი და გვარიც თუ იქნება, უკეთესია. სწერე ნელ-ნელა, აუჩქარებლივ. ეს იქნება ძლიერ მდიდარი, ხალასი მასალა, რომლის კარგად გამოყენებას მე თუ არა, სხვები მაინც შეძლებენ და არ დაიკარგება. იყავი კარგად, მოგიკითხა ნუნუმ, გკოცნი.

შენი კოტიკო.

19/III—40 წ.

## VI

### ჩემო მამა!

აღბათ გიკვირს, რომ აქამდე წერილი არ მოგწერეთ, მაგრამ ძალიან არეული გვექონდა საქმეები და სანამ არ გამოირკვეოდა ყველაფერი, ტყუილად არ გვინდოდა, რომ ცუდი ამბავი მოგვეწერა. ნუნუსთვის ვაკანსია არ იყო ასპირანტურაში და ეს გვიფუჭებდა საქმეს, ორი თვით მაინც უნდა წასულიყო გურჯაანში, თორემ განსახკომი სასამართლოს გადასცემდა. გამოცდები ჩავაბარეთ და როცა დარწმუნებული ვიყავით, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა, გამოგვიცხადეს — უცხო ენებში (ნუნუ სადაც აბარებდა) მოსკოვი არ გვაძლევს ვაკანსიასო. ბევრი ვეცადეთ, პროფ. გიორგი ახვლედიანიც დაგვეხმარა და როგორც იქნა, გავაკეთეთ საქმე. ახლა ორივენი ვართ ასპირანტურაში. სწავლა დღეს გვეწყება. სტიპენდია გვექნება 400 ან 480 მანთითოეულს. ასპირანტებისათვის შემოიღეს ნ-სათიანი სამუშაო დღე, უნივერსიტეტში უნდა იჯდნენ და მუშაობდნენ, მაგრამ ეს ჩვენ — ლიტერატორებს და ისტორიკოსებს არ გვეხება.

სხვა, კარგადა ვართ, ნუნუმ ძალიან მოიკეთა, მეც არა მიშავს. დიკის ხელი მოურჩა. სტუდენტებს რომ სტიპენდიები მოუხსნეს, ეს აწუხებს მხოლოდ, მაგრამ ეცდება ფრიადოსანი იყოს და მაშინ მისცემენ.

მამა, მოგვწერე ხოლმე წერილი, დედაც სწუხს, რამდენი ხანია, შენი წერილი არ მიუღია. ტფილისშიც რამდენი ხანია არ ყოფილხარ და იქნებ მოახერხო ჩამოსვლა.

მამ, ეგრე, არ გეწყინოს, რომ აქამდე არა გწერდით. იყავთ კარგად, გკოცნი.

შენი კოტიკო.  
11/X—40 წ.

## VII

12/VII—38 ჩარგალი.

(ნუნუ ქალღიშვილთან მიწერილი წერილებიდან)

...ამ წერილს ვაქვს ეზოში ვწერ. არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა გამოგზავნას, მაგრამ შენთან საუბარი მინდა და რა ექნა, ვაქვს ხელით დარგული მსხლის ძირში ვზივარ და გავცქერი მდინარე ჩარგულულას და ტყიან მთებს. ვაქვს შვილი — ვაბტანგი რალაცას ჩხირკედელაობს: წყლის წისქვილით, უფრო სწორად — უბრალო ჭარათი, უნდა ველოსიპედის დინამო აამუშაოს და სახლი გაანათოს. გუშინ დილის 9 საათიდან ღამის 1-ამდე ვიარეთ, 40 კილომეტრამდე გავიარეთ მთიანი გზა და ისე მოვიქანცეთ, ველარ შევქელით ჩარგლამდე დარჩენილი 2 — 3 კმ. გავლა. ღამე ცის ქვეშ გვატარეთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენისთანა ლოგინი არავის ექნებოდა — ქვეშ რცხილის ტოტები დავიგეთ და ზევიდანაც დავიფინეთ, ისე რომ, სამ კაცს — ერთი ფშაველი მასწავლებელი, თიანეთის ფალავანი და მირზას ძმაკაცი — არჩილ ჯიმშერაშვილი გვახლავს თან — სამ კაცს ისე გვიფარავდა, რომ გამვლელი ვერ მოიფიტებდა თუ ვინმე იწვა. ვერ ვიტყვი, არ შემცივინა-მეთქი. ცოტა გვეძინა, მაინც კარგ გუნებაზე ავდექით. ჯერ ერთი საათიც არ არის, მზე ამოვიდა. ვაქვს ეზოში ერთი ჩხიკვი მოკვალი და მერე ვინანე — ზაქარას და ქეთევანის შთამომავალი იქნება-მეთქი...

## VIII

30/VII—38 წ. წაღვერი.

...მე გუშინ დავიწყე მუშაობა. დღესაც ვიმუშავე, მე მგონი, საქმე კარგად წავა, თუ რაიმემ, სახელდობრ, შენმა ჯავრმა არ შემიშალა. ახლა როგორ ხარ? როგორც მოიკეთებ, კიდევ მოგაგონებ, მოლიერზე იმუშავე, უკეთეს მომენტს ვერ იპოვი, ძალიან გთხოვ...

დღეს მირზასგან მივიღე წერილი და ლექსი „ვაქვს ეზოში მოკლული ჩხიკვი“. გახსოვს? მე ვიამებ — ჩარგალში ვაქვს ეზოში ჩხიკვი

მოკალი და მერე ვინანე — ზაქარას და ქეთევანის შთამომავალი იქნება-მეთქი. მერე მირზას ვთხოვე, ლექსი დაეწერა ამ ამბავზე. შემისრულა. მალე ჩამოდი და წაგაკითხებ. დახე, რითი გიპირებ ჩამოგიტყუო, ნუნ!

## მირზა გელოვანის წერილი კობე ხიფშიაშვილს

ძვ. ძმად კოტე.

მივიღე შენი, ძალიან გვიან გამოგზავნილი წერილი და პასუხს ახლავე გწერ. მე ასე შეგონა: კოტეს წერილი რომ არ მოდის, ალბათ, სადმე გააქანეს-მეთქი. კარგია, არაფერი შეგხებია. მე, ვარ ჩვეულებრივ. მალე გამოცდას ჩავაბარებ და მერე წავალ საითაც იქნება- მაგრამ ეს სულერთია: „ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა!“..

ვიდრე რამეს მოგწერდე, მინდა მადლობა გითხრა ჩემი დღეგრძელობისათვის. ასე უთხარი ნუნუსაც და დაგვიანებით მაინც გადაეცო ჩემი გულწრფელი მილოცვა.

ძმად კოტე, მე, ლადოს ჩამოსვლა შენამდის გავიგე და წერილი კი ვერ მოგწერე, რადგან არ ვიცოდი, ვის სახელზე გამომეგზავნა. ნიკას გამოუგზავნიდი, მაგრამ, რა ვიცი!..რამდენი წერილი მივწერე, რამდენი სხვას დავავალე გადაეცათ — ერთი წერილი მაინც მოეწერა და ჯერაც არაფერი. კაჭახიძე მწერდა — ჟურნალები გამომიგზავნეო! — შენ მწერ — მოწმობებიო!.. და მე კი, ძმობას გეფიცები, თვალი არაფრისთვის დამიკრავს, არ ვიცი, რაშია საქმე?!

მოკლედ: არ მინდა ეჭვი შემეპაროს თქვენს წერილებში. სხვანაირად კი არა ხერხდება.

ჰო, ლადოზე გწერდი... ცუდადა ყოფილა! პირდაპირ არაფერი ეთქმის და უნდა კი მიახვედროთ ამხანაგებმა, რომ საქიროა თავს გაუფრთხილდეს, სხვების ჭინაზე მაინც უნდა ქნას ასე, თორემ ვანა ორჯერ მოვალთ!..

მეც ვარ ძველებურად ფიქრს, როგორც გწერდი, დავეთხოვე. აი, ახლაც, რამდენი რამე მინდა მოგწერო და ვერ მომიხერხებია. ასეთ დროს შენ მწერ, რომ მე თურმე შევცდი, როცა ლექსში „კანჯარი“ ჩავწერე. ეს არც სულ უგუნურად მომსვლია და თუმცა არ ვიცოდი, რომ გურულები კანჯარს ვირს უძახიან. მაინც ვიცოდი, რომ კანჯარი გარეული ვირია და ნიშნავს სხვასაც. თუ კარგად მახსოვს, საბა ასე განმარტავს: კანჯარი ველური ვირიაო და მიუთითებს ფსალმუნზე. მგონი რუსთაველსაც უნდა ჰქონდეს ეს სიტყვა ნახმარი, მაგრამ არ მახსოვს, როგორი მნიშვნელობით აღმოსავლური ფოლკლორი კი, კანჯარს ძალიან ლამაზსა და მარდ ნადირს უძახის, რომელიც ზოგან გვხვდება კატის ოჯახის ნადირად, ზოგან კი როგორც შველის მავარი

კლდეში მცხოვრები (ან ველის) ლამაზი ცხოველი. მეც, როცა ამ ხელსა ვხმარობდი, აღმოსავლეთს ვენდობოდი.

„ულუმო თელუმიშვილო,  
ვეფხვი ხარ, ველის კანჭარი.  
შენ მოკვალ ერისთვის შვილი,  
ზურაბს შენ დაეც ხანჭარი!“

თუმცა შეიძლება აღმოსავლეთში სცდებიან, რადგან აღმოსავლეთში სიტყვის სილამაზეს უფრო უყურებენ, ვიდრე მის ნამდვილ მნიშვნელობას. მაინც არა მგონია, ხალხს ისეთი შეცდომა დაეშვა, რომ ზურაბ ერისთავის მომკვლელ ულუმოსათვის ვირი ეწოდებინა-

თუმცა სულერთია, რას ჩავწერ ლექსში. რადგან ლექსს მიეცა შემთხვევითი ხასიათი, ამიტომაც იგი არ შეიძლება იყოს სრულყოფილი.

დასასრულს მინდა მოგწერო, რომ სულერთია, როგორ იცრუებენ და იციგნებენ, სულერთია, მიგიღებენ თუ არა კავშირის წევრად, რადგან შენ, უკვე კარგა-ხანია მავათ საზოგადოებას აცილებული ხარ შესამჩნევად და თუ ვინმემ იცის, როგორ ხდება ცხოვრებაში ყოველთვის, იგი უნდა მოელოდეს, რომ შენ უსათუოდ ასე მოგექცევიან.

მშვიდობით იყავი. ამ წერილს „ტეხზანიტიაზე“ ვწერ თან ვისმენ და თან ვწერ, ამიტომ არეული იქნება, მაგრამ შენ მაპატიებ ამას.

მშვიდობით იყავი. სალამი ნუნუს და თქვენებს საერთოდ.

გიგზავნი ორ დაუსრულებელ ლექსს.

შენი მ ი რ ზ ა.

3. 11. 40 წელი.

ქ. ხარკოვი.

### ვაჟას მზოზი მოკლული ჩხიკვი

ჩიტმა მასწავლა მინდიას სიბრძნე,

გზას გასწავლიო, — ქარი მპირდება.

იღებ მიწას, უბეში იბნევე,

შეხედავ ცას და გაგიკვირდება.

დამკიდეთ ნამის ასი საყურე,

გამივსეთ მკერდი ბროლის მძივითა,

ცა ჩამოიღეთ, მსრებზე დამხურეთ.

ან კლდეს მაჯახეთ არაგვივითა,

რომ სიმღერების თანაზიარად

ჩქედდეს არაგვი არაგვიანი,

ამ ზეცის თაღზე უფრო კრიალა,

ამ მთის ძუძუზე ბარაქიანი.

რომ ლექსმაც იგრძნოს სული ფშაურთი

და საუკუნედ დაფასდეს ჩათა.  
რომ მეპატიოს დანაშაული,  
ჩემგან შეცდომით მოკლულო ჩათარ.  
მე შენი მოკვლა როდი მდომია,  
სხვა ვილაც გახდა ამის მიზეზი,  
გრძნობაც გქონია, გულის გდგომია  
და სული მართლაც უფაქიზესი.  
გამისათუთდნენ თითები მკაცრი  
მოლურჯო სისხლიც ქარმა შელოკა.  
კაცი ჰყოფილხარ, ჩიტგულა კაცი,  
შემინდოს ვაჟამ კაცის მკვლელობა.

## მ ზ ა ვ რ ო ბ ა შ ი

ექვსჯერ ჩამოჰკრა მწვანე საათმა  
და მყუდროებას გული წაართო.  
გზა ვერ დალიოს ვერც მასლაათმა,  
ვერც გზამ დალიოს სამასლაათო.  
ეხ, არეული ჩვენი ვაგონი,  
მონა გზისა და ლინდაგისა.  
მე არ მელირსა, ერთი ამბორი  
მაინც მეგვმა, შენი ბაგისა.  
ასჯერაც დასჭრა — გული არ ჯავრობს,  
შეხვედრის შხამს და გაყრის ზმორებას,  
ჩემო ირემო, ჩემო კანჯარო,  
ჩემო პირველო ჩამოშორებავ!  
გაეცილდით სადგურს, ქალაქს გაეცილდით,  
ხესაც გაეცილდით მარტოდენ შეთენის.  
მე ავადა ვარ. გზაში გაეცივდი,  
თუ სიყვარული მაწამებს შენი.  
აქ მისვამს წყარო, მთების სურიდან  
სიკვდილის მერმეც აქვე ვიქნები.  
აქ გააცოცხლდება ჩემი სული და  
დაუწერელი ჩემი წიგნები.  
და ბედთან ჩემი გასწორებისას  
უცებ იელვებს ხმა ვედრებისა.  
როგორც წუხილი განშორებისა  
და სინანული შეხვედრებისა.

ნაკვალაობა

## ლექსები, პროზა, კრიტიკული წერილი

1967 წლის 28 ივლისს „ლიტერატურულ საქართველოში“ (რედაქტორი რევაზ თვარაძე) პირველად გამოქვეყნდა ნიკო სამადაშვილის (1905 — 1963) ლექსები. ამ ლექსებს, — სულ დაბეჭდილი იყო ხუთი ლექსი, დაახლოებით 200 სტრიქონი, — ახლდა ნიკო სამადაშვილის გარდაცვალების წლისთავზე დაწერილი ჩემი სტატიიდან ამოკრებილი მცირე ვანმარტება: „...ნიკო სამადაშვილის თავისთავადი და ღრმად ეროვნული მსოფლგანცდა სათავეს იღებს ვაჟა-ფშაველას ლირიკული ხილვებისა“ და ხალხურ-მითოსური აზროვნების წიაღიდან, რომელშიც ორგანულად არის ჩაწურული წარმართული კოსმიზმის წარმოდგენები და ქრისტიანული დღესასწაულების პათეტიკური სილამაზე... მისი სიტყვა ხეივლიანი და ფერადოვანია, მაგრამ მოკლებულია კლასიკურ დაკრისტიანებასა და რაფინირებას, რაც იმპულსურ ძალმოსილებად განიცდება მკითხველის მიერ. ნიკოს ლექსები შემაგონებს ვაჟა-ფშაველას თიხისაგან გამომწვარ ასიმეტრიულ დოქებს, რომელთაც თემცა კი ამჩნევიათ კოქრები და ზოგჯერ მომეტრეული აქვთ ტუჩი, ან ყური, მაგრამ რომლებშიც პოეზიის შეურყვნელი, მაგარი ლენინოა ჩასხმული“...

ნიკო სამადაშვილის ამ ხუთმა ლექსმა უჩვეულო ინტერესი აღძრა ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებაში, რაც იმით დაგვირგვინდა, რომ პოეტის გარდაცვალების მეათე წლისთავზე, 1973 წ., გამომცემლობა „მერანია“, მაშინ იქ მომუშავე შოთა ნიშნიანიძის ბელშეწყობით და იზა ორჯონიძის რედაქტორობით გამოქცა ნიკო სამადაშვილის 27 ლექსისაგან შემდგარი კრებული, სახელწოდებით „ბეთანია“. კრებულს ერთვოდა ჩემი და არჩილ სულაქაურის ორგვერდიანი წინასიტყვა.

ამ წიგნს დიდი მოწონება ზედა წოლად. მას ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ გაზეთების ფურცლებზე ჩვენი ლიტერატურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები...

„მე არც ვეცდები დაეასაბუთო ნიკო სამადაშვილის ამა თუ იმ ლექსის ღირსება, მით უმეტეს — ვერ ავხსნი ცალკეული სტრიქონების მკითხველზე შემოქმედების განსაცვიფრებელ ძალას, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ძალა, მაგური და მხოლოდ ჭეშმარიტი პოეზიისათვის დამახასიათებელია, ნიკო სამადაშვილის თითქმის ყველა ლექსში ცოცხლად იგრძნობა“ (დავით ჯავახიშვილი).

„ნიკო სამადაშვილის უჩვეულოდ ხატოვანი აზროვნება მკითხველს აფიქსიონებს პოეტური სიმართლითა და განუმოკლებელი სიახლის განცდით... მისი მეტაფორული აღქმა ყოველთვის ზუსტია და ამავე დროს, მოულოდნელი, ენა — პოეტური, ლექსიცა — მაღლიანი და ჭეშმარიტად ხალხური... განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნიკო სამადაშვილის მიერ აღქმული ქართლის პეიზაჟები, სადაც სინამდვილეს ხშირად მითოსის იერი ეძლევა... მისი შემოქმედება თვალნათლივი მაგალითია იმისა, რომ ჭეშმარიტი პოეზია არასოდეს დაიკარგება და ადრე თუ გვიან აუცილებლად მკოვეებს აღიარებასა და ხალხის სიყვარულს“ (ვახუშტი კოტეტიშვილი).

„ნიკო სამადაშვილის პოეზიის უმთავრესი თვისება სიცოცხლის მძაფრი სიყვარულია. თვით მძიმე განწყობილებათა გამოშხატველი სტრიქონებიც კი, ფაქტობრივად, ამ სიყვარულიდან იღებენ დასაბამს... ავტორი მუდმივ ძიებასა და ბრძოლაშია, მკაცრი მზერით მიმოიხილავს ქვეყნიერებასაც და საკუთარ თავსაც. ეს ძიება, ეს ჭიდილი საკუთარ თავთან ზოგჯერ ტრაგიზმამდე მიდის, მაგრამ ეს არის ტრაგიზმი მშობელი ხალხის თავგადადებულად მოყვარული აღამიანისა, სამშობლოს მოჭირნახულე კაცისა“ (რევაზ თვარაძე)...

„ნიკო სამადაშვილი განსაკუთრებული მოვლენა ქართულ პოეზიაში... იგი საკუთარი გულის მხილავია და ამავე დროს, მამხილებელიც. დაუნდობლობა საკუთარი თავისადმი ზღვარდაუდებელია. სამადაშვილის ყოველი ლექსი მისი სულიერი ამოკალიფსია, — საკუთარ თავთან ჭიდილისა და მის მიერვე უარყოფილი ქვეყნიერებმს წინაშე პირისპირ დგომის დოკუმენტი... მრავალფეროვანი ქართული პოეზიის ხომალს ნიკო სამადაშვილის ხმაც უეროდება, — ტრაგიკული, მაგრამ მუდამ სინათლისაკენ გამყვიარი ძახილი“ (ზურაბ კიკნაძე)...

ასეთი იყო ერთსულოვანი აზრი, რომელიც ცხადყოფდა ქართულ პოეზიაში ახალი, დიდი ნიჭით ცხებული პოეტის დამკვიდრებას.

ამჟერად, ლიტერატურული მუზეუმის ფონდდან პირველად ქვეყნდება ნიკო სამადაშვილის 21 ლექსი, პროზა და ერთი კრიტიკული წერილი. მკითხველნი უთუოდ გულისყურით და ანტირეტოთ მიიღებენ ნიკო სამადაშვილის აქ წარმოდგენილ ნაწერებს.

თამაზ ჩხენკელი

## ლექსები

### მარადისობა და მისაფლავი

ჭრელი მტრედები კუბოს ასწვენენ,  
ზარებს დარეკავს მიწების რიგი,

დაუშენს წვიმა და ელვის ეტლი  
ცის კრამიტებზე ასტეხავს ხრიგინს.

მოყარდნილ გრივალს ფერწასულს, დაღლილს,  
ჩემ სიყვდილს კიდევ დაუმალავენ,  
შორს კი ვარსკვლავზე ბარით ჩაივლის  
მარადისობის ყრუ მესაფლავე.

იქ ჭოტი ძაბილს წყალში გაურევეს,  
შეერთება სადღაც მკვდარი ბუნება,  
უკან კი მძლავრად დაიხმაურებს  
ათასი ლამის უღაბურება.

როდესაც ყველა იქნება გრილი,  
როცა ლოდებიც ვერ დამფარავენ,  
წაეა და ცისკენ დაიწყებს ტირილს  
მარადისობის ყრუ მესაფლავე.

\*\*\*

მთების გაღასწვრივ ყვირიან გზები,  
ალბათ შენს ცხედარს მოასვენებენ,  
ჭირისუფლებად მოსდევენ მგლები,  
მკვდრებს შენს დაღუპვას მოახსენებენ.

და იმეფელებენ შუალამემდე,  
პანაშვილები ვიღას რად უნდა.  
ძველებს უკეთებდა ქვაბის ზედადგარს,  
შიგ შენი სისხლის ზედაშე დუღდა.

იტყვიან, მოგეწყდა, რა ექნათ, ჭანდაბას,  
მახლობლებს მაინც არ განდობოდა...  
ეზოში იდგა მურა ქაღარი,  
კუთხეში ხატთან დუმდა ობობა.

## ბ ი ნ დ ი

სამყაროს ბოლოს მზე მოსჩანდა როგორც წერტილი  
და მე შეგონა, ეს ქვეყანა იქ თავდებოდა,  
რად სჩანდა ზეცა ღრუბლიანში გადაწეწილი,  
ან შეშლილ პოეტს ღვთისმშობელი რას დაჰყვებოდა.

ვინც ლაქვარდებში მუხლის ჩოქით გადაიპარა,  
ფრთხილად წამოდგა და გასწია, ვინ იცის, საით...  
ცის ბანს ბინდები ქერებივით რაზე ეყარა,  
ან დედამიწა რად ჩარბოდა მთებში მზესავით...



დასაბამიდან გზებს მოსდევდა გულდაწყვეტილი  
კაცი, რომელიც სინათლეშიც არ ინთებოდა,  
საწუთროს წვერზე მზე მოსჩანდა როგორც წერტილი  
და მე შეგონა, ეს ქვეყანა იქ თავდებოდა.

## უ ს ი ნ ა თ ლ ო ბ ა

საღღაც ცარიელ წუთისოფელში  
ქარი ძალღვივით შეიყმუილებს.  
მე კი ტყის ფოთლებს, როგორც ფრინველი,  
ვინ იცის, საით გაეიტყუილებ.

მღვლო შეამკობს ჩემს ნიშს იეზით,  
თუ ყვავილებმაც გულით ინებეს.  
ვიღაც ჩაივლის მოშვებულ მხრებით,  
მოვა, მიპოვნის და დაისვენებს.

## ს ა მ ა ნ ი

სულს როცა ლევდა, უკანასკნელად  
ბოროტ თვალეზით გაჩხედა ველებს.  
გაღმით უკულმა ეგდო ქვესკნელი  
და შიგ სისინი გაჰქონდა გველებს.

დაუმარხავი გვამივით ყარდა,  
ქარი სუნავდა|ხანგამოშვებით.  
წარმავალობის ტილ ყორესთან  
ისმოდა ცეკვა შეწლილ ქოშებით.

## ხ ვ ა ლ

დამათენდება ნამთვრალეუ პოეტს,  
ჩიტები მოვლენ ჩემს ფანჯარასთან,  
მეტყვიან: შენთვის ბინა ვიპოვეთ,  
წამო, კეთილო, ვინ გაგაჩაერა...

მე კი ხვალ ღამით ჩაეუხვევ სარდაფს,  
მთვრალს ბედთან რაღას დამალვიძლებენ.  
ჩამეცინება და ჯოჯოში საღღაც  
კვლავ ბედურები გამალვიძებენ.

\*\*\*

ის ლაშეებმა დიდხანს ირწიეს,  
ეროდებოდა ხრამსა და ფლატეს,  
რა ჰქნას, რიყრაყებს ვერ დაეწია,  
განთიადებმაც რომ უღალატეს.

ვერ აიტანე უკმეხი ზედო —  
მინაწკრებს საღდაც სუსხავდა თრთოლვა.  
ეხლაც არ მახსოვს, როგორ წავედი,  
ან გულმა როგორ გამომიგლოვა.

შენ რომ გამშორდი, თხელ ნაფხურებს  
დიღხანს უმზერდნენ ხიდან ჩიტები.  
და კვლავ ბარდნიდნენ ჩემ მწუხარებას.  
თოვლი და მკრთალი პანაშვილები.

## შ ე ხ ვ ე დ რ ა

თამაზ ჩხენკელს

მეც დაშელოდე გაზაფხულამდე,  
სანამ შესცურავს ტბებში ნიაფი.  
ირემი წყალში შევა მუხლამდე —  
ლამაზი, სახეგაუქირდაფი.

სანამ ხასხასა ჭავლთა თაიგულს  
გედის სველ ფრთებში ჩაეძინება,  
მოვალ და მეტყვი, წმინდა თაგორი  
ინდოეთიდან მოედინება.

და ამ ზვირთებში სულ კარგად მოჩანს  
რაბინდრანატის ზარების გლოვა.  
ბუღას ლოცვებით ვინც გადარჩება,  
მისტერიებით ის დაითრობა.

მოქუხს პოეტის დიდი მდინარე,  
გვრიტების სტეენა მოსწყდება ჭალას,  
მე წაგიკითხავ ვარდებს, ბენარესს,  
შენ კი მიმღერებ შენს გიტანჯალას.

## შენი სოფელი

გახსოვს ბაღები, სიმღერა, ყრუოლა,  
ყვავილნარევი ძეძვის ორლობე,  
ერთხელ რომ ლექსი გითხრა ტოროლამ  
და შენ ბავშვით რომ მოიღრუბლე?

ტოლებთან ერთად მარწყვზე შეხვედრა,  
ციციცი წყარო, ჭალა, მინდორი,  
ბინდში ნახირის მუნჯი ვედრება,  
მდინარის გაღმა ვეება ქორი.

შეკვავებული მთებზედ ცხერის ფარა,  
ჩვენი ზედა რუ. და ეზო თქვენი,  
კაკლის რტოებში გაჭრილი შარა  
და ღუესელი მესაფლავენი.

იმ ეკლესიას თხელ ქონგურებით  
ვიგონებ, თითქოს გული ველდება...  
ნეტავ თუ კიდევ ხატი, ურმები  
ოდესმე სადმე გამახსენდება.

### მზლა კი...

მოიცა, მოვა, ბალის ხმა მისწყდეს,  
მოვა, ოდესღაც ვისაც უყვარდი,  
ეგ შენი ცოდო ედოთ იმ მიწებს,  
ვინც ჩაგიწმინდა ბუერა-დარდი

ვინც თვალის ჩინი ამოგიძოვა,  
შეგასხა კედელს, როგორც ზედაშე.  
კამარა ელავს, ეტყობა მოვა,  
მაგრამ რა ვუყოთ მოხუც დედაშენს?..

### პასუხი

გავაღებ ფანჯრებს, გავხედავ ქალაქს,  
ქუჩებში სიცხის ბული იღვება.  
შემოვბრუნდები, ფანჯრებს აქვოლავ  
და გული მწარედ ამიდულდება.

შენ კი იდექი მანდ გლახასავით,  
უცქირე ხალხის ბედნიერებას.  
და უკაუქნე კოდალასავით  
ერცელ და ფუტურო ქვეყნიერებას.

### ვინ იყო

სად, ვინ ჩაგიხსნის აფიცრულ სარკმელს,  
სად, ვინ იპოვის უძველო ცხედარს,  
ვისაც სიცოცხლე სიკვდილისაგან  
მიჰქონდა, როგორც უგრძობელ მხედარს.

და სულ არაფერს არ დაგიდევდა,  
არც რიყრაქს, არც ბინდს, არც შუალამეს,  
ვინც არ იცოდა ვინ იყო დედა,  
იქნებ ანდერძად ეტყოდა რამეს.

## ტარიზის ბაჯახუნება

ჩემს საკუთარ ჩრდილს წამოვიტაცე ზამთრის ღამეში,  
გამოვალ გარეთ, მყინვარები ლოცვებს მომთხოვენ.  
ქარი ამიხსნის: რო ყვირიან იქ, სამარეში,  
გიჟი ღმერთები დასევიან საწყალ ბეთხოვენს.

გაუხვევ საღლაც, ამერევა გზა და გონება,  
გული გადმოღვრის თვალებიდან სისხლის სქელ ლაგებს.  
არსად არასდროს მე არაღინ არ მეყოლება  
და ჩემს მკედარ სხეულს ჩემი ხელით დაეასაფლაეებ.

\*\*\*

ნისლები სდუმდნენ და ზევით  
აპრილი ჩეკავდა მათს.  
მხატვარი ხატავდა ზეთით,  
ვღლაც მგზავრსა და დმანისს.

ნისლები ჰყვარობდნენ მზექალს.  
წყაროსკენ მისდევდნენ რხევით,  
ეს სწყინდა ხანშესულ სარქალს,  
იღუშებოდა ხევი.

## მოუსკენრობა

ზინდების წვეა ანეკსებით შუადღის ტბიდან,  
მტკვარზე ყანჩების ყრუ ყურყურტი გარიყულ ტივთან,  
მკათათვის სტვენა საღამოხანს დაბურულ ტყიდან,  
კიდან ფრინველთა ბუდეებში კვლავ გადმოტეირთვა.

ღამის ნათაზი, მთვარის შუქზე ძალღების ყეფა,  
ჩაშლილი ძნები, მიგდებული კეერი, არნადი,  
ალიონზე კი მერცხლის ფრთებით აისის კრეფა,  
და წიგნის ყლაზე... იცი ბიჭო, როგორ მიყვარდი?!

\*\*\*

ხე ეკლესიის მათხოვარს ჰგავდა,  
თითქოს გულს ქრისტემ ხელი დარია,  
შენი ფიქრების ჩრდილთა ტორტმანი  
მტრედის სიზმრებში მომიპარია.

რომ ფოთლებიდან მეცქირა დიდხამს,  
როგორ მალავდა ცრემლს მეგობარი,  
და დამელია ბნელ ლუღხანაში,  
ჩემი ცხოვრების შესანდობარი.

\*\*\*

დაგასაფლავებს დიდ მუნათით და მიგატოვებს,  
ვაზის ცრემლივით მარტოდ დარჩა შუუხარე დედა,  
კიპარისები მისტიროდნენ დაკარგულ პოეტს,  
დაუცხრომელი სამრეკლო კი, რეკდა და რეკდა.

შავი ღრუბლების ზედახორა სიერცეებს ფლობდა,  
უსამართლობას ქარბუქების ღმუილი დრეკდა,  
რალაც სიჩუშე დაპყურებდა ცივ სასაფლაოს,  
გაოგნებული სამრეკლო კი, რეკდა და რეკდა...

\*\*\*

საღლაც ბინდებთან შეაჩერებს იმას ნამჭერი,  
ვინც სამყაროდან სიმღერებით ჩამორბინა,  
ტაძრის ფსკერები ქამთა სვლაში დაქვრივდებიან,  
არმაზის კერპი კვლავ აღიდგენს დანგრეულ ბინას;

ამოგიძოვენ მდორე თვალებს მცხეთის ქარები,  
დაგაბრძავებენ, ვინ გიკითხავს ნეტავი ვინა?  
სვეტიცხოველთან გაიხანება მეფის კარები,  
და ატირდება, ვინც სოფელი ამოირბინა.

\*\*\*

გათენდა ისევ, გამომღვიძა;  
ნუთუ ეს არის სულის ცხონება?  
თავზე მადგია, ვით შავი ძიძა  
წყალწაღებული ჩემი ცხოვრება.

## შემოდგომა და ფილტვების სიყვითლე

წვიმებში იდგა წუთისოფელი,  
მღეროდა ბალი უმანკო, სუფთა.  
ფილტვებს მირხევედა ტყის ფოთლებივით,  
შენი სხეულის მოღლილი სუნთქვა.  
მიწას სინათლე ხავსივით ეკრა.  
ტიროდნენ: კუბო, თალხი ქაღები.  
ჩვენ გვეშინოდა ღია კარებთან,  
აქ წუთისოფლის, იქ გრიგალების.  
მე დაკარგული მქონდა გონება,  
როცა ქარებმა გაღმით იყვილეს.  
შენ მიცქეროდი და თან გოდებდი  
ჩემი ფილტვების ჩამჭრალ სიყვითლეს.

კარგ სიყმაწვილეს ტატნობი ნთქავდა,  
მსურდა მომეცლა თავი უდანოდ,  
ბინდების უკან წყალივით სჩანდა  
მარადისობის ჩემი უღაბნო...  
გზებს მიჰყვებოდი სულგამწარებით,  
სიცოცხლე გძულდა, სიკვდილი გერქვა,  
მე კი მოვებოდი დედამიწისკენ,  
რომ შემეწყვიტა ზარების რეკა.

პ რ ო ზ ა

## მთვლემარი ცისპარი

ის ჭანლებმა გამოსცეს...

ნისლების ფერად შეღებეს აღმჩაფი.

იქნებოდა 1916 წლის დამდეგი, იმ ხანად ჩემი მეგობარი მწერდა:

„ვინ იცის, რამდენნაირ მოდგმის ადამიანს უწერია თავისი ცხოვრება: ზოგს ალალი განცდები ძნებად შეუქრავს და წრფელი სტრიქონების ვარაყიანი ზვინები აღუმართნია. ზოგიერთს მთელი თავის სიცოცხლე შთამაგონებელი ფიქრების ელვარებით, საღმთოსავით აუტანია პოეზიის მწვერვლებზე. ზოგიერთთაგანის ცეცხლმოკიდებულ გულიდან დაგუბებულ წარსულს ნიაღვარივით გადმოუხეთქია, გაურღვევია მოთმინების ჭებირი და ზურგშექცეულ კაცობრიობას ყვირილით გაჰკიდებია. ვილაც მატაოცს კი ნაძალადევი ამბები თითებიდან გამოუწურია და ისე აუბნევია საკუთარი მისამართის გზა-კვალი, რომ კაცს გახირულ ბარდებში თავბრუ დასხმია.

რამდენი ოქროპირი შეუჩვენებიათ, შეურისხავთ, რამდენი კეთილი ადამიანი ტანჯულა ცილისწამებით და მძულვარებით, რამდენი ბუტუსურა რეგვენი გამოტყლარქულა განდიდების ტახტრევანზე!... არა გჯერა? აბა გახედე: ვადარეკილ საუკუნეების შარა-გზაზე ჩარიგებულ მატრიანეთა ფურცლების კავკავს...

მამა-პაპათა ობმოკიდებულ თაროებზე, ეხლაც ხომ ჩაყვითლებულ ხელნაწერების ზედახორაა, შემოქმედების აღმურით დაფერფლილ განსვენებულთა მივიწყებაში უჭირისუფლო სასაფლაოებს რო შეჭიბრებია.

რა ვუყოთ, თუ აუარებელ გულშემატკივრებს ამმორებულ წიგნთსაცაეების ძველი პატივი მზის გულზე გაუქექიათ, შეხებიათ ფეხებ-გაფშევილ აჩრდილებს, ან ხელი წაუტანებიათ იმ გადამტყნარებულ ლანდებისათვის, ჟამთა სიავესთან ბლლამუნით რომ დაღლილან და აბლაბუდას მტვერში ამოგანგლულები, გაჰვარტლულ კუთხეებში ნამტირალევე ქანდაკებებივით ატუზულან.

წუთისოფელი სფინქსების მღუმარებას წააგავს. ო, რაოდენი



ეპოქების ღრიანცელი მისწყდა ამ დასაქცევ სფინქსების ზღურბლთან და ათიათასი წლების თავქვეებზე დაგვიტოვა: გაციებული ბრჭყვიალა-კარავები, მშვილდ-ისრებით დაკორტნილი კედლები, მომაკვდავთა-დრტვინვა, ურდოთა შუბებზე წამოგებული ბალებების გნაისი, უბელო ცხენების ჭიხვინი და სისხლის მორევში დაცემული ტრიალი მინდვრე-ბი. ეპ, უთვალავო დროების სრბოლავ, რა აურაცხელ მატლებს და ქიალუებს ანადგურებ, მაგრამ, ნეტავი თუ იცი შენი ბასრი ნისკარტით რა უწყალოდ კორტნი სამყაროს მერქანს?!

ვინ იცის, რამდენ მადლიერ ადამიანს მორევია ლოცვების ჯანლი და თავის გაციკროვნებულ სენაკში მუხლებზე დაცემულა. მორიდებია ტაშის გრიალს, აკვიტებული ჭალხის თვალთვალს, ნეტარების ზად-დაკრულ ალერსს და საკუთარი ძვლების ქალებზე შექვავებია: თავისი თრთოლვა და სინანული. შემაძრწუნებელ სიცალიერეს კი მზვარასავით უბღავლია ქვეყნიერების სანახიროზე.

აბა, შეხედე, დაღვრემილი ისტორიის ამოვარდნილი როკიდან, როგორ ელავს პილატეს გესლიანი ღიმილი და რა უშნოდ ჩაუჭაჯია ვერაგ გოლგოთას ქრისტეს დაფხრეწილი პერანგი.

ხედავ, რა დაემართა ჩვენს მდინარებას! თითქოს რაღაც აყლაყუდა, ჯაგარაქოჩრილი წყვილიადი გადაეფარა, მაგრამ, გულს ნუ გაიტებს! დიადი შთამომავლობის ფეხის ხმა და გუგუნი ისმის!.. ის მზეების ფარას მაგონებს, სხივების წარღვნა უკუნეთს ხმაურით მოარღვევს!..“

ეს იყო მეგობრის უქანასკნელი წერილთაგანი, რომლის ცხოვრებას თუ არა, მასთან შეხვედრებს, ან მისგან გაგონილს, მაინც მოგიყვებით. იქნება ზიზლთან ერთად სიხარულიც მოგვცაროთ იმ ადამიანმა, რომელიც თავის უმადურ სიცოცხლეს თერხევით დაღმუოდა, ვით დაუშრეტელ სივალაღეს.

ჩემს მეგობარს ბავშვობიდან ვიცნობდი. მუდამ გალაღებულს, მოუსვენარს, დაუდგრომელს, თითქოს წერას აეტაცნა. იმის თვალე-ბში კეთილშობილი გულის ჭავლი ლივლივებდა. თავგადაკვდარი იყო ცელქობაზე, ოღონდ ეზოს ჭიშკარს მიფარებოდა, აღარ დაგიდევდა მოსვენებას, ძილს, სანამ როკაპი გამზრდელი კინწისკერით არ დაითრე-ვდა შინისკენ ხოლმე.

სოფელი, სადაც ის იზრდებოდა, არც ისე წარმტაცი იყო ფერადი წალკოტებით, ათქვირებული ხოდაბუნებით, მით უმეტეს, ქართველი კაცის თვალში, რადგან ჩვენში კენჭი რომ გაისროლო, ვარდის ფურცელს გაკენწლავს, ან ვერხვის ფოთოლს შეარხევს. სამაგიეროდ, იმ სოფლის მიდამოებმა იცოდნენ სახნავ და ახო გაჭრილ მთებ შორის ფერადი და გრძნული საღამოები. ბარში და ფერდობებზე გადაჭიმული თვალუწვდენელი ზვრები, ნამყენი ხეხილით დაბურული ბალები, შიგ დაქსელილი ნაკადულები ჩუხჩუხით მიყაყანებდნენ, აქლემის კუზივით



აწეული ზოგირები, ასწლოვან კაკლის ხეების ტოტებქვეშ შეჭრილ ვიწრო საურმე გზები, ასკილის, ანწლის და მაცვლის ბუჩქებით სვედამოყრილი ორღობეები, ქედგანიერი უღელტეხილებით დასერილი სივრცეები, ნატიფ სიმშვიდეს ჰვერიდა ადამიანს.

სოფლის შუაგულში ქართული აგურით ნაგები ძველი საყდარი, თავისი ხმაჩახლეჩილი სამრეკლოთი, გაბუტული მონაზონივით ატუხულიყო. ირგლივ ქვატალახა ერდომოდრეცილი სახლები, ცარტის ბანებით და ალაგ-ალაგ ხავსმოდებული ყავრით გადახურულნი, ღამის მთევლებივით წაყრილიყვნენ.

მჩქეტარე მდინარის გასწვრივ განუწყვეტლივ მოისმოდა ხნიერი ჭანდრების ბოხი შრიალი.

წეროები დასაველეთისკენ მიფრინავდნენ და ყვილით ინთქმებოდნენ ლურჯად მოკირწყლულ ცის კამარებში. ჩემი სიყრმის მახლობელი ხშირად მღეროდა ხოლმე:

მამაჩემს დავჩი ბიჭი ობოლი,  
მზრდიდა ვერხვების რწევა და ტაში,  
როგორ მიყვარდა ჩემი სამშობლო  
და წეზოების ძახილი ცაში.

რაც დრო გადიოდა და დღეები ჰაერში გაფანტულ კვამლივით იღოდნენ, რალაც ცოდვის კიხხვა ეუფლებოდა ჩემს მეგობარს: აგრე რიგად ველარ ნახავდი ალტკინებულს, ტანს იყრიდა და ტანთან ერთად უჩვეულო მჭმუნვარებასაც, ჩანჩქერივით, რაც ვაკეზე მოიწევდა, იმდენად უფრო ტბორდებოდა, მორევივით ერთ ადგილზე ბრუნავდა. იქნება უთავბოლო ცხოვრების ბრალი იყო? ან იქნებ, რალაც ბედუკულმართობა გადაეღობა და კნუტებდაყრილ კატასავით თვალეში ეცა? აბა რა ვიცი... ძნელია მიწას, ადამიანად გადაქცეულს, ყველაფერს მიუხედე. ეს კი ცხადლივ მოსჩანდა, რომ ჩემს მეგობარს სიცოცხლე ღვინოსავით ერეოდა და პოეზიისაგან თვალნაცემი, შერისხულივით დაწორილებდა შეშლილობის და ზმანების გაუვალ ჭირხლში.

ის თავის მწუხარებას ყველგან მალავდა. ზრახვებს იოლად როდი მიმხელდა. ნაძალადევი ღიმილში ხშირად ვამჩნევდი გულისსაწიწკან მაცდურებას. განკერძოებულ ცხოვრებას მიჰყო ხელი, თითქოს თავის ნაფეხურებასაც ემალეობდა.

ის, ზოგიერთებივით დაღვრემილი თვალეებით როდი მატაოცობდა, თავის ცრემლებს მთვარის სინათლეზე მარგლიდა. თითქოს თმებგაბარჯლულმა მეკობრეებმა ნავტიკებით გაიტაცეს ამოების გავერანებულ ნაპირებისკენ. თითქოს იმის სხეული თებერვლის ქარბუქს გამოეფულრა და გაყინულ გულ-მკერდზე დარდის ლოლუები წვეთავდნენ.

ის, თითქოს ღამეების გადაღმა გაათრებულ გრიგალებს ეხვეწებოდა, რომ კუბოს აწევავხე მაინც მიშველებოდნენ.



და, აი საცაა... ფრიალო კლდის ქარაფზე უნდა გადამტერეულავო...  
შეგრამ ხელი სტაცეს და გადაარჩინეს.

ყოველ სიცოცხლეს თავისი საკუთარი საბუღარი გააჩნია, თუმცა ყველა მოქმედებას აშკარად როდი სდგამს.

მომიტვევთ, ეს ნაკუწებიც საკმარისია. ხანდისხან მესერის დარანი-ღან, თუ ჭუჭრუტანებიდან ცუდად როდი მოსჩანს კარმიდამო. ადამიანის ცხოვრების დაწვრილებით მოყოლა რის მაქნისია. ეხლა კი შეხვედრები.

## ბ ა ნ ლ ო ბ ა

გახსოვს, როგორ დავიწუწუნეთ, მთვარე ზღვაში რო ჩადიოდა?..

მკათათვის ხვატი იწურებოდა, როცა შავი ზღვის სანაპიროსკენ გავემგზავრე. ზღვასთან მარტო ჩემი დაღლილი ჯანმრთელობა როდი მიმქონდა. ზღვისკენ მიიწვიდა ქალაქის ხმაურით დაფუტკენილი ნერვები, დანაცრებული თრთოლვა და აღფრთოვანებული ვედრება მის ავ-ყია ტალღებთან.

მატარებელში ყბედი მგზავრების ქაქანით გულში მისივდებოდა: ტყუილუბრალოდ წიწმატობდნენ, ცეხცლმოკიდებულ ბურბუმელასავით ინთებოდნენ. განსაკუთრებით ვიღაც ნოლა ყმაწვილი კაცი, ისე წამო-ჭარხლებულიყო ხელოვნებაზე პაექრობით, რომ კისერიც კიბოსავით გაწითლებოდა.

— ხელოვნება სარკეა, სარკე! — დავობდა და ანჩხლობდა ბედურ-გები.

— საწეიმო ვითარებაში მოგახსენებთ, რომ თქვენ მეტისმეტად ელამი ბრძანდებით, არისტოტელეს შეხედულებას ლიტერატურაზე არ იცნობთ, არა! — მამლაყინწასავით წაჰკიდებოდა მორგევივით ჩაფსკენილი ჩერჩეტი მეორე ქერა მგზავრს, კაცი, რომელიც ათინელი ბრძენის კი არა, ბარბარე ჭორჭაძის ლექსებს ჯლოყინით კითხულობდა. ვერ გაიგებდი, რა თავექვას ახლიდა: ჭროლა თვალებს უგვანოდ ამრიალებდა. პირის კუთხეებთან ქაფი ერეოდა, ყელის ძარღვები ეჭიმებოდა, ისე ყვიროდა, იტყოდი, თონეში თავდაყირა ჰკიდებენო; ხელებს წამდაუწუმ პარჭყავდა, ბევრჯერ მოვარიდე ცხვირიპირი იმის კოტიტა თითებს. ხან ხმაგაკმენდილ მგზავრებს ისეთი იერით გადმოგვხედავდა, თითქოს ჩვენი სახის გამო-მეტყველებაზე კითხულობდა თავისი უმწეო გონების სიდარბაისლეს.

გულთამხილაეო რუსთაველო! და მგზნებარე დანტეც! ო, რაოდენი მშვენიერება მოჰფინეთ ქვეყნიერებას, იმდენი ავიც მოუტანეთ ზოგიერთა ქონდრის ადამიანებს, რამდენს დადანებენ თქვენზე, რამდენს კინკლაობენ, რა გულგასაწყალებლად იყეფებიან, ნეტავი რაზე?... ნეტავი რისთვის?..

მატარებელს რიყრაჟი ქედანივით აედევნა და ზღვაც გამოჩნდა. ზღვის მოქანავე მინდვრების დასასრულთან გემი ამოყურყუმელავდა, როგორც სამანი ქვეყნიერებასა და სივრცეებს შორის ჩავდებულს.

ვისვენებდი სანაპიროს ახლო გაშენებულ აგარაკზე. ბანანის მანეთ-ლით დაწნულ სავარძელში შუალამის გადასვლამდის ვიჯექი ზოლზე. საკუთარ ფიქრებსაც ვზას ვუქცევდი, რომ მარტო ზღვასთან ვყოფილიყავი, რატომღაც დიდხანს, რატომღაც სულის ამოხდომამდე.

სალამო ხანი იდგა. შორს... შორს ცის კაბადონები ჭყუმპალაობდნენ. ზღვის მივარდნილ კიდებთან მზეს რგვალი სანათური გამოეჭრა, თითქოს სანათურში მეორე წუთისოფლის ცეცხლი ლაპლაპებდა.

ცად აჭრილ უხვი სხივების ხარაჩოებს ზეცის გუმბათები შეეთქო-რათ და პალმის ფოთლებს შიგ თვალეზში უჭვრიტინებდნენ.

აშოლტილი შვინდისფერი ტატნობები ქირმანის ხალიჩებივით ბრწყინავდნენ დასავლეთისკენ.

აღზნებული ზღვა ბორგავდა, ეტყობოდა პაპანაქება სიცხეს დაეკრა, რადგან ხანგამოშვებით მთვრალი ვეშაპივით ილანძღებოდა.

მივსეირნობდი. ვაანჩხლებული ტალღები ჯაჭვდაბმული ნაგაზები-ვით მიტევდნენ. ტანწერწეტი კიპარისები მუნჯი მოგვებივით მომჩერებოდნენ.

ვარსკვლავების ფარა ბინდის ნეკერს ახრამუნებდა. ფოთლოვან ხეებში გრილი ნიავე მიძინარე ბელურებს გვერდზე მისწოლოდა, ვით გვრიტების სიზმარი.

მოაგარაკეთა ნებიერი ჟრიამული ხვართქლასავით მოსდებოდა მთელ არემარეს.

უცბად, ვილაც წამომეწია და ნაცნობი ხმით შემეხმაურა. ჩემი მეგობარი ჩამოსულიყო! ის, ვინც მთვარეულივით ამედევნა, ვინც ჩემში იწვევდა სიბრალულს, ვისაც გადამტკნარებულ სახეზე და შავად ჩასრესილ ქუთუთოებში შერწყმოდა პოეზიის ქამთვალალობა.

ორივეს კრიჭა შეგვეკრა. ჩვენ სიჩუმეს ზღვის ხმაური ჭანგივით ედებოდა.

რა კარგია მეგობართან ყოფნა და ხეტიალი, როცა გულის შუქი თვალებიდან იჭყიტება, როცა მკერდიდან სინათლე ევანამს, როცა ამოფრენილი სიხარული მტრედივით მარცხენა მკლავზე გიზის და შენთან ერთად ლულუნებს.

მეგობარმა დუმილი დაარღვია:

— ნავსი გატეხე! იცი, რომ შენს სანახავად ჩამოვედი?

— ხომ გჯერა, როგორ გამეხარდა!

— როგორ არა, ერთგულ მეგობართან ყოფნას რომელი აგარაკი შეედრება! — ეიყვივებდა ჩემი გულჩახვეული მეგობარი.

— ცამდე მართალი ხარ! — კვერს ვუკრავდი.

— ნეტავი, თუ კიდევ გახსოვს ჩემი ლექსები? — მორიდებით შეკითხა.

— როგორ არა, განსაკუთრებით ზოგიერთი..

— არ ვიცი, რა დამემართა ეს ოხერი, მარადისობაზე ფიქრი შემძულდა.

— განა მარადისობა არსებობდა? — უკმეხად წამომცდა.

— ის დიდხანს მეფობდა... პოეზია მარადისობამ დაასწულა.

— თითო ჭირი რას გამოელევა ადამიანს, — ალაღბედად წამოვიძახე.

— აბა დამიგდე ყური. — ჩემმა მეგობარმა განაგრძო.

ნაძვები კუბოს მისვენებდნენ,  
წინ ყვავილები მიჰქონდათ ქარებს,  
მიწიდან მთები იმას უსტვენდნენ,  
პირქვე რომ ეგდო მსოფლიოს გარეთ.

ის, სივრცეს გაჰყვა ხელ აპყრობილ  
თვალებს სინათლეს არ მიაკარა,  
წადილი, გზნება — ტალღების ჩრდილი,  
გულქვა ავღრების წინ გადაყარა.

თითქოს სიკვდილიც რჩებოდა ოხრად,  
მარადისობაც დასწყევლა, დაგშო,  
დამე ტირილით გამოიხურა  
და გათენებას ველარ მიაგნო.

ვერ შეუბრუნეს გზებმა გუნება,  
თუმცა ბავშვებით უჭერდნენ ხელებს,  
ნათესურს ეთქვა: არ დაბრუნდება!..  
ქარი ამაოდ ეძებდა მკვლევლებს.

გვარი რა არის, არც ვი ახსენა,  
არც მიაქვდა ლურსმანი კარებს...  
ნაძვები ცხედარს მისვენებდნენ  
და გვირგვინები მიჰქონდათ ქარებს.

ორივენი ვლუმდით, ღამე-ღარეულ ბალებიდან მოისმოდა საამურ ქართული სიმღერა, როგორც ბავშვურ სიყვარულში ჩაწნული უმანკობა და ჟრუანტელი.

ზღვა გუგუნებდა. ზღვის გაუთავებელ მოთქმას ქარშეყრილ ფრინველებივით ასდევნებოდა ათასეული წლების წიოკობა.

ზღვა დელავდა, თითქოს ზღვაში ხარხარებდნენ ქარიშხლები.

ნეტავი, ვინ იყო, ვინა, ვინც თავისი მოგროვილი სიცოცხლე გულქვა სამყაროს წინ გადაყარა?.. ვისაც სიკვდილი ოხრად დარჩა და ღამე ტირილით გამოიხურა?!. იქნებ ზღვის ნათურა ზვირთებმა იცოდნენ,

სილანარევ ქვიშაზე, ფერად ნიჟარებზე, გაკრიალებულ რიყეზე უჩორკნავ ბორბლებივით რო ხრიგინებდნენ?...

იქნება, სახე შერყეულ ცხედარს ზღვის ტალღები რიგრიგობით მიასვენებდნენ და ელამი გვირგვინები მიჰქონდათ ღრუბლნარა ქარებს?!.. ვინ იცის!.. ვინა?..

## ზამთრის სიმჟონია

დაფეთებული რიჟრჟები ისე მინამქრე,  
რომ ღამე შიშით ვარსკვლავებშიც ვერ შედიოდეს.

ჩემი მეგობარი ერთ მივარდნილ სოფელში თავის ნათესავს შეეხიზნა. იშვიათად მწერდა ბარათებს, ზოგიერთ წერილში ასეთ გულისწყრომასაც შეხვდებოდი:

„იანვრის სუსხი ძვლებში მატანს. გამოკეტილი ვზივარ ფარღალა-ლა ოთახში, მამიდაჩემმა სამადლოდ რომ მომიგდო.

ბუხრის გუზგუზს დარდებს ვაყოლებ. ზამთრის ვარანგი ასასივით დაწრიალებს ყველგან. ვერაგი სიჩუმე ობივით მეკიდება. მშიერი მგლები სოფლის გზებზე თავისუფლად დათარეშობენ, ხან ზედაველაზე შემზარავად ყმუიან; ღამით აშვებელი ძაღლები უბან-უბან ყეფას რო გააბამენ, სასაფლოდან მკვდრები გადმოდგებიან ხოლმე, მიცვალებულს თვალს მოჰკრავენ თუ არა ნაგაზები, ისეთ წკავწკავს ასტებენ, გეგონება ჰკუაშერყეული სარანგები მიწას ფხოჰნიანო.

ამ ყინვაში გაშიშვლებული ხეებიც სულდგმულებივით ბაბანებენ. ღამით კაცის ჰაჭანება შეიძლება იგრძნო: ტყიდან მომავალი შიშით დატვირთული მარხილების ჰრაჰა-ჰრუჰზე, მგზავრის ფეხის ხმა გაფიჩხებულ თოვლის ხრაშინარუშზე, ანდა ბოსლების კართან ანთებული ჰრაქების მოძრაობაზე.

დასწყევლოს ღმერთმა, აქაური ღამეები, მოვლენ, სოდომებივით ჩამოსხდებიან და ალიონამდე ისეთას იბღვირებიან, რომ აღარ იცი რა წყალს მიეცე. ხედავ! ოდესღაც განდგეილობის დამთრგუნველს, რა დამემართა!?...“

რა თქმა უნდა, ამ სტრიქონების ავტორი თავის შეჩვენებულ ორეულთან ფარიკაობდა. ზამთრის ვაგლაზი სიჩუმე უფრო ამხედრებდა, ვიდრე ამომშინებდა.

ერთი პირობა წერილების გამოგზავნაც შესწყვიტა. ვიცოდი იმისი უცნაური ხასიათი: კარგა ხანი ხმას არ გაგცემდა, მაგრამ, ვანა შეიძლება მეგობარს დაემდურო, როცა ის ლოცვებს აღავლენს? ან, რა ბედენაა გულის თანატოლს მუდამ კრიჰაში უკირკიტო და ხატაურა კატასავით მის ბაგეებთან იყვე ჩაცუტქული. პოეტი თავის ნებაზე უნდა მიუშ-

ვა, ჰო, რა ვერაგობაა: შემომქმედი ცხენივით შეკაზმო და ზედ შეატყე,  
არა?

კვირაძალს თოვლი ბარდნიდა, თითქოს ვეება ღრუბლებს თეთრი ფარფლი სცვიოდათ. ბინაზე დავბრუნდი. საწერ მაგიდაზე პოეტის უსტარი დამხვდა. მოკრძალებული სტრიქონები შემომჩიოდნენ:

„ჩემო კეთილო! ნუ შემირისხავ, რამდენი ხანია ველარ შეგვხმაურე, ყველაფერი უნდა მომიტევეო. რომ შემირიგდე, გიგზანი პატარა ნაწარმოებს. ბუხრის ალზე ვძერწავედი და რატომღაც მინდა, შენც განიცადო მეგობრის მღელვარება და სიხარული:

სიჩუმე რქებით მაწვება გულზე,  
თოვლია გარეთ, აღარც გზებია.  
ენთე ბუხარო და იგუზგუზე,  
მე მაინც სითბო არ მღირსებია.

კვამლო, არ შეწყდე, გასწიე ზევით,  
ვაჭვარტლე ზეცა, ღმერთმაც ვერ გვძლიოს,  
უსაზღვროება ისე შესუღრე,  
რომ დედამიწას გზა აერიოს.

წარმავალობა მიზიდავს უღრანს,  
იქ არც შუქია, არც ლაფვარდები,  
არაარობა დაიწყებს ღრენას,  
და იკივლებენ ეს საფლაკებშიც.

ჩამხჩვალი სივრცე ყრუდ იშისინებს,  
ხმას გაიკმინდავს ზღვა და გრიგალი.  
ვინ იცის, რამდენ მზეს შეაშინებს...  
ჩემო პლანეტავ, შენი ღრიალი!

ზეცა ათასგან დაიღრციება,  
კვამლს მოედება ღრთთა ისარი.  
სამყაროს გაღმა ჩაივლის ვიღაც  
ჩაფიქრებული, როგორც მისანი.

ღამეა, ბუხრის ცეცხლი გუზგუზებს,  
გარეთ ხირია თოვლის მინდვრები.  
ვზივარ სიცოცხლე გაბეზრებული,  
სისხლი მიშრება, ვატყობ ვფითრდები.“

ასე მწერდა ჩემი მგოსანი. ასეთი ანჩხლი და ასპიტი ხდებოდა, როცა ამღვრეული თვალებით მიეჭრებოდა ქვეყნიერებას, როცა ბურუსს ჩამოწოლილ გზებზე კვალდაკარგული ფრინველივით წიოკობდა.

ბუხრის კვამლსაც კი ევედრებოდა, რაღაც მზაკვრულს, რაღაც არა-ადამიანურს — ეს კარგის მომასწავლებელი როდი იყო. ეს შავბნელი

პოეზია ძანძახი ამინდების წინამორბედი გახლდათ. იმის შემოქმედების კიშკართან სახეალეწილი ღმერთების ბუზღუნი ისმოდა.

ბუხარი კი, პოეტის ტიალ ვედრებას, მისი ოცნების თოვლჭყაპს, რას დაგიდევდა, გაცრეცილი ღრუბლების ქვეშ, ბანიდან ამოჩრილი. პირმოტეხილი ქვევრის ტუჩიდან ამოხეთქილ სქელ კვამლს ყალიონი-ვით აბოლებდა და სოფლის შეღმართებს უაზროდ გასცქეროდა.

თეთრციხილას მუგუზლების ტყაცა-ტყუცით გამოვარდნილი ბუხ-რის შუქი, პოეტის ზურგის ლანდს ოთახის კედლებზე და ჭერზე სათუ-თად არწევდა.

ჩვენი პლანეტა ათასნაირ ენაზე მოლაპარაკე ხალხით დახუნძლუ-ლი, გათელილ უსაზღვროებაში თავის გზას განაგრძობდა, ხან მთვარეს მიინთებდა ხოლმე ვარსკვლავების უდაბურებაში, რომ წარმავლობის უღრანს დანდობილა არ წასწყვეტოდა.

## ძველი სარდაფი

გაიგახუნებენ შუალამეს ფეხის ბარბაცით.

ცის კამარებს ზამთრის საბურველი ჩამოეხსნათ. მერცხლები გაზა-ფხულის ლალისფერ კუწუბებს ქარგავდნენ, ცის ტატნობებს სერავდნენ, სივრცეების ბექურზე ლაქვარდები გადმომდგარიყვნენ.

მგოსანი ქალაქად მესტუმრა. რატომღაც სოფელზე ამრეზილიყო. სასმელს ეტანებოდა, მალიმალ ჩამიჩურჩულებდა: სულმა წამძლია, წამოდი სადმე, ნუნუა ვსუხოთო. ხშირად ბანზე ავუგდებდი სიტყვას, მაგრამ შენც არ მომიკვდე, დიდი მიდეგა და მეტად თავნება კაცი იყო, ურმის ხელნაზე მიბმულ ნალოსავით ამითრევდა. კერპი იყო, როგორც ურთხელის ლატანი. სულთამხუთავივით ჩაგაცივდებოდა, თავის ნათქ-ვამს არ გადავიდოდა, თუ გინდა წინ ფიანდაზად გაშლოდი, სხვა გზით ველარ დაიყოლიებდი, მაინც თავისას გააჭენებდა.

ერთ ღამეს ქალაქის განაპირა უბანში, ჭერდაბალ ღვინის სარდაფს მივავენით, — იკრიბიკრო კიბეზე ცალხელა ხარხათი, თითქოს წამ-წყმედთა სავანეში თავდაყირა ჩავეშვით.

ღატაკ და ფერდებმიკრულ მგზავრებისათვის პირდაპირ მისწრება იყო. ვფიქრობდი: ცოტაოდნეს დავნაყრდებით, ერთ-ორ ჭიქას გადაე-კრავთ და ამით დამთავრდება ჩემი მეგობრის ჭირვეულობა-მეთქი.

სარდაფი გვერდებშეჭყლეტილი თუნუქის ჭრაქებით გაენათებინათ. თუთუნის ბოლი მაყალზე ავიშინებულ სუკების ოხშივარს შერეოდა და უზრდელი მოქეიფენი ენას პირში ძლივს რომ იტრიალებდნენ, ჭვარ-ტლში გათანგულ ჭირკვებივით მოსჩანდნენ. ხრინწიანი სიმღერები: მე ავარად დავდივარ. ღამე შინ არ შავდივარ... გასსენ ბაგე, გამაგონე

ხმა ნარნარისა!.. გამობრუყულ და ლაზღანდარა არიფიონთა ხარხარი, ლანძღვა-ვინება, უშვერი წაოხუნჯება ერთი მაგიდიდან მეორეზე მეხივით ეცემოდა.

სარდაფის კედლებზე ფუქსავატი მხატვრების ყალმით შეთითხნილი დედიშობილა ქალების და ყანწიანი კინტოების სურათები აგლესილიყო. აჭიჭყნილი ფერები სიცხის ბუღს ისე სქლად დაეორთქლა და დაელაქავებინა, რომ იტყოდო: ნესტისგან გაქლენთილი დიაცები სტირიან და ჰგოდებენ თავიანთ დაკნინებასო.

მე და პოეტი კუნჭულში მიდგმულ მაგიდას მივუსხედით. ხშირად, აღმიანმა ხალხის ზრიალში უფრო დიდი ოცნება იცის, ვიდრე სადმე განმარტოებით. ამბობენ: ქარიშხლების დროს უდაბნოც ფიქრობსო!

— რალა ამ ბუნაგში შემოვეხეტეთ! — გულისწყრომით ვუთხარი მეგობარს, რომელიც შემკრთალ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— თუ შენ გგონია, რომ ჩვენ ნაკლებად ცოდვილები ვართ, — მიპასუხა საეჭვო კილოთი.

ჩვენს სუფრასთან შეანგლებულმა შეგირდმა მოიბრინა, ამოშვებული წინწყლებიანი პერანგი ეცვა. საყულო გაღელილმა, წინ წელქვევით თეთრ საფარშემორტყმულმა ჩვენ როდი დაგვაცალა ხმის ამოღება, ჯორის ტლინკებივით მიაყარა:

— ახალი, ცხელ-ცხელი: მწვადი, ჩანახი, ფითი, კუჭმაჭი, შაშხი; ქათამი მოხრაკული, ტაბაკა; ღვინო კახური, ატენური, სვირული, შუშა კიტრი, დანდური, პიტნა, წიწმატი, ტარხუნა!..

პოეტს გაეცინა, ოთხი ხელადა ქინძმარაული მოითხოვა და ორი ულუფა შაშხი. მერე მე მომიბრუნდა:

— რა, არა გჯერა, რომ ცოდვილები ვართ?

— შენ თუ ყველაფერს კული არ გამოაბი, არ შეგიძლიან! — ხუმრობაში გავუტარე ჩემი საყვედური.

— შეხე, რა ალიაქოთი გაუღლით სალახანებს! — თვალით მანიშნა.

— ეს ის ნავავია, რომლის აწრიალებას ქარიც კი თაკილობს.

— ჯანდაბას! როგორც გუნებოს, ისე იფიქრე, მაგრამ, ზოგჯერ რატომღაც მიზიდავს ასეთ ბრბოსთან ყურყუტი.

— ეგ ავადმყოფობაა, ჩემო კეთილო! — შევესიტყვე მეგობარს.

— პოეზია განა ავადმყოფობა არ არის?

— არა! ის ღვთაებრივი მშვენიერებაა. — ვუპასუხე.

— მე კი, ამ მშვენიერების ხილვამ დამანეულა.

— ეგ სისულელე რომ არ გეთქვა, იცოდე, გაბერწდებოდი, — ქედმაღლობით გადავკარი.

— შენ იმდენს იზამ, რომ ხელში შემეკლავ! დღეს მინდა, რომ ამ სარდაფში გამომიღამდეს, თუ გინდა მთელი სიცოცხლე. — არ ვიცი, რა ღმერთი უწყრებოდა მეგობარს, რალაც ვერ ვეწყობოდი.

— რაც შენ თავდავიწყებამდე გიყვარს, — განაგრძობდა პოეტი, — ის რომ ერთხელ აგისრულდეს, იმ ორმოცდაათი წლის ყოფას სჯობია სხვისი შემოტევით რომ წარიმართება.

— შენს დაგეშას მე არ ვაპირებ, მაგრამ...

— მაგრამ, ნეტავი იცოდე, — შემრისხა ჩემმა თანამესუფრემ, — ხანდისხან რა უხეიროდ შეკრულ გულურას დაემსგავსები ხოლმე.

ხმა ჩავიწყვიტე, რადგან კარგად ვიცოდი იმის უმძრახობის ჩოჩორზე შეჯდომა. ანდა რა ძალა მადგა, რომ მეგობარი დამმღებოდა, თუ გინდა ერთ წამოსროლილ სისულელეზე.

სადღეგრძელოებს მოეუხშირეთ, ხან ალთას ვსვამდით, ხან ბალთას. რიგიანად შევთვერით. რა მწარეა, როცა სიმთვრალესთან ერთად მთვრალი დარდებიც აგეტორლიალებიან, გულზე გეჭიდებიან, საფეთქლებს გიხურებენ, ნეკნებს გიმტვრევენ, თვალბში შუქს გიწრიტავენ, შუბლის ძვალზე, გასკდებიან, სხეულს გიმღვრევენ. ხომ გინახავთ ახალგაზრდა კაცის მოღუშული სახე, დასუსხული მწველი განცდებით, აი, ასეთი იყო ჩემი მგოსანიც იმ ჟამად. მე კი, გახვეებული შევყურებდი იმის ჩათუთქულ მდულარებას.

უცბათ ღვიძლი ძმასავით გადამეხვია და დაიწყო:

ის, ხომ ლექსს გარდა არაფერს ჰქმნიდა,  
თვალნაცემივით შფოთავდა ხშირად,  
განა ვისაც რომ ეს სენი სჭირდა,  
იმან შეგზარათ და შეგაშინათ?

ის დაიღუპა ბედ-მოკრძალებით,  
ბნელოდა, სდუმდნენ ღიღი ჰანდრები,  
და კიაფობდნენ შორს ვარსკვლავები —  
მარადისობის ჭუჭრუტანები!

ცოტახანს დადუმდა, მერე ხელი ჩაიქნია და...

ის ყოველ ღამეს დაეძებდა ტიალ სარდაფებს,  
თითქმის ცისმარე დღე შფოთავდა და ითვრებოდა,  
შთამომავლობა მის ცხოვრებას რას დაიჭერებს,  
კაცი, რომელიც სულ ღვინოში იფუფქებოდა.

რომ მას შეეძლო პოეტური უმანკობა,  
მიწას ურბენდა, დედამიწის უარმყოფელი,  
არ დაგიდევდა, თუ უკმებად ედგა დროება,  
ან თუ სივრცეებს გაყმუოდა წუთისოფელი.

ვიღაც, ღიღინით ჩემს საფლავეზე ბალახს ვათიბავს,  
იტყვის: რა კრულევით დაიღუპნენ შამი და შვილი  
თან კლდის ნატეხზე მიაწერავს ოდნავ ირიბად:



რალაც არ მოეწონა ეს ლექსი, შეჩერდა და განაგრძო:

მიმღერე, კარგო, და დამინამე  
ცხოვრება მუდამ უშინაარსო,  
იმღერე სანამ მყუდროა ლამე,  
სანამ გრივალეზს სძინავთ, ძვირფასო!

წავიდეთ სადმე, შორს დავესახლოთ,  
იქნებ ეს ლამე იქ არ მოშავდეს,  
ღილით მინდვრების გაფრენა ვნახოთ,  
სად ზღვის ტალღები სწინწყლავს ლაქეარდემს.

ჩემ ბინის კარებს ქარიც არ აღებს,  
სჩანს ჩაქართველო კიდევ მემღერის...  
იმღერე, დროა, პალმა შრიალემს,  
და ცხენის ყელზე ღვიძავს ბედღიფს.

უკანასკნელი სტრიქონი ისე ხმამაღლა წამოიყვირა, რომ სუყველა ჩვენ მოგვაჩერდა და გესლიანი ხარხარი ასტეხეს.

— რა დაგემართათ, თქვე დალოცვილისშვილებო! ხომ არ გატყაყებენ, რა გაღრიალებთ?! — ასე შეგვეჯორა თავზე წამომდგარმა თვალებდაბრეცილმა დახლიდარმა და ოფლის ხვითქში აზელილი მელოტი თავი ჭრელი ბაღდადით მოიწმინდა.

— არაფერია, ლექსს კითხულობდა, შენი ჰირიმე! — სიტყვა მოვუჭერით მასპინძელს.

— ლექსი რომელია. აქ ტეანტრი კი არ არის! — იწყინა მიკიტანმა.

— ეხლავე წავალთ, თუ ძმა ხარ, არ დაგვემღურო! — დავუყვავე სარდაფის პატრონს და საჩხუბრად წამოწეული მეგობარი დავაწყწარე.

— ბიჭებო, ეგრე არ ვარგა, თორემ თქვენ იცით! — ესლა ამოიხვნეშა გაიძვერა მასპინძელმა და, კაკლის ხის ძირივით ტანი, ფურკამეჩის ოდენა ღიბი, ზედ ვერცხლის მძიმე ქამარი რო ერტყა, ზანტად დახლისკენ შეატრიალა. სიბრაზისაგან კბილები გააკრაქუნა და თავისთვის წაიბურტყუნა:

„თუ ღვინოს სვამთ, ღვინო ჩახეთქეთ, თუ არა და რას პეიტრობთ, ახი კია, რო კაცმა ერთი ლაზათიანათ მოგაყოლოთ...“

დანახარჯს გაუღწეორდი — ჯიბეები ამოვიბერტყე. ჩემი მეგობარი რის ვაი-ვაგლახით წამოვიყვანე, ის ბარბაცებდა, მე კი უგვანოდ ვტორტმანებდი. მართლაც იმ ლამეს ვინც ილოცა, მხოლოდ ჩვენთვის, რომ ძმადნაფიცები სადმე ხრამში არ გადავიჩხეთ.

ქალაქი ძილში კრუსუნებდა. სადღაც, ეტლში შებმული იორღა ცხენების თქართაქური და ირიბად დაბრეცილ ქვაფენილებზე აჩქარებული მგზავრების კანტი-კუნტი ფეხის ბაკა-ბუკი ისმოდა.

ბნელ ქუჩებში აქა-იქ-და ბეჭუტავდნენ შექცალეული ლიფლიფები,  
მეგობარი გულს ჩამღეროდა:



ორი ხელადა ჩამოგვისხეს ზიდისთაური,  
თან ფიცულობდნენ, უნაკლოა, სუფთა ღმერთმანი!  
მზე ცის დისკოზე მიიწეოდა გაშლილ მკლავებით,  
პიწა რჩებოდა, როგორც ჭვარციმის შავი დედანი.

სიონის ზარი სქელ ღრუბლების ქვეშ ახველებდა,  
გულში ეძინათ წმინდა ნინოს შეფრენილ ცრემლებს...  
მკვდრები ცივ სივრცეს მიჰყვებოდნენ და, გზად ხანდისხან  
ქვეყნიერების კოშკებისკენ იშვერდნენ ხელებს.

ზელაშედ ჰქონდა მიწის წვენი გულამაყარის,  
არაგვი სჩქედდა — ლაყვარლების სათავეს ყოფდა...  
სად არ გინდოდა, გაისმოდა ჩვენი ყაყანი,  
მაგრამ ჩვენ გულებს, აბა ვინმე თუ ყიდულობდა?..

მგოსანი შინ მივაცილე, ძილინებისა ვუსურვე.

სადღაც, დაშორებული წუთისოფელი დაუსაბამობის მისადგომებს  
გულსაკლავად გაყმუოდა.

ვარსკვლავების ქუჭრუტანებში ღვთისმშობლის ბეჭდების ბაცნა-  
რევი შუქი ციმციმებდა. კლდის ნატეხზე უიღბლო წარწერა კიაფობდა:  
„აქ განისვენებს ადამიანი, რომლის გული ჯერ კიდევ ფეთქავს!...“

## ბ ე თ ა ნ ი ა

საღაც მნათე ზარსა რეკავს,  
წუთისოფლის კარგა გაღმით..

— ხომ იცი, ჩვენ უკანასკნელი ქრისტიანები დავიბადეთ, ჩვენს  
შემდეგ ახალი რაღაც განმეორდება უკეთესი და დიდებული! — ასე  
მესაუბრებოდა ჩემი მგოსანი, როცა მაისის წკრიალა ბილიკებით ბეთა-  
ნიის ნეტარ ტაძარს ვუახლოვდებოდით.

— ქრისტეს მოვლენა იქნებ ბოროტებაც იყო, რას იტყვი? —  
შემეკითხა.

— რა თქმა უნდა, წარმართ პილატეს თუ დავუჭერებთ...

— პილატეს შეკითხვა ხომ ეხლაც გაისმის, მართლაც რა არის  
სამყარო?.. რა არის ჭეშმარიტება?.. ამ ორი შეკითხვის კერპთან მუდამ  
ხელაპყრობილი იყაყანებს ქვეყნიერება. ყველა საუკუნეს წინ თავისი  
ხატი მიუძღოდა და ამ ხატის უკან ღალატებენ დიდდიან პატარამდე: მე  
ვარ ჭეშმარიტება!.. ვინ იცის... იქნებ ეგ ოინებიც მოსწყინდეს ადამიანს  
და ისტორიის კორიანტელმა თავისი არნადებით გახვეტოს: თორები,

მეჩეთები, ეკლესიები... რა დაემართება გამოყრუებულ კაცობრიობას? მხოლოდ ჭრიჭინების სტვენა იმჟინვარებს.

— არა მგონია, ხელოვნება მაინც იცისკროვნებს, როგორც ძლევა-მოსილი მეუფე, — გაეამხნევე მეგობარი.

— ვაი, თუ ადამიანებმა მოიწყინონ — ჩაფიქრდა პოეტი.

— სწორედ ხილულმა ქვეყნის მოწყენამ შობა შეპერეზადას და კრიშნას ზღაპრები.

— დამიჯერე, ღმერთთან თამაში დიდი ხანია აღარ ენატრებათ ადამიანებს, ისე როგორც ბავშვებს ნაყიდი თოჯინა მობეზრდებათ ხოლმე.

— თუმცა... — რალაც უნდა მეპასუხა, მაგრამ ენა დამება და ესლა აღმომხდა: — ეჰ, რა ვიცი!.. ამის თქმა იყო და მდინარის ხივილი შემოგვესმა.

— გაიხედე, ბეთანია გამოჩნდა! — მახარა მეგობარმა.

— რა დიდებულია! — წამოვიძახე აღფრთოვანებულმა, რადგან პირველად მოკვარი თვალი ქართული დიდების ძეგლს.

— ეს ის ტაძარია, — მანცვიფრებდა მგოსანი — თავისი არსებობის სამხარზე უკვდავებად რომ აღიკვეცა. შენ უნდა ნახო: როცა დილა-ადრიან მტრედების ფრთებით, ხევიდან ამოქნილ ნისლებსა ძახავს, როცა ციცრისფერი ალიონები სრიალებენ მის გუმბათებზე.

ასე აღტაცებული ჩემი მეგობარი არასოდეს არ მინახავს. ტაძარს რამდენიმე ბერი მწყემსავდა. ერთი ბერთაგანი მამა ექვთიმე ღვთისნიერი მართლმადიდებელი ჩანდა, ის დაბრმავებული იყო თავისი რწმენით, ის აღავლენდა ლოცვებს ბინდისას, რალაც მწველი სასოებით.

მამა ტიმოთესი კი რა მოგახსენოთ, მგონი მარხვასაც არ ინახავდა, დიდ აღებლამეს აბუჩად იგდებდა. იმის გრძელი როდინის ქვასავით სახე, ზაფრანის ფერი, ნაგერალა წვერი, ჩხართვის მსგავსი მაცდურ თვალეები, ზღარბის ეკლებივით აბურძგვნილი თმა, გველაქუა გამოხედვა, კარგს არაფერს მოასწავებდა, მართლაც, რომ ანაფორა გადამცულ ეშმაკის დასმული იყო.

დანარჩენი ბერები შუამთის მონასტრის დღესასწაულზე დატი-შულიყვნენ. ბეთანიის ტაძარი ავადმყოფი მწირივით სთვლემდა, თითქოს სივრცეებში გაჭრილ სამრეკლოების ქარავანს უკან ჩამორჩენოდა და გზა-აბნეული შეთქმულივით საუკუნეთა ტვერში გაჩხერილიყო.

ბერებმა პოეტის დედის ხსოვნას პარაკლისი გადაუხადეს. ტიმოთეს ბუწუწებაქერცილილი ოლარი ყელზე ჩამოეგდო, ფსალმუნის დაფა-შრებულ და შავად გაქონილ ფურცლებს ჩქარ-ჩქარა შლიდა, სხაპა-სხუპით კითხულობდა, ამოისუთქავდა მხოლოდ მაშინ, როცა მამა ექვთიმე „უფალო შეგვიწყალეს“ ებანებოდა. ტიმოთე გაფიცებული

თითებით პირველს ისე ისახავდა, თითქოს შუბლზე და გულზე ფიცარზე ქაილი ავარდნოდა.

ხატები ტაძრის სარკმელში შემოჭრილ მზის ირიბ სხივს მისცივბოდნენ, დაუსრულებელ პატიმრობით გამოთავყვანებულიყვნენ და ამოაგების მწველ მღუმარებას ხავსივით შერწყმოდნენ.

შიშმორეული წმინდანები ტრაპეზიდან გვითვალთვალებდნენ.

ტაძრის მალალ კედელზე გიორგი მესამის, თამარ მეფის და ორი ტომის ნაშიერის გიორგი ლაშას სურათები კიაფობდნენ, კიაფობდნენ ჟამთა სიავის ყურებით დაღლილნი. ბუდეშურის ოდენა ცრემლები მარგალიტის დარად შექვავებოდათ მეფურ სამოსზე.

პარაკლისი დამთავრდა. გაჩირალდნებულ კანდელზე საკმევლის სურნელოვანი კვამლი ირწეოდა. ანთებული კელაპტარი ღვთისმშობელს შუქს უფრქვევდა, მოღავებული ლოცვები ეღვარებდნენ.

ტიმოთეს გასამრჯელო ვუბოძეთ, ეკოტავა და ტაძრიდან თოფნაკრავივით გავარდა. მამა ექვთიმეც უკან ტუსტუსით გაჰყვა.

ტაძრის ეზოში გაფოთლილ ხეების ქვეშ მლოცველებს თავი მოეყარათ, გაშლილ სუფრას შემოსხდომოდნენ. ჩვენც მიგვიპატიყეს.

—საიდან ბრძანდებით?— შეგვეკითხა ქალარა გლეხკაცი.

—ქალაქიდან! — ვუპასუხეთ.

—ჩენი ტაძრის სანახავად ამოხველთ თუ შეთქმული გქონდათ? — შეგვეკითხა თანგირა თამადა და, თან ღვინით გალიცლიცებული ფილები მოგვაწოდა.

—სალოცავად! — უპასუხა მეგობარმა.

—აი, თქვენი წიბო კი გახმეს, რა ვიცი ნასტავლი ხალხი სულ იმას ჩავგჩიჩინებთ: ღმერთი არ არისო! და, თქვენ კი...

—განა ქრისტე უმეცარი იყო? — შეეკითხა პოეტი შეზარხოშებულ მასპინძელს.

—არა! შენი ჰირიმე! — მოიბოდინა თანგირამ, —საწყენად ნუ კი ჩამოგვართმევთ. რა ვუყოთ მერე, ჩვენს გლეხკაცობაში ცოტაა ურჯულო და რწმენა დამშრალი?

ღეჩაქყურგადადგებული მანდილოსნები შუბლის ქინძისთავის დარად ილიმებოდნენ, ხან დაუდგეგარ და ასკინკილა მოთამაშე ბავშვებს აწყნარებდნენ: ფუფალა გაგიჭავრდებათო!

—მოდი ეხლა ქართული სიმღერა შემოვძახოთ! — შედიდურად ბრძანა თამადა და თავკვერით გაწუწული ფარცხივით უღვაშები მარჯვენა ცერით მოიწმინდა.

ბერებიც ეწვივნენ უხვად გაშლილ სუფრას. გაჩაღდა ქეიფი, ღვინი, შემოძახილი.

მეგობარი ყურში ჩამჩურჩულებდა:

„მხოლოდ ქართულ სუფრაზე შეიძლება სიამით ჩაბერება, ქართულ ნადიმზე მოსალოდნელია ისე უცაბედად მოიკლა თავი, რომ



მთვრალმა სიცოცხლემ თვალი ველარც კი მოგვრას, ისე მოგაყვარებინა მიწა, რომ სისხლით გაღეშილი ყორანი ვერც კი წამოგეწიოს. აქ შეიძლება სასუფეველი მეწყერივით მოზავადეს და შენი განვლილი ცხოვრება ქვეშ დაიტანოს, შეგზაროს, გაგათახოს, გატიროს. ქართულ ზეიმზე შეიძლება შენი სხეულის აყროლებულ ბუნაგიდან ამოფრინდე და კამარების შრიალი ისუნთქო, მიატოვო შენი ოცნების ნიაღვრებისაგან გამოჭმული თავისქალა და ცოტახანს მაინც ცისკარივით იციმციმო...

გლუხაკობა კი, გაგიხარიან დროს ატარებდა.

მოსალამოვდა, ნეშომპალა მიწის სურნელება იდგა. რცხილის, სოჭის, ნეკერჩხლის, მურყანის და წიფლის ხეებით ატეხილ მთებში ფრინველების ჟრიაპული გაისმოდა, თითქოს ტყეს ქლარუნები შეესხა, და სადღაც წასასვლელად ემზადებოდა.

ციყვივით მოუსვენარი ნიავი ღრუბლის ბლუჯას ფიჩხის კონსავით დაათრევდა კამკამა ცაზე.

ბერებმა ორსართულიან სახლის აივანზე ჩრჩილისაგან დაცხავებული თექა გაგვიშალეს, ზედ გაწყალებული ფარდაგი დააგეს, გაქუცული ნაბადი და ქურქის დარი რალაც მოგვიგდეს, ჩვენც დღიურ წანწალით დათეთქვილები დასაძინებლად მიგწეკით.

მთვრალი ბერები შიგნით ოთახში რბილ ლოგინში ჩაფუთვანულიყვნენ. ტიმოთე რალაცას ოხუნჯობდა, მამა ექვთიმე კისკისით სულს ძლივს იბრუნებდა.

სამრეკლოზე მტრედების ფათური ისმოდა, ზენარი ზარები სდუმდნენ წირვებით დაქვრივებულნი, ასეულ წლებში მუდარით დარეკვით დაოსებულნი.

მგოსანმა ჩაიძინა. აივანზე მთვარე ფეხაკრევით შემოჩერჩეტდა, ორიოდე თუნგი სინათლე შემოიტანა და, სიზმრებში გადაკარგულ პოეტს მოჰკრა თუ არა თვალი, უკან გატრიალდა, ტაძრის გამოხურულ კარებთან ჩაიციანა. ჩაიციენეს სარკმელიდან გამოჭყეტილმა წმინდანებმაც.

მომავონდა მეგობრის ლექსი:

ვარსკვლავის შუქში ერთი საქმეველი,  
მთვარე სამყაროს სანათურსა ჰგავს,  
და დედამიწა ამ სარკმელიდან  
ბარით გადმოყრილ ქვიშას და ნაგავს...

ბერების ტუტუნი კიდევ ისმოდა. ფიქრებით გავბეზრდი, მხარი ვიცვალე და ჩავიძინე.

როცა გამოვიღვიძე, სისხამი დილა ლაყვარლებს ფარცხავდა, ჩემი მეგობარი უზმო ნათბილარევი წამოჭრილიყო, გაზაფხულის კაკანათი-

ვით გაშლილი ხართუთას ძირს მიყრდნობოდა და სახეგანათებულად  
გასცქეროდა გამჭვირვალე სივრცეებს, იქნებ წარმავლობის ლიტონიაზე  
აღგზნებულ მოციქულების ვედრებას სჭვრეტდა? ან, იქნებ ალიონების  
გასწვრივ ღამეების ნაკრძალთა ყივილს ისმენდა? იქნებ ნამტირალევი  
ანგელოზების ნაფხურებზე კითხულობდა თავისი პირქუში ცხოვრების  
ქარაგმას? ვინ იცის, ვინაა? რომელ განგებას ძალუძს ამოიცნოს  
აღამიანი!...

ექვთიმე პირდაუბანელი მომესალმა, უბის ჯიბიდან ამოდებულ  
ნაწერი მომაწოდა:

— ეს ლექსი, თქვენმა მეგობარმა შარშანწინ მისახსოვრა.

— რატომ არ ვიცნობ ამ სტრიქონებს!? — დავიწყე კითხვა. ბერი  
გულხელდაკრეფილი მისმენდა.

გაგზედე ალგეთს, ბოკრო ფერდობებზე  
ქეცათ შეჰყროდათ გაცრილი ახო,  
მთები ხრჩოლადენ ნაირ ფერებით  
და ხან ცხვრის ფარა კვარცხლბეკის ახლო.

ლორწო ფლატეებს სწოვდნენ კლდეები,  
ფილტვებს ფურჩქნიდა სუნთქვის ყუათი.  
მიწა გაირღვა, თითქოს ქვესკნელმა  
ამოსისროლა ტაძრის გუმბათი.

დავეშვით ქვევით და ბეთანიაში  
ზურგი გვაქცია, ტყეს შეეფარა!..  
ცოლო არ გვექონდა, იცოდე! ღმერთმა,  
ლობის სიწმინდეც რომ შეგვეზღალა.

ხევეში მდინარე შემოგვეფეთა —  
შეწირულ ბავშვთა ცრემლები იყო.  
ჩვენ მივდიოდით აღმართზედ ერთად,  
რატომღაც ჩუმად, რაღაც უღიბლოდ...

აქ დანდობილა გლეხი სახრეზედ  
აქ შესწრებია ორშაბათ დილას,  
ეხლაც კი ვამჩნევ ლაშას სახეზედ  
ჯალალედინის შემოკრულ სილას.

აქ გაუხსნია გული დედოფალ',  
თმებში ჩაუწნავს ზაფთის შაირი,  
აქ თავის თათით ითხრიდა საფლავს,  
მწყემსდაღუპული სოფლის ნახირი.

ქაშს ტაძრის კანი იქ დაუხრავს,  
რომ გარეთ ყონავს ქალის ნათელი.  
ძლივს ვაშშვიდებდით შემკრთალ მაცხოვარს,  
რქულდაწყვეტილი ორი ქართველი.

აქ შეგვიწირე ნეტავი, დედავ,  
თავი ღამედო და დაგეკალი,  
ალბათ ოდესმე წესს ამიგებლა  
შავი ღრუბლების ცივი წინწყალი..

რო ეთქვათ ქარება, მაღლი დედაშენს!  
თან ღმერთს შესტროდი საყდრების გლახა,  
რომ ჩემი სისხლი, როგორც ზედაშე,  
ქვევრში ჩაგესხა, დაგეტალახა.

კედელზე სანთლის შუქი იჭრება,  
სჩაწაწა წმინდანებმა როდი მიგვიღეს,  
რა გვეშელება წყვეულ ნაბიჯებებს,  
თუ გზაც ავღრებმა გადაგვიტხრეს.

დაუსუსხია ბზის ბუჩქი ჰინჯარს,  
ქანდაკება სდგას ალთქმული მგზავრის.  
ტაძრის ფუტურო ქერქში ჰრიკინებს,  
ვიღაც უძველო ხურთთმოძღვარი.

მათხოვარი ზის, როგორც ობობა —  
მყრალ ჯოჯოხეთის მოხილი პეკა,  
არც ზღაპარია, აღარც მოთხრობა,  
ის თითქოს ჩიტებს აუკენციათ.

აქ წარმართებიც მუხლებს იყრიდნენ,  
როგორც ამბობენ, დიდ გიორგობას,  
თურმე, ამ ჯვარცმას რო უყურებდნენ,  
გვეკორაედნენ: ხედავთ კაცობრიობას?!  
?

სამრეკლო იღვა მუდამ პირქუშად,  
თუ დარეკავდი, გაყრიდა ნაგავს.  
სვეტიცხოველი ზურგიით ზიდავდა,  
თუნდაც ჩამოსხმულ ქოთქოთა არავცს.

აკლდამის კოჭში დახოცილთ ძვლები  
ეყარა, როგორც მოჭრილი ფიჩხი,  
გალმა ბუდობდა ძველი საბძელი,  
და ალაგ-ალაგ ღვია და კვრინჩხი.

გზა სჩანდა ოდნავ, ხან ბეჭობს ზევით  
პჭრებოდა განცდა გზნების მომგვრელი,  
უკან ყმუოდა ხატის მიზეზით  
სახალშეყრილი ვარაზირ მგელი.

ძნელია მუდამ გულდამმარება,  
კაცის შელოცვა ტლანქი მთქნარებით.  
უსინანულოდ ვტოვებდით ტაძარს  
უკანასკნელი ქრისტიანები.



ამ სტრიქონებში იმალებოდა ჩემი პოეტის განწირული ქვეყანა, ამ ლექსში ზედამესავით ჩაასხა თავისი ბობოქარი ცხოვრების დასაწყისი. ოდესმე ამ ზედამეს თვალბრახისხლიანებული ქარიშხლები მოუვათ, ქურუმებივით შემოუსხდებიან გარშემო, გახედავენ ჯვარცმულ კაცობრიობას, ხელების ქნევით დაუძახებენ შემკრთალ მაცხოვარს და კივილით წამოფრინდებიან ისევ.

ტაძრის ფუტურო ჩუქურთმებში კი დიდხანს იჭრიჭინებს ვიღაც უძეგლო ხუროთმოძღვარი.

უკან ვბრუნდებოდით.

ჯერ ერთიმეორეზე შეკოწიწებულ ქედებს არ მოვფარებოდით, რომ ბერებმა ზარი ჩამოკრეს. ზარის გადაჩეხილ ხმას მთების და ღრეების გამოძახილი დაესია. გაფანტული ზარის ჰანგები დამფრთხალი შურთხებივით ინთქებოდნენ ფრიალო კლდეებსა და წოწოლა კვარცხლბეკებს შორის.

გზას ვიმოკლებდით. მთვარის ნაფეხურებზე როკავდა ვერხვების ჩრდილი. აღმოსავლეთის მთაგრეხილების მწვერვალზე აჩაჩხული ღამე ბურტყუნებდა. საიდანღაც მოისმოდა ურმულის ღიღინი, ბოუბოუა ხევში სახადშეყარილი მდინარე მოქშუოდა, მის თხელ ტალღებს შემოდგომის ფოთლებივით დაფარფატებდნენ უკანასკნელ ქრისტიანთა სინანული და დამშვიდობება.

მახლობელ მუხის კენწეროზე ონავარი ჭოტი ავგაროზი დედაკაცივით კიოდა. „ჩაგვიყდეს ხმა!“ — გალმიდან გამოსძახოდნენ ჭრიჭინები.

ბარში ვეშვებოდით. აღარ მოსჩანდა ბეთანიის ლაყვარდები, აღარც შეწირულ ბავშვთა ცრემლების მდინარე, აღარც დაყურსული ტაძარი, ის თითქოს გზად მიმავალ ბელურებს აეკენკათ.

## შ ა ლ რ ე მ ა ნ თ ა მ

მთვარის ირიბ შუქზე  
დააცურეს ის შადრევანი.

საზაფხულო თეატრის ბალისკენ მივიჩქაროდი. მყვირალა აფიშები იუწყებოდნენ: დიდი კონცერტი, სახელგანთქმული მომღერალი, ვიოლინოს დამკვრელი, იჩქარეთ, ნახით!.. მეც ცნობისმოყვარეობის ფერხულში გარეული და სამეჭლისოდ გამოწყობილი, ბალის მესერს ვუახლოვდებოდი, მით უფრო, რომ ჩემი მეგობარი მელოდებოდა, ვიღაც ნაცნობთან ერთად.

— იცნობდეთ გრიგოლ დავითის ძეს! — მომმართა მეგობარმა.

— დიდად სასიამოვნოა! — მივესალმე ათასჯერ დატკეპნილი თავაზიანობით და ხანდაზმულ უცნობს ხელი ჩამოვართვი.



— იმას მოგახსენებდით, — განაგრძო გრიგოლმა, თითქოს ჩემი მისვლა მაინც და მაინც დიდად არ ეჭაშნიკა, — სიყრმის ხანზე მეტ ვწერდი სატრფიალო ლექსებს, რომ დავითვალო ცხრაასამდე მოგროვდება, მართო, ერთ ბანოვანს ორასი სონეტი ვუძღვენი...

— დანარჩენი? — განგებ შეეკითხა მეგობარი.

— დანარჩენი?.. ბუნებას, ცხოვრებულ მამაჩემის ხსოვნას, ზოგი აღზანას, ზოგიც ჩაღზანას. საერთოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ცხოვრების აღწერა მიყვარდა.

— თქვენი ლექსის ერთი ნაკვესი მაინც მოიგონეთ, — სთხოვა მგოსანმა.

— ძალიან გავვახარებთ, — მეც ჩავეჩხირე.

— ეს ლექსი მიყვარდა, თუმცა კარგად აღარ მახსოვს:

ეგ შენი სახე გაზაფხულია,  
ო, შენი სახე,  
სახე შენი,  
თითქოს ცის კილით  
გაფარჩხულია.  
მე შენ განახებ, თუ არ დამლახვრავ,  
ჩემი გული,  
როგორ  
შეშინებს.  
შენ გამღერო-  
დი სპარ-  
სულ  
შიქასტებს!..

მოხუცი შეჩერდა და ყურებდაცქვეტილებს უცბად მოგვახალა:

— ბოდიში, ყმაწვილებო, ველარ ვიგონებ! — მაღლა აწეული მარჯვენა ხელი, ისეთი ამბით ჩაიქნია, თითქოს დიდი განძი დაჰკარგო-  
ეს.

— მშვენიერია, რაც წაიკითხეთ! — წამომცდა, თუ წარმოსთქვი, ეშმაკმა უწყის. მეგობარს გადავხედე, მოწოლილ სიცილს ძლივს რო იჭერდა ქვედა ტუჩის კვეთით.

— ო, რა ქლესა ხარი! — ჩუმი ჩამჩურჩულა მგოსანმა.

— ლექსების წერა მალე მომყირქდა, — ბუყბუყებდა გრიგოლი, — მეცნიერებას მივაშურე და დღეს ღვთის წყალობით გეოლოგი გახლავართ. აბა ერთი მითხარით, რომელი ლექსი შეედრება მიწის წიაღში აღმოჩენილ ქვანახშირის ზოდებს, სპილენძის მადანს, ჭაბურღილის ჩაძერომას ნავთის ზღვაში?..

— საგულისხმოა, ვაჟა-ფშაველა რამდენი ოქროს მისხალი ეღირება? — ჩაეუნისკარტე გეოლოგს.

— თქვენ, როგორც გეტყობათ — შემომიბღვირა აბილბილებულმა მოხუცმა, — მასხრობის გუნებაზე ბრძანდებით!

— მომიტევეთ, ჩემო ბატონო! — მოვიბოდიშე.

— ჩვენში დარჩეს, — არ ცხრებოდა გეოლოგი და მიმართავდა პოეტს, მე ხომ ძალადაც არ მაგდებდა, — პოეტები მეცნიერების ღამ-პარს ქინკლებივით აწყდებიან. იცოდეთ! მოვა დრო და სიტყვაკაზმული მწერლობა ფიზიკის, ასტრონომიის და თუ გნებავთ, გეოლოგიის უბრა-ლო ქრონიკა-ლა იქნება.

— მართალი ბრძანდებით! — შევძახე.

— ცამდე მართალი! — განზრახ მიეყურეურა მეგობარიც, — ასე სჯობიან, თორემ ათასხუთასი წლის სიცოცხლე გამოგილამდება გრი-გოლის მსგავს მაჯლაყუნებთან კამათში. რეგვენს ზოგჯერ ყური უნდა წაუყრუო. ზოგიერთ დოკლაპიას ძალაუნებურად უნდა მიუაღერსო, თავი უქნისო, ხელი როდი უნდა აუკრა, ეს საძრახისი როდია, არც თავის დამცირებაა. უმეცარი ადამიანის გულს ვერასოდეს მოინადირებ, ათას დამთხვეულს რას გაუმკლავდები, ანდა როგორ მოიმადლიერებ. განა რამდენი ხანი უნდა იცოცხლო, რომ ყველას სამაგიერო გადაუხადო ამ ქვეყანაზე?

ვინ იცის, კიდევ როდემდის გაგრძელდებოდა ჩენი ულაზათო ბაა-სი, რომ თეატრის მეორე ზარი არ აწყრილებულიყო, ხალხით გაჰყვდილ დარბაზში ჩვენ სავარძლებს მივამურეთ. სულ ახლოს, წინა რიგში ახალგაზრდა მანჭია ქალები ისხდნენ, ხმამალალ ლაპარაკზე ეტყობო-დათ, აგარაკიდან ეხლაბან დაბრუნებულიყვენენ, მზისგან ნაძალადევედ აეტრუსათ სახეები, ისე დაენახშირებინათ კისერი, სახე და ხელები, რომ ზომიერი სარტყელის მობინადრეებზე მაგრიტანელების შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. აგარაკზე, ზოგიერთი წესიერად როდი ისვენებს, სხეულს სტანჯავს და მატაოცობს.

ფარდა აიწია. სცენაზე ორთვიან ხბოსავით გამოიყენტრუშა მოთა-დარიგემ, ორიოდე მოსწრებული სიტყვით კლანჭი გაჰკრა მალალი სა-ზოგადოების ფენას, მსახიობებსაც გადასწვდა... როცა ხალხმა გადაი-ხარხარა, ეს იყო იმის ბედნიერება. გვაუწყა ზანგი ქალის ვინაობა, მართ-ლაც, გულს ჩასწვდა შავკანიანის ხმის სინარნარე, იმის სევდიანი სიმ-ღერა. სამართლიანად ემღურებოდა თეთრკანიანების საუკუნეობრივ უსვინდისობას.

სამწუხაროდ, ჩემი აღტაცება წალეკა ზანგის საქციელმა: უნდა გე-ნახათ, სიმღერა რომ დაასრულა, რამდენჯერ მიიმალა სცენის იქით. ის ხალხს ტამის შენელებას როდი ემუდარებოდა, პირიქით, გახანგრძლი-ვებას. გულზე ხელმიბჯენილი, თეთრ კბილებ გადმოყრილი, თავს რიდებით გვიკრავდა, თან ნელ-ნელა უკან-უკან იხევდა და უცბად შიგნითა ფარდას ისე მიეფარებოდა, რომ გრძელი ქვედატნის ქობას ფარშავანგის ბოლოსავით რომ დასთრევდა იატაკზე, თვალს ძლივს მოვ-კრავდით ზოლმე. თადარიგის დამჭერი დიდ გარჯაში იყო, კულისებში შევარდნილ მომღერალს ხელგაშვერილი ეხვეწებოდა: გამობრძანდით,

პატივი დაგვდეთ, დარბაზი დაანგრისო! თითქოს ზანგის დედაც დადიდ უარზე გახლდათ, მაგრამ შეატყობდა თუ არა მომღერალს, რომ ტაშის პარტყუნი და იატაკზე თაყვანისმცემლების ფეხების ბრახა-ბრუხი მიწურულშია, მყის სცენაზე შავი ქათამივით შემოფრინდებოდა და ხალხიც ზეავდებოდა. რა კარგი იქნებოდა, რომ თეატრში ამდენი თვალთმაქცობა არ ყოფილიყო. თუმცა ხელოვნებას თვალთმაქცობასთან, რაღაც დიპლომატიური ურთიერთობა აქვს დამყარებული, არა?...  
ვიოლინოს დამკვრელი პაგანინის ნაწარმოებს ასრულებდა, მგონი იმ მგზნებარებით, იმ ზეგარდმო ნიჭით, იმ სასაოებით და ისეთივე გულის ფანტკალით, როგორც უდიდესი შემოქმედი.

პაგანინი ხომ გავარვარებულ მუგუზალივით დაიფერფლა თავის ჯადოსნურ საკრავთან, ის სიცოცხლეშივე გადაიწვა, სიკვდილი მხოლოდ თავაზიანობის გამო დაესწრო მის დასაფლავებას, იმის ცხედარს განმარტობელი ნამქერი მიუძღოდა.

ამბობენ: მუსიკამ შობა ქვეყნიერება! ვინ იცის? აი, კიდეც რას იძახიან: როცა სამყაროს აშენებდნენ, ხუროთმოძღვრები თურმე დაიქანცნენ, ხელები დაუდუნდათ. ამ დროს ცის ოთხივე-კუთხივე მუსიკის ჩანჩქრები აგუგუნდნენ, ყველას ძალ-ღონე გაუორკეცდა, საწუთროს მოჩუქურთმება დაამთავრეს და ჭერი ჰანგების დულაბით გადახურესო. იმასაც დასძენენ, რომ ვარსკვლავები მოქანდაკეთა ცრემლებიაო.

მუსიკამ შეიტყუა ადამიანი დედამიწაზე. მუსიკას შესწევს უნარი ადამიანის დამყაყებელი სულიდან გამოხადოს სიხარულის უშრეტი სურნელება.

ჩვენი დედამიწა სინათლით დატოტვილ უდაბურებაში რა კარგი საკონცერტო ადგილია, მაგრამ, ეს ოხერი, რამდენმა მოდგმამ ისე უფერულად ჩაიარა, ისე უშნოდ იტორღილა, რომ ერთი სალამურიც არ დაუკრავს, სტვირიც კი არ ჩაუბერია.

კონცერტი დამთავრდა. ხალხი აიშალა.

კმაყოფილი გრიგოლ დავითის ძე, რომელიღაც მიყრუებულ ბინაზე მივაცილეთ. გვთხოვა: კვირადღაზე მასთან შეგვევლო.

— საიდან გადაეყრები ხოლმე ამ ფუყე ჩიფჩიფებს! — ვუსაყველურე მეგობარს.

— ამას წინათ, — მომიყვა მგოსანი, — ნაცნობ ოჯახში გავიცანი, მას აქეთია გადამეკიდა, გინდა თუ არა, სიცოცხლისაკენ უნდა დავაბრუნოვო!

— ნუთუ არ გენიშნება? — ჩემი ნართაული მეგობარს არ ესიამოვნა. შევატყე რაღაც მოიწადინა.

— ჯერ ადრეა, სულ ახლოს მშვენიერი ბაღია, წავიდეთ და ცოტახნით იქ დავისვენოთ.

ამის გაგონებაზე ცივი წყალი გადამესხა. ადრე კი არა, საცაა ალიონის შიკრიკები გამოჩნდებოდნენ.

— ჩემი ჯავრი ხომ არა გჭირს? მოდი ხვალისთვის გადავდოთ! —  
ვთხოვე გულშემოყრილმა.

— აი, ხომ ხელავე? არასოდეს კაცს მხარს არ დაუჭერ, წყალი ხომ  
არ ამოგივა, წამომყე, რა მოხდება?

რალას გავაწყობდი. წავჩანჩალდი მუხლებმოკვეთილი.

ბალს მივალწიეთ. შადრევანი ღულუნებდა, ფერად წინწყლებით  
ცახცახებდა, ხმაგაკმენდილ ჩრდილებთან კენჭაობდა.

შქერით და ლოტოსებით შემოყრილ აუზში ორი მთვლემარე გედი  
განაბულიყო, ნისკარტები ფრთების უბეში ამოედოთ და ბედნიერ  
სიზმრებს მისცემოდნენ.

— ჩემი „გზათვალალობა“ უნდა წაგიკითხო! — მითხრა მგოსანმა.

— მხოლოდ ხმადაბლივ, თორემ ვინმემ რო ყური მოგვეკრას, მტკან-  
რი გიყები ვეგონებით! — გავაფრთხილე დიდის ამბით.

— რისა გეშინიან? თუ შეშლილებად მოგვენათლეს, მე შენ გითხრა,  
ხვალ მზე აფეთქდება! — დამიტატანა.

— შენი არ ვიცი და ახლა მე მკითხე...

— კარგი, მისმინე!

სიღამო ხანი ზარებსა რეკდა,  
ჭრუანტელს ჰგვრიდა ცას ხმის ზიამე.  
ის კი საკუთარ ცრემლებს ჰკრიფავდა,  
რომ არ ენახათ ადამიანებს.

მინდვრებს, გორაკებს, ნისლი სცემდა ფრთებს,  
რომ პირქუშ მგზავრებს გზა არეოდათ,  
ის უძახოდა დალილ ფრინველებს,  
და ბანს საწყაროს კლდე იძლეოდა.

გაჩერდი, კარგი, დროა გატერინდე,  
გზების სიმუნჯე მაინც იკმარე!  
იან ბნელ ვრიგალებს კიდევ უსტვენდა:  
„უთხარით, მიწას თუ მიმიკარებს?..“

ეს შარა, ეს დღე სად შემოკლდება,  
რა დაღევს მგზავრის მღორე ოცნება...  
ჩემი სიძლერა და უკვდავება,  
აღბათ, უამს შემდეგ ეცოდინებათ.

თუ მოგერიოს ოდესმე ცრემლი,  
წყველისღრად სავსე უსაზღვროებაე,  
გადამირჩინე თუ გინდ ის მრევლი,  
ვინც აღაღვენდა ჩემს მყუდროებას.

ვიცი იტყვიან: რომ ბნელ ღამეებს,  
ის რიყრაყებმაც ვერ გამოჰგლიჯეს,  
ბედნიერებას სთხოვდა ნაპრალებს,  
და სულელივით სთვლიდა ნაბიჯებს.

ის ერთხელ ნათელს გამოჰყვა ზიზღით,  
სოფელს წააწყდა — ადლარი იყო,  
წინ დაეხედა, თურმე ნუ იტყვიო,  
ეს დედამიწა გამომდგარიყო!

და შერეოდა ისევ ლამეებს...  
დღე და გამჩენი წყევლით აეკლო.  
აქ კი ყმუოდნენ თეთრი ძაღლები,  
და მოწყენილი იდგა სამრეკლო.

ლექსის წაკითხვას თავის მრწამსი ამინდები და გარემოცვა სჭირდება. თუ ჩიხირთმით გატყვერები, ტახტზე კერატივით წამოგორდები, ფეხებს კარადაზე შეაწყობ, თან ყირამალა დაიჭერ შემოქმედის წიგნს, იცოდე, ამ დროს სტრიქონები ფეხმოტეხილ წიწილებივით აიბუხებიან და წივილ-კივილით გულს ამოგიჭამენ.

განა ტყის მცვრიანი ნისლები იმ სიამოვნებას მოგანიჭებენ, რასაც მთის მწვერვალებზე გვერიან, რომ ხვალ მტერიან ქუჩებში შემოიჭრნენ?

ამიტომ პოეტი არ უნდა კითხულობდეს საკუთარ ნაწარმოებს იქ, სადაც დაუსტვენენ, არა!

პოეტის ცხოვრება, მესარეცხე დედაკაცის, ანდა ტილიპუჭურას ამქრების თავგადასავალი როდი გახლავთ. იქნებ აქ მოსატანიც არ იყოს, მაგრამ, რახან სიტყვა ჩამოვარდა, გეტყვიო. აი, ერთხელ ჩემმა მეგობარმა რა მითხრა: „რომელიმე მწერლის გვერდით რომ ვიცხოვრო. ვერც კი წარმომიდგენია. იცი, რა მძიმეა, როცა პოეტს პოეტი გითვალთვალეს. ისინი ერთიმეორეს იშვიათად უნდა ხვდებოდნენ და არა წარამარა. ისინი ერთმანეთს წამადაუწუმ თვალში როდი უნდა ეჩხირებოდნენ: პოეტი მწერლებში ნიადაგ ჯარასავით არ უნდა ტრიალებდეს. როცა შემოქმედი იკეტება თავის სენაკში, ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ყურადღებას არავინ არ აქცევს; მაშინ ასკდებიან შენს ფანჯრებს მხატვრული სიტყვის ბელურები, როცა მარტოდ დაგიგულებენ, ამ დროს ზუზუნებენ შენი გახსნილი მკერდიდან ამოხეთქილი მწველი ფიქრები. თვითველი სიტყვა ანთებული სანთლის შუქს წააგავს, სიტყვების ულოთი უნდა შეჰკრა სტრიქონების ძნა, რომ პოეზიის ზვინი ამართო. პოეზიის მტევნები უნდა დამწიფდნენ შენივე გულის დადარში შენი სისხლი და სასოება უნდა შეაზავო.“

ზოგიერთმა ქართულმა სიტყვამ იცის: წინ მწვერვით წამოგიფრინდება. აი, თუ ბიჭი ხარ, მოასწარი ჩაიწერო გაფრენილი ჩიტის სიმღერა და თუ დაიჭერ, ეცადე შეგეჩვიოს, რომ იჭიკჭიკოს. ყველა პოეტური პწყარი შენი კვირტებია, შენი თრთოლვის ნაკადულებით რომ იფურჩქნებიან.

ბედნიერია ის მგოსანი, ვის გამთბარ გულშიც ხობხის ყელივით ათასფერ ქართულ სიტყვას საბუღარი ჰქონია, სადაც პოეტური მეტყ-



ველებს ბარტყები გამოჩეკილან და შენი ნაოცნებარი, შენივე სხეულის სანათურების ციმციმზე აუკრეფიათ; ვისი გაყინული სუნთქვა ალტაცების გაზაფხულს აუმღვრევია და ფიქრების ლელმას დათოვლილი ზმანება შეუთქორია; ვისაც გულში თავისი ზრახვები როდი გალოჯებია, ზოგიერთი ლიტერატურული მკვლევარების ბღვერით.

ხანდისხან სივრცეების გასწვრივ ჩამორეკილ ზარის ნიაღვრებს მერცხალივით უნდა ჩაუქროლო.

შემოქმედი გონებადაკარგვამდე უნდა ყვარობდეს ლექსის სიმღერას; ყოველი ლექსი გულის კურთხეულ სისხლში ბარძიმივით უნდა იყოს ამოვლებული. რა ნეტარებაა, როცა გულის გორგალზე ბრწყინავენ ამოხვეული ქარვის სტრიქონები და გვირისტშემოვლებული რითმები. შემოქმედების ცეცხლმა უნდა მოგიტაცოს, რომ იქ დაიწვე და დაიფერფლო. შენს ვენახში ქართული ლექსიკონის რთველს რომ მორჩე, შენივე განცდების საწნახელში დაწურე, შენივე შთაგონების ქვევრში ჩაასხი და არ ამორწყო, სანამ კარგად არ დამაქრდება და შენი ფიქრებიდან ფიქრებში ერთი-ორჯერ მაინც არ გადაიღებ.

პოეტი შემოქმედების ეამს შეიძლება პირდაუბანელიც, თმებგაჩეჩილიც, სელის სკამთან მიგდებულიც სწერდეს, იცინოდეს, სდუმდეს, დარდობდეს, შუალამისას საცვლების ამარაც წამოიჭრას, პოეზიის ქურა დაანთოს და კალამს ეცეს.

ხშირად გული მიკვდება, მისივდება, როცა ვუცქერი შოთა რუსთაველის გავრცელებულ სურათს: ქულაჯაში გამოპრანჭული კაცი ზის, თავზე სადღესასწაულო ფაფახი ახურავს, სახე გაშეშებია, ტუჩები ფერუშარილ წაყრილ დედოფალივით მოუპრუწია, ხელში ჩხირივით მიუჩეჩებიათ ბატის ფრთა; წინ გადაშლილი წიგნი უძევს, თითქოს თუნუქის ფირფიტები ეყაროს!.. ნუთუ ქართველი გენია, ასე გამოწკეპილი და ტანგაფშეკილი სწერდა:

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?!“

არა! ის სურათი სასიქადლოო რუსთაველის სახეს არ ეკუთვნის. ის ვილაც უბადრუკი მღებავის ნაცოდვილარია, ანდა მოკლილი დიასახლისის უმწეობაა ეჩნედილებიან დაირის ტყავზე. ეს იმის საწინდარია, რომ ბეთპოვენი რომელიმე საკრავთან კომბალივით მიაყუდო, რა ნაყოფს მივიღებთ ასეთი ფერწერიდან? მხოლოდ მუსიკალური მალაზიის ნოქარს და არა ღვთაებრივი ჰანგების მფლობელს.

ქალალღზე დაცემული დიდი შემოქმედის სისხლის წვეთი გერჩინოს, უნიჭო ადამიანების ხელით აჭრელებულ თაბახებს.

შხამიანი სოკო ბროწეულის ყვავილს ვერ გამოისხამს და ციყვი იადონივით ვერასოდეს ვერ იგალობებს, თუ გინდა ადამიანებმა მთელი მთები ფეხქვეშ ამოიღონ და მარიხი კი არა, ასპიროზიც გადინადირონ. არც ისა მწამს, როცა მხატვარი მინდერის მცენარეზე, ყვავილებზე ნადირობს და შიგ კი ერთი ნამყენი ვარდიც არ ურევია.

მგონია, ბევრი მწარე სიმართლე იყო ჩემი მეგობრის შთაგონებული ნაამბობში.

შადრევანი, თითქოს ჩვენ გვიგდებდა ყურს, ქალის ქანდაკებას მკლავებსა ჰხვევდა მაღიმალ, რომ არ ჩასძინებოდა და აწყვეტილი წყლის წვრილ ღეროებს ღამის მნათობის სინათლეზე ყელავდა.

ნაკადულთან ციციანთელები ისე კიაფობდნენ, თითქოს ხეებს ცრემლები სცვიოდათ, თითქოს მთვარის პატარა ამოფეთქილი შუქი მოწანწკარებდა.

ბალს ვშორდებით ღამის თევით დათეთქვილები. თავდახრილი ჩრდილები ბიბინა ბალახზე ამოსულ ცვარ-ნამს იკუქნებოდნენ.

შორიდან ჰოტროველა ვერხვის დაგუბებული ხარხარი შემოგვეს-მა, ალბათ ჩვენზე ჭორობდნენ. თუმცა რა გვექონდა გასაქირდავი. სად-ღაც კლდემოფარებულ წუთისოფელში, ვიღაც მგზავრი სოფელს წას-წყვეტოდა, ძაღლები ყმუოდნენ. მოწყენილი სამრეკლო დაუბატიყებელ სტუმარს მიშტერებოდა.

გზად თვალი მოვკარით, რომ ასწლოვან კაკლის ხის დატოტვილ ფოთლებში ბუ შეფრინდა, თითქოს ნახევარი ღამეც შიგ შეითრია.

გათენებამაც მოატანა ჩიტების ქლურტულით, კარგად ინათლა. მთის მწვერვალებს მზემ ხელები სტაცა. დილის ნიავე მახლობელ ხე-ობის ზევით აბურძგვნილ ნისლებს ართავდა თუ ტყის მძარცველისაგან დაკოდილი ხეები კენესოდნენ და იმათი მღულარების მქრალი ოხშივარი იყო?..

## დაბურთული ადგილები

როგორ მიწყნარდა ქუჩუნი ბედის...

კარგა ხნის ჩასული მთვარის შუქი ერთიანად დამშრალიყო მაღალ და ღრმად გაჭრილ ღრუბლების არხში.

ქართან ჭიდილისაგან მოქანცული და არაქათგამოლეული ხეები ერთიმეორეს მიჰყუდებოდნენ.

ჩამიჩუმს არღვევდა ხნიერი ცაცხვის შრიალი, მგონი, ლოცულობდა.

ცაცხვის ძირში ორი მეგობარი ჩამოჯდა.

— რას უწოდებდი ბედნიერებას? — შეეკითხა პირველი.

— ის, რაც უბედურებით დამთავრდა.

— თუ კიდევ გახსოვს შენი სიყრმის დღიური?

— იქ, თვალბია, ბალი, შეხვედრა და ვნებიანი სითბო შენი ხელების, ჩვენ ხომ გაფრენილ ბედურებს ვგავდით და ტოროლებით დახუნძლულ ნისლებს, ხომ გახსოვს:

მელოდებოდი ფოთლებთან ერთად,  
თხელ ჩივირებში ხელადი ბილიკს,  
თან ყურს უგდებდი ქარია სიმღერას  
და წუთისოფელს სულ ხმა გაემენდილა.

ის აღარ მოეა, რადგან სისხამზე:  
ჩვენ ვნახეთ ღამეს რომ გაეტირა,  
შენ აიე გითხრეს ამხანაგებმა  
და კულულებზე ყვაოდა კვირა...

ჭაბუკს ხმა წაუვიდა. სიჩუმემ ორივე გაიტაცა წარსულისაკენ, იქ, სადაც ბურუსივით მოგონებები მარმარილოს სვეტებივით შეექვევებიან ბედის სიწყნარეს, იქ, სადაც, ოდესღაც სწერდა პოეტი: „ო, ეს სიცოცხლე, ნეტავ როდის გამომნელდება...“

ცაცხვის ხე შიშისაგან ისე კანკალებდა, თითქოს უღრანი მთების ზვავის ხმა იმის ქერქში ღამეს ათევდა. გარინდებული მეგობრები დაღმართს ჩასდევდნენ.

ამოვარდნილი გრიგალი ღრუბლებს სადღაც მიერეკებოდა. ვარსკვლავების ციმციმა ჩითილი გამოჩნდა, ბოროტი ქარი არც ამ უსახლვროების ნარგავებს უსვენებდა, ხან ამოუწევდა გახამებულ შუქს, ხან ჩაუწევდა და ისე ჩააბნელებდა ხოლმე მთელ არემარეს, რომ ორი სულდგმულის ლანდი კი არა, ხეების ჭაჭანებაც აღარსად ჩანდა.

ნაძვის ხე, საიდანღაც გასძახოდა ალვის ხეებს: რას ჩაქმარებულხართ!? ზევით აიხედეთ, გუშინ მზეს რამდენი ქვირილი დაუყრია — შეხედეთ, რა უამრავი ვარსკვლავებია!..

თავაწულ ალვის ხეებს რაღაც უნდოდათ ეთქვათ, მაგრამ თავმოშიშვლებული ქარიშხალი შორიდან უტევედა: ხმა ჩაიკმინდეთო!

## მანანას გიშერი

მანანა ცქრიალა, მიმზიდველი გოგონა იყო. სახის მშვენიერი ნაკვთები ჰქონდა, თითქოს ორბელიანთა ამორძალების სინარნარეს ამოვფრქვია.

ტოლები ეძახდნენ ღამაზ ხათუნას, ვანა განგებ, ვანა ყასილად — ის გუფთებში გაშლილ ნუშის ყვავილების კუნწულას ჰგავდა.

მანანამ იცოდა გაფითრება თეთრ ზამბახებზე უფრო მეტად, იმას ხშირად ვარდებიც ეტიტინებოდნენ ხოლმე.

მანანა მტრედის სიზმარსა ჰგავდა. ის ჩემს მეგობარს ეტრფოდა, პოეტი კი ყარყარა ხათუნას. ასე გრძელდებოდა არნახული ბედნიერება, სიცოცხლის ფერდაზე ერთხელ რომ ამოდის, ერთხელ რომ იფურჩქნება და მის სურნელებას ფუტკარივით რომ დაბზუიან გამიჩხურებული ადამიანები.



თიბათვის ნამიანი, ახლად გათიბული ბალახის სურნელივით, საკმაოდ  
ლამო ჩამომდგარიყო. ჩემი მეგობარი მახლობელ დოსტაქარს ესტუმრა,  
რადგან დიდი ხნის უნახავები იყვნენ. საუბრის თილისმა არ ელეოდათ.

ვილაცამ დარბაზის ზარი დააწვია. ექიმმა მეგობართან ბოდი-  
ში მოიხედა და აღისფერ ხავერდის ყდაში ჩასმული სურათების სქე-  
ლი რვეული მიაწოდა.

— სანამ ავადმყოფს გავისტუმრებ, გაერთე.

— მადლობთ! — უპასუხა მგოსანმა და, მარტოდ დარჩენილმა  
რვეული გადაშალა. ხელში მოხვდა რემბრანდტის „ქრისტეს ჯვარიდან  
გარდამოხსნის“ ფოტოასლი. ამ სურათით რემბრანდტმა თავისი ცხოვ-  
რება დახატა, ისიც ხომ ჯვარს აცვეს ამსტერდამელმა ვიგინდარებმა.

მავრამ შთამომავლობა, გარდა ორიოდ ადამიანისა, ოდესმე  
დაფიქრებულა დიდი ხელოვანის გამწარებულ არსებობაზე? არასოდეს!  
თუმცა, რა საჭიროა, ხალხს ისედაც უამრავი თავსამტვრევი და სატ-  
კივარი გააჩნია.

პოეტი სურათებს შლიდა. უცბად თვალი მოჰკრა ნაცნობი ხელით  
დაწერილ ბარათს. ელდამ შთანთქა მოსაზრების ნიშანწყალი.

პოეტი გარინდებული უცქეროდა ნაცნობ სტრიქონებს. ყრუდ  
დაიკვნესეს სიყმაწვილის მჩქეფარე მდინარესთან მუხლმოყრილმა  
დღეებმა.

აშრიალდა ფანჯარასთან მომდგარი ალვის ხეც და ფოთლნარა  
ტოტების ქნევით ძახილი დაუწყო ამღვრეული სიცოცხლის ფონზე მი-  
მავალ ლანდებს.

ნდობის და ნუგეშის ციალმა უკანასკნელი მშვიდობა უთხრა და-  
ღვრემილ პოეტს.

„სანამ ეს გული სცემს, სულ შენთან ვიქნები, ჩემო კარგო მეგო-  
ბარო! მე ხომ მუდამ შენს ზხას გავცქეროდი.“

მანანა ამ ხვაშიადს ხომ ოდესღაც მგოსანს სწერდა... ეხლა კი...  
ნუთუ, ეს ოხერი, ყველაფერი ეინის მოკვლაა ამ ქვეყანაზე? დაგელო-  
ცოს, ღმერთო, სამართალი!

ვერაგობამ გადაიხარხარა. მგოსანს ტანი აუჩქროლდა და მიმოზე-  
ბიან ლარნაკს მიაშტერდა. ჩემი მეგობრის ალალი გული იწოდა მანა-  
ნას ნაჩუქარ გიშერთან ერთად.

ხათუნასთან გატარებული საღამოები სადღაც ბუჩქის ჩრდილივით  
განაბლიყვნენ. საყვარელ ადგილებს გამოთხოვების ჯანლი ეტანებოდა.  
ჩუქურთმები სცვიოდით ხსოვნებს.

პოეტი მეგობარს ემშვიდობებოდა.

სახტად დარჩენილი მასპინძელი მოკრძალებით აცილებდა ჩათუთ-  
ქულ სტუმარს.

კოპწია მანანა კი უსურვაზით, ნარგიზებით და ყელ-ყელა იასამნე-

ბით აღეწილ აივანზე შარლ ბოდლერის „ბოროტების ყვავილებს“  
ფურცლავდა რატომღაც ხანდისხან ნაბავდა თვალებს.

ბილწი სიცოცხლე მეძავი ქალივით კისკისებდა მწვანე სუროს  
ჩრდილებით დატვირთულ მარმარილოს გამჭვირვალე მოაჯირზე.

მეორე დღეს მანანას სასთუმალთან ჩინური ფაიფურის ლარნაკზე  
მკედარი ჩიტივით ეგდო პოეტის დარდი:

შენ გიგროვებდი მთვარის ბულღლებს,  
ღამე თრთვილავდა გამოწვილ ხელებს,  
ნეტავ, რათ ვრგავდი შენს კულღლებში  
რუზე შექმეპკრთალ ციციანთელებს?!

რად გიყვებოდი მოქარგულ ზღაპარს,  
სადაც სიმღერა ფრუანტელს ერთვის...  
შენ ღვთისმშობელმა ხელით გატარა,  
მე კი სიზმრები მომქონდა შენთვის.

თეთრკაბა იებს რად წასკდათ ცრემლი,  
იქნებ მოსწყინდათ ჩვენი ფერება?...  
გარეთ ქარი ღვას ფეხის ცერებზე,  
უკან რად იხევეს ბედნიერება?..

რატომღაც მინდა კიდევ ვემოხვიო,  
ოდესღაც ჩემსკენ გამოწვილ ხელებს,  
საფლავთა მკერდი ამოუფთხარო,  
შენს თმებში მოკლულ ციციანთელებს.

ასე განუკითხავად ფეთქავდნენ პოეტის ფერწასული დღეები.

ლექსის ბოლოს ორიოდ წარწერა კიაფობდა: „რა ვუყოთ მერე,  
ჭირიმე შენი! რა დამავიწყებს ფარვანის ფრთებზე გადაწერილ შენს  
მწველ სიმღერას...“

იქვე ხელუხლებელი ლექსი სწუხდა როგორც გაქვავებული ტრფია-  
ლი.

წუხელის შენი სიზმრები ენახე,  
ლოვლივა ტბა და ნავი, მგოსნები,  
გადაბურღლი პალმებით ღამე  
და ოდნავ სველი კიპარისები.

რომ დაგეძებდი, ფოთლები მიხედნენ,  
მითხრეს, ვარდებმა კოცნით დალაღეს,  
ძლივს ჩაეძინა. მტრედებიც დასხდნენ  
და ნისკარტები ფრთებში დამალეს.

გულზელდაკრეფილ ძეგლებს ეღვიძათ.  
წარწერებს შლიდა შადრეენის ცვარი,  
ხეებს სიბნელე ძლივსდა ეჭირათ,  
ჰქუხდა ჩანჩქერი — ბაღების ზარი.

ინათლა უცხად, ამწვანდა არე,  
აგრილდა, ხის ქვეშ გაჩნდნენ ჩრდილები,  
მე ვნახე შენი სიზმრების ღამე  
და რომ გივლია ის ადგილები.

მანანას სახლის აივანზე სიჩუმე სუფევდა. ნიავეზე დაბუდებული ხეები ხანგამოშვებით კაკანებდნენ.

„ბოროტების ყვავილები“ კრიახიც მიმწყდარიყო და ლოფოთას დაბრეცილ ლეროებს შეხიზნებოდა.

შავი კატა ფეხაკრეფით ჩადიოდა ეკლარის ქვასავით დაფერილ კიბის საფეხურებს. კატის დანახვაზე ბალის კრიალა ბილიკები შიშით ძაგძაგებდნენ, სიმწრით წელში იგრინებოდნენ, რადგან მთელი არსებით სძულდათ იმის მწვანე და ბოროტი თვალები.

## ქ ა რ ა ბ მ ა

ბალდახინები რად ცეკვავდნენ თეთრ მანდილებით,  
როცა ღვთისმშობელს ზარის რეკით მოასვენებდნენ?

ერთ საღამოს მე და ჩემმა მეგობარმა ქალაქგარეთ გავისეირნეთ.

— ნეტავი სულ რაღაც მისტიურ ესკორიალებს არ აწყდებოდე! — წაველაპარაკე მგოსანს.

— ვერ გამოგია, რა გწადიან? — იუკადრისა პოეტმა, — რაღაც მიკიბულ-მოკიბულ ანდაზებს ჩმახავ, შენ თუ გგონია დიდ სიბრძნეს აფრქვევ!

— მე ის მინდა, რომ სულ ჯანდაბისკენ არ იცქირებოდე, და თავიპირი არ ჩამოგტიროდეს, — გაუგულისხმი მეგობარს და თავი ისე დავიჭირე, თითქოს სოკრატეს ნამოწაფარი ცუფილიყავი.

— შე უბედურო, შენა! — შემომიტია მგოსანმა, — პოეზია სიმინდის ქოჩოჩი როდია. ის გულამოსკენილი სიმღერა არის, ის ხელოვნების ცისკრის ციმციმზე და მარადისობის ატეხილ ზარების ჰანგებზე როკავს. პოეტი ქარივით ამოვარდება, რომ სამყაროს ნისლმოდებული კალთები შეამშრალოს. თუ გინდა დაუსაბამობის კიდევამდე გაუბი ყორე, ის თავის სწრაფვას როდი შეიცვლის, ის ქნარის სიმებს აგიწყრიალებს, თუ გაქვაგია.

— განა დიდიხანია, რაც მარადისობას ხელაღებით უარყოფდი? — შევახსენე.

— რასაც მწერალი ზმანების დროს წამოისვრის, განა დაკანონებული ჰეშმარტებაა?

— არც მიქარვა უნდა იყოს, — ვუბასუხე.

— რას ჩორკნი, რას კაფავ, ვერ გამიგია?! — არ მითმობდა. ასეთ კაცზე იტყვიან: მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო.

— დღეს რომ წამიკითხე, სინათლის კაფავა, აბა რა არის?

იმას მეკვრებისგან რაღაც უნდოდა,  
სტანჯავდა მიწა წელში მოხრილი,  
ის უუფრებდა სივრცეს უნდობლად  
და დადიოდა გულშემოყრილი.

მეგობარმა პასუხი არ გამცა უკან მიიხედა, მიდამოები დაზვერა და რომ დარწმუნდა, ქალაქს კარგ მანძილზე გავცილებოდი, განაგრძო:

ნაძვებს მიჰყავდათ ქარში უთუოდ,  
დაოსებული მარტოკა გღებით,  
სადღაც ქვასავით იღვა საწუთრო  
და გრიგალივით სუნთქავდნენ გზებში.

ის ტყვიასავით წაიღო ქარმა...  
დილით ცა ჩანდა გადანატეული,  
ნისლეთი იყო იმის ქარავმა  
და დედამიწა კი მთვარეული.

— განა ეს მიწიდან მოწყვეტა არის? — მეკითხებოდა პოეტი, — განა შემოქმედი ყოფის უხეირო მეზარე უნდა იყოს? თვით უკიდურესი სასოწარკვეთილებაც არ არსებობს ცხოვრების გარეშე, თუ დამიჯერებ ავადსახსენებელი განდევილობაც კაცთმდინარების ერთ-ერთი ტოტი იყო. შენ კი ნიადაგ ენა წამოგიგდია, რაღაც სისულელეებს მიკიეინებ და შენი აზროვნების ფუტურო მარგილებზე ჯაფარასავით ხტუნაობ.

სიჩუმე ვარჩიე. მართლაც, ძნელია მეგობარს უტატანო, როცა ის მოწყვეტილი ვარდივით თავის პანგების ლივლივში გდია, ანთებული სანთელივით იღვენთება და გესმის ცხელი წვეთების წკაპა-წყუბი საკუთარი გულის ემბაზში.

ჩემთვის დღესაც ქარავმად დარჩა: რად გასცქეროდა სივრცეს უნდობლად? რად დადიოდა გულშემოყრილი? ქარიშხლებივით რად სუნთქავდნენ ტიალი გზები?..

ჩემს ბინაზე დავბრუნდი. პოეტი ფერგამოცვლილ თრითინას ჰგავდა: საზღის პატრონს კილავდა, ხეალისთვის საპა...-ის წასვლის გეგმას ადგენდა, ათას შემთხვევებზე ოინბაზობდა... გულიანად ვიცი-ნოდით.

ზოგჯერ, შთავონებიდან გამოფხიზლებული პოეტი აუტანელია. ჩვეულებრივ მომაკვდავზე მეტს ამპარტანობს, ხანდისხან ისე აპარ-

ბებს, რომ ღირსეული საზოგადოება აღშფოთებული გაუბრუნდა. კარგი ბიჭი უნდა იყო, რომ პოეტმა თავისი ცხოვრებით თავი არ მოგაბეზროს. უნეტარესნო და უზენაესნო მკვლევარნო! რამდენს სცრუობთ თქვენი, სქელი ტომების ძონძებით, როგორ იოლად ცდილობთ შემოქმედის მუწუკების დაფარვას; ხან კი როგორ საძაგლად იღრინებით იქ, სადაც მარტო პოეზიის აჩრდილები ირხევიან, ხან როგორ რიოშივით იღრიჭებით ხელოვნების ფესხასხლეტ ცხოვრებაზე. ვინ მოსთვლის, რამდენი ტუტუცობა წამოგვიროშიათ შესანიშნავ ადამიანებზე...

თუმცა, რა ვუყოთ, მდინარების ლეგენდა დახლართულია. კაცობრიობის ისტორიის ხარვეზიან ლელეს ხომ ტყუილების წუმპეც ჩაუდის. მე და პოეტმა ქალაქის თამაში გავაბით. გარეთ წვიმა სცრიდა. ლაპარაკს და ჭიჭყინს ერთიმეორეს აღარ ვაცდიდით.

ღია ფანჯრიდან აყვავებული აკაციები ყვავის ქალს გაოცებულნი უცქეროდნენ. შავი ტუზი გაფითრებულ კუდიანივით მოკუნტულიყო, თითქოს რაღაცას კრუტუნებდა. წაბლისფერ მაგიდაზე ბინდში ამოვლებული ფოთოლთ ჩრდილები ქანაობდნენ.

### მ ს კ ი ზ ი

შენ ფოლები ქრისტეს ფარეშად  
და მე კი ბუღას მოჭამაგირედ.

ჩემს მეგობარს უცნაური სენი სჭირდა: სულ წანწალში სძვრებოდა სული. თავის ბინაზე იშვიათად დაიჭერდი. კარზე ისეთ ღროს მოგეჭრებოდა, როცა შუღამე გადასული იყო და გულის ძილში ნებივრობდი. აბა, ერთი ნუ გახედავდი, ისე მძლავრად დაგიკაქუნებდა ჭიშკარს, რომ, რაც არ უნდა დაშოშმინებული ადამიანი ყოფილიყავი, მაინც დაგაფეთებდა; სანამ კარებს ურღულს არ ახსნიდი, ფეხს არ მოიცვლიდა.

მეზობლები ბევრჯერ წამეკიდნენ:

„ვის დაჰკარგვია, ი, ვიღაც ოხერია, მოსვენებას რო არ გვაძლევს! ნუთუ, ერთი რიგიანი პანლური ვერ უთავაზე, რომ შუღამისას ბრაცუნს გადააჩვიო!“

„ერთი ჩემი ნაცნობი იყოს, — კაპასობდა მეორე ავი მდგმურთავანი, — და ეგრე უღროოდ მომადგეს, ისეთი ჭიტლაყი ამოვეუჭირო, რომ დაბადება იწყევლოს!“

მეზობლები როდი სტყუოდნენ, მაგრამ იმათ რა იცოდნენ კალაპოტიდან ამოვარდნილი და გზადაბნეული ადამიანის ბედი.

ენკენისთვის შავი კუნაპეტივით ლამე იდგა. წვიმდა კოკისპირულად. გარეთ ძალი არ გაიგდებოდა.

ამ თავსხმაში პოეტი მესტუმრა, ისე გაწუწულიყო თავით ფეხებამდე, რომ ოთახის იატაკზე წყლის გუბე დამიყენა.

— ყმაწვილო, ხომ არ გეწყინათ ჩემი მობრძანება? — შემეკითხა თავხედი კილოთი და წარბები შეიკუმუნხა.

— კიდევ რომ მეწყინოს, რა გენალვლება, ჩემს რჩევას შენ მაინც არაფრად ავლებ. რას ეჭიდები იმ ოხერ ღვინოს, ნუთუ იმდენი ნებისყოფა არ შეგწევს, რომ ლოთობას ორიოდე კვრით თავი აარიდო?.. ხედავ, რა საშინლად გაღეშილხარ, ფეხზე დგომა გიჭირს. ისიც კი მიკვირს ამ ავდარში და უკუნეთში ჩემს სახლს როგორ მოაგენი, — ვუსაყვედურე, თან ჩემი ძველი ტანისამოსი მივაწოდე, რომ გაზუნგლული ხალათი და საცვლები გამოეცვალა.

— რა დაგიშავე?... რად მლანძღავ? — გაიბუსხა მეგობარი.

— დიდება შენდა ღმერთო! ნუთუ არ გესმის, რაზე გვდავები? რად ატილებ შენს ცხოვრებას, რისთვის იღუპები, როგორც ქუჩის ბოგანო. რა ჭკუამ გაგიჭრა, რომ ასეთ ნიაღვარში აგიღია თავი და დაწრიალებ?

— მომწყდი, გეთაყვა! თორემ ჩემი გულის ნადებს, დღეს რო მოგიტანე, სულ ნაკუწ-ნაკუწად ვაქცევ. — ამის თქმა იყო და გატვინდა, ქვედა ტუჩი ჩიჩვირით ჩამოუშვა. სანამ ხელებს ვტაცებდი, უბიდან ამოღებული ნაწერი ნაფხრეწებად აქცია ის იყო, წინ უნდა გადავლობებოდი, რომ დაჰკრა ფეხი და ალანძული გარეთ გავარდა.

გავშრი! აღარ ვიცოდი, რა წყალს მივცემოდი. თავში ვირტყამდი. რად დავემდურე, რად ჩაუფძმარე ჩემთან მოსვლის ხალისი. დაყვავების ნაცვლად რად შევაშფოთე, ვფიქრობდი. ელდადაკრული მქეჭნიდა სინდისი, ჩემი ხეპრული საქციელის მრცხვენოდა.

ნახევებად ქცეულ ფურცლებს სათუთად ვკრფედი. გარეთ ქარი ასლოკინებდა. წვიმამ გადაიღო. განაბული მთვარე ღრუბლების ბუდრუგანაში შემძვრალიყო. ესკიზის ნაგლეჯები მაგიდაზე დავალაგე, სტრიქონი სტრიქონს მივუყენე და შევუდექი კითხვას.

გაბზარული ბჭკარები საფანტმორტყმული ბელურებივით ფართხალეზდნენ, მტუქსავდნენ და მისტიროდნენ შუალამის გზებზე მიმავალ ლექსების ფარეშს.

ესკიზი ასე იწყებოდა:

„შუალამის სანათურებიდან გადმოვარდნილი ქვენა ქარი საბერველივით უბერავდა ოდნავ მბუხტავ ქვეყნიერებას.

საღლაც, ხნიერი გამოქვაბულები განუწყვეტლივ უსტვენდნენ ფარლალა და ბუმბერაზ სივრცეებში.

ეკლესიის გალავანში ფეხშიშველი მლოცველები შეგროვილიყვნენ, თვალეზზე ხელებმიფარებულ მაცხოვარს რაღაცას ევედრებოდნენ.

ქარი მძვინვარებდა. მალალი ხეები გამალეზით იქნევდნენ კენწე-

როებს და საგულდაგულოდ ჰგვიდნენ კორიანტელში გახვეულ  
შეულობავ ეზოებს.

წარმავლობის შორეული მიჯნებიდან ვილაც იცქირებოდა, ის ბევ-  
რის მომსწრე იყო, იმან იცოდა: შექამღვრეული მთები ადამიანის გა-  
მოჩენაზე რომ იღრინებოდნენ, როგორ გაუბოლოდა დედამიწა ისტორიის  
მაცდურ ფურცლებს, როგორ დობლადა კაცობრიობა ღრჯოლებ-  
გადმოვარდნილ კერპებს, ავადმყოფებივით რომ ხიხინებდნენ ასეული  
წლების შარაგზებზე მიმავალი საუკუნენი.

ის, ეხლაც იყურება. ის, მისანია დასაბამსა და წარმავლობას შორის  
დასახლებული.

იმის ცხედარს დაწკრიანულ წუთისოფელში შემოასვენებენ  
გაფითრებული გრიგალები. ვილაც იგლოვებს და სანთლების წინ ჩუ-  
მად ჩაიწვება.

ასე ჩაივლის მისანის ბედი.

გოლგოთაზე ხის მძიმე ჯვარს ისევ აღმართავენ, ვით სამარადქამო  
მძევალს.

საიდანღაც, კიდევ შემოცვივდებიან ნისლებწამოსხმული საუკუნენი  
და ასე წარმავლობის ჩაქრობამდე, სამრეკლოების ძირში და მინარე-  
თებთან იყბედებენ:

ქრისტე, თუ ბუდა?  
ბუდა თუ ქრისტე?..

ამ სტრიქონებში ჩემი მეგობრის ბურუსი სთვლემდა. ის თითქოს  
ყველას ეკითხებოდა: ვინ დამიძახა დედამიწიდან?.. რა უნდოდათ  
ჩემგან?..

გული მეტკინა, რომ ჩემი პოეტი მარტო მივატოვე. როდილა დაეა-  
ხანე, საჩქაროდ მოვემზადე და გავწიე მეგობართან. ის რატომღაც თა-  
ვის ბინაზე მეგულეზოდა. მივდიოდი და ფეხები უკან მრჩებოდა, თან  
მიმქონდა იმის ნალვლიანი ნაწერი, ისეთივე დაძენილი და ნაწვიმარი,  
როგორც პოეტის ცხოვრება.

მთვარეს დაევახშმა, თუ კრუხივით დაექორჭლა და მის ფრთებ-  
ქვეშ ვარსკვლავებსაც შეებუდათ. სიბნელეს რომ შევერიე, ვილაც შო-  
რიახლო ამედევნა და შემომკივლა.

„წარმავლობამ არ ავიკვიატოს, თორემ თავის ნოტიო კედლებზე  
შემოგაწყვიტავს, ფრთხილად! ფეხი არ დაგიცდეს, არ ვადაეშვა  
სისხლდარეულ მდინარეში მეწამულის სათავეებიდან რომ მოქშუის.

— მგზავრო, მოიხედე! — მომძახოდა ეშმაკის კერძი— ხომ ხედავ,  
რა თავშისახლელად გაჩნდა კაცთმდინარება! არავინ იცის, როდის, ან  
საიდან შეესვენენ ადამიანები დედამიწას, არავინ იცის, საიდან შემოე-  
ხეტა ქამთასიავე, როდემდის იყურუტტებს, როდის გადაშენდება, რო-

დის ჩაიგდებს სამიწე ხმას, როდის დაუცხრება უკუღმართი თვალების ბღღვრიალი!.. წარმავლობის კრაზანებმა მოწამლეს ტვინი, თორემ გულს რა უჭირდა. ტვინმა დაღუპა ქრისტეც და ბუდაც. ტვინია ბედ-კრულ გულს რომ დასჩხავის თვალების შიგნით ურჩხულივით ჩაცუცქული და თავის ქალაში ჭორიკანა ფიქრების აბლაბუდას ქსელს რომ აბამს“.

მესმოდა ეს წყევლა. ნაბიჯს ვუჩქარებდი, ტანი მეჭინჭრებოდა. შიშით უკან როდილა ვიხედებოდი.

ჩემდა ჭირად, თითქოს წყვდიადის პიტალო კლდეზე სინათლეს ტვინი შეენთხია.

## ღრუბლიანი ტაროსი

დღე.. შენი განვლილი ცხოვრება,  
ღრუბლნარა ღამედ წარმომესახოს.

რაც დრო გადიოდა, ჩემი მეგობარი ქალაქის ჭუჭყში და ლაფში იძირებოდა. ულუქმაპურობა, სილატაკე იმისი განუშორებელი მხლებლები იყვნენ. ბინის პატრონი გამოსახლებით ემუჭრებოდა. ჩემნაირი ხელმოკლე მზრუნველი შეძლებასდარად ვეწეოდი, მაგრამ მოიხელთებდა თუ არა ორიოდე თუმანს, ისე უცბად გააქრობდა წყეულ ღვინის სარდაფში, რომ ხვალინდელი დღისათვის განხრეტილი შაურიანიც აღარ რჩებოდა.

აწეწილ, უყაირათო ცხოვრებას ჩაეკლა. გადავწყვიტე, სადმე იოლ სამუშაოზე მომეწყო, იქნებ საკუთარი ოფლით მომცკრეული ხელფასი როგორ დაეზოგა, ჩემი განზრახვა გაევანდე: ბიჭო! გეყო ლაწლაწი, დადექი სამუშაოზე, პატარა ხელს მოინაცვლებ-მეთქი, ისიც ხალისით დამთანხმდა.

— მართლაც, ყასბის ძალივით როდემდის უნდა ვეგდო სხვის ნასუფრალზე? კმარა, გზადაბნეულ სიცოცხლეს უნდა დავემშვიდობო, — კვერი დამიკრა მეგობარმა.

ჩემი ქველმოქმედი ნაცნობის მეოხებით მოვაწყეთ ზომა-წონის პალატაში დამხმარე რეგისტრატორად. პირველ ხანებში სამსახურში იმის ღროზე გამოცხადებას და მიცემულ დავალების პირნათლად შესრულებას კარგი პირი უჩანდა, თითქოს მოიტეხინა.. მაგრამ, ხუთი თვის შემდეგ, სამუშაოზე გული თანდათან აიკრუა: აიყარა. ყოველ დილით იგვიანებდა, ძილს იპრტყელებდა. დაგროვილ საქმეს ხვალზე-გისათვის იტოვებდა. ბოლოს იმდენად გაკადნიერდა, რომ ხანდისხან მთვრალიც შებარბაცდებოდა ხოლმე თავის უფროსთან.

ერთ დღეს ჩემი ნაცნობი საგანგებოდ მესტუმრა და ასე მისაყვედურა: „დიდ ბოდიშს ვიხდი, მომიტევეთ, თქვენს მეგობარს ვერას-



გზით ველარ გამოვესარჩლები. რა მიდრეკილების კაცია ვერ გავიგე, სხვა არა იყვეს რა, მუშაკები დასცინიან, ქოთქოთებენ, ნიშნს მიგებენ ამას წინათ, ჩემმა საქმეთა მმართველმა, იმის საწერ მაგიდაზე რალაც ლექსი იპოვნა უნდა გეყურებინათ და თქვენს ბედნიერ ყურებს მოესმინათ, რა აურზაური ასტეხეს: ჩვენი რეგისტრატორი პოეტობანას თამაშობსო!..

რამდენჯერ დავარიგე: ყმაწვილო! ასე არ ვარგა, მეთქი! მაგრამ, შენც არ მომიკვდე, პირჯვარი ვერ დაწვერე! ის, მაინც თავისას ბუქნავს, გულს არაფერს არ უდებს. აინუნში არავის აგდებს, რაც არ უნდა უთხრა, ყურს არ გაიბერტყავს. ყველაფერს მიქარწყლებს, პირდაპირ შევჯერდი, სანამ უარეს ფათერაქს გადაჰკიდებს, ნუ გეწყინებათ და თქვენს მეგობარს ხვალიდან სამუშაოდან ვანთავისუფლებ. ისიც იცოდეთ: რომ იმის მოთოკვას მე კი არა, მრისხანე იოანეც ვერ შესძლებდა ბოლოს ცხვირში ამოირტყამს, მაგრამ გვიან იქნება“.

ამ სიტყვებით დამემშვიდობა ჩემი კეთილი ნაცნობი. ვიდექი ფანჯარასთან და უაზროდ გავცქეროდი ქალაქის დაუშრეტელ მოძრაობას. ზამთარი კარზე იყო მომდგარი, საცაა თოვლს ჩამოჰყრიდა. მეგობარი შებრალებოდა. განა იმაზე მეტი საცოდაობა შეიძლებოდა, როცა გაჩანაგების გზაზე მისულ მოყვას ყოველნაირად ელოლიავები, ეხმარები, უფრთხილდები, ექომადები, ზედ აკვდები, მაგრამ მაინც ხელიდან გისხლტება და ნაფეხურებსლა შესტირი იმის დაბრუნებას. თუ ნაფეხურებიც ქარმა წამოკრიფა, აი, მაშინ ნახე სეირი!

ამინდები გართულდნენ. მოურჯულელებლმა, დაუდევარმა პოეტმა არარაობის ტიალ, ლარტაფიან გზებზე გაუტია, იქ, სადაც უმადური ღლეები ჩიფჩიფებენ.

დაღმართზე თავს ველარ იჭერდა, ძალა აღარ შესწევდა თითქოს ქარში რჩებოდა ავდრის ჭოჭივით. თავის ანგრეულ ცხოვრებას ველარ ურიგდებოდა. არ ვიცი, რა ვარსკვლავზედ იყო დაბადებული, ანდა რა ყალიბიდან იყო ჩამოსხმული.

მომავონდა ხსოვნების ღველფში დამარხული პოეტის ლექსი, თავის სანატრელ ადამიანს რომ უძღვნა:

ქვეყნიერებას უცქეროდი ათასნაირად,  
წარმართ თვალებზე ქრისტეს წყევლა გქონდა აკრული,  
მთვარე დაისით გავითიბია, როგორც ღაირა,  
და ანგელოზებს ულანძიხარ მუხლებლაზრული.

ბნელ გეთსიზანის ბღში დიდხანს ტრუბადურობდი,  
ღმერთების ჯოგი გოლგოთაზედ გელანდებოდა,  
დასწყევლოს ქირმა, რალა ნისლეს დაუმეგობრდი,  
თუ არ იცოდი, საღ ინათლა, საღ ბნელდებოდა!

რა საოცარი იყო შენი მზადისობაც,  
დევნილ სიცოცხლეს ბნელ სიზმრების ჩანყი მალავდა.  
დრო საუკუნის ჯახა-ჯუხში ჩაბრუნება,  
და ეგ ცხოვრებაც მოთავდობა, როგორც ბალადა.

ძლივს დარწმუნდები, რომ შენ ჯვარცმაც კი არ გწყალობდა,  
ბედს ნულარ ერჩი, თუ ლოდებმა ამოიხრეს,  
იტყვიან: ნეტავ დაგენახათ, როგორ წვალობდა,  
სანამ დარდებმა საცოდავი სული არ გამოხრეს.

ეხლა დადიხარ და ხეებსაც კი ერიდები,  
ხან არც კი გინდა, რომ ბინაში შემოგყვეს ჩრდილი,  
ცოტა ხანს კიდევ.., იმის მერე. რომ დაბერდები,  
ეგ თავის ქალა კლდეს ექნება პირში გაჩრილი.

და შენს ხერხემალს სალამურად გამოიყენებს,  
არმაზის კერპი, ან ქარების ტალი დოლი,  
სანამ გრივალებს შენა ძელებს კვერთხით დააყრვეინებს,  
გოლგოთის მთიდან მორეკილი ღმერთების ჯოგი.

ჩემო მეგობარო! ამ სტრიქონების შემდეგ მე მავიწყდება შენი  
ბრმა ბედისგან გაუცინარი, ზარდამცემი და გამხმარ კლერტოსავეით  
გადაქცეული არსებობა. ალალი იყვეს და უსაყვედურო შენი აფორია-  
ქებული სიცოცხლე. როდილა მეცოდები, რატომღაც მინდა, რომ სულ  
ეგრე იფუფქებოდე. შენ რომ ქვესკნელს შეგასხან, ალბათ იქაც იკამკა-  
მებ.

სასაფლაოზე როცა ფარდებს დაუშვებენ, როცა შენი ცხოვრების  
უკანასკნელი გულისცემა შეწყდება, ეგ თავის ქალა, ფერადი ფიქრების  
ნისკარტებით გამოფულრული, უღრანი მთების სალ კლდეებს ნიანგი-  
ვით პირში ექნებათ გაჩრილი, როგორც უდაბნოს ფაფარაყრილ ქარი-  
შხლებს.

რამდენი ნადირი დასუნავს შენი წამებული სხეულის ჩინჩხვარს  
და პოეზიის გულთმისნობით შერყეული ხმაგაკმენდილ სოფლებისკენ  
გაიყმუილებს.

როცა აისის შუქი ნალვერდალივით დაეცემა ჯვრის მონასტერს, არ-  
მაზის კერპი სალამურზე წარმართთა ფერხულს დაუკრავს და ბაგინეთის  
ვარდისფერ ფილაქანზე თეთრი მარმამებიანი პიტიახშების ქალწულები  
იცეკვებენ.

უფლისწულების ყიყინა, დაოთხილი შეგვკრემანი ბედაურების  
თქარათქური მზეს ქარბუჭივით მიეჭრება დასატყვევებლად...

ციცაბო შეღმართებზე ფაფარაყრილი ცხენებით აფრინდებიან

ქურუმები, რათა დაესწრონ არმაზის ლოცვას და თმებჩამოშლილი წარ-  
მართების ხელების სავსავს.

ზევახი, შენს ხერხემალს რომ ველარ ჩაბერავს, ფეხის მუხლზე  
ჩუმად გადაიმტვრევს და შენს მიმავალ ლანდს კოდმანის კლდეებიდან  
გადაპყვირებს: ალტქმა, მეგობარო, ალტქმა არ დაგავიწყდეს!

არტახებში ჩაკრულ ბანგმორეულ ორეულს მგოსანი გადახვეოდა  
და გაშმაგებით უკოცნიდა სევდის ნავლისგან ამღვრეულ თვალებს.

პოეზიის აკენის უღელზე მარცხენა მკლავით დაყრდნობილი  
ღვთისმშობელი იავნანას მღეროდა და საგოგავეები ბანს აძლევ-  
დნენ.

უნაბის ხეების გასწვრივ, თეთრად გადაპენტილ კორღზედ წმინდა  
ნინოს ცრემლები ბრწყინავდნენ, როგორც დამსხვრეული ჯვრის  
ნაკუწები, თითქოს უდაბნოში გადახვეწილი ნინოს მშობლების მდულა-  
რება მოეტანათ იერუსალიმიდან წამოსულ ღრუბლებს.

გაშლილ ალუჩებს კი შესეოდა ლექსების გუნდი და აი, საცაა  
გადაფრენას აპირებდა ბოდბის მონასტერში, იქ, სადაც განისვენებს  
კაბადოკიელი ქალწული.

### მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე

...და ბრუციანი დედამიწა შექს იმათხოვრებს.

ჩვენი პოეტი მეგობრობდა ჭალარაშერთულ მეწისქვილესთან.  
ქართული წისქვილი სოფლის განაპირას იყო ჩადგმული. დღედაღამ  
როხროხებდა, ბორგავდა, კორიკაობდა. ხის ღარით მოვარდნილ წყალზე  
საამურად ჩხრიალებდნენ ჩარხის ფრთები.

მოზრდილი რუ, ანჩხლი მდინარის ტოტიდან რომ გადმოგედოთ,  
მძიმედ მიიზღაზნებოდა ხშირ ვენახებსა და დაბურულ ბაღებს შორის.

ანდრიას წისქვილში ყოფნა დედის კალთასავით უყვარდა, იცოდა  
ადამ და ევას დროინდელი ზღაპრები, არაკები, მაგრამ ბოლომდე არც  
ერთი, ხშირად შუა ზღაპარში ხმა მიეღეოდა და ისეთ ხრიალს ამოუ-  
შვებდა, იტყოდი: ყელზე ბებუთი დააჭირესო. ყურმიგდებულ მესა-  
ფქვავენი კი სიცილით იგუღებოდნენ.

ანგარიშში ანდრია ნამდვილი ბეყეყა იყო — ასამდე რის ვაივაგ-  
ლახით ითვლიდა. როცა ბელელში მინდს ჩაყრიდა, წიფელას დედა-  
ბოძის წახნაგზე, წისქვილის ქერს შუაგულში რომ ჰქონდა შედგმული,  
ჯიბის სასხლავი დანით ჰდებებს უკეთებდა. წისქვილის ქვებს თითონვე  
კოდავდა. ხრილს თავის დედაკაცს გამოაცხობინებდა, ქვევარში ჩაუძა-  
ხებდა, ამოხელავდა, ალაოს ჩაუკიდებდა. საარაყე ქვაბი თავის ზარფუ-  
შით და გეჯათი საბძელში ჰქონდა გადამალული, რომ ონავარ ბოქაულს  
ან დაბეგვრის უწყების მოხელეს არ შეენიშნა.

ანდრია ღვთისნიერი და ბადაგივით გულის კაცი იყო. უყვარდა ანდური და შაირები. წყარიალა ხმა, მოქიკვიკე ფრინველების სადარი სენა განგების ძალას მიემადლებინა, იმის სიმღერა თითქოს წისქვილის კლურებსაც გადასდებოდათ. ის ცხოვრებისაგან, ხარბი კაცივით, ქროთი მოოქვილ სრა-სასახლეებს როდი თხოულობდა, ანდა რა ჭირად ენდოდა, როცა დოლაბის ხმაური, წყლის ჩქაფა-ჩქუფი, ზვიმირას დაგდავი ნეტარებად მიაჩნდა.

ჯილა ანდრია წვრილფეხა თვალის ჩამკრავი იყო. სოფელში ხმა ჰქონდა დარხელი: რომელი ქალიც ანდრიასთან საფეკავს მიიტანს, იქიდან ლეჩაქახდელი დაბრუნდებაო! რა თქმა უნდა, ამლაშებდნენ.

ანდრიას საგულდაგულო მქირდავი ჯეკუტაანთ სქელგავა, კოჭლი მაკრინე ბრძანდებოდა. ოღონდ ყურში საყბედი რამ ჩასწვეთოდა, ოდნავი ჭორისთვის ყური მოეკრა, ერთი ათასად გადააქცევდა; წანკლი-ან ენას უბან-უბან ახრიალებდა, ატარტარებდა, კარიდან კარზე დაბრ-ძუნობდა, ხელებს ყანჩას ფრთებივით იქნევდა. გამვლელს არ გაუშვებდა, რომ არ ჩაეკიწიწიებინა:

— ქაა, რა გავიგე! ი ქოფაკ ანდრიას რა უქნია!.. უი... უი... მიწამ კი უყოს პირი, აჰანდეე!.. — ტლიკინებდა ფლოხვე მაკრინე, სახეზე ჭორფლი ვაზის ჭრაქივით მოჰკიდებოდა.

ანდრია კბილებს ილესავდა და შუაკაცის პირით უთვლიდა ენაქარტალას:

— მაკრინე! რატო არ დამეხსნები? რას გადამეკიდე, რა ყბა დამადგი, კაცმა რო სთქვას, რას შემომიჩნდი? ქვეყანას რაზე მიყრი? ენა მუცელში ჩაიგდე, მოთმინებიდან ნუ გამომიყვან, თორემ ი ცხონებულ მამაჩემის სულს გეფიცები, არ ვიცი რას გიზამ!

რამდენი გენიოსი გადაიყოლა ქალების სიკეკლუცემ და ავხორცობამ, ნუთუ ანდრიას არ უნდა ეპატიოს, თუ სადღაც ფეხი წაუცდა, წაბორძიკდა, ლამაზმანებს გაეთამაშა და ფუტკარივით წუწნა დაუწყო თავაწყვეტილ დღეებს?..

ზოგიერთმა ცვედანმა და ქალაჩუნამ ვითომც და ზნეობის დასაცავად რალაც ჩიფლიფა მედავითნეობა წამოიწყო, კაცი და ქალი ცხრა დღის სავალზე დააშორა.

იმას მოგახსენებდით, ანდრია ხშირად დამღეროდა თავის ფანდურს:

სირცხვილი იმ გუთნის დედას,  
მამა-პაპის საფლავს ხნადეს,  
ამხანაგის მოლაატეს  
დამმარხველი არა ყამდეს.

„გაიხარე ანდრია, იცოცხლე სენნი!..“ — შესძახოდნენ მესაფქვა-ვენი.

რა ჯილაგის, რა ყაიდის ხალხი არ გინდა, რომ წისქვილში არ იდგეს ოდა: გაძვალტყავებული გლეხკაცი შინ დაცემულ ხაში ხარის ტყავიდან ამოსხმული ჭვინტმოგრებილი ქალამნებით, შემოფლეთილი მახარით, გაცრეცილი ნაბდის ქუდით, ხელის გულზე მსხვილი ბებერები რომ დაკოყრებოდა, ცერის სახსარში და ნუნებში ჯაფის ოფლი რო ჩაჰკდომოდა, უხეიროდ გაბარჯლული წვერ-უღვაშით, ლაღე პაიჭის პაჭანაგიდან ამოჩრილი შარვლის ტოტით; ქვრივ-ობრებს ორიოდ ჩანახი ქერ-ქრელი, მხარზე შედგმული, შორი გზიდან რომ მოეტანათ. ფეხშიშველა ობლებს დაჩაგრული სახით და ნაღვლიანი თვალებით: შეძლებულ ბობოლა გლეხს მკერდგახსნილი ფარაჯით, ყაითნის ძაფით მოქარგული ქუდით, სახიანი წინდებით, ლამაზი ლეკვერთებით, ბაზრის ჩუსტებით, იფნის სახრეთი ილიაში ამოჩრილს, თავის ბეჩაგ მოჯამავირეს უწმაწური სიტყვებით რომ უმასპინძლდებოდა.

წისქვილში ნიადაგ ჰრავი ენთო, რადგან რუს პირზე დატანებული მომცრო ფანჯრის მინა საფეკავის მტვერს ისე აეჭოლა, რომ დღის შუქი ბრუციან კატასავით იცქირებოდა. თუ მზიანი ამინდი გამოჩნდებოდა, წისქვილის კარს ღიას სტოვებდნენ.

ზამთარში ხომ გაძალღებული იყო წუთისოფელი. ქარები ცის ტაფობში ჩაშლილ ღრუბლებს ნიადაგ უქცევდნენ და ცივი კორიანტელი ისედაც დაღეულ მზეს აბნელებდა. ყინულით შეჭირბლული წისქვილი ენა ჩაეარდნილი კაცივით იღვა. სიბი ქვისაგან თავშემოვლებულ ბუხარს აახრჩოლებდნენ, წინ კოხებამოცვენილი კევრი, ყურმოტეხილი ჩაფი და ორიოდ დაკორკნილი კუნძი ეგდო.

შეშის სიმცირის გამო ზანტად მოშოშინე ბუხარს ნეღლი თუთის ტოტებს და სარის ნაჩეკს უკეთებდნენ.

„თვალეზი დამეთხარა, ამ ოხერა ბუხრის ბერვითა!“ — იტყოდა ხოლმე გაცეცხლებული ანდრია. თუ ღამეს ზამთრის ყინვა მოუჭერდა რუ იყინებოდა, იყინებოდა წყლის გადასაგდებიც, ჩარხიც და ყინულის ვეებერთელა ლოლუები ანდრიას გუნებას უმღვრევდა.

„ბიჭო, მოიტა ი, ოხრად დასარჩენი ნაჯახი. ე, ვერანა უნ-ული მაინც ამოვჩეხოთ!“ ვასძახებდა დილაადრიან გამწარებული ანდრია თავის მმისწულს, წისქვილში ხშირად რომ ეხმარებოდა.

შემოდგომის პირი კი ერთ სიცოცხლედ ღირდა. მაწიერი ჰაერი და ბალ-ვენახების დოვლათი უხვ სურნელებას აფრქვევდა. წისქვილი ჩხრიალებდა. ციბრუტივით ბზრიალა დოლაბი სარეკელას ეჯობებოდა, ხმაურობდა. ამ დროს წისქვილთან ჩახერგილი ურმების ზედახორა იღვა: ზოგი კონკილაზე შეეყენებინათ, ზოგი ხელნის თათებზე დაცემული ეგდო — მოღრეცილი უღლებით, მკვრივი ტაბიკებით, ხაოიანი აპეურებით, გაურანდავი და დაჩორკნილი ლართებით, კალუმზე დაკიდულ კამეჩის რქის სასაპნეებით, წელამდე ტალახში ამოსვრილი

თვლებით, ბარდანებით, თოფრებით ერთიმეორეზე მიდგმული ჰირანხუ-  
ლით გატიკნული ფარდაგის პირი მსხვილი ბაწრით რომ მოეკოჭათ.

წისქვილის ირგვლივ, სახლების ბანზე და ზოგან ჯინის სახურავებ-  
ზედაც ბოსტნის კვლებივით გაფენილ ლასტებზე, ჩელტებზე, სახლებზე  
ქლიავის, ქანჭურის, ალიბუხარის, გაიპარას და სახლეჩი ატმის ჩირი  
მოსჩანდა; ზოგიერთი სხვენიდან ახროვილი ყვითელი გოგარები, კომშის,  
ყურძნის ჯაგნები და წითელი წიწაკის ასხმულები, ნივრის გალები იმ-  
ზირებოდნენ; მახლობელ დერეფნებიდან ბოძების სიმალლეზე გადებულ  
სარზე ჩამოკონწივალბული ჩურჩხელები და დამკრახული ხილი ანდა-  
მატივით იზიდავდა ბაღების თვალებს.

წისქვილის ეზო ახელილი იყო ლაფიანი ხრეშით, კეჭეჭით, ფიჩხის  
ნამტვრევებით, ჩალის, თივის და ჩენჩოს ნარჩენებით. საჩხის გვერდით  
მანჭვებმოგრეხილი გუთანი, ცალთვალა ღერწყალა, ბუჩოთი ამოსვრილი  
გოგორები, მომტვრეული აჩაჩა და ძველი დაცხვირული ფიჭვის კოტ-  
რები ეყარა.

„ნიკორა, მიდი, ისე!.. შე ვერანა, იქით მიდექ!..“ ისმოდა წისქვილის  
ბოსლიდან მესაფქვავეთა ტევა, უღელართულ ხარ-კამეჩს ბაგაში ბზეს,  
ფუჩეჩს და უჯრებელს რომ უყრიდნენ. ზოგი ზღვეს პატივისაგან  
ასუფთავებდა — სანაწყლიდან სანათურის ძირში ხვეტავდა, რომ სიბინ-  
ძურეს პირუტყვი არ შეეწუხებინა. ბოსლის თავში ორ კედელშუა უძრა-  
ვი განიერი ტახტი ჩაეჭედათ, ზედ ქუქყიანი და დაძენძილი ჰილობი  
გაეშალათ, ამ საფენზე წაეყრებოდნენ ხოლმე მგზავრობით დაღლილი  
მესაფქვავენი. არ გეგონოთ ვირთაგვების ფხაკა-ფხუკი და ფართხუნი  
შეაწუხებდათ.

ბანჯგვლიანი და კულდამშვენებული ნაგაზები უმიზნოდ დაძუნძუ-  
ლებდნენ, უცხო ადამიანებს ცბიერი თვალით უყურებდნენ, მერე თავს  
დაუშვებდნენ და ურმის ქვეშ იკუნტებოდნენ. მხოლოდ შინაური თო-  
ლია ამპარტანობდა, უსაბაბოდ ყეფდა, იღრინებოდა, სანამ გაბეზრე-  
ბული ანდრია არ დაუცაცხანებდა: „თათა! აზგამო, შე ოხერო!..“

ანდრიას ჩვეულებად ჰქონდა, ყოველ ღამე ანთებული კვარით ხელ-  
ში წისქვილიდან რამდენჯერმე გარეთ უნდა გასულიყო, ღარის პეშის-  
თვის დაეხედნა და ბუტბუტით ისევ შემობრუნებულიყო წისქვილში.

რუს პირზე ჩარიგებული ტირიფის და წნორის ხეები მოუსვენარ  
ანდრიას ღიმილზე სცნობდნენ, სიბნელეში ტოტებს ერთიმეორეს უცა-  
ცუნებდნენ.

კვარის შუქის უკან გადავარდნილ ანდრიას ჩრდილს ონავარი ალი  
ადევნებოდა, ხან წინ ჩაუბუქნიდა, ხან წივილით გვერდზე გაუხტებოდა,  
ხან რუში ისკუბებდა და ერთ ჭყაპაჭყუპს ასტენდა, ხან წისქვილში  
ფეხდაფეხ შეყვებოდა, უეცრად გადაიკისკისებდა და ვარეთ გავარდე-  
ბოდა ხნიერი კაკლის ხეების ხარხარში.



„ეგ ენა ჩაგიწყდეს!“ — მიაძახებდა ხოლმე დაფეთებული ანდრია.  
 „რა დაგემართა, ანდრია?“ — ეკითხებოდნენ კუთხეში მიყუჩული მესაფქვავენი.

„ერთი აჯამი, ი ოხერი წყლის ალი ამედევნა, რა უნდა წყუელსა, რო არ ვიცი?..“ — დუღლუნებდა ანდრია.

„მერედა შენებურად ვერ იფრინე? შიგ ყბაში ერთი რიგიანადა ვერა სტიციე, რა მზეთუნახავივით შემოგკედლებია!“ — ილიმებოდნენ მესაფქვავენი.

„ვერ ვიხელთე ი, ჩემი ცოდვით სამსეი, თორემა გააქვს წყალობა, იმას დავამუყუებდი და დავუფრთხობდი მოსვენებას. არა, ქარქოსანთ თეკლეს უნდა ვამკითხვინო ნაღდად, ჩემი ჭელები აღგია, მწვანე თვალებს რო შემომინათებს ხოლმე, ლამის არის ჩემი დამემართოს. ამას წინათა რუს სათავესთანა თმებჩამოშლილი შემეფეთა და ცაცია ხელითა ახალუხზე ისე დამებლუჭა, რომა ძლივს-ძლივობით დავისხენი თავი. ნეტაი, ამ წისქვილს არ შემოჩვეოდა და თუ გინდა ცეცხლს გადაებლუჯა აქაურობაი“, — ნაღვლობდა მოხუცი.

„ეჰ, ანდრია, მოგცლია შენცა. რა ციებ-ცხელებას აუტანიხარ, აბა რასა ბრძანებ? რალა დროს ალი და ჭინკებია, ადამიანი ჭინკაზე უარესია!“ — ამშვიდებდა ანდრიას ღიმგადაკრული ჩოფურა გლეხკაცი, თან კეთვას ყასიდად იფხანდა.

„რა ვქნა ჩემი შექედილი ხატისა მე არ ვიცი... არა მინდა რა, ერთი შენ შეგეჩეხოს, ე რუს პირზე გადაგელობოს, მაშინ ნახამდი შენს სეირსა, აქ კი ნუკი ფაფხურობ!“ — ბურტყუნებდა ანდრია მესაფქვავეთა ხარხარში.

„ადექი, ბარელამა, ძია კაცო, შენცა და ერთი გიდელა ხვრიში მარილი მოუპნიე, ნახე თუ არ გადაშენდეს ი შენი ალი!“ — ეხუმრებოდა ანდრიას უფლისციხელი იოსება.

„როდის გადაშავდება, როდინობის კვირაში? აცე, ვირო, ნუ მოკვდები, ალავერდი გელირსებაო! მე კი გამათავა და!..“ — პასუხობდა შემინებული მეწისქვილე.

კაევიით ანდრია საფქვავეს ერთს კიდევ დახედავდა. მერე თავის ტყაბუჭაზე მიწვებოდა, თვალს მოატყუებდა, ბურანს შეერეოდა, ათასნაირი სურათები ეზმანებოდა, წისქვილის ძიგძიგსა და ტაკატუკს გედის სიმღერასავით უსმენდა.

დაწმენდილი ღვინობისთვის დილა კამკამებდა. ქოჩორა თანდილამ საიდანლაც ამოირბინა და ვენახის ღობიდან გადმოსძახა ანდრიას:

— ძია ანდრია! თქვენებიანთ თაყინას ბიჭი ჩამოვიდა, ჭვევით უბანშია ხეჩიკაანთ თედოსთანა, შემოგიტვალა: მალე ამოვალო!

— აი, ბარაქალა, ჩემო თანდილა! მოდი სამახარობლოდ თურაშა-ულის ვაშლი გითავაზო, წელან რუში დავიჭირეი. შეხე რა ატლასივით დაბრაწულია.

— მაღლობთ, ძია ანდრია! — კმაყოფილების იერმა გადაჰკრა ფეხმარდ თანდილას და ვაშლის კბეჩით ლობეს მიეფარა.

— ვინ გეწვია? — შეეკითხა ანდრიას ჩუმჩუმელა ლინდრია.

— ჩვენი მოკეთეა. იმასთან მუსაიფი ერთ რამეთ მიღირს, ნათელი დაადგეს იმის განსვენებულ მამასა, ფხიანი და ომახიანი კაცი იყო; პურს მარტო არ გადატეხდა, ღვინის ჭიქას უამხანაგოდ არ მოწრუპავდა, ურიგო სიტყვას არ შეგახვედრებდა; ცხოვრების შნოც გააჩნდა და მოხერხებოცა.

— გამარჯობა, ბიძა ჩემო, — მიესალმა თავზე წამომდგარი პოეტი ანდრიას და ყელზე მოეხვია.

— შენი ჭირიმე, შენი! რად ამოიკვეთე ფეხი, სადა ხარ სადა?! ესე არ ამცხადებია წუხანდელი სიზმარი, როგორც ეხლა, — ჩაიხუტა ანდრიამ და ცრემლები წამოყარა.

— ეჰ, რამდენი ხანია არ დავმტკბარვარ შენი ბაასით. — მიუგო პოეტმა.

— აბა, აბა, შევილო! ცხოვრებამ ასე იცის, ხან სად მიგაყუდებს, ხან სად აგასორსოლავებს, ხან სადა...

ანდრიამ ხელით ანიშნა და ორიენი წისქვილის კედელთან მიგდებულ ბრტყელ ქვაზე ჩამოსხდნენ.

— სხვა როგორ, გიკითხოთ ძია ანდრია?

— რა მიჭირს, ცოტა სიბერე წამომეწია. — ანდრია ცოტა ხანს დადუმდა და განაგრძო, — შენ კი, რალაც შეწუხებულხარ... ეს ოხერი ნათხოვარი წუთისოფელი ადამიანმა დახრა, აბა რალა გამოსადევია. — ამოიოხრა აწყდრიამ.

— რას იზამ, ბიძია, გამოხრულ ძელებს, რო მინც ეტანებთან?

— ადამიანი ხარბია, შევილო! ყველაფერზე მგელივით მიიწევს. — წარმოსთქვა ანდრიამ, თან მარჯვენა ხელით ცინგლი მოიწმინდა და შარვლის თეძოზე აიგლისა.

— ადამიანი რა დიადია და რა ბოროტი, არა ძია ანდრია?

— ვერა ხედავ ადამიანებმა ერთმანეთი როგორ აითვალისწუნეს? კაცი კაცს გადაემტერა, ერთმანეთს აციმბირებენ, ყელში დასახრჩობად ვარდებიან, წეწავენ. ზურგს უკან საფლავს უთხრიან. — ანდრიამ საბძლის წინ დაფრენილ ჩიტებზე მიუთითა, — ერთი შეხებ ბელურებს... წელიწადი თორმეტი თვეა ამათი შემაცქერალი ვარ და ჯერ არ მინახია, რომა ბელურამ ბელურა მოჰკლას, ისიც არ გამიგია, დათვმა დათვი დაგლიჯოს, ანდა სუნის თავიდან მერდევანზე დააგოროს. ჩვენ კი ლამის არის ადამიანის ხორცის ჭამა დავიწყოთ. თქვენი ბრალიც არის, შევილო, ნაპტაელმა ხალხმა რა არ მოიგონეთ, რო ქვეყანა აამტუტოთ და ამოწყვიტოთ. თუ წინათა ხმალდახმალ გადავიპრებოდით ხოლმე, ეხლა



ზარბაზნებო, ჰაეროპლანიო, პულიმენტრიო და რა ვიცი, რა ჯანდაბა და დოზანა არ შემოიღეთ!...

— კაცის ადათი, ალბათ ასეთი ყოფილა, ბიძაჩემო...

— ადათი კი არა, ადამიანი რქენია ცხოველია, ნახე თუ დედამიწაც არ გადაიციდოს... ფშუტია და ჭიანჭაში ჩვენი ცხოვრებაი. აი, და... და... და... და! რა დრო შეგვესწრო, — ამოიკვენესა ანდრიამ.

ამ დროს საბძლის უკან დაბმულმა ხოხიას სახედარმა დაიყოყინა.

— ზოგიერთი ადამიანებიც ეგვრე ყოყინებენ, — ჩაილაპარაკა ანდრიამ და წისქვილის ზარმა დოლაბზე უწესრიგო წყარუნი ასტეხა.

— წრუტაანთ გივას საფქვავეი ჩამოვიდა. — ჩაილაპარაკა ანდრიამ და წისქვილში შევიდა.

— მიხა, შენი ჯერია, საფქვავეი დააყარე! — გასძახა ანდრიამ, მხარეთქობზე წამოწოლილ, სახედაცენკილ, იქვე მთვლემარე მიხას და ხეიმირაში ჩაიხელა.

— შენ იცი, ჩვენო ანდრია, ნაოფლარი თაეთუხი საგულდაგულოთ დამიფქვი, ე, მანდ არ დამიღერლო! — ახმაურდა ტანდალეული მიხა.

წისქვილის ჩრდილი რუს დასცემოდა და ბოლოქანქარა, წანწყარა ჩიტი უსუსურ ტალღებს ეალერსებოდა.

პოეტი გარეთ იჯდა, გულის შუქი მკერდიდან ყონავდა. შეჰყურებდა ბოლო აწეულ ურმებს, ნებივრად დაყრილ ხარ-კამეჩს, ქვედა ყბის გალეული კბილებით პირზემომდგარ ქაფს რომ იცოხნიდნენ. წისქვილის ხმაურში მოგონებები იღვიძებდნენ: სოფლად გატარებული ბავშვობის დღეები პეპლებივით დაფარფატებდნენ, დაეძებდნენ დაკარგულ პოეტს, ათვალიერებდნენ იმ ადგილებს;

საყდრის გადასწვრივ ყრილა ლხინი,  
ცაქვა, დაეღუბი, ლეჩაქის ქროლა,  
გაღმა, კლდეებთან მტკვრის ყრუ ჭიხვინი,  
ღამე ქალაში ჭიკას კოქოლა.

მთა მედიდური, მთა დანახვისი,  
მაღალი, როგორც ჩემი სამშობლო.  
ძია თაყინას ღვთისნიერება  
და სინანული სიციცხლის ბოლოს.

დედის ვედრება ღვთისმშობლის ხატთან,  
ლოდინი... საღმე შეხედება მისანს.  
ჩამქრალ ბუხართან მძინარე კატა  
დი აკუნის რწევა შუალამისას.

სალამურის ხმა ქვევით საყარზე,  
აღუბლის წვენით გათუთხნულ ტუჩებს,  
გოგონას საბელს ლურჯ წიგნის ყდაზე,  
კაკას ფერდაზე შემხტარ აღუჩებს,

ლამზე ბლაძუნი, ცურვა მკლაური,  
უზრუნველობა ნატყენ ლავიწებს.  
ჰანდრების სტვენა მოლაღურივით,  
ყაყაოებით ანთებულ ველებს.

ზეცაზე ზეცა გადაფრინდება, ზეცაზე ზეცა გადაანათებს, მაგრამ შემკული ბავშვობის ხსოვნა არასოდეს არ წაიშლება. რა დაგვაღიწყებს: პირველ სიყვარულს, დედის ლოცვებს, ქარში აჭრიალებულ კაკლის ტოტებიდან ამოვარდნილ ფოთლების სტვენას, ქედნის ყელივით გადახნულ მინდვრებს...

— ბიჭო, ეგ ტომარა უკან წასწი, ხო ზედამ თანმდებარია! — უტატანებდა ტლაშაანთ ლექსო თავის მორბედს, თან საფქველით დაზურგულ ურემში შემბულ ყევარ ხარ-კამეხს აპეურებს უსინჯავდა.

ანდრია ბუხრის წინ ტრიალებდა, მუგუზლების გაღვივებულ ნაკვერჩხალზე შინდის შამფურზე წამოცმული მწვადი აეშიშინებინა. იქვე სამფეხა ჭუჭა მაგიდა დაედგა, გარშემო ორიოდ მსხვილი ნაპობი შემოეწყო.

— ანდრია, მოხმარება ხომ არ გინდა? — მიმართა მოჩითული ენით საღერღელაშლილმა ნადარბაზეველმა მენამ, თითქოს არავითარ ბაიბურში არ იყო.

— პო, რა ცანცარა ხარ, მენა! ვიცი, რა მუცლის გვრემაც აგიტყდა და რაზედაც აცამაცუნებ ე მაგ ტუჩებსა. რახან არ დაგიშლია, მოდი და ამ საეციითა მუგუზლები აჩენჩხე და ხან ცეცხლს შეუჩუხჩუხე ხოლმე, — ღიმილით უპასუხა ანდრიამ.

სალამოვდებოდა. სოფლის ხეები ნიაზე ირწეოდნენ, ხან ოდნავ გატრუნდებოდნენ, ძირნაყარ დღეებს დასკეპროდნენ, ხან კენწეროებს ერთბაშად შეაშრიალებდნენ, თითქოს ქარის აბაზანებს იღებდნენ.

წისქვილიდან მოისმოდა მოლხენა.

— ძეგლი რა ჭირად მინდა! — გასძახოდა განცხრომას მიცემული რიხიანი ანდრია. — იცით რა მენატრება? გვეიცებით სარზე დახვეულ ვაზის ულვაშებს, როცა მოვკვდები, საფლავზე დამაყარეთ იმ ღვინის ჭურჭელი, რაც მე გამომიცლია.

— ერიპა! ეგ ხომ დაღეწილი საღვინეების თელი ქედი აიმართება! — იცინოდნენ მესაფქვეენი.

— ბოლომდე გამოწაფე, გამოდი აზამბარშია, ვალათ ხომ არ წაგივა? რა ღმერთი შეგეწია! — ალერსით უტევდა ანდრია ოქუანთ ჩელას, წისქვილში შემთხვევით რომ შესულიყო.

ღიახ! ადამიანებმაც იციან ჟივილ-ხივილი დაბინდების ჟამს, ესლა შერჩათ იმ პირველყოფილ ბედნიერებიდან. რა კარგი იყო, როცა ადამიანი სოლივით ერთ ადგილზე როდი იყო ჩარჭობილი; ის მერცხალივით იქით ეშურებოდა, სადაც ყვავილები და წალკოტები ბინადრობენ;

ის უდვირად უცქეროდა მარადიულ მყინვარებს, უსმენდა თოვლის უდაბნოში თავაწყვეტილ ქარიშხლების ღმუილს; ეხლა კი ისე დაფიქრდა, რომ ყინულოვან ოკეანეში პინგვინებს და თეთრ დათვებს დაუახლოვდა; ვეშაპებს შეება და სუსხიან საიდუმლოებას ბულა ხარვიით ერჩოლება.

რა თქმა უნდა, ზოგიერთი განათლებულის ქლოშინი, ცივილიზაციასთან ბუტიობა, უგუნურების საწინდარი იყო. კაცობრიობა უკან არასოდეს არ დაბრუნდება: ცათამბჯენი გვიმრები, გოლიათის დარი ქვეწარმავალნი, ანდა ტაიტელი ველურები აღარ განმეორდებიან, აღარ ეახლებიან ამ წუთისოფელს.

მაგრამ, ჩემი მეგობარ პოეტისა არ იყოს:

„სად მიბზუის ჩვენი დედამიწა?.. რად ბლავის უსაზღვროების ხროკ მინდვრებში?.. რად დაიბნა მომაცვდავი?.. სადღაა სიმშვიდე?..

ეპ, შთამომავლობავ! რამდენ კარგს მოიმიკი და რამდენ მშვენიერებას დაჰკარგავ. ხომ ავიკრძალეს ქალაქად, რომ ბალახით შემოსილ მიწას ფეხი დაადგა, ხის ქვეშ წამოწვე, შენი ნებით ენძელა მოწყვიტო... ბაღები სადალაქოს თოჯინებით შეკრიტეს. ნაძვები და გუნდის ხეები დაასნეულეს, საცოდავები დილით როდიდა ირხევიან, პირიქით, ჭლექიანი ადამიანებით ახველებენ.“

ანდრიამ მეორე დღეს პოეტი თავის მარანში მიიპატიყცა. ორკოკიანი დატალახებული ქვევრი მოხადა, სარქველი გვერდზე ციმციმ გადასდო, გარდიგარდმო წალამზე დაწყობილი ვაზის ფოთლები სათუთად წამოკრიფა, პეე გადასწია და გულწითელა ღვინოში სუფთა წაფურა დაურია.

— გამჩენის მაღლმა, ხატის ნაბანია, შეხე, რა შუშხუნაა! დალიე ღმერთმა შეგარგოს! — მიაწოდა ანდრიამ პოეტს ღვინით გალიცილიცებული წაფურა.

— ავაშენოს, ძია ანდრია, ილღვრძელე დიდხანს! — მიუგო იმანაც და ტუჩებზე მიყუდებული სასმისი ძირამდე გამოწაფა.

მადა-გალვიძებულმა ანდრიამაც გადიწერა პირჯვარი და წისქვილის მტკვრით ჩახრენწილი ყელი ყურძნის წვენით ჩაიკოკლოზინავა.

— ალავერდი შენთანა, შენზე უპრიანია! — შესძახა ანდრიამ საქაჯავის ღარზე გადალაჯულ თავის სიძეს.

ანდრიას ოჯახობამ ასტმით გადაფხეკილ ხონჩაზე დალაგებული: თონიდან ახლად ამოყრილი მახობლიანი პურები, ცივად მოხარშული ქათამი, დანაყული ნიერის საწებელი, ძროხის ჭყინტილი ყველი, ზურგიელი და მწვანილი შემოიტანა.

— შეექცეით, ცოტაზე ნუ დაგვძრახამთ! — მიმართა მანდილო-სანმა სტუმრებს და თეთრი ხილაბანდის წვერით თხელი ტუჩები მოიწმინდა.

— ვენაცვალე ჩემ დედაკაცსა! აი, დედასა, რო აღარ ვარგივარ,

დამჯაბნა, რას იზამ, — წაიხუნჯა ანდრიამ, თან ყველას თვალი გადმადრეკნულნი  
ავლო, რომ შეეტყო: მოეწონათ თუ არა იმისი ხუმრობა?!

— კაცო, რატო შენ ქერქში არ დაეტევი, აბა რა დროს ეგებეა?! —  
შერისხა მეუღლემ ანდრია. მერე, მარნის განჯინის კარი გამოაღო. ხის  
სარკვევზე გადმოაწყო შარშანდელი ნიგვზის სხვილი ჩურჩხელები,  
ტყლაპი, ქლიავის ტბილი, ალუბლის კერკი და სტუმრებს მიართვა.

მარნის ქერის გაურანდავ კოჭებზე დამჯანარი ხეჭეჭურის ასხმუ-  
ლები, გაშვლებილი ყურძნის კლერტოების ჩხა და მარცვლებ-დამპალი  
აკიდობილა ეკიდა.

საცაა რთელობა იწყებოდა. მუყაითი ანდრია ქვევრის რეცხვას  
შესდგომოდა, მოზრდილი ზურგი ღვია მოეტანა, ორიოდ ხელი კიდე-  
ვაც შეეკრა. საფერავისაგან შეღებილი საწნახლის ფიცრები ტალანთან  
გაეტანა. რა არ ეყარა, რა არ მიეყუდებინათ მარანში: ბელტისგან  
აღესილი ბარები, უტარო თოხები, კბილებამოვარდნილი ფოცხები, ნამ-  
გლები, პირშემოცვეთილი ფიწლები, სამითებები, ობმოკიდებული გო-  
ზაურები, სარცხი, დალეული ბირდაბირი, ხელეჩო, მამაპაპეული  
ჭოპოსანი, ათასგვარი სალესაეები, შიპმორღვეული გოდრები, მკლავ-  
დაწყვეტილი კალათები, ახლად დაწნული მოსაკიდები; თაროები ხომ  
გამოქვიდილი იყო: პურის ცომით დაკერებული ქილებით, ხელადებით,  
ტოლჩებით. არყის დოქებით, წამლის შუშებით; კედლიდან გამოშვებულ  
კაჩხაზე გამხმარი ღორის მაქიკი და გაბერილი ტიკტორები მოსჩანდა.  
ძველი ამბრის თავზე ჯორა ამოვარდნილი ჩონგური ეგდო. იქვე ნაკერ-  
ნაკერი ხორბი ბადე გაეკიმათ. მარნის ღრეჩოზე დაუქმებულ ღია  
კარების უხეშ კოჭაზე ახსნილი კლიტე გამოედოთ.

— ამ აზარტეშათი გაუმარჯოს ჩვენს მამულსა! — სტექდა შეყი-  
ნელილებული ანდრია.

— ყველა თავს შემოვევლოთ ჩვენს დედა-საქართველოს, —  
ლაულაქებდა სიხარულით აღტაცებული კატაპარიანთ ბიჭი, ასე ეძახდნენ  
ორმოცდაათი წლის გლეხკაცს.

— ამ პაპაჩემის ნაქონი ჯამითა ჩემი დედ-მამის შესანდობარი  
შევსვათ, სულით გაანათლონ იმ ქვეყნად! — გუგუნებდა ანდრია და  
შოთის ნატეხს ღვინის წვეთებს აკურებდა.

— სასუფეველი დაუმკვიდროთ! — ბანს აძლევდა ანდრიას სიტყვა-  
ძვირი დვალაიანთ სოსა.

— ხალხნო და ჯამათნო! რახან ბარიბარში გამოვედით, მოდი  
მრავალყამიერი შემოვძახოთ! — მოიწადინა შეზარხოშებულმა ლაშკა-  
რაანთ ბრაცამ.

რადგან ღრაჯუნაანთ ნადიაკვნარი მიტა კარგი ხმის პატრონი იყო,  
ქამიერი საგულდაგულოდ ჩაარაკრავა, სიმღერის ლივლივს ყველანი  
აპყვნენ.

— საწყალ მამაშენს უყვარდა ეს სიმღერა. — ჩასჩურჩულა ანდრიამ  
სტუმარს, — როცა ვიგონებ, გული მეჩხრიკება.

გათენებამ მამლების ყივილზე მოატანა. ზორტებდაწყვეტილი  
ღრუბლები ნისლებწყარულ მთების ძარზე და მწვერვალებზე გაიზმო-  
რნენ.

ჩვენს პოეტს ანდრიას სახლის აივანზე გაეღვიძა. თივთიკის ბალიშს  
და თბილ საბანს კარგად გამოეშუშებინა.

კარის ვენახში, გულაბის ძირზე საბელით დაბმული ცურსავსე მაკე  
ძროხა ზმუოდა, გაკრეფილ ბლის კენწეროზე ჩიტების საფრთხოებელა  
ქანაობდა.

პოეტი ადრინდელ ლექსს იგონებდა:

ბაღებს გაზიდავს ყრუ შემოდგომა,  
ტყე თინელს მოიმკურევა დილაადრიან,  
ქართულ წისკვილის კარს მოადგება,  
წვერგაყვანილი ღინჯი ანდრია.

ხეშირბიდან დროყამს ჩამოფქვამს,  
გახედავს: ოჩხებს, ჭაგნარებს, ქიუხს,  
წაიბუტბუტებს ათასჯერ ნათქვამს  
და ხელის გულზე დაბერტყამს ჩიბუხს.

ყბედი მეურძე გააბამს ზღაპარს,  
დაუსრულებელს როგორც მდინარეს.  
ძალი შეყვდავს ვიღაც წინაპარს  
და ავალს გაახელს ხარი მძინარე.

და ისევ ღამე კუნელის ფერი,  
შავი ბულრია ვით ჯოჯობეთი.  
შეხვალ, გეტყვიან სად დაითვერი,  
მადლობა გამჩენს რახან მოხვედი.

ვიღაცა კრაქით დახედავს საფქვავს.  
წნორი ალაზნის შესვამს ფესვებით.  
მოვარის სინათლე გაგიჭრის საფლავს,  
მოჩარდახებულს თეთრი ფრესკებით.

ნუთუ ბოსელშიც არ გვქონდა წილი,  
ლოცვებს ვთვლით, მაინც ვუბედურდებით.  
კაცივით ოხრავს ჩარხის წისკვილი,  
კერი საყვია აბლაბუდებით.

ქვეყნიერებას რომ არ ვუმზიროთ,  
თვალეზს დაეხუჭავთ, რა ვუყოთ ყურებს?!  
დაეხუჭავთ, რა ვუყოთ ყურებს?!

ჩამორეკლინი ბოლნისის მშვარად,  
ვევართ დაღრეცილ მინიატურებს.

შემოიტანენ ღვინოს ერთ კოკას,  
ანდრიას სახეს შეამღერევეს ბინდი,  
შენ სიძს ყურთმაჯში ფრთხილად გამოჰკრავს  
და ეს იქნება ჰანგების მინდი.

ფაფუკ ნაწერებს დაწვეავს ბუხარი,  
შენც დაიღლები მარად რომ სძვერდი,  
დაუკრავ ჩონგურს და ეს ოხერი,  
დიღხანს იცეკვებს შემლილი ღმერთი!

ამ ლექსს პოეტი ჰქმნიდა ოდესღაც წისქვილის წყლის ჩხრიალზედ,  
მესაფქვავეთა ზღაპრებზე; აქ ქლარუნობდნენ სიყრმის დღეები, აქ აღ-  
მოცენდნენ მოხუც მეწისქვილეს შთამაგონებელი საუბრები; ამ ლექსის  
მკერდიდან წვეთავდა გულის გეჯაში გამოხდილი სისხლი.

ანდრიას ჭრაქის გაცრილ შუქზე ცეკვავდნენ თავგასული მანჭია  
ჭინკები, მოწყვეტილი ფოთლების დარად დაფარფატებდნენ.

ეს იყო პოეტის ლიტანია, წინ ჰქალარა მეწისქვილე მიუძლოდა,  
რომ სისხამ დილით რუს წყალი ეკურთხებინა და ქვესკნელისაყენ ამო-  
ფრენილ ალქაჯს შორიაზლო ეთვალთვალა.

წინაპრების აჩრდილები ყფედნენ და ჩარხის წისქვილი კაცივით  
ობრავდა.

ნიშა ხარი ღმერთის დაჰყეტილ თვალებს მისციებოდა. დაუსრუ-  
ლებელ ზღაპარს არ უჩანდა დასასრული, ის იკარგებოდა ხმაგაკმენდილი  
არარაობის გაყუჩებულ ჭებირებს იქით, სადაც უკაცრიელობის ბურუ-  
სიანი ამინდი სთვლემს.

პოეტის ძახილი ვილაც მგზავრს მგლის ყმუილივით დასწვოდა:  
„რა ბედნიერი ხარ, ადამიანო, რომ შენ არ იცი დასაწყისის კივილი  
და არც დასასრულის წიოკობა.“

გაქვავდება სამყარო და, მის ხავსგაცვენილ მერქანს დაბრეცილი  
მინიატურებივით შერჩება: ღრუბლებს ზევით აზიდული სასახლეები,  
უზარმაზარი მოედნები, აკადემიოსთა ღვაწლი, ყაყანა ხალხით გაქვდი-  
ლი სათათბირო დარბაზები...

ვინ შეხედავს არქიდან ამოვარდნილ აოხრებულ ქვეყნიერებას, თუ  
არა ისევ ჯვარცმული მაცხოვარი და თმებჩამოშლილი წყლის ჭინკა. ცის  
კაბადონებზე უკანასკნელი მბჟუტავი სინათლის ზოლი სარეკელასავით  
ახმაურდება დედამიწის დოლაბზე და აუწყებს განცვიფრებულ წარმავ-  
ლობას უკვდავების დასასრულს.



ჩამოტეულ სხივების ხვავს ცივი ქარიშხლები სახეზე შეიყრდნობდა და ჯამბაზებივით იხარხარებენ ვარსკვლავების რიყეზე. გარიყულ ლამების ზედახორას სივრცეები ველარ გაუძლებენ, საშინელი ბლავილით და ზათქით ჩაინგრევიან.

ტიალი ჰინკა წელქვევით ბუერა ბალახშემოყრილ და ღვლერქშემოჭერილ სასაფლაოზე ბუკის ცემით აიჭრება და გაუბედურებულ კაცობრიობას, ყალყზე შემდგარ პლანეტებს ენას გამოუყოფს.

განთიადებდაწრეტილ უსაზღვროებაში რალაც შავი ფრინველი შეინავარდებს.

შუქ გაწეწილი მთვარე, მზის ხვიმირებიდან ამოწყული მინდვიით დარჩება მარადიულ უსასრულობაში.

### თბილისის მხურვალება

სატახტო ქალაქის ხსენებაზე, გზებიც აყაყანდებოდნენ ხოლმე, რადგან მზემ საქართველოში იბარტყა.

განა რომელიმე წელიწადი ისე მიიწურებოდა, რომ ჩემი მეგობარი თბილისს არ სწევოდა. არ დამტკბარიყო თბილისის ეშხით. ვინ იცის, რამდენი სიდუხჭირე აგემა თბილისმა, რამდენი სივალაღე, გულცივობა, ხელისკვრაც კი...

მაგრამ თბილისი უყვარდა, უყვარდა ყველაზე ძლიერ, სიცოცხლეზე მეტად. თბილისში იხილა პოეზიის იდუმალება, აქ ამოიდგა ენა, აქ შეეფეთა აღამიანების ნაირ ქარავანს, ის თითქოს დედის კალთიდან შესწირეს თბილისს.

ის საქართველოს სატახტო ქალაქს მოჰგვარეს ჯერ კიდევ ტუჩზე რქეშეუქმშრალი; ის აქ ჩაიფლო ყელამდე ჰაობში, ბოლოს მაინც თბილისმა აიტაცა ხელში; ის აქ გაირყვნა და გაკეთილშობილდა კიდევ.

თბილისი დედინაცვალვიით სტუქსავდა და ზოგჯერ როგორც მშობელი, ისე უყვავებდა.

პოეტი თბილისს ხან ბავშვივით გაებუტებოდა, აიფხორებოდა და გადიწვერებოდა დასაკარგავში უნებლიედ, ქვეყანა რომ გადაგებარათ, მაინც ვერ იპოვნიდით. ხან ისევ უკან მოვარდებოდა ნამტირალევი.

იმ ხანად ჩვენი ქალაქი ასეთი წარმტაცი როდი იყო. იმდროინდელ თბილისში, რას არ წააწყდებოდი, რა მიღეთის ხალხს არ ნახავდი: ვიწრო, ოღრო-ჩოღრო და ტალახში აზელილ ქუჩებს, ობობას ქსელივით გაბმულ-გამობმულ ტურტლიან შეღმართებს, უწესრიგოდ შეფენილ კუზიან ბილიკებს; ერთიმეორეზე გადახნეტილ კოჭებმომპალ აივნიან სახლებს აშმორებული ეზოებით, ანჯამა მორღვეული და დანჯღრეული ალაყადის კარებებით; კოფოზე თავჩაქინდრულ მეეტლეებს ლაფშესხმული ცხენებით; ჰერდაბალ და გამურულ ყავახანებს თითბრის როხ-

როხა და თუხთუხა სამოვრებით, ჩაის ლამბაქზე ტუჩმიწებებულ  
მცონარე და გაკოტრებულ მევახშეებს, არღნის ჭყვიტინით, მოხარშული-  
ფიჩხულის სუნით და ბოხხშიან როსკიპებით გამოტენილ სამიკიტნობს;  
თალგამის ოდენა ცხვირიან ხარაზებს; თავზე თაბახშედგმულ და მხარ-  
ზე სასწორ გადაკიდულ ლაზღანდარებს, სიარულის დროს წინ ხელებს  
საქანელასავით რომ იქნევდნენ; დარაბა მიღრეცილ ჩამოფხატულ ყავ-  
რის ბანებიან დუქნებს, დარდიმან ყარაჩოღლეებს, თვალთმაქც ჩარჩ-  
ებს, ათას სიბინძურეში გაქნილ ფუქსავატ კინტობებს; ინით წვერ-ულვამ  
შეღებულ სპარსელ ვაჭრებს, ხელში ქარვის კრიალოსანს რომ ათამა-  
შებდნენ, ახლად ფეხადგმულ დაბახანის გახამებულ თეთრ სახელოიან  
ჩაფსკენილ მრეწველს, ცისმარე დღე ოქროს ფულში რომ კოჭაობდა;  
მემამულეებთან ჩამოსულ ყურებჩამოყრილ მოურავებს, ნიადაგ გული  
ყელში რომ ეჩარათ; უკან ყურთმაჯებ გადაყრილ სოვდაგრებს, თეა-  
ლიდან ბეწვს რომ ისე გამოგაცლიდნენ, ვერ გაიგებდი; დაღესტნიდან  
ჩამოსულ, საოცარი მეხსიერების პატრონი მკალავეების ეზოდან ეზოში  
შეღრიალებას: ქაბი მოვკალოთ, ქაბი!..

ზანზალაკებით აჩხარუნებულ, ზღაზვნით მიმავალ აქლემების  
ქარავანს, ზურგზე აკოკოლავებული საპალნეთი და ბარგი-ბარხანით;  
ხურჯინ და გოდრებ გადაკიდულ სახედრებს; თერძებით, ალაფებით,  
მეჭუდეებით, მეფარჩეებით გამოჭედილ დახურულ ქარვასლებს, რომ-  
ლებსაც ნავავი და ჭუჭყი ახრჩობდა; წითელი თუ ნეკრესის ქარით დაკ-  
რუნჩხულ პირღია მეთულუხჩეებს; მყუდროზე ჩაცუცქულ, სახეაქერც-  
ლილ მაწანწალებს ზამთარში მზეს რომ ეფიცებოდნენ; ყბებმოღრე-  
ჯილ და ზონჯარგამოჩრილ მეკურტნეებს, შიშველი ფეხის ტერფები  
ბებერი ტირიფის ქერქებივით რომ დახეთქოდათ და აქავებულ ბეჭის  
ფრთებს წამდაუწუმ კედელს რომ უხახუნებდნენ; აღვირახსნილ მუშტი-  
კრივით ცხვირ-პირ დაქეცილ, უკან ხალათამოჩაჩულ და საკინძე ჩამო-  
დღლეძილ მოკრივეებს, ახოვან თავადიშვილებს, ულამაზესი ქალების  
ამალას რომ შეადგენდნენ, მთელი მამულ-დედული დროსტარებაში რომ  
დაევირავებინათ და შეეყლაპათ; ფუფუნებით გაბეზრებულ ჩინმენ-  
დლებით, აშურმით და ყინელილებით აღჭურვილ ზვიად ხუჭუჭკაკებიან  
ღენერლებს, ოჩან და უხიაგ ცხენებზე შემჯდარ დიდმელებს.

მტკერის ნაპირზე გამწკრივებულ წუმპეს, ჭყასს, გაფენილ ძონ-  
ძებს, ფალასებს; ორთაყვირ აყრილ ტივებს.

საეჭვო ბაღში მოსეირნე ჩლახუნა მოხელეს, ქართულს რომ ძლივს  
ამტკრედა, რომელსაც გამოთაყვანებული სახე ჰქონდა და გახუნებუ-  
ლი ქული ეხურა; ქუჩებში მოხეტიალე ეულებს.

ეკლესიის კიბეებთან გახევებულ და მუხლებდახუთულ ხინჯიან  
მათხოვრებს, თმებში, მკერდის და ილიების ბალანში ჯლიბა ჭეკარტ-  
ლივით რომ მოსდებოდათ.



მბეუტავ ფარნის ფუტურო ბოძზე მიყრდნობილ არყით გაღვნილ  
ასასებს, რიყეზე ხრიგინით მიმავალ მალაყნის ფორანს.

ყურთასმენას ხომ ერთიანათ ანშობდა: ცისკრის ციმციმზე ზარე-  
ბის რეკა, მინარეთიდან მუეძინის ყვირილი, ორთაჰალის მოსაბეზრებე-  
ლი ბაიათები, გოგირდოვან აბანოებიდან თავაწყვეტილი, მუქთახორა  
ლოთების ყიყინა, ზურნის ჭყვიტინი, დოლის დაფდაფი და აბლანაჟულ  
მეჭისეების აცაბაცა ჯიჯლინი.

მაგრამ... ვინ ეტყოდა ურიგოს გენიალური ბარათაშვილის და  
ღვთაებრივი ვაჟა-ფშაველას თბილისს!

ჩემს მეგობარს ხშირად უყვარდა მამადავითის მთაზე ტორლიალი,  
ის მუდამ მოწიწებით თაყვანს სცემდა რუსეთის შესანიშნავი შემოქმე-  
დის — გრიბოდოვის სამარეს, სადაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის  
მღულარება საფლავის ქვაზე იღვენთებოდა და გულამოსკვნილი სწყვე-  
ლიდა ირანელი ბრბოს სივერაგეს. ნინოს მწუხარება თაობებს ტანში  
შეაერყოლებს. ეკატერინეს საყურე კი ქართველი ქალის ქანდაკებას  
სამარადეამოთ შერჩება, ვით ტატოს თვალებიდან წამსკდარი ცრემლი.

ჩემს მეგობარს ბავშვობიდან ხიბლავდა თბილისის მიდამოები,  
თავდავიწყებამდე ეტრფოდა თბილისს:

ჩემო თბილისო, მიყვარს შენი ქოთქოთა ბინდი,  
შენი მთაწმინდა, ეგ ყურყურა კმუნის დღეობა.  
როგორა ღვივის შენი ზეცის ლურჯი მინდორი,  
როგორა გათქათებს შენი დიდი მოსახლეობა.

რა წარმტაცია კამარების ელამი ჭერო,  
ხან ჭორფლიანი რივრეების ბოყვი ხითხითი,  
ხრილი მთები მოდებელი, როგორც ჭერები,  
და კარბ ფერებით ალენილი გვალვების ხეითი.

შენს წყაროებში მეც დაეიწვი იმ ხოხობივით,  
ამ დეზად წულებით გორგასლანი სამოთხეს რწყავდა,  
ჭვეუხიერებას ცხელ გოგირდით შენ მოუთხრობდი,  
ქართლოსის ტომებს ზოგჯერ ბედი როგორ სწყალობდათ.

შმაგი სიცოცხლით, ეს ოხერი, გამოხერჩეტლი,  
მინდა როგორმე რომ ლოთობით გავისაძლისო,  
ტვინი შეძერყეს, თან ლოყებზე დაეიწყო ჩქეუტა,  
და ღრეკით დიდხანს გაას გირბინო, ჩემო თბილისო!

შენმა ღრუბელმა ცრემლზე მსხვილი წინწყლები იცის,  
და ზენაქარმა სიმღერები აურაცხელი,  
ჩემო თბილისო, მუხლმორთხმული სიონს გაფიცებ,  
ბინათ მომეცი შენი კალთა და საწნახელი.

ხევის ქალაქო, ასე ეშებით ვინ დავამშვენა,  
ვინ გიწყალობა ეგ სიუხეი ხელებ-გაშლილი  
შენთან მღეროდა ბედნიერი ვაჟა-ფშაველა,  
შენში დარდობდა ჩემა ტატო ბარათაშვილი!

აქ თამადაობა ჭიხვის ყანწით თურმე მხარგრძელი,  
თან აქლემების ქარავანი იდგა გირაოდ,

სადღაც... მღვიმეში დაღმეოდა ბედს მთაწმინდელი;  
„ღა... უფროსად მარტოს ღამე მიწერიაო“!

რა საჭიროა, ჭაჯაროვით ეწერდნენ მუხამბაზს,  
მზეთუნახავნი ბროლის კომეში მესხდნენ ხიზნებათ,  
წყუყულიც იყვეს სამუდამოთ ამ ქვეყანაზე,  
თბილისო ჩემო, შენს შუქს იქით გამოფხიზლება.

ო, როგორ მიყვარს შენი ოღრო-ჩოღრო ქუჩები,  
ეგ მიწის ხაო, საოცარი ჭანყების ბური,  
ღამის აკვანში გრილ ნიავის თოთო ფურჩუნი,  
და ვერის ხილთან ჭარის სტვენა მამაპაპური.

ეს მინარეთი შენს ღრუბლებთან რას აფხორილა,  
იქნებ თაყილობს ნარიყალა რომ ემდურება?  
დიდხანს შერჩებათ ნაცარივით ქართლის ხეხილებს,  
რაც მამაღებმა დაგვატეხეს უბედურება.

ჩემო ჭალაჭო, იტორიას მე რას დავიწერ,  
ჩემი ცხოვრებაც კი არ ვიცი როგორ იწყობა...  
დიდება იმას! იმ განგებას მრავალ-ჟამიერ,  
ვინც დასაბამის სალოცავთან ძუძუ გაწოვა.

მე, მხოლოდ ჩემი ჩათხრობილი ქინით მიყვარხარ,  
მინდა სულ შენთან, შენს ქუჩებში ვიხრუკებოდე.  
არსად არ წავალ, თუ გინდ მიწა შემომაყარონ,  
ოღონდ სულ შენთან... შენი ქვიშით ვიკვებებოდე!

ეს ლექსი, ჩემმა მეგობარმა ქაშვეთის ეკლესიის მათხოვარს უსახ-  
სოვრა ფერისცვალობის წინა ღამეს... საცოდავი გლახა კაჭკაჭივით  
ბოდავდა ამ სტრიქონებს, რადგან მლოცველები ხელის მუქაში ორიოდ  
კაპიკს ჩაუჩხრიალებდნენ ხოლმე.

აბო თბილელის შეფურთხებულ ხატთან შაპ-აბასის ლანდი იკრი-  
ჭებოდა.

აფაფხულ მინარეთის წვერზე გახირულ ნახევარ მთვარეს ჰილყვა-  
ვები ასკინტლავდნენ.

ნარიყალა კი თეთრად ქათქათებდა, რადგან ომში დახოცილ ქართ-  
ველი რაინდების ძვლებით იყო ნაშენ-ნაგები. ნარიყალას გალავნის  
თვითეული სვეტი ქართველი ერის გაქვავებული ცრემლებია.

კრიტიკული წერილი

## ლიტერატურული გულცივობა

ეხლახან გამოქვეყნდა ჩვენი პრესის ფურცლებზე პ. კო-  
ხრეიძის წერილი „პირველი წიგნები“. ავტორი იხილავს ახალგაზრდა  
პოეტების ვასო გვეტაძის, სანდრო ბეგაშვილის, შოთა ნიშნიანიძის და  
ოთარ მამფორიას ლექსებს. პირდაპირ გამაოცეს, პ. კოხრეიძის მეტყ-  
ველებით რომ მოგახსენოთ, რეცენზენტის „ტრაფარეტულმა სტრიქო-“

ნებმა“. ეს დალოცვილი შვილი პოეზიაზე ისე მსჯელობს, თითქოს გამწვანებული წვარ აგურებს ალაგებდეს თავის ეზოში, ანდა და მდულარე წყალში გაფუფქულ ქათამს პუტავდეს. ჯერ კრიტიკოსის კილოს დაუგდეთ ყური: „ახალგაზრდობის გამო შეღავათი არავის არ მიეცემა“ — სწერს მედიდურად, თითქოს საგადასახადო უწყების ინსპექტორი იყვეს. რატომ პატივცემულო? განა ვაჟა-ფშაველას, ილიას, აკაკის, ვალაკტიონ ტაბიძის სიყმაწვილის ხანზე შექმნილი თხზულებანი შეედრება იმ მდიდარ ნაწარმოებებს, რაც სიმწიფის დროს გამოძერწეს? სად, როდის ყოფილა, რომ პირველ ნაწარმოებიდანვე შემოქმედი მოვლენილიყო სრულფასოვან ოსტატად? (აქ, უნიჭო და დოყლაპია მჩხანელებს როდი ვგულისხმობ, რომელთა ნაწერებიც სიბერემდე უმწეონი არიან და მათი საცოდაობით თაობები იწვიან).

შეხედეთ როგორ ებუზღუნება, რა უღმერთოდ უტევს შ. ნიშნიანძის გულთბილ ლექსს „გათენებას“, „თანამედროვე სოფელი ასე ყალბად არის მოცემული“:

„დაქანვულია მწუხრისფრად ყორე,  
მოკვლენია ხავსი ობივით,  
ვადადმდრილა ჯმუხი საღორე,  
ბებრეკა ხეზე ზურგმიყრდნობილი.  
ჩანს აფრასავით თეთრი ატამი,  
ნისლში მყინთავი ბაღა მდიდრული.  
მთვარე კი როგორც თეთრი ქათამი  
თვლემს ღობის სარზე თავჩაქინდრული“.

„ჯერ ერთი რა გამოთქმაა ბებრეკ ხეს ზურგმიყრდნობილი საღორე, — ანჩხლობს კრიტიკოსი — ანდა ღობის სარზე თავჩაქინდრული მთვარე“ — ამაზე იტყოდა ალექსანდრე პუშკინი: „Мы так привыкли читать ребяческие критики, что они нас не смешат“. არა მგონია, კრიტიკოსი ჩვენს სოფლებს იცნობდეს, მას ვერ წარმოუდგენია ბებრეკ ხეზე ზურგმიყრდნობილი საღორე, ამიტომ ვურჩევთ, თბილისიდან შეჰყვეს ქართლის სოფლებს, თუ გნებავთ გარე კახეთისას და ბევრ კარმიდამოში შეეჩეხება პოეტის მიერ აღწერილ საღორეს. რატომ ჰგონია რეცენზენტს, რომ ღორი ათინურ ესკოლიარში უნდა ცხოვრობდეს და არა საღორეში.

განა კარგი პოეტური სახე არ არის „მთვარე კი, როგორც თეთრი ქათამი, თვლემს ღობის სარზე თავჩაქინდრული“. რა თქმა უნდა, პოეტი ოდნავ სცოდავს, როცა აფრასავით თეთრ ატამს იხსენიებს, ატამი თეთრად როდი ჰყვავის. ღობეს სარი კი არ უდგია, არამედ მარგილი. მაგრამ თუ ლექსი მთლიანად სიამოვნებას მოგგვრის, განა ორიოდ შავ წინწყლებზე უნდა აიჭოჩრო, ახალგაზრდა მწერალს ყანყარატოში ეცე და უპასუხისმგებლოდ დაუტატანო: არა, ეს თანამედროვე სოფელი არ არის! როგორ, თანამედროვე სოფელში მდიდრული ბაღები არ არის? მთვარე არ ადგება იქაურობას?.. პ. კობრეიძის გულცივობა იქამდე მი-

დის, რომ ო. მამფორიას გულწრფელ სტრატეგიებს ასე თათხავს, ვის რამდენიმე სიტუაციურ სიამოვნებას მოჰგვრის ასეთი სტრატეგიები:

„ბაბუს ჩოხა-ახალუხი ვის არ გადაუცვია,  
ჯოხის ცხენზე არსენობა ვის არ გამოუცვლია,  
მერე შოთას დიდი წიგნი ვის არ გადაუფურცლია“.

რა სადად არის მოცემული და რა გულლიად ბავშვობის დღენი, რეცენზენტი კი გესლიანად დასცინის. ნუთუ შიო მღვიმელის ლექსები მაინც არ გადაუშლია? თუმცა ღმერთმა დაგვიფაროს! თორემ „ძია შიოს“ მთელ პოეზიას გამოაცხადებდა: „ნეიტრალურ თემად“, „უსაგნო ლირიკად“, „ყალბ სიტუაციებად“, „აბსტრაქტულობად“ და ვინ უწყის კიდევ რად...

შ. ნიშნიანიძის უსათაურო ლექსში მოცემულია სურათი, თუ შემოდგომის მიწურულზე როგორც გაიძარცვა თეთრი თუთა:

„ცივ ლამეებს ტანშიშველა ათენებდა,  
კრემლად შერჩა გაზაფხულის ოცნება,  
ხე მტირალი შეეცოდათ ბელურებს და  
სველ ტოტებზე ჩამოასხდნენ ფოთლებად“.

თურმე, ამ სტრატეგიებში (რეცენზენტის სიბრძნეს საზღვარი აღარ აქვს!) „მომწყვდეულია უიმედობა“, „ბედზე ჩივილი“, „სიმბოლისტური მოთქმა-გოდება“. არ არის კარგი, არა! პოეტს დააბრალო ის, რაც გულში არ გაუვლია, არ უფიქრია! სად არის აქ ტირილი, ვაი-ვაგლახი, ან სიმბოლიზმის მოთქმა (რა დამავიწყებს იმ ამბავს, როცა ერთმა ლიტერატურულმა ბედოვლათმა ვაჟა-ფშაველა სიმბოლისტად მონათლა და ბოდლერი კი იმპრესიონისტად) ჩვენში იციან „ვაზი ტირისო“ სანამ კვირტი გაეფურჩქნება, ნუთუ ეს თქმაც სიმბოლიზმია?

ერთიც უნდა მოვახსენოთ ჩვენს რეცენზენტს, რომ ლიტერატურისათვის არ არსებობს მეორე და მესამეხარისხოვანი საკითხები, არსებობენ მხოლოდ მეორე და მესამეხარისხოვანი ნაწერები, რომელნიც ავტორზე ადრე კვდებიან. ნიჭიერი შემოქმედი ცხოვრებით „მესამეხარისხოვან საკითხს“ ისე ააბდღვრიალებს, რომ ის პოეზიაში „პირველხარისხოვანად“ დარჩება. დროა ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ ყურადღება მიაქციოს მართო იმას კი არა, თუ რა თემაზე სწერენ მგოსნები, არამედ იმასაც, თუ როგორ სწერენ, რამდენად ახალია სახეები, თვალთახედვა, განწყობილება, ელერა, მთელი ლექსის ორკესტრი: რაც არ უნდა აქტუალურ მოვლენებს ეხებოდეს პოეტის ლექსი, გულს ვერ დაუდებ, თუ იქ გაცვეთილი რითმებია, ღარიბი სცენები, ქართული ენის ჯლოყინი. პიროვნების კულტის დროინდელ პოეზიაში ერთ-ერთი უბედურება ის გახლდათ, რომ ზოგიერთი მწერალი უფრო გატაცებული იყო მლიქვნელობით, ფარისევლობით, უადგილო ადგილას „გაუმარჯოს!“ ყვირილით, ვიდრე გულწრფელი გულშემატკივრობით საბჭოთა ხელოვნების, ლიტერატურის გრანდიოზული მშენებლობით. იმ უბადრუკ მკლამნე-

ლებს აღარ ახსოვდათ ხალხის შთაგონებული ძალა, ცხოვრების სიღრმე და ბედნიერება. რამდენ ახალგაზრდა მწერალს და საყვარელ შემოქმედს მოუღეს ბოლო სწორედ იმ ლიტერატურულმა გაიძვერებმა.

ახლა კი საბჭოთა მწერლობის ზეცა კარგად მოწმენდილია, ამიტომ ახალგაზრდა მწერლებს, როცა ისინი თავისი სახლის ზღურბლს მოსცილდებიან და ლიტერატურის შარაზე ქრიაშულით, ელურტულით, ზოგჯერ დაფიქრებულებიც მოდიან, ლიტერატურული ტრაფარეტებით, მოსაწყენი ქათინაურით, ანდა ბღვერით როდი უნდა შეეხედეთ, არამედ სათუთად, მეგობრული საღმით, ჯანსაღი კრიტიკით. თორემ თუ უღვაშებამწვანებულ პოეტს ერთ ლირიკულ ლექსზე სიმბოლისტური გოდორი ჩამოვაცვით თავზე, ამან შეიძლება დაამახინჯოს მისი მომავალი და გზა ვეღარ გაიგნოს. ახალგაზრდა პოეტის ნიჭი ურთხვლას კუნძი როდია, ის მინანქარით ნაზია, ფაქიზი, ის ქნარის სიმებს მიაგავს, იქ უხეშობა არ შეიძლება. ეს სენტიმენტალიზმი ან დეკადენტების გემოვნება არ გეგონოთ, თქვენი ჭირიმეთ! ვაჟა-ფშაველა თავის ლექსებს ფანდურს დამღეროდა და არა არღანს.

მართალია, ცამდე მართალია პ. კობრეიძე, როცა ამბობს: „ჩვენი სამშობლო მაღალი პოეტური კულტურის ქვეყანააო“. დიახ, საქართველო შოთა რუსთაველის სამშობლოა, ამიტომ მოუტევებელია ჩვენში უსუსური და მდარე პოეტური ნაწარმოები იწერებოდეს — ეს ეპატიებათ გრენლანდიელ ესკიმოსებს, მაგრამ ქართველებს არასოდეს. ეს ითქმის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაზეც.

ლიტერატურულმა კრიტიკამ ათასჯერ ნათქვამი წინადადებების, დრომოკმული ფრაზების ბული და კორიანტელი კი არ უნდა დააყენოს. ის უნდა სჭვრეტდეს ალალმართალი პოეტის კეთილ ზრახვებს, თრთოლვას, განცდებს, სიხარულს, ცრემლებსაც კი. შემოქმედმა კრიტიკოსმა თავის ცხოველმყოფელი შუქი უნდა მოჰფინოს პოეტის კორდებს, წალკოტებს და, თუ გნებავთ, კაკლის რტოებში ჩაბნელებულ ორლობებსაც, ისე როგორც იღვწოდა გენიალური ბელინსკი.

ჩვენ წარმატაც და დიდ ეპოქას ლიტერატურული ინვენტარიზატორები კი არ სჭირდება, პირიქით, ხელოვნების ცეცხლით გაჩირადლებული რაინდები. როცა დედამიწის ზურგზე თავისუფლებისმოყვარე ხალხის და მჩავეგრელთა ჭიდილია, როცა კომუნისმის ნათელ მწვერვალებზე მილიონთა ლაშქარი მიიწევს და საღლაც ჯურღმულებიდან ურჩხულთა განწირული სისინი ისმის, პოეზიამ უნდა აღაფრთოვანოს თავისი სიმფონიით კაცობრიობის უდიდესი მოსახლეობა და ხმა ჩააქმენდინოს დამპყრობელ მტარვალებს. და მე მინდა, ამ უძლეველი სიმფონიის შემსრულებლები იყვნენ პოეტური კვარტეტი: შ. ნიშნინაძე, ო. მამფორია, ს. ბეგაშვილი, ვ. გვეტაძე, ამას სამშობლო მოგიწოდებთ, ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო.

იბან ლოლუშილი

## ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრების უკანასკნელი წლები

### I. მემუარული ჩანაწერები

1948 წელს, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში სწავლულ მდივნად ვმუშაობდი, პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ დამავალა, შემეგროვებინა ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიული მასალები, რომლებიც გამოქვეყნდებოდა მწერლის დაბადების მე-100 წლისთავის აღსანიშნავად. ამ დავალების შესრულებას მაშინვე შევუდექი. დახმარება ვთხოვე მუზეუმის იკონოგრაფიული განყოფილების გამგეს გიორგი პავლეს ძე მოზდოკელს, რომელიც ჩინებულად იცნობდა ძველ მწერალ-მოღვაწეთა ოჯახებსა და ნათესავებს. ორივემ მოვიძიეთ თბილისში, ყაზბეგში, თელავსა და ახალქალაქში (ქართლი) ალექსანდრე ყაზბეგის ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები და მათგან ჩავიწერეთ მოგონებანი. ეს ჩანაწერები, რომლებშიც ასახულია ა. ყაზბეგის სიცოცხლის უკანასკნელი წლების საქმიანობა, ლიტერატურულად მე დავამუშავე (შევამოწმე ფაქტები, ტექსტები გავმართე სტილისტურად) და მკითხველს ვაწვდი ჩემი რედაქციით. მოგონებათა ავტორების ბიოგრაფიული მონაცემები ასახავენ 1948 წლის მდგომარეობას.

1. ალექსი გულისაშვილი — „დროებისა“ და „ივერიის“ კორესპონდენტი, ავტორი მოგონებისა — „ორიოდე სიტყვა ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ“ (ივერია, 1894, № 6), 83 წლის, მცხ. ნინოწმინდაში.

ა. ყაზბეგი მოთხრობა „ელგუჯას“ „დროების“ რედაქციაში წერდა ექსპრომტად. ჰონორარი თითო მანეთობით ეძლეოდა რედაქციისაგან. რედაქტორი ს. მესხი ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რის გამოც ძლივს უძღვებოდა ყოველდღიურად გაზეთის გამოცემას და, აბა, სად შეეძლო მანეთზე მეტი ჰონორარის მიცემა?! როდესაც ს. მესხს გაზეთისათვის მასალები შემოაკლდებოდა, ზოგჯერ თხოვნით და ზოგჯერ ამხანაგური ძალდატანებით აიძულებდა ყაზბეგს საგაზეთო წერილის დაწერას, სერგეი ეტყოდა ხოლმე: „იცოდე, კარები დაკეტილია, ვიდრე საფელეტონო წერილს არ დაწერ, აქედან ვერ გახვალ!“.

ყაზბეგის დედა ეკატერინე ერთხელ ვნახე სტეფანწმინდის ეკლესიაში. თავი ქართულად ეხურა და ქათიბში იყო მოსილი. თუმცა ღრმად მოხუცებულობაში იმყოფებოდა, მაგრამ სახეზე ზოგიერთი ნიშანი ქართველი ქალის სილამაზისა მაინც შერჩენოდა... როდესაც გარდაიცვალა, დაკრძალეს სტეფანწმინდის ეკლესიის გალავანში, წინათვე აშენებულ აკლდამაში. დასაფლავებას დაესწრნენ ალექსანდრე, მე და ადგილობრივად მცხოვრებელნი.

**2. ნინო ზიზოს ასული ყაზბეგი** (69 წლისა, მცხ. თბილისში, პეტრიაშვილის ქ. № 1):

სანდრო ყაზბეგი ბიძად მეკუთვნოდა. ხშირად მოდიოდა ჩვენსა და სხვადასხვა საჩუქრები მოჰქონდა. ერთხელ ალბომიც მიძღვნა ლექსით. ჩემთან თამაშობისას მუყაოს პატარა კოლოფებს აკეთებდა და აბრეშუმის ქსოვილით ჰქარგავდა.

ავადმყოფობის დროს შეეინძა წიგნი, ყდაზე ყავისფერი აბრეშუმი გადააყრა, სახელად „გუთნის დედა“ უწოდა და შესანახად ჩამაბარა. როდესაც დასჭირდებოდა, გამომართმევდა, ჩასწერდა ლექსს, ან პატარა მოთხრობას და მამაჩემს აძლევდა წასაკითხად. მამაც ხმამაღლა კითხულობდა. ყველას გვიკვირდა, ავადმყოფი სანდრო როგორ ახერხებდა აზრობრივად გამართული ლექსებისა და მოთხრობების წერას. ერთხელ მისი ბინა ეანდარმერიათ გაჩხრიკა. საეჭვო რამ ვერაფერი იპოვეს, ბოლოს კამოდის უჯრებიც გასინჯეს. სანდრომ პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწია და, რომ არაფერი გამოუვიდა, ჩაჯდა სავარძელში, ხელები თავზე შემოირტყა და დაიყვარა: „ეხლა კი დავიღუპე!“ პოლიციელებმა უჯრები გამოხსნეს, მაგრამ ვაშლისა და ასანთის კოლოფების მეტი ვერა ნახეს რა.

თბილისში რომ ჩამოდიოდა სანდრო, ბინად ჩვენსა იდგა. ავად რომ გახდა, საავადმყოფოში ჩვენი სახლიდან წაიყვანეს. მალე გამოჯანმრთელდა და ისევ ჩვენთან დაბრუნდა. ძლიერ გახარებული იყო, გვიყვებოდა: „რამდენიმე ავადმყოფი მწკრივზე დაგვაყენეს და გვიოთხრეს: ვინც ამ ვიწრო ფიცარზე გაივლის, მორჩენილიაო. მე კარგად გავიარე და გამომიშვეს სახლში“.

მეორე დღეს მამაჩემი და სანდრო ბაზარში წავიდნენ. მამამ მას თეთრი ჩოხა უყიდა. უკან რომ დაბრუნდნენ, გზაში შეხვდათ ვაჟა-ფშაველა. სამთავემ როინიშვილის ფოტოგრაფიაში შეიარეს. სურათი ჯერ სანდრომ გადაიღო ცალკე თეთრი ჩოხით, მერმე ვაჟასთან ერთად ხელგადახვეულმა.

სანდრო ოხუნჯი და მხიარული კაცი იყო. მახსოვს: ერთხელ თეატრიდან დაბრუნებული სიცილით შემოვიდა სახლში და გვიამბო: „დღეს მე და მკო საფაროვა სცენაზე გამოვდიოდით. ისეთ როლს ვასრულებდი, რომ მისთვის უნდა მეკოცნა. მკო ჩამაკიცვდა: სანდრო, გენაცვალე, მართლა არ მკოცოო. მეც პატიოსანი სიტყვა მივეცი: არა-მეთქი, მაგ-

რამ როლის შესრულების დროს სცენაზე ისე მაგრა ვაკოცე, რომ დარბაზში სიცილ-ხარხარი ატყდა“.

ერთ დღეს სანდრო ზურგზე წამოკიდებული მორით შემოვიდა სახლში და დედაჩემს დაუძახა: „ათი ურემი შეშა მოვიტანე დასად გადმოვცალო?“ დედაჩემს ერთი ალიაქოთი აუტყდა: „არ მინდა, ბიჭო, შეშა, წაილე უკან რაცა მაქვს, ისიც ვერ შემინახავსო“, სანდრომ ყურიც არ ათხოვა: მორი სამზარეულოში დაავდო, თვითონ კი გარეთ გავიდა. დედაჩემი უკან გაჰყვა, მაგრამ ეზოში არც შეშით დატვირთული ურემი იდგა და არც სანდრო ჩანდა.

1891 წლის ზამთარში სანდრო ხელმეორედ გახდა ავად და ისევ საავადმყოფოში მოათავსეს. წაყვანის დღეს ჩვენსა მოვიდა ნინო ფურმანისა (სანდროს და) და მისი ყველა ნივთი წაიღო, მათ შორის ხელნაწერი რვეულიც „გუთნის დედა“.

როცა სანდრო გარდაიცვალა, მწერლებმა ფილო ყაზბეგს სთხოვეს, რომ მიცვალებული თბილისში დაემარხათ, მაგრამ ფილომ უპასუხა: „ჩვენს გვარში ყველაზე უფროსია ბიბო ყაზბეგი, მას შევეკითხოთ და, რასაც ის იტყვის, ისე მოვიქცეთო“. მამაჩემმა თქვა: „მე რომ სანდროს ცხედარი ხევში არ წაეხვეწო, ყველა მოხევე გამოიციხავსო.“

**მ. ვიქტორ ნიკოლოზის ძე მატარაძე** (მსახიობი, 61 წლისა, თელაველი, მცხ. თბილისში):

მამაჩემი, ნიკოლოზ მატარაძე, ცხოვრობდა თელავში, შეძლებული კაცი იყო, ამასთან სასცენო მოღვაწეობით გატაცებული და შვილებსაც ხელს გვიწყობდა, სცენის მოყვარენი გამოვსულიყავით. ჩვენს ოჯახში დაიარებოდნენ თელაველი მსახიობები, მომღერლები, თბილისიდან ჩამოსული მწერლები.

1887 — 1890 წლებში ჩვენი ხშირი სტუმარი იყო ა. ყაზბეგი. მისი წარსულიდან მახსოვს მხოლოდ ერთი შემთხვევა.

მამაჩემმა დიდი წვეულება გამართა: მოპატივებული იყვნენ ა. ყაზბეგი, პოეტი სოლომონ გოშაძე, თელავის თეატრის ჭირისუფალი მელქო-აჯი-მამედოვი და მაზრის უფროსი კიკო ჩოლოყაშვილი. ყაზბეგმა წვეულებაზე დაიგვიანა. ესე შუა სადილობა იქნებოდა, რომ მან ეზოს კარი დაარახუნა. დედაჩემი ფაქტურით გაემართა სტუმრისაკენ, სანდრო სახლში შემოიყვანა და ნაბადის მოხდა სთხოვა. მას მაზრის უფროსის დანახვა არ ესიამოვნა და უკან გაბრუნება მოინდომა. მამაჩემმა მხიარულად მიამძახა: „სანდრო, ხომ იცოდი, წვეულება მქონდა და უნდა დროზე მოსულიყავ. რაღას გვერიდები, მოიხადე ნაბადი და სუფრასთან მობრძანდი“.

ყაზბეგმა მამას არაფერი უთხრა, მხოლოდ დედაჩემს წასჩურჩულა: „უთხარი, თავი დამანებოს მავ კაცმა, საიმისოდ (მაზრის უფროსზე ანიშნა) არა ვარ ჩაცმული“.





დღეაჩემმაც ხმამალა ყველას გასაგონად თავაზიანად მიმართა:  
 „არაფერს გაძალებთ, სანდრო, მობრძანდით სუფრასთან და დაჯექი ისე,  
 როგორც თქვენ გესიამოვნებათ“.

დღეაჩემის სიტყვებზე მაზრის უფროსმა ირონიულად ჩაილაპარაკა:  
 „რას აძალებთ ნაბდის მოხდას? ალბათ, სხვაგანაც მაგრე ჯდომასა დაჩვეული და აქაც ასე ესიამოვნება“.

ყაზბეგმა შეურაცხყოფის ნიშნად იმ წუთს ნაბადი გადაიხადა, ტახტზე დადო და მაგიდასთან დაჯდა. მოსალოდნელი იყო უსიამოვნება, მაგრამ მამაჩემმა სტუმრების გასამხიარულებლად სანდროს დაუდგა წერა-კითხვის გამაგრცელებელი საზოგადოების ყულაბა და თანხმობით დაურთო: „თავი დაეანებოთ ყველაფერს, ახლა ქეიფს შევუდგეთ და ყულაბასაც მივხედოთ!“

ამ ყულაბის დანიშნულება ის იყო, რომ, ვინც საუბარში უცხო სიტყვას გაურეცდა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაგრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ შიგ შაურიანი უნდა ჩაეგდო.

ყაზბეგმა ყულაბა მაზრის უფროსს გადაუდგა ამ სიტყვებით: „ეს რომ მთელი წელიწადი ჩემს წინ იდგეს, ერთი გროშიც არ ჩავარდება. დარწმუნებული ვარ, მაზრის უფროსი საღამომდე მას გაავსებს.“

სტუმრებმა სიცილი ატეხეს. განაწყენებულმა მაზრის უფროსმა ყაზბეგს ვითომდა სიტყვის მოსაგებად, დაცინვით მიმართა: „აბა ერთი ჩვენო პოეტო-მასხარავ, რაიმე ლექსი წაგვიკითხე და გავვაცინე“.

სანდრომ თავი ვერ შეიმაგრა და აღელვებულმა წამოიძახა: „მე არც თქვენი მასხარა ვარ და არც ისეთ ლექსებსა ვწერ, რომ გული მოგფხანო“. მერე, ნაბადი წამოიხურა და გარეთ გავიდა. დღეაჩემი უკან გამოეკიდა, სთხოვდა არსად წასულიყო, მაზრის უფროსს უბოდიშებდა: „მთვრალია და რაებს ლაპარაკობს, თვითონაც არ იცისო“. მე კი სანდროს კალთაზე შემოვეხვეე და არსად არ ვუშვებდი. ბოლოს, როგორც იყო, დღეაჩემმა ზედა სართულზე აიყვანა და თავისუფალ ოთახში მოასვენა მეც თან აყყე. იქ სანდრო დამშვიდებით შეექცა საჭმელს. ჭამის შემდეგ მითხრა: „ვიქტორ, გენაცვალე, ჩადი ძირს ოთახში და ჩაბალახი ამომიტანე“... სიხარულით ჩავირბინე კიბეები. ჩაბალახს ხელი დავავლე და, სანამ მას ავუტანდი, გავხსენი, მეგონა, შიგ კამფეტები ან ჩურჩხელები ელაგებოდა, მაგრამ ორი გალეული ფანქარი და ბლუჯა-ბლუჯა ქალღღებების მეტი ვერა ვნახე რა, ზოგი დაწერილი იყო. ზოგიც დაუწერავი. ქალღღებები საჩქაროდ შევახვით. ჩაბალახი შევკარ და ძიას ავუბრუნინე. მან შუბლზე მაკოცა და გამომისტუმრა, მერე მაგიდას მიუჯდა და წერას შეუდგა.

დაღამდა სუფრა აიშალა, მე დამეძინა.

მეორე დილით გაღვიძების უმალ ტირილი დავიწყე, სანდრო წასული მეგონა, მაგრამ დედამ პირზე ხელი დამაფარა: „სუუ, ხმამალა ნუ სტირი, ძია სანდრო არ გააღვიძო, წუხელ იმუშავა და დაღლილია“.

ჩემს ტირილზე ძიას მართლა გამოღვიძებოდა, ტანთ ჩაეცვა და პირის დასაბანად ემზადებოდა. მე გახარებულმა ავირბინე მასთან და ხელელებზე წყლის დასხმაში მივეშველე.

„ბიჭო, — მომმართა სიცილით, როდესაც დამინახა, რომ პირდაუბანელი ვიყავ და ხელები ჭუჭყიანი მქონდა, — შენ, თვითონ ბინძური, მე როგორ გამასუფთაებ?! არც კი გრცხვენნიან, ასეთი ჭუჭყიანი მოდიხარ ჩემთან! ლოგინიდან როგორც კი წამოხტები, ხელ-პირი უნდა დაიბანო და მერე წიგნს მოჰკიდო ხელი, გაკვეთილების სწავლა დაიწყო, შენ კი დავიღია პირი და წარა-მარა ბზუი კრაზანასავით!“

ცოტა ხნის შემდეგ დაბლა ჩავედი. დედა უკვე საუზმეს ამზადებდა. უკან რომ დავბრუნდი, სანდრო მაგიდასთან იჯდა და წერდა.

**4. გახა სუჯაშვილი (103 წლისა სოფ. გერგეტადან):**

ყაზბეგს მეცხვარეობის წლებიდან ვიცნობდი. ის სოფ. გერგეტში ამოდითის და მარიამობა-დღეს სამების ეკლესიაში ქეიფობდის. კარგი კაცი იყო. მამა-ბიძას სულ ემდუროდის: „რად გინდათ ამდენი საბატონო მიწები? გლეხებს მიეცით. ნუ აწამებთ, თორემ თქვენ თუ არა, თქვენს ჩამომავლებს მაინც გადუხდიან სამაგიეროს“.

ბეჩავ მოხვევებს ყოველთვის ეხმარებოდის, შარიანი ყაზახები-საგან თავს არავის აჩავკრინებდის. გლეხები იმის მზესა ფიცულობდიან.

ერთხელ გველეთში წილაურიანთსა ერთი ქისტი თამაშობდა მოხვეის ქალთან. ეს ქისტი თამაშის დროს ქალს გზას უღობავდა. სანდრომ თითი დაუქნია: „რატომ ქალს გზას არ აძლევ?“ ქისტმა ყურადღება არ მიაქცია. სანდრო გაბრაზდა, გადაუხტა მას საცეკვაო მოედანზე და შუა წრიდან გაავლო ქისტი, გამოიხმო იგივე ქალი და გაეთამაშა. სანდრომ კარგი ცეკვა იცოდა. იმ დღით ყველა ქალი ათამაშა. კუდამოძუებული ქისტი ისე წავიდა სახლში, უკანაც აღარ მოუხედიდა.

**5. ელისაბედ დავითის ასული როსტომაშვილი (ივანე როსტომაშვილის მეუღლე, 89 წლისა, მცხ. თბილისში, ბოჰორიშვილის შეს. № 24):**

ეს იქნებოდა 1888 წელი (მაშინ მე ახალი გათხოვილი ვიყავი). „ურიადნიკების“ უფროსმა, ელიზბარ გუგუშვილმა, ჩემი მეუღლის, ივანე როსტომაშვილის, ყოფილმა მოწაფემ, თელავში კარზედ ეტლი მოგვაყენა და ახმეტაში საქეიფოდ წავგიყვანა. თან სოსიკო მერკვილაძე გვახლდა. გზად (ვარდისუბანში თუ რუისპირს) ვაქა-ფშაველა, ბაჩანა და თედო რაზიკაშვილები შემოგვხვდნენ, თელავისაკენ ფეხით მოდიოდნენ. სამივე ჩემს მეუღლეს სიხარულით შეხვდნენ, სტუმართმოყვარე გუგუშვილმა ისინი არასგზით არ გაუშვა თელავისაკენ. ძმები ეტლში ჩავისხით და ახმეტის გზას შევეუღვიქით.

ახმეტაში, გუგუშვილის ბინაზე, ა. ყაზბეგი დავგვხდა. იგი ძალიან ლამაზი სახის, მშვენიერის თმით, სასიამოვნო სანახავ ვაქაყის წარმოადგენდა. გუგუშვილმა შესანიშნავი ნადიმი გამართა. სტუმრებმა მოვილხინეთ. ძმებმა რაზიკაშვილებმა და ყაზბეგმა ბევრი იშაირეს... პირ-



ველად შაირობა სანდრომ წამოიწყო, სახუმარო ლექსით მიმართა ვაჟას, არც ვაჟა ჩამორჩა მოპაექრეს, შაირობაში ბაჩანა და თედოც ჩაეროვნენ და მთელ ღამეს არ შეწყვეტილა მათი ზმობა.

ყაზბეგს მეორედ თელავში შევხვდები, მაშინ „გლეხის ქალთა სკოლა“ დაარსებული გვექონდა და სანდრო მის სანახავად მოვიდა ჩვენთან. სკოლის მუშაობას გულმოდგინებით გაეცნო, როცა ნახა, წერა-კითხვასთან ერთად მოწაფეებს პურისცობასა და ხელსაქმესაც ვასწავლიდით, ძლიერ მოიწონა.

თელავში სანდროს ურთიერთობა ჰქონდა მატარაძეების ოჯახთან.

ი. დავითაშვილი და ვ. გოცირიძე მისი მუდმივი მხლებლები იყვნენ: მსახიობებიდან მას მეგობრობდნენ ვიქტორ და დავით გაშყრელიძეები.

მესამედ შევხვდი ყაზბეგს ჩვენს სახლში, მაშინ ი. დავითაშვილი აღარ იყო ცოცხალი. სახლი ჰადრის იქით, ნადიკვართან, გვექონდა აშენებული. ჩემი ქმარი, ვანო, ისე გულთბილად მიეგება ყაზბეგს, როგორც საკუთარ ძმას. სტუმარი მაშინვე სასტუმრო ოთახში ძოვათავსეთ და, რასაც ის ითხოვდა, ყველაფერს ვუსრულებდით.

ჩვენთან მას ერთი უცნაურობა დაეტყო: სულ მზესუმზირას ჰამდა, ნარჩევს თავისივე მხრებზე იყრიდა, თან ავეჯსა და იატაკზე აბნევდა. ერთხელ ოთახში შევიხედე. სანდროს სავარძელზე მისძინებოდა და ორივე მხარზე მზესუმზირას ნარჩევი ეყარა. მე ვანოს დავანახვე სულიერად გადაქანცული მწერალი, რომელიც სავარძელზე მიწოლილიყო დასასვენებლად. ჩვენ ორივეს შეგვებრალა იგი.

უქმად არასოდეს იჯდა. რაც ჩვენთან იყო, სულ წერდა. აქაც მისი უცნაურობა იმაში გამოიხატებოდა, რომ დაწერილ ფურცლებს ხან მარჯვნივ ისროდა, ხან მარცხნივ, სულიერი ავადმყოფობა ხელსაჰრევდა. სანდრო თანდათანობით უფრო უცნაური ხდებოდა. ჩვენ ძალიან ვნადგლობდით მწერლის ასეთი მდგომარეობით. ვანო სევდიანად მეუბნებოდა: „დაღალუღია, ლიზა, ჩვენი ყაზბეგი ფიქრებით, წერით და ქვეყნის ვაებით“.

**7. სონა ესტატეს ასული მაღალაშვილი (73 წლისა, მცხ. სოფ. ახალქალაქში, კასპის რაიონი):**

პაპიდა ელისაბედი და მისი ვაჟიშვილი, სანდრო, ხშირად მოდიოდნენ ახალქალაქში ლუკა ესტატეს ძე თარხნიშვილის ოჯახში (ლუკა მკვიდრი ძმა იყო პაპიდა კეკელი). პაპაჩვენმა თავის დას აჩუქა ვენახი, რომელსაც დღესაც ყაზბეგიანთ ვენახს ეძახიან.

კეკე ბებია იმ დროის კვალობაზე განვითარებული ქალი იყო. ზეპირად იცოდა საღმრთო რჯული და „ვეფხისტყაოსანი“. რომ ჰკითხავდნენ: ასეთი ძნელი ნაწერები როგორ გახსოვთ ზეპირადო, პაპიდა უპასუხებდა: უწინ ყველა დიდ ქალებს კარგა უნდა ესწავლათ ხელსაქმე, „ვეფხისტყაოსანი“ და საღმრთო რჯული. იცოდა ზღაპრების, გამოცანებისა და ანდაზების თქმა, თანაც კარგი ფანტაზიის ქალი იყო. გვარ-

წმუნებდა: ჩვენ ღვთისმშობლის ნათესავეები ვართ, ბაგრატიონებს მივ-  
გან აქვთ მოდგმაო (ყეყე ყაზბეგი იყო საქართველოს უკანასკნელი მე-  
ფის — გიორგი მეთორმეტის უფროსი ქალის, სოფიო ბატონიშვილის,  
შვილიშვილი).

ერთხელ პაპიდა მოულოდნელად მოვიდა ახალქალაქში და ეტლი-  
დანვე დაიწყო მოთქმით ტრილი. ჩემი ბიძები საჩქაროდ მისცივიდნენ,  
გადმოსვეს ეტლიდან და სახლში ამოიყვანეს, წინ მიეგება ბეზიაჩემი,  
რომელსაც პაპიდამ შესჩივლა: „ვაიმე, ჩემო რძალო, თამროჯან! ჩემი სა-  
ყვარელი სანდრო გამიგიჟდა: აიღო კომბალი, ჩაიცვა მწყემსის ტანისა-  
მოსი, მთაში წავიდა და ახლა მეცხვარედ არის. ცივ ნიავეს არ ვაკარებდი,  
დღეს კი მთაში დახეტიალობს! არ გებრალეები, ჩემო რძალო? სანდრო  
ქვეყნის მასხარა გახდა!“.

სანდრო ყაზბეგს დიდი მეგობრობა ჰქონდა დედაჩემ ანიკოსა და  
დეიდებთან: ნინუცა და მამოსთან. დედაჩემს წერილებიც ჰქონდა  
სანდროსაგან, მაგრამ ვერც ერთი ვერ ვიპოვეთ.

სანდრო და ჩემი დეიდები ხშირად მართავდნენ წარმოდგენებს.  
იმ დროს სანდრო ევროპულ ტანისამოსში გამოწყობილი დადიოდა,  
მშვენიერი და მხიარული კაცი იყო. უყვარდა ლამაზი ქალები, ძალიან  
მოსწონდა მაკრო მაღალაშვილი, მაგრამ ცოლის შერთვას არ ფიქრობდა.

ერთხელ მაკრო მაღალაშვილი და მისი დეიდაშვილი ელენე მორ-  
თულაძე ეტლით მიდიოდნენ თბილისის ქუჩაში. სანდრომ მათ თვალი  
შეასწრო, გაიქცა და ეტლს შეახტა. ცხენები დაფრთხნენ. მეეტლემ  
ისინი ველარ შეიმაგრა. ეტლი გაქანდა და კინაღამ სანდრო და ქალები  
არ გადაიჩხნნენ. როცა ცხენები გააჩერეს, სანდროს ეს ამბავი სიცილად  
არ ეყო. ამბობდა: ეს საწყალი სააღდგომო ბატონები კინაღამ არ  
დავლუპეო.

8. ბარბარე პაატას ასული სულხანიშვილი (კომპოზიტორ ნიკო სულხანი-  
შვილის და, 74 წლისა, მცხ. თელავში, ჭულაშვილის ქ. № 18):

ყაზბეგი მეგობრობდა ჩემ სიძეს ილია აბრამის ძე ზარაფიშვილს,  
რომელიც თელავის სასულიერო სასწავლებელში მათემატიკას ასწა-  
ვლიდა. ჩემი სიძე სცენის მოყვარეც იყო. მასთან ახლოს იყვნენ  
ი. დავითაშვილი, ი. როსტომაშვილი და ვარდენ გოცირიძე. ესენი  
ამზადდებდნენ საღამო-წარმოდგენებს, მაგრამ პიესის დადგმა უჭირდათ.  
მსახიობ ქალებს ძნელად შოულობდნენ. როცა თელავში ყაზბეგი ჩა-  
მოვიდოდა, საქმე ადვილდებოდა. ის რალაცნაირად მაშინვე გამოძე-  
ბნიდა მსახიობ ქალებს. წარმოდგენებს დგამდნენ კლუბში, „ბატონის  
წყაროს“ უბანში. ერთხელ პიესა „არსენა“ დადგეს. ყაზბეგი არსენას  
როლს ასრულებდა, სხვა როლებს კი თამაშობდნენ ქეთო ანდრონიკა-  
შვილი (ზურაბიშვილის ქალი), დავით და ვიქტორ გამყრელიძეები.

9. ნინო ივანეს ასული რაზმაძე (98 წლისა, მცხ. თელავში, მარქსის ქ. № 2):



ყაზბეგი დაიარებოდა სტუმრად სოფ. ქისტაურში თავის სიმძის-  
 იოსებ ერისთავის, ოჯახში. ქისტაურში მას ვხედავდით უფრო შემოდ-  
 გომობით, რთველში, ანდა ალავერდობას. ერისთავების ოჯახში სანდროს  
 ჩამოსვლაზე დიდი ზეიმი იყო: ახლო-მახლო სოფლებიდან ნათესავებს,  
 ან მეგობრებს იწვევდნენ, ლხინი რამდენიმე დღეს გრძელდებოდა.

დარიკოს, იოსებ ერისთავის ცოლს, ძლიერ უყვარდა სანდრო.  
 როცა იგი ქისტაურში იყო სტუმრად, დარიკო ოჯახში ტრიალებდა და  
 სტუმრებს მხიარულ გუნებაზე ჰხვდებოდა, გაისტუმრებდა თუ არა  
 ძმას, ოჯახსაც გაურბოდა და განმარტოებული დაიარებოდა. მისმა  
 ასეთმა მოქმედებამ ავადმყოფური ხასიათი მიიღო. ერთ დღეს დარიკო  
 მოკლული ნახეს ტყეში. მკვლელობა დააბრალებს ვინმე კახიანს, რომ-  
 ელიც დააპატიმრეს კიდევ და ციხეში გარდაიცვალა.

ყაზბეგი ახალგაზრდობისას ცოცხალი და მხიარული იყო, ბოლო  
 წლებში კი ძალიან გამოიცვალა. მის თვალებში ახალგაზრდული  
 სიცოცხლე აღარა კიაფობდა, უფრო მოწყენილი და გულჩათხრობილი  
 დადიოდა. თელავის ბაღში გამოვიდოდა, დაჯდებოდა უსიტყვოდ და  
 მოსიარულე ხალხს უყურებდა გარინდებულნი.

10. ელენე გიორგის ასული ანდრონიკაშვილი (76 წლისა, მცხ. ოფიოში):

ყაზბეგი პირველად ვნახე 1882 წელს თბილისში, ბიძაჩემის,  
 მიხეილ ივანეს ძე მელიქიშვილის, სახლში. მაშინ მე ათი წლისა  
 ვიქნებოდი. ალექსანდრე კარგად გამოიყურებოდა: ლამაზად და სუფთად  
 ჩაცმული, საუცხოოდ ცეკვავდა. ერთი წლის შემდეგ კიდევ ვნახე ის  
 თბილისში, სიმონოვის ქუჩაზე. იქ საღამო-წარმოდგენა გაიმართა და  
 ყაზბეგმა ჩაჩნური იცეკვა ხანჯლებით. ხალხი აღფრთოვანებული შე-  
 გება მოცეკვავე მწერალს.

თელავში ხშირად ჩამოდიოდა, ცხოვრობდა მსახიობ ვიქტორ  
 გამყრელიძესთან, რომელიც თელავის სამკითხველოს გამგედ მუშა-  
 ობდა. როდესაც მე ალექსანდრე ახლოს გავიცანი, მას უკვე ავადმყო-  
 ფობის ნიშნები ჰქონდა. ხან კარგად ეცვა, ხან ცუდად, უფრო კი  
 ნაბადს ატარებდა. ვიქტორი დამიძახებდა, მთხოვდა ჩაი გამეკეთებინა  
 პატარა საუზმით და ალექსანდრესთვის ამით მაინც მეცა პატივი. მაშინ  
 წაკითხული მქონდა მისი მოთხრობები. გულით მინდოდა მასთან საუ-  
 ბარი, მაგრამ, პატარა რომ ვიყავი, ვერ ვხედავდი. ერთხელ, როგორც  
 იქნა, შევეკითხე „განკიცხულის“ შესახებ: ნუთუ მართალია, რაც დაწე-  
 რილია „განკიცხულში“? სანდრო ჩაფიქრდა, თავი ჩალუნა და მიპასუხა:  
 მართალია, ცხოვრებიდან მაქვს აღებული.

თელავში ალექსანდრე სტუმრად დადიოდა ილია აბრამის ძე  
 ზარაფიშვილთანაც. ის ყაზბეგს, როგორც მწერალს, დიდ პატივსა  
 სცემდა, თავისთან სადილზე იწვევდა კიდევ. ერთხელ მას წვეულება  
 ჰქონდა და ალექსანდრეც მასთან იყო სტუმრად. მასპინძელი ყოველ-

წიარად ცდილობდა სტუმრების გამხიარულებას. სულხანიშვილები შესანიშნავად მღეროდნენ, ალექსანდრე ერთხანს დაღვრემილი იყო, მაგრამ კახურმა სიმღერებმა მალე ალტაცებაში მოიყვანეს, ფეხზე წამოდგა და ლექსი თქვა:

მარტო ვარ, მარტო ვიმღერი,  
არაინა მყავს მოზანე!  
მაისის წვიმაც, წამოღი,  
გულს სევდისგან მომბანე!

ნიათ, წყნარად დაქროლე,  
ფოთოლს ტაშ დააკვრევენე...  
სწორი არ მამეც, უფალო,  
ცხვირი სად წამაკვრევენე?!...

სანდროს ახლო ურთიერთობა ჰქონდა, აგრეთვე, მაიკო რუსი-შვილთან, რომელიც ქისტაურელი ერისთავების დეიდა იყო და ყაზბეგებსაც შორეულ ნათესავად მოხვდებოდა. ეს მაიკო ავადმყოფ ყაზბეგს პატივსა სცემდა. მას არ უნდოდა მწერალი ხალხში ცუდად გამოჩენილიყო. პირს ძალად ჰბანდა, თმას უვარცხნიდა, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ოდესღაც კეკელუცი სანდრო თავის თავს ყურადღებას აღარ აქცევდა.

სანდროს მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ვასილ ბარნოვი. ის იმ დროს თელავის სასულიერო სასწავლებელში იყო მასწავლებლად. მეგობრულად ექცეოდა ყაზბეგს, თავისთან მიჰყავდა დასაძინებლად, ასმევდა და აქმევდა.

\* \* \*

გოგლასთან მუზეუმში მოდიოდა ძველი რევოლუციონერი ნიკოლოზ ტლაშაძე, რომელმაც ბევრი რამ იცოდა საქართველოს რევოლუციური წარსულიდან, კერძოდ — ი. სტალინის ყრმობისა და სიჭაბუკის დროინდელი ამბები. გოგლა მისგან ცნობებს იღებდა და იწერდა. ორივენი ერთმანეთს დიდ პატივსა სცემდნენ, დიდადაც მეგობრობდნენ. 1948 წელს გოგლამ დააწერინა მას მოგონება ალ. ყაზბეგზე. მისი ჩანაწერი, სათაურით „მოგონება ქართული სულის დამნერგავზე“ მე გადმომცა: წაიკითხე, შეისწავლე და გამოიყენეო. მოგონება დაწერილია ფაქტით ორ დიდ ფურცელზე (25X44 სმ.). ხელმოწერილია ასე: „ძვ. რევოლუციონერი ნიკოლოზ ტლაშაძე. 5.X. 48 წ.“ ვაქვეყნებ ტექსტს უცვლელად (მხოლოდ გასწორებულია ზოგიერთი ორთოგრაფიული შეცდომა):

„1893 წელს გორიდან თბილისში ჩამომიყვანეს, მიმაბარეს სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში, ბინად კი — სულით ავადმყოფთა სამკურნალოს უფროს მრეცხავთან, რომელიც

იქვე ცხოვრობდა. სამკურნალო მტკვრის პირას იყო, ნათალი კლდე  
ნაშენი. იქვე ახლოს ხის შენობა იყო, რომელსაც „ბარაკს“ ეძახდნენ.  
ქვის შენობაში მწვავე ავადმყოფნი იყვნენ მოთავსებულნი, „ბარაკში“ —  
მშვიდნი. ექიმობდნენ ექ. პავლოვსკი, ორბელი და გედევანიშვილი,  
უკანასკნელი — განსაკუთრებით „ბარაკში“.

ამ „ბარაკის“ ბალკონზე ხშირად ვხედავდი ერთ კაცს, რომელიც  
იჯდა სკამზე, მარცხენა ხელზე ყბით ჩამოყრდნობილი, იდაყვით დაბჯე-  
ნილი ბალკონის მოაჯირზე, თეთრი წვერით, უქულოდ. ის იჯდა მუდამ  
ჩუმად და გასცქეროდა ბალკონის წინ ხეებით და ბუჩქნარებით ნარ-  
გავ ფართობს.

ჩვევად მქონდა ავადმყოფების გალიზიანება. ამ კაცის მიმართ კი  
რალაც მოკრძალებას ვგრძნობდი. მას ხშირად დიდხანს ვუცქეროდი თა-  
ნაგრძნობით. რალაც წინა-გრძნობა მიზიდავდა მისკენ. მაშინ ქართულ  
მწერლობას არ ვიცნობდი და არც ის ვიცოდი, თუ ეს დიდი ა. ყაზბეგი  
იყო.

1893 წელს, დეკემბერში ვაკვეთილების შემდეგ ერთმა მოწაფემ,  
როინიშვილმა, გამოგვიცხადა ქართველ მოწაფეებს: „მწერალი ა. ყაზ-  
ბეგი გარდაიცვალა, გამოსვენებას უნდა დავესწროთ“. სულ ხუთმეტე-  
ოდე მოწაფე ვიყავით ქართველები. წავედით გამოსვენებაზე წიგნებით  
ხელში. გზა და გზა როინიშვილმა გაგვაცნო მოკლედ ა. ყაზბეგის ვი-  
ნაობა. მაშინ გავიგე, რომ ის კაცი ა. ყაზბეგი ყოფილა და გული  
დამწყდა.

ა. ყაზბეგის ცხედარი დაასვენეს ქაშვეთის ეკლესიაში. ხალხი  
თანდათან მატულობდა. ჩვენი მოწაფეების ახლოს იდგა ორი დარბაისე-  
ლი კაცი. როინიშვილმა ერთზე მიგვითითა: „აი, ის ი. ჭავჭავაძე არისო“.  
ი. ჭავჭავაძე ჩვენ თანაგრძნობით გვიცქეროდა, მოუბრუნდა მეორეს და  
ასე უთხრა: „ხომ ხედავ ამ მოწაფეთა პატარა ჯგუფს? წიგნებით  
ხელში მოსულან გასვენებაზე დასასწრებლად. მოვა დრო და ასეთ  
შემთხვევაში ათასობით დაესწრებიან“.

მეორე დღეს როინიშვილმა მომიტანა წიგნი: „აჰა, წაიკითხეო“. ეს  
წიგნი იყო ა. ყაზბეგის „ელგუჯა“. დავიწყე კითხვა. ისე გამიტაცა, რომ  
ყველაფერი დამავიწყდა. ვკითხულობდი გამმაგებით, თან თვალწინ  
მედგა მისი ავტორის სახე. მე ვგრძნობდი, რომ ჩემში რალაც გარდა-  
ქმნა ხდებოდა. „ელგუჯამ“ შთამბერა ქართული სული, რომელიც სა-  
ფლავამდე გამყვება“.



სამამულო ომის დროს ლიტერატურული მუზეუმის მთავარ მცვე-  
ლად მუშაობდა გიორგი ნათაძე, კაცი დიდად განათლებული და პატი-  
ოსანი. ადრე მას დიდხანს უმოღვაწნია ხევში, შემდეგ ჩრდილო ოსეთში  
და ბევრი მასალა შეუგროვებია, საყურადღებო ნარკვევებიც დაუწერია.

მე რომ მუზეუმში დავიწყე მუშაობა ის, უკვე გარდაცვლილი იყო თანამშრომლები მას დიდი პატივით იხსენიებდნენ. ერთ დღეს ჩვენთან მოვიდა მისი შვილი, დოც. ვახტანგ ნათაძე, და მოიტანა მამის ნაწერების სია (I ფ.):

### „გიორგი ნათაძის არქივიდან“

1. ხალხური სიტყვიერება. შეგროვილია მთაში (ხევი, მთიულეთი) — 530 გვ.
2. ქართველი დედა. ქართველ მოღვაწე ქალთა შესახებ — 474 გვ.
3. მემუარები — 300 გვ.
4. ტარასი არქიმანდრიტი (ალექსი-მესხიშვილი) — 37 გვ.
5. ქართველი კალიგრაფები — 105 გვ.
6. ქართველების კულტურული კვალი ჩრდ. კავკასიაში — 57 გვ.
7. ხატობა მთაში — 56 გვ.
8. სოფლის წიაღში — 46 გვ.
9. მთების გუგუნი — 72 გვ.
10. წერილები ოსეთზე — 79 გვ.
11. ოსური მწერლობა — 108 გვ.“

გიორგი ლეონიძემ ეს სია გადაიკითხა და მიაწერა: „ყველა საინტერესოა. გ. ლეონიძე“. გადაწყდა, რომ მუზეუმს გ. ნათაძის მთელი არქივი შეეძინა, მაგრამ ამ საქმეს თავი ვერ მოვებით, თვით ვ. ნათაძეც არ მოგვეძალა და ყველა შრომა ისევ ოჯახში დარჩა. მხოლოდ 1950 წელს გამოქვეყნდა „ხალხური ლექსები და ზღაპრები“ სოლ. ხუციშვილის რედაქციით. ლიტერატურულ მუზეუმში კი დაცულია გ. ნათაძის ერთი მოზრდილი ნარკვევი „ალექსანდრე და დიმიტრი ყაზბეგები“. მასში ჩართულია იოსებ ბურდულის „მოგონება ა. ყაზბეგზე“, რომელიც 1930 წელს ჩაუწერია გ. ნათაძეს ორჯონიკიძეში. აი, მისი ტექსტი (იბეჭდება შემოკლებით):

„მე კონდუქტორად ვიყავ. ალექსანდრეს დაებარებინა კავკავში, რომ ერთი ადგილი ომნიბუსში შემიწახეთო. იმ ომნიბუსით, სხვათა შორის, შუახნის პეტერბურგელი ქალი თავისი ქალიშვილით მოდიოდა თბილისში. სადგურ ყაზბეგში რომ მივედი, ალექსანდრეს შეატყობინეს ომნიბუსის მოსვლა. იგი ჩამოაცილეს მოურავმა და მოსამსახურებმა.

ომნიბუსში მგზავრები დაათვალიერა. სადგურის დარაჯი „ხურმეშკა“ შინ გაგზავნა და ტყავი ჩამოატანინა, ჩაიცო ეს ტყავი, მთლად გაქონილი, სუნიანი და შესახედავადაც საზიზლარი, ჩაჯდა ომნიბუსში. ქალებმა განზე გაიწიეს და პირი მიიბრუნეს, ზედაც არ უნდოდათ შეეხედათ და სუნსაც ერიდებოდნენ. გზადაგზა ქალები სხვადასხვა ადგილებზე შეკითხებოდნენ, ყველაფერი აინტერესებდათ. მეც ვუხ-



სნიდი, რაც ვიცოდი, ვუამბობდი. ბოლოს უეცრად ლაპარაკში ჩავედი

ალექსანდრე:

ქალები გაოცდნენ:

— თქვენ სად გისწავლიათ ასეთი კარგი და წმინდა რუსული?

— მოსკოვში, — უპასუხა ალექსანდრემ.

გაოცებულმა ქალებმა ჰკითხეს:

— მაშ, ეს თქვენი ტანისამოსი რაღას ნიშნავს?!

— მე ცხვრის პატრონი ვარ, ცხვარში დავდივარ მწყემსად, ამას-თანავე მწერალი ვარ და მასალებს ვაგროვებ, აი, ამ მთიელი ხალხის ცხოვრებიდან ჩემი თხზულებებისათვის.

მათ შორის საუბარი დიდხანს გაგრძელდა. სხვათაშორის უფროსმა ქალმა უთხრა:

— პეტერბურგში ორ კვკასიელს ვიცნობდი, ერთი მათგანი კინაზი ყაზბეგი იყო, რომელიც საუცხოვოდ ცეკვავდა ლეზგინკას.

— ის ყაზბეგი მე ვარ, — უპასუხა ალექსანდრემ.

გულაურში რომ ავედი, ალექსანდრემ დამიძახა და მიბრძანა: გაუგზავნე მლეთის „ბუფეტჩიკს“ ტელეგრამა, რომ სამი სულისათვის კარგი ვახშამი მოამზადოს. თხოვნა ავუსრულე. ჩავედი მლეთის საღებურში. ქალები ბუფეტში ჩაის დასალევად შევიდნენ, ალექსანდრე კი „ობშჩაია კომნატაში“ შევიდა, იქ მან ტყავი გაიხადა, ჩაიცვა თეთრი ჩოხა, რომელიც ძალიან უხდებოდა და გამოვიდა. მე ვუთხარი:

— ალექსანდრე მიხეილიჩ, ეგრე არა სჯობიან რაღაც უშნო ტყავის ჩაცმასა, რომელიც საშინლად გაუშნოვებდა?..

— მღვდელს ჭილობში იცნობენ, — მიპასუხა მან და ქალებთან მივიდა. ქალები გაკვირდნენ. ალექსანდრემ მიიპატიჟა ისინი ვახშამზე. მათ კარგი დრო გაატარეს: ბევრ რამეზე ილაპარაკეს. ქალების ცნობისმოყვარეობას დასასრული არა ჰქონდა. საუბარში ალექსანდრემ მათ უთხრა, რომ მე არტიტიც ვარ. როდესაც თბილისში ჩავალთ, ჩემი ბენეფისი იქნება თეატრში და გთხოვთ დაესწროთ, ბილეთებს მოგართმევთო. მართლაც, ჩასვლის მეორე დღეს სანდრომ ამ ქალებს ბილეთები მოუტანა, მე კი — კონტრაპარკა და წავედი თეატრში.

აჩვენებდნენ ხეცურულ ქორწილს: დედოფალი შემოიყვანეს სახლში, კარებში გადაჯვარედინებულ ხმლებს ქვეშ გაატარეს. ერთმა ხეცურმა ხმალი ქერს გაართვა, ჩამოცვივდა ჰვარტილი და ნეფე-დედოფალს თავპირზე დაეყარა, მერე გამჟვარტლული ნეფე-პატარძალი კერას შემოატარეს სამჯერ. ალექსანდრე კარგად თამაშობდა, ხალხი სიცილით დახოცა..“

ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ერთი ხელნაწერი, რომელიც შეიცავს პ. კარბელაშვილის (ცხვილოელის) მცირე მოგონებას ა. ყაზბეგზე. იგი ძალიან საინტერესოა მწერლის სა-

ქმიანობის გასათვალისწინებლად. აი, თვით მოგონების ტექსტი: ეროვნული  
ბიბლიოთეკა

„ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალების დღესვე დაწერე ჩემი მოგონებანი განსვენებულის შესახებ და მაშინვე გამოვაქვეყნე ვაზ. „ივერიაში“ (1893, № 268 — 69). როგორც მაშინ აღვნიშნავდი, სანდრო გავიცანი პირველად 1881 წლის დეკემბერში. ძლიერ დამემგობრდით და რამდენიმე ხანს ერთ ოთახშიც კი ვცხოვრობდით ახლანდელ კავშირგაბმულობის სახლის ადგილზე მყოფ მუხრან-ბატონის სახლის მეზონინში, გოლოვინსკის პროსპექტზე. იმავე სახლში იმყოფებოდა „დროების“ რედაქცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სერგეი მესხი.

მე და სანდროს დამოკიდებულება ნამდვილი ამხანაგური და ძმური იყო. ერთად ვშიშობდით (რადგანაც მხოლოდ ერთ ჰონორარზე ყოფნა არაფერს საიმისოს იძლეოდა), ერთად ვიყავით მაძლარნი, ერთად ვმუშაობდით „დროების“ რედაქციისათვის, სადაც მე 1875 წლიდან ვთანამშრომლობდი (ჩემი პირველი წერილი „კლდემაღლას ციხე“, ისტორიული ლეგენდა, ამ წელს დაიბეჭდა „დროებაში“, №38 — 39).

ახლაც თვალწინ მიდგა საწყალი სანდრო, პატარა მაგიდასთან მიმჯდარი, მხრებჩაყარდნილი, თავჩალუნული, კისერზე განუყრელი „უაკოთი“, წერს და წერს. ზოგჯერ აიმართებოდა მჯდომარე და შემეკითხებოდა: „გეთაყვა, პოლე, მითხარი: მღვდელს საზიარებელი მოწყობილობა მუდამ თან დააქვსო?“ ეს იყო მაშინ, როცა თავის უკვდავ „მოძღვარსა“ წერდა და მე, როგორც ყოფ. სემინარიელს, დაწვრილებით მაამბობინებდა მღვდელთმოქმედების საქმეს.

მახსოვს: კითხულობდა ჩაჩიჩინებით, გარდა ამერიკის მეკომურ მთიელ ინდიელებზე დაწერილ წიგნისა „Законы Линча“, აგრეთვე, ცნობილ ემარის ტომებსაც — „Об американских индейцах“, რომელიც მთელ სერიას შეადგენდა, მაინ რიდის მსგავსს. აქედან იღებდა მასალას მთიელების ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულებებისა და ხასიათის შესახებ, რის გარშემოც ბევრი სჯა-ბაასი გვქონდა ერთად. ქართული ენის ნორმების შესახებ ესაუბრებოდა სანდრო გიგა ყიფშიძეს, რომელიც ხშირად მოდიოდა ჩვენსა და ამ ბაასში მეც ვიღებდი მონაწილეობას...

მე უკვე 80 წლისა ვარ ამჟამად, მაგრამ ხსოვნა კარგად შემერჩა და ბევრი რამ მაგონდება. სანდრომ „მოძღვარი“ ჩემს თვალწინ დაწერა. დაწერა აგრეთვე „არსენა“, რომელიც 1882 წელს დაიდგა სცენაზე. თვითონ სანდრო არსენას როლს თამაშობდა, ვ. აბაშიძე — სომხისას, მე კი — ერთ-ერთი მომკალისას. ჩემს თვალწინ დაწერა, აგრეთვე, „მამის მკვლელი“, რომლის სტილის შესწორებაში ვშველოდი. აგრეთვე, მიკითხავდა ცალკე თავებს და თითქმის ერთად ვასწორებდით“...

ალექსანდრე ყაზბეგი ბუნებით ლამაზ და უხმოსავლიან კახეთს მას შემდეგ ესტუმრა, როდესაც მისი ნახევარი დაი დარიკო თუმანი-შვილი სოსიკო დავითის ძე ერისთავს (რაფიელ ერისთავის ძმას) მისთხოვდა. ამ დროს ა. ყაზბეგმა კახეთი პირველად ნახა და ეს მხარე მას ისე მოეწონა, რომ მის შესახებ ეთნოგრაფიული ნარკვევის დაწერაც კი განიზრახა. როგორც ჩანს, ა. ყაზბეგის დაუმთავრებელი კონსპექტის მიხედვით, ეს ნარკვევი ძველი თელავის შესწავლისათვის მეტად საინტერესო უნდა ყოფილიყო, მისი შინაარსი ასეთია: „ა. კახეთი, ბ. მისი დიდებული სურათოვნება, გ. ღვინო კახური და კახელთა ფაფხური, დ. კახელი ქალი, ე. ოჯახობა და მოწყობილობა, ვ. ცის შუქ-ბნელ უფსკრულში, ზ. ნაჩაღნიკები, მღვდელი ახმეტისა, დ. ლესნიჩი, თ. ახალი გუბერნატორი და მისი მოგზაურობა, ი. ნაჩაღნიკები თავიანთი სადილებით, კ. კენიების ფაცხა-ფუცხი, ლ. პენსია, ჟალოვანია, ნაგრადა, მ. თავგაწეწილი ყუყუნა, ნ. ავადმყოფი, ა. ყოვლად ჩაუგონებელნი და მოუზარებელნი, პ...“.

პირველი სტუმრობის შემდეგ ა. ყაზბეგს კახეთში სიარული აღარ შეუწყვეტია. ნინო რაზმაძის გადმოცემით, იგი სოფ. ქისტაურში ერისთავებთან რთვლობის უამს დაიარებოდა. მისი სტუმრობით მოყვრებში ერთი ალიაქოთი ატყდებოდა ხოლმე, სოსიკო და რაფიელი ა. ყაზბეგთან ერთად დასხდებოდნენ ლხინად და ხანგრძლივად პურობდნენ და ლექსაობდნენ.

1887 წლიდან ა. ყაზბეგი კახეთს მატერიალურადაც დაუკავშირდა, როდესაც მან თავისი სასცენო მოღვაწეობის ასპარეზი თელავში გადაიტანა. ამ დროს, მართალია, მისი შემოქმედებითი უნარი ავადმყოფობის გამო დეგრადაციას განიცდიდა, მაგრამ სცენისადმი სიყვარული მის გულში მაინც ნაღვერდალივით ღვიოდა. როგორც ცნობილია, ქართულმა დრამატულმა დასმა თბილისში უკანასკნელი წარმოდგენა 1887 წელს მარტში დადგა და სეზონიც თეატრის შენობის რემონტის გამო იმავე თვეში დაიხურა. მსახიობები სამოღვაწეოდ პროვინციაში წავიდნენ. ა. ყაზბეგმა თელავს მიაშურა. 20 მაისს ის უკვე ადგილზე იყო. საფიქრებელია, მას უკან გაჰყვნენ მაკო საფაროვა, ელ. ჩერქეზიშვილი, ვიქტორ და დავით გამყრელიძეები. 20 მაისს თელავში ა. ყაზბეგმა ნიკოლოზ მატარაძის ოთხი წლის თამროს საალერსო ლექსი მიუძღვნა (სათაურით „თამროს“). ა. ყაზბეგის არქივში ამ ლექსის სამი ვარიანტია დაცული და სამივე ავტოგრაფს წარმოადგენს. მეოთხე ვარიანტი არამწიგნობრული ხელით მიწერილია „ამირან-დარეჯანიანის“ ჩაჩიკაშვილისეული ხელნაწერის 159 გვერდზე და ლექსს ბოლოზე ერთვის ასეთი შენიშვნა: „თამრო ოთხი წლისა

იყო. ეს ლექსი ალექსანდრე გიორგის-ძე (sic) კნიაზ ყაზიბეგმა თამროზე დაწერა. 1887 წ. მაისის 20. თამრო გაიზარდოს, წაიკვამლოს თხოს“. მეხუთე ვარიანტის ერთი ტაეპი კი 1894 წელს ჟურ. „კვალში“ (№40, გვ. 15) ნოშრევან მერკვილაძემ გამოაქვეყნა და მანვე აღნიშნა, რომ ლექსში მოხსენებული თამრო არის ნიკოლოზ მატარაძის ასული. აღნიშნული ვარიანტების მიხედვით ლექსის სრული ტექსტი ამ შინაარსის შემკველია:

ჩვენი ჟუჟუნა თამრო,  
კვკლუცი და ნაზია,  
ვინც კი ნახავს, იძახის:  
ღმერთო რა ლამაზია!

მისი სახე, თელეზი  
გულში ჩასახატია,  
ბედიმე მას ჩაეგროხოს,  
როგორც საროს ვაზია.

შველსავეთ მოხდენილი,  
ნიაესავეთ მარღია,  
კვკლუცობით გვატკბუნებს,  
ზამბახი და ვარღია.

მასთან ყველა ვაფასდეს:  
გინდ ლეკი, გინდ ლაზია,  
მასამც თავს შემოეფლოს  
ევროპა და აზია.

ჩვენი ჟუჟუნა თამრო  
კვკლუცი და ნაზია,  
მისი ხილვა გაკვირვებთ,  
ისეთი ლამაზია.

ნოშრევან მერკვილაძის ცნობით, თამროს უმცროსი ძმა, ვიქტორ მატარაძე, შემდეგში ქართული სცენის მოღვაწე, მაშინ წლინახევრისა იყო და თურმე ძლიერ ახველებდა. ა. ყაზბეგმა პატარა ვიქტორს თავზე ხელი გადაუსვა, მუხლზე შეისვა და ექსპრომტად ასეთი ლექსი უთხრა:

ვიქტორს ხველა ჭიასა,  
თითონა ჰგავს იასა,  
თუ აკოცებს ძიასა,  
ღედა აჭმევს ფიასა...

გაეწმინდოს გონება,  
მისცეს გულის ფონება,  
მის ძია ალექსანდრეს  
უფრო მოეწონება.

ალარაფერს იტკენდეს,  
დალერდეს, აბიზინდეს,  
რომ სამშობლო ქვეყნისთვის  
ვარსკვლავად ამობრწყინდეს.

(„კვალი“, 1894, №40, გვ. 15).

თელეზი ჩასული ა. ყაზბეგი ი. როსტომაშვილთან დაბინავდა. როგორც ელ. როსტომაშვილი, ვ. მატარაძე, ელ. ანდრონიკაშვილი

და ნ. რაზმაძე იუწყებთან, მან მეგობრული ურთიერთობა გააპყრო  
სოსიკო მერკვილაძის, ვიქტორ გამყრელიძის, ილია ზარაფიშვილისა  
და ნიკოლოზ მატარაძის ოჯახებთან.

ეს ოჯახები 80-იან წლებში თელავის სცენის მოღვაწეთა საკრე-  
ბულოს წარმოადგენდა. ვიქტორის მამა, როგორც ამას თვით ვიქტო-  
რი იუწყება, სასცენო მოღვაწეობით იყო გატაცებული და შვილებსაც  
ხელს უწყობდა, სცენის მოყვარენი გამოსულიყვნენ. მის ოჯახში  
თავს იყრიდნენ ქართველი მწერლები და მსახიობები, რომელნიც  
თელავში საღამო-წარმოდგენებსა მართავდნენ. ა. ყაზბეგი მათთან  
ერთად ხშირად მიდიოდა მატარაძეებთან. საინტერესო ცნობას იძლევა  
ნოშრევან მერკვილაძე: 1887 წელს ალ. ყაზბეგი თელავში მონაწილე-  
ობას იღებდა შინაურულ საღამოებსა და კრებებზე, სადაც თელავის  
იმდროინდელი ახალგაზრდობა ესწრებოდა.

იმ ხანად თელავი უპატრონოდ იყო მიტოვებული. მთავრობა  
ქალაქის კეთილმოწყობასა და ხალხის კულტურულ მომსახურებაზე  
თავს არ იწუხებდა. 1887 წელს გაზ. „ივერიაში“ (№166) მიტროფანე  
გურული წერდა: „ღვთის ანაბარას არის მიგდებული ჩვენი ქალაქი...  
ჯერ აქ ქუჩების შეკეთება არც კი გაუგონიათ... ქვა-ლორღი, ძვლები,  
სუნდაცემული მძოვრი ძაღლებისა და კატებისა განუშორებელი  
კუთვნილებაა ჩვენის მიგრეხილ-მოგრეხილის და ვიწრო ქუჩებისა“.  
ზამთარ-ზაფხულ საშინელი მოწყენილობა სუფევდა. ი. კახელი თელა-  
ვიდან იწერებოდა, რომ შემოდგომა და ზამთარი ხომ მოწყენილია და  
არც ზაფხულშია თელავის ცხოვრება რითიმე შესანიშნავი. კვირაში  
ორჯერ „ობჩი ლოტო“ და თავმოსაბეზრებელი „ლატარიები“ იმარ-  
თება ნალარა-ჭიანურიითა და ეს არის თელაველთა დროსგასატარებელი  
საქმე. ალ. ყაზბეგი კი თელავის კლუბსა და იქაურ გართობა-თამაშო-  
ბას ერთ პატარა ლექსში ასე ახასიათებდა:

ესეც კლუბი თელავისა,  
მუნვე ლოტო, დაფ-ნალარა,  
მუნ მაჭურკა ხუნდაზედა  
და ქოშებზედ თვით ყაზარა.

ტანცია დღეს იმ სახლებში,  
თავს მოიყრის მთლად ბაზარი!  
და უცოდნელ მეზურნეთა  
დოლის ხმაა შესაზარი,

იმის ხმაზედ იკარგები,  
ძილი მოვლის აბეზარი,  
მედლოვ რა დაფსა დაქარავს,  
იტყვი: „დამცეს თავში ზარი“!..

ბუნებრივია, ქართული დრამატული დასის მსახიობების და მათ  
შორის ალ. ყაზბეგის მიერ გამართულ საღამო-წარმოდგენებს თელავის  
მიყრუებული ცხოვრების გამოცოცხლებაში წინაშენელოვანი როლი

უნდა ეთამაშნა. ასეც მოხდა: 1887 წლის ზაფხულში ალ. ყაზბეგმა დრამატული დასის რამდენიმე წევრთან ერთად თელავის ცხოვრებაში სიახლე და სიცოცხლე შეიტანა. მან ადგილობრივი სცენისმოყვარენი გამოძებნა, მათი დახმარებით პიესების მზადებასა და ლიტერატურული საღამოების მოწყობას შეუდგა და უმოკლეს ხანში მისი, მაკო საფაროვასა და ივანე როსტომაშვილის თაოსნობით თელაველ მსახიობებმა რამდენიმე პიესა მოამზადეს და იქაურ საზოგადოებას წარმოუდგინეს.

გაზ. „ივერიის“ (№177) ცნობით, 1887 წლის 13 აგვისტოს თელავის კლუბში დადგმული იქნა რუსულიდან გადმოკეთებული ორმოქმედებიანი კომედია: „ჯერ ქურდი და მერე მოურავი“ და ა. ცაგარელის „ბაიუში“. მონაწილეობას იღებდა მარიამ საფაროვა. წარმოდგენა დასრულებულა დივერტისმენტით, რომელშიც ა. მოხევემ (ალ. ყაზბეგმა) რამდენიმე საკუთარი ლექსი წაიკითხა.

იმავე წლის 23 აგვისტოში წარმოდგენილ იქნა ა. მოჩხუბარიძის (ა. ყაზბეგის) ხუთმოქმედებიანი დრამა „ცხოვრების თანამოგზაური“. ამის შესახებ ა. ყაზბეგის არქივში (S №3997) დაცულ ხელნაწერ აფიშაში, რომელიც ავტოგრაფს წარმოადგენს, აღნიშნულია შემდეგი: „თელავი. 1887 წ. კვირას 23-ს აგვისტოს თბილისის ქართული დრამატიული არტისტებისაგან კლუბის დარბაზში იქნება გამართული წარმოდგენა „ცხოვრების თანამოგზაური“, დრამა ხუთ მოქმედებად, რუს. გად. ა. მოჩხუბარიძისაგან. მოქმედნი პირნი: კნენია ბარბარე გვარიანოვისა — ა. ანდრონიკოვისა, ნინო, ამისი ქალი — მ. საფაროვისა, მართა ბედერულიძისა — მ. ელბაქიძისა“... წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო. გაზ. „ივერია“ (1887, № 180) ახალ ამბებში აცხადებდა: „თელავიდან გვწერენ: კვირას, აგვისტოს 23-ს, თბილისის ქართულ დრამატიულ დასის არტისტებმა სცენის მოყვარეთა დახმარებით გაჰმართეს თელავის საზოგადო კლუბის დარბაზში ქართული წარმოდგენა. ითამაშეს ხუთმოქმედებიანი დრამა „ცხოვრების თანამოგზაური“ რუსულიდან გადმოკეთებული ა. მ. მოჩხუბარიძისაგან. წარმოდგენამ იმდენი ხალხი მიიზიდა, რომ თეატრის დარბაზი ძალზედ გაიჭედა... წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი მ. საფაროვა-აბაშიძისა, ქ. ანდრონიკაშვილისა, ბ-ნი ა. მოხევე და დ. აწყურელი. აგრეთვე, ყურადღება მიიქცია ახალმა მოთამაშემ ვ. გამყრელიძემ“.

ამავე წერილში გაზ. „ივერია“ სურვილს გამოსთქვამდა: კარგი იქნება, თუ ქართული დრამატული დასის წევრები 14 ენკენისთვეს ალავერდში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ ერთ ასეთ ფასიან წარმოდგენას გამართავენო, მაგრამ ალავერდობის დღესასწაულმა ისე ჩაიარა, რომ ქართული დრამის მსახიობებს იქ არავითარი საღამო-წარმოდგენა არ მოუწყვიათ.

ყოველ შემთხვევაში გაზ. „ივერიის“ 198 №-ში „მეთვალყურე“ ვერდობის შესახებ გამოქვეყნებულ წერილში ამაზე არაფერს იუწყება.

სექტემბრის შუა რიცხვებში თელავში მყოფ მსახიობებმა თბილისს მიაშურეს, რადგანაც ქართული დრამატიული საზოგადოების მმართველობა 1887 — 1888 სათეატრო სეზონისათვის ახალ დასს აკომპლექტებდა და საზოგადოების წევრებსა და მსახიობებს 27 სექტემბერისათვის თბილისში წლიურ საანგარიშო კრებას იწვევდა. ა. ყაზბეგიც სექტემბრის ბოლოს თბილისში ჩამოვიდა, საიდანაც მან 25 სექტემბერს თელავში ახალ-დაქორწინებულ სოსიკო მერკვილაძეს მილოცვისა და მოკითხვის ლექსი გაუგზავნა.

27 სექტემბერს დრამატიული საზოგადოების წლიური საანგარიშო კრება საზოგადოების წევრთა მოუსვლელობის გამო გადაიდო 4 ოქტომბრისათვის. ასე რომ, ა. ყაზბეგი ამ საანგარიშო კრებისა და დრამატიული დასის დაკომპლექტების მოლოდინში ოქტომბრის დასაწყისში თბილისში უნდა ყოფილიყო, ხოლო, როდესაც მას თბილისში თავისი საქმეები მოუთავებია, დროებით ისევ თელავს წასულა, სადაც ახალ გათხოვილ ნუშო მატარაძისათვის (სოსიკო მერკვილაძის მეუღლე) ნაბეჭდი მოთხრობა „ელისო“ მიუძღვნია შემდეგი წარწერით:

ნუშო, ამ წიგნს შენ გიგზავნი,  
მიეც ყურთა სმენასაო:  
ვინც კი ამ ღროს ცხოვრობს მართლად,  
არ ასცდება კბენასაო.

მათ საჩვენად ამ ღროს ბეერი  
ანძრევს ბოროტს ენასაო,  
მაგრამ იგი არ ასცდება  
სამოთხეს და ზენასაო.

მონახუბარიძე.  
1887 წ. ოქტომბერს. თელავი

ამ მინაწერი ლექსიდან ირკვევა, რომ ა. ყაზბეგი 1887 წელს მეორედ გამგზავრებულა თელავში. ერთი ხელნაწერი აფიშის თანახმად, იგი 7 ოქტომბერს ქ. თელავში ი. დავითაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს ერთ-ერთი აქტიური მონაწილე უნდა ყოფილიყო, მაგრამ გაზ. „ივერიის“ ცნობით, რომელიც დაიბეჭდა იმავე წლის № 223-ში, ი. დავითაშვილის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო გაუმართავთ 1887 წლის ოქტომბერს ვარდენ გოცირიძისა და ივანე როსტომაშვილის თაოსნობით და ა. ყაზბეგს ამ საღამოზე, როგორც ჩანს, მონაწილეობა არ მიუღია. ასე, რომ თბილისიდან ა. ყაზბეგის მეორედ გამგზავრების უადრეს თარიღად 8 ოქტომბერი უნდა მივიჩნიოთ.

თუ რამდენ ხანს დარჩა ა. ყაზბეგი თელავში, ამის დადგენა ჩვენს ხელთ არსებული მასალებით ვერ ხერხდება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 1887 წლის 15 — 16 დეკემბრისათვის, როდესაც მოხდა ახლად გარემონტებული თეატრის საჯარო კურთხევა და 1887 — 88 წლის სეზონის გახსნა, ა. ყაზბეგი, როგორც ქართული სცენის პატრონი, თელავშიც რომ ყოფილიყო, თბილისში უეჭველად ჩამოვიდოდა. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ფაქტია, რომ ა. ყაზბეგი 1888 წლის იანვარში უკვე თბილისში იყო, ვინაიდან 19 იანვარს მან ჟირარდენის დრამაში „ორცეცხლშუა“ ერთი უმთავრესი როლთაგანი შეასრულა. უდაოა, ამ როლისათვის მას სჭირდებოდა წინასწარი მზადება და რეპეტიციები, რომელთაც ის თბილისს გარეთ ვერ შესძლებდა. ასე რომ, 1887 წლის ბოლოს ა. ყაზბეგი დროებით გამოემშვიდობა თელავს, იქაურ წყნარ და უშფოთველ ცხოვრებას, ნათესავ-მეგობრებს და ისევ თბილისის სცენას დაუბრუნდა.

### III. ა. ყაზბეგის ავადმყოფობა და სიკვდილი

1948 წლის აპრილში ვალერიან ხატიაშვილმა კულტსაგანმანათლებლო კომიტეტში დამიბარა, გადმომცა მოზრდილი საქალაქო, რომელსაც ზედ ეწერა: „Дело Тифлисской михайловской больницы о пользующемся в отделении умалишенных дворянине Александре Мих. Казбеги“. და მითხრა „აი, ეს მასალა გურიაში აღმოჩნდა, შეიძინა მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა. დირექტორს აქ ჩამოვატანინე. არ მინდა, ვისმე გარეშე პირს ჩაუვარდეს ხელში და უჩვენოდ გამოაქვეყნოს. წაიღე, მუზეუმის სეიფში გქონდეს, შეისწავლე, დაამუშავე, მოეთათბირე დიმიტრი ბენაშვილს და ორივემ ერთად მოამზადეთ დასაბეჭდად. მე ყოველნაირ დახმარებას გაგიწევ“. მანვე ჩემთან ერთად შეადგინა ცენტრარქივის სახელზე მიმართვის ტექსტი (№644. 23. IV. 48 წ.):

„გთხოვთ დაუშვათ არქივში სამუშაოდ მწერალ ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ ზოგიერთი მასალების გასარკვევად და დასადგენად კრიტიკოსი დიმიტრი ბენაშვილი და საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის სწავლული მდივანი ამხ. ი. ლოლაშვილი, ამავე დროს ნება დართოთ მათ ზოგიერთი დოკუმენტების ასლების გადმოღების. ვ. ხ ა ტ ი ა შ ვ ი ლ ი“.

საქალაქო მოვიტანე მუზეუმში. მეორე დღეს დავუკავშირდი დ. ბენაშვილს. მან ამ მასალების შესწავლა და პუბლიკაცია მთლიანად მე მომანდო. მაშინვე ჩავკეჭე ცენტრარქივში და დავიწყე ჩხრეკა. ძიება გამოდგა ნაკლებშედეგიანი: ვნახე მხოლოდ თბილისის მიხაილოვის საავადმყოფოს მთავარი ექიმის 1891 წლის 7 მარტის რაპო-



რტი (№ 972), დაწერილი კავკასიის სამოქალაქო უწყების სამედიცინა-  
ნაწილის მმართველის სახელზე (ფ. 507, არქ. 821, ფ. 33), რომელშიც  
ნათქვამია: თავადი ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი სამკურნალოდ  
იმყოფება ჩემდამი რწმუნებული საავადმყოფოს გიყების განყოფი-  
ლებაში. მიღებულ იქნა საავადმყოფოს მთავარი ექიმის ლონკევიჩის  
განკარგულებით. ყაზბეგი პირველად სუსტად იყო, არ შეეძლო სია-  
რული და იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში დამბლადაცემულთა  
სისხლჩაქცევითი შეტევისაგან, მაგრამ სრულიად წყნარად. ეს სიწყნარე  
გაგრძელდა უკანასკნელ დრომდეც, თუმცა მან დაიწყო სიარული და  
ძალაც მოემატაო.

რაკი ცენტრარქივში ამაზე მეტი სხვა არაფერი აღმოჩნდა,  
შევისწავლე ვ. ხატიაშვილის მიერ გადმოცემული დოკუმენტები,  
მათ მიხედვით შევადგინე ა. ყაზბეგის ავადმყოფობის ისტორია და  
„საქმე“ კვლავ კომიტეტში წავიღე. ვ. ხატიაშვილმა იგი სეიფში  
ჩაკეტა. ამ მუშაობის შედეგი წარმოდგენილია ქვემოთ. ნარკვევი  
შეიცავს ა. ყაზბეგის ავადმყოფობისა და გარდაცვალების მოკლე  
ისტორიას, რომელსაც არა აქვს სისრულის პრეტენზია, მაგრამ მისი  
ავტორი დარწმუნებულია, რომ ეს მოკლე ისტორია მომავალში ვინმეს  
ინტერესს აღუძრავს, დაწეროს ვრცელი შრომა ა. ყაზბეგის ცხოვრე-  
ბის უკანასკნელი წლების შესახებ.

\* \* \*

1888 წლიდან ა. ყაზბეგს დაძაბული გონებრივი მუშაობის შედე-  
გად ხელი მოჰკიდა უკუბრუნებულმა სულიერმა ავადმყოფობამ: მას  
თანდათანობით ნერვიული მოშლილობა დაეწყო, შემოქმედებითი  
მუშაობისათვის საჭირო ნებისყოფა დაეკარგა, აზრისა და სიტყვის  
დაბოლოებას ვერ ახერხებდა, შიშის გრძნობა დაეუფლა და მისი ცხო-  
ვრება რაღაც უცნაურობების შემცველი გახდა.

ა. ყაზბეგი ჯერ ვერა გრძნობდა დაავადებას, მუშაობას არ ანე-  
ლებდა. პირიქით, ბევრსა წერდა, დღე და ღამე ქალაქებს ჩაჰკირ-  
კიტებდა, ახალ-ახალ მოთხრობებს იწყებდა, მაგრამ ნებისყოფა აღარ  
შესწევდა, რომ დაწყებული სამუშაო ბოლომდე მიეყვანა, უმიზნოდ  
ანჩხლობდა, დაწერილი ქალაქის ფურცლებს აქეთ-იქით ისროდა,  
თავის მოვლაზე არ ზრუნავდა, საათობით იჯდა გაჩუმებული, გარინ-  
დებული, გადასალბე ფერად სურათებს ეტანებოდა, ერთნაირ უმნიშვ-  
ნელო საგნებს (ასანთის კოლოფებს, ფერად ნაჭრებსა და მისთანებს)  
აგროვებდა, კლექტორმანიის სენი იპყრობდა.

1890 წლის 3 თებერვლიდან მას ჰკუიდან შეშლის აშკარა ნიშნები  
გამოაჩნდა, რის გამოც ნაცნობ-მეგობრები იძულებულნი გახდნენ,  
რომ საავადმყოფოში მოთავსებაზე ეზრუნათ.

1890 წლის რვა თებერვალს ა. ყაზბეგის მეგობარმა იოსებ მელიქოვიძემ (ცოლის ძმა სერგეი მესხისა, ვაზ „ღროების“ კორექტორი) თბილისის პოლიცემისტერის სახელზე შეიტანა შემდეგი შინაარსის განცხადება:

„თავად ალექსანდრე მიხეილის ძე (დედანიშია: გიორგის ძე) ყაზბეგს ხუთი დღის წინ გამოაჩნდა სიგიყის შეტევები. ავადმყოფობამ სწრაფად მიიღო მწვავე ხასიათი... ავადმყოფი გარსშემორტყმულ ხალხზე იარაღით იწევს. ამას შეიძლება სამწუხარო შედეგი მოჰყვეს, მაქვს პატივი ვთხოვოთ: გამოიძიოთ ა. ყაზბეგის ავადმყოფობის მდგომარეობა მისი საგიყეთში მოთავსებისათვის. 1890 წელი, რვა თებერვალი. იოსებ მელიქოვიძე“.

იმავე დღეს ამ განცხადების საფუძველზე თბილისის მესამე უბნის პრისტავის დავალებით საუბნო ზედამხედველმა ვინმე ხიმჩენკომ შეადგინა ოქმი ა. ყაზბეგის ჭკუიდან შეშლის შესახებ:

„1890 წლის 8 თებერვალი. ქ. თბილისი.“

თბილისელი მოქალაქის იოსებ მელიქოვის განცხადების გამო და ქ. თბილისის მესამე უბნის ბატონ პრისტავის დავალებით იმავე უბნის ზედამხედველმა ხიმჩენკომ გამოვიძიე თავად ალექსანდრე მიხეილის ძე (დედანიშია: გიორგის ძე) ყაზბეგის მდგომარეობა და გამოირკვა შემდეგი: საადგილმამულო ბანკის დირექტორმა თ. ივანე გიორგის ძე მაჩაბელმა და იმავე ბანკის წევრმა თ. დავით ზაქარიას ძე ბარათოვმა მოგვეცეს ჩვენება, რომ ბატონი ყაზბეგი ამბობს: ცოლსა ვთხოვლობ, ქორწილი მექნება მარხვაშიო. მალაზიაში 50 კაპეიკიანი ჩითის ყიდვას აპირებდა და თითო არშინში ოთხ მანეთს აძლევდა. საერთოდ, უსაფუძვლოდ ლაპარაკობს.

სასტუმრო „საბადურის“ პატრონმა სამსონ გამცემლიძემ და მისმა მსახურმა დავით აბუთიძემ მოგვეცეს ჩვენება, რომ ა. ყაზბეგი უკანასკნელ დროს „საბადურში“ იღვა ბინად. მან ორი სკამი დაწვა ღუმელში, ღამით ოთახში მღეროდა და თამაშობდა, საერთოდ სისულელეს ლაპარაკობს. ამ მოქმედებებს ისინი სთვლიან სიგიყის ისეთ მოვლენად, რომელიც მის გარშემო მყოფ პირთათვის სრულიად არ არის საშიში“...

10 თებერვალს თბილისის პოლიცემისტერმა იოსებ მელიქოვიძის განცხადება და საუბნო ზედამხედველის ოქმი გადაგზავნა თბილისის გუბერნიის მმართველობის საექიმო განყოფილებაში. 13 თებერვალს ამის საფუძველზე გუბერნატორმა გიორგი შერვაშიძემ ზემოხსენებული დოკუმენტების დართვით წერილობით სთხოვა კავკასიის სამოქალაქო უწყებათა სამედიცინო ნაწილის სამმართველოს უფროსს, რომ ავადმყოფი ა. ყაზბეგი დაუყოვნებლივ, ურიგოდ მოეთავსებინათ თბილისის მიხაილოვის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილე-

ბაში. 17 თებერვალს სამმართველოს უფროსმა გ. შერვაშიძის თხოვნა დააკმაყოფილა, ხოლო 18 თებერვალს სამმართველოს უფროსის ნებართვის თანახმად თბილისის მიხაილოვის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა წერილობითი თხოვნით მიმართა თბილისის პოლიცემისტერს, რომ მისი განკარგულებით ა. ყაზბეგი დაუყოვნებლივ მიეყვანათ ფსიქიატრიულ განყოფილებაში და ამასთანავე საავადმყოფოში გამოეგზავნათ წინასწარი ცნობები ავადმყოფის უწინდელი ცხოვრებისა და მისი ფსიქიური მდგომარეობის შესახებ. 21 თებერვალს იოსებ მელიქიშვილმა თბილისის საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილებას მისცა ხელწერილი, რომ იგი ა. ყაზბეგს საავადმყოფოდან გამოაჯანმრთელებსთანავე გაიყვანდა. 22 თებერვალს, როგორც თბილისის მესამე უბნის პრისტავის მიმართვა ადასტურებს, ავადმყოფი ყაზბეგი შეიპყრეს და ფსიქიატრიულ განყოფილებაში მისთვის გამზადებულ ოთახში გამოამწყვდიეს. ნინო ბიბოს ასული ყაზბეგის გადმოცემით, ეს მძიმე მოვალეობა ვაჟა-ფშაველას უყისრია. ოთახში შემწყვდეულ ა. ყაზბეგს ბევრი უანჩხლია, მაგრამ ექიმებს სხვადასხვა დაპირებებით ძლივს დაუმშვიდებიათ. იმავე დღეს მიხაილოვის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ავადმყოფს დაუსვა ასეთი დიაგნოზი: „Александр Казбегн страдает психическим расстройством в форме паралитического слабоумия.“ დაუწყეს მკურნალობა და რამდენიმე თვის შემდეგ, 15 თუ 16 ივნისს საავადმყოფოდან გამოწერეს ავადმყოფურ მდგომარეობაში, მისი სიძის ფურმანის ზედამხედველობითა და მზრუნველობით. ნინო ყაზბეგი წერს: გამოაჯანმრთელებული სანდრო „ისევ ჩვენთან (ბიბო ყაზბეგის ოჯახში. ი. ლ.) დაბრუნდა. ძლიერ გახარებული იყო, გვიყვებოდა: „რამდენიმე ავადმყოფი მწკრივზე დაგვაყენეს და გვითხრეს: ვინც ამ ვიწრო ფიცარზე გაივლის, მორჩენილიაო. მე კარგად გავიარე და გამომიშვეს სახლში“. მეორე დღეს სანდრო ბიბო ყაზბეგმა ბაზარში წაიყვანა, უყიდა თეთრი ჩოხა და, უკან რომ ბრუნდებოდნენ, გზაში შეხვდათ ვაჟა-ფშაველა. სამთავემ როინიშვილის ფოტოგრაფიაში შეიარეს. სურათი ჯერ სანდრომ გადაიღო ცალკე თეთრი ჩოხით, მერმე — ვაჟასთან ერთად ხელგადახვეულმა“. გარეთ მყოფ. ა. ყაზბეგს კვლავ გაურთულდა ავადმყოფობა და მისმა მზრუნველებმა იგი 1891 წლის 7 თებერვალს ისევ საავადმყოფოში მიიყვანეს. ავადმყოფობა სწრაფი პროგრესით განვითარდა. ერთ წელიწადში ა. ყაზბეგი ისე შეიცვალა, რომ გონება მთლად დაუქვევითდა. აი, რას წერს უფროსი ორდინატორი ა. პავლოვსკი 1892 წლის 4 მაისით დათარიღებულ დოკუმენტში (ვიმოწმებ რუსულად):

«Александр Казбек доставлен был в первый раз в отделе 22-го февраля 1890 г., и был выписан в болезненном состоянии и отдан на попечение зятя своего Г. Фурмана 15 июня того го-

და; во второй раз... доставлен 7-го февраля 1891 года и находится в отделении до настоящего времени. Он страдал с самого начала и до сего времени страдает паралитическим слабоумием, т. е. неизлечимой формой болезни. Настоящее его состояние такое, что он лишен почти способности ясно говорить и умственная сторона его окончательно в упадке... Причиною болезни в числе прочих, которые не известны мне, нужно считать усиленное умственное напряжение».

ამასვე იუწყებოდა 1892 წლის 8 მაისს თბილისის მიხაილოვის საავადმყოფოს მთავარი ექიმიც, რომელსაც თავისი მოხსენებითი ბარათი ა. პავლოვსკის წერილის საფუძველზე შეუდგენია.

ამის შემდეგ ა. ყაზბეგის ჯანმრთელობა უფრო და უფრო გაუარესდა. ექიმები მკურნალობას არ აკლებდნენ, მაგრამ ჭირი თავისას არ მალავდა. ავადმყოფი ჯერ ბობოქრობდა, ხოლო როცა ფიზიკურად დასუსტდა, საათობით იჯდა საავადმყოფოს აივანზე და უაზროდ იხედებოდა. ამქვეყნიურ მოვლენებზე არავითარ რეაქციას აღარ ახდენდა. უღმობელი სიკვდილი კარზე რომ იდგა, ვერც იმასა ჰგრძნობდა.

ყველას აწუხებდა საყვარელი მწერლის უნუგეშო მდგომარეობა. მის სანახავად მიდიოდნენ მწერლები და მსახიობები, მიჰქონდათ შეწირულება. მისი მკითხველებიც უწყევდნენ ფულად დახმარებას. ფრიად საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი შტაბს-კაპიტნის მეუღლეს მართა თომას ასულ შეგოლევას 1893 წლის 21 მარტს საავადმყოფოსათვის გაუგზავნია ოცი მანეთი „в пользу душевного больного грузинского писателя Александра Михайловича Казбека“.

სამაგიეროდ, დიდი უგულო დამოკიდებულება გამოავლინეს პოლიციისა და სასამართლო ორგანოების მოხელეებმა, როდესაც მათ ვილაც მონტრივანო პირთა საჩივრის საფუძველზე ავადმყოფ მწერალს ბრალად დასდეს თაღლითობა, დაუნიშნეს პოლიციის მეთვალყურეც კი, ხოლო 1893 წლის 16 მარტს დილით უგონოდ დამბლად დაცემული წაიყვანეს საოლქო სასამართლოზე „для освидетельствования его в состоянии умственных способностей“. და რას მიიღწიეს ამით? — დაიწერა სასამართლო პალატის გადაწყვეტილება, რომ ა. ყაზბეგს არავითარ თაღლითობაში ბრალი არ მიუძღვის და აცნობებს პოლიციასა და საავადმყოფოს მთავარ ექიმს, რომ მასზე მოეხსნათ მეთვალყურეობა და გამოჯანმრთელებისთანავე გაეშვათ თავისუფლად (სამწუხაროდ, ეს დოკუმენტი ცენტრარქივის თანამშრომლებს მაკულატურაში გაუშვიათ).

აი, ეს იყო ბედის დაცინვა!

მაშინ როდესაც ა. ყაზბეგის თხზულებათა ოთხტომეული, გამოცემული 1891 — 1892 წლებში „ქართველთა ამხანაგობის“ მიერ,

ქართველ ხალხში ხელიდან ხელში გადადიოდა და ყველა აღფრთხილებით კითხულობდა „ელგუჯას“, „მამის მკვლელს“, „მოდღვარს“, „ხევისბერ ვოჩას“ და ქართული პროზის სხვა შესანიშნავ მარგალიტებს, მისი ავტორი, ავადმყოფობისაგან დასუსტებული და გონებრივად დაკნინებული, მიჰყავდათ ბიუროკრატ მოხელეებს სასამართლო პროცესზე „მისი გონებრივი უნარიანობის დასადასტურებლად“! აი, ამ დროის ამბავს როგორ იგონებს დავით კლდიაშვილი „მემუარებში“:

„მეტად შევიწროებულ ცხოვრებაში იყო საწყალი სანდრო, მაგრამ წერას თავს არ ანებებდა. და ბოლოს, დასნეულებული იგი მოათავსეს მიხეილის საავადმყოფოში. ამ დროს კიდევ გამოიცა მისი მოთხრობები სამ (უნდა იყოს ოთხ) ტომად. გამოცემული წიგნები მიუტანეს ავადმყოფს. მან გადაშალა, დააჩერდა თავის პორტრეტს, მერმე ამოხია იგი, წიგნის ფურცლებიც მიხი-მოხია და გადაყარა იქით. მოკვდა სანდრო ისე, რომ გრძნობაში არ მოსულა. გამოსული მისი წიგნები კი საოცარი სისწრაფით ვრცელდებოდა და აყვარებდა ხალხს მის დამწერს“.

\* \* \*

ა. ყაზბეგი გარდაიცვალა 1893 წლის 9 დეკემბერს. ქართველ მწერლებს უნდოდათ მისი დაკრძალვა თბილისში, მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიის ეზოში, მაგრამ ბიბო ყაზბეგმა განაცხადა: მე რომ დაგთანხმდეთ, მთელი ხევი გადამსახლებსო. ა. ყაზბეგი დაკრძალეს თავის სამშობლო სოფელ სტეფანწმინდაში. ეს მაშინდელმა პრესამაც აღნიშნა, მაგრამ ჩემი ნარკვევი უნდა დაეასრულო იაგორ ლუდუაშვილის მოგონებით, რომელშიც აღწერილია ა. ყაზბეგის დაკრძალვის რეალური სურათი:

„დეკემბრის თვის მრისხანე თოვლ-ქარ-ბუქში, სწორედ იმ დროს, როდესაც ყოველ მგზავრს უჭირს და ერიდება სამხედრო გზით მოგზაურობას, რადგანაც ბიდარის მთაზე ზვავების გამო ხშირია უბედური შემთხვევები, ყაზბეგელები (ე. ი. სტეფანელი) და მათთან ერთად სიონისა და სნოს მაშინდელი საზოგადოება, სულ ორასზე მეტი ცხენოსან-ფეხოსანი მოხვევ მიეგება ბიდარის მთაზე სანდროს ცხედარს, რომელსაც ბიძაშვილები ბიბო (აღამ) და რაფიელ (ფილო) ყაზბეგები მოაცილებდნენ თბილისიდან. ყოჩაღმა მთიელებმა ცხედარი ეტლითურთ ხელ და ხელ გადმოიტანეს ჯვრის უღელტეხილზე. სოფ. სნოში დაჰხვდა დიდძალი ხალხი: მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი. მანდილოსნები მოთქმით ტიროდნენ. ერთი მათგანი გულსაწვავი სიტყვებით მოიხსენებდა რომელიმე სახელოვან ქართველ მწერალს ან მეფეს და სხვანი მანდილოსანნი ბანს ეუბნებოდნენ სიტყვებით „სადარო იმისათო“...“

ინო ხოზარია

„რონჩნი უმეოჰმედებისა არის ზოლომდე გააზრებული თემა“

(იაკობ ნიკოლაძის ჩანაწერებიდან)

ქალაქის ნახევზე, რვეულის ყდაზე მიწერილი სტრიქონები ავტორისავე სიტყვებს გვაგონებენ: „წერა ჩემს ხელობად არ მიმაჩნია“...

ხელნაწერები საკითხების მიხედვით გავამთლიანეთ. რუსულიდან თარგმნისას ვეცადეთ დავეცვა ავტორისეული სტილი (ლაკონიური, მაგრამ ხშირად არალიტერატურული) და ჩანაწერებს მცირე კომენტარებითურთ ვაწოდებთ მკითხველს.

„ძვირფასო იაკობ ივანეს ძე!“

სიკვდილთან პირისპირ მდგარი კაცი მინდა დავხატო, შიშის და მორჩილების გარეშე.

ფიგურა თითქოს კარგადაც დგას. ყველა მოძრაობა სრულყოფილია, მაგრამ ვერა და ვერ ვხედავ მასში მებრძოლს...

იქნებ მირჩიოთ, როგორც დამწყებ მხატვარს, რითი დავიწყო“... (მოქანდაკე ვ. შანავეი).

„როგორ დაეუფლოთ ტექნიკას?“

უპირველეს ყოვლისა, დიდ ხელოვანთა ნამუშევრების ასლთა გადმოღებაზე იმუშავეთ. გარდა ამისა, აქანდაკეთ ნატურიდან, რაც შეიძლება ხშირად და ზუსტად. ელემენტარულ ჩვევებს დაეუფლეთ: კარკასის სწორად დაჭერილ მოძრაობასა და პროპორციას. საწყისი წერტილები ფორმასა და პროპორციას დაუქვემდებარეთ. მხოლოდ შემდეგ იზრუნეთ მსგავსებაზე. თუ მსგავსების ძიება თავიდანვე გაგიტაცებთ, მუშაობის პროცესში მას აუცილებლად დაკარგავთ.

ხატეთ... ხატვა აუცილებელია მოქანდაკისათვის. ხატვა მოქანდაკეს ძირითად ჩვევებს უნვითარებს ძერწვის ურთულესი მომენტების გადასალახად.

ჯერ პირველ მონახაზს უნდა მიექცეს ყურადღება. შემდეგ კი

უფრო და უფრო დაიცვას სიზუსტე. ფანქრისა და ნახშირის ყოველი მოძრაობა საწყისი ინერციით წარმართოს. ხატვა უშუალო კავშირშია სკულპტურასთან.

თუ მხატვარი ნატურის ყველა პროფილს ყურადღებით აკვირდება, დაოსტატებასთან ერთად მხედველობითი მეხსიერებაც უვარჯიშდება, რაც აუცილებელია, როგორც მხატვრის, ისე მოქანდაკისათვის“ (ი. ნიკოლაძე).

ხატვისა და სკულპტურის ესოდენი დაახლოება რჩევა-დარიგების კონკრეტულობას სცილდება. ეს სინთეზი იაკობ ნიკოლაძის ორი მოძღვრის — მიქელანჯელოსა და როდენის პარალელებშია საძიებელი.

იტალიური გვიანდელი რენესანსი... კლასიკური სიმშვიდისა და წონასწორობის რღვევის ლოგიკური და აუცილებელი გარდუვალობა. ქანდაკება მოცულობით ფორმებში ველარ ჩაეტი და გრაფიკის, ფერწერის ელემენტები შეიძინა.

„ორმა ოსტატმა მიქელანჯელომ და დონატელომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თითქოს მხრებში მომკიდეს ხელი და მიმაფრენდნენ თავიანთ გზაზე... ფლორენციაში 7 თვის ყოფნის მერე ჩავედი პარიზში, რადგან მომენატრა როდენის ნახვა“ (ი. ნიკოლაძე, „წელიწადი როდენთან“).

1906 წ. დეკემბერში იაკობ ნიკოლაძეს: „გელით მედონში, ოგიუსტ როდენი“.

ამ დროს იკვეთება როდენის ე. წ. „მეორე მანერა“ (იმპრესიონისტური), რომელიც უახლოვდება მიქელანჯელოს „დაუმთავრებელი მონების“ გამძაფრებულ ნერვს.

„როდენი ცდილობდა ერთი ხაზით დაეხატა ის, რისი დახატვაც სურდა. შემდეგ გადასხამდა აკვარელის ფერადს. როდენი კოლორისტიკ იყო. ეს სურათები საინტერესო იყო სილუეტებად. როდენი თამამი იყო თავის პოზებში“ (ი. ნიკოლაძე, „წელიწადი როდენთან“).

იაკობ ნიკოლაძე ადამიანს ზოგადად ბუნებასთან შინაგან კავშირში ანახეულებდა.

ეძებდა ადამიანის მარტივ და ლოგიკურ დასაბამს — მიწის, ბუნების სიყვარულს.

„შემოქმედება ბუნების რთული გამოვლინებებისგან იღებს სათავეს. ბუნება ერთდროულად მარტივიცაა და რთულიც.“

პარალელი როდენთან:

„ლამაზია არა ნახატი, არა სტილი, არა ფერადები, არამედ, ლამაზია თვით მთლიანობა, რომელიც თავისი უმცირესი ნაწილებითაც შეესაბამება ბუნებას“.

ქართული ხელოვნების ტრადიციას ი. ნიკოლაძე რწმენის ისტო-

რიას, სულიერ გზას, ერის ბედის ისტორიას უკავშირებს, ბუნების ბრძოლებს, ხილული და უხილავი მოვლენების ელემენტარულ სირთულედ კი — ხალხური შემოქმედების საწყისს.

„თემის ძიების დროს იგი (ეროვნული ტრადიცია) ერთ-ერთი საფუძველია ისევე, როგორც ჩონჩხი შემოქმედებისა — თემა... ესე იგი, თავისი ხალხის ცხოვრებისა და ისტორიის შინაარსი, მისი ბრძოლა, მისი ეროვნული გმირები, ბოლოს თავისი განცდები და ასე შემდეგ... ხალხური შემოქმედი — იქნება ეს პოეტი, მთხრობელი, მომღერალი თუ წიგნის გადაწერ-ილუსტრატორი, უპირველეს ყოვლისა, შინაარსითაა აღფრთოვანებული, ესე იგი თემით, რომელმაც იგი გაიტაცა, აანთო, გააღვივა მასში სურვილი, რომ რომელიმე საშუალებით, სიტყვით, ბგერით ან საღებავით, ხაზებითა და ფორმებით გადმოეცა მის გულში დაგროვილი მდიდარი განცდები.

როგორ დავეუფლოთ ოსტატობას და ტექნიკას ისეთი რთული გრძნობებისა და კომპოზიციების გამოსახატავად, რომელიც მხატვრულ გარდაქმნას მოითხოვს?

ეს დევს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მის, როგორც ხალხური შემოქმედების ხალხურ მეთოდში, სისტემატიურ პრაქტიკაში, რომლის დახმარებითაც იგი სრულყოფილებას იძენს თავისი საყვარელი ხელოვნების დაუფლების დროს.

უძველესი კულტურისა და ხელოვნების ისტორიიდან ჩვენ ბევრი მაგალითი ვიცი, სადაც ადამიანები დაცხოველები თავიანთ ურთულეს მოძრაობაში არიან აღბეჭდილნი.

ჩანს მხატვრის დაოსტატების „ხალხური მეთოდი“ იწყება საკუთარ თავში დამკვირვებლის განვითარებითა და გამახვილებით. მხატვარმა გულწრფელად და მართლად, სხვებისათვის გასაგებად უნდა გადმოსცეს ესა თუ ის თემა, ესაა მიდრეკილება ხაზებისა და ფორმების რეალურობისადმი, ადამიანში მოქცეული მშვენიერების უსაზღვრო გრძნობის დაკონკრეტებისადმი.

რეზულტატი საფუძველიდან გამოდის: მხატვრის გრძნობა მშვენიერებისადმი გადაეცემა სხვებს.“

იაკობ ნიკოლაძე ოგიუსტ როდენის დარად ყოველგვარი ხელოვნების კანონად გულწრფელობას გულისხმობს.

ხალხური ხელოვნება „დაგროვილ მდიდარ განცდათა“ გადმოცემით იწყება. ხალხურობის ცნება თავისთავად გულისხმობს გულწრფელობას. შემოქმედებითი დისტანცია კი მხატვრულ ჩანაფიქრსა და მის განხორციელებას შორის შრომის მძიმე პროცესია.

საბოლოოდ ქმნილება საკუთარი თავით ხსნის მისეულ ამ დიალექტიკას.

„ქართული ხუროთმოძღვრება არის უაღრესად ხალხური ხელოვნ-



ნება, — წერს იაკობ ნიკოლაძე, რომელსაც განზრახული ჰქონდა საქართველოს ხუროთმოძღვრების არქიტექტონიკის წარმომადგენელად შესახებ ვრცელი ნარკვევის დაწერა.

არქივში დაცულია მხოლოდ ფრაგმენტები თემისა.

„განუყოფელია საქართველოს პეიზაჟთან ქართული ხუროთმოძღვრების შემოქმედების დიადი ნაწარმოებების სილუეტები. ვაკეზე თუ მაღლობზე, მდინარეების მაღალ ფერდობებზე შეერთებულია, შესისხლბორცებულია კლდეების მწვერვალებთან და მაღალი მთების კენწეროების მოგვირგინე ჰქმნის საქართველოს ლანდშაფტების დამახასიათებელ არე-მარეს. ქართული ხუროთმოძღვრების უაღრესად მხატვრულად ნაქანდაკებ სილუეტებში შექმნილია არამართ მონუმენტალობა და სინთეზი ბუნებასთან, არამედ, მასში იხატება დიდი სიძლიერე, სიამაყე და ძალა, გამბედაობა, ამაყი ერის დავალებით უგუშავოს ქართველი ხალხის კულტურას, სარწმუნოებას, ენას...

აქ ერთდროულად შექმნილია არა მართო მონუმენტალობა, არამედ, სიმამაცე, გამბედაობა...

ნაგებობანი ისე იყვნენ განრიგებულნი, რომ ერთი სიმალიდან მეორე სიმაღლეზე აშენებულ მონასტერს, ან ხალხს დაენახა ნიშანი და ღამე კოცონი.

სიმაღლეზე ნაგებობათ თავდაცვითი ხასიათი ჰქონდათ...

ქართული ხუროთმოძღვრების დიდმა ოსტატებმა შექმნეს ხელოვნებასა და ბუნებას შორის განსაკვიფრებელი სინთეზები, რომლებიც ერთიმეორეს ამდიდრებს და ამშვენებს...“

ი. ნიკოლაძეს არა ერთხელ უმოგზაურია ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების დასათვალიერებლად და გასაცნობად. უსახელო ოსტატთა მიერ შექმნილი „მონუმენტალობა და სინთეზი“ შემოქმედების ტონუსი გახდა მოქანდაკისათვის.

1914 წლის გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (სურათებიანი დამატება) არის ჭგუფური ფოტო სპეციალისტების კომისიისა, რომელმაც 22 ფენის ჭვრის მონასტერი დაათვალიერა, პირველ რიგში სხედან: საქართველოს საისტორიო-ეთნოგრაფიული საზოგადოების თავჯდომარე ე. თაყაიშვილი, მხატვარი გრინევსკი, საზოგადოების საბჭოს წევრი დ. კარიჭაშვილი, მარჯვნივ ფოტოგრაფი ერმაკოვი და საზოგადოების წევრი ს. გორგაძე.

ქვემოთ: მოქანდაკე კეპინოვი, ხუროთმოძღვარი ს. კლდიაშვილი, მოქანდაკე ი. ნიკოლაძე და მოქანდაკე რესენენკო.

ეს სოლიდური საზოგადოება მფარველობდა ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებს და დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო აგიტაციასაც ეწეოდა.



კომპოზიტორი ანდრია ყარაშვილი



კობე ხიმშიაშვილი


Գրքի անունը

Ինչպես երևում է ձեռագրի վրա  
 քաղաքի մասին շատ քիչ  
 էր 3-ին բաժնի մասին խոսում  
 3-ին, 4-ին բաժնի մասին խոսում  
 5-ին, 6-ին, 7-ին, 8-ին, 9-ին  
 10-ին, 11-ին, 12-ին, 13-ին, 14-ին  
 15-ին, 16-ին, 17-ին, 18-ին, 19-ին  
 20-ին, 21-ին, 22-ին, 23-ին, 24-ին  
 25-ին, 26-ին, 27-ին, 28-ին, 29-ին  
 30-ին, 31-ին, 32-ին, 33-ին, 34-ին  
 35-ին, 36-ին, 37-ին, 38-ին, 39-ին  
 40-ին, 41-ին, 42-ին, 43-ին, 44-ին  
 45-ին, 46-ին, 47-ին, 48-ին, 49-ին  
 50-ին, 51-ին, 52-ին, 53-ին, 54-ին  
 55-ին, 56-ին, 57-ին, 58-ին, 59-ին  
 60-ին, 61-ին, 62-ին, 63-ին, 64-ին  
 65-ին, 66-ին, 67-ին, 68-ին, 69-ին  
 70-ին, 71-ին, 72-ին, 73-ին, 74-ին  
 75-ին, 76-ին, 77-ին, 78-ին, 79-ին  
 80-ին, 81-ին, 82-ին, 83-ին, 84-ին  
 85-ին, 86-ին, 87-ին, 88-ին, 89-ին  
 90-ին, 91-ին, 92-ին, 93-ին, 94-ին  
 95-ին, 96-ին, 97-ին, 98-ին, 99-ին  
 100-ին

308-000000

ღივი უსწავლა ვინმის სწავლა,  
 მისი უსწავლობა - ქალი მშენებელი  
 ათობი მისი, ყველა ახლა  
 შეხიზს თუ რა უკუკვირდება.  
 რომელიღეს ნაშთი ან სუყური  
 უმჯობესი მყარად მხარობს მხარობა.  
 თუ ხამოცილი მხარობს მხარობა  
 თუ სოფელს უჭახია არაუკვიროს,  
 რომ უიღბლოდ მხარობს მხარობა  
 ღივი უსწავლა არაუკვიროს,  
 მისი უსწავლობა ყველა უსწავლობა  
 მისი უსწავლობა მხარობს მხარობა.  
 რომ უიღბლოდ უსწავლობს სული უსწავლობა  
 რა სუყურს რა უსწავლობს უსწავლობა.  
 რომ უსწავლობს უსწავლობს  
 ღივი უსწავლობს უსწავლობს უსწავლობს.

ახლა ვინა ვინა ვინა ვინა ვინა  
 ვინა ვინა ვინა ვინა ვინა  
 რა სული მხარობს უსწავლობს  
 უსწავლობს უსწავლობს უსწავლობს  
 უსწავლობს უსწავლობს უსწავლობს  
 ვინა ვინა ვინა ვინა ვინა  
 ვინა ვინა ვინა ვინა ვინა  
 ვინა ვინა ვინა ვინა ვინა

ვინა 





მიხეილ თამარაშვილი

მიხეილ თამარაშვილი თავის მოწაფესთან ერთად

104105730  
208-3010101







გიორგი ლეონიძე თავის იუბილზე, 1950 წ.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე (1939 წ):  
 სხედან ალ. საჭაია, რ. მარგიანი, ლ. ბალთაური, კ. ზიმშიაშვილი, ნ. ტატი-  
 შვილი, ვლ. უბილაეა. დგანან: გ. ძიგვაშვილი, ლ. სულაბერიძე, ბ. ჯაბუშაორი,  
 ი. ნონეშვილი, ა. თევზაძე.

იაკობ ნიკოლაძის ჩანაწერები ქართულ ხუროთმოძღვრებაზე მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის შემოქმედებითი ფიქსაციაა.

„მხატვრული შემოქმედების დიადი ნიმუშების შესაქმნელად, კერძოდ, არქიტექტურის, სკულპტურისა და ფერწერის იდეალური სინთეზის მისაღწევად, რა თქმა უნდა, ძირითადია მხატვარ-არქიტექტორის პირველი გაქანება ესკიზის შექმნაში. ისევე, როგორც კომპოზიტორი და ღირიყორი პასუხისმგებელი არიან ინსტრუმენტთა და ხმათა, ამ შემთხვევაშიც სკულპტურის, ფერწერისა და არქიტექტურის, ამ სამი ხელოვნების სინთეზის მისაღწევად, არქიტექტორის როლი იმდენად დიდია, იმდენად მნიშვნელოვანია მისი ინდივიდუალური თვისებები, რომ ძირითადად სწორედ მასზეა დამოკიდებული წარმატების მიღწევა.

არქიტექტორ-ავტორს შეუძლია მხატვრებისა და სკულპტორების კანდიდატურათა შერჩევა, ყოველ შემთხვევაში, მას უფლება აქვს ეკამათოს მათ კომპოზიციასა და ფიგურათა დაჯგუფებაზე“.

სინთეზთა ჰარმონიის მისაღწევად იაკობ ნიკოლაძე შეგნებულად რჩება საერთო და დოგმატური წესის გარეშე („ქანდაკება ჩაავდო მთლიანად ჩრდილში ანუ ნათელში“).

თუმცა არასოდეს უხვევს მკაცრად განსაზღვრულ იერარქიას: ფონი უნდა ემსახურებოდეს ნახატს, პედესტალი — ფიგურას, ფორმა — შინა-არსს, ფრაგმენტი — მთლიანობას და ა. შ.

თუმცა სრულყოფილებისაკენ სწრაფვას ხელოვანი იმ გზისკენაც მიჰყავს, რომლის მიზანიც და სასრულიც მისთვის უცნობია...

„ქანდაკებას არა აქვს ჯერჯერობით კარგად გადგმული საფუძველი ჩვენს საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მშენებლობა დიდ ყურადღებას აქცევს ქალაქებისა და შენობების გამშენიერებას და მხატვრულად მოკაზმვას“ (მოქანდაკის ეს ჩანაწერები 20—30-იან წლებს უნდა ეკუთვნოდეს).

„არ შეიძლება ითქვას, რომ ევრეთ წოდებულ „Бытовая скульптура“-ს არ შეუძლია გემოვნების გახსნა საზოგადოებისა.

გარდა ამისა, ბარელიეფებს, რომელსაც ადგილი უჭირავს კედელზე და შესაფერ განათებაზე ძლიერ კარგად გამოიყურება, — სრულებით არა აქვს მიქცეული ყურადღება.

დაბალი ბარელიეფები მეტად ფასდება, არ მინდა ამით დადასტურება იმისა, თუ მაღალ ანორიელეფებს არ ჰქონდეთ დაფასება, — გააჩნია ოსტატსა და ხელოვანს. რომ ავიღოთ პართენონის ფრიზი, ფიდიასის და სხვა ბერძნული და რომის ბარელიეფები და გორელიეფები დაუფასებელი ოსტატობისა და ხელოვნების ნიმუშებია.

მინიატურები კამეასა და გემაზე, აგრეთვე დიდი ხელოვნებითა და ოსტატობით არიან გაკეთებული ისეთი მასალისაგან, როგორცაა აქატი, იასპი და ზოგიერთი მავარი ქვა.

ქანდაკებაში დაბალ რელიეფს. უჭირავს ისეთივე ადგილი, როგორც მხატვრობაში — გრაფიკას.

მხატვრობაში დაბალი რელიეფი იშლება სხვადასხვა მხატვრული მომსახურებისთვის, როგორც არის არქიტექტურა, რომელთანაც ქანდაკება მთელი თავისი შესაძლებლობებით არის დაკავშირებული.“

იაკობ ნიკოლაძემ ზოგადად ჩამოაყალიბა ბარელიეფის საერთო პრინციპები, რომელიც ალბათ სტალინის პორელიეფის, ილიას, რუსთველის პორტრეტული ბარელიეფების მერმე დაიწერა. ამ ჩანაწერებში ვხვდებით პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების თეორიულად დაკონკრეტებას.

გარდა ამისა, მინიშნებულია ის ზოგადი ტენდენციები, აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც სხვადასხვა მოქანდაკეებს შორის არსებობდა.

სიბრტყეზე გამოქანდაკება ერთი წერტილიდან სურათის დაბალი რელიეფის საშუალებით და ჩრდილისა და განათების ისეთი დალაგებით, რომ მაყურებელსაც მთლიანი რელიეფის შთაბეჭდილება შეექმნეს და კონკრეტულ ფორმებში წარმოიდგინოს მოცემული სიუჟეტი.

ბარელიეფი თავსდება სიბრტყეზე, ამით შეიძლება მისი რელიეფები არ იყოს ნამეტანი ამობურთული, ან ამოწეული.

სიგრძე და სიგანე შეიძლება იყოს ბევრად უფრო დიდი ზომისა, ვიდრე სისქე.

ბარელიეფი ხუროთმოძღვრებასთან ადვილად კავშირდება...

...„დღეს მოსკოვის და ლენინგრადის მოქანდაკეებში გავრცელებული აზრია მარტო ფორმებს მიექცეს მოქანდაკის ყურადღება.

ეს მცდარი და არასერიოზული მიდგომაა, რადგანაც ფორმა იქმნება მოხაზულობით და მასთან დაკავშირებულია ჩრდილითა და სინათლით.

რაც შეეხება სურათის მოცულობას, ბარელიეფში თავსდება ვრცლად: პეიზაჟი, ქუჩის პერსპექტივა, ქალაქების ანსამბლები ვრცელი პორტიონტით, ერთი სიტყვით, შეიძლება დიდი დიაპაზონის გამლა თემის დასაუფლებლად.“

ქანდაკებაში პარმონიულობის მისაღწევად, განსაკუთრებით „დიდი დიაპაზონის გასაშლელად“ მოქანდაკეს საწყისი სასრულთან ერთად აქვს გააზრებული და საწინააღმდეგო პოლუსები. ქმნიან ერთ პლასტიურ მთლიანობას.

შემეცნების გზაზე პარმონიის მისაღწევად გზის დასაწყისში აუცილებელია მოძღვარი — პედაგოგის, სახელმძღვანელო წიგნების, ან ჩვეულებრივი ბუნების სახით.

როგორც ვიცით, 1902 წელს იაკობ ნიკოლაძე მიწვეული იქნა „ამიერკავკასიის ხელოვნების წამქეზებელი საზოგადოების“ სამხატვრო სკოლაში ქანდაკების მასწავლებლად. ნიკოლაძემ მასწავლების იქაური



შეთოდები ძირეულად შეცვალა. ბავშვები მეტად დაუახლოვა ბუნებას. თანდათანობით ჩამოუყალიბა ნატურიდან ხატვის ელემენტარული ჩვევები, გაუღვივა ფანტაზია.

„მე როგორც ძველ მასწავლებელს, საშუალო სკოლებში 10 წლის მუშაობის შედეგად, შემჩნეული მაქვს, რომ ბავშვებს ყოველთვის განსაკუთრებული და მხიარული განწყობილება აქვთ ხატვის გაკვეთილებზე.“

დაბალ კლასებში ხატვას ასე ვასწავლიდით: ეს იყო ეგრეთწოდებული ამერიკული მეთოდი. ბავშვებს ვთხოვდით, გამოეხატათ საზაფხულო მოგზაურობის, დღესასწაულების, თუ სეირნობათა შედეგად გამოწვეული განწყობილებები, ყოველდღიური ამბები. ამ მეთოდს უნდა მიეჩვია ბავშვები სურათზე, ეფიქრათ სიუჟეტზე და არ უნდა დაეტვირთათ ისინი ჭერჭერობით მათთვის მოსაწყენი ორნამენტებისა და გეომეტრიული სხეულების გადახატვისაგან. ამასთანავე მიეჩვიათ ისინი გარშემო ცხოვრებასა და ბუნებაზე გაემახვილებიათ ყურადღება.

ამგვარად, პედაგოგის დავალება ბავშვებს აჩვენება, მეხსიერებაში შეენახათ დანახული სახეები და მხედველობითი მეხსიერება განევითარებინათ.

მერმე ბავშვები წარმოსახვის შეძენილი უნარით ხატავენ ლიტერატურული ნაწარმოებების საყვარელ გმირებს.

როცა ნატურიდან ხატვაზე გადადიან, უკვე გამომუშავებული აქვთ, რომ ყურადღებით მოექცნენ ყოველ საგანს. მათი ფანქრის წვერი გამოსახულების შემჩნეულ ფორმას ხაზავს.

ბავშვები თანდათანობით აღწევენ მხატვრული გემოვნების განვითარებას, სილამაზის შეგრძნებას.

გავა დრო. რა თქმა უნდა, მათგან ყველა მხატვარი არ გამოვა... ჩვენს ცხოვრებაში, როცა მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა კარი ფართოდაა გაღებული, ანატომიის, ფიზიკის, მინეროლოგიისა და თითქმის ყველა სახის დარგის შესწავლისას, როცა საჭირო შეიქმნება მეხსიერებაში შეინახონ ფორმა და ფერი, ბავშვობაში შესწავლილი ხატვის ელემენტები, ჩვევა ზუსტი ჩახატვისა, აუცილებლად დაეხმარება მათ... განვითარებული ხედვითი მეხსიერება გონებაში ცოცხლად შეინახავს შესასწავლ საგანს.

გავიხსენოთ ლეონარდო და ვინჩი, ძვლებისა და კუნთების ანატომიური ატლასის შემქმნელი, ტექნიკური მანქანების შესანიშნავი გამომგონებელი, თვითმფრინავმშენებლობის ერთ-ერთი პიონერი.

გეოლოგიის მამას — ლეიენს დედამიწის ქერქისა და ნიადაგის შიდა ფენებზე საუბრისას მოჰყავს ლეონარდო და ვინჩის დაკვირვებები და დასკვნები, როგორც ყველაზე უტყუარი საბუთები.

კიდევ მრავალი მხატვრის დასახელება შეიძლება, რომლებიც ამავე დროს გამომგონებლებიც იყვნენ.. იგივე შეიძლება ითქვას ლიტერატურის შესახებაც. ბევრმა მწერალმა დაგვიტოვა თავისი ლიტერატურული გამორებისა და ხშირად მთელი სცენების ილუსტრაციები, მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ პუშკინი, ლერმონტოვი, პიუგო, გოგოლი.

თეატრში ხშირად იყენებდნენ ამ ნახატებს ტიპების შერჩევისას. ერთი სიტყვით, შემოქმედი, რომელსაც შეუძლია საგნობრივად წარმოიდგინოს მექანიზმი, რომელსაც ის ქმნის, დაახლოებით მაინც მოხაზოს ქალღმერთი, მერმე თანდათან დახვეწოს, შესძლებს თავისი ჩანაფიქრი რეალური გახადოს.

ასევე არქიტექტორმა, რომელმაც შენობა დასრულებულად უნდა დააპროექტოს, უნდა წარმოიდგინოს იგი ყოველი მხრიდან, უნდა წარმოიდგინოს, რომ შესულია ამ შენობაში, ათვალიერებს, დადის შიგ და ამის შემდეგ ადვილად შესძლებს გეგმის ჩამოყალიბებას, როგორც მხატვარი.

ამას აღარ უნდა ბევრი მტკიცება, რომ ყოველი ხელოვანი, რომელიც ქმნის რკინისაგან, ხისა და ქვისაგან, პირველად ხატავს (უნდა დახატოს!), რათა უფრო შეისისხლზორცოს პლასტიკურობა. ეს პლასტიკურობა კი უნდა იგრძნობოდეს ყოველ საყოფაცხოვრებო ნივთშიც, რომელსაც ფაბრიკაში, ან ქარხანაში ამზადებენ.

ქვეყანა, სადაც ხატვას ისევე ასწავლიან, როგორც კითხვას, სულ მალე ხელოვნების დარგში გაუსწრებს სხვა ქვეყნებს“.

\*

იაკობ ნიკოლაძის ეს გამოუქვეყნებელი ხელნაწერები ყველა უთარილოა და დაუსრულებელი. ჩვენ ისინი შინაარსის მიხედვით პარიზის შემდგომ პერიოდს დაუკავშირეთ.

(ნიკოლაძის მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა იქონია 1906—1908 წლებმა, რომლებიც მან როდენთან გაატარა, მედონში).

ხელნაწერებიდან ჩანს: ევროპულ ხელოვნებას და შემეცნების ურთულეს ფორმებს ნაზიარები ხელოვანი როგორ მოექცა ეროვნული თვითშეგნების სამანებში, საკუთარი გზა და მრწამსი შეიძინა.

ამ შემთხვევაში ეს ხელნაწერები გვანან ნიკოლაძისეული ესთეტიკის ფრაგმენტულ ილუსტრაციებს.

სირა ჰინინაძე

## ძველი ქართული ხელნაწერები გალაკტიონ ტაბიძის არქივიდან

გალაკტიონ ტაბიძის არქივი, რომელიც დაცულია აკად. გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, პოეტის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე მიგვიჩვენებს.

ბავშვობაში გალაკტიონი უსაზღვრო ინტერესს იჩენდა ძველი ქართული ხელნაწერებისადმი. მისი ბიოგრაფიული მასალებიდან ვიცით, რომ პატარა გატო ჯერ პაპისეულ და ძველ ხელნაწერებს კითხულობდა ს. ჭყვიშვილი, ხოლო შემდეგ ქუთაისში, მისი აღმზრდელისა და ახლო ნათესავის, ნესტორ ყუბანეიშვილის, მდიდარ ბიბლიოთეკაში.

პოეტის არქივში დაცულია ბავშვური ხელით ნაწერი რვეულები, სადაც ჩამოთვლილია წაკითხული და შესწავლილი წიგნები და ჩაწერილია წაკითხულ მასალაზე გამოთქმული აზრები. შემდეგდროინდელი რვეულები კი ჭაბუკი პოეტის მიკვლეულ ხელნაწერთა აღწერილობას მოიცავს. გალაკტიონის ყრმობისდროინდელი წადილი, ინტერესი და სიყვარული ძველი ქართული ძეგლების მიმართ შემდეგში უფრო გაღრმავებულა და, როგორც მისი დღიურიდან ირკვევა, ძველი ხელნაწერებისა და საბუთების შემკრებლობითი მუშაობაც კი. ხშირად ზოგიერთი ძეგლი კომპეტენტურ პირებთანაც მიუტანია. ამის თვალსაჩინო მაგალითია არქივში დაცული ხელნაწერები, რომლებიც პოეტის საკუთრება ყოფილა. მაგალითისათვის ავიღოთ XVII საუკუნეში დაწერილი მცირე ზომის (13X10) ნუსხური ხელნაწერი, რომელიც ხავერდგადაკრულ ხის ყდაშია ჩასმული და 53 ფურცლისაგან შედგება. ხელნაწერ თხზულებას ეწოდება „სწავლანი სულიერნი“, ავტორია თეოდორე სტოდიერი. იგი ბერძნულიდან ქართულ ენაზე უთარგმნია გიორგი მთაწმინდელს XI საუკუნეში, 1042 წელს. გალაკტიონ ტაბიძეს ეს ხელნაწერი, მისი რაობის გასარკვევად წარუდგენია კორნელი კეკელიძისათვის, რომელსაც გამოუკვლევია ძეგლი. ამას ადასტურებს ხელნაწერში ჩადებული ოთხად მოკეცილი ფერწასული მელნით ნაწერი, გაყვითლებული ქაღალდი, ეს გახლავთ ძეგლს დართული მოკლე ანოტაცია, კორნელი კეკელიძის ავტოგრაფი. კ. კეკელიძე წერს: „ხელნაწერში მოთავსებულია „სწავლანი სულიერნი წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა თეოდორე აღმსარებლისა სტოდიერთა წინამძღვრისანი.“

თეოდორე იყო წინამძღვარი სტოდირთა მონასტრისა კონსტანტინეპოლში. ცხოვრობდა IX ს-ში. იას ისტორიაში „აღმსარებელი“ ეწოდება. თეოდორეს ბიზანტიის ხელისუფლებამ ხატების თაყვანისცემისათვის მრავალი ტანჯვა და შეურაცხყოფა მიაყენა (ამ პერიოდში ბიზანტიაში ადგილი ჰქონდა ხატების დევნას).

ქართულ მწერლობაში ამ თხზულებას ეწოდება „სტოდირი“, ის წარმოადგენს კრებულს იმ ქადაგებისას, რომელიც მის ავტორს, თეოდორეს წარმოუთქვამს თავის მონასტერში, დიდმარხვის პერიოდში, მისი შინაარსი მისტიკურ-თეოლოგიურ-ფილოსოფიურია. ეს თხზულება ძველად დიდად დაფასებული იყო ყველგან, საქრისტიანოში და კერძოდ, საქართველოში. იგი ბერძნულიდან ქართულად XI საუკუნეში (1042) უთარგმნია გიორგი მთაწმინდელს. თარგმანის ხელნაწერები ჩვენს მუზეუმებში მოიპოვება. ეს ხელნაწერი გადაწერილია XVII საუკუნეში კ. კეკელიძე.

ცხრაასი წლის წინ ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი ნაწარმოები კარგად შემოუნახავს ამ სამასი წლის წინათ გადაწერილ ნუსხას, რომლის გასანთლული ქალაღდის ფურცლები დღემდე გვამცნობენ ვინმე იესე გამამწერის მოკრძალებულ მინაწერს: „ღმერთო, შემეწყალე ცოდვილი მწერალი იესე“ (53). გალაკტიონ ტაბიძეს ეს ხელნაწერი მისთვის ჩვეული სიფაქიზით სათუთად შეუნახავს, როგორც ქართული დამწერლობისა და ლიტერატურის ძვირფასი ძეგლი და მომავლისათვის უანდერძნია.

ტაბიძისეული მეორე ხელნაწერი „ყარამანიანია“, რომელიც ნაწერია მხედრული ხელით და შეიცავს 361 ფურცელს. ტექსტი დაწერილია სულ 722 სრულ გვერდზე. ხელნაწერი ნაკლულია და დაშლილი.

როგორც ცნობილია, ფირდოუსის ერთ-ერთი მიმბაძველის, სპარსელი პოეტის, აბუტაჰირ-მუჰამედ ბენტანსურის მიერ შექმნილი ნაწარმოები, ებრაელთა მეფის ჰუშტანგის ფანტასტიკური თავგადასასავლის შესახებ, სპარსული ენიდან ქართულად თარგმნა დავით ორბელიანმა დაახლოებით 1762 — 1799 წ.წ. დავითი ერეკლე მეფის სიძე იყო — თამარის მეუღლე, „დავით სარღლად“ წოდებული. მან კარგად იცოდა სომხური და სპარსული ენები, რამდენჯერმე იყო დიპლომატიური მისიით სპარსეთში და ეს თხზულებანიც იქიდან წამოუღია საქართველოში.

ტაბიძისეული „ყარამანიანის“ ხელნაწერი დავით ორბელიანის ავტოგრაფი უნდა იყოს. ამაში დაგვარწმუნა „ყარამანიანის“ ამ ეგზემპლარის ლიტერატურულ მუზეუმში დაცული დავით ორბელიანის სხვა ხელნაწერებთან შედარებამ, აგრეთვე იმ ფაქტმა, რომ თხზულებაში გარდა თექვსმეტმარცვლო-

ვანი ქართული ლექსებისა ჩართულია სპარსული სტროფები, ქართული ტრანსკრიფციით შესრულებულნი, რაც სხვა ნუსხებში არ მოიპოვება. ამ მოსაზრებას ისიც უწყობს ხელს, რომ ხელნაწერის ტექსტის ნასწორები ადგილებში მთარგმნელისეულობაზე მიგვითითებს.

ხელნაწერის ტაბიძიანთ ოჯახში არსებობა უნდა აიხსნას პოეტის წინაპრის, გიორგი ტაბიძის (1603 წ.), ორბელიანებთან მჭიდრო ნათესაური კავშირით.

ვაქევეყნებთ გალაკტიონ ტაბიძის წინაპრის, გიორგი ტაბიძისადმი ნაბოძები სიგელის პირს, რომელიც სოლომონ მეფისაგანაა ნაწყალობები და გალაკტიონის არქივში აღმოჩნდა: „წყალობითა დაუსაბამოსა მამისა ღვთისათა ჩვენ, იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატიონმა, სრულიად იმერთა და სხვათა მპყრობელმან მეფემან, არჩილისაგან მეორემან სოლომან ესე ამიერითგან უკვე უცვლადი წყალობის წიგნად დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ ხონის წმინდა გიორგის ეკლესიის ყმას, მღვდელს ტაბიძეს გიორგის და შენ ძმებს იესეს და ბეჟანიკას და გაბრიელას და სხვათა შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა. ესრეთ და ესე ვითარად რაიმე ადგილზედ ნაკლები კაცი იყავით და მრავალგზის გვევედრეთ ადგილის ბოძებისათვის და ჩვენ ვისმინეთ ვედრება თქვენი და თქვენის მღვდელთმთავრის, მთავარეპისკოპოზის ანტონის დასტურით, ხონის წმინდის გიორგის ეკლესიისათვის ჭყვიშურის ადგილის წყალობა გიყავით და დაგასახლეთ, ყუმურის ღელე რომ რიონს ჩაერთვის, იმ ადგილზედ და საყანედ ჭალისთავიანად, პატიესლიმონის ფშანი რომ ჩამოყვება კარპანისთავიანად, და ისევე ეკლესიას უნდა ემსახუროთ, რომელიც მისი ბეგარა გემართა და მეფობის ჩვენისა წარსამართებლად და სულისა ჩვენისა საოხად. ამალღების ღლესა ცხვარი უნდა დაკლა და მღვდელს უნდა აწირვინოთ და სხვა სათხოვარი ჩვენგან და ჩვენის მეოხეთქმნისგან არ გეთხოვებათ და ესე გაეწესება თქვენგან და თქვენის შვილისა და მომავლისაგან, ჩვენ არას ეამთა ვითარებისაგან არ უნდა მოგვეშალოს და რომელიც ჩვენ წყალობა გიყავით, ეს წყალობა არც ჩვენგან და არც შემდგომთა ჩვენგანთა თქვენ და თქვენს შვილსა და მომავალს არ მოეშალოს და უკეთუ ვინმემ მძღავრობით შლად ხელყოს ამა ჩვენ მიერისა ბოძებულისა წერილისა, მყის თანა ეწიენ მას ვითა კაენის მომკვლელისა და იყავნ ღედა უფლისა ჩვენისა შურის მაძიებელი და ათორმეტი მოციქულნი შემკვრელ საკვირველითა განუხსნელათა და მომცემელ ცეცხლსა მას საუკუნესა და ნახეთქსა შინა და იყავნ წყეულ აქა და მას მერმესა აწდამი უკუნისამდე ხოლო დამამტკიცებელი და დამბეჭდველნი ამისნი, კურთხეულ იყვნენ სულითა ღვთისათა ვიდრე უკუნისამდე ამინ. ბრძანებასა ამის ჩვენისა შუამდგომელი და გამრიგედ მოწამე სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოზ წულუკიძე





ოტია, მოურავი ლორთქიფანიძე ნიკოლოზ და ქილიფთარი, ნიქარაძე როსტომ.

ალიწერა ხელითა წულუკიძის შვილის და თვისათა ივლისისა ქრ. აქეთ ჩვგ (1603 წ.).

ჩვენ სამღვდლო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოზ ნებითა ღვთისათა ვამტკიცებ წერილსა ამას (ბეჭედი).

ჩვენ სამღვდლო გენათელ მიტროპოლიტი ეფთიმე ვამტკიცებ ნებითა ღვთისათა ამ ჩემის ხემწიფის ბრძანებას (ბეჭედი).

ჩვენ სამღვდლო მთავარეპისკოპოზი ანტონი ვამტკიცებ ნებითა ღვთისათა ამ ჩემის ხემწიფის ბრძანებას (ბეჭედი).

ჩვენ სამღვდლო ნიკოლოზ წმინდელი სოფრომ ვამტკიცებ ნებითა ღვთისათა ამ ჩემის ხემწიფის ბრძანებას (ბეჭედი).

მე ჩიჯავაძე მდივანბეგი ვახუშტი ვამტკიცებ სიგელსა ამას (ბეჭედი)“.

როგორც ვხედავთ, გალაკტიონი დიდად ყოფილა დაინტერესებული ძველი ხელნაწერების შეგროვებით. ზემოთ მოყვანილი საბუთი კარგად არკვევს ზონის ტერიტორიაზე მოსახლეობის მოძრაობას. აგრეთვე, გვამცნობს სამეფო კარის თანამდებობის პირთა სახელებს და იმდროინდელ ვანის ძველ ტოპონიმებს. მიგვანიშნებს დასავლეთ საქართველოში მოსახლეობის მოძრაობასა და ახალდასახლებათა წარმოშობაზე იმ ადგილებში, სადაც XVII—XVIII საუკუნეებში გადიოდა დიდი სავაჭრო გზა ფოთსა და ქუთაისს შორის. ივარაუდება, რომ გარდა დასახლებული ხელნაწერებისა გალაკტიონ ტაბიძის საკუთრებას შეადგენდა სხვა საყურადღებო ძეგლებიც, რომელთა აღწერილობა დაცულია მის დღიურებში. დღიურში დასახლებული ხელნაწერები კი არ ჩანს. მათი მიკვლევა მომავლის საქმეა.

წალი მარტაშვილი

## ასე იწერებოდა პიესებში

1923 წლის 3 თებერვალს ზეიმით აღინიშნა შალვა დადიანის სას-  
ცნო მოღვაწეობის 30 წლის საიუბილეო თარიღი. ქართველმა ხალხმა  
დააფასა შალვა დადიანის მიერ 30 წლის მანძილზე შესრულებული  
284 როლი, მისი რეჟისორობით დადგმული 105 სპექტაკლი და  
შ. დადიანის საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება  
მიანიჭა.

სახელმწიფო გამომცემლობამ მწერალ ნიკო კურდღელაშვილს  
(ნაკრანს) დაავალა საიუბილეო კრებულის მომზადება და გამოცემის  
ხელმძღვანელობა. ნიკო კურდღელაშვილი, ერთ-ერთი უახლოესი მე-  
გობარია შალვა დადიანისა, პატივისმცემელი და დამფასებელი მისი  
ღვაწლისა ქართული კულტურის წინაშე, დიდი პასუხისმგებლობით  
მოეკიდა დაკისრებულ მოვალეობას. მან შეადგინა კრებული, წიგნს  
დაურთო ახალი, 1923 წელს გადაღებული პორტრეტი შალვა დადი-  
ანისა, მისივე ფაქსიმილე, ვრცელი მონოგრაფიული ნარკვევი, შ. დადი-  
ანის წინასიტყვაობა, ბოლო შენიშვნები და მცირე სიტყვარი. და ასე,  
შალვა დადიანის პიესების პირველი სრული კრებული 1923 წელსვე  
მიიღო მკითხველმა. ნიკო კურდღელაშვილი, შალვა დადიანის პირველი  
ბიოგრაფი ვრცლად მიმოიხილავს მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეო-  
ბის მნიშვნელოვან ფაქტებს. აქ ყველა სტრიქონი არის ზუსტი, დამა-  
ჯერებელი. შ. დადიანი, უეჭველად, თვალყურს ადევნებდა მასზე დაწე-  
რილ ყოველ სტრიქონს.

კრებულში შეტანილია პიესები: „მღვიმეში“, „როს ნადიმობდნენ“,  
„შენი ჰირიმი“, „გუშინდელნი“, „ვარამი“, „გეგეჭკორი“, „მოულოდ-  
ნელი შემთხვევა“ (ეს სამი უკანასკნელი პირველად გამოქვეყნდა).  
კრებულში ვერ შევიდა შალვა დადიანის პირველი პიესა „დასაწყისი“  
(რომლის დედანიც დაკარგული ყოფილა), „შეერთებული ძალით“ და  
„ქართული ენა“.

კრებულის გამოცემამ, თავისი საყვარელი გმირების თავშეყრამ  
შ. დადიანს დიდი სიამოვნება მოუტანა. წინასიტყვაობაში („ლია კარი“)   
ავტორი წერს: „ჯერ აქამომდე ესე დიდტანიან წიგნად არ გამოქმზეუ-  
რებულვარ, ხოლო აქ ის უნდა ვთქვა, რომ წინამდებარე ნაწარმოებთა  
დაწერა გამოიწვია ჩემი დროის ქართულმა თეატრმა, მისმა დღევანდელ-

მა შესაძლებლობამ და შეიძლება ოდნავ მისმა პერსპექტივებმაც, ...და ყველა ეს ოთხმოცდასამი კაცი, რომელიც იბრძვის ამ პიესის სანახებში და თვით ლიანგში მონაწილენიც ჩემთვის ხორცშესხმულნი და ცოცხლებნი არიან.

მათ აქვთ საბუთი და უფლება სცენაზე ცხოვრებისა“.

კრებულს ბოლოში აქვს დართული „შენიშვნები“, რომელშიც შ. დადიანი მკითხველს აცნობს პიესების დაწერის მოკლე ისტორიას. მაგ., „მღვიმეში“, ფანტასტიური სანახაობა სამ ნაწილად, დაწერილია 1905 წელს ზაფხულში, სოფელ საწულუკიძეთს (ქუთაისის მაზრა), პირველად დაბეჭდილია ნიკო ლორთქიფანიძის „ცხოვრება და ხელოვნებაში“. პირველად წარმოდგენილია თბილისში, საოპერო სცენაზე, 1918 წ.“

როგორც ჩანს, კრებულის ავტორს სთხოვეს, მკითხველისათვის მიეცა მოკლე ცნობები პიესების შესახებ. საფიქრებელია, რომ ამ „შენიშვნისათვის“ დაწერა შ. დადიანმა „პიესების ისტორია“, რომლის ავტოგრაფიც ახლა დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში (ს. ს. ლ. მ. 25411-ბ), მაგრამ ამ გამომცემლობამ კრებულისათვის შეამოკლა ეს „ისტორია“. აი, ამ ხელნაწერის სრული ტექსტი: „ყოველ ნაწარმოებს აქვს თავისი ისტორია“ (შირვანზაღე).

„მღვიმეში“ ფანტასტიური სანახაობა სამ ნაწილად.

„მღვიმეში“ პირველი სერიოზული პიესაა ჩემ მიერ დაწერილი 1905 წელს, ს. საწულუკიძეთს ქუთაისის მაზრისა, ჩემს დედუღეთს. უმთავრესი ნაწილი პიესისა ამ სოფელშია დაწერილი, მხოლოდ დასრულებით კი დასრულებულია ქ. თბილისს 1906 წელს. სულ ამ პიესაზე მიმუშავნია ამ ხნის განმავლობაში ერთი მეორეზე 13 დღე. პიესა ღირსი გახდა, რომ იმავე წელს მოსმენილ ყოფილიყო განსვენებული ლადო მესხიშვილისა, შიო ჩიტაძისა, სვიმონ ყიფიანისა და სხვა ზოგიერთ მწერალთა და მსახიობთა მიერ და მოწონებული ყოფილიყო სცენაზე დასადგმელად. ამავე წელს მესხიშვილის მეოხებით პიესა რეპერტუარშიც იქნა შეტანილი და ცენზურაშიც გატარებული, რაც დიდ საქმედ მიაჩნდათ მაშინ, რადგან მოელოდნენ, რომ ცენზურა პიესას აკრძალავდა მისი შინაარსის გამო, მხოლოდ იმ ხანებში წარმოდგენით მაინც არ წარმოადგინეს, რადგან პიესა თხოულობდა ახალ დეკორაციებს და ტანისამოსს და ამგვარი ხარჯის გაწევა მაშინდელს დრამატულ საზოგადოებას არ შეეძლო. ამის შემდეგ როგორცაა მიავიწყდა პიესის დადგმა, ხოლო დაბეჭდვით დაიბეჭდა 1908 წ. ნიკო ლორთქიფანიძის კურნალ „ცხოვრება და ხელოვნებაში“, წარმოდგენით კი პირველად წარმოდგენილ იქნა 1918 წ. თბილისში ოპერის თეატრში მსახიობ ელო ანდრონიკაშვილის ინიციატივით ქართველ მსახიობთაგან ჩემივე ხელმძღვანელობით, მაშინ როდესაც „ცარიზმი“ უკვე დამხობილი იყო.

„როს ნადიმობდნენ“ დაწერილია ქ. ოდესაში, 1907 წ. და დაბეჭდილია ქუთათურ გაზეთ „ფონში“ წინასიტყვაობით.

წარმოდგენილია პირველად ქ. ქუთაისის ქართული დასის მიერ ჩემი ხელმძღვანელობით, „კონტრაბანდალ“ ნებადართულ პიესის „ცხოვრების მეჯლისზე“ სათაურით და ასეთივე კონტრაბანდალ წარმოდგენილია შემდეგი თბილისისა და ბათუმის ქართული დასებისაგან. ბათუმშივე ცალკე წიგნად არის გამოცემული ეს პიესა 1912 წ. მსახიობ ალ. ჯაყელისა და ვლად. სარელის მიერ. მაგრამ მაშინდელ მთავრობისაგან პიესა აღიკრძალა, გამოცემული წიგნებიც დატუსაღებულ იქმნა და ავტორიც პასუხისგებაში იყო მიცემული, რომ რომელიღაც მანიფესტს არ მოესწრო.

„შენი ჭირიმე“, „კალმის ნაშმაკარი“ 3 მოქმედებად, ქ. ბათუმში, 1912 წ.

მსახიობ ბარველის თხოვნით არის დაწერილი. ბენეფისისათვის სკირდებოდა პიესა და უნდოდა ჩვენი ცხოვრებიდან რაიმე ახალი ნაწარმოები სცენაზე განესახიერებინა. მე დაეპირდი, მაგრამ დაწერა თანდათან მიმრჩა და ბენეფისის ვადამაც მოაწია. ამისათვის პიესა დაწერა სამ დღეში და წარმოდგენილ იქნა კიდევ მის საბენეფისოდ. დაბეჭდვით პიესა პირველად დაბეჭდა მიხ. გაჩეჩილაძემ მისი „ჩანგის“ მეორე გამოცემაში.

„გუშინდელნი“, კომედია სამ მოქმედებად.

ამის ისტორიაც თითქმის ეგეთივეა. ეს ბაქოში მოხდა. ახლა მე დამჭირდა საბენეფისო პიესა და შესაფერი ვერა-მოვიგონე რა. ჩემთან ერთად, თანარეისორად მსახურობდა ალ. წუწუნავა და მას მივმართე, რომ ერჩია რამე. მან პიესის მოძებნის მაგიერ შემავალიანა; „აიღე და თვითონ შენ რაიმე დაწერე“. შევცბუნდი, ბენეფისამდე რაღაც 12 დღე იყო დარჩენილი. წავხალისდი კი. გამახსენდა, რომ იმ ხანებში ერთი ფელეტონი მქონდა გაზეთში მოთავსებული. მაზრის უფროსი მიღის სოფელში და ამისაგან რა გამოდის. „სოფ. გარმშენიერი“ ერქვა ფელეტონს. ჩავუჯექი. მეოთხე დღეს პიესა მზად იყო და ბენეფისში 1917 წ. თებერვლის 20-ს წარმოვადგინეთ კიდევ. მხოლოდ ეს პიესაც „საზოგადო საქმის“ სახელით იყო წარმოდგენილი, რადგან მაშინდელი ცენზორისა მეშინოდა და ნებადართულ პიესის სახელით შევაპარე პოლიციას. დაბეჭდვით პირველად დაბეჭდა იოსებ იმედაშვილის „თეატრსა და ცხოვრებაში“ იმავე წელს.

„ვარამი“, ისტორიული ოცნება, წარმოსადგენი სამ სანახავით. ეს პიესაც სხვების შეგულიანებით არის დაწერილი, ერთ დროს მიხ. ქორელმა მიაბმო ლეგენდა თამარ მეფეზე, მირჩია დამეწერა პიესა. მე რაღა თქმა უნდა, დიდად მეძნელებოდა ისტორიული პიესის დაწერა და ისიც თამარის დროისა. რაიმე რომ შემცდეს, რასმე რომ გადავცდე. მინდოდა, მაგრამ არ ვჩქარობდი საქმის ხელყოფას, სანამ ეპოქას შეძლებისამებრ კარგად არ გავვეცნობოდი. 1916 წელს გაზაფხულს თბილისში მოვხვდი. ქართველ ქალთა საზოგადოება ეპირებოდა თამარის დღესასწაულის მოწყობას და ამ დღის წარმოდგენისათვის შესაფერ პიესას ეძებდა. პატივცემულმა სოფიო კალანდარიშვილისამ მომმართა, რომ გამომერჩია ისეთი პიესა მისის პირველისათვის და მერეისორნა კიდევ. მე სხვა პიესა არ მეგულებოდა შესაფერი თამარის ცხოვრებიდან. და მივუთითე კოტე მესხის „რუსთაველზე“. ქალთა საზოგადოების გამგეობამ ეს პიესა არ შეიწყნარა და მომმართა მე, რომ ამ დღის შესაფერი რაიმე პიესა დამეწერნა. რაღა თქმა უნდა, ძალიან შორს დავიჭირე და ბოდიშით უარი მოვახსენე. ამით გადავრჩი, მაგრამ მე კი მოვიწამლე. ქორელის ნაამბობი ლეგენდა აღარ მასვენებდა. გარემოებამ ხელი შემეიწყო: სოფელში მოვხვდი სააღდგომოდ კახეთს, კარდნახში. შემოვიწყე პროფ. ჯავახიშვილის „საქ. ერის ისტორია“, თვით „ქართლის ცხოვრება“, ზოგი წერილობითი წყაროები და ჩავუყევე. მაგრამ შესრულება არ გნებავთ: როგორ განვასახიერო ამ ეპოქის ხალხი. იმ ძუნწი ცნობების მიხედვით, რომლებიც მომეპოვება? როგორ ვალაპარაკო თვით მზეთამზე, გენიალური თამარ? მე არ ვიცი, ეს გარემოება როგორ დავძლიე. მაგრამ აქ მეორე „საჯაყი“ საქმე მომივიდა: ისე დამიპყრო ამ ეპოქამ, რომ შევატყვე, ზღვას. კოვზით ვერ დავლევი. მაშინ კიდევ უფრო კადნიერი ზრახვა დამებადა, დამეწერა რომანი „უბედური რუსი“... „ვარამი“ პირველად წარმოდგენილ იქნა ქუთაისის თეატრში და ამით დაიწყო კიდევ ეს სეზონი. დრამატული დასისა 1920 წ. ოქტომბერში. დაბეჭდვით კი მხოლოდ ეხლა იბეჭდება.

„გეგეპკორი“. ფაბულა აღებულია სამეგრელოში გავონილი ამბიდან. სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, დავით დადიანის დროს ცხოვრობდა აზნაური ანდრო გეგეპკორი. თავის დროისდა შესაფერად ნასწავლი. მსახურობდა კიდევ მთავრობის კარზე. ამ ნასწავლმა კაცმა დაიწყო თურმე ქადაგება, რომ გლეხებიც ადამიანები არიან და უნდა ყმობისაგან განთავისუფლებული იქნნო. რაღა თქმა უნდა, ესეთი ქადაგება არაფრად ეამა მთავარს და ამისათვის გეგეპკორი



„გაროზგა“ თურმე. ესეთი მოქცევა კი ვერ აიტანა გეგეჭკორმა და  
 ჭკუიდან შეიშალა. მე თვით მოვსწრებივარ სამეგრელოში ისეთ მოხუ-  
 ცებს, რომელთაც პირადად ჰყავდათ ეს გეგეჭკორი ნანახი. ამაზე კარგა  
 ხანია მინდოდა პიესის დაწერა და 1915 წ. ზაფხულს დავიწყე კიდეც  
 ქართლში სოფ. წვერს, კონსტ. კალატოზიშვილისას, პიესის წერა, მხო-  
 ლოდ რომ დავით დადიანისა და ანდრო გეგეჭკორის ეპოქას არ შევე-  
 ზღუდე, ამბავი განვარიდე მათ დროს, მათ პიროვნებასაც და ის ჩამო-  
 ვაყალიბე, რასაც მკითხველი და მსმენელი ხედავს. ამასთანავე ცოტა  
 რამ ვისესხე შორეულად ბაირონის პიესა „ორი ფოსკარისაგან“ და  
 წარმოვადგინე კიდეც პირველად ქ. თბილისის მაშინდელ არტისტული  
 საზოგადოების თეატრში, 1920 წ. მარტის 17-ს. დაბეჭდვით ეხლა  
 იბეჭდება პირველად.

„მოულოდნელი შემთხვევა“ ხომ უბრალო კალმის მონასმითა და  
 სათეატრო კომბინაციით არის გაკეთებული. დაწერილია 1916 წელს  
 თელავში. იბეჭდება პირველად.

დავით შულიაშვილი

## ჩვენი კალენდარი

1981

• • • • •

- 13 იანვარი — 1861 წელს დაიბადა ხალხოსანი მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი მაჩხანელი (დიმიტრი მიხეილის ძე ნადირაძე). 120 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1903 წლის 29 ოქტომბერს.)
- 19 იანვარი — 1896 წელს დაიბადა პოეტი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე ილო (ილია) ონისიმეს ძე მოსაშვილი. 85 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1954 წლის 5 აგვისტოს).
- 21 იანვარი — 1876 წელს დაიბადა ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი პოლიო ირეთელი (პოლიო ანტონის ძე კალანდაძე), 105 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1931 წ.).
- 27 იანვარი — 1891 წელს დაიბადა ჟურნალისტი, ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე, ექიმი — ენდოკრინოლოგი, იოსებ ანტონის ძე ასლანაშვილი. 90 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1955 წ.).
- 31 იანვარი — 1856 წელს დაიბადა ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი გიგა (გრიგოლ) თევდორეს ძე ყიფშიძე. 125 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1921 23 დეკემბერს).

• • • • •

- 4 თებერვალი — 1871 წელს დაიბადა პროზაიკოსი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე არსენ ანტონის ძე მამულაიშვილი (ლალიონი), 115 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1918 წლის 18 ნოემბერს).
- 8 თებერვალი — 1866 წელს დაიბადა ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე ეგნატე მაკარის ძე ხრამელაშვილი, 115 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1912 წლის 30 აგვისტოს).

- 13 თებერვალი — 1866 წელს დაიბადა პოეტი, მთარგმნელი გრიგოლ დავითის ძე აბაშიძე. 115 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1903 წლის 26 მარტს).
- 13 თებერვალი — 1866 წელს დაიბადა ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე ტრიფონ რომანოზის ძე თაბუკაშვილი. 115 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1926 წლის 11 იანვარს).
- 14 თებერვალი — 1871 წელს დაიბადა პუბლიცისტი, ჟურნალისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე ლადო ქრისტეფორეს ძე ნაცვლიშვილი (ბზვანელი). 120 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1953 წელს).
- 28 თებერვალი — 1886 წელს დაიბადა საბავშვო მწერალი, პროზაიკოსი ანა (ანიკო) ანტონის ასული ხახუტაშვილი, 95 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1960 წლის 28 თებერვალს).

#### მ ა რ ტ ი

- 11 მარტი — 1836 წელს დაიბადა პოეტი, მთარგმნელი მამია დავითის ძე გურიელი. 145 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1891 წლის 6 აგვისტოს).
- 14 მარტი — 1901 წელს დაიბადა საბავშვო მწერალი, პოეტი, ჟურნალისტი არნო ონელი (ალექსანდრე კაციას ძე ბურდილაძე). 80 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1979 წლის 25 თებერვალს).
- 16 მარტი — 1836 წელს დაიბადა პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე გერასიმე სიმონის ძე კალანდარაშვილი, 145 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1874 წლის 8 თებერვალს).
- 16 მარტი — 1906 წელს დაიბადა დრამატურგი, კომედიოგრაფი მიხეილ ვიქტორის ძე ჯაფარიძე. 75 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1964 წლის 5 მაისს).
- 29 მარტი — 1851 წელს დაიბადა პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე. 130 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1917 წლის 9 თებერვალს).

#### ა პ რ ი ლ ი

- 4 აპრილი — 1876 წელს დაიბადა მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე იოსებ ზაქარიას ძე იმედაშვილი. 105 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1952 წლის 5 მაისს).
- 14 აპრილი — 1876 წელს დაიბადა პუბლიცისტი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე სერგო რომანის ძე გორგაძე. 105 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1929 წლის 10 ივნისს).
- 23 აპრილი — 1876 წელს დაიბადა აკადემიკოსი ივანე ალექსანდრეს ძე



ჯავახიშვილი. 105 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1940 წლის 18 ნოემბერს).

#### მ ა ი ს ი

- 14 მაისი — 1866 წელს დაიბადა საბავშვო მწერალი, პოეტი ცახელი (პარმენ ივანეს ძე თვალჭრელიძე). 115 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1919 წლის 20 აგვისტოს).
- 18 მაისი — 1891 წელს დაიბადა მწერალი კონსტანტინე სამსონის ძე გამსახურდია. 90 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1975 წლის 17 ივლისს).
- 23 მაისი — 1866 წელს დაიბადა პოეტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე ბაჩანა (ნიკო პავლეს ძე რაზიკაშვილი). 115 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1927 წლის 17 დეკემბერს).
- 27 მაისი — 1951 წელს გაიხსნა ლიტერატურული მუზეუმის ბაზაზე ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში. (გახსნიდან 30 წელი).

#### ი ვ ნ ი ს ი

- 10 ივნისი — 1881 წელს დაიბადა პუბლიცისტი, სახელმწიფო მოღვაწე, ივანე (მამია) დიმიტრის ძე ორახელაშვილი. 100 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1937 წელს).
- 27 ივნისი — 1861 წელს დაიბადა ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე პეტრე გიორგის ძე ჭარაია. 120 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1919 წლის 2 დეკემბერს).

#### ი ვ ლ ი ს ი

- 4 ივლისი — 1901 წელს დაიბადა პოეტი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ჩაჩავა. 80 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1974 წლის 16 აგვისტოს).
- 18 ივლისი — 1906 წელს დაიბადა პროზაიკოსი, მთარგმნელი ნინო ისიდორეს ასული დოლიძე. 75 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1968 წლის 27 ნოემბერს).
- 20 ივლისი — 1851 წელს დაიბადა ხალხოსანი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სოფრომ ზაქარაის ძე მგალობლიშვილი. 130 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1925 წლის 30 ნოემბერს).
- 26 ივლისი — 1861 წელს დაიბადა დიდი ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა (ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი). 120 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1915 წლის 27/VII ძვ. სტ. (9 აგვისტოს)).
- 28 ივლისი — 1851 წელს დაიბადა ხალხოსანი მწერალი ქალი ეკატერინე (კატო), რევაზის ასული გაბაშვილი (თარხნიშვილი). 130

### აგვისტო

- 18 აგვისტო — 1866 წელს დაიბადა ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე ილია პეტრეს ძე ნაკაშიძე. 115 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1923 წელს).
- 19 აგვისტო — 1876 წელს დაიბადა პოეტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე დომენტი თომას ძე თომაშვილი (ოყრეშიძე). 105 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1952 წლის 1 აპრილს).
- 20 აგვისტო — 1866 წელს დაიბადა საბავშვო პოეტი, საზოგადო მოღვაწე შიო მღვიმელი (შიო ილარიონის ძე ქუჩუკაშვილი). 115 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1933 წლის 28 დეკემბერს).
- 21 აგვისტო — 1856 წელს დაიბადა მწერალი ვასილ ზაქარაძის ძე ბარნოვი. 125 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1934 წლის 4 ნოემბერს).

### სექტემბერი

- 16 სექტემბერი — 1911 წელს ტრაგიკულად დაიღუპა ისტორიკოსი მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე მიხეილ თამარაშვილი. 70 წელი დაღუპვიდან (დაიბადა 1838 წელს).

### ოქტომბერი

- 13 ოქტომბერი — 1861 წელს დაიბადა კრიტიკოსი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე რომანოზ სპირიდონის ძე ფანცხავა (ხომლელი), 120 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1928 წლის 2 მაისს).
- 13 ოქტომბერი — 1866 წელს დაიბადა პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ნადირას ძე აფშინაშვილი. 115 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1960 წელს).
- 13 ოქტომბერი — 1866 წელს დაიბადა პოეტი, ჟურნალისტი, მთარგმნელი არტემ მიხეილის ძე ახნაზაროვი. 115 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1942 წლის 28 მარტს).
- 17 ოქტომბერი — 1831 წელს დაიბადა პუბლიცისტი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე ვინმე მესხი (ივანე პავლეს ძე გვარამიძე). 150 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1912 წლის 6 ივნისს).

### ნოემბერი

- 7 ნოემბერი — 1901 წელს დაიბადა ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე ილია ვლადიმერის ძე აბულაძე.



- 80 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1968 წლის 9 ოქტომბერს).
- 13 ნოემბერი — 1886 წელს დაიბადა პროზაიკოსი, მთარგმნელი არისტო მაქსიმის ძე ჭუმბაძე. 95 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1971 წლის 28 ნოემბერს).
- 13 ნოემბერი — 1876 წელს დაიბადა კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე (საშა) გრიგოლის ძე წულუკიძე. 105 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1905 წლის 21 ივნისს).
- 17 ნოემბერი — 1891 წელს დაიბადა სახალხო პოეტი, გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძე. 90 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1959 წლის 17 მარტს).
- 19 ნოემბერი — 1891 წელს დაიბადა პოეტი, პროზაიკოსი საფო მგელაძე (სოფიო იოსების ასული გიგინეიშვილი). 90 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1936 წლის 9 ნოემბერს).
- 22 ნოემბერი — 1916 წელს დაიბადა პოეტი, მთარგმნელი ვახტანგ პავლეს ძე ბეწუკელი. 65 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1971 წლის 21 ივნისს).

**დეკემბერი**

- 8 დეკემბერი — 1976 წელს დაიბადა პოეტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე (კოტე) ზაქარიას ძე მაყაშვილი. 105 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1927 წლის 29 აგვისტოს).
- 20 დეკემბერი — 1886 წელს დაიბადა პუბლიცისტი, ფსიქოლოგი, აკადემიკოსი დიმიტრი (დიტო) ნიკოლოზის ძე უზნაძე. 95 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1950 წლის 12 ოქტომბერს).
- 21 დეკემბერი — 1866 წელს დაიბადა ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე გიორგი მიხეილის ძე ლასხიშვილი. 115 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1931 წელს).

### ქრონიკა

1978—1979 წლებში საქართველოს სახელმწიფო ზ. ლომიძის  
სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის მიერ შექმნილი გახალაბი

#### 1978 წელი

1. პანტელეიმონ ჩხიკვაძის ხელნაწერთა არქივი, რომანები და მოთხრობები: „სართულები“ (ტრენტის დირექტორი) არასრული, „ნაბიჯები“: 1. წიგნი; „ამხანაგი ბუთხუზი“, — „კუჭუყიანი ხელი“, „ძმადნაფიცი“, „მინდერის კვირეული“, „სწორუ-პოვარი“, „უბედური შემთხვევა“, „რომანტიული ამბავი“, „დაკერის მოლოდინში“, „რუსულას კოლექტივი“, „ჩემი მათხერი“, — ავტოგრაფები.

პოემები: „ყოფა-ცხოვრებიდან“, „ჩოხატაური“.

პიესა: „პირი სოფლისაყენ“.

წერილები, დოკუმენტები და სხვა.

2. ნიკოლოზ შამანაურის მოგონება ვაჟა-ფშაველასზე. ავტოგრაფი, 40 ფურცელი.

3. უიარაღის (კონდრატე თათარაშვილის) წერილები ცოლ-შვილისადმი.

4. ოვანეს დავითიანის მოგონება ვაჟა-ფშაველასზე, ი. გრიშაშვილსა და პ. ჩხიკვაძეზე.

5 ალ. მირცხულავას ხელნაწერთა არქივი.

ლექსები (ვარიანტებით) პოემები: „ენგური“, „რუსთავი“, „ურმული“, „მე და ბარათაშვილი“, „აი, აღამიანი“, „ფიცი“, „ღარიალი, ავდარი, მანდარინი, ღირა“ და სხვა. მოთხრობა „საშინელი შურისძიება“. პიესები „განგაში“, „აჩრდილი“, „ჩრდილი ფანჯარაში“, „წალკოტი“. ლიბრეტოები, თარგმნილი ლექსები. ნარკვევები, მოხსენებები, სიტყვები — წარმოთქმული სხვადასხვა დროს, ლექსები და პოემები რუსულ ენაზე. რეცენზიები სხვისი ნაწერების შესახებ. წერილები სხვადასხვა პირებისადმი. წერილები და დეპეშები ალ. მირცხულავასადმი (900 ცალი). ალ. მირცხულავასადმი მიძღვნილი ლექსები. ალ. მირცხულავას დღიურები და სხვადასხვა ჩანაწერები, დოკუმენტები ალ. მირცხულავას სახელზე, უბის წიგნები სხვადასხვა ჩანაწერებით.

სხვისი ნაწერები ალ. მირცხულავას არქივში.

ემილ ვერპარნის მცირე ჩანაწერი ქალბატონ სობინოვაზე 1919 წ. საპატიო სიგელები, სიუბილერ ადრესები ა. მირცხულავას სახელზე. ა. მირცხულავასადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოების მასალა.

6. ფუტე დგებუაძე-ფულარიას ხელნაწერთა არქივი, მოთხრობები და რომანები: „ოქროს ბეჭედი“, „ტყვარჩელის ლამპიონები“, „ქუჩი ბედნიერი მგზავრი“, „პილოტი ქალი“, „ელისო“, „პატარა მეგობარი“, „ასე იბი შური“, „შეხვედრა“, „უჩაღროდ“, „ქუდიანი“ — ავტოგრაფები.

ფუცუ დგებუაძე-ფულარიას ლექსები, ნარკვევები — „ქალები“, მოგონებები — შ. დადიანზე, ი. გრიშაშვილზე, ნ. ჩხიკვაძეზე, აკაკიზე, ვაჟა-ფშაველასა და სხვებზე. რეცენზიები ფუცუ დგებუაძე-ფულარიას ნაწერებზე.

ქრისტინე და ვასო ლორთქიფანიძეების ლექსები. ფუცუ დგებუაძე-ფულარიასადმი მიძღვნილი ლექსები. ფუცუ დგებუაძე-ფულარიას წერილები მახლობლებისადმი. წერილები და დეპეშები ფუცუ დგებუაძე-ფულარიასადმი.

7. ი. გრიშაშვილის წერილები ანა ვარდიანიშვილისადმი.

8. მარიამ მაკავარიანის მოგონება გალაკტიონ ტაბიძეზე.

9. მიხეილ გორგაძის მოგონება „გალაკტიონი პეტროგრადში“?

10. მიხეილ ყვარელაშვილის მოგონება გალაკტიონ ტაბიძეზე.

11. თანამედროვე ქართველ მწერალთა ავტობიოგრაფიები.

12. შალვა აფხაიძის ხელნაწერთა არქივი: ლექსები, პოემები: „ჩემი თაობა“ და „მოგონებები“ ნარკვევები („აკაკი“, ი. ჩხეიძის „ბურუსი“), წერილები შ. აფხაიძისადმი, დოკუმენტები შ. აფხაიძის სახელზე. ვ. გაფრინდაშვილის, კ. ნადირაძისა და სხვა პირთა ავტობიოგრაფიები.

### 1974 წელი

1. სიმონ (სოსიკო) ფანცხავას მოგონებები გალაკტიონზე, ფედია ჩუღეციოზე, ალ. სუმბათაშვილი-იუვიჩიზე.

2. მიხ. ყვარელაშვილის მოგონება „შეხვედრები გოლცევათანა და სვეტლოვთან“.

3. სიმონ ფანცხავას მოგონება რომანოზ ფანცხავაზე.

4. პუშკინის ხელნაწერთა პირების კრებული, გამოცემული წიგნად 1911 წ.

5. სიმონ წვერავას მოგონება გალაკტიონზე.

6. რ. ს. დ. შ. პარტიის თბილისის კომიტეტის პროკლამაცია 1905 წ. II. XII რუსულ ენაზე. სტამბურად ნაბეჭდი.

7. ალ. სულავას ხელნაწერთა არქივი, ა. სულავას ავტობიოგრაფია და სხვა დოკუმენტები.

ალ. სულავას „ქრონიკა“ (დღიური) 1934—36 წ. უბის წიგნაკები, ჩანაწერებით, ნარკვევებით: ს. ჩიქოვანი, ი. მოსაშვილი, ირ. აბაშიძე, ქართული საბავშვო ლიტერატურა, ვალია ბახტაძე „მნათობის“ მე-10 წლისთავი, აკაკი წერეთელი და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, იაკობ გოგებაშვილი, შ. მღვიმელი. აკაკი და ტარას შევჩენკო, რაქდენ გვეტაძე, ა. შირცხელავა (გადამბეჭდილი და ავტორის ხელით ნასწორები), ალ. სულავას წერილები მეუღლისა და მეგობრებისადმი, სხვა მწერალთა ავტობიოგრაფიები, ალ. სულავას არქივში (გ. ქუჩიშვილის, ირ. აბაშიძის, ს. თაყაიძის, გ. კაჭახიძის, ი. გრიშაშვილის, ვ. გამესკირიას, ი. მოსაშვილის და სხვათა ლექსები).

ი. ფანცხავას მოგონება ილიაზე, შ. დადიანის „რაც გამახსენდა, ი. ქვექავაძის გარშემო“.

დუტუ მებგრელის, ა. ერისთავ-ხომტარიასა, ს. რემონიძის, კ. კალაძის, დ. ჯანელიძის, არ. ხუნდაძის, თ. სახოკიას ავტობიოგრაფიები.

8. სეზმან ერთაშინდელის მოთხრობები და ნოველები „თბილისი 1905 წ. (ვარიანტებით)“, „ოლია“, „იუ-იუ“, „იბა შაქრო“, „უდაბნო“, „გუგუთში“, „წითლე-



ბი და ლურჯები", „ჯარისკაცი ჯან-სუ“, „გმირი დედა“ და სხვა. სეზმან ერთაწმინდა დღის ლექსები და პოემები, სულ 200 ფ. ავტოგრაფი.

9. სიმონ მთვარაძის ხელნაწერთა არქივი, პიესები (სულ 34 დასახელებისა), პოემები და ლექსები, ლიბრეტოები (13 დასახ.). სიმონ მთვარაძის წერილები: „კემპარტების მოძულენი“, „გმირული დრამის სულთათნა“, „შეცდომათა ტყვეობაში“ და სხვა. (სულ 11 დასახელებისა), მთვარაძის რეცენზიები, დღიურები, დოკუმენტები. ს. მთვარაძის სახელზე. თბილისის მოზარდ მკურნებელთა თეატრის მასალები. სიმონ მთვარაძის სიტყვები და მოხსენებები. წერილები ს. მთვარაძისადმი.

სხვადასხვა პირთა მოგონებები საგარეჯოს თეატრალური დასის შესახებ.

10. ტატიანა პავლეს ას. ანდრონიკაშვილის მოგონებები.

11. ნინო ნაკაშიძის მოგონება ივანე როსტომაშვილზე.

12. სხვადასხვა პირთა მოგონებები ლეო ქიაჩელზე.

1875 წელი

1. გიორგი მიხეილის ძე მდივნის ხელნაწერთა მცირე არქივი: გიორგი მდივნის ლექსები, წერილები ქართველ მწერლებზე, თეატრსა და დრამატურგიაზე, სულ 240 ფ.

2. ანა ვარდიანიშვილის მოგონებები გ. ლეონიძესა და გალაკტიონზე.

3. იაკინთე ლისაშვილის ხელნაწერთა და ფოტო არქივი, მოთხრობები და რომანები: „მახილი მთაში“, „სიცოცხლისათვის“, „ლადო კეცხოველი“, „მეგობრის ღიმილი“, თავები რომანიდან: „ვარდნილი“, „ერთგულება“, „ნანგრევებზე“, „ქართლის დედა“, „შიში და სიყვარული“, „მზვერავები“ და სხვა, სულ 28 დასახელებისა.

ი. ლისაშვილის საიუბილეო საღამოს მასალი, ი. ლისაშვილისადმი მიძღვნილი ადრესები. ი. ლისაშვილის პიესა „რევოლუცია“, ლექსები და პოემები, მოგონებები „ჩენ და ისინი“, ნარკვევები, სიტყვები და მოხსენებები, პირადი წერილები, დოკუმენტაცია ი. ლისაშვილის სახელზე. 12 დასახელების ფოტოდედანი.

4. სიმონ ფანცხავას მოგონებები „ქუთაისის მანდილოსნების დელეგაცია ი. ქაქავაძის დაქრძალვაზე“.

5. ფოლკლორული მასალი, ჩაწერილი დავით ელიზბარაშვილის მიერ.

6. ალ. ბურთიაშვილის არქივი, „დღენი ჩენი ცხოვრებისა“, ნარკვევები: ე. გუნია, „ცეკვის ჯადოქარი“ და სხვა. ფოტოპირები (ქართველი მსახიობები).

1876 წელი

1. ლადო გეგუქორის მოგონებები: „წლები და შეხვედრები“.

2. დავით კასრაძის ხელნაწერთა არქივი, რომანები და მოთხრობები: „შუაისციხელი“, „ღმერთების საფარველი“, „იმ ვაზაფხულის შიკრიკები“, „პროფესორ გეგუშვილის საიდუმლო“. პიესები: „მთვარის მარგალიტი“, „სურამის ციხე“, „რუსთაველი“, პედაგოგიური ნაშრომები: „წინასიტყვაობა და მეთოდი“, „პირველი

ნაბიჯი“, დ. კასრაძის მოგონებები და ლიტერატურული პორტრეტები. სხვა ნაწარმოებები დ. კასრაძის არქივში: კოტე ყიფიანის „ბედი ქართლისა“, უცნობი ავტორის „ჩამწარებული დღობა“, „ლალატი“, უსათაურო პიესა, ერმალოვ გრძელის მოგონება, ჭეთო ჭავჭავიძის მოგონება, უცნობ პირთა მოგონებები და სხვა ჩანაწერები.

3. საქართველოში მცხოვრები რუსი მწერლის — ალექსანდრე სიტინის მოთხრობები, სცენარი, წერილები და დეპეშები.

4. ვიქტორ გაბესკირიას ხელნაწერთა არქივი: „შრილებენ ვერხეები“, „ახალწლის ღამეს“, „გაზაფხულის დღია“, „მებაღე“, „მათი ამბავი“, „გურიის მთები“, „საყვარელი ეზო“, „უფესკრულთან“, „ქეთევან წამებული“, ერთმომქმედებიანი პიესები: „ავადმყოფი“, „მოთლოდნელი სიხარული“. წერილები გაბესკირიასადმი, დოკუმენტები ვ. გაბესკირიას სახელზე. თარგმანები, ნარკვევები, რეცენზიები, სცენარები და ლიბრეტოები, წერილები.

5. ანა პოპოვას არქივი, ლექსები (რუსულ ენაზე) — ავტოგრაფი. ანა პოპოვას მოგონება კოსტა ხეთაგუროვზე. კოსტა ხეთაგუროვის ლექსი და ფრაგმენტი პოემიდან, 3 ფურცელი კ. ხეთაგუროვის ჩანახატი მონოგრამებით, ანა პოპოვას მიმოსწერა მწერლებთან.

6. პეტრე ბაბტურიძის ხელნაწერთა არქივი, ნარკვევები (ლიტერატურაზე, თეატრზე, დრამატურგიაზე), რეცენზიები, თარგმანები, წერილები პ. ბაბტურიძისადმი, დოკუმენტები პ. ბაბტურიძის სახელზე.

სხვისი ნაწარმოები ბ. ბაბტურიძის არქივში: ალ. ნუნუნკას, უ. ჩხეიძის მოგონებები. ს. შანშიაშვილის, პ. კაკაბაძის პიესები.

7. გიორგი ახლიცხელის (სალარიძის) წერილები და სხვა ნაწარმოები.

8. მოხსენება „ტფილისის ლუბერსკის კეთილშობილთა შეკრებილებისადმი დესტიტიცილნი სოვეტნიკის დიმიტრი ყიფიანისაგან ბატონყმობის საქმეზედ 1862 წ.“ 9 ფურცელი.

9. გიორგი ლუარსაბის ძე, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე და გიორგი ალექსანდრეს ძე ტარსაიძეების წერილები და დოკუმენტები.

10. ვასო გორგაძის ხელნაწერთა არქივი, ლექსები, პოემა. ვასო გორგაძის თარგმანები, მოგონებები, პირადი წერილები, ნარკვევები, სხვადასხვა ჩანაწერები, დოკუმენტები.

11. მიხეილ ჭავჭავიძის ხელნაწერთა და ფოტო არქივი, პიესები: „ემთაბერის ასული“, „უსაშველო მამულებო“, „ბულარა“, „ზემო იმერლები“, „ლაშპარი“, „უჩინმანი“, „მათი ოცნება“, „აღამ ოკრიბელი“, ავტოგრაფები ვარიანტებით, მიხეილ ჭავჭავიძის საესტრადო ლექსები, სულ 158 დასახელების, 602 ფურცელი. კინო-სცენარები, ლექსები და პოემა 223 ფურცელი, რეცენზიები, პირადი წერილები, დოკუმენტები, ვ. ანჯაფარიძისა და უ. ჩხეიძის ავტოგრაფები, 13 ფურცელი. ჩანახატები (ფანქარი).

12. ხარიტონ ვარდოშვილის ხელნაწერთა არქივი, ლექსები, 650 ფურცელი, ლექსები რუსულ ენაზე, თარგმანები, მოგონებები, პირადი წერილები, დოკუმენტები.

13. გერონტი ქიქოძის ხელნაწერთა არქივი, სიტყვები, წარმოთქმული სხვადა-

ბეა დროს 1944—1960 წლებში—42 დასახელებსა. ლიტერატურული ნარკვევები, 292 ფურცელი.

„სოლოლაის დიალოგები“, მემუარული ჩანაწერები, უბის წიგნაკები.

14. ვახტანგ VI სამართალი, ხელნაწერი გადაწერილი 1844 წ.

### 1977 წელი

1. ტიციან ტაბიძის წერილები ბიძისადმი (იაკობისადმი) 1915 წ.

2. ალ. მირცხულავას სიტყვები, წარმოთქმულ სხვადასხვა დროს, ა. მირცხულავას თარგმნილი ლექსები, ბლოკნოტი — ალბომი ა. მირცხულავასა და სხვათა ჩანაწერებით, 1924 წ. დღიურის ხასიათის ჩანაწერებით.

3. დავით კლდიაშვილის ორი წერილი (ავტოგრაფი), მისალოცი ბარათები დავით კლდიაშვილისადმი.

4. არტურ ლაისტის წერილის ფრავმენტი, 1 ფურცელი რუსულ ენაზე, ხელმოწერილი ქართულად.

5. ვერმიშევა-ჩარეჟოვას ავტოგრაფი, 5 ფურცელი.

6. არნო ონელის მოგონება: „მოკლე სიტყვა ჩემი ცხოვრების გრძელ გზაზე“, 20 ფურცელი.

7. ი. ვ. გომართელის მოგონება გიორგი წერეთელზე, ავტოგრაფი, 6 ფურცელი.

8. გ. ლეონიძის ლექსები, ავტოგრაფები, 25 ფურცელი.

9. ნიკო ნიკოლაძის წერილები დეზისადმი და ბ. ჯაფარიძისადმი.

10. ილია ჭავჭავაძის წერილი დიმიტრი ივანეს ძისადმი, ავტოგრაფი, 1 ფურცელი.

11. შალვა აფხაიძის ნარკვევები, 321 ფ. ავტოგრაფი, შ. აფხაიძის მოგონებები, ავტოგრაფი 84 ფურცელი.

12. დ. არაყიშვილის მოგონება ნიკო სულხანიშვილზე.

13. „ცისფერი ყანწების“ კრების დადგენილება, 2 ფ., ხელნაწერი.

14. პაოლო იაშვილის „შემოდგომის აზნაურები“, 2 ფ., ავტოგრაფი.

15. მირზა გელოვანის ოთხი წერილი გრ. ცეცხლაძისადმი, 1935 წ. ავტოგრაფი, მირზა გელოვანის ლექსები, 8 ფურცელი, მ. გელოვანის „ბუნების უსამართლობა“, 6 ფურცელი, ავტოგრაფი, 1935 წ.

16. ლადო ასათიანის ლექსები, ავტოგრაფები, 15 ფურცელი, ლადო ასათიანის პოემა „წითელი ყელსახვევის შესახებ“, 15 ფურცელი.

17. სხვადასხვა პირთა მოგონებები ვალაკტიონზე, 82 ფურც., ავტოგრაფი.

18. მოგონება კ. გამსახურდიანზე, 27 ფ.

19. ნ. ბარათაშვილის „მერანის“ თარგმანი მარიანა პრიტიციის მიერ, მთარგმნელს ავტოგრაფი, 2 ფურცელი.

20. პაპუნა წერეთლის მოგონებები, 36 ფურცელი.

21. მელიტონ მანდარიას ლექსები, 62 ფურცელი, ავტოგრაფი.

22. რაჟდენ ხუნდაძის მოთხრობები, მოგონება რაჟდენ ხუნდაძეზე.

23. ვახტანგ კოტეტიშვილის ნარკვევები, ავტოგრაფი, 514 ფურცელი, ხალხური ლექსები, ზღაპრები, ლეგენდები, ჩაწერილი სხვადასხვა პირთა მიერ.



24. ე. ყაზბეგის ლექსი „ჩემო იღბალო“, 1 ფურცელი, ავტოგრაფი.

25. ძველი ქართული ნაწერები: სამთვარიო და საეტლო, 12 ფ. ბეჟანისა და მანასის ამბავი, ქალაქიანი, ასოთსამღერალი, ალექსანინი, შვიდევეზირიანი.

26. ტიციან ტაბიძის ლექსები. 3 ფურცელი, ავტოგრაფი.

27. ლ. ქიაჩელის „ალმასკირ კიბულან“, 35 ფურცელი, ავტოგრაფი.

28. ნიკო თავდგირიძის ნარკვევი „მამია გურიელი“, 37 ფურცელი.

29. იაკობ ნიკოლაძის ნაწერები, მოგონებების ფრაგმენტები და პირადი წერილები, ხელნაწერი.

30. დავით სულიაშვილის მოთხრობები და მოგონებები, ნარკვევები, სულ 22 დასახელების ხელნაწერი, ავტოგრაფი.

31. ნიკო სამადაშვილის ლექსები, 48 ფ., ავტოგრაფი და პროზა „უკანასკნელი ქრისტიანები“; წერილები 5. სამადაშვილისადმი.

32. კლიმენტი გოგიაეას მოგონებები „რაც ვნახე და გავიგონე“, 100 ფურცელი, ავტოგრაფი.

### 1978 წელი

1. გრიგოლ ცეცხლაძის ხელნაწერთა არქივი, თარგმანები, ლექსები, პოემები, მოთხრობები, პიესები, ნარკვევები, სცენარები, ლიბრეტოები, მოგონებები, პირადი წერილები, დოკუმენტები, ავტოგრაფები.

2. მარიჩანის ლექსები, 8 ფ., ავტოგრაფი.

3. მოგონებები გიორგი ლეონიძეზე, ჩაწერილი საგურამოში სხვადასხვა პირთაგან.

4. მხატვარ გივლა ფირცხალავას მიერ შესრულებული მგობრული შარავები, „ქართველი მწერლები“, სულ 33 დასახელების დედანი.

5. ტიციან ტაბიძის ავტოგრაფი — უკრაინის კულტურის დღეებისათვის, 6 ფურცელი.

6. ლევან ასათიანის ხელნაწერთა არქივი, ნარკვევები 2500 ფურცელი, ავტოგრაფი. სცენარები, პიესები, დრამატიული პროზა, მოგონებები, დღიურები, უბის წიგნაკები ჩანაწერებით, ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე, — შედგენილი ლევან ასათიანის მიერ, დოკუმენტები ლ. ასათიანის სახელზე, პირადი წერილები.

სხვობი ნაწერები ლევან ასათიანის არქივიდან.

7. მწერალთა ავტობიოგრაფები, შერეული ლევან ასათიანის მიერ. ავტოგრაფები, სულ 131 ფურცელი.

8. კონსტ. გამსახურდიას ნარკვევი, 1937 წ. 48 ფურცელი. გადამუშავებული, ნასწორები ავტორის ხელით.

9. ვალაკტიონის ლექსების ავტოგრაფი, სულ ოთხი ლექსი.

10. ან. ერისთავ-ხომტარაძის რომანი „შევიკრიდი“, 121 ფურცელი; ავტოგრაფი.

11. პაოლო იაშვილის ლექსების ავტოგრაფები, 34 ფურცელი.

12. ტიციან ტაბიძის ლექსები, 6 ფურცელი.

13. ვალია ბახტაძის ნარკვევი „თეთრი საყელო“, 4 ფ., ავტოგრაფი. მიხ. ჭავჭავაძის შვილის პასუხი, ავტოგრაფი, 4 ფურცელი.

14. მიხ. ჭავჭავაძის „არსენა მარაბდელი“, ავტოგრაფი სულ 72 ფურცელი (თავები „განკვეთილი კვანძები“, „უხისხლო სისხლი“).
15. კ. ლორთქიფანიძის „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“, ავტოგრაფი, 75 ფურცელი.
16. ბანოვანის (დესპინე გელოვანის) „ალმას ზანუშ“, ავტოგრაფი, 55 ფურცელი.
17. ვასილ ბარნოვის „ფედის ხელი“, 1929 წ., 31 ფურცელი, ავტოგრაფი. თავ-ფურცლები აკლია. მოთხრობის ავტოგრაფი, 97 ფურცელი.
18. კოტე ხიმშიაშვილის მოთხრობა „გაზაფხულის უცნაურობა“ და ჩეხოვის „ენკას“ თარგმანი, 10 ფურცელი.
19. სხვადასხვა პირთა მოგონებები აკაიზე, 30 ფურცელი.
20. სხვადასხვა პირთა მოგონება ილიაზე, (36 ფურცელი).
21. სოლომონ ცაიშვილის მიერ სამეგრელოში ჩაწერილი მოგონება ილიასა და აკაიზე.
22. ქართველ მწერალთა პორტრეტები, დედნები, 14 ცალი.
23. ზესტაფონის ფერო-მარგანეცის მუშაკთა პორტრეტები, შესრულებული ლადო გუდიაშვილის მიერ, 5 ცალი, 22X30 სმ.
24. ვანდეგილის ხელნაწერთა არქივი, ვანდეგილის (დომინკა ერისთავის) ლექსები, მოთხრობები, წერილები, დოკუმენტები. სულ 34 დასახელების ავტოგრაფი, 206 ფურცელი.
25. კონსტ. გამსახურდიას წერილები გრიგოლ ვაშაყიძისადმი. გრ. ვაშაყიძის მოგონება კონსტანტინე გამსახურდიაზე, პაბლო ტიჩინასა და სსუაზე, 1930 წ. 73 ფურცელი.
26. ელენე შერის (შერვაშიძის) თარგმნილი „ჟონ-რიდი“, მთარგმნელის ავტოგრაფი, 95 ფ.
27. დიმიტრი მგალობლიშვილის ლექსი, 1 ფ. ავტოგრაფი და დოკუმენტი 2 ფ. 1850 წ.
28. ტერენტი გრანელის ლექსების 5 ფურცელი, ავტოგრაფები.
29. ტრიფონ თაბუჯაშვილის ნარკვევი „აკაის ხსოვნა“, 1915 წ. 31 ფურცელი, ავტოგრაფი რუსულ ენაზე.

1979 წელი

1. მიხეილ ჭავჭავაძის წერილები შალვა სოსლანისადმი 1927—1931 წწ.
2. ჭავჭავაძის წერილი ლეონოვისადმი.
2. ნიკო სამადაშვილის ლექსები, ავტოგრაფი 19 ფ.
3. შ. ავრელიუსის „ფიჭვები“, „ახალი აღთქმა“ თარგმნილი ჰველი ბერძნულიდან ბ. ბრეგვაძის მიერ, მთარგმნელის ავტოგრაფი 683 ფ.
4. ივანე ლოლაშვილის — ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიული მასალა და მოგონებები ყაზბეგზე (ჩაწერილი ი. ლოლაშვილის მიერ).
5. სოლომონ ბავრელის მოთხრობა („მათრახი“), ავტოგრაფი, გ. ლუონძის წერილი ს. ბავრელისადმი (ავტოგრაფი), კ. საფარაშვილის მოგონება მიხ. დამარაშვილზე (ავტოგრაფი)
6. მონსინიორე ლეონეს რელაციონი — თარგმნილი იტალიურიდან ბ. გიორგიძის

მიერ. 70 ფ. ბ. გიორგაძის ნარკვევი რელაციონის შესახებ, 13 ფ; საქართველო  
სამეგრელო XVIII საუკუნეში იტალიელი მისიონერის დონ კრისტ დე კასტელის  
მიხედვით. თარგმნილი იტალიურიდან ბ. გიორგაძის მიერ. მთარგმნელის ავტოგრაფი  
101 ფ.

7. მიქელ პატარიძის ხელნაწერთა არქივი (თარგმანები, ლექსები, პროზა, მოგო-  
ნებები, ნარკვევები, წერილები მ. პატარიძისადმი, დოკუმენტები მ. პატარიძის  
სახელზე).

8. ნიკო ნიკოლაძის წერილები ოჯახის წევრებისადმი, ბ. ჯაფარიძისადმი, 1901—  
1926 წ.წ., 16 ცალი, ნ. ნიკოლაძის ოჯახის წევრთა მიმოწერა, სხვადასხვა მასალი  
ნ. ნიკოლაძის არქივიდან.

9. ივ. ლოლაშვილის მოგონება — ნარკვევი „ოცი წელი გ. ლეონიძესთან“.

10. სახალხო მოქმელის — გიგა მაისურაძის ჩანაწერები სოფ. მუსხის წარსული-  
სა და აწმყოს შესახებ.

11. ელ. ბონჩ-ბრუევიჩის 16 წერილი ივანე ენიკოლოფოვისადმი.

12. ხელნაწერები ს. შანშიაშვილის არქივიდან (პოემა, წერილები, სხვადასხვა  
მასალი).

13. მთარგმნელ ელენე ლოლობერიძისა და მწერალ ევგენი ლუნდბერგის საოჯა-  
ხო არქივი (ელ. ლოლობერიძის თარგმანები, მოხსენებები თარგმნის საკითხებზე,  
წერილები ელ. ლოლობერიძისადმი, ევ. ლუნდბერგის ნოველები, დღიურები, წერი-  
ლები ევ. ლუნდბერგისადმი, დოკუმენტები ელ. ლოლობერიძისა და ევ. ლუნდბერგის  
სახელზე, ფოტოსურათები ელ. ლოლობერიძისა და ევ. ლუნდბერგის საოჯახო არქი-  
ვიდან).

14. დიმიტრი შაჩხანელის ლექსები, მოთხრობები, სალექსიკონო მასალი, 284  
ფურცელი, ავტოგრაფი.

15. მიხ. ნასიძის წერილი აკაკის საიუბილეოდ 1908 წ. 2. ფ. ავტოგრაფი.

16. მხატვარ ზ. სამხარაძის ფერწერა — იაკობ ზუცესი.

17. მხატვარ გ. ჭაშის მიერ შესრულებული პორტრეტები — მარიამ გარიყული (ფერ-  
წერა).

18. არჩილ ჯორჯაძის წერილები 1891—1913 წ.წ.

შესავალი წერილები . . . . .	5
ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის საიუბილეო მასალები (დასაბუქდად მო- ამზადა დავით შულღიაშვილმა)	12
გიგო ხეჩუაშვილი. მოგონებები (დასაბუქდად მოამზადა შია ბარამიძემ)	18
სერგო გერსამია. მოგონებები ქართველ მწერლებზე (დასაბუქდად მოამზადა გიზო კორძაძემ)	22
ალექსანდრე მიქაბერიძე. მოგონება შიო არაგვისპირელზე (დასაბუქ- დად მოამზადა დავით შულღიაშვილმა)	77
კონსტანტინე საფარაშვილი. მოგონება მიხეილ თამარაშვილზე (დასაბუქდად მოამზადა ილია მისიურაძემ)	118
მიხეილ თამარაშვილი. წერილები ქართველ მოღვაწეებს (დასაბუქდად მოამზადა ტარიელ იაშვილმა)	126
გრიგოლ ცეცხლაძე. მოგონებები (დასაბუქდად მოამზადა გურამ ვანიძემ)	136
მოგონებები გიორგი ლეონიძესა და ვალერიან გაფრინდაშვილზე (და- საბუქდად მოამზადა ლუიზა ინგოროყვამ)	158
ტერენტი გრანელი. გამოუქვეყნებელი ლექსები (დასაბუქდად მოამზადა ნინო ხოფერიამ)	169
მიხეილ ჭავჭავაძე. წერილები (დასაბუქდად მოამზადა ირმა წუ- ლეისკირმა)	177
ტიციან ტაბიძე. წერილები (დასაბუქდად მოამზადა ქეთევან ხაჩიაშვილმა)	188
შალვა კარმელი. ლექსები (დასაბუქდად მოამზადა ქეთევან ხაჩიაშვილმა)	191
იოსებ ბარათაშვილი. მოგონება შალვა კარმელზე . . . . .	195
გაბრიელ ჭაბუშაძური. მწერლობაში მოვიდნენ მირზა და ლადო (დასაბუქდად მოამზადა რუსუდან კანტურიშვილმა)	196
შალვა დადიანისა და ვალერიან გუნიას წერილები დავით თელევიშვილისადმი (დასაბუქდად მოამზადა ტარიელ იაშვილმა)	208
კოტე ხიმშიაშვილი. მოთხრობები, წერილები (დასაბუქდად მოამზადა ცი- ცი ბუჭურაულმა)	214
მირზა გელოვანის წერილი კოტე ხიმშიაშვილს . . . . .	242
მირზა გელოვანი. ლექსები . . . . .	243
ნიკო სამადაშვილი. ლექსები, პროზა, კრიტიკული წერილი (დასაბუქდად მოამზადა თამაზ ჩხენკელმა)	245
ივანე ლოლაშვილი. ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრების უკანასკნელი წლები	309
ნინო ხოფერია. „ჩონჩხი შემოქმედებისა არის ბოლომდე გააზრებული თემა“	333
სირა კიკინაძე. ძველი ქართული ხელნაწერები ვალაკტიონ ტაბიძის არქი- ვიდან	341
ლალი მარტაშვილი. ასე იწერებოდა პიესები	345
დავით შულღიაშვილი. ჩვენი კალენდარი	360
ქრონიკა. 1973—1979 წლებში საქართველოს სახელმწიფო გ. ლეონიძის სახე- ლობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის მიერ შექმნილი მასალები . . . . .	355

Государственный литературный музей Грузии  
им. Г. Леонидзе

Литературная летопись

7—8

(На грузинском языке)

Издательство «Сაბჭოთა საქართველო»  
Тбилиси, Марджანიшвили, 5.  
1982

გამომცემლობის რედაქტორი ზ. კილაძე  
მხატვარი ა. თოდრაია  
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა  
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე  
კორექტორი ნ. თავაძე  
გამომწვეები ნ. მანაგაძე

გადაეცა წარმოებას 22. IV.82. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7. IX.82.  
საბეჭდი ქალაქი № 2. 60×90<sup>1/16</sup>. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 22.75+ჩაკერა 0,5.  
სააღრ.-საგამომც. თაბახი 21.72.     უე 12842. პირ. საღ. გატ. 23.37.  
ტირაჟი 2000.     შეკვ. № 2106.  
ფასი 1 ზან. 40 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახვილის სამხრეთ ოსეთის საოლქო  
პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ცხინვალი, მოსკოვის 5.

Юго-Осетинское областное полиграфическое производственное  
объединение Госкомиздата ГССР, г. Цхинвали, Московская, 5.

